780
2008 /2

/2

სპუტნიკი

1-2

2008

სარკე

იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსოფლიო ლიტერატურის
მთარგმნელობითი ჟურნალი
დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა
კავშირი და ჟურნალ "საუნჯის" რედაქცია

1-2, 2008

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

ნოდარ ჯინი. მოძღვარი. რომანი. თარგმნა **ნოდარ ხუნდაძემ** . .3
ული როთფუსი. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა **ლულუ დადიანმა** 148
ბერნჰარდ შლინკი. წინადადება. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა **ბელა სურგულაძემ** 160
ფრანგული პოეზია. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა **რენე კალანდიამ** 198
მიხაილ ლერმონტოვი, ივან დრაჩი. ლექსები. თარგმნა **გივი ძნელაძემ** 219
კონსტანტინ სიმონოვი. ხუთი გვერდი – პოემა. რუსულიდან თარგმნა **შოთა ზოიძემ** 223

დრამატურგია

სლავომირ მროჟეკი. პოლიცია. პიესა პოლონურიდან თარგმნა **ჯემალ ჭელიძემ** 240

წერილები

პაბლო ნერუდა. ესპანურიდან თარგმნა **ნინო მესტვირიშვილმა** 270
ხულიო სესარ კალისტრო. უკვდავი ბერხესი. ესპანურიდან თარგმნა **ნინო მესტვირიშვილმა** 278
რიშარდ კაპუშცინსკი. იმპერია. (დოკუმენტური პროზა). პოლონურიდან თარგმნა **ამბროსი გრიშიკაშვილმა** 285

მთავარი რედაქტორი:
ნანა დარჩია-ბოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:
ელზა ახვლედიანი
მანანა ამისულაშვილი
ნანა ახობაძე
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა ბართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაჰნაზარი
ძეთევან ჩიჯავაძე

ვაჟა ჩორდელი
პ/მგ მდივანი

ჩექრედაქტორი ზაურ მარგიშვილი

კომპიუტერული მომსახურება:
ივანე ბუჩუკური

ფასი: 5 ლარი

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. №4.
ტელ.:99-73-41,33-46-80, 60-23-40

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 06. 2008 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16,
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა
20 ფორმა. ტირაჟი 450.
შეკვ. 10.

"გეორგიკა", თბილისი
2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯინი

მოძღვარი

რომანი

თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ

ამერიკაში მცოხვრებმა მწერალმა ნოდარ ჯინმა (ჯინჯიხაშვილმა) დაწერა რომანი "მოძღვარი" იოსებ სტალინზე და ქრისტეს ებრაულ სამყაროზე. ალბათ, ბუნებრივია, რომ ამ თემაზე – რელიგიური მოტივებით ნასაზრდოები ასეთი მართალი, ღრმა წიგნი სულით ხორცამდე ებრაელმა კაცმა დაწერა. მაგრამ გენეტიკური ებრაელობა არაფრის მაქნისია – ნოდარივით ებრაული სულის მატარებელი უნდა იყო, რომ ასე მკაფიოდ შეიგრძნო იუდაიზმის წიაღში შობილი იდეები, ებრაული სულიერება, ქრისტეს არსი, ამქვეყნიური დიდების მწვერვალზე ასული კაცის სულიერი მარტვილობა, რომელიც საყვარელი ქალის ზურგშექცევამ განაპირობა. ნოდარ ჯინს ძალას მატებს ებრაული რელიგიის, ქრისტიანობის, ძველი და ახალი აღთქმის, თალმუდის, როგორც ერთი დაპირისპირებული მთლიანობის, დიდი ცოდნა.

რაოდენ გამალებულიც არ უნდა იბრძოდე ხელისუფლებისათვის, უსათუოდ დგება ჟამი საკუთარ თავში ჩაღრმავებისა, განვლილი ცხოვრების შეჯერებისა, მით უმეტეს, თუ ძვირფასმა ადამიანმა არა მხოლოდ შენ მიგატოვა, საკუთარი სურვილით გაეცალა წუთისოფელს, შენ კი მარტოობისთვის გაგწირა.

სასულიერო სემინარია, შესანიშნავი ლექსების წერა, სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლა, რომელსაც ამზადებდა მთელი მე-19 საუკუნის ფილოსოფია, ლიტერატურა, ნადეჟდა ალილუევას სიყვარული, ციმბირიდან რამდენჯერმე გამოქცევა, ხელისუფლების მწვერვალზე ასვლა, ალილუევას თვითმკვლელობა, რომელშიც დროდადრო გამოკრთება ზინოვიევის სახე. რაოდენი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

თავზარდამცემი იქნებოდა ძლიერ მოყვარული, დიდი იმპერიის სათავეში მოქცეული ქართველი კაცისათვის ცოლის თვითმკვლელობა – მსოფლიოს დიდი პოლიტიკოსთა ზრახვებს სწვდებოდა, ასწრებდა, სჯობნიდა და გვერდით მყოფი, ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე პეშვში მოქცეული წყალივით გამოეცალა. საუბარი უნდა იყოს არა სტალინის სისასტიკეზე, არამედ იმაზე, პოლიტიკურმა ოპონენტებმა საითკენ წარმართეს მისი ქმედებანი, რაგვარი ატმოსფერო შეჰქმნეს მის ირგვლივ.

რა ფიქრებს აღძრავდა ყველაფერი ეს სტალინის სულში? ნ. ჯინი-ჯინჯიხაშვილი ერთის მხრივ ქრისტეს მიმართების, მის ცხოვრებასთან პარალელების დაძებნის, მეორეს მხრივ ნადექდა ალილუევას ხატების ფონზე გვაჩვენებს ი. სტალინის სულიერ სამყაროს, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ჩვენთვის დღემდე ცნობილი სტალინისაგან. ვგულისმობ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაწერილ მხატვრულ, თუ პუბლიცისტურ ლიტერატურას. ცხადია, სულაც არ მსურს აუგი ვთქვა ამა თუ იმ ავტორზე – ზოგადად აღვნიშნავ: ორდინალური აზროვნების ადამიანებმა სტალინის ფენომენი თავიანთ საშულაო ინტელექტუალურ, ზნეობრივ, შემოქმედებით სივრცემდე დაიყვანეს და ამ საზომით განსჯიდნენ ადამიანს, ვისი გამორჩეული, სრულიად განსხვავებული აზროვნების სისტემა მიუწვდომელი, ამოუხსნელი და ამდენად საშიში იყო მისი ოპონენტებისათვის. სიბეცეა, როცა სტალინს წარმოადგენენ ვერაგ, სისხლსმოწყურებულ ადამიანად. მის ოპონენტებს არც ვერაგობა აკლდათ, არც რევოლუციური დაუნდობლობა, გამარჯვება კი სტალინმა მოიპოვა. რატომ? საძიებელია ი. სტალინის ფენომენის მთავარი მაჩვენებლები. მეცნიერებებში, რელიგიებში ჩახედულნი კი მიუახლოვდნენ უზარმაზარი იმპერიის შემქმნელი კაცის სულიერ სამყაროს. (მე. ხაზს ვუსვამ: სულიერ სამყაროს და არ ვამბობ თვისებებს) და მის სულში მიმდინარე კატაკლიზმებიც ასე თუ ისე დაინახეს. მწერალთა შორის კი ნ. ჯინი პირველთაგანია, ვინც სტალინის სამყაროს არა ჰოლივუდის, ან სკკპ ცკ დადგენილებების, არამედ მწერლის თვალით ჩახედა. ამ რომანში ერთმანეთს ავსებს, ერთიანდება ფილოსოფიაში და ბელეტრისტიკაში ღრმად ჩახედული ადამიანი, მწერალი...

ნოდარ ჯინჯიხაშვილი-ჯინი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, საქართველოს არც შეუტყვია რაოდენ სერიოზული მწერალი ჰყავდა. ჩვენ გვყავდა მწერალი, რომელმაც უცხოობაში მოიპოვა აღიარება, მძიმე, რთული ცხოვრებით იცხოვრა და წავიდა როგორც ღირსეული ადამიანი.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ქართულ ენაზე არ წერდა, რუსულენოვანი მწერალი იყო. ამიტომ ბუნებრივია, დამდევს შიში, ვაითუ, ქართული მწერლობის არეალში ვერ მოექცეს-მეთქი. ეს კი დიდი უსამართლობა იქნება: იგი არა მხოლოდ თავისმა ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ, შინაგანმა ენერგიამ, არამედ ქართულმა მწერლობამაც ჩამოაყალიბა, შექმნა, როგორც მწერალი, მოაზროვნე, ფილოსოფოსი. ქართული მწერლობა ხომ ნაწილია საკაცობრიო აზროვნებისა! იგი არაფერს ქართულს არ გაქცევია: ქართველებზე, ქართველ ებრაელებზე, საქართველოზე წერდა. კი, კი, ვიცი მწერალი ენაა, მაგრამ მის მიერ დახატული ფეთჰხაინიც (რომანი "ჩემი თვითმკვლელობის ისტორია") თავისი ტიპაჟით, სახეებით, ხასიათებით დღესაც თვალწინ მიდგას, დღესაც სუნთქავს. ცხადია, სავალალოა, რომ ქართული ენის სტიქიაში არ ტრიალებდა, მაგრამ ჩემი დაჩივლება, ალბათ, ვერა-რა განზოგადებას ვერ მიიღებს, რადგან მთავარი ის კი არ არის, რომ ქართულენოვანი არ იყო, მთავარი ისაა, რომ ქართული სამყაროთი ნასაზრდოები ჭეშმარიტი მწერალი გახლდათ. საქართველოს, ქართველი ებრაელობის ამბავი ძალიან კარგად უამბო მკითხველს ამერიკასა, თუ რუსეთში, ისე კარკად, რომ მერე ინგლისურადაც წაიკითხეს მისი ნაწერები, ფრანგულადაც. მას თავისი ლიტერატურული შემოქმედებით არარა ამქვეყნიური სიამტკბილობა არ მიუღია, ბედმა მხოლოდ გაცემა, საკუთარი გულის წურვა არგუნა და არა სიამენი.

მე მამაც მახსოვს მისი — ბატონი ბუბულო — ხმელ-ხმელი, მაღალ-მაღალი, დახვეწილი ინტელიგენტი. ნოდარი მამას ჰგავდა. უთქმელიც მამასავით იყო. ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებაში" შესანიშნავ წერილებს ბეჭდავდა კინოზე, ესთეტიკის საკითხებზე, ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია, სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ დატრიალებულმა ამბებმა კი — უგულისყურობამ, ჭაბუკი მეცნიერის არად ჩაგდების (თუ არ ვიტყვით დისერტაციის "ჩაგდების") დაუფარავმა მცდელობამ დიდად ატკინა გული, პერსპექტივა გაუბუნდოვანა და უთქმელად გაეცალა უმადურთ — ამერიკას მიაშურა. მას მერე ნოდარს ათასგზის შევხვედრივარ თბილისში, მოსკოვში, ამერიკაში. ბოლოს ისეთივე იყო, როგორც ადრეულ წლებში — მშვიდი, აუღელვებელი, სულის სიღრმეში ჩამხედავი, დაკვირვებული. მომხიბლა მისმა გამოსვლამ სასტუმრო "დავით-ინტერკონტინენტალში". იგი

ლაპარაკობდა ადამიანის ნებაზე, ადამიანების სულზე, სულიერებაზე, ებრაულ ტრადიციაზე.

მერე პურობაზე სადღეგრძელო თქვა – ერთოდ გონივრული სიტყვა უფრო იყო, ვიდრე სადღეგრძელო. აი, ასეთ პურობაზე თუ უთქვამთ საქართველოში, სუფრა აკადემიააო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაიკითხეთ ამერიკელი ქართველი ებრაელი მწერლის ნ. ჯინჯიხაშვილი-ჯინის წიგნები და მჯერა, თქვენ კიდევ ერთხელ განგიმტკიცდებათ საქართველოს, ქართული მწერლობის, ქართველი ებრაელობის მონაპოვრის რწმენა.

გურამ ბათიაშვილი.

წინასიტყვაობის მაგიერ

1. რატომღაც მიიჩნევენ, რომ ადამიანი თითქოსდა მოაზროვნე ცხოველია. ეს არ გახლავთ ზუსტი ფორმულირება, თუმცა ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანი აზროვნებს და ისიც, რომ იგი ცხოველია. ამ ფორმულამ სიზუსტე რომ შეიძინოს, ერთი სიტყვა უნდა დაემატოს: ადამიანი ზანტად მოაზროვნე ცხოველია. იშვიათად მოაზროვნე ცხოველი.

იმ ფაქტს, რომ ადამიანი იშვიათად და ზანტად აზროვნებს, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. რამეთუ ამ მიზეზით მას აუცილებლად ესაჭიროება წინამძღოლი, რომელიც იტვირთებდა, მუდამ ეაზროვნა სიამოვნებით.

აი, ასე ჩნდებიან ლიდერები. ისინი სხვადასხვა ხასიათისანი არიან. ზოგიერთებს მოაზროვნე ცხოველში პირველი მოსწონთ (აზროვნების უნარი), ზოგიერთებს - მეორე (ისინი მზად არიან, იყვნენ ცხოველები).

2. უბედურება ის არის, რომ ლიდერის არსებობა, - რომელ დროსა და ადგილზეც უნდა იყოს საუბარი, - ადამიანთა სამყაროს ტრაგიზმის მოწმე და გარანტიაა.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც ბავშვობისას არ ეეჭვებოდა: როცა მშვიდად გვძინავს, თითქოს "სტალინი სულ ჩვენზე ფიქრობს". მაინც სახელდობრ რას ფიქრობს? ამ კითხვას ბაბუაჩემი, სტალინის კბილა და მისი დიდი გულშემატკივარი, ორაზროვნად პასუხობდა: "ფიქრობს, შენც ხომ არ ფიქრობ?"

და მაინც, ულიდეროობა შეუძლებელია, რამეთუ დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, არავის შეუძლია მუდამ და ყველაფერზე იფიქროს. იმ ზომით, რომ იტყვიან - სისველე სითხის ბუნებრივი ზადია, "მომჭირნეობა - აზროვნების თანდაყოლილი დეფექტია". სხვათა შორის, ბელადები სწორედ ამას ვარაუ-

დობენ, ადამიანთა შეგნების ულრმეს ლაბირინთებში ისე შეძლებთ გასეირნებას, წყალი კოჭებამდეც ვერ მოგვწვდებაო.

კაცმა რომ თქვას, აზროვნების ეკონომიურობის "დეფექტის" მოშლა შეუძლებელია. შეუძლებელია, ყოველთვის ანბანით დაწყება. რომ გავარკვევთ 2X2=4, ამ საკითხს უკვე აღარ ვუბრუნდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიმახსოვროთ თუნდაც ის, რომ მთელი ჩვენი აზროვნება, რაც "ანბანური ჭეშმარიტების" ცოდნას მოითხოვს, წმინდა წყლის პირობითობაზე ანუ რწმენაზეა დაფუძნებული.

3. 2X2=4? რატომ არა ხუთს? ან სამს?

მხოლოდ იმიტომ, რომ შევთანხმდით, გვჯეროდეს, თითქოს ოთხიაო. დაკანონებული რწმენის შეცვლა უკვე გვიანღაა. თუ გვინდა ერთმანეთთან ურთიერთობა, ამ რწმენით უნდა ვიცხოვროთ. იძულებული ვართ, განვაგრძოთ იგი და "გაგრძელების" ყველა კანონს დავემორჩილოთ. ამიტომაც ხშირად გამოდის, რომ ლოგიკა მცდარი მიმართულებით მტკიცედ მსვლელობის შეძლებაა.

თუმცა კიდევ ერთი ირონიული პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ლოგიკის გარეშე შეუძლებელია მისი შეზღუდულობის ლოგიკური დადასტურება, ასევე შეუძლებელია ერთიანი რწმენის გარეშე მის გაუქმებაზე მოლაპარაკებაც.

4. მაშასადამე, რამდენადაც ადამიანს არ ძალუძს, გამუდმებით და ყველაფერზე ერთდროულად ფიქრობდეს, გამუდმებით და ყველაფერი ეეჭვებოდეს, იგი მიმართავს რწმენის ქიმერებს, აზროვნების სტერეოტიპებს, რომლებიც რა სახისაც უნდა იყოს, ყოველმა ჭეშმარიტმა მხატვარმა უნდა უკუაგდოს, რამეთუ აზროვნების ნებისმიერი ქიმერები და სტერეოტიპები ტრაგიკომიზმის ამოუწურავი წყაროა.

თვით ლეგენდებისადმი მიდრეკილებაც ყოველთვის გემოვნების საქმე როდია. ხშირად მის უკან ჭეშმარიტების არგაგების სურვილი დგას. ანუ სურვილი სიცრუის ცოდნისა. ან - განსაკუთრებულად პოპულარულია - სიმართლისა და სიცრუის ერთმანეთისგან გარჩევის უუნარობა. ყველა ამ შემთხვევაში ლეგენდების მოყვარულს აზროვნების ეკონომია იზიდავს.

ამავე დროს ჭეშმარიტება ფანტაზიას არა მტრობს, არ უარყოფს არარეალურობას.

ჯერჯერობით არავის მოუხდენია რევიზორის ან სამნეო ნაწილის გამგის გამოხედვაში გაელვებული ცნობისმოყვარე ამრის რეგისტრირება. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი ქუთაისელი მნე. როცა დედაქალაქელი რევიზორი მის საშე-

მოსავლო ქვითრებს გასცნობია, მნისთვის უკითხავს, მართალია, რომ სხვა ქონებასთან ერთად მეორე ოთახში ვარდისფერი ძაფით დაბმული მშიერი ვეფხვიცა გყავსო? მნეს უპასუხნია: დიახ, მე ძალიან მიყვარს ვარდისფერიო.

5. რაც შეეხება ლიდერებს, ყველას სანაცვლოდ ფიქრის სიმძიმეს რომ "ტვირთულობენ", ისინი არა მხოლოდ ერთგულად ზარმაცი ტვინის შედეგები, არამედ მისი პირველი მსხვერპლნიც არიან.

მსხვერპლად ყოფნა ის კუპიურია, რომელსაც ლიდერი თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო იხდის. განსაკუთრებული იმიტომ, რომ ლიდერებს "მუშაობა" უჭირთ, და იმიტომაც, რომ ლიდერობა საპატიო რამ არის. ასე რომ ლიდერი მაშინაც მსხვერპლია, როცა ზეცამდე ამაღლებენ ხოლმე, როგორც ქრისტეს, და მაშინაც, როცა ჯოჯოხეთში მოისვრიან, როგორც ჰიტლერს.

სტალინს "გაუმართლა", რადგან წილად ხვდა, ღმერთიც ყოფილიყო და დემონიც. რადგან სხვა მასავით ვერავინ დაგვეხმარებოდა, ჩავწვდომოდით ადამიანის სიცილის მომგერელ გაჭირვებულ ყოფას. ამით კი ეკარნახა მარშრუტი უსასრულო (ანუ განუხორციელებელი) გამოსავლისა ამ მდგომარეობიდან.

სტალინი ისტორიის ყველაზე გამორჩეულ პერსონაჟთა რიგშიც კი განსაკუთრებული იყო. განსაკუთრებული სწორედ იმ სტერეოტიპების ძალით, მის გარშემო რომ შეიქმნა.

6. მაგრამ იოსებ სტალინის განსაკუთრებული გამორჩეულობა იმით განისაზღვრება, **რომ ის ყოველ ჩვენგანში ზის.**

ბოლო ხუთი სიტყვა ლექსთა თხზვაში მის სახელგანთქმულ "კოლეგას" ეკუთვნის. ნიუ-იორკის ცნობილ ყავახანაში მისმა ამ კოლეგამ იოსებ ბროდსკიმ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე განმიცხადა: შენსავით ქართველი რომ ვიყო, თანაც ფილოსოფოსი და ღვინის მოყვარული, დროს აღარ გავფლანგავდი არყის მოყვარულებთან და ტირანიის მოძულეებთან ერთად ყავის წრუპვაში, არამედ ისტორიის ძლევამოსილ სხვა ლექსმწერთან "ერთად" პროზას შევთხზავდიო.

ეს მითხრა ჩემი განცხადების პასუხად, რომ ამას წინათ გამოქვეყნებულ ჩემზე დაწერილ რომანს ნამდვილ ადამიანზე შეთხზულ რომანს მოვაყოლებ და ეს რომანი შენს სეხნიასა და ჩემს თანამემამულეზე იქნება, მეჩექმის შვილზე-მეთქი, რომელმაც "კარიერა" ვარდის გაფურჩქნილ კოკორზე დაწერილი უწყინარი ლექსით დაიწყო და დაამთავრა... სწორედ იმის გაგება მეწადა, მაინც რით დაამთავრა?

სხვაგვარი მიდგომა ადამიანებში უნდობლობასა და მისი განადგურების სურვილს იწვევდა... მიმავალი საუკუნის შუაწლებისთვის სტალინმა მაინც შეძლო არამარტო დაეარსე-

ბინა, არამედ დედამიწის სივრცის შუაგულში, ხმელეთის მეექვსედ ნაწილზე შეენარჩუნებინა კიდეც პრინციპულად განსხვავებული ქვეყანა. მთავარი კი ის იყო, რომ ყველა ადამიანის შეგნებაში დაამკვიდრა იგი.

დედაარსი ამ განსხვავებული ქვეყნისა იყო კარდინალური ქმედება მარადიული ჭეშმარიტების მისაღწევად. იმდენად კარდინალური, რომ ოდინდელი ნორმების დაძლევაც ყოფილიყო შესაძლებელი. ხშირად "ურყევი" ნორმებისაც.

7. თუმცა ბროდსკი ჩემს იდეას აღფრთოვანებით შეხვდა, ამ იდეის მხარდაჭერის მისმა მთავარმა საბუთმა გული მატკინა. რაკი თვით სტალინიც კი გარდაიცვალა, სამუდამოდ ვერც შენ შერჩები ამ ქვეყანას, ამიტომ წიგნის დამთავრება უნდა იჩქარო: მწერალთა მომავალ თაობებს, რომელნიც სტალინის ქართულ სულს იცნობენ, არ ეცოდინებათო (პოსტ)სტალინური ეპოქა.

მე კიდევ ერთი განცხადება გავაკეთე: პირველი, სამყაროში ყველაფერი მეორდება, რათა არ დაგვავიწყდეს და ვიცინოთ-მეთქი.

მეორეც, თუ სტალინი მკვდრეთით ვერ აღსდგება, მასზე დაწერილი ეს რომანი შეიძლება ნებისმიერ დროს შეიქმნას. და მის შეთხზვას შესძლებს ყველა, ვისაც გამოთქმაში "ქართული სული" მოსვენებას დააკარგვინებს მთავარი სიტყვა - მეორე, რამეთუ წიგნს სტალინზე მართლაც რომ "მასთან ერთად" ვწერ პირველ პირში, ულვაშა, ჩოფურა იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის პირით – იმ ნამდვილი ადამიანის პირით, რომელმაც ყველა ჩვენგანში, ასევე ნამდვილ ადამიანებში, სხვებზე უკეთ შესძლო მოკალათებულიყო.

ნოდარ ჯინი - ამ წიგნს ვუძღვნი ჩემს ცოლს ზინა ბაზოვას - არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი - თუნდაც სხვა მიზნით - გორის იმ პაწაწკინტელა უბანში დაიბადა, სადაც მსოფლიოს მოევლინა ქვემორე მოთხრობილი ამბის სუბიექტი.

მარადისობა ყოველთვის მოულოდნელად იწყება...

ამ საქმეში ყველაზე ძნელი სიუჟეტის ან აზრის შეთხზვა როდია. ამგვარი რამეები დროზე მეტი დამიგროვდა. განსაკუთრებით ომის შემდეგ, როცა დრომ მოძრაობა შეწყვიტა. ჩანს კიდეც - რისგან შედგება მარადისობა.

ამ გაგების გარეშე, კაცმა რომ თქვას, წერა არც ღირს: ნამდვილი წიგნი დროს კი არ კლავს, არამედ მარადისობას, რომლისაც ადამიანებს ეშინიათ. რადგან მარადისობა არსად მთავრდება და ყოველთვის, როგორც დღეს, მოულოდნელად იწყება.

ლეიბა ამ წიგნში არავითარ როლს არ თამაშობს და მე აქ მხოლოდ იმას ვიხსენებ, რომ იგი ცოცხლობდა, როგორც სტილისტი. და საკუთარ თავს ლევ დავიდოვიჩს ეძახდა. შესაბამისად ყველაზე მოულოდნელად მიაჩნდა არა მარადისობა, არამედ, პირიქით, სიბერე, რაც ლამაზად, მაგრამ სულელურად ეღერდა. როგორც ლეიბათა უმრავლესობამ, მან ყველა სიტყვა იცოდა, სულს კი მხოლოდ საკუთარს იცნობდა.

ლამაზად საუბრის მისეული უნარის წინაშე ახლაც ქუდს ვიხდი, თუმცა სულთა ცნობის მისი უნარის წინაშე - ისევ ვიხურავ.

სიბერე უაზრო სიტყვაა. კვდები არა სიბერით, არამედ სიცოცხლის შემდეგ. სხვა შემთხვევაში სიკვდილში საშიში არაფერი იქნებოდა.

იმდენი ფუყე სიტყვა მომისმენია, მათი სიმძიმის ქვეშ ჩემი "ზისი" ახლა ამ თოვლში ჩაეფლობოდა. საერთოდ სიტყვა უამრავია და წერაც ადვილია მისი.

ძნელი სხვა რამეა: მეხსიერების უგულვებელყოფა. მწერლობა გაოცების უნარს მოითხოვს, გაოცებას კი მეხსიერება უშლის ხელს.

მეხსიერების გარეშე თავს ვერ შევეჩვეოდი. მე კი თავს მიჩვეული ვარ. საკუთარი თავის გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია. მწერალს საკუთარი თავის გარეშე არსებობაც უნდა შეეძლოს. ამიტომ მინდოდა, მწერალი გამოვსულიყავი. სხვები ყველაფერს ეჩვევიან. სიკვდილსაც კი.

მე არავის ვიცნობ, ვინც სიკვდილს ვერ შეეგუა და უკან დაბრუნდა. ერთადერთი გამონაკლისია მოძღვარი, რომელიც მთავარ როლს ასრულებს კიდეც ამ წიგნში. ჩემთან ერთად.

მაგრამ მოძღვარმა იცოდა მარადიული ცხოვრების ზმნები. თავიდანვე მწერალი რომ ვყოფილიყავი, მხოლოდ მის ამბავს აღვწერდი. რომ შემეძლოს თავიდან დაწყება, მეც ისევე ვიცხოვრებდი, როგორც მოძღვარმა იცხოვრა. ცხოვრებასთან შეუჩვეველად. და ისევე მოვკვდებოდი, სიკვდილთან მიუჩვეველად.

ბავშვობაში, სანამ საკუთარ თავთან ჯერ კიდევ არ ვიყავი მიჩვეული, უამრავი დრო მქონდა, მეცხოვრა არა ჩემი ცხოვრებით. მაგრამ ამის გამო მსჯიდნენ. რამეთუ მიწევდა, სხვათა სიტყვებით მელაპარაკა.

ადამიანად კი არა, ცხენზე ამხედრებულ რუს გოლიათად წარმომედგინა თავი.

ან მოხღოლთა ხანად. ისიც ცხენზე ამხედრებულად. ცხენი ავტომობილზე უფრო ადამიანურია. მით უფრო - ადამიანზე.

უნაგირის სიმაღლიდან სხვა სამყაროს ხედი შეხსნებოდა. ვხედავდი არა ტალახით შელესილ ჩემს ქოხს, არამედ მაღალშპილიან ქვის სახლებს, კამკამა მდინარეს - რომ გადმოსცქეროდნენ. მდინარე კი ნელა მიირწეოდა და ქარვისფრად ციმციმებდა. იმ წუთებში კოდალა ხეზე კი არა, ჩემს მკერდზე აკაკუნებდა. სიტყვებსაც სხვისას წარმოვთქვამდი. ზმნებს.

მამაჩემი ჭიტლაყს ამომკრავდა ხოლმე:

- საიდან მოგაქვს ეს სიტყვები, ნაბუშარო?!

ჭიტლაყი არ მწყინდა: მას ჰქონდა ამის უფლება, უფლება კი ადამიანმა უნდა გამოიყენოს. მე გული იმაზე მწყდებოდა, რომ ჩემი არ ესმოდა.

მოგვიანებით კი, როცა სემინარიაში ვსწავლობდი, თავი ღმერთად წარმომედგინა მანამ, სანამ არ მივხვდი, რომ ადამიანი სწორედ მან დატენა ნეხვით, რამეთუ შექმნა თავისნაირი და ისევ დამიწყეს ცემა.

ამიტომ ღმერთობის სურვილმაც გადამიარა. ნეტა რა მრჯიდა: დავრჩენილიყავი და მეცხოვრა ჩემთვის სრულ უმეცრებაში: არ მეცოდინებოდა მაინც, რომ ადამიანი ნეხვითაა დატენილი. საკუთარ სიმყრალეს ვერავინ გრძნობს.

რაკი ყველაფერი ვიცი, დავასკვენი მე, ესე იგი, ღმერთი აღარ ვარ.

თუმცა ისევ ადამიანად ქცევას აღარ ვფიქრობდი. ადამიანებს თუ მიბაძავ, მაშინ არა მხოლოდ უნდა მოკვდე, მოსაწყენი სიტყვებიც უნდა ილაპარაკო. არა ზმნები.

ზმნა, ანუ სიმართლეც, მოსაწყენად ჟღერს. ლეიბა ბრწყინვალედ მეტყველებდა. მაგრამ ეს არ იყო ძნელი საქმე, თუ არ გინდოდა, რომ ამავე დროს მართალიც ყოფილიყავი, ხოლო მართალი რომ იყო, ეს ნიშნავს, ადამიანთა ფიქრები გაიზიარო. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი არ გამოგყვება.

არც ხალხის გაგებაა ძნელი. ძნელი ის არის, ხალხს დაეთანხმო. ვინც არ დაეთანხმება, მოაზროვნედ იქცევა. ეს კი საპატიო რამ არის, მაგრამ გარდა აზრებისა არაფრის მფლობელი იქნები. ის კი, ვინც ხალხს ეთანხმება, შეიძლება ბელადი გახდეს. ანუ მართალი აღმოჩნდეს.

ბრწყინვალე სიტყვები ზმნებად იქცევა - მით უმეტეს, თუ სიმართლეს ამბობ. როგორც მოძღვარი ამბობდა, მაშინ საჭირო არ არის, ხალხს მიმართო. თუ გსურს, რომ ხალხი გამოგყვეს, სიტყვები ისეთივე ფერს გადაიკრავენ, როგორიც თვითონ ხალხია. ისინიც უფერულნი ხდებიან.

ცხოვრების სამოცდაათი წლის მანძილზე ასეთი სიტყვა ცოტა თუ წარმომითქვამს. ყველაზე მეტად ვუნდობოდი პაუზების მჭევრმეტყველებას. ვდუმდი, როგორც ახლა.

დუმილის უბედურება ის არის, რომ იგი საოცრად დამღლელია და ღლის არა მხოლოდ გონებას, აი, მთელი სადამო სცენაზე ვიჯექი და ფეხიც აღარ მაწუხებდა, [illegible] ხმაური იყო. ახლა კი ისევ მტეხს, რადგან სიწყნარეში [illegible] ქარბუქიც კი აღარ ხმაურობს.

ჩემს სიცოცხლეში ორჯერ შევესწარი წყნარ ქარბუქს. მეორედ - გადასახლებაში ყოფნისას. იმიერ პოლარეთში. იქ კი ცხოვრება შეუძლებელია. ამიტომაც გამოვიქეცი. თავდაპირველად გზა დავკარგე, მერმე კი ძალა წამერთვა და თოვლზე გავგორდი, რათა მოვმკვდარიყავი, მგლის საამებლად. ის კი არ გამოდგა ბოროტი. თვითონაც გზადაბნეული ჩანდა. მდუმარედ მომიჯდა შორიახლოს. გარშემო მკვდრული სიჩუმე სუფევდა.

უფრო დიდი სიწყნარე იყო ბავშობაში. ხუთი წელი შემისრულდა, ქარბუქი კი ოთხ დღეს გრძელდებოდა, თუ ოთხი წელი შემისრულდა და ქარბუქი ხუთ დღეს გრძელდებოდა. თანაც სავსებით უხმაუროდ.

სიწყნარე - მტერია. მე არა მჯერა, რომ მდუმარებაში იმდენივე აზრია, რამდენიც მარადისობაში. სამწუხაროდ, მდუმარება სიტყვებისგან შედგება. სიწყნარე აგრეთვე იგივეა, რაც ადამიანის დავსებული თვალი, რომელსაც ვერავინ ხედავს, მაგრამ ყველას ეშინია მისი...

სიკეთის ნებას ძალაუფლება იძლევა...

ამ დასკვნამდე რომ მივედი, კაბინაში მინის ჩარჩო ჩამოვწიე და მძღოლს მივმართე:

- მიტროხინ, რატომ დუმხარ?

- მე მიტროხინი არა ვარ, ამხანაგო სტალინ, - მივიღე პასუხად, - ბოდიშს გიხდით, მაგრამ მე კრილოვი ვარ.

მართლაც, ეს არ გახლდათ მიტროხინი. ადამიანის კეფა უბრალოდ სულელურად კი არ გამოიყურება, არამედ უარესად. ალბათ, ამიტომაა, დახვრეტისას კეფაში ახლიან ტყვიას. კეფის არა რცხვენიათ ხოლმე.

- მერე მიტროხინი რატომ არა ხარ? - გამიკვირდა მე, რადგან ჩემი გონება სულ სხვაგან ქროდა.

- ამხანაგო სტალინ, როცა თეატრიდან გამოგიბრძანდით, ჯერ იმის მანქანაში ჩაბრძანდით, მერმე კი, რომ დავიძარით, ჩემთან გადმოიბრძანდით.

- მიტროხინთან ვიღა ზის? - ვკითხე მე.

- ამხანაგი ვლასიკი. უკაცრავად: არა ამხანაგი, არამედ გენერალი ვლასიკი, ამხანაგო სტალინ.

- ცოდვაა მიტროხინი, - ვუთხარი მე. - ვლასიკი ისევ ნივრით იქნება აყროლებული. ორლოვმა ვერაფერი მიპასუხა, მხოლოდ კეფა მოიქექა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გიყვარს ნიორი, კრილოვ?

- მიყვარს, ამხანაგო სტალინ. ნიორი გემრიელ პროდუქტად მიმაჩნია, მაგრამ იშვიათად მივირთმევ ხოლმე, როცა ახლომახლო სხვა არავინ არის.

- ყოჩაღ! ნიორი მხოლოდ მაშინ უნდა ჭამო, როცა გარშემო მყოფნიც მიირთმევენ.

- ზუსტად ასეა, ამხანაგო სტალინ!

მე აქ კიდევ ერთხელ გამახსენდა ლეიბას სიტყვები, ხალხი ნეხვია, მაგრამ კედლების ამოყვანა ნეხვითაც შეიძლებაო. ეს კი არ არის სწორი. ჯერ ერთი, ხალხი ნეხვი არ არის. კაცი - კი, მაგრამ ხალხი - არა. მეორეც, ნეხვისგან კედლის აშენება არ შეიძლება: გახმება და ჩამოინგრევა...

ნადიაც კიდევ ერთხელ გამახსენდა. ჯერ სიცილი გავიგონე, ხმამაღალი კისკისი, თითქოს მარმარილოს იატაკზე მარგალიტები გაიბნაო. მერმე ნადიას კბილები დავინახე, ფერით ისინიც მარგალიტებს მიაგავდნენ. მერმე კი გლუვი და დათაფლული ნესვივით დამრგვალებული მისი მკერდი და მისი ასევე ნესვივით ტკბილი სურნელი შევიგრძენი.

ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, ნადია ცოცხალი რომ ყოფილიყო და დარბაზში მჯდარიყო. ყველაფერი ასე ბრიყვულად არ იქნებოდა.

ჩრდილოეთ კორეაში ათი მილიონი კაცი ცხოვრობს. იქაურმა დელეგატმა კი განაცხადა, მოლოცვის ტექსტს ხელი თექვსმეტმა მილიონმა მოაწერაო.

მაგრამ თუ ვინმე გიყვარს და ის კაცი ცოცხალია და შენც უყვარხარ, - სიბრიყვედ არაფერი გეჩვენება. თვით ისიც კი. ხოლო ნადია სულელი იყო.

კაცმა რომ თქვას, ხანდახან სულელები უფრო მიყვარს. ისინი ბუნებასთან უფრო ახლოს არიან.

- კრილოვ, - წარმოვთქვი მე. - როგორ ფიქრობ, ბუნება ჭკვიანია?

ეტყობა, კრილოვმა მუხრუჭს წაჰკრა ფეხი, და მანქანა შეირყა. ისევ ჩემკენ მოიხედა და ბინდბუნდში მისი შეძრწუნებული სახე დავინახე. ისე იყო თავზარდაცემული, არც აზროვნება შეეძლო და ალარც ლაპარაკის თავი ჰქონდა.

ფიქრის უუნარობას თავზარდაცემა მოაქვს და არა ნეტარება. თუმცა თავზარი ისევე როგორც უტვინობა უბიწობის

ფორმაა. და კიდევ გავიფიქრე, რომ სახეში სროლა არ შეიძლება, ეს იგივეა, რაც სულში სროლა.

- ნუ გეშინია, კრილოვ, - გავულიმე მე, – დაღლილი ვარ და იმიტომ გკითხე. შეგიძლია, არ მიპასუხო.

კრილოვმაც გაიღიმა, მაგრამ გაუბედავად. თითქოს თავისი გამომეტყველების მნიშვნელობა არა სჯერა.

- პატიოსნად მოგახსენებთ, ამხანაგო სტალინ: ბუნებაზე განსაკუთრებულად არასოდეს მიფიქრია, - მომიგო მან და საჭისკენ მიტრიალდა. - ძირითადად მანქანებზე ვიჭყლეტ ტვინს. - ის უფრო რთული რამ არის. ბუნება კი, ჩემი აზრით, ჭკვიანი კი არა, შეიძლება კეთილი იყოს, ან პირიქით, ბოროტი. ხომ მართალია?

- ყველაფერი შეიძლება მართალი იყოს, კრილოვ! - დავეთანხმე მე. - სიკეთის ნებას ძალაუფლება იძლევა, ბუნებას კი ძალაუფლება გააჩნია...

- ასეა, ამხანაგო სტალინ, - გაეხარდა მძღოლს და გაზს მკვეთრად მოუმატა.

შემკვრივებული, საქარე მინაზე სქლად დადებული ფანტელები ჩამოცვივდა და ქარბუქის თანაბარ ფერხულში შთაინთქა.

მინა დაბლა დავწიე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ წინანდებურად არც სტვენა ისმოდა და არც ღმუილი. თეთრი ქარი ბობოქრობდა და სივრცეში უხმო სასოწარკვეთილებით დაჯირითობდა, როგორც გათოშილი მგელი. ქალაქი კი თავისი მრავალრიცხოვანი ღრეჩოთი უკან რჩებოდა და ღია მინდორზე გზატკეცილის ორივე მხარეს ცხოველი თავშესაფარს ვერსად პოულობდა. იგი ცდილობდა სიკვდილს გაქცეოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ადგილზე ხტოდა, და ფხვიერ თოვლში ჩაიჩუმქრა.

მარჯვენა ფეხის ტკივილმა აბრიალებულ ბურთულასავით ჩაისრიალა კოჭებს შორის...

სიმკაცრე ყოველდღიური შრომაა...

- კრილოვ! - ვუხმე მე. - ვლასიკს დაუძახე, აქ მოვიდეს.

კრილოვმა ფარებით დაუსიგნალა, ავტომობილი გააჩერა, მანქანიდან გავარდა, თოვლის ფანტელები მუშტებით მოიგერია და კოლონის წინ მიმავალი მანქანებისკენ გაიქცა.

რაკი ტკივილი დამიბრუნდა, დავასკვენი მე, ესე იგი, ზეიმის დრო მიდგება, მაშასადამე, ხმაურმა უკვე დამტოვა. სწორიცაა: ახალგაზრდებზე გადაინაცვლა.

მაგრამ ისინი სულელები არიან, დღესასწაულების სამომავლოდ გადაადგილება არ სჩვევიათ - ამიტომ ჩუმი სასოწარკვეთილებისათვის გახლავან განწირულნი. დღესასწაულების ჟამს ჩნდება შეგრძნება, რომ სწორედ მთავარი რამ გაკლია. რა არის ეს, ვერ გაგიგია, მაგრამ მისი პოვნის დიდი სურვილი გაქვს. სწორედ ეს დიდი სურვილი არის სიხარულის და ტანჯვის დასაწყისი.

თუკი გამაჩნდა ცხოვრების რწმენა, მხოლოდ იმიტომ, რომ ზეიმი არ მქონია. და მთელი სიცოცხლე იმის იმედით გავლიე, რომ როდისმე მოვესწრებოდი მას.

...უზარმაზარი სივრცის ფონზე, ფანჯრებს მიღმა რომ ციმციმებდა, მუხლამდე თოვლში ჩაფლული ვლასიკი მორს ჰგავდა. მე თავი დავუქნიე და იგი ამოძრავდა. წინა კარი მიიხურა და სავარძელზე მოეწყო. მერმე ყრუდ ჩაიყოყინა.

სიბნელეში მის სახეს თვალი ვერ შევავლე. თუმცა ვიგრძენი, რომ ვლასიკი შეზარხოშებული იყო. გავიგონე კიდეც, რა დამნაშავესავით გაიღიმა და დაიხურა ქუდი.

ყველა მელოტი თავი სიცილის გუნებაზე მაყენებს, ლენინისაც კი. თუმცა ვლასიკს თავი შიგნიდანაც მელოტი ჰქონდა. და როცა უოფლიანდებოდა, გაოცებული ვრჩებოდი: რა უნდა აუორთქლდეს-მეთქი.

კრილოვმა კარი დახურა და მანქანაში ჩამობნელდა. ჩავიცინე:

- რატომ იღვრები ოფლად, ვლასიკ?

ვლასიკმა არ მიპასუხა და როცა მანქანა ადგილიდან დაიძრა, მძღოლს შევეკითხე:

- კრილოვ, ვინ არის ამხანაგი ვლასიკი?

- ამხანაგი ვლასიკი არის გენერალი ვლასიკი, ამხანაგო სტალინ! - მღელვარებისგან კრილოვი სულს ძლივს ითქვამდა.

- არ არის სწორი! - თავი გავიქნიე მე. - ამხანაგი ნიკოლაი სიდოროვიჩ ვლასიკი არის გენერალ-ლეიტენანტი ვლასიკი. და სუკის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი. აი, ვინ არის ამხანაგი ვლასიკი.

- დიახ, ასეა, ამხანაგო სტალინ! - დამეთანხმა კრილოვი.

- მაშ რატომდა ასდის ორთქლი? და სიტყვებს რატომ ვერ წარმოთქვამს?

მძღოლმა ისევ მოიქექა კეფა.

- ოლაპარაკე! - ვუბრძანე და კრილოვმა წარმოთქვა:

- გენერალ-ლეიტენანტი ვლასიკი, ამხანაგო სტალინ, ნივრის სუნის გამოა დარცხვენილი.

- მართალია, ნიკოლაი სიდოროვიჩ? - ვკითხე მე და ვლასიკმა თავი ხმაურით დამიქნია.

- კიდევ რა სუნის გამო გრცხვენია, უფროსო? - არ ვეშვებოდი მე.

ამჯერად ჩემკენ მოტრიალდა. სახეს კი ისეთი გამომეტყველება მიანიჭა, თითქოს აპირებდა, ჩემთვის იდიოტიზმის ლიცენზია ან ხმაწართმეულის ცნობა წარმოედგინა.

ქართული ბიბლიოთეკა

დახმარება შევთავაზე:

- ზარხოშად ხარ, ვლასიკ?

შუბლი ხელისგულით მოიწმინდა, თავი დამიქნია.

- ილაპარაკე! - ვიფეთქე მე, მაგრამ, როგორც იუბილარმა, გრძნობები უმალვე მოვთოკე. - ილაპარაკე, თუ შეიძლება, ნიკოლაი სიდოროვიჩ!

პირში დაგროვილი ჰაერი სასულეში გადასცდა. ვლასიკმა იგი ორგანიზმიდან სიტყვებთან ერთად გამოაძევა. მის სიტყვათა დაბოლოებანი სპირტში განზავდა.

- დიახ, ესიფ ვისარონიჩ. ცოტაოდენი გადავკარი, მაგრამ იმიტომ კი არა, ესიფ ვისარონიჩ, არამედ იმიტომ, რომ ჩინელ ამხანაგებთან ერთად, ამხანაგი მაოს დაცვიდან, თითო ყლუპი თქვენი სადღეგრძელო მივირთვით, ეს ხომ ისეთი დღესასწაულია, ესიფ ვისარონიჩ, ისეთი დღესასწაული! მთელი ქვეყანა ზეიმობს! მთელი მსოფლიო! მთელი კაცობრიობა!

- მთელი კაცობრიობაო, ამბობ? - გავიკვირვე მე.

- პროგრესული კაცობრიობა, ესიფ ვისარონიჩ!

- არაპროგრესული?

ვლასიკი შეიშმუშნა, მაგრამ ისევ დახმარების ხელი გავუწოდე:

- ისიც ზეიმობს.

ვლასიკმა თავდაპირველად არ დაიჯერა, მაგრამ მერმე თავის ქიცინს მოჰყვა: რასაკვირველია, ზეიმობს, - ზეიმს სად უნდა გაექცესო.

- არაპროგრესული საზოგადოება იმიტომ ზეიმობს, ვლასიკ, რომ უკვე სამოცდაათისა გავხდი. მათ ჩემი უფრო ეშინიათ, ვიდრე ღვთისა. ღვთისა აღარ ეშინიათ, რადგან იგი გაძარცვული ჰყავთ. მე მათ ვეუბნები: ღვთისა გეშინოდეთ, არავის არაფერი შერჩება-მეთქი. მაგრამ ღმერთი უკვე მკვდარია. იმათ ჩემი ეშინიათ, - მე ცოცხალი ვარ. და მათ იმასვე ვეუბნები, რასაც ღმერთი უქადაგებდათ. ჰოდა, კითხულობენ: კიდევ რამდენ ხანს შეძლებსო სტალინი ლაპარაკს? იციან, მაღლა კი აღარ მიეიწევ, დაბლა ვეშვები.

- რას ბრძანებთ, ესიფ ვისარონიჩ! - შეშფოთდა ვლასიკი და კრიალოვს მუჯლუგუნი ჰკრა, ხმა ამოიღე და სიტყვა შემაწიეო.

- სამოცდაათი ყაზბეგის პიკია, ამხანაგო სტალინ! - განაცხადა მან.

- ჩემს პატივსაცემად ისურვებდი, კრილოვ, ჩქარა გეცხოვრა, როგორც ის პიონერი აღგვითქვამდა დღეს ტრიბუნიდან? მეო, სტალინის პატივსაცემად მინდა, ჩქარა გავიზარდო და გმირი გავხდეო. ჰოდა, შენც ისურვებდი ახლა პიკზე ყოფნას, კრილოვ? - ვკითხე მე.

- გვიან დავიბადე, ამხანაგო სტალინ, - დაიბ[illegible]

ვლასიკს ქოშინი აუტყდა და შეუსაბამო რამ ფანტალა:

- ჩვენთან სოფელში ამბობენ: გემოვნების გამო არ დავობენო: ვის საზამთრო უყვარს, ვის კიდევ - ღორის ხრტილიო.

გამეცინა და ორივენი ბედნიერების მორევში შეცურდნენ.

გემოვნების შესახებ სწორი ბრძანე, უფროსო, - მივმართე ვლასიკს. - მაგალითად, მე დაცვის შენი ჩინელი ამხანაგები არ მომწონა. განსაკუთრებით ქერა ქალი. ცხვირიც კი შელებილი რომ ჰქონდა. თუმცა ცხვირი უსარგებლო რამ არის და თვალების ფონზე სულელურად ჩანს. მას კი თვალებიც ძროხისა აქვს: თითქოსდა ელეთმელეთი მოსდის, სანამ წველას დაუწყებენ!

პაუზა დამყარდა და კრილოვმა კეფა მოიქექა, ვლასიკი კი ფშვინვას განაგრძობდა.

- ილაპარაკეთ, უფროსო! - ვუბრძანე მე.

- ბოდიში, ესიფ ვისარიონიჩ, მაგრამ ჩინელ ამხანაგებთან მართლა თქვენი სადღეგრძელო დაგლიე. პორტვაინით - ცოტა არაყიც დავუმატე. ქერა ქალი კი უბრალოდ ნაცნობია, მის ცოლად შერთვას არ ვაპირებ!

- ცოლი გაგიწევს წინააღმდეგობას, - ვუთხარი მე და კრილოვმა თავისდაუნებურად ჩაიცინა.

- მართლა გეუბნებით, ესიფ ვისარიონიჩ, - განაგრძო ვლასიკმა და კრილოვის საფეთქლებს თვალები დაუმიზნა. - უბრალო ნაცნობია. სხვათა შორის ერთობ გულკეთილი ქალია.

გამეცინა.

- ხმა ჩაიკმინდე: მე ყველაფერი ვიცი! თუ კიდევ ერთხელ შეხვედრიხარ, იცი, რას ამოგაგლეჯ?!

სამწუხაროდ, არ შეიძლება მკაცრი არ ვიყო. თუმცა ეს ყოველდღიური შრომაა. მაგრამ რამდენადაც დღეს იუბილარი ვარ, ვლასიკი კი შესაბამისად ნაყლაპია და შეზარხოშებული, იძულებული ეხდები, გულკეთილობა გამოვიჩინო:

- აი რა, ხისთავიანო ნიკოლაი სიდოროვიჩ! შენ დედაკაცს არ იცნობ. ჯერაც ახალგაზრდა ხარ. ამბობ, გულკეთილიაო. დედაკაცი კი სწორედ გულიდან იწყებს და სულელს თავს რომ შეაყვარებს, მერმე ვერაფრით დაუსხლტება ხელიდან. სულელს კი, ნიკოლაი სიდოროვიჩ, ყველრები უნდა ამოგლიჯო, რადგან სწორედ მათ გამო უპირებენ მტრები გადაბირებას.

- მაპატიეთ, ესიფ ვისარიონიჩ!.. - ჩაილუღლუღა ვლასიკმა.

26638
საქართველოს
პარლამენტის

საუკეთესო აზრი მისი არქონაა...

ბავშვობაში, უცაბედი სიჩუმე რომ დამიდგებოდა, მჯეროდა ხალხის ნათქვამი: ჩუმმა ანგელოზმა გადაგვიფრინა. მაშასადამე, სულელი იბადებაო. ბრიყვული მენიშნებაა. სულელთა რიცხვს თუ გავითვალისწინებთ, ბრიყვთა შორის უსაზღვრო, მაგრამ უცაბედი სიწყნარე უნდა სუფევდეს.

ახლა უკვე ჩუმ ანგელოზებს უბრალოდ გავანადგურებდი. სიჩუმე - ეს მარტოობაა და მას ვერსად დაემალები. თვით დიდი თეატრის სცენაზედაც კი. როგორც დღეს. როცა ენადგაკრეფილი ხალხი ქება-დიდებას გასხამს, ისმის ოვაციები, გრიალებს ჰიმნი და უამრავი სტუმარია... მთელი საღამო ჩვეულებრივი შეგრძნების ტყვეობაში ვიყავი, თითქოს სხეულის გამოსამწყვდევად მოწყობილ ერთკაციან უავეჯო კამერაში ვიმყოფებოდი.

უწინდელ დროში ადამიანებმა მარტოობა არ იცოდნენ: განცალკევებულად თავი ვერავის წარმოედგინა. როდის დაირღვა ეს? ალბათ, ჭირი ძალაუფლებამ და შეძლებამ დათესა. რაც უფრო ძლიერი ხარ, მით უფრო მარტოსულად გრძნობ თავს.

ერთმა ინდოელმა ჩემთან აღიარა, რომ უფალმა სამყარო მაშინ შექმნა, მარტოსულობით რომ დაიღალაო. კაცმა რომ თქვას, მარტოსულობაში შემზარავი არაფერია. შემზარავი ისაა, რომ მარტოობას ხალხი განიცდის, როგორც საშინელებას. აგრეთვე ის, რომ მისი წამალი არ არსებობს.

ერთნი განდეგილობით მკურნალობენ, მეორენი ღვთის შეწევნით, მესამენი - სამყაროული წესრიგის ძიებით, მეოთხენი, პირიქით, - აბსურდულისა და უჩვეულოს ძიებით. მაგრამ აბსურდიც ილუზორულია. სამყაროში არ არსებობს არც აბსურდი, არც ლოგიკა - არაფერი. სამყარო შექმნილია არაფრისგან და ეს ყველაფრიდან ჩანს.

ამიტომ მაშინაც კი, როცა ნადია ცოცხალი იყო, - მე მარტოსული ვიყავი. რამეთუ სიყვარულიც საკუთარ თავში ჩაკეტვისათვის გვწირავს.

მოძღვარი მართალია, როცა ამბობს, რომ ერთადერთი სფერო, სადაც რევოლუცია არ მთავრდება, - არის სიყვარული. იგი კურნავს ნებისმიერ სენს. მაგრამ თვითონაც სნეულებად რჩება. თუმცა თვითონ ხშირად სიძულვილით "უყვარდა".

- კრილოვ! - შევეხმიანე მძღოლს. - რამდენი დარჩა?

- ცოტაღა დაგვრჩა, ამხანაგო სტალინ.

- რა კითხვაზე გაეცი პასუხი, კრილოვ?

- თქვენ შემეკითხეთ - ჩემს აგარაკამდე რა მანძილია დარჩენილიო, ამხანაგო სტალინ. უახლოეს აგარაკამდე?

- შეკითხვა სწორად გაგიგია, მაგრამ პასუხი არასწორია. გაიმეორე შეკითხვა კიდევ ერთხელ!

- ოცდაოდე კილომეტრი დარჩა, ამხანაგო სტალინ! ქარბუქი რომ არ იყოს, თხუთმეტ წუთში მივიდოდით.

- უკეთ მიპასუხე, მაგრამ კარგად მაინც არა. კავშირებითი კილოთი მიპასუხე. ეს კი აზრია, კრილოვ. ოღონდ ცუდი აზრი. ხალხისთვის საუკეთესო აზრი ის არის, საერთოდ რომ არ არსებობს. უფრო უბრალოდ გეტყვი: გართულებებს გარეშე უნდა იცხოვრო, საუბრით კი ზუსტად უნდა ისაუბრო. გასაგებია?

- დიახ, გასაგებია. ნახევარ საათში მივალთ.

- აი, ხედავ! - მივუტრიალდი ვლასიკს. - გამოდის, დიდი დრო გვქონია, უფროსო, ჩემთან გადმოდი, წავიმუშავოთ...

იმდენად მუშაობა არ მინდოდა, რამდენადაც დროის მოკვლა. დროის მოკვლა კი იმიტომ მინდოდა, რომ ბოლო წლებში გამოუსწორებელი სისულელე მაღიზიანებდა: სივრცეში საკუთარი სხეულის გადაადგილებაზე უზარმაზარი დრო მეხარჯებოდა. შეუძლებელია ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება ელვისებურ ფიქრშიაც კი. და არა მხოლოდ ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებაა ფიქრის სისწრაფით შეუძლებელი, არამედ ამ ადგილებზე ერთდროულად ყოფნაც.

ეს ჯერჯერობითაა შეუძლებელი. მომავალში კი შესაძლებელი გახდება. მომავალში ადამიანები ისწავლიან ერთდროულად სხვადასხვა ადგილას ყოფნას. როგორც ლავრენტიმ თქვა, ნებისმიერ ადგილას მყოფ ადამიანზე შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დანაშაულში ეჭვის მიტანაო.

ერთი სიტყვით, მე არასოდეს ვიცოდი, კიდევ სად ვისურვებდი ყოფნას, როგორც არ ვიცოდი, საით მივისწრაფოდი მთელი ცხოვრება. გასაოცარია სხვა რამ, როცა არ იცი, საით მიგეჩქარება. და სხვაგან ამოჰყოფ თავს. მაგრამ ბოლოს გამოირკვეოდა, თურმე მუდამ იქ აღმოვჩნდებოდი, სადაც მისვლა უნდა მეჩქარა. ეტყობა, ღმერთი მწყალობდა.

კიდევ უფრო გასაოცარი სხვა რამ არის: მე დიდი ხანია, არაფერი მაკვირვებს, მაგალითად, არ მიკვირს, რომ ადამიანი წყალში არ იხსნება.

ჯალათი ჯარისკაცზე უკეთესია...

სანამ უკანა სავარძელზე იჯდა, ვლასიკმა შემთხვევით "ყაზბეგის" კოლოფი გაჭეჭყა და მობოდიშება დაიწყო.

თეატრში განზრახ წავიღე "ყაზბეგი" და არა "ჰერცოგოვინა" ან ყალიონი, ამით იმის მტკიცება მინდოდა, რომ საკუთარ

თავსაც არ ვბაძავდი. რომ მე არა მაქვს ჩვევები. ამას გარდა, "ყაზბეგის" კოლოფზე ნახატი უფრო მომწონს, კოლოფში კი სხვა პაპიროსების ჩაწყობაც შეიძლება...

როგორც კი მინის ტიხარი მაღლა ავწიე, კრილოვმა რაღაც ფრაზა წარმოთქვა. მე ის ვერ გავიგონე, მაგრამ ხელი ავიქნიე და კოლონამ გზა განაგრძო.

მერმე კოლოფში დაუზიანებელი პაპიროსი ამოვიღე და დავიწყე, მაგრამ ვერ ვიპოვე. ყველა დაჭმუჭნილიყო.

- ძალზე მძიმე ხარ, ვლასიკ. უნდა გახდე. ხვალისთვის რა გვაქვს გათვალისწინებული?

- ხვალ თქვენ დასვენება გადაწყვიტეთ, ესიფ ვისარონიჩ.

- დავიღალე. ესე იგი, დღეს ვახშმად ვინ მოდის ჩვენთან?

- ამხანაგი ბერია, ამხანაგი ბულგანინი, ამხანაგი ვოროშილოვი, ამხანაგი კაგანოვიჩი, ამხანაგი მალენკოვი, ამხანაგი მაო თარჯიმნითურთ, ამხანაგი მიქოიანი, ამხანაგი მოლოტოვი, ამხანაგი ხრუშჩოვი და ამხანაგი კინორეჟისორი ჭირაული მანდილოსანთან ერთად.

- ჭიაურელი, - გავუსწორე მე. - მანდილოსანი რატომ არ მოიხსენიე "ამხანაგად"?

- იგი ფრანგია ესიფ ვისარონიჩ, ჟურნალისტია. თქვენ მის შესახებ ლავრენტი პალიჩი გესაუბრათ...

- სწორია, რომ ჭიაურელი მოვიწვიეთ...

- ძალიანაც სწორია! - დამეთანხმა ვლასიკი.

- მე არ დამიმთავრებია...

- მაპატიეთ, ამხანაგო სტალინ!

- ჭიაურელი ცოცხალი ადამიანია.

ვლასიკმა ვერ გამიგო.

- გეუბნები, მიშა მხატვარია, ცოცხალი ადამიანია-მეთქი.

- აჰ, ამ აზრით! - მიმიხვდა იგი.

- მაშ სხვა რა აზრით? და სწორიცაა. იმ ქალზე პროკურორი მესაუბრა. პროკურორს შურს მიშასი. ჩემს გენერალზეც მომახსენა ცუდი რაღაცები: ბერლინში მარიკა როკს ეკურკურებოდაო.

- მომღერალს?

- აბა, სხვას ვის? ისაო, საშიშიაო, ბურჟუაზიული მომღერალიაო. მე კი პროკურორს ვუთხარი, საშიში იდეოლოგია სხვა არხებით ვრცელდება-მეთქი...

- სხვა არხებით? - შეშინდა ვლასიკი.

- სიტყვას ნუ მაწყვეტინებ! ვუთხარი, რომ სპერმა მელნის ლაქა არ არის. კვალს არ დატოვებს. ხოლო თუკი დატოვებს, ესე იგი, ჩვენი იდეოლოგია მოიგებს-მეთქი...

ჩემდა მოულოდნელად ვლასიკი მიმიხვდა, რომ ვეხუმრებოდი, - და გაიცინა. ბედნიერი იყო იმის გამო, რომ გუნება გამიმიკეთდა და ამ ბედნიერების გამყარების სურვილი გაუჩნდა.

- შეიძლება, გკითხოთ, ესიფ ვისარონიჩ?

- რა უნდა მკითხო?

- ამხანაგი მეხლისის ამბავი.

მოვიღუშე.

- აი, მეხლისი კი თითქმის მკვდარია და ამხანაგიც აღარ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლასიკი ჩაფიქრდა, ალბათ, იმის გამოც შეწუხდა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა ახსენა ამხანაგი, რომელიც, ჩემი აზრით, თითქმის უკვე მკვდარი იყო.

- მკითხე! - ნება დავრთე ვლასიკს, ვისი შეცდომაც იმავე საზეიმო "ამოსუნთქვის" ანგარიშზე ჩამოვწერე.

სახე გაუბრწყინდა.

- მართალია, ესიფ ვისარონიჩ, როცა მეხლისი სავსებით ცოცხალი იყო, მას თქვენთვის ერთი მარშლის შესახებ მოუხსენებია, ფრონტზე ცოლებს ყოველკვირეულად იცვლიდაო. მერმე კი უკითხავს: რა ვუყოთ იმ მარშალსო? და უბის წიგნაკი ამოუღია. თქვენ თურმე დიდხანს დუმდით, მერმე კი გითქვამთ: "შეგვშურდეს მისი!" - და თურმე ახარხარებულხართ, - მართალია ეს, ესიფ ვისარონიჩ?

პასუხი არ გავეცი.

- სტუმრების სია პროკურორით რატომ დაიწყე?

- ალფავიტის მიხედვით ჩამოგითვალეთ! - შეშინდა ვლასიკი. - ლავრენტი პალიჩის გვარი პირველია.

- ალფავიტსაც მორგებიაო! "გამარჯვებათა დროშა", არა?

- მერე რა, სწორად თქვა: თქვენ დიახაც გამარჯვებათა დროშა ხართ, ესიფ ვისარონიჩ!

- მე ადამიანი ვარ, ვლასიკ, და არა დროშა, - წარმოვთქვი და გავიფიქრე, რომ ლავრენტისგან მწერალი არ გამოვიდოდა: ადამიანების შედარება დროშასთან არ შეიძლება. - აი, სხვებმა უფრო სწორად გამოთქვეს: "შებაირახტრეო"!

- დიახ, "კომუნიზმის შებაირახტრეო".

- კიდევ რა დაგამახსოვრდა ნიკოლაი სიდოროვიჩ?

- ყველაფერი, ესიფ ვისარონიჩ! რომ თქვენ ლენინის საქმის გამგრძელებელი ხართ და სტალინური კონსტიტუციის შემოქმედი...

- ეს ცხადია, განსაკუთრებით, სტალინური კონსტიტუციის შემოქმედი ვარ. თუ კონსტიტუცია სტალინურია - შემოქმედიც სტალინი იქნება. და რომ "გამგრძელებელი" ვარ... ჩვენ ყველანი რაღაცას ვაგრძელებთ. აი, მაგალითად, შენ ყლურწვას აგრძელებ.

- დღევანდელი დღე ხომ განსაკუთრებულია, ესიფ ვისარონიჩ!

- უმჯობესია, მითხრა, გაგონილიდან კიდევ რომელი აზრი ჩაგეჭედა თავში?

- რომ თქვენ მარშალი და გენერალისიმუსი ხართ!

- ეს აზრი კი არა, ფაქტია.

- და კიდევ, მამა ხართ და მოძღვარი!

- ეს კი ძველი სიტყვებია. თუმცა არასწორი. მამა მე კი არა, უფალი ღმერთია. მოძღვარი კი... იცი, ვინ არის მოძღვარი?

- თქვენა ხართ, ესიფ ვისარონის! იყო [illegible]. ახლა კი თქვენა ხართ!

- მოძღვარია იესო ქრისტე. გაგიგონია ეს სახელი?

- გამიგონია. - განაწყენდა ვლასიკი, მის გონებაგახსნილობაში ეჭვი რომ შემეპარა. შეიძლება იმითაც განაწყენდა, რომ მისთვის უავტორიტეტო მკვდარი ებრაელის სასარგებლოდ უარი ვთქვი ამ წოდებაზე.

- სიტყვის ოსტატთაგან ვინ გამოვიდა ყველაზე უკეთ?

ყველანი ამბობენ, რომ ამხანაგი ტოლიატი. მეგობრული იტალიიდან. სიტყვა წარმოთქვა - მე დავითვალე - ოცდათოთხმეტმა ამხანაგმა!

- იტალია ჯერ არ არის მეგობრული ქვეყანა, არც ტოლიატია სიტყვის ოსტატი.

- თქვენ კი სიტყვის ოსტატებზე მკითხეთ, არა? - ვლასიკი უცებ ჩაცხრა და მოიღუშა.

მის თვალებში საყვედური ამოიკითხებოდა იმის გამო, რომ ცხოვრება უმართებულო პირობებით თამაშია. და, რომ ძალუძდეს, ამ პირობებს არ დათანხმდებოდა.

და კიდევ - თუ რაიმეს არასრული ცოდნა საშიშია, სრული ცოდნა მომაკვდინებელია.

შემებრალა ვლასიკი. ეს მართლაც უსამართლობა იყო: მას "შემთხვევის გამო" ვიღაცასთან გადაუკრავს, მე კი ფხიზელი ვარ.

მეორე მხრივ ის ჩემზე ახალგაზრდაა. და ჯერ არ იცის ყველაზე უმთავრესი რამ: ადამიანი ცხოვრებას მხოლოდ მაშინ გაიგებს, როცა მიხვდება, რომ არც არაფერია მასში გასაგები!

მაგრამ ამას ვლასიკი სწორედაც რომ ვერასოდეს მიხვდება.

ამიტომ ვერც დადგებოდა მისგან ოდესმე მხატვარი. მას არა აქვს უნარი, ისეთ რაღაცაზე დაფიქრდეს, რასაც "არაფერი" ჰქვია. სამაგიეროდ ის ბრიყვია, სიფაქიზის დეფიციტს განიცდის და, ჯარისკაცად რომ არ გამწესებულიყო, რიგიან პოლიტკარიერას გაიკეთებდა. კაცმა რომ თქვას, რაკი გენერალ-ლეიტენანტი გახდა, ეს ღირსებები ჯარისკაცებისთვისაც აუცილებელი ყოფილა.

ჩემგან ჯარისკაცი ვერ გამოვიდოდა. ჯალათი უკეთესია: იგი არამზადებს ხვრეტს! ჯარისკაცი კი კლავს უდანაშაულო ადამიანებს, კანონმორჩილებს.

მერმე გამიჩნდა აზრი, რომ, დაე, თუნდაც "რევოლუციის ლოკომოტივის გენიალური მემანქანე" არ ვიყო, ბოლო წლებში მოვახერხე, ბრძენი კაცი გავმხდარიყავი. შემიყვარდა ენციკლოპედიაზე ფიქრი. ეს კი არის ერთადერთი რამ, რაზეც შეიძლება რადაც ნამდვილად იცოდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის ტკივილი იწყებოდა ტერფში...

- გავიხსენე, ესიფ ვისარიონიჩ! - იფეთქა უცებ ვლასიკმა, რომელმაც განმაცვიფრა იმ სისწრაფით, მის სახეზე დაღვრემილობა დიდი სიხარულით რომ შეიცვალა. ჩვეულებრივ მიმაჩნდა, რომ ამგვარი სისწრაფე შესაძლო იყო საპირისპირო მიმართულებით - ბედნიერებიდან შიშისკენ, - სიტყვის ოსტატზე გამახსენდა, ესიფ ვისარიონიჩ, რომელმაც თქვენზე ისე ილაპარაკა, როგორც არავის უთქვამს!

- ვინ იყო? - არ დავუჯერე მე, რადგან განსაკუთრებულად ჩემზე არავინ ლაპარაკობდა, როგორც არავინ. ვლასიკმა ქუდი თავზე ჩამოიფხატა, რომელსაც გაკრიალებული ვარსკვლავი ეკეთა.

- აი, თქვენ, ესიფ ვისარიონიჩ, უნდობლობა გამოხატეთ ჩემი ნაცნობი გულკეთილი ქერა ქალისადმი, რომელსაც ცხვირი ჰქონდა შეღებილი.

ის მეგობრობს - თანაც ძალიან მაგრად - სიტყვის საუკეთესო ოსტატთან. მან კი თქვენს შესახებ სიტყვის სხვა ოსტატებზე უკეთა თქვა! მეც სიტყვა-სიტყვით დავიმახსოვრე და ჩემმა ნაცნობმაც. დღეს არა, მაგრამ ჩემი თანდასწრებით უთხარით ლაზარ მოისეევიჩს, მხარი დაუჭირეთ!

და მანაც დაუჭირა: ორდენი მისცა, სახალხო არტისტობაც...

- მაინც რა თქვა მან, ვლასიკ?

- მან თქვა, რომ... - ვლასიკი მოიჯღუნა.

- რა დაგემართა, უფროსო? - ვკითხე მე.

- ამერია, ესიფ ვისარიონიჩ...

- რა აგერია? - დავინტერესდი თუმცა თვითონვე მივხვდი: - ნაცვალსახელები აგერია?

- დიახ, მაგრამ გავერკვევი...

გარკვევისთვის ვლასიკს დიდი დრო დასჭირდა.

- ის, ესე იგი, ის პოეტი... მან თქვა, ისო, ესე იგი, თქვენ... არა, ეს არ უთქვამს! აი, სიტყვასიტყვით როგორ თქვა: "ის ჩემი ძვეყნის შვილიაო..." ესე იგი, თქვენ მისი ძვეყნის შვილი ყოფილხართ... სიტყვაში "ის" გგულისხმობთ თქვენ!

- ეს გავიგე. - ხმას ავუმაღლე. - და სულ ეს არის?

- არა, რასაკვირველია. ის ჩემი ქვეყნის შვილია და მშობლიური ღიმილით ხალხებს გულს უთბობსო, ბედნიერია ყველა ადამიანი, ვისაც მისთვის ხელი ჩამოურთმევია. მისი შურს უზარმაზარ, მაპატიეთ, მაღალი ზეცის თაღსაც კიო! - და ვლასიკის ქუდზე მიბნეული ვარსკვლავიდან [illegible] სხივმა თვალები კინაღამ დამიბრმავა.

- ვურღუნი?! - გავბრაზდი მე. - სამედ ვურღუნი?! ბაქოელი. ის პოეტი კი არა, ვაცია და შენი მეგობარი ქალიც ამიტომ ატორღიალებია!

საკუთარ თავს მივაყურადე: ფეხი ადარ მტკიოდა. სამაგიეროდ თავის ტკივილს ვგრძნობდი, თანაც უცნაურად: ტკივილი ტერფში იწყებოდა და რამდენადაც მაღლა მოიწევდა და თავს უახლოვდებოდა, უფრო მაგრად მიჭერდა. ზაფხულის აურზაურის შემდეგ თავში ნებისმიერი ტკივილის შეგრძნება მაშფოთებდა, მაგრამ ამჯერად თავი სიბრაზის გამო ამტკივდა და არა წნევის გამო.

საერთოდ ზამთრობით უფრო ხშირად მიწევს გაბრაზება. იქნებ ციმბირში გადასახლება მაგონდება უნებლიეთ. რაც უნდა იყოს, მთიელი კაცი ვარ. ამიტომ მითბობს სულს ყაზბეგის ფონზე გამოსახული მხედარი.

პაპიროსის კოლოფზე დაბეჭდილ მის სილუეტს თითი დავაკაკუნე და აზრი სხვა რამეზე იმით გადავიტანე, რომ გავიხსენე ის ფრაზა, რომელიც მითხრა "ამხანაგმა კინორეჟისორმა ჭიაურელმა": ერთი ფსიქიატრი თურმე პაციენტების ნორმალურობას უცნაური შეკითხვით იკვლევდა: "აი, ყაზბეგის მთის სიმაღლეა 5047 მეტრი. თქვენ ეს ნორმალურად მიგაჩნიათ?"

ალბათ, უნდა შევხვდე ამ ფსიქიატრს...

ვლასიკი დუმდა და უკვე ველარ ბედავდა ოფლით დაცვარული შუბლი მოეწმინდა. პატრუქს ჩავუწიე და პაუზის შემდეგ ვთქვი:

- "როგორც არავინ" თქვა მწერალმა ლეონოვმა. არც ის არის კარგი... რა თქვა?

ვლასიკი დუმდა.

- ლეონოვმა ასე თქვა: სამყაროს შექმნის შემდეგ ადამიანებმა დაიწყეს სამყაროს ასაკის აღრიცხვა. როგორც ყოველთვის, ებრაელებმა დაიწყესო. ლეონოვს ებრაელები არ უსსენებია. ამას მე ვამბობ. თავიანთთვის ანგარიშობდნენ, მანამ, სანამ მოძღვარი არ დაიბადაო. ლეონოვს არ უთქვამს. ამას მე ვამბობ. კიდევ ერთხელ გეკითხები, ვინ არის მოძღვარი, ვლასიკ?

ქრისტეს ხსენება რომ ვერ გაბედა, ვლასიკმა ქშენა დაიწყო.

ჩაიხითხითე და განვაგრძე:

- მართალი ხარ, - მოძღვარია ქრისტე. და ადამიანებმა სამყაროს ასაკის აღრიცხვა მისი დაბადების შემდეგ ხელახლა დაიწყეს. მაგრამ მწერალმა ლეონოვმა შემოგვთავაზა, ვლასიკ, ესეც დაგვევიწყებინა. და დღევანდელი დღიდან ისტორიის ასაკი ახლებურად გამოგვეთვალა. ვისი დაბადების დღიდან, ვლასიკ?

- ამხანაგი სტალინის! - გაეხარდა მას.

- შენ მისი გჯერა, ვლასიკ? გწამს მისი გულწრფელობა?

- მჯერა! - აფაცურდა ვლასიკი, თითქოს მის გულწრფელობაზე იყო საუბარი და არა ლეონოვისა. თუმცა მოგვიანებით ჭკუას მოუხმო. - თუმცა...

- მეც მჯერა, - თავი გავიქნიე. - მაგრამ საქმე ეს არ არის.

- არა? - შეშფოთდა ვლასიკი.

- არა. მე შენ სამუშაოდ მოგიხმე და არა სალაყბოდ. ქერა ქალი არა ვარ და ფეხიც მტკივა. გავალებ, ვლასიკ... ასეთი გვარი თუ გახსოვს?

- რომელი, ესიფ ვისარონიჩ?

- დამაცადე! პაპისმედაშვილი.

- დიახ, ამხანაგო სტალინ! მაიორი პაპისმედაშვილი, იგივე პაპისმედოვი! ვის შესახებაც ლავრენტი პალიჩმა შვიდ რიცხვში მოგახსენათ. ვახშმობისას. შვიდ ნოემბერს. ოქტომბრის აღსანიშნავ ვახშამზე. თქვენ იცინოდით და უცებ შეწყვიტეთ. ყველანი იცინოდნენ და ერთბაშად იმათაც შეწყვიტეს სიცილი.

- ყოჩაღ, ვლასიკ! მაიორი პაპისმედოვი, სწორია! კიდევ რას ეძახიან? - ვლასიკმა ჩაიხითხითა:

- იოსიკს. ისუსიკს. ქრისტეს.

- ისუსიკი მას მატრონამ შეარქვა.

- ზუსტად ასეა, ისუსიკი მას ამხანაგმა მალენკოვმა შეარქვა.

- ქრისტეს კი მაიორი თვითონ უწოდებს საკუთარ თავს, ხომ მართალია?

- ზუსტად ასეა. და აგრეთვე ლავრენტი პალიჩიც. მან თქვა, ეს მეცა მჯერაო.

- პროკურორს არაფრის და არავისი სჯერა. მაშინ უბრალოდ თქვა ეს. საქმე ის არის, რომ შენთვის დავალება მაქვს, თუმცა ჯერ სიტყვასიტყვით შეცახსენე, პროკურორმა მაშინ როგორ თქვა იოსიკ-ისუსიკის შესახებ.

კაპიტანი ზეგ მაიორი გახდა...

როგორც მოველოდი, ვლასიკი ამბავს ლავრენტივით გაბოროტებით ჰყვებოდა. ლავრენტი იმდენად თავგადაჯერებულია, კროსვორდსაც კი მელნით ავსებს. ამბავსაც ეშმაკურად ჰყვება: ჯერ მთავარს იტყვის, მერმე კი წვრილმანებს მიაყოლებს, რაც საქმისთვის საზიანოა: ეს ჩემი დასკვნებია, რომლებიც ფაქტებს ეყრდნობა. იგი მუდამ დედააზრით იწყებს, ეს კი საშიშია.

ვლასიკი კი მთავარსაც და წვრილმანებსაც ერთდროულად ჰყვება. ხეირიანად არც ერთშია გარკვეული და არც მეორეში. ხოლო თუ გარკვეულია, არ სჯერა, რომ გარკვეულია, მას არაფერი სჯერა. ათეისტიც კი ვერ გახდა, რადგან ათეისტს არ სჯერა ღვთის არსებობა. ამიტომ ვლასიკი არათუ მხოლოდ უაზროდ ჰყვება, არამედ რაღაცას მიედ - მოედება. არც ერთს და არც მეორეს არა აქვს უნარი, გაბოროტების გარეშე ისაუბროს. ამიტომ ამბავს თვითონ მოგიყვებით.

პაპისმედაშვილი თუ პაპისმედოვი ებრაული გვარია და მაიორი იოსიკი ანუ იოსები - ფეთჰაინში დაიბადა, თბილისის ებრაულ უბანში. იგი რევოლუციისა და მოძღვრის კბილა იყო, როცა მოძღვარი აწამეს. თავდაპირველად თბილისში სემიტურ ენებს სწავლობდა, მერმე მოსკოვში - ისტორიას.

ნიჭიერი კაცი იყო, საზრიანიც, და ჩეკისტი გახდა. თავიდან ცენტრში მუშაობდა და ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად ითვლებოდა ახალგაზრდებს შორის. 43 წლიდან კი ოკუპირებულ თეირანშია. იქ ცენტრის დავალებით დაუმეგობრდა ახალგაზრდა, მაგრამ გონებასუსტ შაჰს, მუჰამედ-რეზას, რომელსაც ამერიკელებიც უჭირდებოდნენ.

პაპისმედოვის გვარი მაშინ გავიგონე, როცა იმავე წელს, ნოემბერში, მოკავშირეებთან კონფერენციაზე ჩავედი.

გვარი ადრეც ნაცნობი იყო ჩემთვის. ბავშვობაში მე და დედას გვყავდა მეზობელი - დავით პაპისმედაშვილი. მეწვრილმანე ვაჭარი. მე მას შვილივით ვუყვარდი.

ვებრალებოდი, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ მამაჩემი ბევრს სვამდა, მეორეც - სმა არ შეეძლო, მესამე - ღვინოს არ სვამდა, რაც მთავარია, რომ ბუნებრივი სიკვდილით, არყით კი არ მომკვდარა, ჩხუბში დაიღუპა.

დავითი ხანდახან ფულსაც მჩუქნიდა, რათა სწავლასა და ღმერთს არ მოვწყვეტოდი, რამეთუ მღვდლობას მიპირებდნენ. მეც მიყვარდა იგი.

ამავე დროს იგი თავს ევლებოდა დედაჩემს, კეკეს, თუმცა ცოლიანი კი იყო. სადღაც ამოვიკითხე კიდეც, თითქოს დავითი ჩემი მამა იყო. სულიწმიდის გამოკლებით. ვის არ მეთხნევდნენ ჩემს მამად!

დავითის მამობაზე მას შემდეგ წავიკითხე, როცა იგი ოცდაოთხ წელს კრემლში მივიდე. კეკეს ვერასოდეს ვკითხავდი ამის თაობაზე, დავითს კი - ცოტა ადრე რომ წამეკითხა - აუცილებლად შევეკითხებოდი. გულწრფელი და პირდაპირი კაცი იყო: ქართველი ებრაელები რუს ებრაელებს არ ჰგვანან. ქართველები სხვა ტომისანი არიან, ისიც დაკარგული. მაგრამ მაინც სხვა.

ჩემთან რომ სტუმრობდა, მე და დავითმა მაშინ დავლიეთ. მე – ღვინო, მან კი არაყი, თუმცა მამაჩემი არყის გამო ებრალებოდა. ბევრიც ვიცინეთ. ძველი ამბები გაეიხსენეთ. სხვათა შორის, ვუთხარი, ვაჭრობას შეეშვი, რადგან იგი ადამიანის მოტყუებაა-მეთქი. არ დამეთანხმა: წვრილმანი ვაჭრობა მოტყუება არ არისო. მე ვუთხარი, წვრილმანი ვაჭრობა წვრილმანი მოტყუებაა. გადაცვლა კი არ არის, მოტყუებაა-მეთქი. და გაიხარა, რადგან ქართულად ვაჭრობა გაცვლა-გამოცვლას ნიშნავს.

მაგრამ მთავარი ეს არ არის: მას შემდეგ დავითის არაფერი გამიგია...

იოსიკ პაპისმედოვზე კი თეირანში მოვისმინე, როცა ლავრენტი ცდილობდა, დაეყოლიებინა რუზველტი: ჩემი ქალაქში გადაადგილება უფრო შეზღუდული რომ ყოფილიყო, მე კი არ უნდა დავბინავებულიყავი ამერიკელებთან, როგორც ისინი ითხოვდნენ, არამედ, პირიქით, ამერიკელები გადმოსულიყვნენ ჩვენს საელჩოში. საქმე ის კი არ არის, - ამიხსნა ლავრენტიმ, - რომ სტუმრებისათვის სათავსებიც კი "კეთილმოვაწყვე" საიდუმლო მიკროფონებითო. აქ მთავარი ფსიქოლოგიაა; ამ სამყაროში ან მასპინძელი უნდა იყო, ან, სამწუხაროდ, სტუმარი. ამას ისიც ემატებოდა, რომ ლავრენტი ამერიკელებს ჩემს თავს არ ანდობდა. თუმცა მათ მიმართ ცრუ რწმენა არ ჰქონია. როგორც სხვები ეჯავრებოდა, ისე ეჯავრებოდა ამერიკელებიც (არც მეტი, არც ნაკლები).

შევთავაზე, რუზველტს უთხარი, ვითომ მასავით მეც მეშინია და იმი არ მინდა. თქვენს საელჩოში რომ გადმოვიდეს, შეიძლება პოლიტიკური თავშესაფარი გთხოვოთ, ეს კი კონფუზი იქნება-თქო. ლავრენტი ჩაფიქრდა და მითხრა: ეს ხუმრობა ამერიკელებს რომ ავუხსნა, ნეიროქირურგის ჩარევაა საჭიროო.

- მაშ სერიოზულს რას მთავაზობ? - ვკითხე მე.

არავითარი შემოთავაზება საჭირო არაა. არის წინადადება, რომ რუზველტს განვუცხადოთ, სტალინი მზად არის, სტუმრად გეწვიოთ, თუკი მისი უსაფრთხოების გარანტიას იძლევით არა მხოლოდ საელჩოს ტერიტორიაზე, არამედ ამ ტერიტორი-

ისკენ მიმავალ გზაზეც. ხოლო შაჰის დაზვერვის მონაცემების თანახმად, მოსალოდნელია, გერმანელებმა ამ გზაზე სტალინს თავდასხმა მოუწყონ. უარეს შემთხვევაში მოკლავენ, უკეთესში – მოიტაცებენო.

ლავრენტი გვთავაზობდა, წერილი რუზველტისადმი დაგვემთავრებინა რიტორიკული შეკითხვით: რა ეშინდა ჰქნას სტალინმა უკეთეს შემთხვევაში, ანუ გერმანელთა ტყვეობაში?! მით უმეტეს ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში! ვანა გერმანელებისთვის საკმარისი არ არის, რომ მისი ვაჟი ჰყავთ ტყვედ?

- კარგი იდეაა, - დავეთანხმე მე, – ვინ არის ავტორი?

- შაჰის მეგობარი, კაპიტანი იოსიკ პაპისმედოვი, - თქვა ლავრენტიმ და დაუმატა, თუ რუზველტი ამ ანკესზე წამოეგება, კაპიტანი ხვალ მაიორი გახდებაო.

კაპიტანი მაიორი გახდა ზეგ, რადგანაც რუზველტმა საკენკი უცებ არ აკენკა: დაჟინებით მოითხოვა ჩვენთან დაგვებინავებინა მისი ფილიპინელი მზარეულებიც. რომ არა უცნაური უბედურება, მაიორი ახლა მხოლოდ პოდპოლკოვნიკი კი არ იქნებოდა, არამედ ორდენიც ექნებოდა.

თუმცა უბედურება დაიწყო, როგორც ჯადოსნური არაბული ზღაპარი ბედუინის შესახებ.

ეპისკოპოსი იერუსალიმში მარქსისტი იყო...

ბედუინი ჩვიდმეტი წლისა გახლდათ, მას მუჰამად ადდიბი ერქვა და ტახამრეხის ტომს ეკუთვნოდა. მოქმედება მიმდინარეობდა ორმოცდაშვიდში, მკვდარი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელ ყუმრანში. მუჰამადი ბიბლიური დროის მიწასთან გასწორებულ, ბარდებმოდებულ ნანგრევებზე თხებს მწყემსავდა. უფრო ზუსტად, თხები ბალახობდნენ, ბედუინი კი ქვაზე იჯდა და ნარგილეს გარეშე თვრებოდა.

იგი თვრებოდა ღია ყავისფერ, ოქროსფერ-მოყვითალო და იასამნისფერი უდაბნოს ცქერით. უდაბნო კი თავქვე ეშვებოდა, საოცრად ლურჯი ზღვისკენ, რომელსაც ვარდისფერი ზეცა დასცქეროდა და მარილის უსაშველოდ ქათქათა რიფებით იყო მოფენილი.

მიუხედავად სიყმაწვილისა, მუჰამადი გამოცდილი მწყემსი იყო. უცბიერესი თხაც ვერაფერს გამოაპარებდა მის გამჭრიახ თვალს. თუმცა სადამო ხანს ყველაზე სულელმა თხამ მოახერხა მისი გაცურება: არვეს ჩამოშორდა და მრავალიარუსიანი, თეთრი ქვითა და კირქვით დაფარული მაღლობისკენ გაუტია.

ამ რეგიონში ბიბლიური დროიდან მიაჩნდათ, რომ თუ ასი ცხვრიდან თუნდაც ერთი ჩამორჩებოდა ფარას, გულშემატკივარმა მწყემსმა მთელი ფარა უნდა მიატოვოს და გზადაკარგული გადაარჩინოს.

მუჰამადი სათუთი გულის მწყემსი იყო, ფარა მიატოვა და ოინბაზ ცხოველს გამოუდგა. თუმცა თხის ნაჯელადი თეთრ კლდეში ხახადაღებულ ხვრელს წააწყდა. ნამდვილად მღვიმეში შეიპარებოდაო, და ბედუინმა სიღრმეში ქვა შეაგდო, რათა თხა გარეთ გამოეტყუებინა. პასუხად თხის კიკინის მაგივრად ყრუ ხმა გაიგონა, თითქოს ჭურჭელი დაიმსხვრაო. ხვრელში შეძვრა და ძირს ჩახტა.

მღვიმის ფსკერზე თავის შიშველ ფეხებთან ბედუინმა დაინახა ფსკერზე მიმობნეული, სანახევროდ დამარხული თიხის ქოთნები. ზოგი მათგანი დამტვრეული იყო. ნამსხვრევებს შორის მუჰამადმა დაინახა ჯვალოს მოგრძო ფუთები.

სუნთქვა შეიკრა, თვალებადქცეული დიდხანს და უძრავად იდგა. როცა ბინდბუნდმა ჩასქელება იწყო, მუჰამადმა იდუმალი და მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების მოახლოება იგუმანა.

იმწამსვე ტერფებში იგრძნო მრავალსაუკუნოვანი ქვის საფარქვეშ მიმალული სიცივე. და უცებ მოეჩვენა, თითქოს სიცივემ მაღლა ამოცოცება დაიწყო. და - რაც უფრო შემზარავი იყო - თითქოს მიწა ისევე ისრუტავდა მას, როგორც ოდესღაც ეს ქოთნები შეესრუტა.

ჭაბუკი ადგილიდან მოწყდა და მღვიმიდან გამოვარდა...

მეორე დილასა და შემდგომ დღეებშიც ყუმრანელმა ბედუინებმა ქოთნებიდან ამოიღეს ებრაულად დაწერილი ათობით მჭიდროდ დახვეული გრაგნილი.

პალესტინიდან პანიკა მთელ ქვეყნიერებაზე ჯინის სისწრაფით გავრცელდა.

ცენტრმა გრაგნილების ამბავი მაშინვე შეიტყო. იერუსალიმში სირიის მონოფიზიტური ეკლესიის ერთ-ერთმა მარქსისტმა ეპისკოპოსმა მოსკოვს აცნობა, რომ ყუმრანში ნაპოვნი ებრაული გრაგნილები შესრულებულია დაახლოებით ორი ათასი წლის წინ უცნობი სექტის გადამწერლების მიერ. იგი ირწმუნებოდა, რომ გრაგნილები შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს იესოს ცხოვრებაზე.

სასულიერო ცხოვრების საიდუმლოებებში ჩახედულ გადამწერთა ეს სექტა ათი ათასობით იუდეველთან ერთად რომაელებმა გაანადგურეს ებრაელთა აჯანყების დროს. თურმე ებრაელები სამოცდაექვსში აჯანყებულან!

დაღუპვამდე გადამწერლებს გრაგნილები თიხის ქოთნებში ნაუწყვიათ, ზემოდან გამდნარი ტყვია დაუსხამთ და ახლო-

მდებარე კლდოვან გორაკებში შთამომავლობისთვის გადაუმალავთ.

მარქსისტი ეპისკოპოსის ამ წერილზე ცენტრს თავდაპირველად არავითარი რეაქცია არ მოუხდენია. ლავრენტი ფიქრობდა, რომ ვაშინგტონისა და ლონდონის სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული თანამედროვე [illegible] წერილების ოპუსები უფრო საინტერესო იყო, ვინემ [illegible] მდვიმეში მოპოვებული გრაგნილებიო.

მით უფრო, რომ მშიერ-მწყურვალი სექტანტები მდვიმეთა სიგრილეში მხოლოდ თავიანთ ნაწერებს ინახავდნენ, წერით კი, ალბათ, მზის გულზე წერდნენ. ხოლო მკვდარი ზღვის მიდამოებში წელიწადში ცხრა თვეს დამხრუკავი მზე აჭერს. დანარჩენ სამ თვეს კი ნამდვილი პაპანაქებაა...

თუმცა ნახევარი წლის შემდეგ კიდევ ერთი ცნობა მიულიათ: ყუმრანში მთელი დასავლეთიდან ჩამოვიდნენ მეცნიერები, არქეოლოგები და ჯაშუშები. აღმოჩენილია ახალი მდვიმეები, მათში კი - გრაგნილები, რომელთა ფასიც შავ ბაზარზე ყოველ საათში მატულობს და უკვე ასი ათასობით დოლარი ღირსო.

ცენტრმა ეპისკოპოსს დაავალა, უფრო დეტალური ანგარიში შეედგინა. იმის მაგიერ, რომ დავალება შეესრულებინა, ეპისკოპოსი გარდაიცვალა. თუმცა ორიოდე თვის შემდეგ ლავრენტიმ, - თავად ეპისკოპოსის მიერ სამოთხიდან თუ ვინმე სხვის მიერ იერუსალიმის ჯოჯოხეთიდან გამოგზავნილი დაშიფრული პასუხი მიიღო, რომლის საზღაური უძილობით გადაიხადა. იმ დაშიფრულ წერილში ნათქვამი იყო, რომ ყუმრანის ერთ-ერთი გრაგნილი არის არა პერგამენტი, არამედ სპილენძის ლენტი. და ამ ლენტში აღწერილია უზარმაზარი განძი. 65 ტონა ვერცხლი, 26 ტონა ოქრო. ეს იერუსალიმის მეორე ტაძრის საუნჯე ყოფილიყო. საგანძური იქიდან ებრაელებს გაუტანიათ და მი\'ა\'ში ჩაუფლავთ რომის იმპერატორ ვესპასიანე ფლავიუსის მიერ მარადიული ქალაქის ალყაში მოქცევამდე.

ვესპასიანეს ჰყავდა შვილი - ტიტუსი. ისიც ფლავიუსი. და ისიც მიზანმიმართული კაცი. დიდად განსხვავებული ჩემი ვასიასაგან. ალყის დროს უფროსი ფლავიუსი მოულოდნელად იძულებული გამხდარა ღმერთად ქცეულიყო და თუმცა გარდაიცვალა, მისმა ვაჟიშვილმა წარმატებით გაასრულა წინაპრის საქმე და მარადიული ქალაქი დაანგრია.

როცა გაიგო, ებრაელებმა ტაძრის საგანძური გადამალესო, ქალაქი ფერფლად აქცია. მის ადგილას, ჩემი ვასია შეყოყმანდებოდა და აქაურ ბოზებთან ერთად ღრეობას მიეცემოდა.

თუმცა საუბარი ახლა მას არ ეხება და არც ფლავიუსებს. საგანძურზე ვსაუბრობთ.

დაშიფრული წერილის თანახმად, ინგლისელები, ბელგიელები, იტალიელები და ამერიკელები, - თუმცა განაგრძობენ სპილენძის გრაგნილის ტექსტის შესწავლას, - კი არ ყოყმანობენ და სვამენ, არამედ გათხრებს იწყებენ.

მომავალი დაკეტილია რემონტის გამო...

პალესტინაში ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა, ომი მძვინვარებდა.

ებრაელები - მე მათ თანავუგრძნობდი - თავიანთი სახელმწიფოსთვის ბრძოლაში იმორჩილებდნენ არაბებს, რომლებსაც მხარს უჭერდნენ იქვე ებრაელების მიერვე უკვე დამორჩილებული ინგლისელები. ინგლისელები ტრადიციების ერთგული ხალხია. მათი ერთ-ერთი ტრადიცია - აბსურდის ერთგულებაა. ამ ტრადიციის ზეგავლენით ინგლისელები ბრაზობდნენ არა მარტო ებრაელებზე მათი იუდოფილობისათვის, არამედ ჩემზეც. იმავე მიზეზით.

ჩემი იუდოფილობის გამო მე მათთან ჩერჩილმა დამაბეზღა.

როგორც წესი, იგი გაოცებას ხმაურით გამოხატავდა. მაგრამ ორმოცდახუთი წლის ზამთარში ხმა ვერ ამოიღო. ყბა ჩამოუვარდა და მოკიდებული სიგარა უკულმა იტუცა პირში.

ეს მას შემდეგ მოხდა, როცა რუზველტმა გამოგვიცხადა, ნაცისტების სიმხეცის ფონზე თავი სიონისტად მიმაჩნიაო, და მეც რომ დავუმატე, თავი თვითონაც სიონისტად მიმაჩნია ანუ ებრაელებს თანავუგრძნობ-მეთქი ვინაიდან საკუთარი სახელმწიფოსთვის იბრძვიან პალესტინაში, რომელიც ინგლისელებს თავისი საკუთრება ჰგონიათ-მეთქი, ჩერჩილი სიგარაზე გაბრაზდა, გაწითლდა და დაიწყო ადგილის ძებნა, სადაც შეიძლებოდა სიგარის გადაგდება. ეს ამბავი იალტაში მოხდა და ჩერჩილს შევთავაზე, ნუ გადააგდებ ძვირფას პროდუქტს, შავ ზღვაში ჩააქრე-მეთქი.

ინგლისელები ხომ ტრადიციებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ღალატობენ. წუწურაქობის ტრადიციასაც. განსაკუთრებით ახალი დანაკარგების კარიბჭესთან.

ჩერჩილი მიმოხვდა და ჩაიბურტყუნა, ბრიტანეთი ძლიერ პოზიციებს პალესტინაში სამუდამოდ შეინარჩუნებსო. სამ წელიწადს გაამართლა თავისი სიტყვა, შესაბამისად ორმოცდაშვიდამდე ჩვენც ვარიდებდით თავს ხიფათს. ამიტომ იერუსალიმიდან დაშიფრული წერილის მიღებისთანავე ლავრენტიმ იქ "სეისმოლოგების" მხოლოდ მცირე რაზმი გაგზავნა. ცხადია, ცენტრი ამ რაზმის გაგზავნით არ დაკმაყოფილებულა.

მთავარი პრობლემა, რომელსაც, ცნობათა თანახმად, დასავლეთელმა მეცნიერებმა თავი ვერ გაართვეს, გრაგნილების ენა იყო.

პრობლემას მარცვლის ქარაგმულობა წარმოადგენდა. უფრო ზუსტად ტექსტის გაგების ერთადერთი და ზუსტი გასაღების პოვნა. გასაღები - ეს უცებ გახდა თვალსახინო - აუარება იყო ყოველი მათგანი გვთავაზობდა განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას. თუმცა ვარაუდობდნენ, რომ სწორი აღმოჩნდებოდა მხოლოდ ერთი. ეს მოსაზრება განმტკიცდა მას შემდეგ, რაც გრაგნილი ამოიღეს განძის აღწერილი ადგილსამყოფელიდან. ცენტრს მხოლოდ სპილენძის გრაგნილი აინტერესებდა. სხვა არაფერი. მაგრამ გრაგნილი უფრო ძლიერ აინტერესებდა, ვინემ ირანის ახალგაზრდა მონარქის აღზრდა-გარდაქმნა პროლეტარიატისადმი სიმპათიის სულისკვეთებით. შაჰის გარდაქმნის ამოცანას სწორედ მაიორმა პაპისმედოვმა თითქოსდა გაართვა თავი. ჯერჯერობით ერთი რამ არ გამოსდიოდა. - ვერა და ვერ შთაუნერგა ფუფუნებისა და ფრანგი ქალებისადმი სიძულვილი.

ასე იყო თუ ისე, პაპისმედოვი იძულებული გახდა, ეს ბრწყინვალე პამპულა მიეტოვებინა და თეირანიდან გამგზავრებულიყო, ყუმრანთან უფრო ახლოს, იერუსალიმში.

პალესტინაში მას ხელსაყრელი პირობები ელოდებოდა, პირველ რიგში, ეს იყო ებრაელი ბოევიკების პროსაბჭოური სიმპათიები. მეორე, მისი პირადი ირანული კავშირები. მესამეც, მარქსიზმისადმი მიდრეკილი მონოფიზიტების ყურადღება. შედეგად პაპისმედოვმა მოიხელთა სპილენძის "ზედმეტი" გრაგნილი.

ცენტრის ენთუზიაზმს ის ფაქტი კვებავდა, რომ ამერიკელები და ინგლისელები იერუსალიმის შემოგარენის გათხრებს ერთბაშად ოთხ წერტილში შეუდგნენ. ეს იმის დასტური იყო, რომ ისინი ტექსტის სწორ გაგებაში დაეჭვებული იყვნენ.

თავდაპირველად იოსიკ პაპისმედოვმა დრო დაუთმო საქმეში ჩართულ ბურჟუაზიელ ლინგვისტებთან შეხვედრას, როგორც თვით პალესტინაში, ასევე ევროპაშიც. ის მათ შაჰის კონსულტანტად აცნობდა თავს. მათთან საუბრებით პაპისმედოვი მიხვდა, რომ მცდარი გზით მიბოდიალობდნენ.

ამით კი იოსიკმა არათუ აგვინაზღაურა დასავლეთთან ჩვენს მიერ წაგებული დრო, არამედ ყოველ საათში გვაწინაურებდა ერთადერთი სწორი გასაღების აღმოჩენისაკენ. რაც შეეხება დასავლეთს, მისთვის მომავლის კარზე, სადაც სარემონტო სამუშაოები სწარმოებდა, დაიკიდა მძიმე ბოქლომი. რომელსაც ამ გასაღების მოსარგები არავითარი ჭუჭრუტანა არ ჰქონდა.

თვენახევრის არაქათგამცლელი შრომისა და ხშირი უძილო ღამეების შემდეგ, იოსიკ პაპისმედოვმა "სეისმოლოგებს" მის მიერ შედგენილი რუკა გადასცა.

ხოლო კიდევ ორი დღის შემდეგ იერუსალიმიდან მოშორებით, რომლის შემოგარენშიც უკვე გუგუნებდნენ ამერიკელების მიერ ტრანსპორტირებული ექსკავატორები, მოთეთრო-ყავისფერი კლდოვანი გორაკის ძირას, რომელშიც მდგომარეობა მდებარეობდა, ჩვენმა "სეისმოლოგებმა" გათხრილი ტრანშეებიდან ოქროს პირველი თასებისა და შანდლების ამოღება დაიწყეს.

მიკერძოება ჩვეულებაზე უფრო საშიშია...

ცენტრი ზეიმობდა. მიუხედავად იმისა, რომ იოსიკის რუკის თანახმად, ებრაელებს - რაც მათგან მოსალოდნელიც იყო - განძი ათიოდე სამალავში გადაენაწილებინათ, გამორიცხული არ გახლდათ, რომ წარმატებისთვის დასავლეთსაც მიეღწია. მაგრამ ისიც ჩვენსაკით დუმდა. ისეთ გამომეტყველებას იღებდა, თითქოს ძვირად ღირებული ლითონის მთელი განძი ძველ ებრაელებს თან წაეღოთ.

ბერია ამაყობდა იოსიკით. მას ისე ეყრდნობოდა, როგორც ქართული მიწის განსაკუთრებული სიუხვის ახალ დადასტურებას.

ლავრენტი ძალზე მიკერძოებული გახდა ამ ფორმულისადმი - "ქართული მიწა", როგორც ტროცკი "მსოფლიო რევოლუციისადმი". თუმცა ლავრენტის სიტყვას მუდამ საქმე მოსდევდა. ხანდახან - წამგებიანიც.

ომის შემდეგ ყველას ყურები გამოუჭედა " ქართულ მიწაზე" საუბრით ნეიტრალურ მხარეებში. მიქოიანი შიშობდა, რომ ბერია სომხებს გულისხმობდა. მაგრამ სომხეთი ლავრენტის არ მიაჩნდა ნეიტრალურად. მტრულ ქვეყნად მიაჩნდა. იგი თურქეთს გულისხმობდა.

და მუდამ თურქეთზე ჩაგვჩიჩინებდა, სანამ მოლოტოვმა სტამბულს არ მოსთხოვა, აღმოსავლეთ ანატოლიაში მდებარე ქართული მიწები საქართველოს დაუბრუნეო. თურქები დაფრთხნენ, მაგრამ მიწების დაბრუნებას ვაშინგტონთან მეგობრობა არჩიეს.

მას შემდეგ ლავრენტის ავუკრძალე "ქართული მიწის" ძებნა ნეიტრალურ ქვეყნებში. რომ არ გაგვეფუჭებინა ურთიერთობა, მაგალითად, ინდოეთთან ან შვეიცარიასთან.

თუმცა, ცხადია, ჩვენ ყველანი ზოგ სიტყვას ხშირად ვიყენებთ, ზოგს - იშვიათად. მაგალითად, მე მიყვარს გამოთქმა "როგორც ცნობილია" ან "შემთხვევითი როდია". და არასოდეს წარმოვთქვამ სიტყვას "დელფინი". მთავარია, რომ ჩვეულება

მიკერძოებაში არ გადაიზარდოს. მიკერძოება ჩვეულებაზე უფრო საშიშია.

ერთი სიტყვით, ნათესავთა წრეში დასასვენებლად ქართულ მიწაზე დაბრუნებამდე ცენტრმა მადლიერების ნიშნად პაპისმედოვს შესთავაზა, ორიოდე კვირით შაჰის გადამდგარი საყვარლების წრეში გასართობად კანში გამგზავრებულიყო.

სხვათა შორის, მანამდე არც თუ დიდი ხნის წინ, გადაწყვეტილი გვქონდა, შაჰზე ხელი ჩაგვექნია იმ მიზეზით, რომ მორალურად უპერსპექტივო იყო. ლავრენტიმ გადაწყვიტა, უცებ მოეხდინა შაჰის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის სტაბილიზება სქესობრივი ურთიერთობის მეშვეობით: ყოფილი მოსკოველი ქალებიდან რომელიმე შეერჩია და, თუ გაამართლებდა, ცოლადაც გაეყოლებინა მისთვის.

შემდგომში სწორედ ასე გამოვიდა. ქალიშვილს სორეია ერქვა. ყმაწვილი ქალი იყო, მაგრამ, ბერიას სიტყვით, ძალზე მარჯვე ეინმე გახლდათ. შაჰს თავბრუ მანამდე დაეხვა, სანამ სორეია მოახერხებდა, მოეჩვენებინა, ქალწულობა გვირგვინოსანს შევწირეო.

სპარსელებთან ლავრენტის კარგად გამოსდის. თურქებთან უარესადაა საქმე. არაბებთან კიდევ უფრო უარესად.

რაც შეეხება მუჰამედ რეზას, მისთვის ცოლის შერთვის იდეასთან დაკავშირებით ლავრენტიმ იმიტომ იჩქარა, რომ გადაწყვიტა, იოსიკი ცენტრში უმაღლეს თანამდებობაზე დაებრუნებინა, ორდენით დაეჯილდოებინა და პოდპოლკოვნიკობა მიენიჭებინა.

თანამდებობის საკითხის გადაწყვეტაში არ ჩავერეოდი, მაგრამ ორდენით დაჯილდოების იდეას მხარს დავუჭერდი.

იოსიკმა უარი განაცხადა შეთავაზებაზე, კანში ხელოვნების მუშაკებთან შესახვედრად გამგზავრებულიყო, მერმე კი თბილისში ნათესავებს შეხვედროდა, და ცენტრს სთხოვა, ნება მომეცით, პალესტინაში დავრჩე და დანარჩენ გრაგნილებზე მუშაობა განვაგრძოო.

ამის მიზეზად თავისი ინტუიცია დაასახელა. გული მეუბნება, რომ სკანდალური აღმოჩენის წინაშე ვდგავარ, რომელსაც შეუძლია ქვეყანას ჯერ არ გაგონილი ძალის იდეოლოგიური ბომბი ჩაუგდოს ხელში.

"რით იქნება ის ბომბი დატენილი"? - დაინტერესდა ცენტრი.

"ინფორმაციით მოძღვრის შესახებ", - იყო პასუხი.

თავდაპირველად ლავრენტი შეშფოთდა. თუმცა იოსიკმა დააზუსტა, რომ ქრისტეს გულისხმობდა.

რომც არ დაეზუსტებინა, ლავრენტი მაინც დართავდა ნებას. რომანტიზმის გამო იმაზეც კი ოცნებობს, რაზეც ფიქრსაც ვერ გაბედავს. იგი ფრთხილი რომანტიკოსია, ამიტ-

ომ პაპისმედოვს მიუთითა, ბომბზე მხოლოდ ერთი თვე იმუშავეო.

სამწუხაროდ, მაიორს უბედურება სწორედ იმ დღეს შეემთხვა, თვე რომ გავიდა.

...პალესტინური ოპერაციის უფროსი მუსულმანი იყო. ... პოლკოვნიკი სასმელს არ ეკარებოდა. სხვა შემთხვევაში ... ჩვენებებს სიფხიზლის ნაყოფად არავინ მიიჩნევდა.

იგი ამტკიცებდა, თანაც წერილობით, - იმ დღეს ყუმრანში ინათა თუ არა, თავსხმა წვიმა კი არ წამოვიდა, ძალიან ნელა, ჩუმი ჩურჩულივით გაწვიმდაო.

თითქოს მარადიული წვიმა იყოო.

და რომ სივრცეში მაგარი ძაფებივით დაკიდული წყალი თითქოს წვიმის წყალი კი არ ყოფილა, არამედ ისეთი, ნათლისღების წყალს რომ ეძახიან.

და წვიმა კი არ ვარდებოდა, ან ალმაცერად კი არ მოდიოდა, არამედ პირდაპირ მოდიოდა, მთლიანი ვერტიკალური მანებივით ეშვებოდა უფერულ ცასა და ასევე უეცრად ფერებდაკარგულ უდაბნოს შორის.

პოლკოვნიკს იმის თქმა უნდოდა, ამინდი გაფრთხილებას ჰგავდაო.

თუმცა რომანტიკოსია, ლავრენტის მიაჩნია, ყველაზე ფხიზელი ადამიანის ჩვენებაც კი იმით არის განპირობებული, რომ ყოველი ადამიანი მთხრობელია, რომ ადამიანები უთვალავი მოთხრობის გარემოცვაში ცხოვრობენ და ყველაფერს მონათხრობის პრიზმაში ხედავენ.

მისი აზრით, ადამიანები თავიანთ ცხოვრებასაც ისე აგებენ, თითქოს ამბავს ჰყვებიანო. ამას გარდა, ხაზი გაუსვა ბერიამ, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მკვდარ ზღვაზე მზე უსაშველოდ მხურვალეა, წვიმა კი იშვიათად მოდის...

ასე იყო თუ ისე, პოლკოვნიკის ნაამბობის თანახმად, იოსიკ პაპისმედოვი ზუსტად შუადღისას გამოსულა თავისი ბრეზენტის კარვიდან, რომელიც ყუმრანის გრაგნილების ასლებით ყოფილა სავსე. ერთხანს წვიმაში მდგარა და თავით ფეხამდე რომ გალუმპულა, შესულა პოლკოვნიკთან.

უცნაურად გამოიყურებოდაო.

პოლკოვნიკს უცნაურად ჩვენებია მისი თხოვნაც, ცენტრს ტელეგრამა გაუგზავნე, ყველაფერი მზად მაქვსო.

შემდეგ იოსიკს მისთვის აგრეთვე ერთი უცნაური განცხადებით მიუმართავს: "მე შენ მომწონხარ და, როგორც მეჩვენება, შენც გრცხვენია, რომ ჩვენ სხვის განძს ყაჩაღურად ვიტაცებთ. თუ რომელიმე ჩვენგანი ცენტრში დაბრუნებამდე დაიღუპება, მე არავის ვეტყვი, რომ შენ გრცხვენოდა. ახლა კი მე ისევ წავედი".

"სად წახვედი?" - უკითხავს პოლკოვნიკს.

"იქით, - თავით თეთრ-მოყავისფრო გორაკისკენ უნიშნებია მაიორს. - ყოველთვის, როცა იქ ავდივარ, ვხვდები იმას, ვინც იქ არ იმყოფება. არც გუშინ ყოფილა. ნეტავი ადგილს გაეცლებოდეს იქაურობას!"

"ცუდად ხომ არა ხარ?" - შეშფოთებულა პოლკოვნიკი.

"პირიქით, კარგად ვარ! - უპასუხნია მაიორს. - ისეთი განწყობა მაქვს, თითქოს ჩემი სხეულის სხვადასხვა ნაწილებს ერთი კი არა, არამედ რამდენიმე ცენტრი მართავს".

და გარეთ გასულა.

საღამოს, როგორც კი წვიმას გადაულია, იოსიკი გორაკიდან დაბლა ჩამოსულა. როგორც თავის მოხსენებით ბარათში ირწმუნებოდა, რომელიც პოლკოვნიკს სარანჩის ნაკბენისგან გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე შეედგინა, მაიორი მის მიღმა დიდხანს იცქირებოდა თურმე მკვდარი ზღვისკენ, ბოლოს კი უთქვამს:

"ის უკვე წასულა იქიდან. მე კი აქ დავბრუნდი. აი, ჩემი საბუთიც: მე უკვე აქა ვარ!"

"ვინ?" - ფრთხილად უკითხავს პოლკოვნიკს.

"მე, - მიუგია იოსიკს. - იშუა! მოძღვარი! მესია"!

"უფრო ზუსტად?" - ჩაძიებია აწ გარდაცვლილი პოლკოვნიკი.

იოსიკს მკვდარი ზღვისთვის მზერა არ მოუწყვეტია:

"მე! იესო ქრისტე!"

მეორე დილას ორ "სეისმოლოგს" მაიორი იერუსალიმს წაუყვანია. იქიდან სტამბულის გავლით მოსკოვში ჩამოსულან.

ცენტრმა იჩქარა იმის შიშით, განძის ოპერაცია არ ჩაგეშალოსო. მისი აზრით, იოსიკს უკვე თამამად შეეძლო, ნებისმიერისთვის ეთქვა, რომ ქრისტე იყო. უარესი ის გახლდათ, რომ ყუმრანის ტექსტების გასაღები ცენტრს ხელთ ჰქონდა.

პაპისმედოვთან შსს საავადმყოფოს ფსიქოლოგიურ განყოფილებაში პირველივე გასაუბრების შემდეგ ლავრენტი ექიმებს არ დაეთანხმა. არა, თქვა მან, მაიორს სულაც არ გაუფრენია და მკურნალობაც არ სჭირდებაო, რა მაიორიც იყო, იმ მაიორად დარჩაო.

სხვა სიტყვებით, მისთვის პოლკოვნიკის ხარისხის მინიჭება შემდგომისთვის გადაიდება და ჩვენ უკეთესი დროის დადგომამდე იძულებული ვიქნებით, მისდამი ისეთი დამოკუდებულება ვიქონიოთ, როგორც თანამშრომელთან, ვისთვისაც მომავალი უკან დარჩაო...

ჩვენ ყველანი გიჟებად ვიბადებით...

"როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?" - გაოცდა მგლენკოვი, როცა ლავრენტიმ ეს ამბავი გვიამბო. - როგორ შეიძლება, ერთი ადამიანი იყოს ორი, მით უფრო, თუ ამ ორიდან ერთი უკვე მკვდარია? - და ქალივით აკისკისდა ჩასვრილი.

მას ყველაფერი თეთრი ეცვა: კიტელიც, შარვალიც და ფეხსაცმელებიც... საწყენია, რომ, ამ მატრონას გარდა არავინ არის ისეთი, ჩემს შემდეგ ქვეყანას რომ უხელმძღვანელოს. ისიც საწყენია, რომ ლავრენტი რუსი არ არის. არარუსს უკვე აღარ მოითმენენ.

მეც, როგორც სამართლიანად გამახსენა ვლასიკმა, გამეცინა. იოსიკზე კი არა, მატრონაზე, გარშემო კი ყველანი ახარხარდნენ იოსიკზე.

სოლიდარობისათვის ლავრენტიმაც ჩაიხითხითა, მაგრამ შემდეგ მატრონას დაუწყო ახსნა-განმარტება, რომ ასეთი "რამ" სრულიად შესაძლებელია და ხდება კიდეც.

ლავრენტი ჭკვიანი კაცია! ამიტომ მასთან ურთიერთობისას ყველაფერს ვაკეთებ, რომ ამაში ეჭვი შეეპაროს. მაგრამ ამ დროს ვიღლები. რამეთუ საათში იგი ჩემთან უფრო მეტს სტუმრობს, ვინემ სხვები მთელი დღის განმავლობაში. მაგრამ ჭკვიანი კაცია და ამას თვითონაც ვერსად გაექცევა...

თუ ადამიანს წარმოსახვის უნარი აქვს, - აუხსნა მან მატრონუშკას, - ბრიყვს შეუძლია მიცვალებულად ან ღმერთად კი არა, პეპლადაც იქცეს. ერთმა ჩინელმა ფილოსოფოსმა წარმოიდგინა, რომ პეპელა იყო, და მას შემდეგ ვერასოდეს დაიჯერა, რომ პეპელა კი არა, ჩინელი ფილოსოფოსი იყო, რომელმაც თავი პეპლად წარმოიდგინა. და მე გადმომხედა. არ გავიცინე - სიცილი ჩავიხშე. და მაგიდასთან მძიმე პაუზა დამყარდა.

როგორც ყველა არაკი ან აფორიზმი, ვუთხარი ბოლოს ლავრენტის, ეს არაკი თუ აფორიზმი სინამდვილეს აბსოლუტურად არ შეესაბამება. ეს არაკი ან აფორიზმი შეიცავს ნახევარ ან ერთნახევარ სიმართლეს.

ამ სიტყვების შემდეგ პაუზა უფრო მძიმე გახდა...

არ მახსოვს, კიდევ რა ვთქვი იქიდან, რაც გავიფიქრე. გაფიქრებით კი ის გავიფიქრე, რომ ისეთები, როგორიც იოსიკია, გიჟებად მიაჩნიათ. მაგრამ ჭკუიდან გადასვლა ძნელია. გიჟი სულელი არ არის.

ადამიანი რომ გიჟდება, ჭკუას კი არ კარგავს, პირიქით, იმისგან თავისუფლდება, რასაც უჭკუობა ჰქვია. საჭირბოროტო საკითხების განსჯისაგან.

ჭკუა და გონება კლასიბრივი მტრები არიან. ჭკუა წარმოსახვის გარეშე არ არსებობს. ხოლო წარმოსახვა, განსჯისგან განსხვავებით, კეთილსისხლიანია. მაგრამ საქმე ის არის,

რომ ჩვენ ყველანი, რა სიხხლიც არ უნდა გვქონდეს, - გიჟებად ვიბადებით. მეფვეებიც და ყმებიც. ზოგიერთები - რევოლუციონერები და მხატვრები - გიჟებადვე რჩებიან. ყველას არ შეუძლია გიჟი იყოს. ადამიანი ბევრია, სული კი იმდენია, რამდენიც მუდამ არსებობდა, რამეთუ სული ღვთის ნაწილაკია, ღმერთი კი ერთი იყო და ამუამადაც ერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო რა არის სული, ძნელი ასახსნელია, თუმცა ყველამ, ვისაც იგი გააჩნია, ეს იცის. თუ ადამიანს სული არა აქვს, ის ვერც გაიგებს. ბევრს არა აქვს: ხალხი ახლა ძალიან ბევრია. მხოლოდ ნახევარი საუკუნის განმავლობაში დედამიწაზე დაიბადა და დაიღუპა იმაზე მეტი, ვინემ მთელი ისტორიის მანძილზე.

და მაინც ყველა ადამიანში - სანამ მასში ყველაფერს გონი დაიპყრობდეს, სული ასწრებს ყოფნას, რაზედაც ადამიანი თავის ბეჭედს ასვამს. მაგრამ ყოველი სული, ჩვენთან მოსვლამდე, სადღაც სხვაგან არის ნამყოფი, ამიტომ სულიანი ადამიანი არა მარტო ეს ადამიანია, არამედ კიდევ ვიღაცაა, კიდევ ვიღაცა და კიდევ ვიღაცა, უამრავი ნაირ-ნაირი ბეჭდიანია.

არც ერთი ეს ადამიანი და არც მის გარშემო მყოფნი არ იცნობენ ვინმეს ამ "კიდევ"-დან. მათი ხმა არც მას გაუგონია და არც სხვებს. ამიტომ არც მათ ეჩვენება საკუთარი თავი გიჟად და არც სხვებს, ის კი არადა, შეიძლება, თვითონაც და სხვებსაც მთლიან ადამიანად მიაჩნდეთ. რაც ბუნებაში არ არსებობს.

მე, მაგალითად, სულაც არა ვარ ერთიანი ადამიანი, სტალინი კი დავირქვი.

რისთვის?

იმისთვის, რომ ფოლადივით ერთიანი ვიყო. მართალია, ფოლადი მინარევებიანი მეტალია, მაინც ფოლადია, ის კი ჩემში მუდამ ჭარბობდა, ვინემ, მაგალითად, ქვა კამენევში. მასში ქვა კი არ სჭარბობდა, არამედ ის, რაც სინამდვილეში იყო - როზენფელდი.

მის ფონზე, ან იმავე ლეიბას ფონზე ბევრს, თვითონ მეც კი, თავი მიამიტად მეჩვენება. მაგრამ მე მიამიტი არა ვარ.

მტრები იგესლებიან, რომ მე მოკვდავი ვარ და ნახევრად ღმერთობას ვიჩემებ. ჩემი მოწაფეები ამტკიცებენ, ნახევრად ღმერთია და მოკვდაობას იჩემებსო. თუმცა ერთიცა და მეორეც ღმერთის ხელშია.

მამაზეციერს არასოდეს არავისთვის მიუცია დედამიწაზე იმდენი უფლება, რამდენიც მე. ამით მე ვალში ვარ არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ჩემი სულის წინაშეც, რომელიც, ალბათ, ოდესღაც ჩემთვის უცნობ ნახევრად ღმერთში ბუდობდა.

ისტორიას ჩვენ მხოლოდ უახლოესი დროიდან ვიცნობთ, წარღვნიდან. მაგრამ რა იყო და ვინ იყო, ვთქვათ, წარღვნამდე, არ ვიცით. არავის ჩაუწერია. იქნებ ჩაიწერეს კიდეც, მაგრამ შეიძლება გრაგნილები სადმე ყუმრანივით გამოქვაბულში დევს.

აი, მომავალში კი - როცა ჩემი სული ვიდაცაში ჩასახლდება - აუცილებლად მიხვდება - სტალინისა[illegible] ჩვენებიც მიხვდებიან. იმიტომ მიხვდებიან, რომ წარღვნის შემდეგ მე ყველაზე სახელმოხვეჭილი და ძლიერი ვარ იმათ შორის, ვისაც ეს სული უტარებია. ეს სული კი ჩემამდე ბევრ სხვა ვინმეს ედგა, ვისაც დღევანდელი ადამიანები არ იცნობენ.

ამიტომაც არავინ იცის, კიდევ ვინ ვიქნები, გარდა იმისა, რადაც ამ ადამიანებს მივაჩნივარ...

მათ კი მივაჩნივარ სტალინის სულის მქონე ადამიანად.

მათ ჰგონიათ, რომ მე სტალინი ვარ, მთლიანი, როგორც ქრისტე.

მაგრამ მე ჩემს თავზე არ გელაპარაკებით. მე იმაზე გელაპარაკებით, რომ როცა შენში იბუდებს სული, რომელიც ედგა ქრისტეს, ანუ იმ ადამიანს, რომელმაც მას სხვა ბეჭედი დაასვა და სხვა ხმა ჰქონდა, ყველასათვის ნაცნობი ხმა, - შენ გაშეშება გიპყრობს და დუნდები, რადგან შენში ჩქარდება ქრისტე.

იმის თქმა მინდა, რომ როცა შენში აღწევს ქრისტეში ნამყოფი სული, გაშეშება, მოდუნება გიპყრობს-მეთქი. და თუ აღიარებ, რომ შენ ახლა ქრისტე ხარ, ან გაუბედავად, მაგრამ როგორღაც მაინც ავლენ ამას, - გიუს ემსგავსები.

იოსიკი თუ გაიძვერა არ არის, - გაბედა. მართალია, საკმაოდ ჭკვიანია, რომ შერეკილის როლი ითამაშოს, მაგრამ გაიძვერობა რაში სჭირდება? ქრისტედ რომ არ ელიარებინა თავი, პოდპოლკოვნიკი გახდებოდა.

გაიძვერებს თუ ჯვრები იზიდავთ, ყოველ შემთხვევაში, ხისა არა, უფრო რკინისა. ორდენს კი შეპირებული ვიყავით.

მით უმეტეს ლავრენტის ნდობა შეიძლებოდა: გაიძვერა გაიძვერას არ ატყუებს.

მაშასადამე, მაიორი არ ცრუობს.

...შეშფოთებაზე ვლასიკს არაფერი უთქვამს. თვითონ გავიხსენე.

- ნიკოლაი სიდოროვიჩ, - მივმართე მე, როცა თხრობა დაამთავრა და კაბინა სპირტით გაჯერებული ნივრის სუნით აავსო, - იცი, სად არის დღეს იოსიკი?

- ვიცი, ესიფ ვისარიონიჩ! იქვეა, საგიუეში.

- განა პროკურორმა იქიდან არ გაათავისუფლა?

- ხომ გითხრათ, ექიმებმა არ მომცეს ნებაო.

გარშემო მიმოვიხედე.

ტყეს მივუყვებოდით. აქა-იქ ხის შენობები ჩნდებოდა. ყინვა ფანჯრებს ჭირხლავდა, მაგრამ მათში კიდევ ილანდებოდა

ყვითელი სინათლე. სოფლელებიც კი აღარ ჩქარობენ დაძინებას-მეთქი გავიფიქრე მე.

მერმე გამახსენდა, რომ შინ მისვლამდე სულ ცოტა დაგვრჩენოდა.

- ექიმები, ვლასიკ, ადამიანებს არა მხოლოდ ბორცს, სულსაც უნადგურებენ. აი, შენ ჩემი დავალება: მიტროხინთან გადაჯექი და ჩემთან მაიორის გარეშე არ დაბრუნდე.

კოლონა შეჩერდა, ვლასიკმა ქუდი ჩამოიფხატა, კარი გააღო და - გაუგებარი იყო რატომ - ხელი გარეთ გაჰყო. მერმე ისევ შემოჰყო, თავი დამიკრა და ავტომობილიდან გაგორდა.

შიშის გარეშე აღტაცება ძრება...

ყოველი ადამიანი გაკვირვებას თავისებურად გამოხატავს.

ლავრენტი - თუ ზის - სათესლე პარკს მიეტანება, ხელით მაღლა ამოსწევს. როცა გაოცება იპყრობს, ეჩვენება, საკვერცხეების ამოწევა დამავიწყდაო, და ხელს ისევ წაიღლებს.

მაიორის გამოჩენაზე მისი რეაქცია რომ წარმოვიდგინე, ჩამეცინა.

ლავრენტი ვარაუდობდა, რომ იოსიკს შვიდში ნავახშმევს გამოვიძახებდი, დილაუთენია.

მას ჰგონია, ერთნაირად ვაზროვნებთ. ამიტომ არ ეეჭვება, რომ ადამიანებს შორის ყველაზე ეშმაკად მიმაჩნია ის, ვინც დიდი ხანია აღარ არის. ანუ ქრისტე.

სხვა ადამიანებს, ებრაელებსაც კი, მისი აზრით, ჭკუით ვაჯობე. ახლა უნდა, მთავარს შეებასო.

ლავრენტის ეჩვენება, თითქოს მე საკუთარ თავს მეტ პატივს ვსცემდე, ვიდრე მოძღვარს. სიყვარული პატივისცემაში ერევა.

მას არააქაური სიბრძნე აკლია, თუმცა ფრინველივით თვალგამჭრიახია, არა მარტო სფერული მხედველობა აქვს, არამედ ჩუბინიცაა. არა მხოლოდ ხედავს სხვა ადამიანებზე უკეთ, არამედ შეუძლია, ნებისმიერი წერტილი ნებისმიერი სიმაღლიდან გამოაცალკევოს და ჭოგრიტივით თვალებთან მიიახლოვოს.

თუმცა ფრინველმა ამას იმით მიაღწია, რომ მის თავის ქალაში მთავარი ადგილი თვალებს უჭირავთ. ტვინი მათ შორის ისეა დაჭყლეტილი, როგორც ყველი მეგრულ ხაჭაპურში. ამიტომ ლავრენტი ვერასოდეს მიხვდება, ფრინველები ტყვეობაში უფრო მეტ ხანს რატომ ცოცხლობენ, ვინემ თავისუფლებაში.

ადამიანი ბრძენი ხდება მაშინ, როცა უკვე შეუძლია გაიგოს არა მხოლოდ ადამიანებისა. ლავრენტი კი ყველაფერს ადამიანის თვალით უყურებს.

ერთხელ, ბორჯომში ყოფნისას, ბერიამ მოიწადინა ბრძენ კაცად მოეჩვენებინა ჩემთვის თავი და შენიშნა, ის ტოტები, საიდანაც ჩიტები ფრინდებიან, ირხევიან და ადამიანებივით ფრთიან. ჩიტებს კი ამ დროს თავი მედიდურად უჭირავთო. მე ხმა არ გავეცი, ლავრენტიმ სწრაფადვე გაამართლა ჩიტები: სამაგიეროდ გაუგებარია, როგორ, მაგრამ აფრენა იციანო.

მაშინ კი ჩავერიე საუბარში: თუ ადამიანს სურს, არა მხოლოდ ყური მიუგდოს ჩიტებს, არამედ გაუგოს კიდეც მათ, სიჩუმის ნაწილად უნდა გადაიქცეს. როგორ ფრენენ ჩიტები, გასაგებია, მათ ამაში რწმენა, ანუ ფრთები ეხმარებათ-მეთქი.

თვალები ლამის გადმოუცვივდა: შენგან დიდი პოეტი დადგებოდაო. ასე დედაჩემმა იცოდა თქმა. დედაჩემი მარწმუნებდა, შენგან სამაგალითო მღვდელი დადგებოდაო. ბერიამ დედაჩემისგან გაიგო ისიც, რომ ბავშვობაში ვოცნებობდი, მასწავლებელი გავმხდარიყავი. დედა გაფრთხილებული მყავდა, ამის შესახებ არავის არაფერი უთხრა-მეთქი. მაგრამ მამაჩემი მართალი იყო: "შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს".

მამა ამას სულ ლუღლუღებდა, როცა კეკე სხვა მამაკაცებს აქებდა. და მამა მცემდა არა იმის გამო, რომ სვამდა, არამედ იმიტომ, რომ ბუშად მივაჩნდი.

ლავრენტიზე კი უფრო დიდი წარმოდგენისა იყო ვიდრე ჩემზე. კეკესთვის მე ვიყავი მხოლოდ "ოჯახის მღვდელი", თანაც ისეთი მღვდელი, საკუთარი სახლი რომ მიატოვა. ლავრენტი კი მთელ საქართველოს ხელმძღვანელობდა, დედაჩემს "დეიდა კეკეს" ეძახდა, ხელებს უკოცნიდა და მის გულს ინადირებდა.

ჰო, მართლა, ამ ბოლო დროს ნადიაც ისე თვალმოჭუტული მიცქეროდა, როგორც წინასწარმეტყველს საკუთარ ქვეყანაში, მაგრამ ნადიას მუცლის ქვემოთ ჭანჭიკი მაინც ჰქონდა საიმედოდ დამაგრებული, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ენაზეც ბოქლომი ედო.

მეორე მხრივ კი ყველა დედას - როგორიც არ უნდა იყოს იგი - შვილი სიცოცხლეს ურჩევნია. ეს კი ყურადსაღები რამ არის. მაგალითად, ნადია დუმდა, როცა მე მოძღვარს მეძახდნენ. მოძღვრად ის მიაჩნდა, ვისთანაც მდივნად მუშაობდა. ჩემ მიერ ღმერთად დანიშნული ილიჩი.

კეკე კი, პირიქით, ამტკიცებდა, რომ წარმატებით ვბაძავდი ნამდვილ ღმერთს. იესოს. და ლავრენტის მიერ ჩემზე და იესოზე დასმულ შეკითხვებს სიამოვნებით პასუხობდა. მას, ალბათ, სიამოვნებდა, რომ ლავრენტი არა მხოლოდ "დეიდა კეკეს", არამედ "ქალწულ მარიამსაც" ეძახდა...

Сталин - наша слава боевая,
Сталин - нашей юности полет.
С песнями борясь и побеждая,
Наш народ за Сталиным идет...

"Наш народ за Сталиным идет", - ჩამეცინა ნათქვამია, და კრილოვს ვუბრძანე, რადიო გამორთე-მეთქი.

- ამხანაგო სტალინ, - შეკრთა იგი და მოტრიალდა, - გენერალ-ლეიტენანტმა ვლასიკმა თქვენს ზეიმზე არ დამიშვა, ეს კი ლემეშევია! სხვათაშორის მე ის ახლახან ჰელსინკში გავიცანი. შეიძლება, ხმას დავუწევ?

- ჰელსინკში ვის ახლდი?

- დიდ თეატრს, ამხანაგო სტალინ.

- უცხოეთს დაუმიზნე?

- რას ბრძანებთ, ამხანაგო სტალინ?! ეს ხომ ჩემი პირველი გასვლა იყო... სოლისტებმა ბევრი არ დალიონო. საერთოდ, წესრიგი რომ დამეცვა.

- კეთილი. ხმას ჩაუწიე, ოღონდ წინ იყურე!

კრილოვი ძალიან ბედნიერი იყო. მე კი გავიზმორე და გამახსენდა, რომ, ჯერ ერთი, როგორც მთელი "ჩვენი ხალხი", კრილოვი ჩემით არა მარტო აღფრთოვანებული იყო, არამედ ეშინოდა კიდეც. მეორეც, სწორედ ამიტომ გულწრფელად იყო გახარებული.

მხოლოდ აღტაცების გამო, როგორც ოდესღაც მოძღვარს, მხოლოდ ისინი გამომყვებოდნენ, ვინც ჩემსავით აზროვნებს.

შიშის გამო მომყვებიან ყველანი და "იბრძვიან და იმარჯვებენ" კიდეც. აღტაცებისგან განსხვავებით, შიში მარადიულია. აზრები და რწმენა - ცვალებადი.

ამიტომ ნადიამ შემიძულა. მას ჩემი არ ეშინოდა. პირიქით, ცხოვრებაზე ზუსტად იმას ფიქრობდა, რასაც მე. უბრალოდ, აღტაცებული იყო ჩემით. ხოლო როცა სხვანაირად დაიწყო ფიქრი ჩემ მიმართ აღტაცებაც გაუქრა. და გასაგებია, მე კი არ გამომყვა, არამედ მიგანა.

გაუგებარი სხვა რამ არის, ბოლოს მოძღვარს ერთი მუჭა ხალხი შერჩა. კი მაგრამ როგორ მოხდა, რომ დღეს მას მთელი ხალხები ეფიცებიან ერთგულებას? თუმცა სიმართლის არსებობაში ეჭვიც კი ეპარებათ. არადა, სიმართლე არსებობს. მხოლოდ სიცრუეს ოგონებენ.

მაშ, როგორ მიაღწია ამას იესომ? სიმართლის არსებობა არ კმარა. ის ხალხს უნდა შთაუნერგო. ქვეყანა არასოდეს დაჩაგრულა სიმართლის არარსებობის გამო, იგი იჩაგრება იმის არცოდნის გამო, თუ როგორ დაიცვას სიმართლე სიცრუედ გადაქცევისაგან.

ქვეყანა სიმართლის ყოველწამიერი გაქრობით იჩაგრება. გაქრობის აცილება კი მხოლოდ შიშის საშუალებით

შეიძლება. ეტყობა, მოძღვარმა იცოდა მისი საიდუმლო რეცეპტები, - ჩემთვის ჯერჯერობით უცნობი.

ამიტომ ლავრენტიც მართალი იყო, როცა დაასკვნა, რომ ვახშმის შემდეგ, რომელზედაც გალეშილ ბელადებს ისუნის ამბავი აუწყა, მეორე დილით მე მაიორთან შეხვედრა მომწყურდა. ლავრენტი მე უკეთ მიცნობს, ვინემ ისინი - მიუხედავად - ერთმანეთს. ადამიანურად - მიუხედავად - ერთმანეთისა - ერთმანეთისა - ერთმანეთისა

და მაინც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ გერმანელთა პირველივე ბომბი იმ ჩაკარგულ-ჩაქამებულ უდაბნოს, ჩემი გულის იმ მცირე მოედნაზე დაეცემოდა, სადაც მოძღვრის ხსოვნა ბჟუტავდა, სადაც ოდესღაც ცოცხლობდა ღვთის რწმენა და ახლა ნაიარევად ქცეულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის ჩასვრილები?

ქრისტესა და ჩემგან განსხვავებით, ლავრენტის - პროფესიიდან გამომდინარე - მიაჩნია, რომ შიში ადამიანს კი არ აძლიერებს, არამედ, პირიქით, მასში ეჭვს ბადებს, თუმცა ჩემგან და მოძღვრისგან განსხვავებით, ეჭვებს სიკეთედ მიიჩნევს. ვისაც ყველაფერში ეჭვი ეპარება, მუდამ მართალიაო.

ამიტომაც ეჩვენებოდა ლავრენტის, რომ შარვლებში ჩასვრილ ბელადებს, ჩემი აღარ ჯეროდათ. ამაში ის მართალი იყო.

სხვა რამეში არ იყო მართალი. იფიქრა: ალბათ იმიტომ გაგვექცა, რომ გვაგრძნობინოს შიში დაობლებისა და მოახლოებული დასასრულისა, ხოლო შემდეგ – ეჭვიც, ხალხსაც კი აღარ დაუბრუნდები.

იმავე ბორჯომში, ომამდე, ლავრენტიმ ჩემი ქალიშვილი მუხლზე დაისვა და ისე, რომ ცალი თვალით მე შემომცქეროდა, უამბო, რომ ბრძენმა მეფე ივანემ ერთხელ უარი განაცხადა რუსეთის გადარჩენაზე. მანამდე უარობდა, სანამ შიშით თავზარდაცემული მისი ჩასვრილი თანამებრძოლები მუხლებზე არ დაეცნენ და ვედრება არ დაუწყეს, მოისხი მადლი და დაღუპვას გადაგვარჩინეო.

"რა არის ჩასვრილები"? - გაოცდა სვეტლანა. "ჩასვრილები, - გაიცინა ლავრენტიმ, - ის ბელადები არიან, რომლებიც კეთილ მეფეს მრისხანეს უწოდებდნენ". შემდეგ კი დაუმატა, რომ თუმცა ყველა შემთხვევა უნიკალურია, მაგრამ სხვა შემთხვევების მოგონებასაც იწვევენ.

ორმოცდაერთში მე მართლა ვფიქრობდი ივანეზე, ჯერ კიდევ აპრილში.

თუმცა ივანე, როგორც ყველა სხვა მეფე თავიანთი ჩასვრილებითურთ, მტრისგან იცავდა მხოლოდ ამ ჩასვრილებს, საკუთარ თავსა და მიწას. მე კი, მსგავსად მოძღვრისა, რომელიც მეფე არ ყოფილა, იდეაც უნდა გადამერჩინა.

ვერავითარი სიმართლე ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ იმათ შორის, ვინც ეს სიმართლე ირწმუნა, ჩასვრილებიც იქნებიან. ამიტომ სიმართლის რისკის ქვეშ დაყე-

ნებაზე იმ მიზნით, რომ თვითონვე მიმხვდარიყვნენ, თუ რა ფასეულობას წარმოადგენდნენ, მე უარი ვთქვი. რომც არ მეთქვა უარი, დღე-ღამეზე მეტს მაინც ვერ დავიმალებოდი, ივანეს დროს კი არც დიადი იდეები იყო და არც "მესერშმიტები". მესამე დილას, ლავრენტი რომ დამადგა თავზე, ტახტზე გალეშილი ვიწექი. თავი უხერხულად ავიღო, მზერა კედელზე გადაიტანა და დაინახა მგლების თავქვეშ დაკიდებული ჯვრები, რომლებითაც მე მთელი ღამის განმავლობაში გადავაჭრელე შპალერი. ლავრენტი დაიბნა. თვალებში შიში გაუკრთა.

მოეჩვენა, რომ მართლაც ყველანი გამეტებული მყავდა.

ომის შემდეგ ლავრენტის გამოვუტყდი, მაშინ შენი ნაბუშარი ქრისტეების გამო გამოვიბრუჟე-მეთქი.

არათუ მოძღვრის სული არ აღმოაჩნდა რომელიმეს, სკოლაც კი არ ჰქონდათ დამთავრებული. და ერთი სომხის გარდა, გვარად ტერ-პეტროსიანისა, არავინ იცოდა, რომ ქრისტე ებრაელი იყო.

თუმცა გამოირკვა, რომ ეს სომეხი მხოლოდ იმ ზომით ასაღებდა თავს მაცხოვრად, რა ზომითაც აპირებდა მის მხილებას. ამიტომაც იყო, რომ საგიჟეში ამოყო თავი.

ლავრენტის წინაშე არ მიღიარებია მთავარი. სმა იმის გამო დავიწყე, რომ მისი ქრისტეებიდან ვერც ერთი ვერ შევიცანი მოძღვრად და, სამწუხაროდ, როგორც ბავშვობაში, ვერც საკუთარ თავში აღმოვაჩინე იგი, სამაგიეროდ ისეთი შეგრძნება დამეუფლა სულში, თითქოს იქ რაღაცა რაღაცას ეხლართებოდა.

ჩემს თავშიც ვიპოვე განცდა, თითქოს იქ რაღაცა თავს იყრიდა სხვა რაღაცის გარშემო.

მას შემდეგ ეს შეგრძნება არ მიქრება...

მოშარდვა საკუთარი თავის და არისტოკრატის მაგივრად...

ჩემს მნიშვნელოვან ღირსებად მიმაჩნია ის, რომ შემიძლია ზუსტად იმდენი ვიფიქრო, რამდენსაც სიტუაცია მოითხოვს. აზრი ან სცენა შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, რაც იმაზეა დამოკიდებული, თავისდროულია იგი თუ არა.

თუ, ვთქვათ, ძილის წინ წარსულიდან ან მომავლიდან რომელიმე სურათი წარმომიდგება. მაგრამ მისი ბოლომდე ხილვა ვერ მოვასწარითო - ის უადგილო გახსენებაა.

თუ შესძელი მისი ხილვა, მაგრამ იმ ორმომდე, სადაც ძილია, კიდევ დიდხანს მოგიწევს ცოცვა - ესეც ისევე უადგილო გახსენებაა. შეუსაბამო გახსენება.

ასევეა გზასთან დაკავშირებითაც. დისტანცია დროა. და გამოცდილი გონება სივრცეს ზომავს წუთის სიზუსტით. იგი ირჩევს ფიქრს, რომელიც გზაზე არც უგრძესია [illegible] მოკლე...

სწორედ ამ დროს "ზის"-ი შედგა, კრილოვმა შესძახა:

- ამხანაგო სტალინ, უფროსი დიასახლისი მორბის მოსალოცად, ვალენტინა ისტომინა! - და მიმდებმა გამაყრუებელი ბასით დაიღრიალა:

Спасибо, великий учитель,
За счастье родимой земли!

წამოვიწიე და მუშტი მოვიქნიე, მაგრამ კრილოვის კეფას, ვერ მივწვდი.

ხმას მაშინვე ჩაუწია და უკანმოუხედავად ჩაილულლუღა:

- მაპატიეთ, ამხანაგო სტალინ! მე პირიქით - მოვედით - გამორთვა მინდოდა... მღელვარებისგან შეცდომით გადავატრიალე.

კვლავ გამახსენდა, რომ დღესასწაული იყო და მოვდუნდი:

- რამ აგალელვა? - და თითი ჩვენკენ სირბილით მომავალი ვალეჩკასაკენ გავიშვირე. - იმან? ვალენტინა ვასილევნამ?

- რას ბრძანებთ, ამხანაგო სტალინ! - შეძრწუნდა კრილოვი, მივხვდი, რომ ჩემსა და ვალეჩკაზე ჭორი მასაც გაეგონა. - როგორ შეიძლება?!

- რატომ არ შეიძლება? ცოლი გყავს?

- ცოლი მყავდა ამხანაგო სტალინ! - და შეყოყმანდა. - და კიდევ მეყოლება.

- წავიდა?

- არა, მიმატოვა.

- კიდევ გეყოლება. სხვაგვარად ჰელსინკში სამუშაოდ არ გაგიშვებენ. და არანაირი ცოლი უკვე აღარ მიგატოვებს, როცა ყაზბეგის პიკზე ახვალ. თუ წავა, შენც მასთან ერთად წადი, გასაგებია?

- დიახ, ამხანაგო სტალინ! - თავი დამიქნია კრილოვმა და ფარები გამორთო, ვალეჩკას თვალებს რომ უბრმავებდნენ.

პარმაღს ხაზგასმული სიმშვიდით ათოვდა, ფანტელები არ ირეოდნენ.

ფუსფუსებდნენ და ერთმანეთს ეხმიანებოდნენ ადამიანები. წინ მიმავალი მანქანებიდან და სახლიდან რომ გამოცვივდ-

ნენ. პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ ფიჭვზე ცოყვებიც კი აფუსფუსდნენ. მომეჩვენა, რომ არა მხოლოდ ის, ყველა ფიჭვი პატივისცემის გამომხატველ პოზაში განაბულიყო ახლა, როგორც ყოველთვის, არამედ გაწვართულიყვნენ და ხარ-ზეიმით, გოთური აღტყინებით მისჩერებოდნენ ზეცას.

როგორც იქნა მანქანიდან კრუსუნით გამოვიტანე ხეული, ვალეჩკა კარს გაშორდა, წამწამებიდან თოვლი ჩამოიფერთხა და სახეში მომაცქერდა.

გავულიმე. თვალები შუქით აუკიაფდა. უმალვე გაშალა ხელები, რომლებშიც ყვავილების თაიგული ეჭირა, კისერზე ჩამომეკიდა და, როგორც ყოველთვის, იასამნის სურნელი შემომაფრქვია:

- კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, იოსიფ ვისარიონოვიჩ, ჩვენო ძვირფასო! - და ტუჩებით მხარზე მომეკრა.

თავი უხერხულად ვიგრძენი, ფრთხილად ჩამოვიშორე. შევნიშნე, რომ ცრემლმოწოლილი თვალები დასიებოდა, მერმე თმიდან თოვლი ჩამოეუფერთხე, ყვავილები გამოვართვი და მიმოვიხედე.

თუმცა დანარჩენები მოშორებით იტკეპნებოდნენ, მანქანების ძრავები კი ღურღურს განაგრძობდნენ, მაინც თითქმის ჩურჩულით ვუთხარი:

- ტირილი კი, მაგალითად, რა საჭიროა? რას იფიქრებს ხალხი?

მისალების კარი საშინაო დაცვაში მომუშავე ლოზგაჩოვმა გამიღო. ისიც თითქმის ისევე ყარდა, როგორც ვლასიკი. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვლასიკს არყის სურნელი ნივრით ჰქონდა გაზავებული, ამას კი - ხახვით.

- ამხანაგო სტალინ, კიდევ ერთხელ გილოცავთ!

- რატომ არ მეკითხები, ვლასიკი სად გაქრაო? - მოვუჭერი მე.

- უკვე მოგვახსენეს, ამხანაგო სტალინ!

- ღმერთი იყოს თქვენი შემწე! - გულკეთილად დავლოცე მე. - ყველასი, ვისაც მოგახსენეს.

ლოზგაჩოვმა გაიხარა:

- ღმერთი გვიძღვნის ხვითოს, სამოთხეს ვქმნით თვითონ! - ვალეჩკამ და კარს უკან მდგომმა მატრონა ბუტუზოვამ ჩაიკისკისეს.

- მართალი ხარ, ლოზგაჩოვ, ღმერთი მშენებელი არ არის. უბრალოდ შემქმნელია. შენება უფრო ძნელია. ადამიანს შექმნაც ღმერთზე უკეთ შეუძლია. მაგალითად, პატიოსანი ადამიანის შექმნა ღმერთმა ვერ შეძლო, ადამიანმა კი - ყოჩაღ! პატიოსნად აქცია, - გავიღიმე მეც. - და საუკეთესო სახლებიც აუშენა!

- მოვეშვათ ღმერთს, ამხანაგო სტალინ! სამლოცველო-ეკლესია უკვე აღარ გვჭირდება, უსაქმურად ხეტიალი ვერ მოგვიტანს დიდებას! - ამჯერად ყველანი ახარხარდნენ.

დავაპირე, შევკამათებოდი, მაგრამ მატრონამ და ვალეჩკამ მაზარის სახელოებში ჩამავლეს ხელი და გახდაში მომეშველნენ. მე კი მიჩვეული ვარ, ყველაფერი თვითონ ვაკეთო.

- თქვენ მე რუზველტი ხომ არ გგონივართ? საპყარი ხომ არა ვარ.

- ღმერთმა დაგვიფაროს! - ჩაიბუტბუტეს ქალებმა, თუმცა თავისი მაინც არ დაიშალეს.

- და, მაგალითად, არც ჩერჩილი ვარ! - და თვითონვე გამეცინა. - ჰოდა, ეს ჩერჩილი... ვალენტინა ვასილევნას ახსოვს...

ვალეჩკამ ჩაიკისკისა და მე კიდევ ერთხელ განვუმარტე:

- მოიცა! ეს ჩერჩილი ისეთი არისტოკრატია, რომ შეეძლოს, მაპატიეთ და, თავის მაგივრად სხვას გაგზავნიდა მოსაშარდავადაც!

მატრონამ დაირცხვინა, ვალეჩკამ კი ჩაიფრუტუნა. მას ჩერჩილი არაერთხელ ჰყავდა ნანახი, რადგან ვალეჩკა თან დამყავდა ხოლმე ყველგან...

ალბათ, წარმოიდგინა, რა ძნელია მოშარდო საკუთრივ შენთვის და იმ სქელი არისტოკრატის მაგივრადაც, რომელიც ცისტერნობით ნთქავს სასმელს.

როცა ბოლოს და ბოლოს მაზარა გამხადეს, კიტელზე ორდენები და მედლები აწკრიალდნენ. ახლა, ამ გულუბრყვილო ადამიანების გარემოცვაში, ეს ორდენები განსაკუთრებულად სულელურ რკინის ნაჭრებად მეჩვენა:

- გოგოებო, თეატრში ყოფნა კარგია, მაგრამ შინ უკეთესია! შენ კი, ლოზგაჩოვ, - ხმას ავუმაღლე, - ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ. სკოლაში რომ ვსწავლობდი, ამ მკერდზე ეს ორდენი კი არა, ჯვარი მეკიდა. უბრალო ადამიანები, როგორიც მე და შენა ვართ, მაშინ თეატრში კი არა, ეკლესიაში დადიოდნენ და ქრისტეს პურს შესთხოვდნენ.

- ამხანაგო სტალინ! - არ ცხრებოდა ლოზგაჩოვი. - პურს ქრისტე კი არ გვაძლევს, კოლექტივი გვაჭმევს, გვასმევს! - მერმე ახარხარებულ ხალხს შესძახა: - დიდება დიდ სტალინს! ვაშა! ვაშა! - და წინკარში ნამდვილი ზეიმი დაიწყო.

არა ჰიმნები, სიტყვები, არიები და პა-დე-დე, როგორც დიდ თეატრში, არამედ ხმაურიანი, მხიარული და აღფრთოვანებული ჟრიამული აყრუებდა იქაურობას. ასე მაშინ ხდება ხოლმე, როცა უდარდელ და გულითად ადამიანებთან ერთად ატარებ დროს, თუმცა ბოლოს მაინც მიდიხარ იქ, სადაც ყველაზე

კარგად გრძნობ თავს. და სადაც არავინ არავის წინაშე არ პირფერობს, სადაც გაკვალული გზები ვერ მიგიყვანენ, რამეთუ ნამდვილ სიხარულთან მუდამ ახალ გზას მიჰყავხარ.

მატრონა ოთახში თავშეყრილ შოფრებსა და მცველებს შებოლილი ძეხვით, ქაშაყითა და ხონჩაზე დაწყობილი ღვეზლებით უმასპინძლდებოდა.

ვალეჩკა კი მათ ჭიქებში არაყს უსხამდა და წამისწამ მე შემომცქეროდა.

ძალებად მხოლოდ ფრანგი ძალები იბადებიან...

დასვენების უფლება მეც მქონდა.

მით უმეტეს, რომ, მიუხედავად საზეიმო ხმაურისა, მხურვალე ბურთულამ ჩემს მარჯვენა კოჭში ისევ დაიწყო დაცარვა და მაღლა ამოცოცება, ყელიან ფეხსაცმელში კი, პირიქით, თითები გამიშეშდა.

ყელიანი ფეხსაცმელი საიუბილეოდ ჩემდა დაუკითხავად შემიკერეს. მოსამსახურეებმა გაიხარეს, როცა მაიძულეს, თეატრში წასასვლელად ახალი ფეხსაცმელები ჩამეცვა, მაგრამ ვიცოდი, რომ გავიტანჯებოდი.

საამისოდ აუცილებელი არ არის, სტალინად დაიბადო, საკმარისია, ფეხებზე ამოღუნული თითები გქონდეს და იმ მეჩექმის ოჯახში იყო დაბადებული, რომელსაც შვილისთვის ტყავი არ ემეტებოდა და თექის ფეხსაცმლის ტარებას მიაჩვია.

ამ მხრივ ბედნიერი ბავშვობა მქონდა მანამ, სანამ დედაჩემის კეკეს ჩიჩინის შემდეგ მამამ ტყავის სანდლები არ შემიკერა. ამ სანდლებმა მომიშხამეს სასულიერო სასწავლებელში ჩარიცხვის სიხარული.

მთელი პირველი თვე, სანამ ფეხზე მომერგებოდა, სანდლები იმაზე არანაკლებ მაწამებდა, როგორც ჩვენი მოძღვარი გვიამბობდა, ქრისტე უწამებიათ რომაელ ცენტურიონებს, რომლებსაც აგრეთვე სცმიათ ტყავის სანდლები, რაც ამხეცებდათ თურმე.

მე კი ჩემმა სანდლებმა დამღუპეს. უკიდურეს შემთხვევაში, ფეხი დამიმახინჯეს.

მე ახლაც ვიცი სიმღერა. ბავშვობაში კი, სანამ თამბაქოს მოწევას დავიწყებდი, ზარივით ხმა მქონდა და საეკლესიო გუნდში ვმღერიდი. ითრდანეში უფლის ნათლობის დღეს ჩემი ეკლესიის წინ თავმოყრილი ხალხს დიდი სიხარით მომავალი

ფაიტონი შეეჯახა, რომელშიც გაგიუებული ცხენები ება. გაქცევა ყველამ მოასწრო, მე კი ბეწვზე გადავრჩი.

სანდლები რომ არ მცმოდა, თავს მეც ვუშველიდი. და ახლა ორივე ხელი ერთნაირი მექნებოდა.

კეკე ამას მამაჩემს აბრალებდა. თავის დასაცავად მამამ ორი ფრაზა წარმოთქვა. პირველით ცოლს [illegible] მე არ მკრულავ, შენთვის სიხარულს ფასი არა აქვსო, ხოლო როცა მაგინებ, სიამოვნებას გადაჩვეული ხარო.

მე კი ისეთი რამ მითხრა, რაც თვითონვე გავიფიქრე: "კეკეს ჰგონია, თითქოს განსხვავება სიმდიდრესა, ანუ ტყავის ფეხსაცმელსა, და სიღარიბეს, ანუ თექის ფეხსაცმელს შორის, ისეთივეა, როგორც სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის, მაგრამ, გახსოვდეს, ჯოჯოხეთია, როცა სამოთხეში ძალით შეგდენიან".

მე კი ვიჯექი დიდ თეატრში, მთელი ქვეყნის უმთავრეს ადგილას, მაგრამ ამ მაღალყელიანი ფეხსაცმლის გამო ასე მეგონა, ჯოჯოხეთში ვზივარ-მეთქი. მე რომ სხვა ბელადებივით, ყველაზე გამორჩეულ ადგილას არ ვმჯდარიყავი, ფეხსაცმელს გავიხდიდი. ახლა კი მსოფლიოს დასანახად ისღა დამრჩენოდა მეწამა და თავი მომეკატუნებინა, ვითომ სამოთხეში ვიმყოფებოდი...

...ერთადერთი არამსმელი ჩემს საშინაო დაცვაში არის ორლოვი. ამიტომ მის გარდა მამაკაცთაგან არავის შეუმჩნევია, რომ "საწოლ ოთახში" გავედი, უფრო სწორად, კაბინეტში, სადაც დივანი მედგა. მართალია, დივანი ტყავისაა და არა თექისა. ცალკე საწოლი ოთახი, როგორც ყველანაირი ფუფუნება, საზიანოა. იგი ანაწევრებს, აჩლუნგებს ადამიანს.

ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ დაძინება შეძლოს იქ, სადაც ფიქრობს. და, პირიქით, თუ ეს საქმიანობა ცალკე ოთახს მოითხოვს - უბედურებაა. მწერალმა შოუმ ერთხელ მითხრა - ტვინი გამძლე ორგანოაო. შეუძლია, დილას, როგორც კი თვალს გაახელ, სამუშაოზე მისვლამდე, იმუშაოს. მე კი ძილშიც ვმუშაობო...

ვალეჩკამ და მატრონა ბუტუზოვამ შენიშნეს, რომ მისაღებიდან გამოვედი, და უკან მომყვნენ. სასტუმრო ოთახი რომ გავიარე, დავითვალე, რომ სავახშმო მაგიდა თერთმეტ პერსონაზე იყო გაშლილი და ბუტუზოვას დავავალე, ჩემს პირდაპირ კიდევ ერთი პერსონისთვის გააწყეთ-მეთქი, სამეფო სერვიზი.

მატრონა უფრო დიდი ხანი მემსახურებოდა, ვიდრე ვალეჩკა, მაგრამ ვლასიკმა უფროს დიასახლისად მატრონა არ დანიშნა. უხეში ხმა აქვს და ამ უხეში ხმით თავს უფლებას აძლევდა, ზედმეტი შეკითხვები დაესვა.

- ბიჭოს, სამეფოო! სამეფო სერვიზი, იოსიფ ვისარიონოვიჩ, თქვენ უფრო მოგიხდებოდათ, როგორც იუბილარს! და საერ-

თოდ, ვისთვის გინდათ, თუ საიდუმლო არ არის? ნუთუ მეაოსთვის, ჩინეთის ბელადისთვის?

ზედმეტი შეკითხვის დასმის უფლება თავს ვალეჩკამაც მისცა:

- შენ, მოტია, ისეთს იტყვი რომ!... ჯერ ერთი, მეაო კი არა, არამედ ამხანაგი მაო, მეორეც, "ჩინელ ბელადს"! ჩვენი ფესვებ ვისარიონოვიჩი ქართველი რაინდია; სამეფო სერვიზი მან ფრანგი ქალბატონისთვის შეგვიკვეთა! - და თვალები მოჭუტა: - ხომ მართალია იოსიფ ბისარიონოვიჩ?! - ვალეჩკას ფრანგი ქალების უფრო ე'შინოდა, ვინემ ბალერინების. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბანკეტზე საფრანგეთის ელჩის ცოლს ვუთხარი, რომ ქალებად იბადებიან მხოლოდ ფრანგი ქალები, დანარჩენები ქალებად იქცევიან, ისიც, თუ გაუმართლათ-მეთქი.

სერვიზი, ვალეჩკა, ჩინელისთვის არ არის გათვალისწინებული, - გავუღიმე მე. - და არც ფრანგი ქალისთვის. რაც შემეხება მე, მატრონა პეტროვნა, მე იუბილარი ვარ და არა მეფე! პროლეტარი ვარ, მეჩექმის შვილი. ეს სამეფო სერვიზი კი მეფის მემკვიდრისთვისაა, რომელიც, მართალია, პროლეტარი გახდა, მერმე ღმერთად იქცა!

მატრონამ პირი დაალო. ვალეჩკასთვის კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ პარიზელი ქალბატონი აქ არაფერ შუაში იყო. კაბინეტისკენ მიმავალს უკან გამომყვა ბედნიერი.

ცოცხლებმა ასწიეთ ხელი...

კარი რომ მივხურე, პირველ ყოვლისა, საათს შევხედე. გახარებული მაღაროელის საზარდულთან მიმაგრებული საათი ანათებდა და წიკწიკებდა.

სტუმრების მოსვლამდე საათზე ნაკლები რჩებოდა. საწერ მაგიდასთან მიდგმული სავარძლისკენ წავდგი ნაბიჯი და ისე ჩავე'შვი, თითქოს შიგ წლობით უნდა დამეყო. მერმე თავი ბუხრისკენ გავიქნიე, რომელზედაც მაღაროელის ნათურიანი სტატუეტი იდგა.

- მე, მაგალითად, აქამდე ვერ გამიგია, რა ახარებს ამ ჭუჭყიან სამთოელს... ვერც ვალეჩკას გაუგია.

- ალბათ, ის უხარია, რომ რევმატიზმი არ აწუხებს! - ვივარაუდე მე. - დგას და დგას და არაფერი. დაბლა წამითაც არ დაიხედავს... მაგრამ მაინც - რა გახარებს, თუ ჭუჭყიანი ხარ?

- ეს შეუძლებელია! - ვალეჩკამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მაღაროელის წმენდას შეუდგა.

მაღაროელი პოლონელი იყო და, თუ თვალების მიხედვით ვიმსჯელებთ, - ღარიბი.

- ამ აზრით არ მითქვამს! - გავიცინე მე, - ჭუჭყიანი იმიტომაა, რომ მიწიდან არის ამოსული. მეც მიწის ქვეშ ვცხოვრობდი, როცა ქართველი ვიყავი და ღარიბი. ისეთი მათხოვარი, რომ ფულს საჯდომით ვცნობდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალეჩკამ ვერ გამიგო, მაგრამ მაინც გაიცინა.

- მართალს გეუბნები. იმდენად თხელი შარვალი მეცვა, მონეტაზე რომ დავჯდებოდი, ვცნობდი, რეშკა იყო თუ ორიოლი.

- მე კი არწივებს გულით ვცნობ!

მე გამეხარდა.

- არწივებს რევმატიზმი არ ემართებათ, ვალეჩკა.

- ისევ გტკივათ? - შეშფოთდა ქალი, მერმე ჩემს ფეხსაცმელებზე დაიხარა და თასმების გახსნა დაიწყო. - თამბაქოს უნდა გამოეთხოვოთ! თავს ნელ-ნელა იკლავთ...

- რა საჭიროა სიჩქარე? სხვათაშორის, თასმების შეხსნასაც ნუ ჩქარობ...

არასოდეს მიმიცია იმის უფლება, რომ ჩემთვის ფეხსაცმელები გაეხადათ, მაგრამ ახლა წინააღმდეგობა აღარ გამიწევია. იმის გამო კი არა, რომ დაღლილი ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ ჩემს ფეხთან დახრილმა ვალეჩკას მკერდმა მხურვალე ბურთულა ზევით აანაცვლა, იქ, სადაც მაღაროელისთვის საათი მიეხრახნათ და ამის გამო სიმძიმეს ვეღარ ვგრძნობდი.

ვალეჩკამ გამჭვირვალე თვალებით შემომხედა. რომ მიხვდა, რა დღეშიც ვიყავი, ეშმაკურად ჩაიღიმა და თავი დამიქნია. ამ მოძრაობით ჩემს ნესტოებში სუნამოს სურნელიც გამძაფრდა.

ხელი მაგიდაზე დადებული "ყაზბეგისკენ" გავიწვდინე, გავაბოლე და იასამნის სუნი გაქრა. პაპიროსის კოლოფის გვერდით დილით ბოლომდე წაუკითხავი ქაღალდების გროვა ელაგა. ესეც სწორედ თავისდროული გამოდგა.

ზემოდან სვეტლანას წერილი იდო. წინასწარ ბოდიშს მიხდიდა, თეატრში ვერ მოვედიო, და მატყობინებდა, რომ, როგორც ვლასიკმა მომახსენა, საავადმყოფოში იმყოფება. ბოლოს ძველებურად მიეწერა: ახალი ბრძანება ჩემს მდივანს იოსებს დიასახლის სეტანკასაგან. გიბრძანებ, პირობა შეასრულო და ხვალინდელი დღიდან აღარ მოსწიო, თორემ მზარეულთან გიჩივლებ!"

თავს ვუსაყვედურე, რომ ამას წინათ მის ჩემდამი სიყვარულში ეჭვი შემეპარა. თუმცა თავი მაშინვე გავიმართლე: თუ სიყვარულში ეჭვი არ გეპარება, სამართლიანობაც გაქრება-მეთქი.

მერმე იყო ცნობა, რომელიც ნოემბერში გამოვითხოვე. გამოირკვა, რომ ჩემი სახელი ეწოდებინათ არა თხუთმეტი, არამედ ჩვიდმეტი ქალაქისათვის. ზღვის ერთი ყურესთვის, ორი ოლქის, სამი ოკრუგისა და ოთხი ქედისათვის.

გამელიმა: ვინ მიხვდება პირველად, ყაზბეგის მთას ჰერ-ცოგოვინა-ფლორი დაარქვას-მეთქი?

მერმე იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრის აბაკუ-მოვის მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ლავრენტის მოწონების გამომხატველი რეზოლუცია ედო. აბაკუმოვი უმეცარი კაცია. მოხსენებითი ბარათი უთავბოლოდ იყო შედგენილი. მაგრამ რაკი იდეა ლავრენტის მოსწონებოდა, ესე იგი, იდეაც მოსი იყო.

იდეა კი იმაში მდგომარეობდა, რომ, რაკი დასავლეთის დაზვერვამ მიზნად დაისახა, გამოერკვიათ ჩემი ჯანმრთელო-ბის მდგომარეობა, მათ დეზინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გვთავაზობდნენ სამედიცინო შემოწმების ორგანიზებას. კომი-სია უნდა შეედგინათ მოლაყბე ექიმებისაგან.

მოხსენებით ბარათს ერთვოდა ჩემი ორეულების ფოტო-სურათები.

სამივენი ერთნაირად სულელური შესახედავები იყვნენ, ცალ-ცალკე კი ერთმანეთზე უარესი ყეყეჩი.

ისევ გავიღიმე და ჩემს მინაწერს დავუმატე: "აბაკუმოვ! ორი დავალება. ადვილი: ორეულები გაყარე. შეუძლებელი: ერთი მაინც ისეთი ვინმე იპოვე, შენზე სულელურად გამოიყურე-ბოდეს!"

ამ მოხსენებითი ბარათის ქვეშ აღმოჩნდა წერილი ამერიკიდან. ის ეკუთვნოდა ერთ თავხედური შეხედულებების მწერალს. მე მას შევხვედრივარ, და შევპირდი კიდეც, შენი წიგნისთვის საჭირო კითხვებზე წერილობით გიპასუხებ-მეთ-ქი. ამ წიგნს ის წერდა ერთროულად თანამედროვეებისა და შთამომავლებისათვის.

შეკითხვა ორი ჰქონდა. პირველი – რთული. თქვენ აგვის-ტოში ატომური ბომბი გაგიჩნდათ. იქნება თუ არა ომი?

მეორეც რთული შეკითხვა იყო. მართალია თუ არა, რომ "დიადი გარდატეხის" წლებში მილიონი კაცი დაიღუპა?

მე ისევ ვიღიმებოდი. ავტორი ჩემი ნაცნობი რომ არ ყო-ფილიყო, ვიფიქრებდი, პროვოკატორია-მეთქი. მაგრამ ის უბრალ-ოდ სულელია, თუმცა ებრაელი კია. როცა წინადაცვეთა ჩაუ-ტარეს, ალბათ სხვა ნაწილი გადააგდეს.

ჩვენი საუბრის ბოლოს არც კი მალავდა, რომ სულელი იყო. თავი ჩემთან ისე ეჭირა, როგორც თანასწორს.

თუმცა ასეთი რამ მარტო ებრაელებს არ მოსდით: საკმა-რისია, ადამიანებს თავი გავუყადრო, ისინიც იმავეთი მპასუ-ხობენ! გაცნობისას ამერიკელი ისე იკრიჭებოდა და ისე იღუშე-ბოდა, თითქოს ხელით კი არა, სახით მართმევდა ხელს. თავდა-პირველად ჩუმად ლაპარაკობდა, ხოლო წასვლისას მხარზე ხელს მიტყაპუნებდა და ხარხარებდა.

თუმცა ასეა თუ ისე პასუხი უნდა მივწერო. სულელებს უპასუხო უფრო სასარგებლოა, ვინემ ჭკვიანებს, თუმცა სასარგებ-ლოა არა სულელებისთვის.

მივწერ, ომი არ იქნება სწორედ "გარდატეხის" წყალობით. რომლის გარეშეც ჩვენ ბომბს ვერ შევქმნიდით.

ხოლო რამდენი ადამიანი დაიღუპა "გარდატეხის" დროს - არავის აღურიცხავს. ჩვენში სულადობით ცხვრებს ითვლიან და არა ადამიანებს! ადამიანი კი ხშირად ცხვარზე მნიშვნელოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ის არის, რომ როცა ქვეყანა ჩავიბარე, სია არ ამომიკითხავს: ხელი ასწიეთ, ცოცხალი რომელი ხართ-მეთქი.

თავი გაანებეთ წარსულში ცხოვრებას! თუმცა, ეტყობა, ეს თქვენთვის ხელსაყრელია. წარსულში ცხოვრება მუდამ იაფი ჯდება. და ისეთ გამომეტყველებას ნუ მიიღებთ, თითქოს გარდატეხის წლების ფერფლი გულში გიკაკუნებდეთ.

დიდი ადამიანები ორჯერ კვდებიან...

ფეხები მთლად გაგყინვიათ! - ჩაილაპარაკა ვალეჩკამ, როცა ისევ მისკენ მივიხედე.

თავი კელავ უხერხულად ვიგრძენი ამჯერად - მარცხენა ტერფის გამო.

ორივე ფეხი შიშველი მქონდა, თუმცა ვალეჩკა ხელით მარცხენა ფეხს მითბობდა, რომლის თითები შეზრდილი იყო. მტრებს ეს ეშმაკის ნიშნად მიაჩნდათ.

ჩავახველე და მზერა ვალეჩკას ძუძუებს მივაპყარი. თოვლივით ქათქათა ძუძუები თითქოს მორცხვად გამოიყურებოდნენ კოფთიდან თავიანთი ნათელი თვალებით. სამაგიეროდ ვალეჩკა შემომცქეროდა მოურიდებლად თავისი დაბინდული თვალებით.

აზრები ამებურდა, კვამლი გამოვუშვი და ისევ ჩავახველე:

- რატომ მიზელ ფეხებს?... ირანის შაჰი ხომ არ გგონივარ!

ისე, რომ ტერფისთვის ხელი არ შეუშვია, ჩუმად მითხრა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკო:

- ვინ არის ჩემთვის ირანის შაჰი თქვენთან შედარებით, იოსიფ ვისარიონოვიჩ? არავინ! - და შეზრდილ თითებზე დამეკონა.

- შეწყვიტე! - ვუბრძანე მე. - ჩვენ ხომ ჩინელები არა ვართ?

- ვინ? - ვერ გაიგო ვალეჩკამ.

ნაკლიანი ტერფი მეორე ტერფქვეშ ამოვაფარე.

- .მაომ მითხრა, ჩინელები თითებშორის მზესუმზირასა და ნუშსაც კი უდებენ ერთმანეთს და მერმე იქიდან ჭამენო. ტკბებიანო, ესე იგი... მართალი იყო მატრონა: "მეაო"! ეშმაკი

ხვადია. თვალებიც ზუსტად ისეთი აქვს! - გავიცინე და დავუმატე: - ვურჩიე, თითებს შორის შპროტი ჩაიჩურთე-მეთქი. არ განაწყენებულა. მიპასუხა, მზესუმზირა უკეთესია, უფრო მეტია ალერსიო.

ვალეჩკა ნაკლიან ტერფს ეძებდა:

- ცოლის ალერსი ქმარს ძალას ჰმატებს. ... ცოლი რომ ვიყო...

- ახალგაზრდისთვის ცოლის შერთვა ადრეა, - შევაწყვეტინე მე, - მოხუცისთვის კი გვიანია. აი, მარშალმა კულიკმა თავისი ქალიშვილის მეგობარი შეირთო. პატარძალი თვრამეტი წლისაა, სიძე კი ძლივს დაბაჯბაჯებს.

- მე არა ვარ თვრამეტი წლის...

- სულერთია, მამად გერგები...

ვალეჩკამ ამოიოხრა და შარვლის ტოტებში შეჰყო ხელი.

- ესეც გაციებულია, სისხლი გაქცეულა.

სამარჩიელო არ იყო, სადაც გაიქცეოდა სისხლი.

მე ეს უკვე სავსებით ცხადად ვიგრძენი და ავფორიაქდი. ახლა უკვე საკუთარი თავისა მრცხვენოდა.

"ეს როგორ, ამხანაგო სტალინ?!" - ვკითხე თავს.

მერმე წარმოვიდგინე, თითქოს ისევ სცენაზე ვიჯექი და ყველანი მე შემომცქეროდნენ. ვიჯექი იუპიტერების სინათლის ქვეშ და არ ძალმიძდა, საკუთარი სისხლი დამეძრა გამიზეზებული ადგილიდან. თუმცა ამავე დროს ხალხს მამად კი არა, ბაბუადაც ვერგებოდი. სისხლი კი ზანტად მიმოდიოდა ძარღვებში, მაგრამ "კაცობრიობის იმედი" კი ვყოფილვარ, როგორც ჩემზე ამბობენ!

ამ სიტყვამ - "ნადეჟდა" - სხვა სცენა წარმომისახა: ცოლი გამახსენა. ვალეჩკას დანახვაზე, თვალებს ჭუტავს და მეუბნება: "რა არის ეს, იოსებ? ვინ იყო, რომ მეფიცებოდა - მზე და მთვარე შენზე ამომდისო! შენს მეტი არავინ მსურსო!"

"მე რა ვქნა თვითონ მეკიდება, - ვლუღლუღებ პასუხად. - ხომ ხედავ, ნადეჟდა, მე არ ვეფერები. არც მზე ამომდის მასზე და არც მთვარე. მასზე კი არა, საერთოდ არავისზე".

გარშემო უამრავი დედაკაცია, - ყველა მე მეკურკურება. თუმცა წიგნაკზე ათასი მანეთის მეტი არა მაქვს. რა სახარბიელო სასიძო მე ვარ, ნადია, თანაც იმათთვის, ვისაც ქმარი უკვე ნაშოვნი ჰყავს და ცხოვრებას განცხრომით ატარებს.

მაგალითად მოლოტოვის პოლინა. ან იგივე სვანიძის მაშა ჯერ კიდევ ამ დედამიწაზე რომ დააბიჯებდა და ნებისმიერ კაცს რომ უწევდა ფეხებს. თუ გინდა შენივე გულითადი მეგობრები ავიღოთ, შენს წინაშე მტარვალად რომ მსახავდნენ. თვითონ რაღას წარმოადგენდნენ? გააწამეს ქმრები! "ჩემო მზეოო!" ენას უჩლექდნენ ისინი ცოლებს, მაგრამ ცოლები მაინც მზად იყვნენ, სხვას შეგორებოდნენ ლოგინში.

რუსი დედაკაცები უსირცხვილოები არიან, ამას ისიც დაუმატე, რომ პოლინა და მაშა ებრაელები გახლავან, თანაც ბოლშევიკები. შენ უფრო მოკრძალებული იყავი, თუმცა არც შენ აკლებდი ხელს. მაგალითად, კატოს, ჩემს პირველ ცოლს, ტუბერკულოზს რომ არ მოეკლა, სირცხვილი მეუფლებოდა ხელს, მისთვის, გათხოვილი ქალისთვის, ისევე რომ [illegible] არ შიყობა კოლია ბუხარინს, როგორც შენ გეარშიყებოდა. ჩასვრილი, სხვანაირად არისტოკრატი! "პროლეტარული ჰუმანისტი"! "პარტიის საყვარელი"! არავინ არც ერთი პარტია არ იცის ისე, როგორც მე. ნებისმიერი პარტია ისეთივე ბოზია, როგორც ყოველი ბოლშევიკი დედაკაცი!

მაგრამ საქმე ამ წამებულზე როდია, საქმე შენზეა. მართალია, შენ ქართველი არა ხარ, მაგრამ კავკასიაში ხომ იზრდებოდი! - ამ წვინტლიანი სოკრატესთვის ერთხელაც არ დაგიფეთებია ანგელოზები.

ცოტა მეტი ხანი რომ გეცოცხლა, მოგიწევდა ჩემდამი მოწერილი მისი ბარათების წაკითხვა, ეს წერილები მას შემდეგ მომწერა იმ ყეყეჩმა, რაც საჯაროდ ალიარა, სამკვდროსასიცოცხლოდ იმიტომ გებრძოდი, რომ მეჯავრებოდიო. და ეს მაშინ, როცა მეგობრობას მეფიცებოდა. და შენ გეკურკურებოდა!

ორმოცდასამი წერილია, ერთიმეორეზე ბილწი. ბოზანდარობის ორმოცდასამი ნიმუში. და კიდევ "პოემა სტალინზე". ეს კი ამ თეორეტიკოსმა ასე ახსნა! ბაირონივით, პოეტობას მანამდე ვერ შეძლებ, სანამ სიყვარული არ გეწვევაო. მე კი ბოლოსდაბოლოს მეწვია სიყვარული, ძვირფასო კობა! გონება გამინათდა და შენ შემიყვარდი, როგორც უფალი. ჰოდა, მიშველე, გადამარჩინე, განაჩენი გააუქმეო! ძილშიაც შენი სახელი მაბოდებსო!

დავუჯერე: სიკვდილის შიშისაგან თავის დახსნა მხოლოდ სიყვარულით შეიძლება. სხვა გზა არ არსებობსო.

თუმცა იქნებ ბელადები სულაც ნებაყოფლობით უყვარდა. მაგალითად, სასამართლოზე ირწმუნებოდა, მომაკვდავ ილიჩს ფეხებს ვუკოცნიდიო.

მწერდა აგრეთვე, რომ შენც დასიზმრებიხარ. თითქოს საბრალო ნადია წუხდა, ღმერთო ჩემო, ეს რა უყვიათ შენთვის, კოლენკაო, მაგრამ ნუ შეგეშინდება, უკვე ვუთხარი იოსებს და თავდებად გიდგებიო!

"მთელი პარტიისა და ხალხის წინაშე ვიჩოქებ და გევედრები, კობა, შემიწყალე, სიცოცხლე შემინარჩუნე". თუ არადა, ნუ მესვრიან მაინცა, სოკრატესავით, შხამიანი თასი მომაწოდონო.

როგორც ხედავ, ნადია, არა მხოლოდ ვაჟკაცობა, გემოვნებაც არ ჰქონია. გემოვნება არც შენ აღმოგაჩნდა. მის მიერ შერჩეულ წიგნებს აბებივით ყლაპავდი, ის ხომ ექიმი იყო. მე

შენ სიბრძნით სავსე წიგნებს გირჩევდი, ის კი აბდაუბდას გთავაზობდა. ლონდონური დეკადენტური სუნამოთი აყროლებულ სისულელეებს.

მე კი გაფრთხილებდი: ბრძნული წიგნების კითხვით ძეიძლება დედაკაცი ვერ დაბრძენდეს, მაგრამ სულელურმა წიგნებმა კი გაასულელონ-მეთქი. ამ წიგნების მხოლოდ [illegible] რად ღირდა! განსაკუთრებით ბოლო წიგნისა, რომელშაც გადაგრია. "მწვანე შლაპა". იქ გასართობს ვერაფერს იპოვის ადამიანი თვითმკვლელობის გარდა. ყველაფრამდე უზრუნველყოფილ მდიდრებს სიკვდილიღა აკლიათ. ახლა ავტორს არ იკითხავ?! ლონდონელი სომეხია, ოდეკოლონის გვარით - არლენი. სინამდვილეში არმენია!

ახლა ის ფრაზები ნახე, კოლიამ იმ "შლაპაში" რომ მოგინიშნა! თუმცა კატო უსწავლელი ქალი იყო, გული აერეოდა.

"მინდა მსურდეს, მაგრამ არ ვიცი, რა..."

"ჭეშმარიტი ქალისათვის გატაცება იმდენად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რამდენადაც რელიგია არის ეკლესიაზე მნიშვნელოვანი..."

"ქალი დაჯილდოებული იყო ტალანტით, მოვლენები არ შეენიშნა და მნიშვნელობა არაფრისთვის მიენიჭებინა..."

"ჩვენგან განსხვავებით დიდი ადამიანები ორჯერ კვდებიან: პირველად, როგორც ადამიანები, შემდეგ კი, როგორც უდიდესები..."

"უმწიფარი ადამიანები ისწრაფვიან, აკეთონ დიდი საქმეები და ემსახურებიან მთელ კაცობრიობას, მოწიფულები კი - მხოლოდ თავიანთ ქალებს..."

"თვითმკვლელობა თავისუფალი სულის უმაღლესი აქტია..."

და ამ ინგლისურ-სომხურ სიბინძურეში იქექებოდი წინა დღეს, სანამ მიღალატებდი. გასროლის წინა დღეს.

რისხვამ შემიპყრო.

თუმცა სისხლი საფეთქლებში აღარ მიშხუოდა.

ერთი პირობა გადავწყვიტე. ვალეჩკას ხელს ვკრავ-მეთქი. მაგრამ თავის დროზე შევიკავე თავი. აჯობო საკუთარ თავს სხვის ხარჯზე - ეს დამარცხებაა. მე კი თავსაც და სხვასაც მუშაობით ვამარცხებდი.

ადამიანებს ცოდნა კი არა, გარკვეულობა სურთ...

მზერასთან ერთად მაგიდაზე ფიქრიც დავაბრუნე.

მართალია, გაზვიადებული კი იყო, მაგრამ გადავწყვიტე. ამერიკელისთვის წერილზე ისეთი პასუხი გამეცა, თითქოს თვითონაც სულელი ვიყავი, - სერიოზულად და ანბანით დამეწყო.

ყველაზე საზიანო შეცდომა იმალება ადამიანების წარმოდგენაში მათ მიერ ბუნებაში დაკავებული ადგილის თაობაზე. ეს უზარმაზარი უბედურებაა: ადამიანმა წარმოიდგინა, თითქოს ის სამყაროს გვირგვინია და არა "მელნის უფერული ლაქა", როგორც მე ტროცკიმ მიწოდა.

ლეიბას ესმოდა, რომ ჩემს გვერდით ირანის შაჰი, როგორც ვალეჩკამ თქვა, არარაობა იყო, მაგრამ ის მართალი გახლდათ: ბელადი, თუნდაც გამარჯვებული, მხოლოდ ჭიანჭველა და "მელნის უფერული ლაქაა". თუმცა მე რომ მხოლოდ "უფერული ლაქა" ვყოფილიყავი, მარტოსულობა ასე არ დამტანჯავდა. მაგრამ ჩემი მარტოსულობა - მიწის გადაკეთების ზეციური უფლების საზღაურია.

მაგრამ ჯერჯერობით ამაზე არ ვსაუბრობ. მე იმაზე ვლაპარაკობ, რომ სამყაროს თამამად შეუძლია ადამიანების გარეშე იარსებოს.

ყოველ ადამიანზე ორი მილიონი ჭიანჭველა მოდის. და არც ერთ მათგანს არაფერი ეეჭვება, რატომ? ვინ ასწავლა მათ ეჭვის გარეშე ცხოვრება?

სამყაროში ყველაფერი არარაობაა. ყველა საკუთარი თავისთვის როდია გაჩენილი. შეიძლება უბრალოდ გაჩნდა, გასართობად.

მწერალმა შოუმ ერთხელ ისიც მითხრა, ღმერთმა ბუზი თავისი დიდი სიბრძნის გამო შექმნა, თუმცა დაავიწყდა, რატომო. და კიდევ - ინგლისში ოჯახის ცენტრი ცხენი არისო. იგივე რომ ცხენს ეთქვა, არ გამეცინებოდა, რადგან ინგლისშიც კი ცხენები სხვისი ნება-სურვილით იბადებიან.

სად არის ეს ნება-სურვილი და როგორ გამოიყურება იგი, - კიკინებიანია თუ ულვაშიანი, არავინ იცის. თუმცა სახელი მაინც მოუგონეს: ღმერთი შეარქვეს. შეეძლოთ სხვა რამაც დაერქმიათ, ვთქვათ, "უფერული ლაქა". რა მნიშვნელობა აქვს, რას რომელ ბგერას შეარქმევ? სულერთია, უმთავრეს საკითხს პასუხს მაინც ვერ გასცემ. ამიტომ პასუხები სხვა საკითხებზე ეჭვებს წარმოშობენ.

და, აი, მთავარი კითხვა: რომელი გარეშე ნება-სურვილით ხდება ყოველივე ეს? და რის გულისთვის? რატომ არის მოწყობილი ისე, რომ ჭიანჭველამ იცის, რა უნდა, ხოლო ადამიანმა - არა!

იმიტომ ხომ არა, რომ ადამიანს თავის ქალაში ტვინი შეტენეს, როგორც პოლონელ მაღაროელს საათი ფათხში? რისთვის დასჭირდათ ტვინი? იმისთვის ხომ არა, რომ კითხვები დაისვას და ეელაფერი ეჭვის ქვეშ დადგეს? რატომ არ გაჩნდა, მაგალითად, ადამიანი ჭიანჭველად და ჭიანჭველა ად-

ამიანად? ეს არ არის სულელური შეკითხვა, ეს საჭირო შეკითხვაა. სულელურია მხოლოდ პასუხები, შეკითხვები - არა. რაკი ტვინი გაჩნდა, ხოლო მასში ეს შეკითხვებიცაა, მაშასადამე, ისინი რაღაცას ემსახურებიან, თუნდაც იმის შეგნებას, რომ მათზე მხოლოდ სულელური პასუხის გაცემა შეიძლება.

რატომ ვამბობ ამას?

აი, ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ. ხომ კარგი იდეაა?

ტვინი ადამიანს არ შეუქმნია. ხოლო რაკი ამ აზრმა ტვინამდე მიაღწია და ბევრს მოსწონს კიდეც, მისი უარყოფა შეუძლებელია.

გარკვეულად არავინ უწყის - რომელი აზრია ჭეშმარიტი და რომელი არა. თუმცა ადამიანებს ცოდნა კი არა, გარკვეულობა სწადიათ. ამიტომ ისინი, ვისაც ეს იდეა მოსწონს, ჭეშმარიტს უწოდებენ მას.

მაგალითად მე, დარწმუნებული ვარ, რომ, რაკი სამყარო ჩვენ, "უფერულ ლაქებს", არ შეგვიქმნია, მასში არც არაფერი უნდა გვეკუთვნოდეს. სამართლიანად მიმაჩნია, ლაქების ისეთი ოკეანის არსებობა, სადაც არც ერთ ლაქას არაფერი გააჩნია, გარდა საკუთარი თავისა. და ყველა თანასწორია.

მთელი ისტორია ფლობისა და გაყოფის ჩვევის ისტორიაა. და ეს ჩვევა იმდენად ძლიერია, რომ ან ეს არის "უფერული ლაქის" არსი, ან გვეჩვენება ასეთად.

მე მიმაჩნია, რომ გვეჩვენება. და აგრეთვე მიმაჩნია, რომ გარეშე ნება-სურვილს ეს ჩვეულება არ მოსწონს. სხვა შემთხვევაში მე, "უფერულ ლაქას", არ მომეცემოდა სხვაზე ბატონობის ამდენი ძალაუფლება.

ხალხი ნეხვით არის სავსე, მაგრამ მე მათი მჯერა... ადამიანს შეიძლება კვერცხებში სტაცო ხელი, ამოუგრიხო, მერმე კი მტკივნეულად მოუჭყლიტო და აიძულო, რომ ეს ჩვევა დაივიწყოს. მორჩილებას ძალა იწვევს, რომლის შეძენაც შიშით შეიძლება...

რისთვის დამჭირდა ახლა ეს?

იმისთვის, რომ როცა ჩემთან ბრძოლა წააგო, ლეიბმა ჩემ საწინააღმდეგოდ შექმნა აფორიზმი, მიზანი საშუალებას მანამ ამართლებს, სანამ რაღაც სხვა ამართლებს მიზანსო. თუმცა ამაზე ვინმე კამათობს?! დიახ, შიში საშუალებაა, მორჩილება - მიზანი, მაგრამ ეს მიზანი მე უკვე დავასახელე. ანუ მე კი არა, - ეს მიზანი სხვა ძალამ აღმომაჩენინა, მაგრამ მასზე საუბარი უხერხულია. როცა მის შესახებ საუბრობ, ადამიანებს ჭკუანაღრძობად მიაჩნიხარ.

ერთხელ მამაჩემი შინ განთიადისას ნასვამი დაბრუნდა და ჩხუბი დამიწყო, რატომ არ გძინავსო. მე გამოვუტყდი, მეშინოდა და მთელი ღამე ღმერთს ვეჩურჩულებოდი-მეთქი. ჯერ

თვალები გადმოკარკლა, მერმე კი ხელი ჩაიქნია და წაიბუტბუტა: "ვაი მე"! თუ ლოცულობდი, ე.ი. ღმერთი გიღიარებია, და ეგ არის, შენც დედაშენივით სულელი ხარო, ხოლო როცა ისიც დავუმატე, ღმერთმაც თავისი სათქმელი ჩურჩულით გამანდო-მეთქი, ამან მამაჩემი ძალიან შეაშინა.

ჰოდა, აი, მეუბნებიან, მართალი არა ხარო, ჩვენ-სულ სხვა რამ გვიჩურჩულესო. ჩვენ ან არ გვესმის ეს ჩურჩული, ან ის გვიგდებს აბუჩად, ვინც გვეჩურჩულება, ან კიდევ მას სისხლი მოსწყურებიაო.

შეიძლება თავადაც არ იცოდეს, სად არის ჭეშმარიტება: ლაქების ოკეანე უკვე წარღვნად იქცა. შეუჩერებელ წარღვნად, როგორც უვიცობა.

ახალი ადამიანისთვის მიმდინარეობს ბრძოლა, სულელო ამერიკელო! ბრძოლა ყველასთან, ვინც სიახლის წინააღმდეგია.

ვინც ეთერში ლენინის დასაფლავების დღეს "შეცდომით" გადასცემს ბოშების საცეკვაო მუსიკას. ხოლო ტროცკისტებისთვის განაჩენის გამოცხადების შემდეგ - შოპენის სამგლოვიარო მუსიკას.

და ამ ბრძოლაში, სულელო მწერალო, მხოლოდ შენება კი არ გვიწევს, არამედ თავის დაცვაც.

სისხლისღვრაც.

სიყვარულში მამაკაცს სიყვარულისთვის უნდა სცემ პატივი...

- აი, სად ყოფილა სისხლი, ჩემო იოსიფ ვისარიონოვიჩ! - ალაპარაკდა უცებ ვალეჩკა ალერსიანად, - აი თურმე საით გაქცეულა თქვენი სისხლი, ჩვენო საბრალო! - და დაბინდული თვალებით მომაჩერდა. - არადა, რა დიდი წარმატებაა, ღმერთო, როგორ გაგვიმართლა!

მუდამ მართობდა, რომ მას ერთდროულად ვებრალებოდი და თანაც ხარობდა, როცა საკუთარ თავზე კონტროლს ვკარგავდი. ახლა კი ვერაფრით ამეხსნა, რაში გამოიხატებოდა ეს "გამართლება"?

საკუთარი თავი კონტროლის დაკარგვის გარეშე...

მთავარი ის იყო, დღეს, ცხოვრებაში, პირველად გავხდი სამოცდაათი წლისა.

"შეიძლება, ჩემი სხეულის ნაწილებმა გადაწყვიტეს, აღარ დაემორჩილონ თავს და ხალხთან ერთად ზეიმობენ? - ჩავი-

ცინე მე. - ანდა, პირიქით, პანიკაში ჩავარდნილან, როგორც პატარა ბავშვების სხეულის ნაწილები ვარდებიან პანიკაში ძილის დროს?"

მე ასე შეკვეცილად ამ კითხვას არ ვუპასუხებდი, მაგრამ ვალეჩკასთან მეჩქარებოდა: მოიბუზა ჩემი შეგნება წარმატების ძველ მორევში გადახტომის წინ.

ვალეჩკა სანახევროდ მოჭუტული თვალებისა და მოცახცახე ქუთუთოების მიღმიდან განაბული შემომცქეროდა. უცახცახებდა მსუქანი და გაწითლებული ტუჩებიც, თითქოს ფუტკრებს დაუკბენიათო. მერმე ტუჩებმა ჩურჩულით წარმოთქვეს რაღაც.

მისი ნათქვამის აზრმა მაშინ მოაღწია ჩემამდე, როცა ქალმა კიტელზე ქვედა ღილების შეხსნა დამიწყო. რა მიუხვედრელი ხარ-მეთქი, ვუსაყვედურე თავს, და სარტყელი შევიხსენი.

მერმე ჩვენ ერთმანეთს ჩავეხაცვლეთ: მე კიტელს მივხედე, იმან კი - შარვალს. იძულებული გავხდი, სავარძლიდან წამოვმდგარიყავი. რამდენიმე წამის შემდეგ ფეხშიშველა ვიდექი მაგიდასთან საცვლის ამარა.

ვალეჩკა თუმცა აჩქარებით სუნთქავდა, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა და მზერა ნოხისთვის მიეპყრო.

მომეჩვენა რომ დაბლა გაფენილმა ჩემმა ულვაშმა შეაცბუნა.

ნოხი მაჩუქა ბაქოელმა ოცდაათმა საუკეთესო მქსოველმა. ამ ნოხს ისინი სამი წლის განმავლობაში ქსოვდნენ. მაგრამ ნოხმა მომხიბლა არა სადებავების სიმრავლით, არამედ ნაქსოვ პორტრეტზე ულვაშის სიგრძით.

მკერდი შირვანის ველის ყვითელი ყვავილებით მქონდა შემკობილი, ცოტა ქვემოთ ლილისფერი ტაეპი ანათებდა:

Это Сталин. Самый мудрый и великий человек.
Не рождал орла такого ни Кавказ, ни мир вовек.
Свет струится. Свет зари.

Нет, ты только посмотри!
Ничего не говори!

ჰოდა, მეც ასე მოვიქეცი. ავლაპარაკდი მხოლოდ გრძელი პაუზის შემდეგ. მქსოველ ქალებს მტკიცე პირობა მივეცი, რომ ამ "შედევრს" მუზეუმს გადავცემდი.

თურმე ვალეჩკა ამას არ შეუცბუნებია. როგორც კი მივუხვდი, ნიკაპი ავაწევინე და კოფთაზე თავით ვანიშნე.

იგი უცბად მოტრიალდა და პოლონელ მაღაროელთან გაჩნდა, სადაც იდგა "არარატით" სავსე, თავმოხდილი შტოფი.

ორიოდე წუთის შემდეგ გასაგები გახდა, რომ ქალს კონიაკი აქამდე არგანცდილი მიზეზის გამო დასჭირდა თურმე, და სწორედ ის მიზეზი აცბუნებდა ახლა მას. არც კოფთისა

და არც კაბის ქვეშ ვალეჩკას არაფერი სცმია! თუ არ ჩავთვლით მოულოდნელ, ბადურასებრ წინდებს და მოულოდნელსავე ოქროთი მოსირმულ ყაითნის სარტყელს.

სარტყელი წელზე ჰქონდა შემოხვეული და გაკვანძული, და ფუმფულა ფოჩი კი ზედ... ეკიდა. ჭიპქვეშ წამოწეულ ოქროსფერ ღინღლზე: ჩემდა დიდად გასაკვირად, ღინღლი შეკრეჭილი ჰქონდა, კიდეებზე კი - ამოპარსული. მაშინვე მივხვდი, რომ უფროსი დიასახლისი ვალენტინა ვასილევნა ისტომინა ხელს აფათურებდა ჩემს უჯრებში, სადაც - სხვა რაღაცებთან ერთად ინახებოდა შიშველი ფრანგი ქალების კატალოგი სულელური ჩასაცმელითა და უსირცხვილო პოზებში. ეს ის კატალოგი იყო, ვოზნესენსკის რომ ჩამოერთვა დაპატიმრების დროს.

იმწამსვე ვალენტინა მკერდზე მივიხუტე და მის დაძაბულ სხეულს ხელების ფათური დავუწყე.

ის, რასაც მივხვდი და შევინახე, ეტყობა, შორს არ გადამიმალავს.

ვალეჩკას იშვიათად ვკოცნიდი, ყელზეც კი, ხოლო ახლა პირდაპირ ტუჩებზე დავაცხრი. კოცნაობა არ მიყვარდა იმის გამო, რომ კოცნისას ქალს ძალიან უახლოვდები და მის ნაკლს ველარ ამჩნევ. ამას ისიც ემატება, რომ იძულებული ხარ, ფეხისწვერებზე დადგე, მით უფრო, ფეხშიშველი.

სხეულისგან განსხვავებით ვალეჩკას ფუმფულა ტუჩები ჰქონდა. თუმცა ნამიანი აღმოაჩნდა არა მხოლოდ პირი. ქალმა ამოიკვნესა და მე იგი დივანისკენ გავაქანე.

მაგრამ კვლავ შემაჩერა. ისევ გამაკვირვა: ხელში მბრძანებლურად ჩამაფრინდა, დივანამდე არ მიმიშვა და დაბალ მაგიდაზე დამსვა. ახლა მე მასზე დაბლა აღმოვჩნდი, თუმცა ამან გამახარა: გული ყელში მომებჯინა და თბილი პურივით სურნელოვან, რბილ ძუძუებს შორის ჩავყავი სახე. ამ გრძნობასთან ერთად ჩემში იასამნის ბანგმაც შემოაღწია. გავინაბე. მაგრამ მგზნებარე სიყვარულის ციებცხელებით შეპყრობილი ტუჩები ამიკანკალდა იმის გამო, რომ უძლურები აღმოჩნდნენ, კანის მკვრივ ემულსიაში გავლით მისი მხურვალე სხეულის წიაღში შეეღწიათ.

როგორც ყოველთვის, ამ ოცნების ვერმიღწევამ ტკივილიც მომაყენა და გამააფთრა კიდეც.

ვალეჩკას კბილებით დავუწყე გლეჯა. სიცივით გათოშილ მგლად წარმომედგინა თავი, რომელიც სიყვარულით არის დამშეული და ბოლოს და ბოლოს ხელში ჩაუგდია მშვენიერი, უსუსური ნადავლი.

უცებ ისევ მაო გამახსენდა. მან მითხრა, ერთმა ჩინელმა 170 წელიწადი იცოცხლა, რადგან ქალის ძუძუს წოვდაო.

მეც ხარბად ავივსე პირი დრეკადი ხორცით და მისი წვეტიანი კერტი ხორხზე მომებჯინა. სული შემეხუთა.

ვალეჩკაც ცდილობდა, უფრო ფრმად შემოელწია ჩემს ყელში. იმასაც მიულწეველი რამ სურდა - გამქრალიყო ჩემში, საბრალო მსხვერპლის ტკბილ სატანჯველთან ერთად.

იმავე მიზნისკენ მივისწრაფოდი მეც, - მსურდა, ერთიანად დამენაკუწებინა იგი. გაგიჟებამდე მესვა მისი ცხელი სისხლი, რითაც პირთამდე იყო სავსე ეს თეთრი, გლუვი და არომატიანი ჭურჭელი.

- იოსებ! - ამოისლუკუნა ქალმა. - როგორ გიყვარვარ, იოსებ! რაღას ელოდები?! მომკალი ბოლოს და ბოლოს! მომკალი-მეთქი, გეუბნები, ძვირფასო, მომკალი! - მეევედრებოდა და ტუჩებით კეფაზე მელამუნებოდა.

ზვარაკად შეწირულის მავედრებელმა ჩურჩულმა, თუ გულწრფელმა სიტყვებმა გული გამითბო. და უდიდესი სიამოვნება მომანიჭა როგორც მე, ასევე ჩემს მკერდზე მოყრდნობილ სხეულსაც.

ვალეჩკა მარცხენა ხელით მეჭირა, მარჯვენა მუცლის ქვეშ შევუცურე და ხელისგული გაკრეჭილ ღინღლზე მივაფარე. თითები კი ჩემდა დაუკითხავად დაბლა ჩაცოცდნენ. ქალს ბედნიერების ყვირილი აღმოხდა, ჩემსკენ გადმოიხარა და თვალებით მადლობა მითხრა.

ისევ ფრანგული კატალოგი გამახსენდა. შეგრძნებამ გამახსენა.

ვალეჩკა ჩემს აზრს ჩასწვდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაიგო: მუხლებზე დაეცა და ქვედა საცვალი ჩამიწია. რამდენიმე წამში კატალოგის ყველაზე უსირცხვილო კადრი ჩემს თვალწინ ამოძრავდა. უფრო ზუსტად - თვალებს ქვემოთ...

მე ეს მუდამ საზიზღრობად მიმაჩნდა. განსაკუთრებით კრაკოვში ყოფნის შემდეგ, რევოლუციამდე, როცა მეძავი ჩემს ზლოტებს ითვლიდა, გახდას უარობდა და უცებ ჩაცუცქდა.

მე შევიგინე, ქალს ფეხი ვკარი, ფული წავართვი და ავუხსენი, რომ ბუნებამ პირი სხვა მიზნისთვის შექმნა.

ყოველ ორგანოს თავისი ფუნქცია აკისრია ადამიანშიც და სახელმწიფოშიც. არ შეიძლება, მაგალითად, იწამო იდეა, რომელიც უკანალში იშვა და არა თავში.

შოკს თავი რომ დავაღწიე, იძულებული გავხდი, კიდევ უფრო დიდ საზიზღრობაზე დავფიქრებულიყავი. ისტომინა - ეს უკვე ნაღდი იყო! - ჩემს მაგიდაში ბუჯურობდა!

გამოსარკვევი ახლა სხვა რამ გახლდათ: ვინ, როგორ, სად და რატომ უშოვა მას ბადურა წინდები?

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, თავს კარგად ვგრძნობდი. მომავლისთვის სუნთქვის შემონახვაც კი მომინდა. და მომეჩვენა, რომ ეს გრძნობა დიდ ჭეშმარიტებას შეიცავდა. სასაცილომ-

დე უბრალო ჭეშმარიტებას. ნეტავ როგორ შეიძლება, რომ სუნთქვა კაცობრიობამ შემდგომისთვის გადასდოს? თანაც მუდმივად. მაშინ ადამიანებს არც შიმშილი ეცოდინებოდათ და არც საზრუნავი შეაწუხებდათ. და ყველა ბედნიერი იქნებოდა...

ვალეჩკა უცებ მომწყდა და ქვემოდან შემომხედა. ისევ მაძის სახელით მომმართა.

- გესიამოვნათ, იოსიფ ვისარიონოვიჩ?

მე წავუყრუე, მაგრამ პასუხს თვითონაც არ დალოდებია. გული სწორედ ამან მატკინა: მაშასადამე, დარწმუნებულია, რომ კმაყოფილი ვარ. და, თუმცა მართლა ნასიამოვნები ვიყავი, წინანდელ გრძნობას უცებ ვერ მივუტრიალდი.

წყენა იმის გაფიქრებით გავიქარვე, რომ ამ საქმეში ადამიანებს ყველაფერი აღმოჩენილი არა აქვთ და მთავარი წინ არის-მეთქი. შეიძლება უკანაც იყოს დარჩენილი - დაეიწყებულ წარსულში, როცა, ამბობენ, სიყვარულს ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი ეჭირა.

თუმცა პირვანდელი გრძნობის დაბრუნება რომ ვიგრძენი, თავს შევახსენე, დროა, ამაზე ფიქრს მოეშვა, გრძნობებზე ტეინის ჭყლეტა სისულელეა-მეთქი. აზრი სიამოვნებას ანადგურებს.

- კი, ვალეჩკა! - მივუგე ბოლოს. - კმაყოფილი ვარ!

იგი შეფრთხიალდა და უფრო გულმოდგინედ განაგრძო. ახლა ამანაც გამანაწყენა, რამეთუ სიამოვნება ჩემს სხეულში თანდათან ჩაცხრა და მიიწურა.

ამ საქმის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ სიხარული მთავრდება. უნდა ეცადო, რომ დასასრული არ იქნეს. ტრიუმფის შემდეგ არაფერია საკეთებელი. ჭეშმარიტი სიხარული მისი მოლოდინია. რაც უფრო მეტ ხანს ელოდები, მით უკეთესია. დასასრულის იდეამ ეს საქმე გააერთიანა.

კარის სახელური რომ არა, უეცარი სიკვდილისგან ვერაფერი მიხსნიდა. სახელური კი ვილაცამ გარედან მოქაჩა - თავზარდაცემულმა ვალეჩკას ხელი ვკარი. ჩემდა გასაოცრად იგი მშვიდად გამოიყურებოდა.

- იოსიფ ვისარიონოვიჩ! - წამჩურჩულა, - ნუ ღელავთ, ჩვენი ძვირფასო! მე კარი მაშინვე ჩავკეტე!

ახლა ის მეწყინა, რომ ისევ "თქვენობითზე" გადავიდა და მაძის სახელით მომმართა.

ასე იქცეოდა ნადიაც და მაშინაც განწყობილებას მიფუჭებდა.

სიყვარულში მამაკაცს სიყვარულისთვის უნდა სცემ პატივი. თუ სიყვარულში მას პატივს სხვა რამის გამო სცემ, მაშინ მისთვის გაუგებარია - სიყვარულის გამო სცემ თუ არა პატივს.

მე ვერ ვუგებდი ნადიას. ვალეჩკას კი ახლა ადვილად გავუგებ- რამეთუ ჩვეულებრივ ამ წუთებში "შენობით" მელაპარაკებოდა.

ადამიანმა, ვფიქრობდი მე, იმაზე მეტი ბედნიერებით არ უნდა ისარგებლოს, ვინემ თვითონ აწარმოებს-მეთქი. სანამ მუხლებზე დაეცემოდა და ნიფხავს ჩამხდიდა, ვალეჩკა დღესაც შეწყობით მომმართავდა. და ბედნიერი იყო. უფრო ქვემოთ კი, ეტყობა, განსაკუთრებული სიამოვნება არ უგრძვნია...

- ჭკვიანი ქალი ხარ! - გაეულიმე მე, - კარი რომ ჩაკეტე.

მანაც შემომღიმა, ტუჩებზე ჩამოშლილი ოქროსფერი კულული გაისწორა და ამოისუნთქა - ამოსუნთქვა მოიმარაგა. მაგრამ მე მუხლებზე დაჩოქილი წამოვაყენე და თვალებში ჩავხედე. ასეც იყო: თვალები დაწმენდოდა.

სამყაროში ყველაფერი საკუთარ თავს გაურბის...

შემდეგ ეს ამბავი სულაც აღარ წარმართულა, უწინდებურად, თუმცა შორიდან ისეთივე ჩანდა.

მე ვალეჩკა დივანისკენ წავიყვანე, ისევ მის კერტს დავეწაფე, მერმე კი დავწექი და ზემოდან დავისვი. წინანდელისგან განსხვავებით მუცელზე ოქროცურვილი ფოჩი მიღიტინებდა, მაგრამ ის არაფერ შუაში იყო. თუმცა ღიტინი მსიამოვნებდა, ასევე მომწონდა ბადისებრი წინდების შეხებაც.

საქმე სხვა რამ იყო.

ჩვეულებრივ, როცა ვალეჩკა უნებურად აჩქარებას იწყებდა, მე თავს ვიკავებდი და დროს იმით ვაჭიანურებდი, რომ, ჯერ ერთი, ვაიძულებდი, წამოწეულიყო და ისევ წამომჯდომოდა, ჩემკენ ზურგშექცეული. მეორეც, რამდენადაც ახლა მხოლოდ ზურგი არ ხედებოდა ჩემი მხედველობის არეში, ჩემი აღზრდილობის გამო - თვალებს ვარიდებდი.

კედელზე პორტრეტები ეკიდა. ოთხი პორტრეტი იყო ილიჩისა და ნადიას პორტრეტების გამოკლებით: მაიაკოვსკი, გორკი, ბედნი და შოლოხოვი. დივანიდან ილიჩი და ნადია არ ჩანდნენ. მათი პორტრეტები მოშორებით ეკიდა, მწერლებისგან განცალკავებით. ყველაზე კარგად პირველი ორი ჩანდა. მაიაკოვსკის ნაწერებიდან, როგორც წესი, გამახსენდა "კარგიას" დასაწყისი!

სახელწოდება სწორედ არაფერ შუაში იყო. ამ სტრიქონში დროზე მართლაც კარგადაა ნათქვამი: "Время вещь необычайно длинная".

ამ სიტყვების შემდეგ ხშირად ვიხსენებდი მაიაკოვსკის გაცხარებას. თვითმკვლელობა სამუდამო რამ არის, დროის

მთელ სიგრძეზე რჩება. და უმნიშვნელოვანესი რამეები უკვე შენი არყოფნის უამს ხდება. სიკვდილი ყველაფერი როდია. თავის დროზე უნდა მოკვდე, რაც შეიძლება გვიან.

მერმე ჩემს თავში მოკლე კიბე აღიმართებოდა ხოლმე: «Я хочу быть понят родной страной. А не буду понят, - что ж! По родной стране пройду стороной, как проходит косой дождь».

ესეც კარგია, მაგრამ ნეტავ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, იმას ქვეყანა გაგიგებს თუ ვერა?

მაგონდებოდა გორკის სიტყვებიც. მისი ერთი ნარკვევიდან. ნარკვევს "დასკვნა" ჰქვია.

სათაური აქაც არაფერ შუაშია. ვალეჩკას რომ ვსვამდი, გამახსენდა არა სათაური, არამედ დასასრული: უცნაურმა ვოლგელმა გლეხმა რომ გაიგო, ცოლი მღალატობსო, კუპრით გათხიპა და ჭიანჭველების ბუდეზე დასვა...

გორკიც ვოლგელი კაცი იყო. და მასაც ღალატობდნენ. მდივანი ღალატობდა, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა. მწერებზე არ სვამდა. ისე ექცეოდა, როგორც მე ვალეჩკას. მას გაბრაზების უფლება არ ჰქონდა, ის ქალი ბარონესა იყო. მან და მისმა ცოლმა შეიკედლეს თავიანთ სახლში, კიდევ შემოისახლებდა ვინმეს, მაგრამ თავი იმით დაიმშვიდა, რომ ამ ბარონესას სამმაგი გვარი ჰქონდა: ზაკრევსკაია - ბენკენდორფი - ბუდბერგი.

- იოსებ, ძვირფასო! - შეიშმუშნა უცებ ვალეჩკა და ხელები უკან, ჩემკენ გამოიშვირა. - აიღე, აი, ისინი, იოსებ! ჩამჭიდე, აი ჩემი ხელები!

მე მის ხელებს ხელი ვსტაცე - და წამში ყველაფერი დასრულდა.

დამშვიდებულ რეაქციას ჯერ კიდევ კატოს დროს შევეჩვიე. ჩვენ კომუნალურ ბინაში ვცხოვრობდით. როცა ბოლო ახლოვდებოდა, კბილებს ერთმანეთს ვაჭერდი. კატო რომ მყავდა, კბილები ჩემი მქონდა. ახლა იძულებული ვიყავი, პროთეზიანი კბილები დამეჭირა ერთმანეთზე. მაგრამ გათავების შემდეგაც იგივე ფიქრი შემომრჩა: "რას არ მოიგონებს ბუნება!"

რაც შეეხება ვალეჩკას, თუ ხელებს არ დაუჭერდი, ისე ხმამაღლა აკრუსუნდებოდა, თითქოს ცხოვრებაში მთავარი იყო - მაოსთვის მიეწვდინა ხმა. როცა ის მოსკოვში კი არ არის, როგორც ახლა, არამედ პეკინშია. საარტილერიო სწავლებაზე.

სანამ ქალი გონს მოდიოდა, მე, როგორც ყოველთვის, ყველაფრისადმი ზიზღი მეუფლებოდა. მათ შორის ვალეჩკასადმიც. ახლა უკვე კარგად ვგრძნობდი, რაც მის გულში ხდებოდა. ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით. ვხედავდი მის უწამწამო თვალებს. და ისინი საშინელი შესახედავი იყო. მისი ძუძუები სისხლიანი ძარღვებით დაქსელილ ქონის ნაფლეთებად გადაქცეულიყო.

ხოლო მუცლის გაპარსულ არეზე არც დამიხედავს იმის შიშით, გული არ ამერიოს-მეთქი.

თვითონაც დამნაშავედ გრძნობდა თავს. მით უმეტეს, დივანიდან ნოხზე რომ ჩავიდა, მე თვალზე დამაბიჯა ფეხი.

- იოსიფ ვისარიონოვიჩ, - იგი აჩქარებით შეუდგა ჩაცმას. - შეიძლება ჩაგაცვათ?

- ეს წინდები საიდანაა? - მივუგე მე.

- კრილოვს ვთხოვე, - წაილულლულა მან. - არ მოგწონთ?

- საიდანაა-მეთქი გეკითხები - ჰელსინკიდან?

- არა, ფინეთიდან. რაო, განა ცუდია?

გამოთხოვების ნიშნად თავი დავუკარი. როგორც ყოველთვის, ამოიქვითინა და მხრებზე ლურჯი პლედი მომახურა, რომელიც ჩერჩილმა მაჩუქა, და გაიქცა.

სანამ კარს მიხურავდა, შემოსასვლელში მისაღებიდან კიდევ ერთი სულელური სტროფი გაისმა:

Враг недаром злится - на замке граница!
Не отступим никогда! Нету большей чести,
Остаемся вместе в армии родимой навсегда-а-а...

თუმცა დარჩენა აღარსად მეწადა. გაქცევა მინდოდა, მიუხედავად ფეხის მწარე ტკივილისა.

მაგრამ სად უნდა გავქცეულიყავი?

იმისთვის, ვინც გარბის, თუ რაღაც მიზანზე ფიქრობს, გაქცევას აზრი არა აქვს. იმიტომ კი არ გარბიხარ, სადმე მიირბინო, მით უმეტეს, რომ სამყარო მუდმივად ცვალებადია. სანამ სადმე მიირბენდე, იქ უკვე ყველაფერი შეცვლილი დაგხვდება. იმდენად შეცვლილი, რომ იქიდანაც გაიქცევი.

იქნებ მუდმივად სირბილია საჭირო?

სამყაროში ყველაფერი საკუთარ თავს გაურბის. ამიტომაა, რომ მასში ყველაფერი იცვლება. ყველაფერი ყოველგვარი მიმართულების გარეშე გარბის. უფრო ზუსტად - ბევრი გარბის მიმართულების გარეშე, კიდევ უფრო ზუსტად - გარბის უმიზნოდ. ხოლო მიზანმიმართულად მორბენალი ადამიანები სულელები არიან.

გაქცევა მიზნიდან გაქცევასაც ნიშნავს.

მაგრამ ჩემთვის ეგრე არ შეიძლება. მე მინდოდა ძალაუფლება და მაქვს კიდეც იგი. ძალაუფლება კი იმისთვის მინდოდა, რომ ადამიანები მიზნისკენ მეტარებინა. მაგრამ სანამ მიმყავდა და ვცველიდი მათ, თვითონაც შევიცვალე. ახლა კი მეჩვენება, რომ მიზანი არჩეული მაქვს - ძალაუფლების მოპოვება. ახლა მეჩვენება, რომ ცხოვრებაში არ შეიძლება მიზანი არსებობდეს და ადამიანები მიზანსაც დასასრულს ეძახიან.

სამყარო, როგორც ადამიანი, მხოლოდ დასასრულისკენ მოძრაობს. ყველა სხვა მტკიცება იდიოტებისთვისაა.

მაგრამ იდიოტი ყველა შეიძლება იყოს. ზოგიერთს, ვინც იდიოტად რჩება, უმართლებს. მაგალითად, მოძღვარი! მართალია, მასზე თუმცა დიდი გამოცანაც არსებობს: მხოლოდ ის გადაურჩა დასასრულს.

ჩემი დასასრული კი, ალბათ, მოახლოებულია.

ანაზდად ჩამთვლიმა და სწორედ ის [illegible], მოძღვარი. ქათქათა ქიტონი ეცვა. შუბლი კვრინჩხის გვირგვინით ჰქონდა შემკობილი.

კაბინეტში რომ შემოვიდა, მანაც ჩემსავით პოლონელი მაღაროელის მიმაგრებულ საათს შეხედა. მერმე ვალეჩკასავით კარი კლიტით ჩაკეტა, მაგიდასთან მიდგმულ სავარძელში ჩაჯდა და ალაპარაკდა:

"შენ ბევრი რამ გადაიტანე და ამოუწურავ მოთმინებას ფლობ. ჩემს სახელზე დაუღლელად შრომობდი. თუმცა დანაშაულად იმას გითვლი, რომ შენი პირველი სიყვარული მიატოვე. ჰოდა, გაიხსენე, საიდანა ხარ აქ მოვლენილი, მოინანიე და უწინდელი საქმეები აკეთე. თუ არ მოინანიებ, შენს ლამპარს ადგილს შევუცვლი".

შეკრთი და გავიფიქრე, ბუხართან გადავინაცვლებ-მეთქი, მაგრამ იესომ ჟესტით შემაჩერა და განაგრძო:

"ვიცნობ შენს საქმეებს და ვიცი, რომ იქ ცხოვრობ, სადაც სატანის ტახტი დგას და რომ ჩემს სახელს უფრთხილდები და ჩემდამი რწმენა შენარჩუნებული გაქვს. ხოლო რაცა გაქვს, შეინარჩუნე ჩემს მოსვლამდე. ვინც იმარჯვებს და ჩემს ქადაგებას ბოლომდე ენდობა, მას მივანიჭებ წარმართებზე ბატონობის უფლებას. ის წარმართებს რკინის კვერთხით მომწყემსავს. წარმართები ისევე დაიმსხვრევიან, როგორც თიხის ჭურჭელი. გამარჯვებულს კი დილის ვარსკვლავით დავაჯილდოვებ..."

მე არა მხოლოდ გავიგე გულახდილად ნათქვამი ეს სიტყვები, აგრეთვე გავიგე ისიც, თუ ვის უწოდებდა წარმართებს: სამყაროს, რომელიც სატანას ემორჩილებოდა და არა მე.

მოძღვარმა მაგიდაზე დადებული "ყაზბეგიდან" პაპიროსი ამოიღო, უასანთოდ მოუკიდა და ჩაგონება განაგრძო: იგი ნაცნობ სიტყვებს წარმოთქვამდა და თავს უფლება მივეცი საკუთარ თავზე ჩავფიქრებულიყავი.

სამყაროს ნამდვილად აღსასრული სწყურია, რამეთუ მისი ხსნა სწორედ აღსასრულშია.

ხსნით კი ჩემს გარდა ვერავინ იხსნის.

ჯერ ჩემი ჩასვრილები უნდა ჩამოვიცილო და სხვებიც, ვის სულსაც ქონი მოსდებია.

წვრილმანების მოფიქრებაზე დავიწყე ოცნება, მაგრამ გავიგონე მისი სიტყვები მრისხანების ფიალებზე და გავისუსე.

"და მესამემან დასთხია მდინარეთა ზედა და წყაროთა ზედა წყალთასა, და გარდაიქცეს სისხლად... და მეოთხემან ანგელოზმან დასთხია ლანკნაი თვისი მზესა ზედა, და მიეცა მას ცეცხლითა დაწვად კაცთა..."

თავს პირობა მივეცი, მზის ამბავს ხვალ უფრო ყურადღებით წავიკითხავ-მეთქი. სწორედ ეს ამბავი შეგვეფერებოდა. ვერც აგვისტოში გავიხსენე, როცა ლავრენტი პოლიგონიდან დაბრუნდა და დამიდასტურა, ახალი ბომბი ათას მზეზე უფრო კაშკაშაოო...

"და მეშვიდემან მან ანგელოზმან დასთხია ლანკნაი თვისი ჰაერსა ზედა, და გამოხდა ხმაი დიდი ტაძრისაგან ზეცათაისა და საყდრისაგან, რომელი იტყოდა, ვითარმედ: იქმნა.

და იქმნეს ელვანი და ქუხილნი და ხმანი და ძრვაი დიდი, რომელ არა ქმნულ არს, ვინაითგან კაცნი დაებადნეს ქუეყანასა ზედა, ესევითარი ძრვაი, ესრეთ დიდი.

და განიყო ქალაქი იგი დიდი სამად, და ქალაქნი წარმართთანი დაეცნეს, და ბაბილონი დიდი მოხსენებულ იქმნა წინაშე ღმრთისა მიცემად მისდა სასუმელი იგი ღვინისაი გულის-წყრომისა რისხვისა მისისაი.

და ყოველივე ჭალაკი ლტოლვილ იქმნა, და მთანი არა იპოვნეს.

და სეტყვაი დიდი მოვიდა ზეცით კაცთა ზედა და გმეს კაცთა სახელი ღმერთისაი წყლულებისა მისგან სეტყვისა მის, რამეთუ დიდ არს წყლულებაი მისი ფრიად".

მერმე დამესიზმრა, თითქოს დივანიდან წამოვხტი.

თავზარდაცემული იმით, რომ მოძღვარი ზმნებით გამოხატავდა ჩემს იდუმალ გრძნობებს, მე მას ხელებგაშლილმა მკერდში ჩასაკრავად მივაშურე, მაგრამ გავშეშდი: კვრინჩხის გვირგვინის ნაცვლად თავზე წითელვარსკვლავიანი ქუდი ეხურა.

ხოლო ქათქათა ქიტონზე მაიორის ვარსკვლავებიანი სამხრეები ეკეთა

როგორც მთვარეა მზეზე უფერული, ასევე ცხოვრებაც სიზმარზე უფერულია...

სამხრეებიანი მოძღვარი პირველად დამესიზმრა.

სემინარიაში სწავლის დროინდელ სიზმრებში იგი ქართულ შავ ჩოხაში გამოწყობილი მეცხადებოდა. ჩოხაზე ვერცხლისბალთებიანი ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ასეთ სარტყლებს ატარებდნენ თბილისელი ყარაჩოღელები, რომლებიც ჯადოსნურ სიმღერებს მღეროდნენ და გოგოებს ეღლაბუცებოდნენ.

უფრო ხშირად მოძღვარი იმას აკეთებდა, რაზედაც მაშინ თვითონ ოცნებობდი. დილაობით მეძინა. დღისით ვჩხუბობდი და მდიდრებისგან იმ ქონების ექსპროპრიაციას ვახდენდი, მთელი ქრისტიანული ერის მანძილზე რომ ჰქონდათ ნაძარცვი. საღამოობით კი კახურ ღვინოს ვსვამდი და მალულად გოგოს წითელ კაბას ვხდიდი.

ეს იყო სომეხი მევახშის ქალიშვილი. წინაპრის შთაგონების მიუხედავად, იგი გატაცებული გახლდათ დაუდევარი რომანტიკულობით. ცხოვრობდა სემინარიის გვერდით, აგურის სახლში.

ეს სომხის გოგო იმ სიძლიერით მიყვარდა, რა სიძლიერითაც მეჯავრებოდა მამამისი, რომელიც შვილის ბედნიერებაზე, მართალია, ზრუნავდა, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა მიაჩნდა ბედნიერებად მის ქალიშვილს.

თუმცა ეს კაცი სხვა მიზეზით მეჯავრებოდა. იმდენად მდიდარი კაცი იყო, რომ თავს უფლებას აძლევდა, ერთდროულად უპატიოდ მოპყრობოდა ქართველებსა და ქრისტესაც. სასიმღერო ფორმითაც კი, თანაც ერთი და იმავე მიზეზის გამო - უთაურობისა და რომანტიკოსობისათვის.

Что с тобой, Исус, бедняга? От похмелья ты опух,
Глаз не видит, ухо правое повисло, как лопух.
Ты в который раз надумал - как грузин, Куру просеять,
На большом ветру провеять индюшачий пух.

ასევე აბუჩად იგდებდა რევოლუციონერებსაც. მისთვის ყველა ერთი იყო: ბოლშევიკებიც, მენშევიკებიც და ესერებიც. სომხებსაც არ ინდობდა, თვით მთავარ დაშნაკს, გვარად სტოკანცს.

დილით მასაც ეძინა, მაგრამ დღისით, პირიქით, მევახშეობას ეწეოდა, უმთავრესად აცურებდა კინტოებსა და ყარაჩოღელებს. საღამოს კი უფრო გამდიდრებული, ვინემ დილას იყო, იესოს ჰბაძავდა - დუქანში ქართველებთან ერთად სვამდა ღვინოს. თუმცა მათ პატივს არა სცემდა და თავი ძალიან მოსწონდა:

Ни балшевик, ни мэншевик, ни дашнак Токанц, -
Кахэтынски вино пию вот такой стаканц!

ბევრჯერ დავასმინე მოძღვართან და შევთავაზე, მის სომხურ ფულს ექსპროპრიაცია ვუყოთ-მეთქი, რომელსაც, მისი ქალიშვილის სიტყვით, ღვინის "სტაკანცებში" ინახავდა.

სამწუხაროდ, მოძღვარი ჩემს აზრს არ იზიარებდა, სომეხი კი თავხედობას განაგრძობდა:

Как луна бледнее солнца,
жизнь бледнее сновиденья,
Я б не жил на этом свете,
если бы не песнопенья.

ხავერდოვანი ხმით მოხიბლული სომეხი ქალიშვილიც, გულისგამაწვრილებელ სიზმრებს ეძლეოდა, მაგრამ როგორც კი მოძღვარი სულს მოითქვამდა დუმდებოდა, ქალიშვილის კაბაზე ლილებიც იკვრებოდა, რამეთუ ისინიც ჯადოქრული იყო.

მე და მოძღვარმა მაშინ საერთო ენა ვერ გამოვნახეთ. და ეს ძირითადად მისი ბრალი იყო: თუმცა კარგად ვსწავლობდი და წარამარა ეაგრძნობინებდი, რომ დიდ პატივს ვცემდი. ეტყობა მაინც, ულირს კაცად მივაჩნდი.

მას შემდეგ ჩამომიყალიბდა აზრი, რომ იესო ქრისტეს რეალიზმი და შორსმჭვრეტელობა აკლდა.

მოგვიანებით, რასაკვირველია, უფრო მეტ ყურადღებას მითმობდა, მაგრამ სამაგიეროდ მე სიზმრების სანახავად თანდათანობით ნაკლები დრო მრჩებოდა. ამავე დროს მისი პირმოთნეობა მაღიზიანებდა.

ყოველთვის ცდილობდა, საუბარი კონკრეტულ თემაზე გადაეტანა. კერძოდ იმაზე, რაც დღის განმავლობაში მომხდარიყო.

მე კი, პირიქით, ვთავაზობდი, გვესაუბრა მთავარზე. ჭეშმარიტებაზე, სამართლიანობაზე, სიცოცხლეზე და სიკვდილზე. სულის უკვდავებაზე.

მინდოდა, გამეგო მართლა იტანჯებოდა თუ არა ხორცი სულის გარეშე? ეს იგივეა, არარსებულ სასტუმროში რომ შეგასახლონ, რომელიც ცარიელია და სადაც არაფერი გესაქმება საღამოს.

ის კი ისევ წვრილმანებსა და ფაქტებზე გადადიოდა. და მეც დავარღვიე სტუმართმოყვარეობის კანონები და თვითონაც "კონკრეტულობანა" დაეიწყე. ერთხელ ვუთხარი, ამიხსენი-მეთქი ასეთი რამ. როცა მარიამმა ფეხები ბალზამის ზეთით დაგბანა, ყველანი აღშფოთდნენ, რადგან ბალზამის ზეთი ფუფუნებად მიიჩნევა, ძვირი ღირს. ასეთი რამ როგორ შეიძლება, მოძღვაროო?! - თქვა ყველამ, ვისაც შენ უბრალოებასა და ღატაკთა სიყვარულს უნერგავდი. - არა სჯობია, ეს პარფიუმერული პროდუქტი გაყიდო და ღატაკები დააპუროო?

შენ კი დიდხანს არ გაეცი პასუხი. დიდების ნეტარებით იყავი შეპყრობილი. ეტყობა, ზეთით ტკბებოდი. ბოლოს მარტივი სიტყვები წარმოთქვი. ისიც ღირსების შეგნებით: ღატაკები მუდამ გვერდით გეყოლებათ, მე კი - არა! გიხაროდენ, სანამ თქვენს შორისა ვარ. და თაყვანი მეცით!

მე კი მრცხვენია, დედაკაცი ტერფზე რომ მიფათურებს თითებს. და არა მხოლოდ იმის გამო, რომ თითები შეტყუპებული მაქვს. როგორც შემრცხვებოდა, ჯვარზე უნიფხვოდ რომ

ავსულიყავი. და არა მხოლოდ ასაკობრივი ცვლილებებით იმ ზონაში, რომელსაც ნიფხავი ფარავს.

შენ კი არ შეგრცხვენია. კაცობრიობის გადარჩენა გინდოდა, თანაც მთელი კაცობრიობისა, ჯანდაბას ხელი თავი, მთავარი კაცობრიობაა!

მაშინ მე სხვა შეკითხვა მაქვს. რატომ ერეოდა სანამ ჯვარზე გაგაკრავდნენ, ევედრებოდი მამაზეციერს, გეთსიმანიის ბაღში არ დაეშვა შენი წამება? "მამაო, შენ ყველაფერი ძალგიძს! ამაშორე ეს ხვედრი!"

კაცმა რომ თქვას, ისიც კარგი ვინმეა! ეს "მამა". არ აგაშორა! ერთადერთი შვილი არ შეგიწყალა! და არც არავინ იხსნა!

ანდა მეორე. შენ ამტკიცებდი, მშვიდობა და სიამტკბილობა მინდაო, თვითონ კი სახედარზე ამხედრებული წმინდა ტაძარში გამოცხადდი! და შფოთი ატეხე. ყველას უქადაგებდი, მიეტოვებინათ სახლები, დაევიწყებინათ ნათესავები და ხელში იარაღი აეღოთ. ისაო, კიდევ ერთხელ ვიფიქრე და მშვიდობა კი არა, მახვილი მოგიტანეთო.

თავდაპირველად იქნებ მართლა მახვილის მოტანა გინდოდა, შემდეგ კი მშვიდობის, რომლის მიღწევაც, მართალი ხარ, უმახვილოდ არ იქნება.

შეიძლება შენ უბრალოდ კი არ ბორგავდი და არ იცოდი, რა მოწოდებით მიგემართა ადამიანებისათვის, არამედ მუდამ იმისკენ მოუწოდებდი, რისადმიც მოცემულ მომენტში გაგაჩნდა კეთილგანწყობილება.

კეთილგანწყობილი კი ყოველთვის მხოლოდ იმისადმი იყავი, რის შანსიც არსებობდა. შეიძლება ფანატიკოსი კი არა, - როგორც ახლა წარმოგადგენენ, - არამედ შენც დიალექტიკოსი იყავი.

მშვიდობასა და სიყვარულზე კი მაშინ ალაპარაკდი, როცა მახვილით ვერაფერს გახდი. ანუ როცა მიხვდი, რომ მეფობას ვერ ელირსებოდი. იქნებოდი მხოლოდ უბრალო მოკვდავი. რაც თურმე შენ არასდიდებით არ გინდოდა. და მერმე მოიფიქრე - როგორ მოგეპოვებინა უკვდავება. საყოველთაო სიყვარული და საყოველთაო შერიგება.

არავინ იცის, ვინ რას ფიქრობს...

თუმცა მე მესმის შენი, როგორც არავის. მესმის შენი გულისთქმა.

შენც მოიღე მოწყალება: დაივიწყე წვრილმანები. მე არ შემიძლია ყველაფერს ვერ აგიხსნი. ახლა სხვა დროა. სხვა საზრუნავი გვაქვს. მელაპარაკე მთავარ, მარადიულ თემებზე.

მაგრამ იგი დუმდა, ჩარლი ჩაპლინის მსგავსად კინოლენტის ბოლოს ჩემი სიზმრებიდან უჩინარდებოდა და დაკლაკნილ რბილ გზას მიჰყვებოდა. ქათქათა ქიტონივით თეთრ გზას.

მე მას ვუცქეროდი და სიბეცისათვის ვაყვედრიდი. ადამიანთა შეფასების უუნარობას ვსაყვედურობდი.

თუმცა გალვიძებისთანავე ეხვდებოდი, რომ ის მართალი იყო: სისულელეა მოკვდავებთან უმთავრესზე ლაპარაკი. და ძნელიცაა. თუნდაც ოსტატები იყვნენ ისინი.

განსაკუთრებული სიცხადით მე ეს გავიგე ჩემი ერთი სხვა იუბილის დღეს. ოცდათოთხმეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელადი მამალს ბაძავდა...

ერთხელაც ნავახშმევს ვზივარ, სხვებიც არიან, ჩასვრილები, თამბაქოს ვაბოლებ და ნადიას ვიგონებ. მისი დაკრძალვიდან ზუსტად ორი წელია გასული.

იმაზე ვფიქრობ, მას რომ მოძღვარი სწამებოდა და არა ბუხარინი... და არა ის, ვისაც ყველა ჩვენი ჩასვრილი მოძღვარს უწოდებდა, არამედ იმის რწმენა ჰქონოდა, ვისაც ჩემთვის ამ სახელით თვითონ მოვიხსენიებდი... მოკლედ, რომ გადაეფურცლა მაინც ის წიგნი, მე რომ ვთხოვე, წაიკითხე-მეთქი, წიგნი ქრისტეს შესახებ, ახლაც ცოცხალი იქნებოდა.

და უცებ იგივე ბუხარინი ქაღალდს მაწვდის.

წავიკითხე, გამიკვირდა და ვკითხე, ვინ დაწერა-მეთქი? ჩემზე იყო დაწერილი, მაგრამ ჩემს გარდა, ყველას წაეკითხა. ჩასვრილებმა ერთხმად მიპასუხეს, ვილაც პოეტ მანდელშტამის დაწერილიაო; ანუ, თუ მას არ დაუწერია, მაშინ, ალბათ ამავე სახელის მქონე სხვა ვინმეს დაწერილია, ისიც პოეტი იქნებოდაო...

გამეცინა, და მაინც ეს მანდელშტამი გადასახლებული იყო. იქნებ სულაც სხვა მანდელშტამია გადასახლებული. ისიც პოეტი.

ეს ამბავი რომ გავიგე, გადავწყვიტე, გავბრაზებულიყავი: გადასახლება ხომ ადამიანის უპატივცემულობაა.

ადამიანის გადასახლება ნიშნავს, რომ იგი დაბრუნებას ვერ მიხვდება, ანდა ავყიაობას დაიწყებს იქიდან. ანუ ბოლოს და ბოლოს ეს ნიშნავს, რომ კაცი გააძევეს ქვეყნიდან.

მხოლოდ მე კი არა, ვხედავდი, რომ ბევრი მიხვდა ამას. ვერ ხვდებოდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ოსტატობა არ ჰყოფნიდა.

ეს მანდელშტამი კი... სხვათა შორის მნიშვნელობა არა აქვს, - ესაა თუ სხვა. მე იმ მანდელშტამს ვგულისხმობ, ლექსი რომ დაუწერია. ეტყობა, ის ოსტატი იყო. მიგნებულადაა დაწერილი. თუმცა შეცდომებიც დაუშვია.

როგორც კი გავბრაზდი, ჩასვრილებმა ჯაჯღანი ატეხეს. და არა მარტო ამ ძახილის ნიშანმა - ბუხარინმა! - ვინც ეს ქაღალდი შემომაჩეჩა.

თუ ამ მანდელშტამისადმი უფრო მკაცრ ზომებს მიემართავთ, შეიძლება მეტისმეტ სიფიცხეში დაგვადანაშაულონ, ხოლო

თუ უფრო შორს არ გავგზავნით, ვინემ გადასახლებაა, ეს უკვე ლიტერატურისადმი ჰუმანიზმისა და სიყვარულის გამოვლინება იქნებაო.

კიდევ ერთხელ გამეცინა, რომ მე, წარსულში, პოეტს, სანამ ესენი ჭუჭყიან საშოში ისხდნენ, მირჩევენ, პოეზიას პატივი ვსცე! მერედა, ვინ? ჩასვრილები, ვისაც [illegible] რითმაც არ შეუთხზავთ.

ბუხარინმა მოგვიანებით დაიწყო ლექსების წერა, ლამის სიკვდილის წინ, ისიც - ჩემზე. სიყვარულს მეფიცებოდა არამზადა, ეს ქალალდი კი, გამოდის, სიკვდილამდე ცოტახნით ადრე შემომიცურა, როცა აზრადაც არ მოგდის, რომ შეიძლება უცებ მოკვდე. ესე იგი, გულით შემომაჩეჩა, სიძულვილითა და ნიშნის მოგებით.

მაგრამ მე უკვე ოსტატი ვიყავი: არც მას და არც სხვებს ჩემი გაოცება არ გამოუწვევიათ, მხოლოდ ღიმილი მომგვარეს.

სამაგიეროდ პოეტებმა მომგვარეს არა გაოცება, არამედ ზიზღი.

დრო მიდის, მასთან ერთად ჭორიც ერცელდება, რომ პოეტ მანდელშტამს იქ უპირებენ გადასახლებას, საიდანაც ვერ ბრუნდებიანო. მიუხედავად დიდოსტატობისაო. პოეტები კი დუმან.

მე არ დავდუმდებოდი, თუ მივიჩნევდი, რომ ამ თუ სხვა მანდელშტამს არაფერი ესაქმებოდა იქ, საიდანაც ველარ ბრუნდებიან. გამოდის, პოეტებიც ისეთივე ჩასვრილები არიან, როგორც სხვები, და ერთმანეთისგან მხოლოდ ოსტატობით განსხვავდებიან.

ხოლო ისინი, ვინც პოეტი არ არის, თუმცა ჩასვრილები კი არიან, - ბუხარინით დაწყებული, ამ მანდელშტამს იმიტომ გამოესარჩლნენ, რომ კიდევ ორი ჭორი დარხეულიყო. ჯერ ერთი, რომ ისინი გამოესარჩლნენ, მეორეც - რომ მე შურისძიება მიყვარს.

ამიტომაც, ჰქვიაო ქართულად კობა. კობა კი მუდმივად შურისმაძიებელია და ცუდიაო. არც ის არის კარგი, რუსულად სტალინი რომ დაირქვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დათმობა არ უყვარსო. ჩავფიქრდი და მაგიდის უჯრიდან ის საძაგელი ქალალდი ამოვიღე. იმ დღეს სწორედ ჩემი დაბადების დღე იყო.

Мы живем, под собою не чуя страны.
Наши речи за десять шагов не слышны.
А где хватит на полразговорца,
Там припомнят кремлевского горца...

ლექსში ახლა საწყენი ან გაუგებარი ვერაფერი აღმოვაჩინე.

მე დღეს 55 შემისრულდა. და გამარჯვებული კაცი ვარ. გამარჯვებული მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ცოცხალი ვარ. მაგრამ გამარჯვება ბრძოლას ბოლოს არ ულებს. ბრძოლას ვერაფერი ულებს ბოლოს. ცხოვრებისეული ყოველი ახალი დღე არის ცხოვრებისათვის ბრძოლაში გამარჯვება. მაგრამ მტერს ჯერ ერთხელაც არ შეუწყვეტია ბრძოლა. ამიტომაც იხოცება ყველა.

თუმცა მტერს არავინ უნაწყენდება. მას ურტყამენ. და თუ ის ოსტატია, შენ უფრო დიდი ოსტატი უნდა იყო. აი, ეს მანდელშტამი სიტყვის ოსტატია, მაგრამ არა ისეთი, მისი შეცდომები ვერ შეევნიშნო. აქ კი უამრავი შეცდომაა დაშვებული.

ისე კი სწორად იწყებს: ჩასვრილები ქვეყანას ვერ გრძნობენ. შიშის გარდა, ვერაფერს გრძნობენ. მხოლოდ ეჩურჩულებიან ერთმანეთს. ისიც ძლივსგასაგონად.

არც ის მწყენია, "კრემლელი მთიელი" რომ მიწოდა.

მთა ვაკეზე უარესი როდია. არც უკეთესია. საქმე ის არის, ვის რა მოსწონს, მაგრამ ჩასვრილებისთვის "მთიელი" "იდიოტია" ან "ველური", და კიდევ უცხოტომელი - თუკი ჩასვრილები ვაკეზე ცხოვრობენ.

წინათ, სანამ "კრემლელი მთიელი" კი არა, უბრალო "მთიელი" ვიყავი, მე მათ ვეუბნებოდი, რომ მეგობრები სწორედ მთიელებისგან შეერჩიათ. მთიელებს მეგობრების გამოსარჩლება სჩვევიათ, თუნდაც მეგობარი პოეტი იყოს-მეთქი. და კიდევ, მთიელებისთვის ჩასვრილობა და უგრძნობლობა მიულებელია-მეთქი.

როცა ილიჩს ანდერძს ვუგებდით, კუბოსთან მივედი, მიმოვიხედე და ბელადს "მთის არწივი" ვუწოდე. თუმცა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ეს არწივი ჭკუიდან შეიშალა და მამალივით ყიოდა.

ამიტომ ბევრს გაუკვირდა, როცა ჩემგან გაიგეს, რომ ის მთის არწივი იყო. და იფიქრეს, რომ ჩემგან მწერალი ვერასოდეს დადგებოდა.

მაგრამ მაშინ უკვე მწერლობაზე კი აღარ ვფიქრობდი, მინდოდა, "კრემლის მთიელი" გავმხდარიყავი. და ამას არც ვმალავდი. თუმცა ამგვარ რამეს ვერც დაუმალავ იმათ, ვინც მთიდან არ ჩამოსულა, რომლებიც არც "იდიოტები" არიან და არც "ველურები". მით უმეტეს, რომ ბელადობა ყველას უნდოდა. მაგალითად, ტროცკისაც უნდოდა ბელადობა და თან მწერლად მოეჩვენებინა ყველასათვის თავი.

ბელადი მე გავხდი არა იმიტომ, რომ სისულელეებს ვჩმახავდი, ან ხანჯალს ვიქნევდი, არამედ იმიტომ, რომ მეტს ვმუშაობდი. არა საკუთარი თავისთვის. უფრო გონივრულად, ჭკვიანურად ვმუშაობდი.

ამიტომ იყო, რომ უმრავლესობა უკვე მეც "მთის არწივს" მეძახოდა, და არა უბრალოდ "მთიელს".

მე კი ჯერ კუბოში არ ვწევარ. კრემლში ვიმყოფები.

თუმცა მთები წინანდებურად მიყვარს. ან რატომ არ უნდა მიყვარდეს? კიდობანი სწორედ მთას მიადგა. და სწორედ კავკასიის მთას. და რომ არ მიდგომოდა, არა [illegible] ვაკე არ იქნებოდა, არამედ კრემლიც...

მოვალე სარჩელზე ძლიერია...

საღამოსათვის დავმშვიდდი. ვახშამზე კი ხოჯოს ულვაშში ჩაბუდებული ღიმილითა და გაპრიალებული ჩექმით ბუხარინს მივუტრიალდი:

- ბუხარინ, დღეს კიდევ ერთხელ გადავხედე შენს ქაღალდს. მანდელშტამის ლექსს. ოსტატურადაა დაწერილი. თუმცა შეცდომებიც დაუშვია. უბრალო მთიელი რომ ვიყო, იმ ოსტატს ვცემდი. მაგრამ, რაკი "კრემლის მთიელი" ვარ, არა მგონია, ავტორი უფრო შორს გადავასახლოთ. ქვეყანას ოსტატები სჭირდება. შესაძლებლობის ფარგლებში - ცოცხლები. მაგრამ რატომ არ ესარჩლებიან მეგობრები, კოლეგები, ოსტატები?

ბუხარინი დაიბნა. ჯერ არ დამიჯერა და მიპასუხა, მეგობრები იმასვე ფიქრობენ, რასაც მეო: ლანძღვა-გინება არც ერთ ოსტატს არ უნდა ეპატიოსო. ამას ყველანი დაეთანხმნენ: არავის უნდა ეპატიოს, განსაკუთრებით, თუ ოსტატი მტერიაო.

- მტერი უძლურია, - გავიღიმე მე. - თუ დავსჯით, შეიძლება გაძლიერდეს.

- მაგრამ თუ არ დავსაჯეთ? - შეშინდა მოლოტოვი.

- კიდევ უფრო ძლიერი გახდება. მაგრამ მეგობრად და იმ ოსტატად იქცევა, რომელმაც შეცდომები აღიარა. სწორად დაიწყო წერა და მტერი შეიყვარა.

მე ამ მანდელშტამს - საერთოდ არავითარ მანდელშტამს - არ შევხვედრივარ. მაგრამ შემდგომში მან მართლაც დაიწყო უშეცდომოდ წერა. უზარმაზარი პოემა გამომიგზავნა გადასახლებიდან. უფრო ზუსტად, ოდა. სათაურიც ასეთი მისცა - "ოდა სტალინზე".

თუმცა ეს პოემა ბოლომდე არ წამიკითხავს, უშეცდომოდ ვყავარ აღწერილი. სხვათა შორის, იმით დაუწყია, რითაც თამადა იწყებს: ჯერ საქართველოს მთებს უხდის მადლობას, რომ მე ჩემს ხელებსა და თითებთან ერთად მთებში ვიშვი:

И я хочу благодарить холмы,
Что эту кость и эту кисть развили:

Он родился в горах и горечь знал тюрьмы,
Хочу назвать его - не Сталин - Джугашвили.

ჭეშმარიტი ოსტატია. ყველაფერს ერთად მოუყარა თავი, - მიწიერი სივრცის შემცველ ჩემს ნაოჭებს, მთებსა და ველებს, გუშინდელს და ხვალინდელს. დღევანდელობის [illegible] ყოჩაღი ვინმე ჩანს: "не смолчу - что хочу, начерчу!" მომეწონა აგრეთვე ალიტერაციებიც: "будет-будить", "очи-чернорабочей ночи"...

მაგრამ ახლა ალიტერაციებზე როდი ვლაპარაკობ, არც მანდელშტამზე. არც იმაზე ვაგრძელებ სიტყვას, რაც უკვე გიამბეთ. მე გეუბნებით, რომ ქრისტე მართალი იყო, როცა ჩემთან საუბარი არ ისურვა უმთავრესზე...

მე ხომ ადრე მოკვდავი ვიყავი.

...ვახშმის დასასრულს განკარგულება გავეცი, ტელეფონით რომელიმე იმ მეგობართან დავეკავშირებინეთ, რომელიც აგრეთვე ოსტატი იყო.

- ამხანაგო პასტერნაკ, - ჩავძახე მილაკში, - ჩვენ აქ ამხანაგებთან ერთად თქვენი მეგობრის საკითხს ვიხილავთ, ამხანაგ მანდელშტამის საკითხს, მაგრამ თქვენ ნუ შეშფოთდებით, და გადაეცით მის ამხანაგებს, ნურც ისინი შეშფოთდებიან. მისი საქმე კარგად იქნება. უფრო ზუსტად, ძალზე ცუდად არ იქნება.

სხვათა შორის, უფრო ადრე მე პასტერნაკიც დავიცავი, რომლის გაფუჭებაც უნდოდათ. მან იცოდა, რომ პოეტები მებრალებოდა. მაგრამ ახლა დუმილი არჩია, მერმე კი დარწმუნება დამიწყო, ამხანაგი მანდელშტამი ჩემი არც ამხანაგია და მითუმეტეს არც მეგობარი, უბრალოდ კოლეგაა.

- კი მაგრამ, ის ხომ უბრალო კოლეგა არ არის, ამხანაგო პასტერნაკ? ისიც ხომ თქვენსავით ოსტატია?

პასტერნაკმა არც ეს აღიარა:

- საქმე არც ეს არის, ამხანაგო სტალინ.

- მაშ რა არის? - გავიოცე მე.

ის კი ხელახლა დადუმდა.

- რა არის-მეთქი, ამხანაგო პასტერნაკ? - შევუტიე მე.

- თქვენთან შეხვედრას ვისურვებდი, ამხანაგო სტალინ.

- რისთვის?

- სალაპარაკოდ.

- უკვე ვილაპარაკეთ. რის შესახებ გინდათ კიდევ საუბარი?

და უცებ მეუბნება:

- სიკვდილ-სიცოცხლეზე.

ჩემი სტუმრების სახეები შევათვალიერე, მერმე ჩემს სახეს დავაკვირდი წიგნის შუშის კარადაში. ამოვიოხრე და ყურმილი დავახეთქე.

მეგობრებს სუნამოს ან შარფს ჩუქნიან და არა გონორეას...

მოძღვარიც ზუსტად ასე მექცეოდა, - ოხრავდა და ყურმილს მიხეთქებდა ხოლმე. უფრო ზუსტად, დუმდა და თეთრი ბილიკით თანდათან მშორდებოდა. მე კი ბალახში ვიჯექი და სევდიანი მზერით მივაცილებდი.

და ყოველთვის სულში იგივე გრძნობა მიცოცხლდებოდა, როგორიც მამაჩემის დასაფლავების დღეს. არა უბრალო დაუცველობისა, არამედ ობლობისა.

მამაჩემის მეგობრებმა საფლავთან არ მიმიშვეს. მიაჩნდათ, პატარა ხარო. მხოლოდ სასაფლაოს ზღურბლის გადალახვის უფლება მომცეს - და მითხრეს, აქ დაგველოდეო. მამაჩემის კუბო კი თეთრი ბილიკით გორაკისკენ წაიღეს, სასაფლაოს ბოლოსკენ, სადაც ღარიბ-ღატაკებს ასაფლავებდნენ.

და უკან დიდხანს, დაღამებამდე არ დაბრუნებულან. მამაჩემი მიწაში ჩაუგდიათ და, როგორც მიღებულია, სმა დაუწყიათ. მე კი დავეიწყებივართ. ვიდრე ისინი ცარიელი კუბოთი დაბრუნდებოდნენ, მე ბალახში ვიჯექი და ჭრიჭინობელებს ვუსმენდი. გული გამისივდა და ყელში მომებჯინა. ცრემლმა ამივსო გულ-მუცელი. მებრალებოდა მამა.

და ცოცხლებზე ვიყავი გაბრაზებული. იმიტომ, რომ ისინი ცოცხლები იყვნენ, მამაჩემი კი მკვდარი.

უფრო მეტად დედაზე ვიყავი გაბრაზებული. იმიტომ, რომ მამას უხეშად ეპყრობოდა.

ვბრაზობდი საკუთარ თავზედაც, რადგან მინდოდა, მამა მომკვდარიყო, როცა დათვრებოდა და მცემდა. თუმცა როცა ფხიზელი იყო და სამუშაოდ მეზობელ სოფელში მიმავალს თან მივყავდი, მასთან ყოფნა მსიამოვნებდა, თავი ძლიერ ადამიანად მიმაჩნდა.

მამაჩემის შემდეგ შორს მიმავალი ბილიკი მუდამ მიტოვებულის გრძნობას აღმიძრავდა ხოლმე.

და ყოველთვის, როცა ჩემს სიზმრებში მოძღვარი თეთრ, დაკლაკნილ ბილიკზე უჩინარდება ხოლმე, ჭრიჭინობელების ჭრიჭინი მესმის, როგორც სასაფლაოზე.

ხანდახან ისინი ისეთი დაჟინებით წკრიალებენ, როგორც ტელეფონი განსაკუთრებულ დღეებში.

მაგალითად, როგორც სმოლნიში, თანაც იმ დღესაც კი არა, როცა მოსახდენი მოხდა და ბელადმა გამარჯვება ჩლიფინით გვაუწყა. ყველაფერი ისე ადვილად მოხდა, თვითონაც გაოცებული დარჩა.

რევოლუციაში კი მთავარია არა მისი ხორცშესხმა, არამედ მეორე რევოლუციის არდაშვება. და ეს იმაზეა დამოკიდებუ-

ლი, ვინ შეგყავს ხელისუფლებაში. ბელადის გული კი ამგვარ საკითხში გარკვეული იყო.

ამიტომ ტელეფონები სმოლნიში განსაკუთრებული ძალით აწკრიალდნენ, როცა მან სიის შედგენა დაიწყო. თვით ტროცკისაც კი ეეჭვებოდა, რომ იმ სიაში მოხვდებოდა. [illegible] ყველი დღე, ყოველი შემთხვევისთვის, ყველას შესჩიოდა, [illegible] არისო, და აგრეთვე - უამრავი ვინმე მირეკავსო.

თუმცა მას ძირითადად უცხოელები ურეკავდნენ, უმთავრესად მჯდაბნელები. იმიტომ, კი არ ურეკავდნენ, რომ მან იცოდა მთავარი რამ - მათი ენები, არამედ იმიტომ რომ უცხოელებმა იცოდნენ მთავარი: ლეიბ დავიდოვიჩი მზად იყო, დიდ პრესასთან თვით ჯოჯოხეთშიც ელაყბა. რასაც ახლა აკეთებს კიდეც. მისდამი მიმართული ერთ-ერთი ზარი მაშინ ჩემთან შემოიყვანეს, რადგან დიდ ორატორს არ ეცალა, ფახიფუხობდა ვიღაც იანკის წინაშე, რომელმაც შემდეგ დაწერა, ტროცკიმ მაშინ ისევე ძლიერ შემძრა, როგორც იმ ათმა დღემ შეძრა მსოფლიოო.

მითხრეს, ვიღაც დედაკაცი რეკავსო პარიზიდან. ჯერ ვიუარე, ფრანგული არ ვიცი-მეთქი. რაში მჭირდებოდა ფრანგული? ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა და განა შეიძლება ენებზე მისი ფლანგვა?

მითხრეს, ქალი რუსულად ლაპარაკობსო. ვიღებ ყურმილს და ვარკვევ, რომ, თუმცა მამამისი ცნობილი რუსი თავადი ყოფილა - რეკავდა უცნობი ფრანგი მწერალი ქალის სახელით.

მაგრამ მედიდურად მელაპარაკება. ჩემი აქცენტი არ მოეწონა, ებრაულზე უარესიაო.

თუმცა ჩემს შესახებ სალაპარაკოდ არ დაურეკავს. ჩემთან საუბარი სურდა იმ ფრანგ მწერალ ქალზე, რომელიც ახლახან გახდა ლესბოსელი და მისი საყვარელი. მე მივულოცე შთამომავლობით თავადის ქალს, მაგრამ დავურთე, არ მცალია და ახლა უფრო მნიშვნელოვან ცნობებს ველოდები-მეთქი.

უფრო მნიშვნელოვანი ცნობები არ არსებობსო. არ დამეთანხმა დედაკაცი. და თავის მხრივ დაუმატა, ის მწერალი ქალი მთლად ლესბოსელი არ არის, დუალისტია და მელოტ კაცებსაც კი უგორდება საწოლშიო. შევთავაზე, ახლა იმ მწერალსაც მიულოცე ჩემ მაგივრად, მერმე კი ჯანდაბამდე გქონიათ ორივეს გზა-მეთქი.

და მაშინ ქალმა შეურაცხყოფა მომაყენა. შენო ან სულელი ხარ, ან უარესი - შენც ებრაელი ხარო.

რას ჰქვია შენც, შევცბუნდი მე, სხვას ვიღას გულისხმობ-მეთქი?

და მან ჩვენი ილიჩი დამისახელა.

უფრო სხვა დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი ჰქონია და იმიტომაც დაურეკავს. სამწუხაროდ, - მეუბნება იგი, - მწერალი ქალი ძალიან კარგად იცნობს თქვენს ილიჩს, ხვდებო-

და მას, როცა პარიზში ცხოვრობდა. მწერალი კი ლტოლვილ რევოლუციონერზე რომანს წერდაო. ხშირად ხვდებოდა, მაგრამ მის ნებას მხოლოდ ერთხელ დაჰყვა. მერმე კი ცივ უარს ეუბნებოდაო.

"რატომ?" - აღვშფოთდი მე.

გამოირკვა, იმიტომ კი არ დაშორებია, რომ ილიჩი ენაჩლექია იყო, ან როგორც მოგვიანებით გაირკვა, ცოლიანი გახლდათ. ანდა, ბოლოს, ილიჩისთვის ჩემთან მოსაუბრეს წაურთმევია, არამედ...

"თქვენმა ბელადმა, - მითხრა თანამოსაუბრემ, – ჩვენს მწერალ ქალს სენი გადასდო".

არა ბოლშევიზმის სენი, არამედ გონორეა. ბოლშევიზმის სენის გადადება ვერ შეძლოო.

მაგრამ უტიფრად მოიქცა: უარს აცხადებდა, ამტკიცებდა, ჯანმრთელი ვარო, მაგ მწერალ ქალს სენი სხვა რევოლუციონერმა გადასდოო, არა, რევოლუციონერმა კი არა, ვიღაც ვიგინდარამ. ჰოდა, თქვენმა ბელადმა ყოველგვარ მატერიალურ ანაზღაურებაზე უარი თქვაო.

"მართალია, - მივუგე მე. - იგი სავსებით ჯანმრთელია. მწერლისთვის კი ვიგინდარას გადაუდია სენი. ჰოდა, მშვიდობით, თორემ დაგაგვიანდათ, სადაც მე გაგაგზავნეთ".

თუმცა ქალმა კიდევ იპოვა დასამატებელი რამ. თქვენმა ბელადმა, მწერალ ქალს უამრავი ბინძური წერილი მოსწერა, რომლებიც სავსეა გრამატიკული შეცდომებითა და სკაბრეზული წერილმანებით. ისინი ბურჟუაზიას სულაც არ ეხებაო.

აქ ლაპარაკია არავაგინალურ ურთიერთობაზეო.

"როგორ ურთიერთობაზე?" - გავიოცე მე. და იგი პარიზიდან მიმეორებს იმ სიტყვას, რომელიც მაშინ არ ვიცოდი. და მე ეს გულახდილადაც ვუთხარი. მართალია, დარცხვენით, მაგრამ მაინც ამიხსნა, რასაც ნიშნავდა ეს სიტყვა. გამიმეორა, რაკი მამაჩემი ცნობილი აზნაური იყოო. და შემდეგ, თითქოს აქ არაფერიო - დამიწყო ამ წერილების ნაწყვეტების კითხვა. ქალმა გამაფრთხილა, რომ თარგმანში ყველაფერი უფრო რბილად ჟღერდა, მაგრამ, თუმცა მამაჩემი უბრალო მეჩექმე იყო, მეც კი შემრცხვა.

დიდხანს ვვაჭრობდით. მაგრამ მოვახერხე დამერწმუნებინა, რომ სკანდალიდან დასახსნელი ფული ჩვენს ხელისუფლებას არა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ ხელისუფლება არა გვყავს-მეთქი. როცა ხელისუფლება გვეყოლება, ფულიც გვექნება და თქვენი მწერლის განაწყენებას ვერ გავბედავთ-მეთქი. თუკი ხელისუფლებაში მეც შემიყვანეს, გულს არც თქვენ დაგწყვეტთ და ორივენი ერბოში იცურავებთ-მეთქი, არა ვაგინალურად.

ასეც გამოვიდა. მე სიტყვას არასოდეს ვტეხ. ქალისთვის, რომელიც მე მელაპარაკა, ცხადია, არაფერი გადაგვიხდია, რადგან მამა დიდებული გვარიშვილისა ჰყავდა. მწერალს იმ დღემდე

უხდიდნენ პენსიას, სანამ კრუპსკაია გადაწყვეტდა ამ ქვეყნიდან წასვლას და ბელადთან დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, რომ ილიჩი მკვდარი თითქოს ჩვენთან იყო.

კრუპსკაიას მე ვეჯავრებოდი! ტროცკისაც ჩემზე მაღლა აყენებდა. ხომ წარმოგიდგენიათ რა დაემართებოდა მის ბაზედოვით დაავადებულ თვალებს, იმ აზნაურ დედაკაცს, [illegible] ლენიბასთვის რომ დაერეკა!

მაგრამ, ეტყობა, ბელადმა თავისი სია კრუპსკაიას დაუმალა, რის შესახებაც გიყვებით კიდეც. დიახ, ილიჩმა თხუთმეტი მინისტრის სია'ში შემოყვანა!

და მისი ცოლისადმი გულისხმიერებისთვისაც მადლობა გადამიხადა. შენ ის იარას გადაარჩინეო. თუმცა მე სახელმწიფო გადავარჩინე 'შერცხვენას, და არა ეს სულელი დედაკაცი.

და არც ბელადი გადამირჩენია. რომელიც ბოლო ხანებში არა თუ მხოლოდ ყიოდა, არამედ ცოლის ნათქვამსაც იჯერებდა. ცოლმა კი ჩემზე ბევრი საძაგლობა ჩაუკაკანა. თითქოს მისდამი უყურადღებო ვიყავი. და ილიჩი აიფხორა: "ამის უფლებას არ მოგცემთ!" მე ბელადი ვარ, ის კი ინტიმური მეგობარიაო! მაგრამ მეგობრებს ხომ სუნამოს ან შარფს ჩუქნიან და არა გონორეას.

შეიძლება ქალებისადმი დიდად გულისხმიერი მართლაც არ ვიყო, მაგრამ, არც პირველ ცოლთან, არც მეორესთან არავითარი არავაგინალურის უფლება თავისთვის არ მიმიცია. ვალუჩკასთანაც კი - მხოლოდ დღეს ჩავიდინე ეს. მაგრამ ამაზე უკვე დავწერე, ახლა კი იმას გიყვებით, რომ მიმავალი გზა ჭრიჭინობელების ჭრიჭინს მაგონებს, ჭრიჭინი კი - იმ განსაკუთრებულ დღეებში ტელეფონების რეკვას.

ის დღე კი ჩემს სიცოცხლეში ერთ-ერთი მთავარი დღე იყო. თუმცა უკვე ოცდაჩვიდმეტისა გავხდი. და სწორედ მაშინ მივიღე პირველად სამუშაო. თუ არ ჩავთვლით თბილისის ობსერვატორიაში მუშაობის ოთხ თვეს. რასაც მე არაფრად მივიჩნევ. რამეთუ მე ვარსკვლავების საჭვრეტად არ ვიყავი გაჩენილი.

მერმე იყო სხვა მნიშვნელოვანი დღეები და სხვა ზარები. ჭრიჭინობელების ჭრიჭინს რომ მაგონებდა. მათ შორის მაშაჩემის დაკრძალვასაც. და გზას, რომელიც არსაით მიდიოდა. და მაგონებდა ბურუსში გაუჩინარებულ ქრისტეს, რომელსაც სუფთა, ქათქათა ქიტონი ეცვა.

სიფხიზლე უსარგებლო ღირსებაა...

მაგრამ იმ საიუბილეო საღამოს, როგორც უკვე გითხარით, მაიორის საძხრეებით იგი პირველად მომეელინა. არ ჩქარობდა ჩემგან წასვლას. მთავარზე სიტყვა თვითონ ჩამომიგდო.

სამყაროს დასასრულზე დაიწყო საუბარი.

ეტყობა, ჩემი იუბილის გამო დამდო პატივი. ან მწერალ ლეონოვის სიტყვამ ალაშფოთა. დადგა ჟამი, როცა დროის ათვლა თქვენი დაბადების დღიდან უნდა დავიწყოთო.

შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს, ჩემთან დიდი საუბრის გამართვა გადაწყვიტა. სხვას ვისლა უნდა დალაპარაკებოდა? მეორეც - თვითონ ხომ მეფე ვერ გახდა, ჩემგან განსხვავებით. სამსახურშიც მაიორობას მიაღწია. ესეც ჩემგან განსხვავებით.

ხოლო მე - ის ამას ხედავს - უბრალო მეფე არა ვარ. თუმცა არც თვითონ არის უბრალო მოძღვარი. მას ვერ უტოლდებიან სხვა მეფეები და მარშლები.

ამიტომ შემოვიდა ჩემთან დაუკაკუნებლად. ჩემი "ყაზბეგი" გააბოლა. ჩემს სავარძელში ჩაესვენა და ზურგით მარშლის ვარსკვლავებიან ჩემს ახალ კიტელს მიაწვა.

და სრული ჭეშმარიტების გამოსათქმელად სიტყვები გადმოაფრქვია.

როცა საუბარში მრისხანების თასებამდე მიაღწია, და მეც წამოვხტი და ხელგაშლილი გავეშურე მისკენ, მე გამაოცა არა მხოლოდ მისმა გამომეტყველებამ. არა მხოლოდ ქიტონზე დაბნეულმა სამხრეებმა და კვრინჩხის გვირგვინის ნაცვლად ვარსკვლავიანმა ქუდმა, თავზე რომ ეხურა.

უფრო უადგილოდ მეჩვენა ჭრიჭინობელების ჭრიჭინი. არა მოულოდნელი და მკვეთრი, არამედ უადგილო. რამეთუ მოძღვარს ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლია. მაგიდასთან იჯდა და დაკლაკნილი ბილიკიც არსად ჩანდა.

- დაკლაკნილი ბილიკის გარეშე სად უნდა წახვიდე? - შევშფოთდი მე.

- როგორ შეიძლება?! - მპასუხობს. - არსად მივდიოვარ, ამხანაგო სტალინ!

- მაშ რატომ ჭრიჭინებენ ჭრიჭინობელები?

- ესენი ჭრიჭინობელები არ არიან, - მეუბნება მაიორი და შუბლზე ქუდს ისწორებს, რომ კვრინჩხის ქაცვმა არ დაჩხვლიტოს. - ეს ტელეფონია.

და ძილშივე ვგრძნობ, რომ ეს მხოლოდ სიზმარია. და არც არავითარი მოძღვრის სახიანი მაიორი! არავითარი მაიორი! მხოლოდ სიზმარია! სინამდვილეში არც გვირგვინია, არც ქუდი! არც ჭრიჭინობელები, არც ტელეფონი!

თუმცა გვერდი ვიცვალე და მხრით ყური დავიფარე, ჭრიჭინობელები მაინც განაგრძობდნენ გნიასს. ზუსტად ისე ჭრიჭინებდნენ, როგორც სასაფლაოზე, როცა მამაჩემი მიჰყავდათ ჩემგან. როგოც ბალახში თეთრი გზის პირას ჩემგან მიდიოდა ქრისტე.

შემეშინდა საკუთარი თავის გამო. ძალა მოვიკრიბე და უკან წავლასლასდი. სიზმარს თავი დავაღწიე.

ჩემი დივანი დავინახე. ზედ მე ვიწექი. ქვედა საცვალი მეცვა. ვიგრძენი, ხელი დამბუჟებოდა. გავიგონე, ხმამაღლა წკრიალებდა ტელეფონი. და გამახსენდა, რომ სამოცდაათი წლისა ვარ. რომ სამოცდაათი წლისანი დივანიდან ჩვეშა-ოხვრით დგებიან. და, მიუხედავად ასაკისა, უნდათ, დედას შესჩივლონ, რა არის, რომ არ მაძინებთო.

- ამხანაგო სტალინ, ბოდიშს ვიხდი, მე ორლოვი ვარ! - მითხრა ორლოვმა.

- რატომ ორლოვი? - ჩავიბუტბუტე მე. - ლოზგაჩოვი სად არის?

- ის... ხომ ნახეთ... კიდევ დაუმატა და... ზეიმია...

- გამოდის, ყველაზე ფხიზელი ისევ შენა ხარ?

- ერთადერთი ფხიზელი ვარ, იოსიფ ვისარიონოვიჩ!

- სიფხიზლე უსარგებლო ღირსებაა, ორლოვ! განსაკუთრებით, - როცა ის ერთადერთია.

- ვიცოდი, რომ გეძინათ, ამხანაგო სტალინ. ძალიან დიდ ბოდიშს გიხდით... მაგრამ ახალი ამბავია.

- თქვი!

- ჯერ ერთი, სტუმრები უკვე მოვიდნენ. ამხანაგი მაო მობრძანდა, თან ერთი თარჯიმანი მოჰყვა...

- უთხარი, ადრე მოსულხარ-თქო.

- იცის, მაგრამ მითხრა, ადრე განზრახ მოვედიო. იმედი აქვს, სხვა სტუმრების მოსვლამდე თქვენთან გასაუბრებას მოასწრებს. მნიშვნელოვან რამეზე უნდა ვესაუბროო.!

- იდიოტი ხარ, ორლოვ. ჩემთან იმიტომ კი არ მუშაობ, მაოს დაემორჩილო, არამედ იმისთვის, რომ მაომ ვერ გამაღვიძოს.

- იმიტომ კი არ გაწუხებთ, ამხანაგო სტალინ, არამედ იმიტომ, რომ... თქვენ თვითონ ბრძანეთ, ნებისმიერ დროს დამირეკეთ, თუ საქმე ითხოვსო.

მე ჩავცხრი.

- ახლა რომელია მანდ და ვინ ახლავს?

- ამხანაგი ბერიაა და ამხანაგი მოლოტოვი ახლავს.

- თუმცა მართალი ხარ, ორლოვ, რომ გამაღვიძე.

- გმადლობთ, იოსიფ ვისარიონოვიჩ. შეგაერთოთ?

- შემაერთე! მაოს კი უთხარი, სძინავს-თქო. ანდა თარჯიმანს უთხარი, იმანაც უთარგმნოს.

- გასაგებია, ამხანაგო სტალინ, მაგრამ რატომ "იმანაც"? კიდევ ვინ არის?

- შენა ხარ. შენც ხომ უნდა თარგმნო.

- მე სიტყვებს კი არ ვთარგმნი, ხაზი გადამყავს.

- ისე გითხარი, გეხუმრე.

- ხა-ხა-ხა! - გადაიხარხარა ორლოვმა.
- კიდევ, აი რა!
- დიახ, იოსიფ ვისარიონოვიჩ!
- ელასიკმა დარეკა?
- დარეკა... მაგრამ...
- ჰო, თქვი! რას ინაზები?
- ისიც ცოტა ისაა... ცოტა გადაკრულშია...
- რატომ "ისიც"? სხვა ვიღაა?
- ლოზგაჩოვივით... ხომ იცით, ზეიმი გვაქვს, ამხანაგო სტალინ...
- თქვი!
- მითხრა, მოახსენე ამხანაგ სტალინს, ვიპოვე და მომყავს... მაგიდისკენ, ისაო... როგორ გითხრათ...
- მითხარი, როგორც გითხრა!
- მაიორი ქრისტე მომყავსო... იესო, ამხანაგო სტალინ...
- დიდებულია, ორლოვ!
- მართლა?
- დიახ. გადაიყვანე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდაზმულობა გემოვნების საქმეა...

ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ლავრენტი აფხაზეთში, რიწის ტბაზე, გლისერით მასეირნებდა. და მიამბობდა, თუ მთელ საქართველოში ერთ კვადრატულ კილომეტრზე სამჯერ მეტი აზნაური მოდის, ვინემ მთელ მსოფლიოშიო, აფხაზეთში იმავე ერთ კილომეტრზე ხუთჯერ მეტი ხანდაზმული მოდისო.

ბერია მარწმუნებდა, ამ უკანასკნელთ მიბაძე და შენც დიდხანს იცოცხლეო.

- განა შეიძლება ძალიან დიდხანს ცხოვრება? - ვეხუმრე მე.

- აუცილებელია! - თავისას არ იშლიდა ბერია. - თუმცა ხანდაზმულობა გემოვნების საქმეა.

- ე.ი. შენ ამბობ, აფხაზები დიდხანს სიცოცხლეს ამჯობინებენო?

- ასი და უფრო მეტი წელიწადი!

- არამუსულმანებიც? - სერიოზულად ვკითხე მე.

- ხუმრობთ? - ვერ გამიგო ლავრენტიმ.

- აფხაზები ხომ მუსულმანები არიან. წელიწადში ისინი ათ თვეს ანგარიშობენ. ჰოდა, იმიტომაც გამოდის "ასზე მეტი".

- მაგრამ ხანდაზმულები ქრისტიანი აფხაზებიც არიან! - თავდებობა იკისრა ლავრენტიმ. - ვინც წელიწადში ოორმეტ თვეს ითვლის!

- ათეისტები? ბოლშევიკები?

- ჯერჯერობით უცნობია, - გაიცინა მან.

- რატომაა უცნობი? ლაკობა ვინ იყო ცნობილია? ბივუტრიალდი მეორე ქართველ ბოლშევიკს, რომელიც ლავრენტისთვის აფხაზურ ლეღვს კანს აცლიდა. - ვინ იყო ნესტორ ლაკობა? ბრაზილიელი ბოლშევიკი თუ ჩინელი?

ამ მეორემ მღელვარებისგან წვნიანი ნაყოფი თითებით გაჭყლიტა:

- არა, ამხანაგო სტალინ. ლაკობა არც ბრაზილიელი ბოლშევიკი ყოფილა და არც ჩინელი, ის აფხაზი ბოლშევიკი იყო! თანაც ლიდერი!

- ლაკობა არა მხოლოდ აფხაზი და "ლიდერი" ყოფილა, - გაუსწორა მას ლავრენტიმ. - ის მტერიც იყო!

- განა შეიძლება, ლიდერი მტერი იყოს, ლავრენტი?

- შეიძლება! - უკან არ დაიხია მან. - სხვა ლიდერის მიმართ. მთავარი ლიდერის მიმართ.

- მაშ რა გამოდის ამ შემთხვევაში? - გამეცინა მე.

- ამ შემთხვევაში, იოსიფ ვისარიონოვიჩ, - გაიღიმა მანაც, - ის, ვინც მთავარი ლიდერი არ არის, დიდხანს ვერ ცოცხლობს, ის ას წელზე ნაკლებს ცოცხლობს. თუნდაც აფხაზი იყოს, ლაკობასავით.

მე სახიდან ღიმილი გავიქრე და დავასკვენი:

- თუ ლიდერი მტერია, ლავრენტი, მაშინ იგი "ლიდერი" და "მტერი" კი არა, უბრალოდ, მტერია. და არა სხვა ლიდერის მტერი, არამედ ხალხის მტერი. ხოლო თუ ის ხალხის მტერია, ლიდერობას ხალხივე ჩამოართმევს.

- და არა მხოლოდ ლიდერობას! - თავი დამიქნია ლავრენტიმ და წყლის შხეფებისგან სახე ხელით დაიფარა. - სიცოცხლესაც! - ეს სიტყვები თქვა და ერთბაშად სროლა ატყდა.

სროლა ხმაურიანი იყო, უხუსტო, მით უმეტეს, მე თუ მიმიზნებდნენ.

მოხვედრით კი ლავრენტის მელოტი თავი მომხვდა, მუცელში მაძგერა. მეც გლისერის ფსკერზე გავიშოტე. ლავრენტი და აფხაზი ბოლშევიკები ერთად დამაწვნენ მკერდზე. ასე ვიწექი მანამ, სანამ მტრებმა ჩვენკენ უთავბოლო სროლა არ შეწყვიტეს.

იქნებ სხვა მხარეს ისროდნენ. საქმე ეს არ იყო. საქმე არც ის იყო, რომ შეიძლება მტრები არც ისროდნენ და ეს ტკაცატკუცი თვითონ ლავრენტიმ მოაწყო, რომ ბოლშევიკე-

ბითურთ მკერდზე გადამფარებოდა, სულაც ბრმა ტყვიებისგან დასაცავად.

საქმე არც ის იყო, რომ სწორედ მაშინ გადავწყვიტე მისი საქართველოდან მოსკოვში გადაყვანა. საქმე ის იყო, რომ კარგი მხატვარი, ანუ ოსტატი ცხოვრებას წინ უსწრებს. დავუშვათ, რომ ლავრენტიმ რიწაზე მართლა [illegible] გაითამაშა. ამით მან მარადიული ჭეშმარიტება გამოხატა. მტრები, სამწუხაროდ, ყველგან იმალებიან. მან კი ამ ამბავს დრამატული ხასიათი მიანიჭა.

რიწის ამბავს ლავრენტი ხშირად იხსენებდა. სულ ბოლოს შარშან, წლის დასაწყისში გაიხსენა.

"იოსიფ ვისარიონოვიჩ, - მითხრა მან. - გახსოვთ მაღალმთიანი რიწა? გახსოვთ, მიუხედავად მისი მაღალმთიანობისა, იქ სროლა რომ აგიტეხეს? მადლობა ღმერთს, ჩუბინად ვერ ისროდნენ, მაგრამ მტერი არ თვლემს, იოსიფ ვისარიონოვიჩ! და რამდენჯერაც ხელი მოეცარება, უფრო სრულყოფილი გახდება!"

თავადაც ვგრძნობდი, რომ საქმე კარგად ვერ იყო. გარშემო საოცარი სიწყნარე სუფევდა. სიწყნარე იმიტომ არის, რომ მტერია ძალზე მაღლაა ასულიო, მითხრა ლავრენტიმ, - იმავე სიმაღლეზეა რა სიმაღლეზეც რიწის ტბაა გაწოლილი ზღვასთან შედარებით. უფრო ზემოთ კი მტერის სამიზნე მწვერვალია მხოლოდო.

ეს ცნობა ლავრენტის ამერიკიდან მიუღია, სადაც გადაუწყვეტიათ, დროა, საბჭოეთში ყველაფერი კარდინალურად შეიცვალოს, ბუნებისგან წყალობას არ უნდა ველოდოთ, რამეთუ გამორიცხული არ არის, სტალინმაც აფხაზ ხანდაზმულებს მიბაძოსო.

ლავრენტის სიტყვით, ერთ-ერთი ჩემი ჩასვრილი ამერიკას დათანხმებია, ბუნებას მოწყალება უნდა გამოვგლიჯოთო, ანუ სასწრაფოდ უნდა მოეხდინათ ჩემი რეპრესირება.

თანაც სიკვდილის შემდეგ ხალხთან დაულაპარაკებლად.

"ეს სასაცილოა!" - გავიცინე მე და ხელი ჩავიქნიე - ნეტავი როგორ მიპირებენ რეპრესირებას?

ბევრ წიგნს კითხულობდა და პრინციპიც ბევრი ჰქონდა...

ერთი თვის შემდეგ, რასაკვირველია, კვლავ გავიცინე და ლავრენტის ვკითხე, არის თუ არა რაიმე ახალი ცნობები ოკეანის

გალმიდან-მეთქი. არისო, მიპასუხა მან, მაგრამ არა ცნობები, არამედ ხელსაწყოები, თანაც კარგი, ანუ პაწაწკინტელა და მგრძნობიარე ხელსაწყოებიო. მაპატიეთ, მაგრამ ჩვენი საამუ-ლო მიკროფონები არაფერია იმათთან შედარებითო.

კეთილი, ჩავიქნიე ხელი, ითამაშე-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო ნაკაშიძემ სწორად განსაჯა: ლავრენტის, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის გამო ეშინოდა, ჩასვრილებს ის ეჯავრებოდათ, რადგან მათზე ჭკვიანი და ნიჭიერი იყო. მაგრამ მისი მთავარი უპირატესობა სხვა რაღაცაში მდგომარეობდა. მან იცოდა, რომ ჩემი შეცვლა არ შეეძლო, უკიდურეს შემთხვევაში, ცალმხრივად მაინც, თანაც მანამდე ვერა, სანამ ქართველობა-ზე არ იტყვის უარს. მე კი ლავრენტის ვენდობი, რასაც არ უნდა ამბობდნენ მასზე.

დათიკო ნაკაშიძეც ცნობილი ჩეკისტია, მაგრამ არ იცის, ქართველიც რომ არ ყოფილიყო, ლავრენტის მაინც ვერ შეცვ-ლიდა. იგი სულელი რომანტიკოსია. მიკროფონების დაყენება კი ლავრენტიმ მას სხვა მიზეზით მიანდო. დათიკო მისი შორეულ-ი ნათესავია.

მე მას მაშინ ვიცნობდი, ნინველი რომ იყო. როცა თავისი დეიდის, ლავრენტის ბიძაშვილის სანახავად მოდიოდა. ის ჩვენ-თან მნედ მუშაობდა ნადიას შემდეგ.

ჩემს სვეტლანასთან დამეგობრებას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ზედმეტი დაემართა. თურმე ბევრ წიგნს კითხულობდა და ამდენივე პრინციპიც ჰქონია. და ეს პრინცი-პები სვეტლანასთვის გადმოულაგებია. მაგრამ სვეტლანას არც ერთი არ მოსწონებია. მაშინ მას სვეტლანასთვის განუცხადე-ბია, სრულიად სხვა პრინციპებიც გამაჩნიაო.

სვეტლანას მისი დეიდისთვის უთხოვია, ჩვენთან ნულარ მოვაო. ან გაამრავლოს და შეიცვალოს პრინციპებიო, თუმცა საქმე პრინციპები როდია, იგი საშინლად ოფლიანდება და მის ოფლს ხახვის სუნი დაჰკრავსო.

დათიკო ცდილობდა, ჩემთვისაც მოეწონებინა თავი. მაგრამ აქაც ზედმეტი მოუვიდა. ზეპირად მიკითხავდა ნაწყვეტებს ვალტერ სკოტისა და ბაირონის ნაწარმოებებიდან ინგლისურად. დღესაც ჰგონია, რომ ყველა ენაზე ვსაუბრობ. მე რომ დამინა-ხავს, ახლაც წითლდება. რაც მთავარია, ოფლად იღვრება.

ლავრენტიმ დისწულს უთხრა, მიკროფონებთან დაკავშირე-ბული ოპერაციის შესახებ მეც არაფერი უნდა ვიცოდე, თუ ერთმანეთს ვერ ვნახავთ, საიქიოშიაც კრინტი არავისთან დაძრაო.

იმის შიშით, ოპერაციის შემდეგ საიქიოში არ გამგზავ-ნონო, თუ თავის გამოჩენის მიზნით, ორლოვის მეშვეობით დათიკო დამიკავშირდა და ჯერ ის მიამბო, ჩემი ჩასვრილებიდან, რომელი "გაახმიანეს" მიკროფონებით და როგორ. მერმე კი, თუ ვინ უნდა "გაეხმოვნებინათ" და როგორ.

მე ხმას არ ვიღებდი. მხოლოდ მაშინ გავაწყვეტინე სიტყვა, როცა თქვა, არის წინადადება, ამხანაგ ჟდანოვს ინსტრუმენტი ჩაეკეროს ბეჭქვეშ, ვითომ გულის კაფსულა იყოს ან კაფსულასთან ერთადო, რადგან გულის სტენოკარდია სჭირს და ერთმა ექიმმა შემოგვთავაზა, მისთვის კანქვეშ ჩავნვათ ახალი პრეპარატი, როგორც ამერიკაში აკეთებენ.

"ეს ვისი იდეაა? - შევშფოთდი მე. -

"პირიქით, - თვალები გაუბრწყინდა დათიკოს, - ჩემი".

არ მინდოდა მეწყენინებინა მისთვის და ამ იდეას მიულებლად რომანტიკული ვუწოდე... მერმე კი ავუხსენი, - იძულებული ვიქნებით, ექიმებს ვენდოთ. ჯერ, ქირურგს, რომელიც ინსტრუმენტს ჩააკერებს, მალე კი, როცა ჟდანოვი მოკვდება - პათოლოგს, რომელიც გაჭკვეთს მას.

"რატომ ხართ დარწმუნებული, - მომიბოდიშა მან, - რომ ამხანაგი ჟდანოვი მალე დაგვტოვებს?"

მივუგე, რომ ამხანაგ ჟდანოვს კარგად ვიცნობ: იგი არა მარტო მთავრობის წევრია, არამედ ჩემი მძახალიცაა-მეთქი, ჩემი სიძის მამა.

მე მართალი გამოვდექი. ჟდანოვი მალე გამოგვეთხოვა თავისით, გარედან ჩაურევლად.

პანაშვიდზე მე და დათიკომ ერთმანეთს გადავხედეთ. მისი სათვალის მინებში ირეკლებოდა კუბო, რომელშიც ამხანაგი ჟდანოვი ესვენა, თვალებში კი ჩემი გამჭრიახობით გამოწვეული აღტაცება უბრწყინავდა. პასუხად უსიტყვოდ მოვუწოდე, მასაც მიეღწია იმ საიდუმლოებათა ამოცნობისათვის, რომლებიც გამოჩენილ ნათესავებს შეეხება.

მიმიხვდა, რასაც ვანიშნებდი, მაგრამ რატომღაც ეგონა, კიდევ უნდა დამემატებინა რაღაც. და, მეორე დილას, ორლოვის მეშვეობით შეეცადა ჩემს ნახვას. ორლოვმა, რასაკვირველია, უარი უთხრა, მაგრამ ჰკითხა, გამოჩენილი ბიძა "გახმოვანებულია" თუ არაო.

"დიახ, - გაუმხილა დათიკომ. - იმიტომ მოვედი, რომ მინდა ვთხოვო ამხანაგ სტალინს ნებართვა, აქ, აგარაკზე, ბიძაჩემის ხაზი გადმოვისროლო".

ორლოვმა სწორი პასუხი გასცა: ამხანაგ სტალინს არა აქვს დრო, ეს ხაზი მიიღოს, როცა შენ აქ გადმოისვრიო.

თუმცა გადმოსროლის ნება დართო. დაასაბუთა კიდეც თავისი გადაწყვეტილება: ყოჩაღ, ამხანაგო ბერია, უკვე ყველას უსმენს, საკუთარი თავის გარდა, ეტყობა, დრო არც მას აქვსო.

მაგრამ, ჩემი აზრით, ლავრენტი საკუთარ თავს არ ისმენდა არა იმიტომ, რომ დრო არ ჰქონდა, არამედ თავისთავს ენდობოდა, მე კი, მაგალითად, არ მენდობოდა. თვით მეც კი. მე საკუთარ თავსაც არ მნდობს. ამიტომ, თუმცა მისი დისწულის ხელშეწყობით, მე მას უფრო ხშირად ვუსმენ. ვინემ სხვა ჩასვრილებს, დარწმუნებული არა ვარ, რომ თვითონაც არ ისმენს ჩემს საუბარს.

კიდევ უფრო ნაკლებად მჯერა ისიც, რომ დისწულმა მართლაც ჩაუშვა ბიძა. დისწულები სხვადასხვანაირია. მათ შორის ისეთებიც არიან, ვისაც ჩაშვება არ ეხერხება.

ჩემზე ხმა დაირხა, საეჭვო კაციაო. მაგრამ მხოლოდ მე არა ვარ საეჭვო. არც მხოლოდ მე და ლავრენტი, არც ერთად აღებული ქართველები. მსოფლიო სავსეა ადამიანებით, ერთმანეთს-ლებიც, მაგალითად, როცა ხედავენ სხვისი ცოლის ლოგინთან მიპარულ მამაკაცს, გარკვეული ეჭვი უჩნდებათ. მართლაც, სინამდვილეში ხომ შეიძლება რომ ამ კაცს განზრახული ჰქონდეს, ქალს ქმარივით მიუწვეს გვერდით?

არც ის არის გამორიცხული, რომ დათიკო თავს ისე აჩვენებდეს, თითქოს ლავრენტის შეცვლაზე ოცნებობდეს. სინამდვილეში კი ესმის, რომ სანამ ქართველია, მას ვერ უშველის საკუთარი პრინციპების უქონლობაც კი. ანდა ვერც ის, რომ მათი გარკვევის სურვილი არა აქვს.

მაშასადამე, გამორიცხული არც ის არის, ბერიამ იცოდეს, რომ ხაზი ჩემთან არის გადმოსროლილი, აგრეთვე ისიც, რომ მე მას ვუსმენ. ამიტომ ყოველივე იმიდან, რასაც ის ამბობს, ძნელი გასაგებია, რას ამბობს იმისთვის, რომ ლაპარაკობს, და რას ლაპარაკობს იმიტომ, რომ მე ვუსმენ.

თუმცა, თუ ჩავუფიქრდები, ამის გარკვევა შეიძლება. ოღონდ დრო სჭირდება, მაგრამ საუბილეოდ დრო ბლომად დავზოგე. ამიტომ ვწერ ამ წიგნს.

ხოლო ცხოვრებას - საომარ იარაღს, როგორც რეგვენმა ვოროშილოვმა უწოდა მას, - მაშინ დავუბრუნდები, დანაზოგი დრო რომ ამომეწურება. როცა ცხოვრებას საომარ იარაღს უწოდებდა, ვოროშილოვს ეგონა, ვხუმრობო. კავკასიურად ეხუმრობო (რატომაც არა? რატომ არ არის საომარი იარაღი?) თუ ებრაულად (თუმცა ვინ იცის, შეიძლება მართლაც იარაღია, მაგრამ არა საომარიო?).

თუმცა მან ზუსტად მოახვედრა. ცხოვრება იარაღია, რომელთან ერთად მიდიხარ ომში სიკვდილისა და სხვა მტრების წინააღმდეგ. და მე ამ იარაღს მივუტრიალდები ნაახალწლევს. მეტი ლოდინი საშიშია. უკვე ყოველმხრივ გვიტევენ.

ჯეშმარიტება ღვინოში კი არა, სომხურ კონიაკშია...

სომხური კონიაკი ჩერჩილსაც დავალევინე. თანაც ვუთხარი, არარატი მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი მთაა, თითქმის ისე, როგორც ყაზბეგი-მეთქი.

როცა ღმერთმა ადამიანებს გაუთავებელი სიხაძაგლისა და მუდმივი აშლილობისათვის წარღვნა მოუვლინა, ადამიანთა მოდგმა არარატმა იხსნა - მან შეიფარა ადიდებულ წყალში მოცურავე კიდობანი ერთადერთი წმინდანითა და მშვიდობის მოყვარული ადამიანით, გადაარჩინა იმ იმედით, რომ ნოეს შთამომავლები უფრო წესიერი ხალხი იქნებოდა და შეწყვეტდნენ ერთმანეთის განადგურებას.

ეს მთა რომ არ ყოფილიყო, აღარც ჩვენ ვიქნებოდით, შთამომავლები. ჰოდა, ეუთხარი ჩერჩილს, ვეღარ ვიომებდით, როგორც მოკავშირეები-მეთქი.

"ო, იეს! მთას გაუმარჯოს!" - ჩქარობდა სქელუა ჭიქის დაცლას! - ჰო, მთას გაუმარჯოს! ვითომ არარატს გაუმარჯოს ყაზბეგთან ერთადო! - და ჭიქას ფაშვში აპირქვავებდა.

ჩვენგან რომ გაემგზავრა, ლონდონში კონიაკი "არარატი" გავუგზავნე. ლავრენტი ხუმრობდა უფრო მაღალი მთის ყაზბეგის მცხოვრებთა სურვილის გათვალისწინებით მთაც ხომ არ გაგვეგზავნა თავის ხალხიანადო.

თავდაპირველად მისი სიტყვები ჩახველებით ჩავახშე, შემდეგ კი მზერით გავყინე, რითაც ამავე დროს მივანიშნე, თუ კიდევ ერთხელ აგდებულად მოიხსენიებ სომხებს, სწორედ შენ გადაგასახლებ, თანაც არა ლონდონში და არც ყაზბეგზე, არამედ იმავე არარატის მთაზე, რომ იქ მომავალ წარღვნამდე გაიყინოთ-მეთქი.

მოგვიანებით ისეთ გამომეტყველებას ვიღებდი, თითქოს არარატის გამო ლავრენტიზე ძალიან განაწყენებული ვიყავი. თუმცა ყოველთვის, როცა წარმოვიდგენდი ამ მთის დასავლეთში დეპორტაციას, პირიქით, გაცინება მინდოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი: თავის ქეიფზე ვინ ცხოვრობს-მეთქი?!

ამ სქელუასათვის სომხური სითხის გაგზავნა ლონდონში არ მინდოდა, მაგრამ მარლბოროშიც ვუგზავნიდი, სადაც მას უზარმაზარი ადგილ-მამული და გიგანტური აგარაკი ჰქონდა. ისეთი კი არა, როგორიც ჩემი ქოხი იყო კუნცევოში, არამედ მთელი კუნცევოს ოდენა და უფრო მეტიც.

რომ არა ეს ადგილ-მამული, მე ყველაფერს კონიაკს დავაბრალებდი. იმას დავაბრალებდი, რომ კონიაკი სომხური იყო. მიქოიანს ვკითხე კიდეც: ნუთუ სომხები კონიაკშიც ურევენ ფხვნილს, რომელიც ადამიანს გულწრფელობის გრძნობას აკარგვინებს-მეთქი?

"სხვაში რაღაში ურევენ?" - აშიშხინდა მწვადივით.

"რძეში, - ავუხსენი მე. - დედის რძეში".

მიქოიანმა წარმოიდგინა, რომ გაბრაზებული ვიყავი არა ჩერჩილზე, არამედ სომხებზე. და სახე პროფილში მიაბრუნა.

სახე ორი სხვადასხვა პროფილით ჰქონდა გაერთიანებული. მაგრამ ახლა, ტუჩები რომ მოკუმა, მესამე პროფილიც გაუჩნდა.

"ნუ გეწყინება, სახალხო კომისარო, - ვუთხარი მე, თუმცა სახალხო კომისარი უკვე აღარ იყო, - და ნუ იბერები, იმიტომ, რომ ჩვენ ჭეშმარიტებას ვეძებთ".

და ჩემს ჯინაზე მეოთხე პროფილით მომაჩერდა.

"ჯერ ერთი, ჭეშმარიტება ღვინოში არ არის, თუნდაც კახურში. მეორეც, ჭეშმარიტება არა უბრალოდ კონიაკშია, არამედ სომხურ კონიაკში! რადგანაც სომხური კონიაკი ხალხში ადამიანობას ავიწროებს..."

იგი მართალი იყო. რა არის უფრო ადამიანური, ვინემ ვერაგობა? მაგრამ ჩერჩილი ამ სითხის გარეშეც ჩამიშვებდა.

სამყაროში ვერც ერთი ჩერჩილი - მსმელი თუ წყლულით დაავადებული, სიგარიანი თუ უსიგარო - ვერ შეცვლის მსოფლიოს. როცა ჩვენ მისი შეცვლა დავიწყეთ, ამ ჩერჩილმა ჩვენზე ინტერვენციით გამოილაშქრა, რასაც მერმე ჩემს წინაშე ნანობდა. იმიტომ კი არა, რომ დამარცხდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ თურმე კარგი ბიჭები ვყოფილვართ!

ჩერჩილი ამას უკანასკნელი ომის დროს ამბობდა: აბა, როგორ? გერმანელებისთვის ხელი ხომ უნდა შეგვეშალა, მისი ადგილ-მამული რომ არ დაებომბათ! უფრო ზუსტად, ამას მეუბნებოდა კრემლში კონიაკის სმისას. გაოცებული იყო, ასეთი პატარა ბინა რატომ გაქვს, აქ ხომ რევოლუციამდე მეფის მსახურს უცხოვრიაო? ან ასე პატარა ხელფასი რატომ გაქვს, რომ გადაეიანგარიშოთ, თვეში ოცდაათი ფუნტი გამოგდისო.

მეც ვსვამდი და კითხვითვე ვპასუხობდი: რა საჭიროა მეტი-მეთქი?

ჩემი სვეტლანა კი თეფშებს უცვლიდა და ერთსა და იმავეს ეკითხებოდა. თუმცა ხუმრობით და ინგლისურად: "ბიძია ჩერჩილ, თქვენ რატომ არა გაქვთ ულვაში?"

ბოლოს და ბოლოს ამ კითხვას მე ვუპასუხე, რადგან თვითონ მხოლოდ იცინოდა. სამაგიეროდ ბიძია ჩერჩილს ისე დიდი ადგილ-მამული აქვს, მისი შემოფრენა გერმანული თვითმფრინავითაც ძნელია-მეთქი. და კიდევ ბიძია ჩერჩილს დიდი, მოყვარული გული აქვს, როგორც წითელქუდას, თუმცა ულვაში არც მას აქვს-მეთქი.

სიცილს რომ მორჩა, ჩერჩილი ინგლისურად შეჰპირდა სვეტლანას, არდადეგების დროს ჩემს მამულში დაგპატიჟებო. არდადეგები კი მაშინვე დაიწყება, ბიძია ჰიტლერს რომ დავამარცხებთ, რომელსაც ისეთივე ულვაში აქვს, როგორც მამაშენს, ვისაც ჩვენ ბიძია ჯოს ვეძახითო.

მე მირჩევდა ხოლმე, ომი რომ დამთავრდება, საკუთარ ბედნიერებაზეც იფიქრე, რომ მარტო ქალიშვილთან ერთად კი არა, არამედ შენთვის ბედნიერების მომნიჭებელთან ერთად მესტუმროთო.

მაგრამ ისე არ გამოვიდა, როგორც ზღაპარშია ხოლმე. არა პატივის მიხედვით გადაწყდა, არამედ კანონით. როგორც კი ბიძია ჯომ ბიძია ჰიტლერი დაამარცხა, ვისგანაც ულვაშიც აღარ დარჩა, ბიძია ჩერჩილმა ისევ შეიძულა ბიძია ჯო. რადგანაც ნებისმიერ კონიაკიან ბიძას მას თავისი მამული ერჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ჩერჩილი მხოლოდ ადგილ-მამულზე ფიქრობს და მზად არის, ომშიაც ჩაებას, ომში ის უხმობს ყველას, ვისთანაც არ სურს ადგილ-მამულის გაყოფა. სამაგიეროდ იარაღს ურიგებს სიამოვნებით, რათა ასეთივე სიამოვნებით დაიხოცონ. რამეთუ შთააგონებს, რომ მამულისათვის, წითელქუდასათვის, ან ქრისტესათვის იღუპებიან.

არა და ისინი ჩერჩილებისთვის იხოცებიან.

ამ ომის შემდეგ ჩერჩილებს მაინც გაუჭირდათ. რადგან გაიმარჯვეს არა მათ, თუმცა ჩვენი მოკავშირეები კი იყვნენ. გავიმარჯვეთ ჩვენ. მე მხედველობაში მაქვს ომი არა მხოლოდ გერმანელების წინააღმდეგ, არამედ სხვათა გულების დასაპყრობადაც. სხვებმა კი ჩვენში დაინახეს ძალა. და არა მხოლოდ ჭეშმარიტება, როგორც უწინ.

დაინახო სიმართლე, ეს სულაც არ ნიშნავს გსურდეს იგი. თავისთავად მსოფლიო ვერასოდეს გახდება იმდენად კარგი, რომ უმრავლესობამ ჭეშმარიტება ისურვოს. თუმცა ჩერჩილებმა ჩვენში შენიშნეს არა მხოლოდ ძალა, არამედ სისუსტეც.

განსაკუთრებით ამ კაცმა, ვისაც ულვაში არ აქვს, მაგრამ, გარდა დიდი ადგილ-მამულისა, აქვს რუხი მგელივით, დიდრონი გადმოკარკლული თვალები და კიდევ, როგორც მისტერ-ტვისტერს, პირში გაჩრილი უზარმაზარი სიგარა, რომლისთვისაც მთელი მსოფლიოა - საფერფლე.

ხალხი თავისი იდიოტიზმით არის დიადი...

და ამ საფერფლეში მან დაინახა ჩვენი გადამწვარი ქალაქები და მშიერი ხალხი, რომელიც მას ფეხებზე ჰკიდია. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ინგლისელები არ არიან. ნებისმიერი ჩერჩილი, - თუკი ვინმეს შებრალება შეუძლია, - ხალხს კი არ იბრალებს, არამედ ცალკე აღებულ ადამიანს. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩეს. ხალხი მას ზიზღსა ჰგვრის.

ჩემთვის კი პირიქითაა.

ადამიანი ხალხის გარეშე საზიზღარია, ხოლო როცა ხალხშია, იძულებულია, თავშეკავებულად მოიქცეს. ხალხს მე პატივს ვცემ. ხანდახან მიყვარს კიდეც. ნდობითაც უფრო მეტად ვენდობი, ვიდრე ადამიანს.

ხალხთან თუ არ არის, ნებისმიერი კაცი ნებისმიერ სხვა კაცს ადვილად ღალატობს. ხალხი კი ვერასოდეს ვერ ბედავს ერთმანეთს შეუთანხმდეს ღალატზე, თუმცა მის წიაღში ცალცალკე ყველა მოღალატეა და ოცნებობს, ამ ღალატით მეტი მოიპოვოს, ვინემ მისი მეზობელი მოიპოვებს.

მთავარი კი ისაა, რომ ვერცერთი ბრძენი ვერ ჩასწვდება იმას, რასაც ხალხი თავის თავში ატარებს, - სამყაროსეულ შეგნებას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხალხი იდიოტებისგან შედგება. სხვაგვარად არც ხდება, რადგანაც ბრბოში ბრძენიც იდიოტად ხდება.

თუმცა ცუდად კი ჟღერს, მაგრამ იდიოტიზმი კარგი რამ არის, თანაც უფრო ძნელიცაა ამის ახსნა.

ადამიანი სამყაროს ნაწილია, სხვა არაფერი.

და არა ისე, როგორც კურილიის კუნძულები იქცა ამჟამად ჩვენი სახელმწიფოს ნაწილად, არამედ სხვანაირად: მიუხედავად იმისა, იარსებებდა თუ არ იარსებებდა სახელმწიფო, ეს კუნძულები მაინც მისი ნაწილი რომ ყოფილიყო, იაპონელებისგანაც კი დამოუკიდებლად, ვისაც ჩვენ ეს კუნძულები წავართვით. უფრო ზუსტად, დავიბრუნეთ ის, რაც ოდესღაც იმათ წაგვართვეს და თავიანთ ნაწილად აქციეს.

ადამიანი სამყაროს ნაწილია, როგორც სისხლია ადამიანის ნაწილი. თუნდაც ეს სისხლი იაპონური იყოს. ისეთი ნაწილია, ურომლისოდაც ადამიანი არ არსებობს. რადგანაც უსისხლოდ მასში სიცოცხლე არ სუნთქავს. სიცოცხლის გარეშე კი ადამიანი არ არსებობს.

მაგრამ სისხლის არსებობა ჯერ კიდევ არ არის სიცოცხლე. სისხლმა უნდა ირბინოს. ისე კი არა, როგორც იაპონელები გაიქცნენ ხალხინ-გოლთან. არამედ უმიზნოდ. იაპონელები იმის იმედით გაიქცნენ, რომ დაბრუნებას შეძლებდნენ. თუმცა არსებობას იმედთან საერთო იმაზე ნაკლები აქვს, ვინემ იაპონელებს გერმანელებთან. რომლებიც მათი მოკავშირეები იყვნენ და აგრეთვე დამარცხდნენ. და ისინიც გაიქცნენ. თუმცა დაბრუნების იმედი ჯერაც არ გასჩენიათ. ცხოვრების დედაარსი უმიზნობაა. სიწყნარეა. უმისამართობაა. უიმედობაა. და უყველაფრობა.

არსებული უბრალოა, როგორც არარსებული. ყველაფერი ისევე უბრალოა, როგორც არაფერი. სწორედ ეს არის სამყაროსეული შეგნება, რომელსაც აზროვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. აზროვნებას კი საერთო არაფერთან აქვს. ადამიანური აზროვნება არის არარსებული ტექსტის კომენტარი.

ადამიანმა თავისი შეგნება სამყაროული შეგნების საწინააღმდეგოდ განავითარა.

თუმცა საბედისწერო შეცდომა დაუშვა - სამყაროდან ამოვარდა. ეს შეცდომა საბედისწერო იყო მისთვის. ისევე როგორც ყოველმა ადამიანმა, საკუთარი თავის და ბაუბედურად, თავი დააღწია საშოს. ხოლო ისინი, ვინც [illegible] დააღწია თავი, ახლა დანას უსვამენ მათ ჭიპლარს და დედას აშორებენ.

თუმცა პირადად მე კეკე'ში დარჩენას არ ვისურვებდი. თუნდაც მამაჩემი ყოფილიყო არა გორელი მეჩექმე ბესო, არამედ ბიბლიური წინასწარმეტყველი აბრაამი. მით უმეტეს, რომ ბესო ალიყურს მაშინ მაჭმევდა, როცა სვამდა, ხოლო ეს წინასწარმეტყველი კი სავსებით ფხიზელი დათანხმდა, თავისი პირმშოსთვის დანით გამოეჭრა ყელი და ამით ამაყობდა კიდეც.

მაგრამ ცოდვილი იმდენად თვითონ არ ყოფილა, რამდენადაც მისი შვილი. რამეთუ დაბადება ისურვა.

სწორედ დაბადებაა პირველშობილი ცოდვა. ჭიპლარს დანა უნდა გაჰკრა. ხოლო ყელში დანის გამოსმა მეორადი ცოდვაა და მაინც ყველას უნდა დაბადება. და მერმე სამყაროსგან გამოყოფა, რათა შემდეგ მთელი ცხოვრება გაიძვერობას ეწეოდეს. რასაც აგრეთვე ტვინი სჭირდება.

ტვინი კი სისადავის მტერია. ანუ არსებობის მტერი.

ამიტომ მთელი ჩვენი სიბრძნე ნაძალადევია. თვით ჩვენს მიერვე თავსმოხვეული, ისევე როგორც უფეხოსთვის ყავარჯნებია თავსმოხვეული. მაგრამ წყეული ყავარჯნებისგან თავს ველარ გაითავისუფლებს. ბოლომდე უნდა მოკულანდეს.

ამიტომაა მსოფლიოში ამდენი მწუხარება, რომელიც არავის ესმის. ამას მხოლოდ მარტოსულები გრძნობენ, ისიც ხანდახან. იმდენად კი არ ესმით, რამდენადაც გონების საწინააღმდეგოდ ბუნდოვნად გრძნობენ! როგორც იგივე ბესო. რომელიც სვამდა, რადგან მარტოსული იყო.

ყველაზე მეტად, რაც კი არსებობს დედამიწის ზურგზე - არყის შემდეგ - უყვარდა სულელი მიტოს ზღაპარი. როცა ამ ზღაპარს ჰყვებოდა, კი არ იცინოდა, ტიროდა, თითქოს არაყსა სვამდა.

ბრიყვი გლეხი მიტო ერთ დილას მაგრად გამოთვრა და გადაწყვიტა, თავი ტბაში დაეხრჩო. სულელი იყო და თავთხელ ადგილას მოადინა ტყაპანი. არც ტკივილი უგრძვნია, არც სისველე. საღამომდე ტალახში იჯდა. მთვარემ რომ გამოანათა, ოდნავ გამოფხიზლდა, ტბის ფსკერიდან ხელებით აყროლებულ შლამს იღებდა და შუბლზე იტყეპებდა, თან ლუღლუღებდა. "ვაი შენს თავს მიტო, ეს რა საშინელ დღეში ხარ!"

უცებ მთვარის შუქზე, შლამს შეშინებული ბაყაყი ამოყოლა. "ვინა ხარ?" გაიოცა მიტომ. "მე მიტო ვარ!" - ჩაიყოყინა ბაყაყმა.

სულელი მიტო ჯერ ჩაფიქრდა. შემდეგ კი ამოიოხრა და წარმოთქვა: "ვაი, მიტო, მიტო, რა ჭაკადაა ჩვენი საქმე!" და ბაყაყი სასოწარკვეთილად დაიხალა თავზე.

მამაჩემს არ ესმოდა ამ ზღაპრის აზრი. თუმცა, მე მგონია, მისივე შეთხზული იყო. არც მე მესმის, თუმცა ეჭვიანი მომწონს. ასეთი ზღაპარი ისევე შორს არის ადამიანის შეგნებისგან, როგორც თვითონ ადამიანი დაშორდა სამყაროულ შეგნებას. თუმცა ხალხი არსად წასულა და არსად მისულა, და არაფერში ეძებს აზრს. ის არსებობს უაზროდ და უძრავად, როგორც წყალი ჭაობში.

ხალხი დიადია თავის იდიოტიზმში.

თანამედროვეთაგან ეს ჩემსავით არავინ იცის. ძველთაგან კი - მოძღვარმა, რამეთუ არავის მისცემია შესაძლებლობა, ისე მაღლა ასულიყო, რომ ხალხი კარგად დაენახა, როგორც მე და მან შევძელით.

მართალია, როცა ჯვარზე გაკრული მოძღვარი მიხვდა, რომ დაბლა ხალხი ზეიმობდა, "რამეთუ არ იცოდნენ, რასაც იქმოდნენ", ალბათ, მაშინ ხალხის იდიოტიზმი დიდებული არ ეჩვენებოდა. მაგრამ თვითონ იყო დამნაშავე. ხალხის უნდა გჯეროდეს - ნდობით კი არ უნდა ენდობოდე.

ხალხს რომ ენდო, მის დონემდე უნდა დაეშვა. ისინი კი, ვინც დაბლაა, ხალხში, ხალხს ვერ ხედავენ. შიგნეული შიგნიდან არ ჩანს.

ანუ მე მხოლოდ ხალხს კი არ ვხედავ. ახლა მე ხშირად გაუხშოებული ჰაერის თეთრი ბილიკი მელანდება, დაგრეხილი და დაკლაკნილი, როგორც ჭიპლარი.

და ეს ბილიკი აბრუნებს მას მიტოვებულ საშოში.

სამყაროში.

ზოგი რამ თავხედებსაც ერგებათ...

აი, ამ ბილიკის შესახებ მოსალაპარაკებლად ვიხმე მაიორი. რამეთუ, ქრისტეს გარდა, ვერავინ გაიგებს, კერძოდ, რას ვგულისხმობ.

ჩერჩილთან კი ალარ ვისურვებდი ხალხზე საუბარს. როგორც თავის დროს იესოზე არ ვისურვე საუბარი. ეს მოხდა ორმოცდათხი წლის ოქტომბერში, როცა სქელუამ ლონდონიდან ჩამომიტანა უცნაური სურათი, ქრისტეს წამების ამსახველი.

თანაგრძნობის გარდა, ქრისტემ ამ სურათზე ღიმილიც მომგვარა. სადაცაა უნდა ეწამებინათ ის კი ვერ ისვენებდა, თითქოსდა თავისთვის რაღაცას ანგარიშობდა. ამიტომ თითქოსდა გაუბედავად გამოიყურებოდა, ისევე როგორც შიქოიანი ამ ბოლო დროს, რომელსაც, სხვათა შორის, [illegible] ზე იესო სიგამხდრითა და გულჩახვეული იერით ძალზე მოგაგონებდათ.

სქელუამ ვერ გაიგო ჩემი ღიმილი და რატომღაც გადაწყვიტა, თითქოს მზად ვიყავი მასთან ქრისტეზე მესაუბრა.

და შორიდან დაიწყო საკითხით: ისაო, საერთოდ შენი აზრით, რას უნდა მიეწეროს ქრისტესადმი ასეთი დამოკიდებულება - ძალას, სისუსტეს თუ გულჩახვეულობასო?

არც თუ ბრძნული შეკითხვა იყო: რატომაა, რომ სტალინმა, რომელმაც მოძღვრის რეპრესირებაც კი იკისრა, ქვეყანაში ოცი ათასი ეკლესია გახსნაო? ალბათ ამის გაგონებაზე მარტო სქელუას არ გავარდნია პირიდან სიგარა. იმათაც გაუვარდებოდათ, ვინც არ ეწევა და არა მხოლოდ სიგარა, მაგალითად, მიტროპოლიტ სერგის, რომელიც ორმოცდაორის თებერვლის ერთ ღამეს მე და მოლოტოვმა "გადაუდებელი საქმის გამო" დავიბარეთ კრემლში.

როგორც კი მოლოტოვმა მიმართა სტუმარს, ხელისუფლება უგნურებად მიიჩნევს ეკლესიების აღდგენის გაჭიანურებასო, ამ სერგის თვალების ისეთი ნერვული ხამხამი აუტყდა, თითქოს ხელისუფლებას თვალების ხამხამის გაჭიანურებაც გაუმართლებლად მიაჩნდა. თუმცა გონს უცებ მოეგო, იმიტომ კი არა, რომ მიტროპოლიტი იყო, არამედ იმიტომ, რომ გაახსენდა: გადაუდებელ საქმეზე გახლდათ გამოძახებული...

დამშვიდდა კიდეც და იხუმრა კიდეც, თუმცა მხოლოდ ჩაის მიირთმევდა. იგი დაგვეთანხმა, ეკლესიების გახსნის გაჭიანურება მართლაც არ არის გონივრულიო, იქვე დაუმატა: ქვეყანაში მედავითნეთა დეფიციტიაო. მე თვალები მოვჭუტე: მაპატიეთ, მაგრამ როგორ გაჩნდა ეს დეფიციტი? სად წავიდნენ მედავითნენი-მეთქი?

მან ჩემს სამხრეებზე მანიშნა: "ვინ საით, ზოგიერთი მარშალი გახდა".

ხუმრობაში მონახა გამოსავალი საბედისწერო წამს. სწორედ ამიტომ მომეწონა. ისე მომეწონა, რომ არა მხოლოდ სრულიად რუსეთის პატრიარქად დავნიშნე, არამედ მანქანამდეც პირადად მივაცილე. ჩერჩილი კი არასოდეს მომწონდა. ხომ უზარმაზარ მამულს ფლობდა, ძალზე წვრილმანი კაცი იყო. ორმოცდათხის ოქტომბერში, როცა ომის ბედი გადაწყვეტილი იყო, ევროპის გასაყოფად მომადგა კარს. მათ შორის

ბულგარეთისა და უნგრეთისაც. ამ ქვეყნების ოცდახუთ-ოცდახუთ პროცენტს ითხოვდა. თანაც - თავხედურად, დაუინებით.

ამიტომ მოვიდა ამერიკელების გარეშე, რომლებიც ვერ იტანდნენ მის თავხედობას. ან თავს იკატუნებდნენ. იმათ ნაცვლად თავისი იდენი ჩამოიყვანა. მინისტრი. ვის წინაშეც [illegible] ბაზობდა. ბოლშევიკებთან ვაჭრობას ასწავლიდა.

საერთოდ რუსებთან ვაჭრობას ასწავლიდა, რომელთა გაგებაც, როგორც თვითონ ამტკიცებდა, შეუძლებელი იყო. მე ვიცი, როგორ უნდა გავარჩიო კარგი ფრანგი ცუდისაგან, ასაგანი იტალიელი აუტანელისგან. თვით ბერძნებშიაც კი ვერკვევი, რუსებთან კი ისეთ სიტყვებს, როგორიც არის "კარგი" ან "ცუდი", ვერ გამოიყენებ. ყველანი ერთნაირები არიანო.

ამიტომ ისეთი გზნებით მევაჭრებოდა თავისი მინისტრის თანდასწრებით, თითქოს საუბარი ეხებოდა არა სოციალისტურ ქვეყნებს, არამედ მის საკუთარ ადგილ-მამულებს. თითქოს წამების წინ ქრისტეს ანდერძი დაეტოვებინოს მისთვის, ამ ქვეყნების მესამედი აუცილებლად ხელთ უნდა იგდოო. პრინციპით, რომ, თუმცა მიწა მემკვიდრეობით მშვიდ ადამიანებს რჩებათ, ცოტაოდენი თავხედებსაც ერგებათო.

მე გავბრაზდი და მისი იდენიც ბოლშევიკური ჯენტლმენობის საიდუმლოებას ვაზიარე. სქელუას ისევ მადლობა მოვახსენე სურათის ასლისათვის, მერმე კი სამაგიეროდ სხვა ქაღალდი გავუწოდე.

გავუწოდე ჩემი და მოლოტოვის მიერ შედგენილი ახალი ევროპის რუკა.

ცხადია ასლი, ცარცის ქაღალდზე. და მასზე პირდაპირ ძვირფასი სტუმრების თვალწინ ბულგარეთისა და უნგრეთის მეხუთედი შემოვხაზე: კეთილი, ძვირფასო სტუმარო და ბატონო პრემიერო, წაიღეთ! მაგრამ არა ოც პროცენტზე მეტი-მეთქი.

ჩემთვის კი გადავწყვიტე, რომ შემდგომ ერთი პროცენტიც არ დამეთმო. პრინციპით, რომ თავხედებს შეიძლება მიწა ერგოთ, მაგრამ შენარჩუნებას ვერ შეძლებენ. მით უმეტეს, თუ ისინი წუწურაქები არიან. საკუთარ თავში დაეჭვებული ქრისტეს სურათის ასლიც კი იაფფასიანი მომიტანა, ცარცის ქაღალდზე კი არა, უბრალო ქაღალდზე გადაღებული.

რაც ვუსაყვედურე კიდეც. მით უმეტეს, რომ მხატვარი - რომელიც ინგლისურ ქალაქ დელფტიდან იყო, - საუკეთესო ხეზე ხატავდა. ისიც ოსტატი იყო. თავსაც დელფტელ ოსტატს უწოდებდა. ხალხის შესახებ კი ჩერჩილს მაინც ველაპარაკე. ველაპარაკე მოგვიანებით იალტაში. სადაც ამჯერად საჩუქრად ასლი კი არა, ორიგინალი ჩამომიტანა - ხმალი. ბაჯაღლი ოქროთი მოჭედილი.

აი, ბატონო პრემიერო, ვეუბნები, მოვდიოდი აქეთ, იალტის კონფერენციაზე, და გზაზე შევხვდი ჩემს ხალხს. საოცარი ხალხია! უკან დაგვრჩა ომის ხუთი წელიწადი, მშიერი და გასისხლიანებული ხალხი კი ბედნიერების ცრემლებით ავსებული თვალებით მომჩერებია!

არადა, ვეუბნები სქელუას, ხშირად შეცდომებსაც ვუშვებდი. მაგალითად, თქვენ, მოკავშირეებს, სათანადო დაყინებით არ გთხოვდით დახმარებას. მქონდა სხვა შეცდომებიც. იმ ხალხის ადგილას ნებისმიერი სხვა რომ ყოფილიყო, მეტყოდა: მომწყდი თავიდან! მე სხვა ბელადს მოვნახავ, რომელიც გერმანელს ხელს ჩამოართმევს და მშვიდობას დამიბრუნებსო. მაგრამ ის არსად წასულა და ჩემთან ერთად უხმოდ იტანჯებოდა.

ახლა კი ბედნიერებისგან ტირის, თუმცა გამარჯვების გარდა ომმა დაუტოვა დამწვარი სახლი და მოუშუშებელი ჭრილობები. დედაკაცები, ბატონო პრემიერო, ტირილით შემომძახიან: "დიდება!" ხოლო კაცები...

თვითონ განსაჯეთ: მივდივარ ხალხში მდგომ მოხუცთან. ჩემზე ოდნავ ხნიერია. ისეთი თვალები აქვს, რომელთაც სამყაროს ჭვრეტა აღარ სურთ. მე მესმის მისი. თუმცა არ ვიცი, რა ვუთხრა. როგორაა საქმე? - ვეკითხები ბოლოს.

თვალები ბრბოს მოავლო და გაიღიმა: კარგად, ამხანაგო სტალინ! ყველაფერი გვაქვს! ბედნიერებიცა ვართ!

მიპასუხა, როგორც მშობელს უპასუხებენ. ისევე როგორც მე, როცა ვიტანჯებოდი და გადარჩენის იმედი დაკარგული მქონდა. გადასახლებიდან დედას ვწერდი, არ იდარდო, დედაჩემო კეკე, მე კარგად ვარ-მეთქი.

მე და ის ბერიკაცი პირისპირ რომ დავრჩენილიყავით, ისე მომექცეოდა, როგორც ადამიანი, და არა როგორც ხალხი, თავის გასაჭირს მომიყვებოდა. ტყუილსაც გაურევდა. სხვების თანდასწრებით კი დუმილი არჩია. არა იმიტომ, რომ ხალხში მყოფი უნებლიეთ აელენ გულითადობას. სამყაროულ შეგნებას.

ჩერჩილმა კი სიგარა აახრჩოლა და მომელაქუცა: თქვენ, მარშალო სტალინ, კეთილი და მშვიდი ხალხი გყავთ, მე კი არა. ისევ სიბრაზე მომერია, ხალხი ყველგან ერთნაირია, როცა იგი სამყაროს ნაწილია. და ეს ის არ არის, რასაც თქვენ ფიქრობთ. ეს სხვა შეგნებაა და არა მონური მორჩილება.

სრულიად განსხვავებული იმისგან, რითაც ცალკეული ადამიანი ცხოვრობს, თვით ყველაზე გულკეთილიც კი. ხოლო სიკეთეს მასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

ახლა სხვა შემთხვევა ვუამბე, ისიც მოხუცზე და ხეიბარზე.

ეს ამბავი ოციან წლებში მოხდა. მე და მოლოტოვი ხალხში კრემლიდან მანეჟისკენ მივიკვლევდით გზას. დაცვის გარეშე. მაშინ დაცვა არ გვყავდა. მართალი რომ ითქვას, ვერც მე და

ვერც მას ხალხი ვერ გვცნობდა. ქარბუქი იყო, ქურქები გვეცვა, ბაგეები, ყურებიანი ქუდები გვეხურა, სახეზე შარფი გვეხვია.

ერთი ხეიბარი აგვეკიდა: "მოწყალება მოიღეთ, ძეირფასო ბატონებო!'

ჯიბეში ვიყოფ ხელს, ვაძლევ, რაც აღმრჩენია - ათმანეთიანს. და გზას ვაგრძელებ. თავდაპირველად გაუხარდა, შემდეგ კი ზურგში დაგვადევნა: "ჰაიტ, თქვე წყეულო ბურჟუებოო!"

სამყაროული შეგნება სიკეთისა და ბოროტების მეორე მხარესაა, ბატონო პრემიერო, და ჩერჩილი ხარხარებს, თუმცა მშვენივრად ესმის, რომ სხვა ჩერჩილებთან ერთად საჭირლად აქვს საქმე, სამხიარულო არაფერი სჭირს.

ჩემზე უბრალო არაფერია...

ომის შემდეგ ის სწორედ ამან შეაშინა - სამყაროს აღქმამ. მისმა აფეთქებამ. იმის შეეშინდა, რომ მხოლოდ ხეიბრები არ წკმუტუნებდნენ: "ჰაიტ, თქვე წყეულო ბურჟუებოო!' თანაც სულ უფრო ხმამაღლა.

და არა მხოლოდ იმავე ბულგარეთსა და უნგრეთში, არამედ მთელ ევროპაში. ყველგან, გარდა შვეიცარიისა. და ესეც იმიტომ, რომ ეს ქვეყანა შვეიცარიელებით იყო სავსე, რომელთა ყველიც სიცარიელისგან შედგება. და რომლებიც დარაბებიდან იშვიათად და წამიერად იხედებიან გარეთ, სამყაროსთვის თვალის გადასავლებად, როგორც გუგული შვეიცარულ საათში.

უკვე იტალიაშიც აწკმუტუნდნენ, სადაც ჩვეულებრივ ყველა მღერის, როგორც ოპერაში.

ასევეა საბერძნეთშიც, რომელიც დიდი ხანია გადაეჩვია არა მხოლოდ ძველი ისტორიის წარმოებას, მის მოხმარებასაც კი. თუმცა მათ უკვე გამოთქვეს ახალ ისტორიაში შესვლის სურვილი.

და იგივე ფრანგებიც. თუმცა მათ არასოდეს იციან, რა სურთ, და ამას თავისუფლებას ეძახიან...

წკმუტუნებდნენ არა მხოლოდ ევროპაში.

სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო... ომმა ორმოცდაათი მილიონი შეიწირა!

ადრე არასოდეს დახოცილა ამდენი ადამიანი. ამიტომ არც ერთ ოსტატს არა აქვს ჯერჯერობით შესაბამისი სიტყვები. ეს სიტყვები საერთოდ არ არსებობს.

არსებობს მხოლოდ ციფრები... ყოველი ციფრის უკან კი თავისი საწუხარი დგას...

"ო, როგორ დამსხვრეულ-დამტვრეულია ურო მთელი დედამიწისა! იგი მწუხარეა და დაუძლურებული. ფეთქებით აფეთქდა, ნაფოტებად დანაფოტდა დედამიწა, დამხობით დაემხო დედამიწა. მთვრალივით ბარბაცებს დედამიწა და ხუხულასავით ირყევა, ცოდვამ დაამძიმა და ველარ დგება.

ქვეყნის კიდიდან გვესმის გალობა: დიდება მართალს! მაგრამ მე ვამბობ! ვაგლახ მე! ვაგლახ მე! ვაი მე! მზაკვარნი მზაკვრობენ, მზაკვარნი ზაკვით იმოსებიან".

სემინარიაში რომ ვსწავლობდი, ეგზარქოსმა მურახოვსკიმ კლასში იწინასწარმეტყველა, რომ იერუსალიმელი წინასწარმეტყველის ესაიას ამ სიტყვებს, სამწუხაროდ, არასოდეს [illegible] ეფლიო, მე არ დავეთანხმე, რამეთუ ეგზარქოსი პედერასტი იყო. და აგრეთვე ანტისემიტი. მე კი პედერასტები მეჯავრებოდა.

რამდენი ხალხი იყო იმ იერუსალიმში-მეთქი? - ვკითხე მე, - პედერასტებს თუ არ ჩავთვლით? ორმოცდაათი ათასი ურია ცხოვრობდა, - მიპასუხა მურახოვსკიმ. - ათი ათასი ხუცესისა და წინასწარმეტყველთა გარეშეო.

ახალმა ციფრებმა ახალი სახეები უნდა შვან, განვაცხადე მე. უფლის მონები დღეს მეტსა და უფრო ჩქარა ჰკლავენ. ხვალ კი უფრო მეტს დახოცავენ. თუ ძველი სიტყვები არ გაფერმკრთალდნენ, ჭკვიანი ებრაელის ესაიას ბრალი კი არ არის, არამედ დღევანდელ წინასწარმეტყველთა, რომლებსაც მხრებზე თავის ნაცვლად გოგრა აბიათ, რამეთუ თავიანთ მთავარ ორგანოს "საჭიროებისამებრ" არ იყენებენ-მეთქი.

კლასმა გაიცინა, მე კი კარცერში ამოვყავი თავი, თუმცა ეგზარქოსს ვარწმუნებდი,"მთავარ ორგანოში" ტვინს ვგულისხმობდი-მეთქი. კარცერში კი შეუპოვრად ვიმეორებდი ჩემთვის ამ სიტყვებს დამწუხრებული მიწის შესახებ. იმდენჯერ გავიმეორე, რომ სამუდამოდ ჩამეჭედა ჩემს მთავარ ორგანოში.

მას შემდეგ ბევრი სხვა სიტყვაც წავიკითხე, მაგრამ მურახოვსკი მართალი გამოდგა: ვერავინ გამოხატა უკეთ ის საშინელება, რომელმაც უნდა შეიპყროს ადამიანები, როცა ისინი სამყაროში დატრიალებულ საშინელებას იხილავენ.

მეც მართალი ვიყავი: ადამიანებმა სამაგიეროდ სხვა რამ ისწავლეს – გაანადგურონ მეტი და რაც შეიძლება ჩქარა.

შეძრწუნების უკეთ გამოხატვა კი ვერ ისწავლეს არა იმიტომ, რომ არ არსებობს ახალი სიტყვები. დიახ, ახალი სიტყვები არ არსებობს, მაგრამ იმიტომ არ არსებობს, რომ აღარ გვჭირდება. ბოროტება ადამიანს თავზარს აღარ სცემს.

მოხდა ყველაზე საშინელი რამ: ახალი ციფრები არა თუ არ შობენ ახალ სახეებს, არამედ ძველ სახეებსაც უკარგავენ აზრს. ბოროტება ისეთივე უბრალო საქმე გახდა, როგორც მოსაქმება. კიდევ უფრო ბანალურიც კი, რადგან შეკრულობა ამ საქმეს არ ახასიათებს. ყოველი ადამიანი ბოროტებას გამოჰყოფს. და სანამ ადამიანებს საიმედო დისტანციაზე არ გაეცლები - გულისრევა არ მოგასვენებს. მაგრამ ბოროტების ყოველდღიურობა უბედურებაა და მხოლოდ ცალკე აღებული ადამიანის პარალიზება შეუძლია. როცა ადამიანები ერთიან-

დებიან, ეს უბრალო გაერთიანება კი არ არიან, არამედ რაღაც სხვა, გაცილებით უფრო დიდი. ხალხი.

უბედურება კი ხალხს აღვიძებს. როგორც ლავა - ვულკანს. როგორც ლავით ამოფრქვეული ვულკანი აღვიძებს გარშემო მდებარე ქალაქებს. როცა ბოროტება მეფობდა, ხალხში სამართლიანობის ინსტინქტი იღვიძებს. [illegible] ინსტინქტთან ერთად ომის შემდეგ მასში გაიღვიძა საბედისწერო დანიშნულების უთუო და აუცილებელმა გრძნობამ. და საქმის გაჭიანურება და ლოდინი უკვე აღარ უნდა.

საფრანგეთმაც კი გაიხსენა, რომ თავისუფლების გარდა, უნდა მოითხოვოს თანასწორობა და ძმობა. ანუ სამართლიანობა და ქონების გადანაწილება.

კომუნისტები იქ უძლიერეს პარტიად იქცნენ - მილიონი წევრი ჰყავდათ. მათ გაჰყვნენ არა მხოლოდ პროფკავშირები, არამედ, პირიქით, უჭკვიანესი ხალხიც. მე რომ არ ვყოფილიყავი, ძალაუფლებას ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე ჩაიგდებდნენ ხელში.

ახლა ვნანობ, რომ სიფრთხილის გამო შევაჩერე ისინი. მაშინ, როცა ამერიკელები, პირიქით, გათავხედდნენ და მთელ დასავლეთ ევროპაში შევიწროება დაგვიწყეს.

მოლოტოვმა რომელიღაც ამერიკული ჟურნალი მაჩვენა, რომელიც მკითხველებს "ჭეშმარიტ სამოთხეს" აცნობდა: მოსკოვი ტეხასელი იანკების ბათინკებქვეშაა.

რაც შეეხება ფრანგ მეგობრებს, მე ვურჩიე, ნუ ღელავთ-მეთქი. მსოფლიოში სახელგანთქმული მათი კონიაკით სავსე ჭიქა ერთმანეთისთვის მიეჭახუნებინათ და დე გოლთან კოალიციაში შესულიყვნენ. თუმცა გაგონილი მქონდა, რომ დე გოლი ვირეშმაკა კაცი იყო. იქამდეც კი, რომ ყველა რევოლუციონერის იდუმალობას მე მსაყვედურობდა.

მე კი უცნაური სულაც არა ვარ. ჩემზე უბრალო არაფერია. რამეთუ მე ამქვეყნად ყველაფერი ძალიან უბრალოდ შევითვისე - საკუთარ ტყავზე გამოვცადე. როგორც ხალხი ითვისებს ხოლმე. სხვები ქვეყანას გიმნაზიებსა და უცხოეთში სწავლობდნენ. მამების ფულით. წარმოსახვით. იგივე მარქსი და ენგელსი, იგივე ილიჩი და ტროცკი, იგივე ზინოვიევები, კამენევები, ბუხარინები, რადეკები, ლუნაჩარსკები, ჩიჩერინები.

ყველა მათგანი რევოლუციაში წარმოსახვით მოვიდა. და შიგ ჩაეშვა.

მე კი, წარმოსახვები არ მჭირდება, პაპაჩემს ყმობაში ამოხდა სული. ჰოდა, მე ხალხს სიბრძნეს კი არა, იმას ვასწავლი, რაც წამგლეჯეს, - სამართლიანობას.

ამიტომ მე მომყვებიან არა მხოლოდ ისინი, ვისაც აზროვნება შეუძლია, მე მომყვება ხალხი. რამეთუ უწინ უმრავლესობისათვის არავის შეუთავაზებია სამართლიანობა. სწორედ სოციალიზმი არის დემოკრატია.

რევოლუცია საჭირო არ არის იქ, სადაც მას არ დაუშვებენ...

თვით ინგლისშიც კი, სადაც მსოფლიოში საუკეთესო ჩემს კონიაკს ვაგზავნიდი, ლეიბორისტებმა სოციალისტებმა მოინათლეს თავი. ჰოდა, არჩევნებში გაიმარჯვეს.

და მეურნეობის ნაციონალიზებაც მოახდინეს.

მათს შეშფოთებას მხოლოდ მეფე იწვევდა. ასე როგორ შეიძლება - თქვენი ნიკოლოზის ბიძაშვილი გიორგი ხომ ცოცხალიაო? და მისახელებენ ძმისწულის რიგით ნომერს. რომლის დამახსოვრებაზეც სასტიკი უარი ვთქვი. რა საჭირო იყო. თუმცა ჩერჩილმა კი ჩამომიტანა ხმალი მეფისგან საჩუქრად. ეს ბრიტანეთში ყველაზე მჭრელი ხმალიაო, გამომიცხადა.

ამით სიტყვა გადამიკრა იმაზე, თქვენი ნიკოლოზისგან განსხვავებით - ჩვენი მეფე ცოცხალიაო. მე ეს გავიგე. მით უმეტეს, რომ დელეგაციაში მყოფმა ერთმა ლეიბორისტმა, როცა ვთქვი, მეფის რიგით ნომერს მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი, ხმამაღლა გაიცინა:

"მართალი ბრძანდებით, სერ! ნომერი არაფერია! ჯორჯი მეხუთეა თუ მეექვსე, რა მნიშვნელობა აქვს? განსხვავება ფინალშია! როგორი ფინალი ჰქონდა თქვენს ნიკოლაის. ხომ მართალია. ის მხოლოდ ორი იყო!"

მაგრამ ძალიან გავაოცე ისინი, როცა ვთქვი, რომ მეფე ახლა სოციალიზმს ხელს ვეღარ შეუშლის, მითუმეტეს, რომ მისი ყველაზე მჭრელი ხმალი მე მაქვს-მეთქი.

მეფე - ეს კომპლექსიეითაა. მაგალითად, არასრულფასოვნების კომპლექსივით. კომპლექსისგან თავის დაღწევა უფრო ძნელია, ვინემ იმის მიღწევა, რომ ხელს არ გიშლიდეს. მონარქის მოკვლა ისეთივე კერპთაყვანისმცემლობაა, როგორც მისთვის სიკვდილი.

სხვათა შორის, ილიჩმა ეს ჩემზე უკეთ იცოდა. მაგრამ "ჩვენი ნიკოლოზი" - დაე, თუნდაც "მხოლოდ ორი ყოფილიყო" - "ფინალურად" არა პირადი მოტივებით აქცია, არამედ იმის გამო, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

თუმცა იმ გეორგის რიგითი ნომერი არ მახსოვდა, რომელმაც მახვილი მაჩუქა, მახსოვს, ილიჩი სხვაზე საყვედურობდა - ვისაც წინა ნომერი ჰქონდა. უზარმაზარ იმპერიას ფლობდა და რუს ნათესავს პატარა კუთხის გამოყოფაზე უარს ეუბნებოდაო.

სხვათა შორის "ჩვენმა ნიკოლოზმა" გადაუკრა სიტყვა იმ გეორგს, რომ მისი არასტუმართმოყვარეობა ბოლშევიკებს

გამოუვალ მდგომარეობაში ნააყენებდა. ერთადერთი ბოლშევიკები არიან, ვინც მე "სისხლიანს" მიწოდებენ, და მოითხოვენ, აქედან ავიბარგო, შენი დრო უკვე გასულიაო. მაგრამ, შენს გარდა, ძვირფასო მამიდაშვილო, ამა და ამ ნომრის გეორგ, წასასვლელი არსადა მაქვს. საიქიოს გარდა, სადაც, ისევე როგორც შენს ბრიტანიაში, იქაც ბოლშევიკური ჯერობით უმცირესობაში არიანო.

ხოლო ბრიტანელმა წინა ნომრიანმა მამიდაშვილმა, თავი ისე მოიკატუნა, თითქოს გონებასუსტი იყო, და გადაკრულად ნათქვამი ვერ გაიგო. თავს რამდენიმე თვეს იკატუნებდა, თუმცა "ჩვენი ნიკოლოზი" ისევ ითხოვდა სტუმრად მიღებას და პროგრესირებადი გამჭვირვალობით აგრძნობინებდა ბოლშევიკების ძალზე შეზღუდულ მოთმინებას.

სამაგიეროდ, როცა ბოლშევიკებს მოთმინება გაუწყდათ, "გონებასუსტმა" მამიდაშვილმა უცებ გადაგვცა ანათემას და ცისფერსისხლიანი ნათესავები გამოიტირა. ტირილით ნამდვილად არ მოუკლავს თავი, მთიელებივით მწარედ არ უგლოვია, კულტურულად გამოიტირა, წერილობითი ფორმით. მთელი მსოფლიოს გასაგონად.

მე მაშინ ამხანაგების თანდასწრებით ვთქვი, ცისფერი სისხლით ხელები რომ შეიღება, ბრიტანელმა მონარქმა საბედისწერო სიბეცე გამოავლინა-მეთქი.

ცხადია, ტროცკიმ ჩემზე გესლიანად იხუმრა: ცისფერი სისხლით ხელების წითლად შეღებვა თვით ბრიტანელ მონარქსაც არ შეუძლიაო. ხოლო თვითონ მონარქზე თქვა, სიბეცეზე უფრო "ბოზბეცობა" გამოავლინაო.

ლეიბამ ჩვეულებრივ თავმომწონედ ჩაიხითხითა და თქვა, ეს ნეოლოგიზმიაო. მე გამეღიმა და ამხანაგებისგან მოვითხოვე, ხაზი გადაესვათ ამ ფორმულირებისათვის იმის საფუძველზე, რომ ისედაც რთულ სიტუაციას ნეოლოგიზმი უფრო ართულებდა.

ჩვეულებისამებრ ილიჩმა "შეგვარიგა": ორივენი მართლები ხართ, რამეთუ კონტინენტალურ ევროპაში ამ გეორგს კუნძულის "ობერ-ბოზის" რეპუტაცია აქვსო.

სხვათა შორის, მე მაშინ ეს სიტყვა პირველად გავიგონე, მაგრამ საქმე საჭოჭმანო სიტყვებში როდია, მთავარი ის არის, რომ ისინი სრულ ჭეშმარიტებას გამოხატავდნენ.

ცხადია, გეორგი ობერ-ბოზი იყო. მაგრამ რაც უფრო მაღალი თანამდებობა უჭირავს ადამიანს, მისი "ბოზბეცობა" უფრო ბუნებრივი ჩანს, ხოლო მის სიბეცეს მეტი ზიანი მოაქვს.

გეორგი რომ გონებასუსტი არ ყოფილიყო და "ჩვენი ნიკოლოზი" თავისთან მიეღო, დღესაც კი ცოცხალი სამეფო ოჯახი რუს გლეხს არაყზე ან შარდზე მეტად აუფრეფდა გონებას.

მაშასადამე, დღევანდელი გეორგიც იქნებ არც გამხდარიყო იძულებული, ბოზბეცი ჩერჩილის ხელით ცივი იარაღი გამოეგზავნა ჩემთვისო.

ისიც შესაძლებელი იყო, რომ ეს ახალი დრო დიდხანს არც გაგრძელებულიყო. იმდენად ახალი დრო, ძვირფასო სტუმრებო და ბატონო ბრიტანელო ლეიბორისტებო, რომ რევოლუცია უკვე ყველგან აღარც არის საჭირო.

განსაკუთრებით იქ არ არის საჭირო, სადაც არ დაუშვებენ.

სადაც ჩერჩილებს არა მარტო დიდი ადგილ-მამულები აქვთ, არამედ საიმედო დაცვაც ჰყავთ. იმაზე ძლიერი, "ჩვენს ნიკოლოზს" რომ ჰყავდა.

მე ვგულისხმობდი არა იმას, რაც მაშინ ლეიბორისტებს ვუთხარი, არამედ იმასაც, რომ როცა კედლებს აფართოებ, ჭერსაც უნდა დაუკვირდე, რათა არ ჩამოინგრეს-მეთქი. უამისოდაც ჩემს რუკაზე წითელმა საღებავმა თითქმის წითელ ზღვამდე მიაღწია-მეთქი. არ მინდოდა ზღვისიქითა ბატების გაღიზიანება. მე სხვა რამ მინდოდა - ჩემი ხალხისთვის ამოსუნთქვის საშუალების მიცემა, ასევე მისი ბელადისთვისაც. ორივენი დაღლილნი იყვნენ და ორთავეს ბედნიერება ენატრებოდა.

მაგრამ ბატებმა მშვიდობა არ დაუშვეს. ალბათ, წარმოიდგინეს, რომ მე და ჩემი ხალხი დავფრთხით, და ჩქმეტა დაგვიწყეს. იქნებ, პირიქით, თვითონ შეეშინდათ, მაგრამ გაიხსენეს, რომ ბატების ყიყინმა კაპიტოლიუმი გადაარჩინა.

შტატებში საყიყინოდ სწორედ ერთ-ერთი ყველაზე მსუქანი ბატი გაფრინდა.

იმ ქალის მონატრება, ვისთანაც დუმილი შეიძლება...

თუმცა მთელს ევროპაში ჩერჩილი ჩერჩილებს შორის ყველაზე მძიმეწონიანი იყო, იგი ევროპას მაინც ვერ ამიმხედრებდა.

ვერც ღმერთს დამიპირისპირებდა. რომელიც მე მიფრთხილდებოდა, უკეთაც მიცნობდა და პატივსაც მცემდა.

ამერიკელები ცუდად მიცნობდნენ. მით უმეტეს, რომ ერთადერთი იმათგანი, ვისთანაც მეგობრობა მაკავშირებდა, რუზველტი, უფალმა საიქიოში გაისტუმრა. სხვებმა კი ჩვენზე მხოლოდ ის იციან, რომ ჩვენ შავკანიანებზე უარესი ვართ - წითლები ვართ, ისინი ჩვენგან უფრო შორს ცხოვრობენ, ვიდრე ღმერთი და ცხოვრობენ განმარტოებით, როგორც ღმერთი, თუმცა უკეთ კი არიან შეიარაღებულნი.

უძველესი მონაცემებით ღმერთს მრისხანების შვიდი ფიალა აქვს და შვიდივე ყველასთვის საჩინოა.

უახლესი მონაცემებით, - ამერიკელებს მეტი აქვთ, თუმცა გამოაჩინეს მხოლოდ ორი. თანაც შორიდან; პირველი ხიროსიმიდან, ორიოდე დღის შემდეგ კი - ნაგასაკიდან. [illegible] იდიოტებიც კი მიხვდნენ, რომ ნებისმიერ დანარჩენს [illegible] ერთ-ერთ განწყობილების გაფუჭება შეუძლია. და არა მხოლოდ იაპონელებისათვის. არა მხოლოდ ყვითელკანიანთათვის. ნებისმიერი ფერის ადამიანებისათვის: წითელკანიანის, თეთრკანიანისა და შავკანიანისათვის.

ლილისფერკანიანისთვისაც კი, როგორიც არის ჩერჩილი, სიმთვრალეში.

როცა მაჩვენეს ამერიკაში მისი ნაყიყინევი ტექსტი, თავდაპირველად გავიფიქრე, რომ მთვრალი სანამ სიტყვას იტყოდა, სქელუას მთელი ჩემი კონიაკი ერთბაშად ჩაუცეცხლავს-მეთქი.

ალმურიც კი მომედო. თითქმის ოთხი წელი გავიდა და მხურვალება არ გამომნელებია. თუმცა მარტის მთელი ის ღამე რადიატორთან ვიჯექი და ვერ გავთბი. ამ დროს ჩემთან შემოდის ვლასიკი თუ პოსკრებიშევი. მახსოვს, რომ ხელში ეს ქაღალდი ცხელი ლანგარივით ეჭირა.

"რა მოიტანე?" - ვეკითხები.

"ჩერჩილის სიტყვა, – მპასუხობს. - ცხელია".

"რა აზრით? - ვერ გავუგე მე. - ახალია?"

"არა, მტრულია. თუმცა - მხურვალე აპლოდისმენტებით"

"ვინ დააჯილდოვა აპლოდისმენტებით?" - ვეკითხები.

"ტრუმენმა და სხვა იანკებმა", - მპასუხობს ვლასიკი თუ პოსკრებიშევი. ალბათ, მაინც პოსკრებიშევია. ვლასიკი უფრო სასაცილოდ იტყოდა - "ტრუმინი".

ქაღალდს თვალი გადავავლე და ვუბრძანე, მოლოტოვი გაელვიძებინათ.

მოლოტოვი დილამდე იჯდა ჩემთან. ქაღალდზე თითებს აკაკუნებდა და ჩერჩილს მყრალ ბოზს ეძახდა. ტრუმენსაც ასე მოიხსენიებდა და წარამარა ბოდიშობდა.

მე ჩავიბუტბუტე, ჯერ ერთი, ნუ ბოდიშობ, მეორეც, მტრებს უნდა არჩევდე. განსაკუთრებით თუ გუშინ ორივენი ჩვენი მოკავშირეები იყვნენ-მეთქი. მაშინ ჩერჩილს "პიდარასი" უწოდა.

ორჯერ ამ სახელით ამერიკელიც მოიხსენია. შემახსენა, რომ ომის დაწყების წინ ამ "პიდარასმა", რომელიც მაშინ პრეზიდენტი კი არა, მხოლოდ "მყრალი ბოზი" იყო, მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა:

თუ გერმანია გაიმარჯვებს, ჩვენ რუსეთს დავეხმარებით, თუ რუსეთი გაიმარჯვებს, მივეხმარებით გერმანიას - დაე, რაც შეიძლება მეტი წითლები გაანადგურონო!

კარგა ხანს ხმა არ ამომიღია.

მოლოტოვი რადიატორთან იჯდა, მასაც სიცხე უხუთავდა სულს, მაგრამ თვალების დაუხამხამებლივ შემომცქეროდა. ბოლოს ამოიოხრა, სათვალე მოიხსნა, თავი დაიქნია და დამეთანხმა: სამწუხაროდ, ომი გარდაუვალიაო.

"შენ მე არ მეთანხმები, მოლოტოვ, - ამოვიოხრე მეც. - შენ მტრებს ეთანხმები, მაგრამ მაინც მართალი ხარ: ვერაფერს გავხდებით, - ომი გარდაუვალია. უბედურება სხვა რამ არის. უბედურება ისაა, რომ ახლავე უნდათ ომის დაწყება. სანამ ჩვენ გონს მოვეგებოდეთ და სანამ მათსავით არ მოგვიმარაგებია, როგორც იმათ, მეშვიდე თასი".

იმ დღეს სამუდამოდ გამოვეთხოვე ოცნებას საკუთარ ბედნიერებაზე, რისკენაც ომის წლებში მომიწოდებდა "პიდარასი".

ნადიას შემდეგ მე მაინც არავის შევირთავდი. მაგრამ სწორედ იმ წლებში მოსვენებას არ მაძლევდა ნატვრა უბრალო და ერთგული ქალისა, ვის გვერდითაც შეიძლებოდა ხმა არ ამომეღო და სიკვდილზე არ მეფიქრა. ვისთან ერთადაც ზაფხულის ღამეს ზღვის სანაპიროზე შემეძლებოდა ვერანდაზე წამოწოლილს მეცქირა, თბილი ზეცის ჩამუქებულ წყლებში რა უხმაუროდ დგაფუნობდა მთვარე. ალერსიანი, კამკამა და ახლობელი მთვარე, როგორიცაა იგი საქართველოში.

და ამ უბრალო და ერთგული ქალისგან იღვრებოდეს მთის შროშანის მოკრძალებული სურნელი.

და რომ ეს სურნელი აღწევდეს ჩემს გულში და მიღვივებდეს მივიწყებულ ჩვევას სიყვარულისას. და გამოდენიდეს იქიდან ყველა მოგონებას.

და გულს უკვე აღარაფერი სურდეს, სიჩუმის, ალერსიანი მთვარის და შროშანების ამ სურნელების გარდა.

ხანდახან მაინც... დროგამოშვებით...

გადავწყვიტე, არასოდეს მოვკვდე...

ორმოცდაექვსი წლის მარტის იმ ღამეს მე გამოვეთხოვე ამ ოცნებას და ისევ დავიწყე ომისთვის მზადება, როგორც ვემზადებოდი ათი წლის წინ. ღმერთს ვევედრებოდი, რაც შეიძლება მეტი დრო მოეცა ჩემთვის, რათა ისევ შეუძლებელი რამ ჩამედინა.

თვითონ ღმერთი სამართლიანობას არასოდეს ესწრაფოდა, მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდა, რამეთუ სამართლიანობა ძლიერებს არ სჭირდებათ, ის სუსტებს სჭირდება - უმრავლე-

ობას. მაგრამ უმცირესობა რომ დავაუძლურეთ, უმრავლესობა გავაძლიერეთ. ეს კი ბუნებას ეწინააღმდეგება.

სიძლიერისა და უძლურების, ბედნიერებისა და შიმის ერთიანობა ისევე ბუნებრივია როგორც, რომ ცოცხალი ნებისმიერ წუთში მოკვდეს.

და მაინც, რაკი შეუძლებლის შემოქმედნი ვართ, ბედნიერებაზე ჩვენ უფრო იშვიათად ვლაპარაკობთ, ვიდრე მტერი. თავისუფალი ის არის, ვინც უფრო იშვიათად ფიქრობს გარდაუვალზე.

სიკვდილზე. თავისუფლებაზე.

როცა შეუძლებლიდან უმთავრესი შესაძლებელი ხდება, შესაძლებელია ნებისმიერი სხვა შეუძლებლობაც. მე იმაზე კი არ ვლაპარაკობ, რომ მოკავშირეები გამარჯვებისთანავე მტრებად მოგვეკიდნენ-მეთქი.

მე იმაზე მოგახსენებთ, რომ მათ ომის დამთავრებისთანავე გამოთვალეს, დიდხანს შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენი მეურნეობა ომამდელი დონისთვის გაგვეთანაბრებინა. ამას 65 წლის ბოლომდე მოვუნდებოდით. თანაც სესხს თუ ავიღებდით. და მართლებიც იყვნენ. მაგრამ ჩვენ ამ დონეს დავუბრუნდით 49-ის დასაწყისში. ყველა მაჩვენებლით, გარდა სულადობისა. ვგულისხმობ პირუტყვს. და ადამიანთა სულადობრივ რაოდენობას. ბამბა კი მეტიც მოვკრიფეთ. და ეს მოვახერხეთ უსესხოდ.

ერთხელ, ომის დასაწყისში, როგორც ბავშვობისას, დევი დამესიზმრა. უზარმაზარი და გაბანჯგლული. თუმცა ამჯერად არ დამმუქრებია, პირიქით, ხელები მომიფათურა და დამიყვავა, დამშვიდდით. "ნუ განიცდი, - ალუღლუღდა, - რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ამყარებს წესრიგს დედამიწაზე. მოსკოვი თუ ბერლინი? შენ თუ სხვა? შენ - როგორც სხვამ: შეხედე შენს თავს ჩემს ხელებში!"

განსხვავება უზარმაზარია! - გამელვიძა მე, - უზარმაზარი. და იზომება იმ განსხვავებით, სხვა კითხვაზე პასუხებს შორის რომ არსებობს: რისთვის მყარდება წესრიგი?

ბერლინი წესრიგს მხოლოდ გერმანელებისათვის ამყარებს, მე კი - საერთო უმრავლესობისათვის. იმათთვის, ვინც დაუცველია. მე წესრიგს ვამყარებ არა მხოლოდ ჩემს ქვეყანაში. იგივე ვაშინგტონი, რომელიც თავის დაუცველ ადამიანებს უმტკიცებს, რომ ჩვენ კაციჭამიები ვართ, იძულებულია, უკეთესი სალაფავით უზრუნველჰყოს ისინი.

მის დახმარებაზე უარი რომ ვთქვი, დროის გაჭიანურება დავიწყე. თან "ბონიერების გამარჯვების" სადღეგრძელოებს წარმოვთქვამდი. ყოველთვის როდი ვეშმაკობდი: ხანდახან ბოლომდე ვცლიდი. დროგამოშვებით შეზარხოშებულს მჯეროდა კიდეც "გამარჯვებისა".

მაგრამ ეშმაკობაზე ხელი ამ აგვისტოში აკიდე, როცა ბოლოს და ბოლოს ნაცვლად ღვინით სავსე ყანწისა, ჩვენ შევძელით, აგვეწია რისხვით სავსე თასი, რომელსაც, ბატების ვარაუდით, ჩვენთან დიდხანს ვერ ნახავდნენ, აქაოდა, ატომურ ბომბამდე მოსკოვი ისევე შორსაა, როგორც გონიერებამდეო.

გაოცებამ რომ გაუარათ, სხვანაირად მოლაპარაკეობენ: "ოო, იეს, რასაკვირველია! - ანუ - ო, დიახ, გონიერებას გაუმარჯოსო!"

მაგრამ გონიერების გამარჯვება არც მათ სჯეროდათ. თუმცა ისინიც ფიცულობდნენ, ახლა მშვიდობისათვის ვიბრძვითო. და მართალიცაა, რომ არ სჯეროდათ: მშვიდობისათვის ბრძოლა ისევე ძნელია, როგორც ომაობა ქალწულობის სადიდებლად.

სამაგიეროდ სხვა რამ ირწმუნეს - მცირე სისხლის ფასად ჩვენზე მოპოვებული გამარჯვების გონიერულობა. ჩემი სისხლით რატომ უნდა ვიწუწაოთ მრისხანების თასებში, თუ თამადის მოცილებაც საკმარისიაო?

ისინი არ ცდებოდნენ. რა საჭირო იყო წუწაობა, თუკი ჩემი ჩასერილები ყველაფერს წამსვე გაფლანგავენ? სულმოუთქმელად ელოდებიან იმ დროს, როცა უჩემოდ მიეცემიან ლრეობას. შიშიც კი გამოუნელდათ, რაკი ცოცხლები არიან. უკვე დიდი ხანია, კბილებს აშკარად ულრჭიალებენ ერთმანეთს და უთამადო სუფრასთან ჯდომის ხელოვნებას ეუფლებიან.

თამადად ხომ ვერც ერთი მათგანი ვერ გამოდგება.

ბერია ქართველია, მეგრელი. კაგანოვიჩი - უარესი. მიქოიანი საერთოდ, სომეხია. ჟდანოვი არაკეთილსაიმედოა, განსაკუთრებით სიკვდილის შემდეგ. ვოროშილოვს კლიმს ეძახიან. ხრუშჩოვიც ბრიყვია, ისიც არაკეთილსაიმედოა. ილიჩს კითხულობს და პატივს არა სცემს ბერიას, რომლისაც ეშინია მალენკოვს. თუმცა შანსი არც მას აქვს: ყველასი ეშინია. მოლოტოვი დაბადებულია მოადგილედ და მოხუცია. ხოლო ახალგაზრდობას - მათ შორის ლენინგრადისას, ღვარძლი მეტი აქვს, ვინემ სიყვარული. ანუ მეტი, ვინემ კლასობრივი სიძულვილია. მაგრამ ილიასამდე ამაზე არც მიფიქრია. მიმაჩნდა, რომ გამოსავალი არსებობდა. ერთმანეთს უნდა შეუსიო, როგორც ილიჩი გვასწავლიდა, და ჯაჭვი თანდათან მიუშვა. დაე, იყეფონ და ამ ყეფაში იწამონ, რომ არარაობას წარმოადგენენ. თავად მე კი, ილიჩისგან განსხვავებით, გადავწყვიტე, არასოდეს მოვმკვდარიყავი. არ მქონდა ამის უფლება.

როგორც არ ჰქონდა ამის უფლება მოძღვარს... რამეთუ თავის მოძღვრებაში მთავარი თვითონ აღმოჩნდა. სიკვდილზე საქმის დამთავრებამდე დათანხმდა, ამით მან საკუთარ თავს როდი ულალატა.

არაეინაა ისეთი ტრაგიკული, როგორც რჩეული, რომელსაც საქმე ვერ დაუმთავრებია... რამეთუ ის რჩეულია: მისი ტრაგიკულობა განპირობებულია ხალხის ტრაგიკულობით...

ტრაგიკული რჩეული - ეს ღმერთის ტრაგიკული სიხუსტის სიმბოლოა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარდისფერი ტუფის სომეხი ბოლშევიკი...

სწორედ ამაზე მოვახსენე გუშინ ნადიას. ძალზე თეთრი იყო ქათქათა თოვლქვეშ. გენერატორიც თეთრ, ცახცახა შუქს აფრქვევდა.

თუმცა სასაფლაოზე უფრო გვიან ბნელდება, ვინემ ცხოვრებაში, უგენერატოროდ, თოვლის თეთრ საფარქვეშ ნადიაც ასეთივე ქათქათა რომ არ ყოფილიყო, მე მას ვერ დავინახავდი. მაგრამ ეს შუქი გუშინ მაღიზიანებდა. მომეჩვენებოდა, თითქოს შუქი კი არა, თეთრ მარმარილოში გამოკვეთილი ნადიას სახე ცახცახებდა.

ორლოვს ვუბრძანე, შუქი გამოერთო, სკამი წაელო და სიბნელეში ჩაკარგულიყო.

"ნადია, - ვუთხარი ქალს როცა მარტონი დავრჩით, - ტრაგიკულ რჩეულზე ტრაგიკული არაეინაა..."

"მე? - გაოცდა იგი. - ჩემთან განშორება?"

"შენ სულ სხვა ხარ, ამის გამოსწორება შეიძლება. თანაც მალე. ხვალ, ნადია, უკვე სამოცდაათისა ვხდები. და მალე ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით. მე ამ იუბილეს ველოდი... ისღა დამრჩა, ყველაფერი დავამთავრო... მოვედი, რომ ეს მეთქვა შენთვის..."

"ცოდვაა ხალხი, იოსებ!" - დაიჩურჩულა თეთრი ხმით.

"თუ შევიცოდე, მხოლოდ მაშინაა ცოდო. უჩემოდ ყველაფერი დაინგრევა. ველაფერი, რაც მასთან ერთად ვაშენე. რამეთუ საერთო მტერი გვყავს. ყველა ჭეშმარიტებას თავისი დრო აქვს. მამაშენი ჭეშმარიტებას ეძახდა მსოფლიო რევოლუციას, როგორც ტროცკი ეძახდა, როგორც იგივე კოლია ბუხარინი, როგორც ბევრი სხვა".

მაგრამ ეს არ არის ჭეშმარიტება. ეს, უბრალოდ, სურვილია. ჭეშმარიტებად მხოლოდ თავად დრო იქცევა. თანაც მცირე ხნით, რომელიც დადგა კიდეც.

საქმე ის კი არ არის, რომ სიცოცხლის ბოლოს ყოველი ადამიანი იწყებს ფიქრს, თითქოს მთელი მსოფლიოსათვის განკითხვის საათი დადგაო.

საქმე სხვა რამეა. საქმე ის არის, რომ ის უკვე დადგა და დაემთხვა ჩემი სიცოცხლის დასასრულს.

"თუ არა ახლა, მაშ როდის, ნადია? და თუ არა მე, მაშ ვინ?"

პასუხის გაცემა ქალმა ვერ მოასწრო.

სასაფლაოს თეთრი დუმილი მოკლე, [illegible] შეძახილმა დაარღვია. შემდეგ კი უცებ, მოშორებით ცივი, ხმადაბალი გასროლა გაისმა.

თითქმის იმავდროულად გენერატორი აღრიალდა და მასში დაგროვილი სინათლე სახეში შემომეფრქვია.

კრილოვს გარდა, სხივის ჩქერთან ერთად სიბნელიდან სამი მცველი მომაწყდა.

აელვარდა მეორე სხივიც - ჩემი მანქანის ფარებისა.

- იჯექი! - უყვირა ორლოვმა მძღოლს, როცა იმან თავისი კარი გააღო და გარეთ გამოვარდნა დააპირა.

- კარი! - შესძახა მძღოლმა. - კარი უნდა გავაღო!

- იჯექი! - კბილებში გამოსცრა ორლოვმა, ხელით მანქანისკენ მიბიძგა და კარიც თვითონ გამიღო.

ერთ-ერთმა მცველმა ვერ მოასწრო ჩვენთან ერთად მანქანაში შემოსვლა და ადგილიდან მოწყვეტით დაძრულ მანქანას უკან გამოუდგა. ორლოვი არ მიყურებდა. ცდილობდა, ჩემი თავი დაბლა ჩაეხარა, თუმცა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ქუდი წარბებზე ჩამომეფხატა.

მეორე მხრიდან კი მჭმუჭნიდა და სავარძელში ღრმად ჩაჯენას მიპირებდა ახალბედა ყაზახი, რომელმაც დილას, როცა მეცნობოდა, ისე ღელავდა, საკუთარი სახელიც კი ვერ გაიხსენა. და სახელის მაგივრად ეროვნება დამისახელა. თუმცა ეს მისი სუნითაც იგრძნობოდა.

მოგვიანებით მან გვარის გახსენებაც შეძლო. მაგრამ ტვინის გადატვირთვის გამო დაავიწყდა, რა უნდა ეყო ხელებისათვის, როცა ისინი მტრის ხელების გადაგრეხით არ იყვნენ დაკავებული.

მან ახლაც არ იცოდა, სად წაეღო მარცხენა ხელი. ერთხანს უგერგილოდ იქნევდა, მერმე კი თავისი კარის სახელურს ჩააფრინდა, თუმცა მტრები გარედან არ ეჯაჯგურებოდნენ.

არავითარი მტერი გარეთ არ ყოფილა. მით უფრო - ცოცხალი. შუქზე გრანიტის ორმა გენერალმა და ვარდისფერი ტუფის სომეხმა ბოლშევიკმა გაიელვეს მხოლოდ.

ცოცხალი გენერალი ვლასიკი კი ერთ-ერთი მანქანით სასაფლაოს მთავარ ხეივანში გველოდა.

სახეზე მკვდრის ფერი ედო, მაგრამ არა შიშის გამო. პირიქით, გამოჩენილი გმირობის გამო, რის შემდეგაც გენერლებს უკვდავობის იმედი უჩნდებათ. და თავი მოშვებულად უჭირავთ, როგორც ასოებს შავად ნაწერში.

ან როგორც ჭუკოვს, მაგრამ ის, ჯერ ერთი, მარშალია, მეორეც, უკვე დასჯილია.

ჩვენსკენ მომავალ ვლასიკს ფეხი არც აუჩქარებია, ბაჯბაჯით მოდიოდა. და თოვლზე ასეთსავე ნაკვალევს ტოვებდა. ბოლოს და ბოლოს ტუჩები გახსნა და მომახსენა, ეჭვმიტანილი გრანიტის სახელოსნოს წინკარში დავსხდეთ, სროლა კი გამაფრთხილებელი იყოო.

დიდი სიამოვნებით მაცნობა ისიც, რომ სასაფლაოს დაცვის უფროსსაც დააკავებდნენ, რომელმაც წინასწარ იცოდა, რომ თქვენ აქ მოსვლას აპირებდითო.

"ვინ არის?" - ვკითხე მე.

"მეგრელია, - მომიგო ვლასიკმა. - დიდი მეგრელის კაცი. პროკურორისა, ლავრენტი პალიჩისა".

"მე ეჭვმიტანილზე გეკითხები", - ლავრენტიზე გავბრაზდი.

"ჯერ დადგენილი არ არის, - დაიბნა ვლასიკი, - მაგრამ ეჭვმიტანილი, ესიფ ვისარონიჩ, მღვდელივითაა ჩაცმული".

ისევ ბრაზი მომერია:

"ვლასიკ, როდის ისწავლი მძიმეების ხმარებას?! ეჭვმიტანილი იოსიფ ვისარიონიჩი კი არა, ისაა, მღვდელივით რომ აცვია. მაჩვენე იგი!" - ვუბრძანე მე.

დაკავებულმა ვერ მიცნო. მანქანაშიც არ შემოუხედავს.

მისი თვალებით თუ ვიმსჯელებთ, უფრო მოსათმენ სახეს იმსახურებდა. მაგრამ ასეთი გამომეტყველების ადამიანები ჩვეულებრივ კვდებიან განზოგადებისადმი გადაჭარბებული ლტოლვით.

იგი მცველების მჭიდრო ალყაში იდგა. გულგრილი, როგორც არარსებული. ყინვასაც არ გრძნობდა. რადგანაც, როგორც გამოირკვა, ბიბლიურ ადგილებში უვლია.

შესაბამისად, ვერ გაეგო, რატომ დაუფრთხეს ძილი. პირველი, უმთავრესი ეპისტოლე არ დამამთავრებინესო.

"რომელ ეპისტოლეზეა ლაპარაკი?" - საუბარში ჩარევა გაბედა ვლასიკმა.

"კორინთელთადმი", - მიუგო ეჭვმიტანილმა და დაუმატა, ნოვოდევიჩის მონასტრის წინამძღვარი სახით სწორედ ვლასიკს ჰგავს და იმანაც არ მომცა ბოლო, მთავარი ფრაზის დაწერის საშუალება და იქიდანაც იმიტომ გამოვიქეცი.

სულელია-მეთქი, გავიფიქრე ვლასიკზე, თუმცა სხვა რამ ვთქვი. ვუბრძანე, ინფორმაცია შეემოწმებინათ და, თუ ნათქვამი დადასტურდებოდა, მონასტრის წინამძღვარს მოლაპარაკებოდნენ. დაკავებულზე მეტი ზრუნვა გამოეჩინა, იმ საბაბით, რომ მღვდლები ქვეყანაში ისედაც ცოტანი იყვნენ.

ვლასიკმა ყინვის გამო ბუზღუნი უცებ შეწყვიტა და გაოცება გამოთქვა: როგორ უნდა შევამოწმო ინფორმაცია, ძილს რომ შეეხებაო.

"სულელო, - ახლა კი არ გამიფიქრებია, არამედ ხმამაღლა ვუთხარი ვლასიკს. - დიდ მეგრელს შეეკითხე".

ვლასიკმა განაწყენება გაბედა. რადგან [illegible] დაქვემდებარებული ხალხით იყო გარშემორტყმული, ვისაც გამუდმებით უმტკიცებდა, ბერია ჩემი ტოლი და სწორი არააო.

"სულელი ხარ შენ, ვლასიკ, - ავუხსენი მე, - არც მე მაცალე ნადიასთან ბოლომდე საუბარი და არც ეჭვმიტანილს - კორინთელებთან". და სანამ მინას ავწევდი, მღვდელს ვუბრძანე, გაეხსენებინა მთავარი ფრაზა იმ ეპისტოლესი, რომლის დამთავრებაც ვერ მოასწრო.

"ვისაც არ უყვარს უფალი ჩვენი, ანათემა და წარწყმედა მას!"

მინა ავწიე.

ვეება ყაზახმა, რომელიც საუბრის დროს მანქანიდან გადამძვრალიყო და დაკავებული ეჭვმიტანილი უკან გადაგრეხილი ხელებით ეჭირა, ისევ მანქანაში შემოსვლა დააპირა, მაგრამ არ შემოვუშვი, ნეკათითით უსიტყვოდ მივაბრუნე.

ვლასიკს კი ვუთხარი: პროკურორისგან ისწავლე, მანქანაში ყაზახები როგორ არ უნდა შემომისვა-მეთქი.

გზას რომ გავუდექით, ორლოვს გამოვუტყდი - გავფიცხდი-მეთქი. მიპასუხა, მომეწონა ეპისტოლე კორინთელთადმიო. ახლა უკვე საკუთარ თავს ვუსაყვედურე. იმის გამო, რომ ეს ფრაზა არ მახსოვდა.

"ვისაც არ უყვარს უფალი ჩვენი, ანათემა და წარწყმედა მას!"

"მხოლოდ სიყვარულითა და გულმოწყალებით როდი ცხოვრობდა ქრისტე, ორლოვ!" ორლოვმა ვერ გაიგო, მაგრამ დამეთანხმა. "მომეწონა ისიც, - მითხრა მან, - ვლასიკი ამხანაგ ბერიასთან რომ გაგზავნეთ ჭკუის სასწავლად".

არაფერი მითქვამს.

სანამ ნადიას ველაპარაკებოდი, ჩემი მაზარის ნაკეცებში დაგროვილი თოვლი გადნა და მიკარნახა რა სახელი უნდა დამერქმია ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობისათვის. თავს ახლა სველ ფლანელად ვგრძნობდი.

მეხსიერებას კი ვუბრძანე, ეს შედარება დაემახსოვრებინა, და ორლოვს მივუტრიალდი. მისი სიტყვებიდან შეიძლებოდა დასკვნა, რომ, თუმცა ვლასიკის კადრად ითვლებოდა, თავის უფროსად მაინც დიდი მეგრელი მიაჩნდა.

რომელმაც, მაშასადამე, შეუძლებელია, არ იცოდეს, რომ მე მის საუბრებს ვისმენ...

არ გაცივდე, ბარაშკა-ჯან!

ყურმილი რომ ავიღე, ბერია მოლოტოვს ესაუბრებოდა:

"ადრე თუ გვიან, მიხაილოვიჩ, ეს მოხდება! ადრე თუ გვიან - გულახდილად გეუბნები - ყველაფერი ხდება!"

"რას გულისხმობ?" - შეცვლილი ხმით იკითხა მოლოტოვმა.

"რასაც გეუბნები. პატრონი დარწმუნდება, რომ მე და შენ, მიხაილოვიჩ, და საერთოდ ძველი გვარდია არა მხოლოდ ყველაზე საქმიანია, არამედ ყველაზე საიმედოც..."

"ღმერთმა ქნას!" - ამოიოხრა მოლოტოვმა.

"შენ რაღამ შეგაშინა? რა გეგონა?" - ჰკითხა ლავრენტიმ პაუზის შემდეგ.

"როდის?"

"როცა გითხარი, ყველაფერი ხდება-მეთქი..."

"მე არ შემშინებია... ვერ გავიგე, რას გულისხმობდი "ყველაფერში"?"

"ამას ვგულისხმობდი, სხვას რას? ადრე თუ გვიან პატრონი... - სიტყვა ისევ გაუწყდა. - მაგრამ ჩვენ ხომ აფრიკელები არა ვართ?"

"რა შუაშია აფრიკელები?" - გაოცდა მოლოტოვი.

"არაფერ შუაში არიან. უბრალოდ სერგომ ამოიკითხა სადღაც, რომ აფრიკელები..."

"რომელმა სერგომ?"

"ჩემმა შვილმა".

"სხვათა შორის შენ ორჯონიკიძესაც ჩემს ეძახდი..."

დუმილი ჩამოვარდა.

"მერე რა? ოდესღაც მეგობრები ვიყავით... მაგრამ მერმე..."

"განაგრძე, ლავრენტი..."

"ხანდახან შენი ლაპარაკი არ მომწონს, მიხაილოვიჩ. სერგო იშვიათი ადამიანი იყო, მაგრამ მერმე თვითონაც ირწმუნა ეს - და ყველაფერი გააფუჭა. ყველას გაკრიტიკება დაუწყო, ვინც იშვიათი არ იყო. განსაკუთრებით კი, ვალიარებ შენს წინაშე, იმათაც, ვინც მასზე იშვიათი იყო. ზინამ ჩაუშვა, ცოლმა. ჰოდა, მართალია, ჩვენ ვმეგობრობდით, ჩემს სერგოსაც მისი პატივისცემით დავარქვი სახელი. თუმცა მოგეხსენება, მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ...

"კეთილი, არ გვინდა ამაზე საუბარი. მე ისე გითხარი, უბრალოდ... მაინც რა ამოიკითხა შენმა სერგომ?"

"რომელიღაც აფრიკული ტომი თურმე ბელადს შვიდი წლით ირჩევს. თუ ბელადი კარგი და კეთილი გამოდგა, მეშვიდე წლის შემდეგ, მოსავლის აღების ჟამს, ჭამენ თურმე. ჯერ,

რა თქმა უნდა, კლავენ. მაგრამ ადამიანის შეჭმა მაინც არ არის კარგი საქმე. ჩვენთან ეს მიუღებელია".

"მე ასეთი რამის ცოდნაც არ მინდა!" - გაცხარდა მოლოტოვი.

"შენ ხომ თვითონ მითხარი, ფიქრი ყველაფერზე შეიძლებაო!"

"ფიქრი კი, მაგრამ ცოდნა - არა... - ჩაილაპარაკა მოლოტოვმა. მცირე ხნით ჩაფიქრდა და დაუმატა: - თუ ბელადი კეთილი არ არის, რაო, არ ჭამენ? ან არ კლავენ?"

"არ ვიცი... თუ ბოროტია, შესაჭმელად მტრებს მიუგდებენ".

მოლოტოვი ჯერ მძიმედ აქშინდა, მერმე გაცინება გადაწყვიტა:

"შენს სამეგრელოში?"

"რა უცნაურად ხუმრობ, მიხაილოვიჩ! სამეგრელო აფრიკა არ არის, არამედ საქართველოს შვეიცარიაა! მაგრამ ჩვენ კვება უკეთესი გვაქვს! თუმცა მე მაინც ვეგეტარიანელი ვარ!"

"ვიცი, მაგრამ ესეც არაფერ შუაშია. რადგან სამეგრელოში შენ სწორედ რომ მოგიხდებოდა ბელადობა... მაინც რამ გაგახსენა აფრიკელები?"

"იმან, რომ მე და შენ აფრიკელები არა ვართ! კარგად ვმუშაობთ და ჯილდოდ შეიძლება შეგვჭამონ კიდეც!"

"ვინ უნდა შეგვჭამოს? ამას ხალხი არ დაუშვებს!"

"ისევ არ იშლი შენსას, მიხაილოვიჩ! შენ ხალხს სათანადოდ არ აფასებ! ხალხს უფრო მეტი იუმორი აქვს, ვინემ შენ. და ცხოვრების მეტი ხალისი. ხალხი, მიხაილოვიჩ სულ ზეიმობს: მაშინაც კი, როცა ბელადი ტრიბუნაზეა, და მაშინაც, როცა სამწვადედ არის წამოგებული შამფურზე!"

"ეს შენი ხალხია ასეთი, მეგრელები! - გაბრაზდა მოლოტოვი, - მწვადები და შამფურები მისი მოგონილია! მაგრამ ადამიანი ცხვარი როდია!"

ლავრენტიმ ხმამაღლა გაიცინა:

"რა საჭიროა გაბრაზება, მიხაილოვიჩ? ცხადია, ხალხი ცხვარი არ არის. ცხვარიც რომ იყოს, მაინც... აი, ჩემი ხალხი ახსენე, ჩვენ კი, საქართველოში, გვყავს ასეთი სახალხო პოეტი, გრიშაშვილი. მას ოსები ჰქვია...

"ილაპარაკე, რატომ გაჩუმდი ასე უცებ?"

"კი არ გავჩუმდი, ვფიქრობ, ზედმიწევნით ზუსტად როგორ ვთარგმნო? იცი, მან თავისი ლექსების წიგნს ასე დაარქვა: "არ გაცივდე, ბარაშკაჯან!" გესმის? ესე იგი, ყველა ბატკანზე ზრუნავს, რომ არ გაცივდეს, მაგრამ ჭამით მაინც ჭამს"...

"მე ვიცნობ ამ პოეტს, მაგრამ შენ ამით რისი თქმა გინდა?" - დაიბნა მოლოტოვი.

"მე მინდა, ხალხზე გითხრა. ადამიანი ცხვარი არ არის. და არც ცხვარია ადამიანი. თუნდაც უკანა ფეხებზე დააყენო და

ცხვრის ქურქი ჩააცვა. მაგრამ თუ ბევრ ცხვარს დავაყენებთ უკანა ფეხებზე და ყველას ცხვრის ქურქებს დავპირდებით, მაშინ ისინი ხალხს ძალიან დაემსგავსებიან. ნებისმიერ ხალხს. თუნდაც აფრიკელებს".

"რას ნიშნავს ეს სისულელე! - გადაირია მოლოტოვი. - და საერთოდ რა შუაშია ეს აქ? შენ მუდამ გამოცანებით მელაპარაკები, ლავრენტი. ცხვრები, ბელადები, აფრიკელები..."

თავის მოკატუნება სულელად - სისულელეა...

მართლაც რა შუაშია ეს აქ? - გავიფიქრე მეც. სულელს თამაშობს. მაშასადამე, სულელია: არ ესმის, რომ არ შეიძლება მან ეს როლი ითამაშოს. არ დაუჯერებენ.

რომ არ ცრუობდეს უკვე გარეგნობითაც, მოლოტოვის ადგილზე ვიშინსკის კი არა, ბერიას დავნიშნავდი. და არა მარტო მოლოტოვის მაგივრად. სხვების მაგივრადაც. ყველა საქმის მინისტრად ვისურვებდი.

თვითონ ჩერჩილმაც კი მითხრა, შენი ჩასვრილებიდან ბერია ყველაზე თავაზიანიაო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბერია ცრუობს. იმით ცრუობს, რომ, თუმცა მწვანე ფერის სახე აქვს, ისე გამოიყურება, როგორც ებრაელი დოქტორი.

მე კი ასეთი რამ არ მიყვარს. მიყვარს, როცა დოქტორი არა მარტო დოქტორია, არამედ დოქტორივითაც რომ გამოიყურება.

სხვათა შორის, შეიძლება ბერია არც ცრუობდეს, იქნებ მართლაც ებრაელია. მწვანე ფერის ებრაელი. მისი და ქართველ ებრაელს გაჰყოლია ცოლად. თუმცა იგი ყრუ-მუნჯი ყოფილა.

თვითონ ლავრენტი კი ყოველივე იმისადმი, რასაც ებრაელებზე ამბობენ, თავს არ იყრუებს, არც მუნჯია ხოლმე, როცა კი სურს, მათ გამოესარჩლოს. ამის სურვილი კი ხშირად უნდება. უკიდურეს შემთხვევაში, თავი რომ მოისულელოს, ეს სისულელე იქნება.

სულელობაზე რომ თავი მოიკატუნოს, ეს სისულელე იქნება. 27 წლის ასაკში იყო სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, სულელი ვერ იქნება. მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის. ხოლო ამ სამსახურის უფროსმა ხომ ყველაფერი ყველაზე მეტი უნდა იცოდეს. მან ისიც უნდა გაიგოს, რაც ჯერ არ თქმულა და შეიძლება არც ითქვას.

სხვათა შორის, ამით ამართლებს, რომ მოსკოვში თან ჩამოიყვანა ამდენი ქართველი და არა მარტო მოსკოვში. სად არ დაანიშვნინა ქართველები!

მაგალითად, აკიღოთ ბელორუსია. ვინ არის სუკის უფროსი? არა უბრალოდ მეგრელი ცანავა, არამედ ისიც ლავრენტი.

უნდა ითქვას, იმ ლავრენტის გარეშე [illegible] ებრაელი მეფისტოფელი სისხლს გაგვიშრობდა. გარეგნობის გამო ასე უწოდებდა ჩემი ლავრენტი ებრაელ მიხოელსს. უტვინო სოლომონს, რომელიც სხვათაშორის უხეირო მსახიობი იყო. მუდამ აჭარბებდა ხოლმე. იმდენად აჭარბებდა, უფლება რომ ჰქონოდა, წინადაცვეთას არა მხოლოდ მეფისტოფელს გაუკეთებდა, არამედ მთელ ყირიმსაც. რის თაობაზეც ამერიკელებს შეუთანხმდა, რომ ყირიმი წინადაცვეთილთა რესპუბლიკად, ებრაელთა სამშობლოდ ექციათ. მერმე კი საერთოდ მოეკვეთათ ჩვენგან.

ლავრენტის ვუბრძანე, ეს თავხედი გაეუვნებელყო. მან კი იცის, რომ საპატიო მიცვალებულზე უსაფრთხო არავინ არის.

ამ შემთხვევაში ლავრენტი ჯორზე არ შემჯდარა. იგი მხოლოდ საკუთარ თავს პატიობს თავხედობას, რომელსაც პრინციპულობას უწოდებდა. სხვათაშორის ყველა წინააღმდეგობას ლავრენტი, როგორც ნამდვილი ბელადი, ლინგვისტიკის მეშვეობით გადალახავს ხოლმე.

გაჯიუტება კი ნამდვილად შეეძლო. სახელმწიფო უშიშროების მინისტრი აღარა ვარ და მეფისტოფელის გაუვნებელყოფა, ლინგვისტიკის თანახმად, მე კი არა, ამხანაგო სტალინ, აბაკუმოვს ევალება, რომელსაც ჩემი პორტფელი ჩააბარეთო. მით უმეტეს, რომ ამას წინათ ამხანაგ მიხოელსის სადღეგრძელო დავლიე და დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვეო.

ზუსტად ასე მითხრა კიდეც: დაე, თქვენმა აბაკუმოვმა უბრძანოს მინსკელ ლავრენტის, მინსკელი მეფისტოფელი გააქროსო. ბელორუსელი ლავრენტი გაჯიუტდება, რამეთუ ისევე, როგორც მე, დარწმუნებულია, რომ აბაკუმოვი იდიოტია და ნებისმიერი როლის შესრულებისას არა უბრალოდ აჭარბებს, არამედ როლი მისთვის საერთოდ გაუგებარიაო. გაჯიუტებული მე დამირეკავს, ცენტრალურ ლავრენტის. მე კი ეუპასუხებ. მართალია, მე არაფერ შუაში ვარ, მაგრამ ჯიუტობას არ გირჩევ-მეთქი.

როგორც მერმე აბაკუმოვმა მითხრა, თურმე თვითონ მიხოელსი გაჯიუტებულა. უარი უთქვამს მინსკში ჩასვლაზე, არ მცალიაო.

აბაკუმოვს დაუთანხმებია, ცოტა ხნით წადიო. და სიტყვას არ უღალატა, მაშინვე დაურეკა ბელორუსელ მეგრელს

და უთხრა: მაღალ სტუმარს ცოტა დრო აქვს, არ სცალია, ფეხით ვერ იარის და დიდი ავტომობილი გამოუყავი, უმჯობესია საბარგოო.

მაგრამ ჩემმა მეგრელმა ბელორუსელ მეგრელს ურჩია, აბაკუმოვისთვის უარი ეთქვა, ტრანსპორტის იმედი ნუ გექნება-თქო, მაგრამ საქმე საბოლოოდ ისე მოაჭახრაკა, როგორც მინისტრს აქვს ჩაფიქრებულიო: ბელორუსული ღამე, ლიპყინული, დაცარიელებულ ქუჩაზე დიდი აქტიორი-ტრაგიკოსი და დაზიანებული მუხრუჭების ტრაგიკული ღრჭიალი.

სინამდვილეში თავის თავხედურ სულთან ერთად გიჟური ოცნება ებრაულ ყირიმზე მეფისტოფელმა ღმერთს ჩააბარა არა საბარგო მანქანის ბორბლებქვეშ, სადაც იგი შემდგომ დააგდეს, არამედ ბელორუსელი მეგრელის აგარაკზე, სხვათაშორის ამ მეგრელსაც დაულევია მისი სადღეგრძელო და დიდხანს სიცოცხლეც უსურვებია.

ღმერთს, როგორც მე მოველოდი, ყირიმის იდეა არ მოეწონა. ხოლო თუ მოეწონა, რაკი უფრო გამოცდილი მსახიობი იყო, მან ეს არ გამოამჟღავნა.

სხვათა შორის, ლავრენტიმ ყირიმში სახელმწიფო უშიშროების მინისტრად თავისივე კაცი დანიშნა - ქართველი, გრიშა კაპანაძე. უკრაინაშიც ეს თანამდებობა ბერიას თანამოაზრეს ეჭირა - თბილისელ ამაიაკ ქობულოვს. უზბეკეთშიც. ისიც მეგრელი იყო. ალიოშა საჯაია. თვით შორეულ აღმოსავლეთშიც - მიშა გვიშიანი.

საქართველოშიც მეგრელი იყო - ავქსენტი რაფავა. თუმცა საქართველოში მეგრელებს იცნობენ.

სულელის თამაშს თავს არ ანებებს, მუდამ აჭარბებს. კარგად გაუგო მოლოტოვმაც, რომელმაც თავის დროს ჰიტლერელ ჰერ რიბენტროპსაც დაუჯერა. ლავრენტისა კი არასოდეს სჯეროდა. მუდამ ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდა: არაკებით ნუ მელაპარაკები, სათქმელი პირდაპირ მითხარიო, და იჯღუნებოდა.

ხოლო ამ ჰერს, როცა ოცდაცხრამეტში ხელს აჩქარებით უწერდა თავდაუსხმელობის ქაღალდზე - ეღიმოდა. გმადლობთ, ძვირფასო ჰერ რიბენტრიპერ, რომ ამ ქაღალდს ხელს აწერ, მაშასადამე, თავს აღარ დაგვესხმებიო. და სჯეროდა მისი, სანამ თვალი არ ჩავუკარი, ამიტომ იყო, მაშინვე ჩავუპაჭუნე თვალი, როგორც კი ხელი მოაწერა.

ხოლო ლავრენტისგან გულახდილი საუბრის მოლოდინი ისეთივე სისულელე გახლდათ, როგორი სისულელეც იყო იმის დაჯერება, რომ, რაკი ხერმა ქაღალდს ხელი მოაწერა, თავს აღარ დაგვესხმოდა.

სად არის გარანტია, რომ ვეგეტარიანელები ადამიანს არ ჭამენ?

ბერია პირადი საჭიროებისათვის დედაკაცებთანაც კი მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რა არის მიკიბულ-მოკიბული საუბარი? ეს არის საუბარი ადამიანთან არა პირდაპირ, არამედ სიტყვის იმ თემაზე ჩამოგდებით, რაც ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია; ის სილამაზისთვისაა საჭირო და არა გაგებისთვის.

მიკიბულ-მოკიბული საუბარი არის საუბარი კულტურზე. საუბარი სხვა ადამიანებზე. აუცილებელი არ არის, ეს ადამიანები ცოცხლები იყვნენ. ყველა რომ მიუკიბავად ლაპარაკობდეს, მეტყველების საჭიროება აღარ იარსებებდა. ცხოვრება კი გახდებოდა უხეში და მარტოსული.

ქარაგმულობა მარტოსულობისგან თავის გადარჩენაა. და კიდევ - სილამაზეა, რომელსაც სწორედ აღმოსავლეთში აფასებენ. ლავრენტი კი აღმოსავლეთიდანაა. სიმართლეს არ ენდობა, მისი შესაძლებლობები შეზღუდულად მიაჩნია.

აფრიკელები ბელადებს მოსავლის აღებისას ჭამენო. თუმცა ცოცხლად არა: ჯერ კლავენ. მაგრამ ადამიანის ჭამა მაინც ცუდი საქმეაო.

ხანდახან ლავრენტის ვერც მე ვუგებ.

იცის, რომ მის საუბრებს ვისმენ, თუმცა საზიზღრობას მაინც ამბობს, რომლის გაგონებაც მოლოტოვს არც სურს. არ არის გამორიცხული, რომ ამით ბერია მიცხადებს, აი, ასე ვმუშაობო. თითქოს კბილს უსინჯავდეს მოლოტოვს - მართლა არ უნდა ამის მოსმენა თუ უნდა და სცხვენიაო.

რატომ არ გინდა მოისმინო, მიხაილოვიჩ? პატრონმა პორტფელი ჩამოგართვა და პოლინაც დაგიპატიჟრა. ერთადერთი ცოლი. იცის, რომ სხვა დედაკაცების მადევარი არა ხარ. ისე მიჰკვრიხარ, როგორც ლობიოს ფოთოლი საჯდომზე. და ეს საჯდომი, სამწუხაროდ, ფართო გამოდგა სხვა ფოთლების დასატევადაც.

რატომ არ გინდა, მიხაილოვიჩ? მე და შენ ხომ აფრიკელები არა ვართ! ჩვენ მუშა ბელადები ვართ - ვისაც, ეტყობა, მალე შეჭამენ.

იქნებ მაინც ისურვო? მაგრამ შენიანებისვე გრცხვენია. მაგალითად, ჩემი გრცხვენია. დავუშვათ, ამერიკელების არა გრცხვენია. ერთი ის მითხარი, რაზე ეხაუბრებოდი მათ მთელი ექვსი საათის განმავლობაში ამას წინათ პულმანის ვაგონში? დაგავიწყდა კიდეც შემდგომ გეამბნა პატრონისთვისაც კი...

სხვათა შორის ეს ასეც იყო. მოლოტოვს ჩემთვის არაფერი უთქვამს. მე კი განზრახ არ ვკითხე. შეკითხვას რაღა აზრი

ჰქონდა. თუ "დაავიწყდა" და თვითონ არ მიამბობს - მაინც რაღაც სისულელეს მოჩმახავს.

სამაგიეროდ ლავრენტის შეკითხე, რაზე ესაუბრა მოლოტოვი ამერიკელებს პულმანის ვაგონში-მეთქი?

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ლავრენტის არ შერცხვა, რომ ეს ამბავი არ იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ყველაფერი მოულოდნელად აეწყოო. გრაფიკის თანახმად, მიხაილოვიჩი ვაშინგტონიდან ნიუიორკში უნდა გაფრენილიყო. და უცებ, საელჩოდან გამოსვლამდე ათი წუთით ადრე, მას ვაშინგტონის მერმა დაურეკა და უთხრა: მისტერ მოლოტოვი ძალზე მაღალი სტუმარია საიმისოდ, რომ ზეცაში ცუდ ამინდს მივანდოთო.

ჩვენ, ამერიკელები, დიდად ვაფასებთ ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას, ამიტომ დანიშნულების პუნქტში საგანგებოდ გამოყოფილი მატარებლით გამგზავრებთ, პულმანის ვაგონით, სადაც მოხვედრის საშუალებას არ მივცემთ მჯდომარეებს, რომ ზედმეტი შეკითხვებით თავი არ მოგაბეზრონ იმის შესახებ, იქნება თუ არა ატომური ომი და, თუ იქნება, როდისო.

ლავრენტიმ მითხრა, მიხაილოვიჩი ადრე მსგავს სისულელეს ყურსაც არ ათხოვებდაო. და ამაში ლავრენტი მართალი იყო, - ყურს არ ათხოვებდა. ამჯერად კი არა თუ მოუსმინა, დაემორჩილა კიდეც.

მხოლოდ იმის დადგენა შევძელით, რომ მთელი ექვსი საათის განმავლობაში ვაშინგტონელები პულმანის ვაგონში მოლოტოვს მოსვენებას არ აძლევდნენ, მაგრამ არც ერთი ჩვენგანისთვის ეს ამბავი არ მოუყოლიაო.

გამოდის, მისი აზრით არის ისეთი რამ, რომელიც არავინ უნდა იცოდეს. და გამოდის არა მხოლოდ ეს, არამედ სხვა რამაც. გამოდის ისეთი რამ, რომლის შემდეგაც დაუჯერებელია, თითქოს იმის ცოდნას ვერ ბედავდეს, თუ როგორ ექცევიან აფრიკელ ბელადებს მოსავლის აღების სეზონში...

თუმცა სად არის გარანტია იმისა, რომ ლავრენტიმ მართლა არ იცის, რის თაობაზე აწარმოებდა მოლოტოვი მოლაპარაკებას პულმანის ვაგონში მტრებთან? იქნებ იცოდეს კიდეც, მაგრამ დუმს, რადგან მას ეს ხელს აძლევს?

სად არის გარანტია, რომ ის მუშაობს მხოლოდ მოლოტოვზე და არა მასთან ერთად? და იმ მიზნით კი არ "მუშაობს", რომ ჩემით დააფრთხოს მოლოტოვი, და მერმე სამეულმა - ბერიამ, მოლოტოვმა და მალენკოვმა მოსავლის აღების ჟამს კეთილ ბელადად გამომაცხადონ?

ბერიას მალენკოვი უფრო ეჯავრება, ვინემ მოლოტოვი. მაგრამ საერთო ენა იმასთანაც გამონახა. თუმცა მალენკოვი

სულელად მიაჩნია, ღამის ქოთანივით, თანაც სახელურმოტეხილი ქოთანივით, რომელსაც სამაგიეროდ სამმაგი ნიკაპი აქვს. მასაც ისევე, როგორც მოლოტოვს, ჩემს "ჯმაკაცს" ეძახდა. ჰოდა, სად არის-მეთქი გარანტია, რომ ის და მისი "ჯმაკაცები" არ მიიჩნევენ, რომ უახლოეს სეზონში დროა ბელადობიდან გადახვიდე ღმერთობაში, ე.ი. სხვა ბელადების კუჭებში.

რაზედაც დღეს გადამიკრა კიდეც სიტყვა. მთელი დიდი თეატრის გასაგონად, მთელი მსოფლიოს გასაგონად.

სტალინი, ისაო, უკვე ნამდვილი ღმერთიაო. თუმცა ამავე დროს ადამიანიცაა. მართალია არა ნამდვილი, მაგრამ იშვიათი ადამიანიო.

ახლა კი ჩემთან თავქუდმოგლეჯილი მორბის სავახშმოდ...

და სად არის გარანტია, რომ ვეგეტარიანელები ადამიანის ხორცს არ ჭამენ? მით უმეტეს, რომ ლავრენტი ამტკიცებს, თითქოს ადამიანი ცხოველი არ იყოს. დარწმუნებულია, ადამიანი ცხოველზე უარესიაო.

თანაც იცის, რომ მე ეს ვიცი, რომ ამაში დარწმუნებულია. ამიტომ იყო, დღეს ხაზს რომ უსვამდა, სტალინი ადამიანთა შორის უიშვიათესი გამონაკლისიაო.

მაგრამ ეს აფხაზთა იდეა იყო და არა მეგრელთა. მიშა ლაკობა ამას ყველაზე ადრე მიხვდა.

მაგრამ მიშა თავის აზრს როყიოდ, ანუ კონკრეტულად გამოთქვამდა. მუდამ ციფრს ასახელებდა: ისეთები, როგორიც სტალინია, ას წელიწადში ერთხელ იბადებიანო. მას შემდეგ, რაც მისი ძმა ნესტორი დავაპატიმრეთ, უფრო ფრთხილი განცხადებების კეთება დაიწყო: ასი-ორასი წლის განმავლობაში ერთი იბადებაო.

ლავრენტი კი ციფრებს საერთოდ არ ასახელებს. უბრალოდ ამბობს: ისტორიის უიშვიათესი გამონაკლისიაო. და მორჩა!

ადამიანებში შეგნებულად ვერ ერკვევა...

ოცდათხუთმეტში მან გამოსცა წიგნი ბოლშევიზმის განვითარებაზე ამიერკავკასიაში. წიგნი ძირითადად ჩემზეა. ცოტა რამ ორჯონიკიძეზეც წერია.

თუმცა გამოირკვა, რომ ეს წიგნი სხვა მეგრელს, პროფესორ ბედიას დაუწერია. რომლისგანაც გავიგე ეს ამბავი.

მაგრამ ლავრენტის ამის შესახებ ცოტა ხნის წინ ვუთხარი.

ისიც მოიარებით, გადაკრულად. პროფესორის გადასარჩენად არ ღირდა ნართაულად ლაპარაკი, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი ლავრენტიზე არა პლაგიატის გამო, არამედ იმის გამო, რომ, თუმცა წიგნი მას არ დაუწერია, ჩემი ბიოგრაფიის მასალები რატომღაც თვითონ შეუკრებია.

სიტყვა ქართულად გადავუკარი, ქართულ ენაზე

ამ წლის გაზაფხულზე ლავრენტიმ ჩასვრილების თანდასწრებით გამომიცხადა, რომ ჩემს იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდოდა ახალი შევსებული და გადამუშავებული გამოცემა მისი წიგნისა ამიერკავკასიის ბოლშევიკების შესახებ.

"რით შევსებული? - ჰკითხა მიქოიანმა და თავისი ყველაზე გულმიუსვლელი პროფილით მიაჩერდა ლავრენტის. - ნუთუ საქართველოს მეათე ყრილობის დელეგატთა სახელებით?"

მიქოიანი საძაგლობებს იშვიათად ამბობს, მაგრამ წლეულს ქართველები ჩვეულებრივზე უფრო აღიზიანებენ. იმის გამო, რომ მე მას პორტფელი ჩამოვართვი. ამიტომ თავის აზრს გამოთქვამს არა როგორც ამიერკავკასიელი ბოლშევიკი, არამედ როგორც სრულიად საკავშირო სომეხი.

თუმცა ლავრენტიმ მას მშვიდად უპასუხა. არა, წიგნი იმ დელეგატების სახელებით არ არის შევსებული. მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი ოცდაჩვიდმეტში მტერი გამოდგაო. და, როგორც აწ გარდაცვლილი მაიაკოვსკი ამბობდა: "Я такого не хочу даже вставить в книжку".

მიქოიანი მისთვის დამახასიათებელი მანერით არ დაეთანხმა: აწ გარდაცვლილი მაიაკოვსკი გულისხმობდა ერთადერთ კაცს, ისიც ბინძურ ადამიანს და არა 425 კრისტალურად წმინდა დელეგატს. რომელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არისო. მათ შორის კი თითქმის ჩვიდმეტი სომეხი იყოო.

ლავრენტის გაბრაზება არ ვაცალე, უბრალოდ ვკითხე, ამჯერად ჩემი ბიოგრაფიიდან რა გადაამუშავე-მეთქი? თურმე ჩემი კი არა, ორჯონიკიძის ბიოგრაფია გადაუმუშავებია. მიქოიანმა ხელახლა ჩაიცინა. ამჯერად ამიერკავკასიური ნორმით - სამართლიანად.

სერგო ორჯონიკიძე ლავრენტის მხურვალე ქომაგი იყო, ჩემთან სულ იშას აქებდა. მირჩევდა, მის თბილისელ მტრებს ნუ დაუჯერებ, მოსკოვში გადმოიყვანეო.

ლავრენტიზე რომ მელაპარაკებოდა, სერგო მართალი იყო: შეიძლება მისნაირი ხალხი საშეგრელოში ბევრი ცხოვრობს,

მაგრამ მოსკოვში არ გვყავდა. ორჯონიკიძე სხვა ადამიანებში ვერ გაერკვა. მაგალითად, ბუხარინში, პიატაკოვსა და იმავე რიკოვში.

როცა ეს აზრი ლავრენტის გავაცანი, თვალები მოჭუტა ხანდახან ჩვენი მეგობარი სერგო ადამიანებში შეგნებულად ვერ ერკვევაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"როგორ შევამოწმოთ ეს?" - ვკითხე მე.

ლავრენტიმ იცოდა, როგორ უნდა შეგვემოწმებინა. საქართველოში მისი ძმა პაპული დააპატიმრებინა, ხოლო მეორე - ვალიკო, სამუშაოდან გააძევა.

სერგო ფიცხი კაცი იყო. "შენ, - დაუყვირა ლავრენტის, - ნამდვილი ვირთხა ხარ! ერთი ხელით შვილს ჩემს სახელს - სერგოს არქმევ, - მეორეთი კი ჩემს ძმებს დაერიე!"

ლავრენტიმ მასაც მშვიდად უპასუხა. ჯერ ერთი, ვირთხას ხელები არა აქვს. მეორე, ჩემი შვილისთვის სახელი ხელით არ დამირქმევია. ისევე, როგორც ხელით არ გამიკეთებია. მესამეც, შენმა პაპულიამ ყველაფერი დაფქვა. თუმცა პირადად შენ ისევ მიყვარხარ და პატივსა გცემ. იქამდეც კი, ჩემი საკუთარი შვილი შენს ძეგლად მიმაჩნია.

ხელთუქმნელ ძეგლადო.

მაშინ სერგომ თურმე მის წინაშე დამიწყო ლანძღვა-გინება.

მაგრამ გაბოროტებული მაინც არა ვარ მასზე. რამეთუ თავის დროს სწორედ მან დამარწმუნა, რომ ლავრენტი მტრებს არა მარტო ყნოსვით გრძნობს, როგორც ძაღლი, ანუ როცა მათი სუნი ძლიერ არ იგრძნობა, არამედ, როგორც კატა, როცა ისინი სიბნელეში იმალებიანო.

ხოლო იმ დროისთვის, როცა სერგომ ლანძღვა-გინება დამიწყო, თვითონაც უკვე თითქმის ჩვენი მტერი იყო. რაც ლავრენტის არც პირდაპირ უთქვამს და არც დახვეწილად: მეშინია, რომ ორჯონიკიძეს მძიმე მრეწველობის უკეთ ესმის, ვინემ ადამიანების. საერთოდ, ველარ არჩევს ადამიანებს. იქამდეც კი მივიდა, მალე შეიძლება საკუთარი თავიც ვერ იცნოსო.

ასეც გამოვიდა. სერგო დაიბნა. უფრო ზუსტად - თავი მოიკლა, რაც ჩემი და ლავრენტის გარდა მაშინ არავინ იცოდა. ყველას ეგონა, ინფარქტმა დაარტყაო.

ლავრენტი მას თვითმკვლელობასაც შეუნდობდა, მაგრამ პანაშვიდზე ზინა ორჯონიკიძემ იგი კუბოსთან არ მიუშვა და მანაც ვირთხა უწოდა. იმიტომ, რომ თითქოს მას მიეყვანოს სერგო ინფარქტამდე.

ღმერთი საკლავს არ მიირთმევს, რადგან ეზიზღება...

ეტყობა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ბერიამ თავისი წიგნის გადამუშავება, რომელიც თურმე ბედიას დაუწერია. მე ეს გადაკრულად ვაგრძნობინე ლავრენტის, რითაც მჭვლეტელობის გაკვეთილიც ჩავუტარე.

"საინტერესოა, - ვკითხე მე. - რით უხსნის ავტორი მკითხველს საცოდავი სერგოს ნაადრევ გარდაცვალებას?"

"როგორ თუ რით? - რუსულად გამოხატა ლავრენტიმ გაოცება. - გულის შეტევით. - მიქოიანს ზურგი შეაქცია და ქართულზე გადავიდა. - მთავარია, სომეხი არ მიხვდეს!" - მთავარი ის არისო, ამ სომეხმა არ იყნოსოს, რომ თავი მოიკლაო.

აქ მე გავიქნიე თავი. "შენი ბედი, რომ სომეხია!" ანუ დიდი ხანია ეს იცის, მაგრამ დუმს-მეთქი. და უფრო ხმამაღლა გავიმეორე, თან საჭირო სიტყვას ხაზი გავუსვი: "შენი ბედია".

ლავრენტი ქარაგმას მიმიხვდა, მაგრამ საცოდავ ბედიას ეს ძვირი დაუჯდა. საიუბილეო გამოცემის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე პროფესორიდან იგი პატიმრად იქცა. თუმცა მცირე ხნით. რის შემდეგაც სული გააფრთხობინეს.

სხვათა შორის ერთი აბზაცი წიგნში ბერიამ თვითონ ჩაწერა, სადაც მკითხველს აუხსნა, რომ მე იშვიათი მოვლენა ვარ ადამიანებს შორის. ავტორმა მნიშვნელოვანი შენიშვნაც გააკეთა, სტალინი ცხოვრებაში გასაოცრად უბრალო და ჭეშმარიტი ადამიანის განსახიერებაა.

რისი ცოდნაც ბედიას არ შეეძლო.

ეს არც ბერიამ იცოდა, სანამ თვითონ არ მივუთითე: მოძღვარი ქებით მოვიხსენიე: თუმცა ქრისტე მაცხოვარი იყო, ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი მუდამ სისადავეს ელტვოდა, რამეთუ სანახევროდ იყო ღმერთი. მანამდე, სანამ არ მოვიდა დრო მისი მთლიან ღმერთად გადაქცევისა-მეთქი.

...სად არის გარანტია, რომ ლავრენტის არ მიახნია, თითქოს ასეთი დრო მეც დამდგომოდეს? და ახლა მოლოტოვის აზრს არკვევს. ჩემს წინაშე კი თავს იკატუნებს, თითქოს მასზე "მუშაობდეს".

როგორც თავის დროს ღამის ცარიელ ქოთანზე, მატრონაზე "მუშაობდა". და იქამდე "დაამუშავა," რომ ახლა მალენკოვი სერიოზულად იზომებს თავსაბურავს, ანუ გვირგვინს. "ღამის ქოთანი" მზადაა, ძალაუფლება ჩაიბაროს.

თვით მოლოტოვის გარეშეც ბერია და მალენკოვი "მოლოტოვის კოქტეილზე" უფრო საშიშნი არიან.

თუ რუსულ თავში დაღვლარჭნილ მეგრულ ტვინს ჩავჩურთავთ, მერმე კი წიწაკის ნაყენს მოვასხურებთ, ხოლო შემდეგ დენთს მოვაყრით და ავაფეთქებთ, კრემლისგან იმაზე მეტი არ დარჩება, რაც იერუსალიმის ტაძრისგან დარჩა - მხოლოდ კედელი.

მაგრამ პირიქით - არა დასავლეთის კედელი.

ამიტომაც "მოვიფიქრე" ხრუშჩოვი მოსკოვში. ეს მაშინ, როცა უკრაინიდანაც გადასაფიქრებელი იყო, რომელსაც იგი, როგორც საკუთარ თავს, წიწაკის ნაყენით რწყავდა. თუმცა უამისოდაც ბრიყვი იყო. რის შესახებაც ჯერ კიდევ ოცდაცხრამეტში ვაცნობე დეპეშით.

იმ დროისთვის შინაური მტერი გაყუჩებული იყო. იმიტომ კი არა, რომ რცხვენოდა, იმიტომ, რომ საიქიოში ძლიერი ხმის ჩამხშობები დგას.

შესაბამისად მიყუჩდნენ ჩემი ჩასვრილებიც. ხრუშჩოვი კი კიევიდან გვატყობინებდა, უკრაინის უხვმოსავლიან მიწებზე მტრები ზღვის ქვიშასავით მრავლდებიანო, რომლის ქექვასაც თავისი მარჯვე მარჯვენა ხელით თვითონ განაგრძობდა. და ომის კარიბჭესთან ყოფნისას ამ მრავალსულიანი რესპუბლიკის მოსახლეობამ უფრო ძლიერ იწყო კლება, ვინემ სხვაგან. რაშიც, მართალი რომ ითქვას, არის კიდეც ლოგიკა: რაც უფრო მეტია ხალხი, მით უფრო მაღალია სიკვდილიანობა.

ლავრენტი კი მაშინ ახალგადმოსული იყო მოსკოვში. და, პირველ ყოვლისა, ნიკიტას ურჩია, სხვა რესპუბლიკების ლიდერთა მაგალითი გაითვალისწინეო. მაგრამ ნიკიტა წიწაკის ნაყენის გლურჯვას განაგრძობდა და ფიცხობას არ იშლიდა. სანამ მოკლე დეპეშა არ გავუგზავნე: "დაოკდი, სულელო!"

ლავრენტი ჩემი პირდაპირობით გაოცებული დარჩა. მაგრამ უამისოდ ხრუშჩოვი გონს ვერ მოეგებოდა.

ამას წინათ ისევ აურია. და, როცა ლავრენტიმ შემომჩივლა: უკრაინაში ჰიტლერს გადარჩენილ ებრაელებს ახლა ხრუშჩოვი ანადგურებსო, ბრძანება გავეცი, სასწრაფოდ მოსკოვში მიხმეთ-მეთქი.

ამჯერად ლავრენტი ჩემმა არაპირდაპირობამ გააოცა.

და მე წინანდებურად გავანაწყენე ნიკიტა, როცა შევახსენე, სულელი ხარ-მეთქი, - ამის შემდეგ კი უცებ გავახარე, როცა დედაქალაქის პარტიულ ხელმძღვანელად დავასახელე და ედანოვსა და ბულგანინთან დავამეგობრე. რამეთუ ისინი ერთმანეთთან მხოლოდ ერთადერთ საკითხზე კამათობდნენ -

ვინ უნდა მოვიშოროთ თავიდან უწინ, მალენკოვი თუ ბერიამ? თუმცა ლავრენტის ყურები არ ჩამოუყრია.

ღმერთი დაითანხმა, ჟდანოვისთვის გულის სტენოკარდია შეეყარა, ხოლო მის ლენინგრადელ მოკავშირეებს - ფშმაკი, ხალხის მტერი შეჩენოდა. ხოლო რაკიღა ხრუშჩოვს სასაციოლოდ მიაჩნდა თავი, მთელი ამ ჯგუფიდან დარჩა მხოლოდ ბულგანინი.

თუ ლავრენტიმ ღმერთთან ახლანდელი დამოკიდებულება შეინარჩუნა, ჩემი ვარაუდის საწინააღმდეგოდ - იგი შეიძლება მთავარი ბელადიც გახდეს.

მე არ მინდა, ეს მოხდეს. და ამის ვერავითარ შესაძლებლობას ვერ ვხედავ, თუმცა ამავე დროს არც სხვა გამოსავალი ვიცი.

ამიტომა ვარ მის მიმართ შემწყნარებელი. და ამიტომ ყოველთვის ვზეიმობ, როცა ლავრენტი ახერხებს, აიცდინოს მახვილი, რომელსაც მასზე აღმართავენ. თუნდაც ეს მახვილი ჩემი აღმართული იყოს.

მხიარულების ჟამს ლავრენტისადმი ღვთის შემწყნარებლობას მე იმით ეხსნი, რომ იგი ვეგეტარიანელია. როგორც თვითონ ღმერთი. რომელიც აგრეთვე საკლავს არ მიირთმევს არა იმიტომ, რომ ებრალება, არამედ იმიტომ, რომ ეზიზღება.

თუმცა ლავრენტი ბელადებისთვის გამონაკლისს უშვებს, მაგრამ მოლოტოვს ჯერ ვერ მოუნახა გასაღები.

აფრიკაში პატიოსან ადამიანებს სათქმელი არაფერი აქვთ...

"შენ, ლავრენტი, მხოლოდ ალიარებით ხარ დაავადებული, - "მე ვალიარებ", "მე გამოგიტყდები", - მაგრამ რას ალიარებ და რაში აპირებ გამოტყდომას, კაცი შვილი ვერ გაიგებს. რადგანაც გაუგებარია, რა გინდა".

მოლოტოვი ისეთ კილოზე ლაპარაკობდა, როცა სხვა რამის გაგება იყო შეუძლებელი: რას მოიმოქმედებდა ახლა - გაიცინებდა თუ, პირიქით, ტელეფონს დაამსხვრევდა. თუმცა უბრალოდ დაამატა:

"მაგალითად, რა შუაშია ქრისტე?!"

"ნუთუ გაუგებარია? მე იმას გეუბნები, რომ შენ აფრიკელი არა ხარ, ხომ მართალია? ცივილიზებული ადამიანი ხარ. ცივილიზაცია მხოლოდ საპონი კი არ არის, როგორც ინგ-

ლისელები შეცდომით ფიქრობენ. ეს აგრეთვე არის განწყობილებაც. ხომ არ გიხარია, როცა შეჭმას გიპირებენ! არ გიხარია იმიტომ, რომ ცივილიზებული კაცი ხარ, ეს კი ნიშნავს, რომ შენ ქრისტე არა ხარ. ჯვარზე არ ახვალ, გაურკვეველი რადაცისათვის. ან მეორე ლოყას არ მიუშვერ. ან თვითონ, მაპატიე და, როგორც დედაკაცი, ფიწალ[illegible] ან [illegible] რამეზე არ წამოეგები, თუკი შენს კულტურულად შეჭმას აპირებენ და არა აფრიკელებივით შეხრამუნებას. შეგჭამენ თეფშითა და დანით, როგორც პულმანის ვაგონებში აკეთებენ ხოლმე..."

მისი კილოთი თუ ვიმსჯელებთ, ლავრენტი ტელეფონის სადენს თავისუფალი ხელით ადარ ატრიალებდა. მან არ იცოდა, რა ეყო ხელისთვის.

"აბა, ილაპარაკე, ილაპარაკე!" - წაიბუტბუტა მოლოტოვმა.

"ჰოდა, გეუბნები, შენ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, ჯანმრთელი. გაწუხებს უმნიშვნელო რამეები, რაც მხოლოდ ჩვენ ვიცით... თავი კი ისე გიჭირავს, თითქოს ქრისტე იყო. რაც უნდა გიყონ, დუმხარ. ქრისტე კი სწორედ რომ არ დუმდა. თავის დედაკაცს მუდამ იცავდა. შენ კი შენი პოლინა..."

"რაო?!"

"პოლინა შენთვის დედაკაცზე მეტია, ცოლიცაა და მუშა-ქალიც".

"შინამოსამსახურე არ იულლება".

"მერე რა მოხდა. თუმცა რატომ? თუ ყანაში "მუშა-ქალები" მუშაობენ, პარტიაში "მუშაკებად" რატომ იხსენიებენ? თუმცა ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ეს თქვენი, რუსების საქმეა... მე იმას გეუბნები, ქრისტე გულხელდაკრეფილი არ იჯდებოდა, მისი მუშა-ქალი რომ... ჰო, მართლა ბოზებს შეიძლება "მუშა-ქალი" ეწოდოთ"?

"ნუ მელაკუდობ! განაგრძე!"

"მე კი არ ვმელაკუდობ, გეუბნები, მაგდალინა ციხეში რომ ჩაესვათ, ქრისტე თავს არ მოიკატუნებდა, თითქოს არ ჩაუსვამთო, და ყაზახეთში არ გადაუსახლებიათო. ასეთ რამეს მასზე ზღაპრებში ჰყვებიან - უწყინარი კაცი იყოო და სხვა ასეთები. მეფის ტახტზე არასოდეს ფიქრობდაო. თვითონ მას შეეკითხე დღეს, თუ ჩემი არ გჯერა..."

"ვის?" - არ დაიჯერა მოლოტოვმა.

"რა - ვის"?

"ვის შეეკითხო?"

"ქრისტეს. პატრონთან დღეს ისიც იქნება! - და პაუზის შემდეგ დაუმატა: - თვითონაც ახლახან გავიგე, რომ ქრისტე იქ იქნება. ისიც კი გავიგე, რომ პატრონს მისთვის სამეფო სერვიზი დაუკვეთავს. გვირგვინებითა და ოქროთ გაწყობილი. შენ რომ გაქვს, იმაზე უკეთესი სერვიზი. შენსაზე არა, მაგრამ იმაზე უკეთესი, ვაგონში რომ დაგიდგეს..."

ახლა პაუზა მოლოტოვმა გააკეთა. უფრო ხანგრძლივი პაუზა. ბოლოს წარმოთქვა:

"მე, ლავრენტი, ჯანმრთელი კაცი ვარ, მაგრამ შენი დარდი მაწუხებს!"

"ჩემი დარდი ნუ გექნება, მიხაილოვიჩ! შენ, უბრალოდ, არ იცი, მაშინ აქ არ იყავი. შენ მაშინ პულმანის ვაგონით ამერიკაში დასეირნობდი. მე კი ვახშმობისას ყველას მოვუყევი ამ ქრისტეს ამბავი. საერთოდ იგი მაიორია. სხვათა შორის, ისიც ასევე საქართველოდანაა..."

"რას ჰქვია ასევე? ასევე, როგორც ვინ? როგორც ქრისტე, რომელიც მაიორი არ არის?! შენთვის ყველა და ყველაფერი მუდამ საქართველოდანაა..."

ბერიამ - გაუგებარია რატომ - დუმილი არჩია.

"ლავრენტი, გეკითხები, - შეახსენა მოლოტოვმა. - რას ჰქვია "ასევე"?

ამჯერად ლავრენტიმ უპასუხა. თუმცა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რომელიც, თუ მის მიერ წარმოთქმული სიტყვებით ვიმსჯელებთ, ჩემდამი იყო მომართული:

"ასევე"-მეთქი, იმიტომ გითხარი, რომ იმ მაიორის მამაც საქართველოდანაა."

ახლა მოლოტოვი დადუმდა.

"ვერ გაიგე, მიხაილოვიჩ? - ჰკითხა ბერიამ. - უფრო გასაგებად გეტყვი: მამამისი კი არაა "ასევე" საქართველოდან, არამედ შვილი. მაიორი. ქრისტე. მამა "უბრალოდ" არის საქართველოდან. ხოლო შვილი - "ასევე". ხვდები?"

"რა არის აქ გაუგებარი? - აღშფოთდა მოლოტოვი. - სადაც მამაა, შვილიც იქ არის!"

შემდგომი ფრაზა ბერიას მოლოტოვის მისამართით არ უთქვამს.:

"ყოველთვის ასე არ არის, მიხაილოვიჩ! ხდება ხოლმე, მამა საქართველოდანაა, მაგალითად, გორიდან, და შვილიც იქაურია. როგორც ჩვენი პატრონი. მამაც იქიდანაა და შვილიც. მაგრამ ხდება, მამა გორიდანაა, შვილი კი - სხვა ადგილიდან. ეს მაშინ, თუ დედა სხვა ქალაქში ცხოვრობს. არა გორში, არამედ თბილისში. ამ შემთხვევაში ამბობენ: მამა გორელია, შვილი კი თბილისელი. სიმართლეს ამბობენ, რადგანაც ტერიტორიულად ვაჟიშვილი დედის სიახლოვეს იბადება. გასაგებია?"

ჩემგან განსხვავებით მოლოტოვს ვერ გაეგო, ვინაიდან იგი სხვა რამეზე ფიქრობდა.

"მე მართლა ვშიშობ შენზე, ლავრენტი... პარდონ, მაგრამ რას მელაპარაკები? რას ნიშნავს: "ტერიტორიულად ვაჟიშვილი დედის სიახლოვეს იბადება?"

"ქალიშვილიც".

ლავრენტი ახლა არა მხოლოდ მოლოტოვს აბრაზებდა. უმთავრესი სიტყვების წარმოთქმას ისევე აჭიანურებდა, როგორც დედა ალიზიანებს ხოლმე მშიერ ჩვილ ბავშვს ძუძუთი. მე გავბრაზდი და ბერიამ ეს იგრძნო:

"ეს მაიორი, რომელიც ქრისტეა, თბილისში დაიტადა, მაგრამ მამამისი გორიდანაა. დავით პაპისმედა[illegible] თუმცა მას სხვა შვილებიც ჰყავდა, გესმის? რომლებიც აგრეთვე გორიდან იყვნენ!"

"აგრეთვე, როგორც ვინ?"

"როგორც მამა".

"ვისი მამა?"

"როგორ თუ ვისი? ვაჟიშვილის. ამ მაიორს იოსიკი ჰქვია. ანუ იოსები. ხოლო სულელმა მატრონამ ისუსიკი დაარქვა... შენ კი რა გეგონა? - ვისი მამა გეგონა? - გაიცინა ლავრენტიმ. - ყველა ხალხის თუ რა?"

თუმცა მოლოტოვმა ვერ გაიგო ყველაზე საშინელი რამ, - ის, რომ იოსიკ პაპისმედოვი ბერიამ ჩემ ნახევარძმად გამოაცხადა, მაშასადამე, მე სანახევროდ ებრაელი გამოვდიოდი, მაგრამ მაინც აღმოაჩინა ისეთი რამ, რისიც უნდა შეშინებოდა.

"იმასაც იოსები ჰქვია? არა, მე სხვანაირად დაგისვამ კითხვას: იმას, იმ მაიორს, იოსები ჰქვია? დაიკიწყე "ასევე!"

მთავარი სათქმელი რომ თქვა, არამზადა ბერია ახლა მოლოტოვს მიუტრიალდა:

"მე ამის გამო უკვე ვისაუბრე ვახშამზე, რომელსაც შენ არ დასწრებიხარ,შენ ამერიკაში იყავი. ვაგონში. ჩვენ პატრონთან ვივახშმეთ".

"ჯანდაბას მისი თავი!" - წამოსცდა მოლოტოვს.

"რაო?!"

"ჯანდაბას მაიორის თავი-მეთქი. თუმცა ჩემთვის იმას კი არ მოუბეზრებია თავი, არამედ შენმა პულმანის ვაგონმა. შენ ის გწყინს, რომ ამის შესახებ არაფერი გითხარი. საწყენი კი არაფერია.

"მოლოტოვ! - კინაღამ გაფიცხდა ლავრენტიც, მაგრამ თავი მაშინვე მოთოკა. - ჩემო ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, ძვირფასო! შენ ისევ გამიბრაზდები, მაგრამ მე მაინც გეტყვი, რომ მინდა გამოგიტყდე. ვალიარებ: არ მაინტერესებს რაზე ისაუბრე ვაგონში. რაც უნდა გეთქვა, მასში გაუგონარი არაფერი იქნებოდა. თუნდაც ეს ამბავი არ მომხდარიყო ამერიკაში, სადაც ათასნაირ რამეს ამბობენ, არამედ აფრიკაში, სადაც პატიოსან ადამიანებს სათქმელი არაფერი აქვთ. ამიტომაა-მეთქი, გეუბნები, რომ ისინი ბელადებს ჭამენ. სანამ თვითონ ბელადებს არ შეუჭამიათ ხალხი... გახსოვდეს, მე არ მაინტერესებს, შენ იქ ვისთან რაზე მოიალაპარაკე!"

"მაშ რა გაინტერესებს, ჩემო ლავრენტი პავლოვიჩ, ძვირფასო! გარდა იმისა, რომ ჩემს პიროვნებაში გსურს გაერკვე. მაგრამ თავი ვერ მოგიბამს... რადგან გასარკვევი არაფერია!"

ლავრენტიმ გაცინება ვერ გაბედა და ხველა აუტყდა, თუმცა მცირე ხნით, რადგან სწრაფად აზროვნებდა:

"შენ ჩემთვის საინტერესო არა ხარ. ჩემი ხუმრობებით გიცნობ. მე პოლინას ბედი მაღელვებს. თუმცა შენდამიც კეთილად ვარ განწყობილი. იმდენად კეთილად, რომ შენს გამო ტკივილსა ვგრძნობ. დღეს რომ ჩემი დაბადების დღე ყოფილიყო, პოლინას ამნისტიას გამოვუცხადებდი. რაც უნდა იყოს, პოლინა მარგალიტია! მუშა-ქალია! და მუშაკის ცოლია! დიდი მუშაკის! იმდენად დიდის, რომ, ღმერთმა ნუ ჰქნას! - და პატრონი აღარ გვყავდეს, ვიღა გახდებოდა ჩვენი პატრონი? შენ, სხვა არავინაა...

"სისულელეს ნუ ამბობ, ლავრენტი!"

"ეს ასეა. შენ უდიდესი ბელადი ხარ პატრონის შემდეგ. შენს ადგილას რომ ვიყო, მე..."

ბერია გაჩუმდა, მაგრამ მოლოტოვმა ვერ გაბედა, შეკითხვოდა - რის გაკეთებას დააპირებდა "უდიდესი ბელადის" ადგილას რომ ყოფილიყო პატრონის გარეშე.

"მე შენს ადგილას... - შეყოყმანდა ლავრენტი. - იმას მაინც შეეძლებდი, რომ ავდგებოდი და პატრონს მოველაპარაკებოდი. დიახ, მოველაპარაკებოდი და ნებისმიერ კითხვაზე პასუხს გავცემდი".

მოლოტოვი დუმილს განაგრძობდა. ეტყობა, ისიც ჩემსავით ფიქრობდა.

"გინდა, მიხაილოვიჩ, დასაწყისისთვის ერთად მოველაპარაკოთ?"

მე მილაკი დავდე.

ციციკოსის უკანასკნელი ნაბიჯი დალატია...

არც ერთს და არც მეორეს პოლინას გამო შეკითხვებს არ დავუსვამდი. არავის, გარდა ნადიასი. მხოლოდ იმას ვკითხავდი: რა ჩაგიკაკლა იმ ძუკნამ ჩემზე ისეთი, რომ შენ, - თხაო, ნაუცბადევად თავი მოიკალი? ისე მოიკალი, განთიადს არც დალოდებიხარ-მეთქი? თვითონ ის კი, ხომ ხედავ, ცხოვრობს არხეინად, იმდენად არხეინად, რომ ციხეშიც კი უშოვნია კომკავშირელი კურო! სხვებს არ დავველაპარაკებოდი, რადგანაც ებრაელების შესახებ ყველას ყველაფერი უკუღმა

ესმის. პოლინას მსგავსად ებრაელები სიცოცხლით სავსე ხალხია. მაგრამ მკვდრებივით ისინი ან უნდა აქო და ადიდო, ან მდუმარედ აუარო გვერდი.

მეც კარგს ვლაპარაკობდი მათზე, მაგრამ კარგი და ჭეშმარიტება ერთმანეთისგან განსხვავებულია.

ავიღოთ მარგალიტის მარცვალი. სინამდვილეში, ანუ ბუნებაში, ზღვის უბრალო კენჭებზე არც უარესია და არც უკეთესი, ადამიანებიდან კი მის ხარისხს პროფესიონალები განსაზღვრავენ. პროფესიონალი მას უემოციოდ შეათვალიერებს ხოლმე. ხშირად თვით იუველირსაც მარგალიტის ერთი და იგივე თვალი ხან მოსწონს, ხან არა, ხანაც საერთოდ არ ეკარება მის გულს. იმას გააჩნია, ვის ყელს ამშვენებს.

ასე იყო პოლინაც. რომელიც თავიდან მარგალიტის მარცვალი არ ყოფილა. უბრალოდ - მშვენიერი სემიონოვნა იყო, ზაპოროჟიელი ებრაელების ნაშიერი. თუმცა თევზის გვარის მქონე - კარპოვსკაია. სხვათაშორის თავდაპირველად შესაფერის ნარკომატს ხელმძღვანელობდა - თევზის მეურნეობაში. დაპატიმრების წინ კი - პარფიუმერიის ნარკომატს - ТЭЖЭ-ს.

მარგალიტის მარცვლად კი დიდი ხნის წინ იქცა. როცა ზაპოროჟიედან მოსკოვში გადმოვიდა და ჩემს ნარკომს გონება ისე აურია, რომ მან კისერი შეუშვირა, რაზედაც პოლინა კომისრის ვარსკვლავივით აბრჭყვიალდა. არა მარგალიტის თვალივით, არამედ საბჭოურად - როგორც მარგალიტი. და უცებ ირკვევა, რომ ეს მარგალიტი საბჭოური არ ყოფილა. საბჭოურ მარგალიტს სუნი არა აქვს, ამან კი ებრაული სუნამოს მაგარი სუნი დააყენა, რომელსაც ვერავითარი პარფიუმერია ვერ ახშობს.

ჯერ ერთი, გამოირკვა, რომ პოლინას ყველა სურნელზე მეტად ყირიმის სურნელი იზიდავდა. მეორეც, ყირიმის სხვასთან გაყოფა არ სურდა. თვით ყირიმელებთანაც კი. თანახმა იყო, მხოლოდ ებრაელებისთვის გადაენაწილებინა. ყირიმი სწორედ ებრაელებს უნდა ვაჩუქოთო. რამეთუ ისინი ყველაზე უკეთესები არიანო.

ეს კი ტყუილი იყო. ამნაირი რამე საერთოდ არ შეიძლება მართალი იყოს. უკეთესისა და უარესის გამრჩევი არავინაა. არ არსებობს ამ საქმის პროფესიონალები. გრძნობა ყოველ ადამიანს გააჩნია. თვით ღმერთსაც კი, რომელმაც, პოლინასავით, ებრაელები აირჩია. თუმცა პოლინასავით ისიც ინტერნაციონალისტად ასაღებს თავს.

მაგრამ ებრაელს ამას ვერ ეტყვი: გაგებუტება.

ლავრენტიმ ერთხელ მიქოიანს უთხრა სუფრაზე:

"ქართველები სომხებზე უკეთესები არიან". "როგორ თუ უკეთესები?!" - შესძახა მან. "გაცილებით უკეთესები", - აუხსნა ბერიამ. "მე გეკითხები - რით არიან უკეთესები?!" ლავრენტიმ პენსნე მოიხსნა და ცხვირის კეხი მოიფხანა: "სომხებზე?"

ყველამ გაიცინა. მიქოიანი ჯერ გაიბუტა, მაგრამ მერმე მანაც ჩაიხითხითა. მიხვდა, რომ ლავრენტი ხუმრობდა, მაგრამ მის ხუმრობაში სიმართლეც ერია. თუმცა ყველას, ვინც ებრაელებზე სამართლიანად ხუმრობს, ანტისემიტს უწოდებენ. თუნდაც არ იყო მეჩექმის შვილი და იყო სტალინი, როგორც მე, ან იყო რაბინის შვილიშვილი და მარქსი, როგორც მარქსი.

მაგალითად, რუზველტს სწამდა ჩემი პირადი ... მე არავის ვუმალავდი, რომ ბოლშევიკი ვიყავი. მაგრამ როდესაც პრეზიდენტს ვუთხარი, თავი ინტერნაციონალისტად მიმაჩნია-მეთქი, გაოცდა, რადგან ჩემს ანტისემიტობაში ეპარებოდა ეჭვი. მერმე ავუხსენი, რომ მეც მის ანტისემიტობაში მეპარებოდა ეჭვი.

ეს თეირანში მოხდა.

კვლავ ვახშმობისას - მხოლოდ უამხანაგებოდ და უბატონებოდ.

არყით ტუჩები რომ დაისველა, პრეზიდენტი შეთვრა და იხუმრა, თქვენ რომ ბოლშევიკი არ იყოთ, ინგლისელებზე მეტად გენდობოდითო. ჩემი სირჩა დავცალე და სერიოზულად ვუპასუხე: ზოგ-ზოგ ინგლისელს მაინც არ ვენდობოდი, ბოლშევიკებიც რომ ყოფილიყვნენ-მეთქი.

ისე ახარხარდა, რომ მისმა ეტლმა ჭრიალი დაიწყო, თითქოს მასში ის ცალკეული, მაგრამ ზორზოხა ინგლისელი იჯდა, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობდით. როცა რუზველტი დამშვიდდა, დავამატე, რომ ზოგიერთი ინგლისელი, ზოგიერთი კომუნისტივით, ძალიან ცინიკურია, ცინიზმი კი მშიშარების საცოდავი სიმამაცეა.

ზოგიერთმა ამერიკელმა წარბები შეჭმუხნა და ამ განზოგადებაზე დაიწყო ტვინის ჭყლეტა - თავში სიტყვები შესაბამის ადგილებზე განალაგა. ღეჭვაც კი შეწყვიტა.

თავი უხერხულად ვიგრძენი და უფრო მარტივად ვუთხარი: ცინიკოსის ბოლო ნაბიჯი ღალატია. არა სიმართლის რწმენის გამო, რაც ცინიკოსს არ გააჩნია, არამედ იმ რწმენის წინაშე შიშის გამო, რომელიც სხვებს გააჩნიათ-მეთქი.

რუზველტმა მაშინვე თავი დამიქნია, მაგრამ უმალვე გაირკვა, რომ ჩემი სიტყვები შესაბამის ადგილას მოუთავსებია:

"სიტყვამ მოიტანა და მითხარით, მარშალო სტალინ! და ეს ჩვენს შორის დარჩეს, ებრაელები მართლა დაუნდობელი ხალხია? - როგორც თქვენ გგონიათ?"

"ვინ გითხრათ ეს?"

"მაგალითად, ჩვენი გაზეთები წერენ: სტალინი საშინელი კაცია - ებრაელებს არ ენდობა და პარტიიდან მიერეკებაო".

სინანული გამოვხატე, რომ მის სირჩას ვერაფერი დავუმატე:

"რომელი პარტიიდან?"

სირჩა გვერდზე მიაჩოჩა და ბოდიში მომიხადა:

"ვერ დაველევ, მაგარია!... თქვენი პარტიიდან, რომელიც, ასევე მაგარია. ბოლშევიკების პარტიიდან".

"თქვენც ხომ არ ენდობით მათ. ბოლშევიკებს".

პრეზიდენტმა სახიდან ღიმილი ხელსახოცით ჩამოიწმინდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ხელსახოცი არ დამჭირვებია:

"თუ გულახდილად გინდათ გითხრათ, თქვენი გაზეთები უპატიოსნოები არიან. ჯერ ბოლშევიკებით აშინებენ ხალხს, ბანდიტებს გვიწოდებენ, მერმე კი ვიშვიშებენ, რომ ამ ბანდას ვამცირებთ. ხოლო "შემცირებულთა" შორის უბედური ებრაელებიც ყოფილან!"

ღიმილის ნაცვლად ახლა რუზველტის სახემ ყოყმანი გამოხატა.

"რის თქმა არ გსურთ, ბატონო პრეზიდენტო?" - მივეშველე მე.

"თქმა კი არა, ჩვენება, - აღიარა და გარშემო მიმოიხედა. თუმცა მისი თარჯიმნის გარდა, იქ არავინ ყოფილა. - მაგრამ გაჩვენებთ, თუ შემპირდებით, რომ მაშინვე დაივიწყებთ".

"ბოლშევიკის სიტყვას გაძლევთ", - თავი დავუქნიე მე.

ჩაიცინა და გარეთა ჯიბიდან ამოიღო გრძლად გაკეცილი ფურცელი, რომელიც მესამე დღე იყო, იქ ჩანდა:

"დახედეთ".

ქაღალდს დავხედე და პრეზიდენტს დავუბრუნე.

"უკვე დავივიწყე! რატომ ყოყმანობდით ამის ჩვენებას მთელი სამი დღის განმავლობაში?! როცა თქვენებურადაა დაწერილი, ტექსტი უცებ მავიწყდება, რადგან არ მესმის".

"დაწერილი კია ჩვენებურად, - აღიარა მან. - მაგრამ თქვენი კაცის დაწერილია, მასაც იგივე დაუწერია, რასაც ჩვენი გაზეთები წერენ", - და თარჯიმანს მიუბრუნდა.

მან სხაპასხუპით გაიმეორა ტექსტი, რომელიც ზეპირად ჰქონდა დასწავლილი. ორი წინადადება მეც დავიხსომე:

"სტალინმა ქვეყანაში ანტისემიტური კამპანია გააჩაღა და ეს საბედისწერო შედეგებს გამოიღებს".

როცა პაუზა დამყარდა, რატომღაც გავიფიქრე, რომ პირადი ცხოვრება არ გამომივიდა. არც ცოლისთვის და არც შვილებისთვის დრო არა მრჩებოდა. ხშირად უხეში ვიყავი მათ მიმართ. რაც შეეხება ნადიასა და იაშას, ჩემს უფროს შვილს, - ალერსიან სიტყვას ველარასოდეს ვეტყვი, რადგან უკვე აღარ არიან ამქვეყნად.

ჰოდა, ახლა იძულებული ვარ, ვივახშმო უცხო კაცთან, რომელსაც ფრანკლინი ჰქვია, და რომელმაც ჩემი ენა არ იცის. და თავის ეტლივით, თარჯიმანი მუდამ გვერდით ჰყავს

"თქვენც ებრაელი ხართ?" - ვკითხე თარჯიმანს, რადგან ისიც აღელვებული ჩანდა.

"რატომ "თქვენც"? - მის მაგივრად მიპასუხა ფრანკლინმა, - მე არა ვარ ებრაელი".

ფრანკლინი დავამშვიდე:

"თქვენ არ მიგულისხმიხართ. ამის დამწერზე მიგახსენებთ".

პრეზიდენტი აფუსფუსდა.

"გთხოვთ, ნუ მკითხავთ, ვინ დაწერა!"

"რატომ უნდა გკითხოთ? - დავეთანხმე მე. - ჰო, მართლა, შეიძლება ფრანკლინი გიწოდოთ? მხოლოდ ერთხელ."

"მიწოდეთ თუნდაც ასჯერ!"

"არა, ერთხელ. მაშ ასე, მეუბნებით, არ მკითხოო. მე კი გეუბნებით: რა საჭიროა შეკითხვა, ფრანკლინ? მაშინ კითხულობენ, როცა ვერ ხვდებიან".

ახლა თარჯიმანიც აფუსფუსდა.

"ეს მოლალატის დაწერილია, - დავამატე მე. - ანუ უბრალო ადამიანისა, რომელიც დარწმუნებულია, სტალინი რომ არ ყოფილიყო, ის უბრალო კაცი არ იქნებოდა. უბრალო ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ღალატს იდეების გამო სჩადიან. თუმცა მხოლოდ ნივთებისთვის ღალატობენ. უნდათ, მეტი ჰქონდეთ".

ახლა ამ განმარტებამ რუზველტს სიამოვნება მოჰგვარა, რამეთუ მიხვდა, რომ უფრო კონკრეტულად არაფერი ვიცოდი:

"სწორედ რომ არ არის უბრალო კაცის დაწერილი ეს, თუმცა მაინც უბრალოა... შეიძლება, მეც სახელით მოგმართოთ? მე თქვენ გეუბნებით, იოსებ, რომ უბრალო ადამიანი ერთობ საძაგელი გამოგდით".

"მე კი არა, ღმერთს გამოსდის. და თქვენ მართალი ხართ: ადამიანი მას არ გამოუვიდა. ხოლო თქვენი არაუბრალო ადამიანი, მაინც ძალიან უბრალოა. რადგანაც მოლალატეა".

და მე მის გამოცნობაზე განვაბრძე ტვინის ჭყლეტა...

"ძალზე უბრალო ვინმეა, რომელსაც, ეტყობა, ჩემს ხელში ბრალიანობა არ გამოუვიდა. ებრაელების ერთი ნაწილი ახერხებს, მეორე - ვერა..."

რუზველტი იღიმებოდა: სწორედ არაუბრალო მარშალ სტალინს არ გამოუდისო არითმეტიკა.

"შეიძლება, ეს ის კაცი იყოს, - ვივარაუდე მე, - რომელიც ოდესღაც არ გახლდათ უბრალო ვინმე. მე ჩამოვაქვეითე და უბრალო გავხადე. სწორედ ასეთები ჩივიან ხშირად. როგორც წესი, ისინი ანტისემიტიზმზე ჩივიან. ტროცკი ძალიან მიწათმფლობელთა შთამომავალია, თუმცა "ღარიბ ებრაელად" გადაქცევა მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა, როცა ჩემი ბრძოლა წაგო.

პრეზიდენტმა ღიმილი შეწყვიტა.

"არ არის გამორიცხული, - დავუმატე მე. - შეიძლება ის კაცი გწერდეთ, ვინც ოდესღაც მე ვაქციე მნიშვნელოვან ადამიანად..."

"მოდით, დავივიწყოთ! - აწრიალდა რუზველტი. - მე მხოლოდ იმაში მინდოდა თქვენი დარწმუნება, რომ არა თუ ჩვენს უბრალო ადამიანებს, თქვენს გამოჩენილ ბოლშევიკებსაც ეჩვენებათ, რომ თქვენ ებრაელების მიმართ სასტიკი დამოკიდებულება გაქვთ. მე კი ომის შემდეგაც ვისურვებდი თქვენთან მეგობრობას.

ხოლო მე, პირიქით,მომინდა, მასთან უცებ შემეწყვიტა ნაცნობობა.

"ომის შემდეგო, ამბობთ? ეს ჩქარა არ იქნება, პრეზიდენტო. რამეთუ თქვენ და თქვენი ხალხი მეორე ფრონტის გახსნას აჭიანურებთ, რაზედაც ბოლშევიკები სხვადასხვა ვარაუდებს აგებენ. მაგალითად, რომ თქვენ არ ჩქარობთ ებრაელთა გადარჩენას. ისევე, როგორც არ ჩქარობდით ომამდე. თქვენ გაფრთხილებდნენ, მაგრამ გადაწყვიტეთ, არ დაგეჯერებინათ. შესაძლოა დაჯერებით დაიჯერეთ, მაგრამ..."

მცირეხნით დავდუმდი, რადგან რუზველტი სირჩას მისწვდა. როცა იგი გონს მოეგო, მე კვლავაც გაბრაზებული ვიყავი და ისევ მოღალატის გამოცნობას ვცდილობდი:

"ჩვენმა ერთმა ებრაელმა, რომელიც აგრეთვე გამოჩენილი ბოლშევიკია, გაზეთში დაწერა, რომ, როცა ჰიტლერისა და ებრაელების გამო გაგაფრთხილეს - დაიჯერეთ, მაგრამ შეგნებულად თითიც კი არ გაატოკეთ. და ამიტომ თითქოს თქვენ ანტისემიტი ხართ, ჩვენ იგი დავსაჯეთ...

რუზველტმა გადაიხარხარა:

"ვინ იყო ეს?"

"რა მნიშვნელობა აქვს".

"თქვენ ბრძანეთ, "ისიც გამოჩენილი იყოო". გამოჩენილი, როგორც ვინ?"

ბოლოს გონება გამახალდა:

"როგორც ჩვენი ელჩი ვაშინგტონში, მაქსიმ ლიტვინოვი, ვინც თქვენ მოგწერათ, თითქოს მე ანტისემიტი ვიყო. და

რომელიც ოდესღაც უფრო გამოჩენილი ბოლშევიკი გახლდათ, მინისტრი.

რუზველტის ეტლი ისევ აჭრიალდა და მე მას ხელსახოცი გავუწოდე.

"თუმცა ჩვენ მას არ დავსჯით. მე ბოლშევიკის სიტყვა მოგეცით. ყველაზე გამოჩენილი ბოლშევიკის

არავის არც ერთ პოსტზე დანიშვნა არ შეიძლება...

პირობა შევასრულე. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ლავრენტიმ მალე მაცნობა, ლიტვინოვს ვაშინგტონიდან დაბრუნების წინ ვიცეპრეზიდენტისთვისაც გადაუცია პირადი წერილი. და კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ ასევე მალე პრეზიდენტიც გარდაიცვალა.

ლავრენტის კი ეუბრძანე, ლიტვინოვი დაევიწყებინა, რომელსაც ძველი დამსახურებისათვის ფირსანოვკაში აგარაკიც კი ვაჩუქე. თუმცა სწორად მოვიქცეოდი, ნარკომის პოსტიდან უფრო ადრე რომ გადამეყენებინა, ან ამ თანამდებობაზეც არ დამენიშნა - ელჩად ამერიკაში.

რაც უფრო ახლოს ვეცნობი ადამიანებს, მით უფრო მტკიცედ მჯერა, რომ არავის არც ერთ პოსტზე დანიშვნა არ შეიძლება. ან მუდამ ყველას უნდა ხსნიდე ნებისმიერი პოსტიდან, ან ყველა პოსტი უნდა გააუქმო. ესეც საერთოდ. მხოლოდ ის თანამდებობები უნდა დატოვო, სადაც საიმედო ხალხი გყავს. უბედურება ის არის, საიმედო ხალხი პოსტზე "იზრდება".

მოლოტოვს, რომელიც ლიტვინოვის ნაცვლად დავნიშნე სახალხო კომისრად, ეს თანამდებობა თავიდან აშფოთებდა. ისე დაიბნა, რომ ხუმრობაც კი სცადა: მხოლოდ ვალაჰმა უწყის, რა ძნელია საგარეო საქმეთა ნარკომატში მუშაობა! გარშემო სულ დიპლომატები გახვევია. თითქმის ყოველი ელჩი დიპლომატიაო.

ამას ლიტვინოვზე ამბობდა, სანამ ის გვარს შეიცვლიდა - მანამდე ვალაჰი იყო. და რომელსაც, გამოდის, ჩემს დასარწმუნებლად ჰბაძავდა, სიცილი მეც შემიძლიაო.

ახლა თვითონ ხარ ვალაჰი, ვუთხარი მაშინ მე, და კარტიც ხელში გიჭირავს, თუ ელჩებს შორის დიპლომატი ბევრია, - კარტი აურიე-მეთქი.

ისინი მართლაც ბევრნი აღმოჩნდნენ. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ფინეთში, ავსტრიაში, ესპანეთში, იაპონიაში - თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქვეყანაში ლიტვინოვს ებრაელები დაენიშნა ელჩებად.

ებრაელები საქმიანი ხალხია, თუმცა მოლოტოვიც მართალია: ჩვენ საერთო-სახალხო საქმეს ვაკეთებთ, ამისადამე, მასში ყველა ხალხი უნდა მონაწილეობდეს.

მაგრამ როცა მან ბანქოს დასტა აურია, უცხოეთში მე ანტისემიტი მიწოდეს. თუმცა მანამდე, სანამ ლიტვინოვის ამ ელჩებს დახსნიდნენ, ან როცა მათ ნიშნავდნენ, ებრაელების ნდობისათვის საზღვარგარეთ არავის შევუქიქარ. არავის შეუხსენებია, რომ არა მარტო სახალხო კომისარი მყავდა ებრაელი, არამედ თითქმის ყველა ელჩიც.

რომც გაეხსენებინათ, იმის დამატებასაც არ დაივიწყებდნენ, ელჩებს საგარეო საქმეთა სამინისტრო ნიშნავს და არა სტალინი. და ნიშნავს არა იმიტომ, რომ ებრაელები არიან, არამედ იმიტომ, რომ საქმიანი ხალხია.

მაშინაც იუდოფობას მაბრალებდნენ, რადგან ბანაკების უფროსებად იმდენი ებრაელი აღმოჩნდა, რამდენიც ელჩებს შორის. თითქმის ყველა ებრაელი იყო. სტალინმა შეგნებულად დანიშნა ისინი ციხის მსახურებად, რომ ებრაელები ხალხს კიდევ უფრო შეეძულებინაო.

და არავის გახსენებია, რომ ბანაკების უფროსებს, ყველა ბანაკის უფროსს ბერმანი ნიშნავდა და არა სტალინი, თვითონ ბერმანიც მე კი არ დამინიშნავს, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სადაც აგრეთვე უამრავი "დიპლომატი" მსახურობს.

მაგრამ ეს რომც გაეხსენებინათ, დაავიწყდებოდათ იმის დამატება, რომ ამ საქმეთა ნარკომატი, ისევე როგორც სხვა, ხალხს უფროსებად ნიშნავს არა იმიტომ, რომ ისინი ებრაელები არიან, არამედ იმიტომ, რომ მათ ამ საქმეთა კეთების უნარი აქვთ.

უნარიან ხალხს შორის ყველაფრის უნარის მქონენიც არიან.

ხოლო ერთ მათგანს, ნაფტალი ფრენკელს, განსაკუთრებული უნარი აღმოაჩნდა. იმდენად განსაკუთრებული, რომ ციხიდან, სადაც სავაჭრო მაქინაციების გამო მოხვდა, გადაიყვანეს შინსახკომში, სადაც ფრენკელმა გენერლობას მიაღწია და ორდენიც დაიმსახურა.

ბანაკებიც სწორედ მან მოიგონა. ციხეში რომ იჯდა, მაშინ მოიგონა, ძნელია ჯდომა, თუ არ გსიამოვნებს. მით უმეტეს, რომ უსაქმურობისგან ტვინში აზრები გიჩნდება, ეს აზრები მარტივია. საჭმელზე, დედაკაცებზე, სიცილიაზე.

მაგრამ ტვინის შესახებ განზოგადებული ლაპარაკი არ შეიძლება. ადამიანი ტრილიონი ქსოვილისგან შესდგება. ბრმა

ნაწლავში მილიარდობით ერთნაირი ქსოვილი ერთნაირად მუშაობს. ტვინში კი ერთნაირი ქსოვილები არ არსებობს. ყოველი ქსოვილი ისე მოქმედებს, როგორც მოეპრიანება. ხან ერთ ქსოვილს შეუერთდება, ხან - მოულოდნელად მეორეს. და ყველაზე ხშირად უნაყოფოდ.

ფრენკელს კი ორი უუბრალოესი ქსოვილისგან ხელოვნურად აქვს შეერთებული, რომ წარმოიშვა მესამე. თანაც გენიალური, თუმცა ისიც უუბრალოესი.

გადასახლებების გარეშე, მსჯელობდა პირველი ქსოვილი, საზოგადოება ვერ იარსებებს. მით უმეტეს, როცა მშენებლობას აწარმოებს, მას კი ხელს უშლიან. თუმცა, მეორე მხრივ, გადასახლებაში ყოფნა ბევრს უჭირს. ჰოდა, ეს ერთქსოვილიანი იდეები ფრენკელმა მესამეში გააერთიანა: ვინც ჯდომას ვერ შეგუებია, საზოგადოებრივ მშენებლობაში ჩავაბათო.

ისინიც კარგად იქნებიან და საზოგადოებაცო.

ბერმანი ყველა ბანაკის უფროსად იმიტომ კი არ დანიშნეს, რომ ებრაელი იყო, არამედ იმიტომ, რომ მანაც უნარი გამოავლინა. მანაც შეაერთა თეთრი ზღვა და ონეგის ტბა ბელომორის არხით. ხოლო გააერთიანა სწორედ ფრენკელის სქემით. იმათი ხელით, ვინც მტერი აღმოჩნდა და ციხეში უკრეს თავი. და ვისაც ჯდომა უჭირდა.

თუმცა ისევ: მართალია, ბერმანი თანამდებობაზე სწორად დაინიშნა, მაგრამ უფრო უპრიანი იქნებოდა, არ დაენიშნათ არც ერთ პოსტზე. ისევე, როგორც ლიტვინოვი. ისიც "აღზევდა" და იძულებული გავხდით ჩამოგვეცილებინა...

ებრაელები საკუთარი ბედნიერებიდან "ამოიზარდნენ" და სხვისი მოინდომეს...

ასეთი რამ დაემართა მოლოტოვსაც, მან ლიტვინოვი ომის დაწყებამდე ცოტახნით ადრე შეცვალა. მაგრამ სანამ ომი დამთავრდებოდა, თვითონ გახდა მოსახსნელი სხვა რაღაცებთან ერთად, - იმისთვისაც, რაშიაც იგი ლიტვინოვს სდებდა ბრალს.

საზღვარგარეთ მოლოტოვმა ებრაელი ელჩები მაშინვე შეცვალა, თუმცა შინ ხელი არავისთვის უხლია. პოლინა ისევე დარჩა, როგორც იყო. ზაპოროჟიელი ებრაელების უცვლელ წარმომადგენლად.

ხოლო თუ წინათ ცოლის პატივისცემით ზაპოროჟიელი სიდედრის წინაშე ტრეფის ხორცს არ მიირთმევდა, ახლა მისივე წაქეზებით ტრეფის ხალხებიც შეიძულა. თუმცა თვითონ არ იყო ებრაელი და თუმცა ჩვენს ეაკ-ს - ებრაელთა ანტიფაშისტურ კომიტეტს - უტიფრობისთვის ზიზღით ფარეის იაკი უწოდა.

ორმოცდასამში შემომთავაზა, ამერიკაში [illegible] ორი ცნობილი იაკი, რომლებიც არაფრით ჰგავდნენ ცხენისკუდა ხარებს - პაწაწინები და სუსტები იყვნენ. მიხოელსი და ფეფერი. სამაგიეროდ შთამბეჭდავი სახელები ერქვათ: სოლომონი და იციკი.

მოლოტოვმა დაასკვნა, რომ ამ ხარებს ორი ამოცანის გადაჭრა შეეძლოთ. ჯერ ერთი, იქაური ხარებისთვის ანტიფაშისტური ზარბაზნების შესაძენად ფული დაეცინცლათ, მეორეც, შეეჩინათ ისინი ვაშინგტონისათვის, რომელიც მეორე ფრონტის გახსნას აჭიანურებდა.

პირველ ამოცანას სოლომონმა და იციკმა თავი გაართვეს, საწადელს მიაღწიეს. ყველა შეძლებულს ჩამოუარეს, მიუხედავად იმისა, რომ სოლომონმა ფეხი მოიტეხა და კოჭლობდა, ხოლო იციკს ერთმა მკერავმა მძიმე ქურქი მოარგო მხრებზე და ისიც იძულებული გახდა, მთელს ამერიკაში ეთრია იგი. და დაათრევდა კიდეც. თანაც არა მარტო თავისას, გიგანტური ზომის ჩემს ქურქსაც. თუმცა იციკი იდიოტია, მიხოელსს მაინც იმიტომ გავაყოლეთ, რომ უდრეკი ჩეკისტი იყო. იმდენად გამოცდილი იყო, რომ, როცა მკერავმა სურვილი გამოთქვა, ქურქი ჩემთვისაც გამოეგზავნა საჩუქრად, იციკმა მას ჩემი ზუსტი სიმაღლე არ უთხრა. ის მკერავიც ჩერჩეტი გამოდგა. მას ჩემთვის ქურქი ზეპირად, წარმოსახვით შეურჩევია - სახელმწიფოს მასშტაბების შესაბამისად.

შინ დაბრუნებული ფეფერი ვარაუდობდა, რომ გამაბედნიერებდა ებრაული საჩუქრით. მაგრამ როცა მცველებმა ეს საჩუქარი კაბინეტში შემოათრიეს, გავშმაგდი და იციკი გარეთ გავაძევე...

მე და მოლოტოვმა მას ფანჯრიდან მივადევნეთ თვალი და სიცილი აგვიტყდა.

ნაჩუქარ ქურქში გახვეული და რკალივით მოხრილი თოვლიან გზაზე ჭიშკრისკენ მიჩლახუნობდა. ლამის ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა და მარცხენა ხელით ბათინკის ქვეშ მოყოლილ ქურქის კალთას მაღლა ექაჩებოდა. მარჯვენა ხელით კი კისერზე ისწორებდა ტომარას, რომელშიც ჩემი ქურქი იყო ჩატენილი.

იციკი რომ ჭიშკარს მიეფარა, მოლოტოვმა იციკის, მიხოელსისა და ვაშინგტონის მისამართით შეიგინა: მეორე ამოცანას ხარებმა თავი ვერ გაართვეს. იანკებმა მხარი არ დაუჭირეს არც მათ და არც თავიანთ იაკებს.

სამაგიეროდ მხარი დაუჭირეს მესამე ამოცანას, რომლითაც მიხოელსი და ფეფერი დაბრუნდნენ შინ. და რომელიც თუმცა ამერიკაში იშვა და ყირიმს ეხებოდა, ებრაული იყო. ფეფერი მას საბჭოურს ეძახდა.

სოლომონისგან განსხვავებით, ებრაულს საბჭოურთან ათანაბრებდა არა მარტო იციკი. და არა მარტო ებრაელი ნიყვები. მე არ ვლაპარაკობ ფრიცებზე, ებრაელებითა და ბოლშევიკებით რომ აშინებდნენ ყველას, მე ჩემს ხალხზე მოგახსენებთ.

ხალხი კი იმიტომ ათანაბრებდა, რომ ებრაელებს ვიცავდი მისგან. ვიცავდი არა სიტყვით, არამედ საქმითაც.

თუმცა სიტყვებსაც არ ვიშურებდი. კომუნისტები, - ჩავჩიჩინებდი ჩემს ხალხს, - დაუძინებელი მტრები არიან ანტისემიტიზმისა. რომელიც კონტრრევოლუცია და რასობრივი შოვინიზმის უკიდურესი ფორმაა. ის მცდარი ბილიკია, რომელიც ჯუნგლებში დაგვაბრუნებს-მეთქი.

თუმცა იუდოფობა ჩემს ხალხს არ მოუგონია, მე მას ამისთვის დახვრეტით ვემუქრებოდი, როგორც სამშობლოს მოღალატეს. სიტყვიერად კი არა, კანონიერად.

არასოდეს არც ერთ მბრძანებელს არ გაურისკავს ასე ხალხის ნდობით. თანაც როცა საქმე ეხება ებრაელებს, ყოველი მეფე იმ მეჩექმესავით იქცევა, საკუთარ თავს ხალხის მამად კი არა, შვილად რომ მიიჩნევს, მეჩექმის შვილად.

ჩემი ხალხის დიდმა ნაწილმა ბოლშევიკები სწორედ იმიტომ არ შეიყვარა, რომ ჩვენს დროს ებრაელებმა თავი უკეთ იგრძნეს. ერთმა რუსმა მელექსემ, ვასილიევმა, მიწოდა "მეჩექმე", "მამაძაღლი" და "ტრაკმონგრეული მედავნე". იმიტომ, რომ ებრაელებს ჩავაცვი და დაფნის გვირგვინებით შევამკე. მან ხალხს მოუწოდა, დააყრევინეთ ეს თავები, ჩამოგლიჯეთ გვირგვინები და სტალინს უკანალში შეტენეთო.

უკანალში სწორედ მას ამოჰკრეს პანღური, მაგრამ ერთ რამეში მართალი იყო: თუმცა სამართლიანობა ჩვენთან არა მარტო ებრაელებმა მოიპოვეს, რევოლუციას მათგან არავითარი "დანახარჯი" არ მოუთხოვია. ისინი არაფერს კარგავდნენ: ოქტომბრამდე მათ პოსტები და მიწა არ ჰქონიათ - ისევე, როგორც დაფნა.

ამიტომ გამომყვნენ უკან, აყაყანებულ ბრბოსავით, როგორც მოსეს გაჰყვნენ. უფრო სიამოვნებითაც, რამეთუ "ებრაულ ბედნიერებას" ორმოც წელიწადს კი არ უნდა დალოდებოდნენ, არამედ რვას! და არა სინაის უდაბნოში, არამედ ნებისმიერ ალაგას. არა მხოლოდ "სამკვიდრებელში".

კაცმა რომ თქვას, თანამდებობები მათ უცებ იშოვეს, მაგრამ "ებრაელების ბედნიერებაში" მე ვგულისხმობ ამ დასახელების კინოს, რომელიც ოცდახუთში გადაიღეს და მანამ

გადიოდა, სანამ ჩემგან გაბედნიერებული ებრაელები თავიანთი ბედნიერებიდან არ "ამოიზარდნენ." და სხვისი არ მოისურვეს.

მთავარ როლს კი ფილმში იგივე მიხოელსი ასრულებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერების ამოწყვეტა უფრო უსაფრთხოა, ვინემ აბორიგენებისა...

მიხოელსმა ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ამოცანა ყირიმის ბედნიერების შესახებ ლოზოვსკისთან ერთად განიხილა. არა იმიტომ, რომ ისიც აგრეთვე სოლომონი იყო, არამედ იმიტომ, რომ ნომინალურად ეაკ-ი მას ემორჩილებოდა.

ებრაული ყირიმის იდეას ლოზოვსკიმაც "ნოვატორული" უწოდა, თუმცა ეს იდეა ჯერ კიდევ ოციან წლებში დაიბადა, როცა სრული ბედნიერების მოსაპოვებლად ებრაელებმა განიზრახეს, თავიანთი რესპუბლიკა შეექმნათ. და სამკვიდრებელი ადგილიდან გამოსვლა იწყეს. თუმცა მარშრუტები სხვადასხვა იყო.

ყველაზე მეტად მოეწონათ ყირიმი. უკმაყოფილონი დარჩნენ მხოლოდ იმით,რომ იქ უკვე ცხოვრობდა ხალხი. უფრო უარესი ის გახლდათ, რომ ისინი ყირიმელი თათრები იყვნენ. ანუ არა უბრალოდ მუსულმანები, არამედ აბორიგენები.

ოცდარვა წელს ხელისუფლებამ ებრაელებს გამოუცხადა, გვესმის თქვენი, მაგრამ, ჩვენი აზრით, თათრებს ისეთი არაფერი დაუშავებიათ, რომ გადავასახლოთო. შესაბამისად "ბედნიერების მაძიებლებს" მოსკოვმა სხვა ტერიტორია გამოუყო ამურის მხარეში.

ბოლოს და ბოლოს ებრაელებმა კი შექმნეს ტაიგაში თავიანთი რესპუბლიკა, მაგრამ ტაიგის კოლოებს მაინც ქალაქური ტარაკანები არჩიეს. თუმცა ქალაქშიც კი ვერ მოახერხეს, დაევიწყებინათ ბაბილონის კაეშანი ყირიმის ზღვისპირეთისადმი.

ამერიკაში ჩასული მიხოელსი და ფეფერი ამაში ებრაელ ბელადებს გამოუტყდნენ. მათ შორის შორსმხედველებსაც, რომლებიც, როგორც მათ შეეფერებოდათ, ერთმანეთს არც თუ შორეულ წარსულში ახლომხედველობაში ამხელდნენ, რადგან მათ გერმანელებისა და ევროპელი ძმების ბედის მიმართ საბედისწერო უყურადღებობა გამოიჩინეს.

აგრეთვე მისტიროდნენ ბედნიერებას, დიდი ხნის წინ პალესტინაში რომ დაკარგეს, სადაც მომავალში, ომის შემდეგ, იმედოვნებდნენ ამ ბედნიერების დაბრუნებას.

მაგრამ ყირიმის ამბავს რომ მოჰკრეს ყური, გაუხარდათ. განსაკუთრებით შორსმჭვრეტელებს, რომელთაც ჩვენი ქვეყანა სიდიდით აფრთხობდა, ხოლო პალესტინა მუსულმანების ბრძოლისუნარიანობით, მათ ფონზე კი ყირიმელი მუსულმანები თავიანთი დამყოლი ხასიათით აოცებდნენ.

ამის ყველაზე ნათელ დადასტურებად დასახელებული იქნა ამ თათრების სიყვარული გერმანელი დამპყრობლების მიმართ. გამომდინარე აქედან, შორსმჭვრეტელმა ბელადებმა დაასკვნეს, რომ საკურორტო ზონაში ცხოვრებას თათრები არ იმსახურებდნენ.

რაც შეეხება მომავალში ებრაელთა საერთაშორისო ბედნიერებას, ნამდვილი შორსმჭვრეტელობა იმაში მდგომარეობს, რომ ბედნიერება მომავლისთვის არ გადაიდოს.

საბჭოთა ტერიტორიების ხარჯზე ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობაზე ვაშინგტონმა უმალვე განაცხადა თანხმობა. ასეთივე აზრი - და ისიც უმალ - უნდა შექმნილიყო ჩვენთანაც.

ბრძნული რჩევის მისაღებად ორმა სოლომონმა, მიხოელსმა და ლოზოვსკიმ, მიმართეს დედაკაცს, პოლინას, რომელიც, სანამ რამეს ურჩევდა, შეჰპირდა, - ქვეყნის მეორე პირი მხარს უცილოდ დაგიჭერთო.

რჩევა ბრიყვული გამოდგა: პირველ კაცს მიმართეთ თხოვნით, ყირიმში სასწრაფოდ ებრაული რესპუბლიკა შექმნასო.

სწორედ მეორე კაცმა უწოდა ამ რჩევას ბრიყვული. მოლოტოვმა ბრძანა, შუამდგომლობა მე გადმომიგზავნეთო. რათა მოეპოვებინა უფლება, პირადად და უშუალოდ მოეკიდებინა ამ საქმისთვის ხელი. ანუ, სანამ ეს საქმე პირველ კაცამდე მიაღწევდა, მესამე, მეოთხე და მეხუთე კაცების მხარდაჭერაც გაენაღდებინა.

მალე იმანაც და სხვებმაც დამიწყეს ჩივილი თათრებზე. ჩვენი დამოუკიდებელი აზრით, ყირიმელი თათრები ერთობ თავხედურად იქცევიანო, მიმდინარეობს ომი ყირიმის სრული განთავისუფლებისათვის, თათრები კი თავდამსხმელებს მიტაცებული ტერიტორიის შენარჩუნებაში ეხმარებიანო.

თეირანში თავის მონაცემებზე დაყრდნობით რუზველტმაც იგივე მითხრა ჩერჩილის თანდასწრებით, რომელმაც ჩაიფრუტუნა და მკითხა - მართალია, რომ ოდესღაც თათრები გერმანელებივით შემოჭრილანო რუსეთში და ყირიმი დაუპყრიათო?

მე გავბრაზდი და არა მხოლოდ თათრებზე. მართალია-მეთქი, თავი დავუქნიე, მაგრამ ეს გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ინგლისელები და ამერიკელები შემოიჭრებოდნენ, მათ შორის ყირიმშიც-მეთქი.

ბოლოს ლავრენტიმ, რომელიც ჩემი თანდასწრებით აფორიზმებს იშვიათად თხზავდა, მოლოტოვისეულ კრემლის ბინაში ვახშამზე განაცხადა, ჩვენი მტრების მეგობრები ჩვენი მტრები არიანო. მერე ამ სიბრძნით დარცხვენილმა აზრი უფრო მარტივად გამოთქვა: მტრებში გერმანელ ოკუპანტებს, ხოლო მათ მეგობრებში ყირიმელ თათრებს ვგულისხმობთ და პოლინას ესროლა მზერა, რომელიც ქალისგან მხურვალე ტაშსა და ასეთსავე მოხვევნას ითხოვდა, მათ შორის იდუმალსაც. ქალი კმაყლუცად მიტრიალდა ქმრისკენ, რომელმაც განსაჯა, რომ, თუმცა დაუპატიჟებელი სტუმარი თათარზე უარესია, არც თათარია დაუპატიჟებელ სტუმარზე უკეთესიო. განსაკუთრებით ყირიმელი თათარიო.

მე აუჩქარებლად დავცალე ყალიონი, ისე, რომ კვამლისთვის თვალი არ მომიშორებია. ყირიმის ნახევარკუნძულის სრული განთავისუფლების სადღეგრძელო ავწიე. გერმანელებისგანაც და თათრებისგანაც. პოლინამ მხურვალე ოვაცია გამიმართა და ჩემსკენ გამოქანდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ნება არ მივეცი, მომხვეოდა, სახალხოდაც კი.

მეორე დღეს მოლოტოვმა მომიტანა შუამდგომლობა ეგ-ისა ებრაული სახელმწიფოს დაარსების მიზანშეწონილობის შესახებ. ეს უნდა მოხდესო ყირიმში, ტაიგაში არსებული რესპუბლიკის შესავსებად. ისიც დაუყოვნებლივო.

"შენ რას ფიქრობ?" - ვკითხე მე.

რაკი იცოდა, რომ ეს აზრი ჩემთვის ცნობილი იყო, მაშინვე მის დაცვას შეუდგა.

"მსოფლიო ნდობის მობილიზაციისათვის, - შემახსენა მან, - ჩვენ ახლახან დავშალეთ კომინტერნი. ეს იყო ბრძნული გადაწყვეტილება, რომელმაც ყველას დაანახა, რომ ჩვენ მსოფლიო ბატონობას არ ვესწრაფით. ებრაული ყირიმი ახალი ნაბიჯია ამ მიმართულებით. ჰიტლერი ურტყამს ებრაელებს, სადაც შეუძლია, დანარჩენი სამყარო კი ყურსაც არ აბარტყუნებს. ებრაელებისათვის სახლის შექმნით კი ჩვენ პლანეტას დავარწმუნებთ ჩვენს მორალურ უპირატესობაში. და სამართლიანობის სიყვარულში".

"შენ გადაჭარბებით აფასებ პლანეტის შესაძლებლობას, - გაოცება გამოვხატე მე, - ამერიკელები კი არ აფასებენ გადაჭარბებით. ამიტომაც არ აარსებენ თავიანთ ქვეყანაში ებრაულ სახლს. თუმცა ძირძველი მოსახლეობა დიდი ხანია განადგურებული ჰყავთ".

"ვაშინგტონი არ ჩქარობს იმიტომ, - მომიგო მოლოტოვმა, - რომ მიწა ამერიკაში ძვირია, ხელისუფლებას კი მიწა ცოტა აქვს".

"მაშინ ადგილობრივმა ებრაელებმა გადაიხადონ", - ნება დავრთე მე.

"ჩემი ცნობებით, - არ დამეთანხმა იგი, - ზოგიერთი ადგილობრივი ებრაელი, თვით როზენბერგიც კი - განაწყენებულია ვაშინგტონზე და სიამოვნებით ჩადებდნენ დოლარებს სოციალისტურ ყირიმში".

"ჩემი ცნობებით კი, - მშვიდად ვამცნე მე, - მათ ეამოიანგარიშეს, რომ ყირიმი უფრო იაფი დაუჯდებათ, ვიდრე ეგვიპეტე პენსილვანია. როზენბერგი თავსაც ჩამოიკიდებს, თუ ეფასო თოკს იშოვის. თანაც, - დავურთე მე, - ჩემი ცნობებით, შენ ცნობებს პოლინასგან იღებ. მას კი ამერიკელი ძამიკო ამარაგებს, რომელსაც მხოლოდ ოკეანისგადმელ დაიკოსთან კი არა აქვს კავშირი, არამედ როზენბერგთანაც, გზის გადაღმა რომ ცხოვრობს. ხოლო ამ როზენბერგს უნდა, სოციალისტურ ყირიმში ჩადოს ფული არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთან მიწა უფრო იაფია, ვიდრე პენსილვანიაში, არამედ იმიტომაც, რომ ებრაული ყირიმი ამერიკულ მიზანს ემსახურება".

"როზენბერგი ნიყვია, - შეშფოთდა მოლოტოვი. - თუმცა ასევე გასაგებია, რომ განთავისუფლების შემდეგ ყირიმი ვაკანტური ვერ დარჩება".

"მთავარია, გაეთავისუფლოთ, - დავასკვენი მე, - მისი გათავისუფლება კი საჩქარო არ არის. იყოს ყირიმი ერთხანს თავისუფალი. მას ეს მოუხდება - მზიანი მხარეა".

როგორც კი მეორე კაცმა ჩემი კაბინეტი დატოვა, მესამე, მეოთხე და მეხუთე კაცებს ვუხმე, რომლებიც "შეგნებულად" მირჩევდნენ ყირიმი გავათავისუფლოთო.

"ახლა ეაკ-ს მიხედეთ, - გავეცი განკარგულება, - დამოუკიდებელია თუ არა იგი შუამდგომლობების აღძვრისას-მეთქი".

მალე გაარკვიეს. გვირჩიეს, ეაკ-ი დაგვეხურა. თუმცა გადავწყვიტე, რომ საჩქარო არც აქ ყოფილა რამე. დაე, ისიც ერთხანს თავისუფალი იყოს-მეთქი.

მთავარზე თქმულ ნებისმიერ სიტყვას ხალხი უკუღმა იგებს...

ეს თავისუფლება ეაკმა, სამწუხაროდ, ბოროტად გამოიყენა. თუმცა ფაშისტები უკვე განადგურებულები იყვნენ, მას ისევ ანტიფაშისტური კომიტეტი ერქვა. და ან მხარს უჭერდა ან ეწინააღმდეგებოდა ყოველივე სხვას. საერთოდ.

მათ შორის ყირიმსაც. მისი ვაკანტურობის წინააღმდეგი იყო.

და ამ ბრძოლაში ეაკ-ელები არავის ზოგავდნენ. მათ შორის ერთმანეთისაც. ვერ მოლაპარაკებულიყვნენ, ვინ იყო ხალხის მტერი და ვინ - მეგობარი. მათ შორის ებრაელი ხალხისაც.

რომანისტმა ფეიხტვანგერმა მითხრა, ასეთი რამ ებრაელებს დიდი ხანია მოგვდისო. იუდეველთა ომის დროს ჩვენ, ესე იგი, ებრაელებმა ჩვენივე ხალხი იმაზე მეტი დავხოცეთ, ვინემ რომაელებმაო. თვით ჩვენი სამზარეულოც კი ისეა მოფიქრებული, თვითგვემას ჰგავსო. მან აგრეთვე მითხრა, საკუთარი თავის სიძულვილი ებრაელებმა [illegible] ზოგადეს, როგორც მთელი სამყაროს სიძულვილი მათ [illegible]. იმიტომ, რომ თვითონ ეზიზღებათ საკუთარი თავიო.

შეიძლება ეს ასე არ იყოს, მაგრამ ზუსტად კია მინიშნებული. მე, მაგალითად, არავის ვძულვარ ისე, როგორც თავად მძულს საკუთარი თავი. თუმცა ის, რაც მეჯავრება საკუთარ თავში, სწორედ ადამიანებმა წარმოშვეს ჩემში.

ამიტომ მეჩვენება, რომ ყველანი ჩემი სიკვდილის მოლოდინში არიან.

სხვათა შორის, მე და ებრაელები ერთმანეთისგან იმით განვსხვავდებით, რომ მე საკუთარ თავში გარკვეული ვარ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ვარ სხვებისთვისაც. მაგალითად, ყველამ იცის, სად არის ჩემი სახლი, რომ კრემლში ვცხოვრობ.

ებრაელების ამბავი კი გაურკვეველია, რადგან მათ ჯერ არ იციან, სად დააარსონ სამშობლო. ხან ტაიგაში აპირებენ სამშობლოს შექმნას, ხან - ყირიმში, ხან - აფრიკაში, ხან - პალესტინაში. ერთი მათი მწერალი ამას წინათ გვთავაზობდა, ებრაელთა სამშობლო ვოლგაზე დავაარსოთ, სადაც ვოლგელი გერმანელები ცხოვრობენო.

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, უდანოვმა მთხოვა, ეაკები დაშალეთ, რადგან თვითონაც არ იციან, რა სურთო. იქნებ საქმე უარესადაც არის, იციან და არ ამხელენ. მით უმეტეს, რომ ოკეანის გადმიდან მათ ურჩევენ, პირიქით, არ დაიშალოთო. ჰოდა, არათუ ფულს არ ითხოვენ ამ რჩევისათვის, არამედ - ისევ პირიქით - ამ რჩევასთან ერთად ფულსაც უგზავნიანო.

ჩვენს მთავრობაში არა მხოლოდ უდანოვი უცქეროდა ალმაცერად ებრაელებს... და არა მხოლოდ ხრუშჩოვი - უკრაინაში, ყირიმის ჩათვლით, და არა მხოლოდ ისინი იყვნენ მართლები იმაში, რომ ეაკ-ის დაშლის დრო დამდგარიყო. მაგრამ მე არ ვჩქარობდი სწორედ იმიტომ, რომ უდანოვი, ხრუშჩოვი და სხვები უცქეროდნენ ებრაელებს ალმაცერად.

რაც შეეხება თვითონ ებრაელებს, ჩვენი ისტორიული გამარჯვებისთანავე კრემლში დიდი მიღება მოვაწყვე და მათთვის პატარა სადღეგრძელო წარმოვთქვი. ისიც ისტორიული.

"ჩვენს ხალხებს გაუმარჯოს, - ვთქვი მე, - პირველ ყოვლისა კი რუს ხალხს!"

ჯერ ერთი, ყველა ქვეყანაში არსებობს მთავარი ხალხი. მეორეც, მე რუსი ხალხი მომწონს. ისიც კი ავხსენი, რატომ. მომწონს,

როცა ხალხი უბრალო და ნათელი გონების პატრონია და როცა მას სიმტკიცე და მოთმინება გააჩნია. უმთავრესი კი ის არის, რომ მას ნდობა შეუძლია.

თურმე ებრაელები განაწყენდნენ და არა მხოლოდ ისინი. მაგრამ მე სათქმელი გულწრფელად ვთქვი. ისევე გულწრფელად, რომ მეთქვა, ხილეულიდან ყველას ვაშლი მრჩენია-მეთქი. თუ ასე ვიტყოდი, მართალი ვიქნებოდი, რადგან სწორედ ვაშლი მიყვარს ძალიან, ისევე როგორც ლავრენტის - ლეღვი, რომელიც ვაშლივით უბრალო ხილი არ არის.

და აფხაზეთში ხარობს.

ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს - მღვდლის ცოლიო. ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე რუზველტმა მიამბო, თურმე ჩანგებს თეთრკანიანები ტიტვლებად მიაჩნიათ. ხოლო ამერიკელები ფიქრობენ – ინგლისელები იმდენად არაგულწრფელები არიან, სქესობრივი კავშირიც კი დიპლომატიად გადაუქცევიათ. შიშველ დიპლომატიადო.

სხვათა შორის ეს თეირანში კი არ უთქვამს, სადაც ინგლისელებს ხშირად დასცინოდა, არამედ ყირიმში მითხრა. მე გავმხიარულდი, მაგრამ რუზველტმა საუბარი ებრაელებზე გადაიტანა. თეირანის შეხვედრების შემდეგ სიონისტური სიმპათიები გამიძლიერდა და უკვე მზადა ვარ, ებრაული სახელმწიფოს შექმნისათვის ვიბრძოლოო.

ვუპასუხე, თავი მეც სიონისტად მიმაჩნია იმ ზომით, რა ზომითაც მზადა ვარ, ებრაელებს მხარი დავუჭირო სამართლიანობის აღდგენაში, რომელიც იქ უნდა აღორძინდეს, სადაც განადგურდა, - პალესტინაში. თუ, მაგალითად, პენსილვანიელები გაასახლეს და ებრაული სახელმწიფო იქ აღორძინდა, ადრე თუ გვიან ისინი დაბრუნდებიან სამართლიანობის ასაღორძინებლად-მეთქი.

ერთადერთი საშუალება არსებობს ამის თავიდან ასაცილებლად, თქვენ, ამერიკელები, წინდახედული ხალხი ხართ და გგონიათ, რომ ოცი წლით გაგვისწარით. გააჩნია, რას ვეძახით "გასწრებას". თუ გადაუდებელ რამეებზე ვილაპარაკებთ, თქვენ უკანა ხართ სულ ცოტა რვა საათით მაინც. ამიტომ თქვენი მეთოდი ჩვენთვის მიუღებელია.

"რომელი?" - არ დაიჯერა რუზველტმა.

"გაიჟლიტოს ყველა, ვინც დაბრუნებას შეძლებდა".

რუზველტმა გამიგო. იქნებ სულაც თავი მოიკატუნა. ებრაელი მეომრები კი თავს არ იკატუნებდნენ და ყირიმის ფრონტიდან არ მიდიოდნენ.

რუზველტთან ერთად მშვიდობის იმედიც დაიმარხა. სწორედ მისთვის კი არა, - ჩემთვის. ყოფილი მოკავშირეები მტრებად მომეკიდნენ და უარს მეუბნებოდნენ იმაზე, რასაც წერილობით მპირდებოდნენ და მალულად ჩემი სიფიცხის იმედი ჰქონდათ.

იძულებული გავხდი, სხვა რამეებთან ერთად სამხრეთის გამაგრების გეგმასაც გამოვთხოვებოდი. რის შემდეგაც, სხვათა შორის, სახელმწიფოში მეორე კაცს კრინტიც არ დაუძრავს იქ ებრაული სამოთხის გახსნის თაობაზე.

თავისას ისევ მიერეკებოდნენ მეორე ქალბატონი, პოლინა, ორივე სოლომონი და ებრაული სულის ბევრი [illegible]. თითქმის მთელი ეაკ-ი, რომელიც კვლავ არ წყვეტდა [illegible]ებასთან მეგობრობას. და მსოფლიო უბედურების კარიბჭესთან საკუთარი ბედნიერების მოსაპოვებლად ფაციფუცს განაგრძობდა.

რის უფლებასაც, მიუხედავად ასაკისა, მე თავს ვერ მივცემდი. თუმცა ორმოცდარვა წლის დასაწყისში იმედი მქონდა, რომ ზაფხულისთვის, შეიძლება ყველა მებრძოლი არა, მაგრამ ესენი მაინც გონს მოეგებიან-მეთქი.

თუმცა ამაო იყო ჩემი იმედი: პალესტინაში "ებრაული სამოთხის" დაარსებისთანავე ებრაელებმა,პირიქით, მთლად დაივიწყეს "თავმდაბლობა" და ხმამაღლა აყაყანდნენ, თანაც არა მარტო ყირიმზე.

რაც შეეხება მეორე ქალბატონს, მას სტანჯავდა არა მარტო ის, რომ ყირიმი ვაკანტური რჩებოდა, არამედ ისიც, რომ არავაკანტურად რჩებოდა პირველი კაცის პოსტი, რომელიც ყველა ვაკანსიას განაგებდა.

როცა მეორე ქალბატონს სურს, პირველი ქალბატონი გახდეს, ეს გასაგებია. პოლინა, როგორც დედაკაცი, რომ არ მძულებოდა, ნადიას შემდეგ მე მას ჩემს კისერზე ჩამოკიდების უფლებას მივცემდი და პირველ მანდილოსნად ვაქცევდი. არც ეს იქნებოდა გაუგებარი, თვით მოლოტოვისთვისაც კი, რომელიც შეცბუნებითაც არ შეცბუნდებოდა, ცოლთან გაყრა რომ შემეთავაზებინა.

აღშფოთებული ახლა მე ვიყავი, იმით კი არა, რომ ამ მარგალიტს პირველი ქალბატონობა და მოლოტოვის კისრიდან ჩამოხტომა უნდოდა, იგი კვლავაც ТЭЖЭ-ს კეთილსურნელებას აფრქვევდა, რითაც სახელმწიფოში მეორე კაცზე უფრო ხშირად პოლინას მეორე მდივანი ტკბებოდა.

მე იმითაც კი ვიყავი აღშფოთებული, რომ პოლინას ის უნდოდა, რაც მტერს სურდა. აღშფოთებული ვიყავი იმით, რომ, როგორც ლავრენტიმ დაადასტურა, მას ეს ეწადა მტერთან ერთად. ერთობლივად. და კავშირს მათთან ამყარებდა არა მხოლოდ ჩემს მიერ დაუშლელი ეაკ-ელების მეშვეობით. ბოლოს და ბოლოს ეს კომიტეტი მაინც დავშალე.

შარშან, სექტემბერში, ისრაელმა მოსკოვში ელჩად გამოგზავნა ულვაშიანი დიაცი, რომელსაც გოლდა ერქვა. მალენკოვს, რომელიც დედაკაცს ჩამოჰგავდა, მოეხვენა, რომ ისრაელმა გადაცმული კაცი გამოგვიგზავნა.

ლავრენტიმ დაამშვიდა: ისიც დედაკაცია. ახალგაზრდა ამერიკელი ქალიაო.

თუმცა ახალგაზრდა იყო, ამ ვაჟკაცმა სიონისტმა ქალმა ჩამოსვლისთანავე სულმოუთქმელად იპოვა საერთო ენა ჩვენს სიბერეში შესულ ბოლშევიკთან - პოლინასთან და მათი კავშირი, სამწუხაროდ, მხოლოდ სულიერი არ აღმოჩნდა.

რაც უფრო მჭიდრო ხდებოდა მათი მეგობრობა, ეჭვიც მით უფრო ძლიერდებოდა, რომ პოლინა ამ გოლდას [illegible] უნამოს დამზადების რეცეპტს, ის კი პოლინას ულვაშიან-გაზოლის მეთოდიკას სულაც არ უხსნიდა.

ეს ეჭვი უცებ მომძლავრდა და უცებვე გაქრა. ამერიკელებმა მოსკოვიდან დაიწყეს იმ ცნობების მიღება, რომლებიც მხოლოდ მოლოტოვისთვის იყო ცნობილი, ხოლო საიდუმლო საბუთები, პოლინასთან რომ ინახებოდა, დაიკარგა.

ბოლოს სიმართლე აღიარა პოლინას მეორე მდივანმა. ის კი არ აღიარა, რომ ჩვენი ქვეყნის მეორე მანდილოსნით ტკბებოდა, არამედ ის, რომ ჩვენს საზიანო ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა.

ნოემბერში ეაკ-ი დავითხოვე. დეკემბერში მოლოტოვს შევთავაზე, ცოლს გაჰყროდა. როგორც მოველოდი, იგი სულაც არ აღშფოთებულა. თებერვალში, როგორც მოელოდა მოლოტოვიც, პოლინა დააპატიმრეს. მარტში მოლოტოვს პორტფელი ჩამოვართვი, რასაც აგრეთვე ელოდა.

ახლა რაღას უნდა ელოდოს, აღარ იცის. ისევე აღარ იცის, როგორც ლავრენტიმ, რომელმაც ამიტომაც შესთავაზა მოლოტოვს პოლინას თაობაზე ჩემთან მოლაპარაკება.

ლავრენტის პოლინა არ აღელვებს. თუმცა, თუ ვილაპარაკებთ, როგორც ქალზე, მხოლოდ პოლინა კი არა, ყველა ქალი აღელვებს.

არც მოლოტოვს აღელვებს მარტო პოლინა. თუმცა მას არც სხვა ქალი აღელვებს. როგორც ქალი, არც პოლინა აღელვებს, არავინ აღელვებს.

იმათ ახლა, ლავრენტისაც და მოლოტოვსაც, სხვა რამ აწუხებთ. მთავარი რამ.

რაზედაც არც ერთ მათგანს არ დავუწყებ ლაპარაკს. რამეთუ ნებისმიერ სიტყვას მთავარზე, ისევე, როგორც ებრაელებზე, ადამიანები უკულმა იგებენ.

/გაგრძელება იქნება/

ული როთფუსი

ლექსები

გერმანულიდან

თარგმნა **ლულუ დადიანმა**

ული როთფუსი (დაიბადა 1961წ.) გერმანელი მწერალი და მეცნიერია. მისი ლიტერატურული შემოქმედება მოიცავს პროზას, პოეზიას, დრამატურგიას და ესეისტიკას, ბიოგრაფიულ რომანებსა და საბავშვო მოთხრობებს. გამოცემული აქვს ოცამდე წიგნი. არის კალვის ინტერნაციონალური უმაღლესი სასწავლებლის კულტურესთეტიკისა და პოეტიკის პროფესორი, ამავე სასწავლებლის პრორექტორი. 2004 წლიდან ხელმძღვანელობს შტაინბაისის (ბერლინი) კომუნიკაციის, ხელოვნებისა და ბიზნესის უმაღლეს სასწავლებელს! იგი არის გერმანიის, იტალიის, შვეიცარიისა და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. არის აგრეთვე თბილისის ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის საპატიო პრეზიდენტი. ული როთფუსის შემოქმედებაში საგანგებო ადგილი უკავია კავკასიურ და, კერძოდ, ქართულ თემატიკას, რასაც მწერალმა უძღვნა რომანი "ლეილა".

ჟურნალი "საუნჯე" მკითხველს სთავაზობს ლექსებს ული როთფუსის პოეტური კრებულიდან "ქვათა სუნთქვის შესახებ". ამ კრებულს მთლიანად და, კერძოდ, ტექსტებსა და თორმეტ ლექსს კრებულის პირველი ნაკვეთიდან "შენი გზები ჩემი გზებია" უძღვნის თავის გარდაცვლილ ვაჟს იანმარკ როთფუსს.

მთარგმნელისაგან

ტექსტები

ხანდახან სახეს მთელი ძალით ჩავრგავ ხოლმე ხელებში, იმ ხელებში, შენს ღაწვებს რომ შეხებია, მაშინ, როცა უკვე მომხდარი იყო ყველაფერი. დღის ზმანებები. ნეტავ, ღამით დამსიზმრებოდი, ჩემო ბიჭო, ისეთი, როგორიც უწინ იყავ.

(9.8.2006)

●

ასეც ხდება, დილით, გაღვიძებისას, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს სიზმარში ვნახე. რაიმე კონკრეტული, ხელშესახები

მოგონება კი არა, რაღაც უფრო ზოგადი შეგრძნება მაქვს; თითქმის სავსებით დამამშვიდებელი გრძნობა, რომ ღამით ჩემს სიზმრებს სტუმრობდი, რომ შენი მოსვლით ნუგეში მომანიჭე, როგორც ჩემი დამაშოშმინებელი უებრო საშუალება. ჩემთან შენი ყოფნის შეგრძნება დღისითაც გამომყვება ხოლმე და კვლავ ისე მოქმედებს, თითქოს ჩემს გვერდით ან უკან დგას, თითქოს ყოველ წამს შენს შეხებას ველოდო უნდა, ანდა შენს სიტყვას მოვკრა ყური. შემდეგ კი ჩემს გონებაში იკინძებიან წინადადებები, სიტყვები, ხანაც მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები, რომელთა შეკოწიწება უნდა ვცადო.

(5.10.2006)

ბ ა ნ ქ ა რ დ ი

განქარდი როგორც
მზისცვარდაკრული
ფოთოლი ქარში

მიდიხარ როგორც
დღე ღამეში
გადაინაცვლებს

შენი ნაბიჯი –
არ მიმწყდარა
ჯერ ისევ ისმის

შენი სიტყვები –
წიგნია, ახლა
ნელა რომ ვფურცლავ

და შენი სუნთქვის –
ამ დილას ისევ
მისწვდა ჩემს სმენას

თან უამრავი
მოუთხრობი
შენი ამბავიც

შაშველი ტკივილი

სწორედ. ძაღლები ხრინწიანი
მყეფარე ენით, არიან ქვეყნის
ბანმორჩილი ალმომჩენები.

...დღეს ერთად გავცდით ნაკაფ ფლატეებს
და ვრჩებით მაინც კმაყოფილები
თუ ძილბურანი საბოლოოდ დაგვიმორჩილებს
და როცა ხედებს ღამის ჩრდილი გაერიდება

ნუთუ მე უნდა ყველაფერი, მე
ყველაფერი გამოვცადო, გავითავისო?

უსაშველო ტკივილი რათა დაეიწყების
სალბუნად მექცეს

... ნეტავ სად იდექ?
ნეტავ რისკენ გაგექცა თვალი?
შემცბარი იყო შენი სახე შეჯახებისას?
იქნებ ჯერ კიდევ გელიმებოდა?

თვალწინ რა ხშირად გამიელვებს
განცვიფრებული, გაკვირვებული,
შეძრწუნებული, გაოგნებული
წამიერად ვნებული სახე

შენი სხეული რომელ მხარეს გადაიჩეხა?
როგორ იწექი დამტვრეული, იქ კლინიკაში
შენი სუნთქვა, შენი გულის დათვლილი ფენთქვა
მონიტორებზე მოციმციმე ხშირი მრუდები

შენი უმწეო ამოსუნთქვა
უკანასკნელი
მიუნხენის გულგრილ ჰაერში
ჩასუნთქვა ჩემი

იმ ზარის შემდეგ, ორი კვირის წინ
დამკრეს ჯალათის მახვილი ზურგში
შეუბრალებლად.

ჩემთვის ბავშვი ხარ

ჩემთვის ბავშვი ხარ
და დარჩები ყრმად სამუდამოდ
ბავშვი, გაზრდილი,
აქ ჩვენს გვერდით
შენი ბავშვური ლაღი სიცილით.

ზოგჯერ ყურს ვუგდებ
შენს ნაბიჯებს
ხანდახან კი
ხმაც მესმის შენი

და კვლავ ხასხასებს
ლავანდი მწვანედ
იქ
შენ რომ იცი
ჩემს ფანჯარასთან.

ბ ა დ ა ქ ე ლ ი ლ ი

გადაქელილი
ცვეცხლი

ხოჭო, რომელიც
გადაქელილ ასფალტზე დაძრწის

გადაქელილი
გზა
არა ჩვენი
მე ვეძებ, ვხედავ
ჩვენს, ჩემსა და შენს ნაბიჯებს
იქ ახლა

მხოლოდ ჩემია
და გზაა ვიწრო
და ხოჭოები კვლავ ირეკვიან
ოღონდაც ცეცხლი
სად გაქრა ცეცხლი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ჩემი ნაბიჯები

ცხელი ზაფხული
თუმც ტყის სილრმეში
ჩანან ნაძვები და აქა-იქ
ხასხასა მწვანე

მხოლოდ ჩემი ნაბიჯების ხმა

და ნელთბილი ბორიო ქარი
ქრის ხეთა შორის
ორიოდ ჩიტი
ჭყივის შორიდან

ჩემს გონება'ში სურათები ცვლიან
ერთმანეთს

ღრჭიალი, გმინვა –
ისევ თავს ესხმის ჩემს
ყურთასმენას
შვილო ის შენი
განწირული ამოძახილი

უეცრად ფართოდ გახელილი
შენი თვალები

მესმის ჯახანი, ვხედავ
სიცილს გადავიწყებულს
შენს სახეზე
საავადმყოფოს ჩვეულ ხმაურს
და მანქანების მარადიულ
გაბმულ სირენას.

შენს მშვიდ
ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას

მე ვდგავარ იქვე

მუხლმოდრეკილი
თავდახრილი შენს მკლავებზე
ჩემი ხელები შენს ხელს
ძალუმად ჩასჭიდებია

ჩემო ვაჟკაცო

როგორ ცივდება
და იცრიცება, შენი ხელები
კარგავს სიცოცხლეს და
ყვითლდება
ექიმთა მზერა
შენი გული სუსტია და
უფრო სუსტდება
და მაინც, თითქოს ჩაგძინებია

მე ცხადად გხედავ
ჩემო ბიჭო
როგორ იცინი
აი აქ, ტყეში

ისმის ჩიტების გადაძახილი,
გიხმობენ თითქოს

ნაძვის ხეების ხასხასა მწვანე
დაისის მზე'ში
მხოლოდ და მხოლოდ
შენია თითქოს
პეპლების ცეკვა
შენთვის ცეკვავენ ისინიც თითქოს

სხვა არაფერი,
მხოლოდ ჩემი ნაბიჯების ხმა...

თითქოს ეძებდე

ზოგჯერ, ხანდახან
უკან ბრუნდები
ისე, თითქოსდა
დაგვიწყნოდეს რაიმე ჩვენთან

თითქოს დაეძებ
შენსავ დანაკარგს

ორივეს მზერა ბრუნდება უკან
ჩემიც და შენიც, ისევ და ისევ
და ისევ წვიმა
ჯანდის ქულები

მძიმედ ჰკიდია
მარადიულ სიმწვანეში
ნაძვის ხეების
ეკლესიის ზარები რეკენ
ხმები, ძახილი
ისმის ჩიტების
ჭახჭახი და გადაძახილიც.

შ ე ნ ი კ ვ ა ლ ი

შენი გზები ჩემი გზებია
ყოველდღე ასი საფეხური
ასავლელი და ჩასავლელი
ყველა გზა და საფეხური
ჩვენი გზებია

ჩვენი
ზაფხულის მზეა მწველი, თაკარა
და მე კი ვხედავ
შენს ნაფეხურებს
ქათქათა თოვლში
უკანასკნელი ზამთრის
თოვლში
ჩემთან ერთად რომ დადიოდი.

ის უსაშველოდ გრძელი საათი

ღამეა და ჩახჩახებს მთვარე
წვიმა ჩუმად
მეჩურჩულება
ნისლი ნელ-ნელა აიზიდება
ახრდილივით
ტყიან მთის თავზე
მე შენ გიხსენებ
ჩემო ბიჭო
ვიხსენებ ღამეს
სუნთქვას შენსას,
შემდეგ
იმ დილას, ადრიან დილას

ის უსაშველოდ გრძელი საათი

ტრიალებს ფიქრში, როცა მეწადა
შენი შველა, შენარჩუნება
გარეთ წვიმა რომ
ფანჯრის მინებს ეხეთქებოდა
და მანქანები
რიტმულად რომ ზუზუნებდნენ
და გდარაჯობდნენ
მხოლოდ მანქანა-დანადგარები
და შენი თბილი ხელი, შვილო
თვალები შენი იქ სადღაც მიღმა
და ღრმად შენს წიაღ,
სხვა სამყაროში

ღამეა წვიმს და
კვლავ თვალწინ [illegible]
და შენი სუნთ[illegible]
და უსაშველოდ გრძელი საათი
როდესაც შენი შველა მეწადა.

ალბინონის ადაჟიო

და ალბინონის ადაჟიოს
აჟღერებისას
ეს ხმოვანება,
ნამის წვეთებად
სწვდება ჩემს სმენას,
ღრმად იღვენთება
სულის წიაღ
ღვთისმშობლის მკაცრი
ლოცვის თანხლებით

ამ ხმოვანების მოსმენისას
მე ალმაფრენა მეუფლება
თითქოს ფოთლები აეტაცოს
ქარს შემოდგომის
წმინდა მადლენის ეკლესიაში
ჩემო ბიჭო
როცა ჰანგს ვისმენ
ვიცი და მჯერა
შენც ჩემთან ერთად
ისმენ მუსიკას

და თუკი თვალებს დავხუჭავ ახლა
კარგა ხანს, ვიდრე იქ
ღვთისმშობელთან
ციმციმებენ ჩუმად სანთლები
გაყუჩდეს უნდა ყველაფერი
და მაშინ ის რვა მევიოლინე
იმწამიერად
უკრავს შენთვის
და მხოლოდ შენთვის.

ყვავილის დანარჩენება

ხელთ ჩამივარდა
მზესუმზირის ნორჩი ყვავილი
თითქმის კოკორი
გაზაფხულის ნელი სერნელით
შეკვე რომ თითქმის განელებოდა

ტრიალ მინდვრიდან
ამორიდებულს
ღრუბლებმა ისევ
ჩამოაბნელეს დღის ნათელი
ორიოდ წამით

მომწყურებოდეს ამ ყვავილის
შენარჩუნება, ორთავე ხელით

მეჭიროს მყარად

ყვითელი კი
დააჩნდეს ნახატს...

არ დავივიწყო ეს სურნელი
აღარასოდეს...
ვაჩუქო წამი ჟამხანგრძლივი
ყვავილს ერთადერთს
და შემდეგ კი

დავანებო, რომ გამიცურდეს
ხელიდან თუნდაც
ისე ქვიშა რომ დაცურდება
გზის განაპირას.

ეკატერინე
ბიბლიოთეკა

ახლა კი მარტო

როგორ
უნდა მივხვედრილიყავ –
შენი ნახატი ასე მალე თუ
გასრულდებოდა?
შენი ცინცხალი ფერები
შენვე თან გაიყოლე
სამხრეთული ნაზი ფერები
მოძიებული ზღვის ნაპირზე
ჩვენეული სეირნობისას

ვათვალიერებ მე შენს სურათს
მესმის
წყალი რომ ეხლება ნაპირს
ვხედავ
როგორ შლის ჩვენს ნაჭერფეხლებს
კონტურები კი
გახსენებაა
იმ მთა-გორების
რომ მოვიარეთ მე და შენ ერთად

მე ახლა
მარტო
მივუყვები გზას
ცვარდაკრულია
ირგვლივ ბალახი
ნაკადულის
ჩუმ ჩურჩულს ვუსმენ
კაცისსიმაღლე ნარშავებთან
და ყვავილებთან

შენი ნახატი,
ძლიერი, სწრაფი
მონასმები,
ლაღი ფერწერა
ისევ და ისევ
საუბრები უშუალო ჩვენი
როგორც ჩურჩული
ნაკადულით ამოხდენილი.

ნახატებს, ნათელ ნახატებს

ნახატებს, ნათელ ნახატებს
ვეძებ, ვძაბავ გონებას,
ნახატებს, ტკივილს რომ ინახავენ;
გუშინ კი ტყეში
ორ ნაძვს შუა
უცებ შევნიშნე

სინათლე სხივი
დაჩნეული მიწაზე
მხოლოდ...
შენგან ერთადერთ კითხვას
ველი
მინდა მესმას
და დარჩეს ჩემთან.

●

სურათი: ქილა-ქილები სავსე
წიწაკებით ჩაწითლებული,
პილპილები შავი და მწვანე;
ფერების ქიშპი და ღრიანცელი
როგორც... თბილისის
ფერად ბაზარში
მანამდე კი ზმანებასავით
შენი ღაწვების
უნატიფესი ფაფუკშინისფერი
მჭრელი ხაზები ღრუბლებს ერევა

ანგელოსის სახე

შენყოფნა, ანგელოსის სახე, და რწევა...
ბინდბუნდში წაბლის ხეების მსგავსად
შენყოფნა, მტრედი, მედიდურობით გამიზნულად ჰკვეთ შენ
მოედანს...
მზეა, ზურგს სხივთა ალმური გითბობს, ფოთოლთშრიალი,
გაზაფხულის ქარი, სურნელი, მონაქროლი ვარდის ბაღიდან
შენყოფნა, დღე და ოდენ დღეისდღეს სილუეტების უცხო
თამაში
მონადირება თაგვებისა და ჩვენეულ ჭიდან ღვინის ჭაშნიკი...
და კვლავ სიცილი, ისე თითქოს უკანასკნელი იყოს შენთვის
ეს გაცინება...

შენყოფნა, ანგელოსის სახე, და ერთად
მიწაზე წოლა, თან ღრუბლების თვლა და თვალთვალი...
ოღრო-ჩოღრო ოცნებები... ტარმალის ქარი... გადაფრენა
ზღვაზე ჩიტივით...

შენყოფნა, მხოლოდ დღეს და
ცოტა ხნით უფრო ადრე კი ღამე
ბურუსი ნისლი, მთიდან ჩვენი ჩამოცოცება
ვიდრე კიდურებს შებოჭავს ყინვა
ჩამორბენა... და
ჩვენი პატარა სახლის შეღება
ჩიტების სტვენა, დაბინდებამდე უკანასკნელი
ეკლესიის ზარების რეკა და ჩვენს პატარა
ბუდე-სახლში ნაბოლარა სიზმრების ხილვა.

თოვლი ჯერ იდო

თოვლი ჯერ იდო, წელს ნაზამთრალზე
როცა პირველი მერცხალი ისევ

მოფრინდა და პაპაჩემის კარ-მიდამოში
სათივეში დაიდო ბუდე; თან ამ მერცხალმა
მზე მოიტანა, და ბოლოს კი
იცნო თუ არა სახლსუკან ცაცხვი,
ხე მშობლიური, და უკვე თითქმის
ცარიელი თივის ბულული
შეკრა კამარა ისარივით აიჭრა ცაში
დასრიალებდა ალმა-დალმა
ისევ და ისევ
და მზე მღუარი, ჩამომდეროდა
მოკრძალებული სიმღერებით, და მართლაც
სადღაც შუადღისათვის, სახლის მიღმა
იქ, სადაც მუდამ ვთამაშობდით ჩვენ
ბავშვობისას, იქ ჩამოეშვა მზის პირველი
ნანატრი სხივი, და პაწაწინა
მერცხალიც მყისვე შეყოვნდა წამით,
ასე მგონია ალბათ ისიც, თუ იგონებდა
ბავშვობას და
მოლოდინის ხიბლზე ფიქრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველივე ხილულის მიღმა

და დღე თენდება და კვლავ
ბინდდება, ისევ და ისევ
დღე ეძებს საყრდენს...
ამ წრებრუნვაში...

... მაღალო ღმერთო... დიდება შენდა...
მუსიკაა ერთადერთი ცით მოვლენილი სტიქია ქვეყნად

... წყალობა თქვენდა, ვინც იხილეთ ესე ნათელი...
როგორც მიწისძვრა, საცხოვრისს რომ ანგრევს თავისას

... განმინათლებდე კაეშნიან გრძნობებს და აზრებს...
და ეს მუსიკა, ყველა ქარს თითქოს თავს უყრის მისთვის

... განმინათლებდე ჩემს გულს მონუსხულს...
თითქოს შორიდან იზიდავდეს მას რათა შთანთქას.

... სხივთა მჭვირვალი შარავანდედი...
მისეული პირმოთხეობით უფსკრულების გულმოსაგებად

... თან წარიტანე ვინი ჩემი, გრძნობა და გული,

სული, მხნეობა, თან წარიტანე...
ყოველივე ხილულის მიღმა.

... ხსნის ხილვისა მომეცი ნება...
საბოლოოდ კი სიტყვის ხილვისა

გქონდეთ იმედი, რომ ვარდნისას
მოფარფატე ფოთოლს დაიჭერთ...
მუსიკის ჰანგში, ალბათ ბახი,
და ისევ ბახი...

წ ე რ ა

ჩიტივით
ფრენდე, ალმაფრენდე
სერავდე ღრუბლებს
და იყოს ნისლი
მხოლოდ ნისლი
ლეგა-ცისფერი

განაგრძო წერა
ჩაულრმავდე, მთელი სისავსით
და ნელა
ფრთხილად
მიუალერსო ნაძვების სხეულს
მილულო თვალი

და წერდე ლექსებს:
იხეტიალო ნისლიან ტყეში
ნაძვის ხეებით გარშემორტყმული
ტყის კიდე-ნაპირს ეძებდე ნისლში
ან ოდნავ მაინც გამოკრთეს სხივი
და იმ სანუკვარ ხეს მიაგნებდე

შემოახვიო ხის ტანს ხელები,
ტოტიდან ტოტზე ახვიდე მაღლა
და სულ მაღლა, იქ
სადაც ნისლი თეთრად ელვარებს
ხის კენწეროზე,
და მოხასხასე კრიფო ნეკერი.

და ოქროს გასაღები

ხანგრძლივი იყო აქამომდე ეს მარათონი და
უამრავი ხმა თანამდევი; და ჩურჩულებენ
ერთმანეთში წაბლისფერი და მწვანე თვალები
თანდათან აქეთ მოიწევენ ღრუბლის ფთილები
ტალღები კი იქ ეხლებიან შმაგად ნაპირებს
და ხანგრძლივია მთელი ცხოვრების ეს მარათონი
დღეისთვის უკვე შემდეგ უეცრად:
წაბლისფერი, მწვანე თვალები
ნაცნობი ხმა; და ოქროს მარჯი გასაღები
ესადაგება ორივე საკეტს

საუკუნეთა მანძილზე ბალახს ზრდა არ ეტყობა
ქვები ერთმანეთს ანაზდეულად ესალმებიან
მთა-ქედები განიხვნებიან და წყლის ნაკადი
მოსჩქეფს მათგან, ანკარა წყალი
მოედინება გრძელი გზის გასწვრივ
სიზმარი. ყოველ ღამით ახალ-ახალი:
ათასწლეულთა სიცილი ჯერაც
ერთადერთ ხმაში აჟღერებული; წმინდანების,
მუსიკასთან ნაზიარევი: აცახცახება და მოლოდინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვათა სუნთქვის შესახებ

ზღვით ამოტანილს ქვას გაუთლელს
ვაკვირდები ჩემს ხელის გულზე

გლუვია მხოლოდ, ტალღები კი ეხეთქებიან
ქეიშიან ნაპირს როგორც ყოველთვის

ალმაფრენა, ქარს ადევნება
შორით მოიწევს ნისლი ფაფუკი

ზღვაზე ჩრდილები გაწოლილან
ნისლის გამჭოლი სხივი ტეხილი

ფრთების ტყლაშუნი, ჩიტთა ჟივჟივი
მზეს ბინდისფერი გადაეკვრება

ხმას არ გამოსცემს ალარაფერი
ხის ტოტებზე კი ფოთლები თრთიან
და აქლემები, ქანცგაწყვეტილნი
შორი გზიდან მოდენილები

დაჩოქილები კარგა ხანია მოკალათდნენ
სახლების წინ და ათასნაირ ამბებს ჰყვებიან

მომხვდურთა ჯიქურ შემოჭრასა და
... იდუმალ ქვათა სუნთქვის შესახებ

ბუდასა და პეშტს შორის

მიედინება დღეს დუნაი ლეგა, ბინძური, ადიდებული:

უკვრო მაღლა კი Szentendre*-სთან, მან ნაბიჯ-ნაბიჯ
მიიტაცოს უნდა ნაპირი
ათასობით ლამპიონი: ელიზაბეტ-დედოფლის ხიდი
და მეფეთა ციხე-გოდოლი
ჰაბსბურგები ქორწინდებიან ისევ მათიასკირხეში მხოლოდ
ლამით Szechenyi** ხიდით გადახვალ ბუდას მხარეს და
ჩაუელი გვერდით კოპწია ვილებს
აივაკებ და მეთევზეთა ბასტიონის სიმაღლიდან გადაიშლება
ლამპიონებით გაბრწყინებული პარლამენტი ცისფერ დუნაის
გაღმა ნაპირზე
გასცდები ოდნავ და ჩაუელი მარგრეტის კუნძულს
აპრადი ისევ ამხედრებულა მადიართა სხვა ცხენოსან
გმირებთან ერთად
ველური მზერით, და მტკიცე ნებით – გაამთლიანოს
და დაიცვას მამული მკვიდრად
ქალაქის კიდეს პატარა ტყეში, ახალგაზრდები ციგურებით
რომ სრიალებენ
მარტონთან*** ერთად, მეგობართან შევექცევით შამპანიურს
ბალატონიდან და პილპილმოყრილს ვაყოლებთ ქათამს
მოგვიანებით ნაღებიან წაბლის სოუსს ვუსინჯავთ გემოს
და ვსაუბრობთ პოეზიაზე, უცხო, სამშობლოს ერთ გოჯ
მიწად გადაიქცევა
ამ დროს რუსები მერსედესით სერავენ ქალაქს
და გოგონები მაღაზია ლუქსის გვერდით
Yurusmarti-ს მოედანზე
სადაც კოსტუმის ლირებულება ორთვენახევრის ხელფასს
დაიტევს
თვალს გიკრავენ შინაურულად, ახალგაზრდები და ლამაზები
შორით არიან აქ ისინიც ჩამოსულები

. . .

მოგზაურობის შთაბეჭდილებები,
დაწერილია კაფე Gerbaud-ში,
1999 წლის 7 მარტს.

---

*Szentendre – უბანი ბუდაპეშტთან ახლოს, სადაც მდებარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მუზეუმი (მთარგმნელი).

**Szechenyi – დაკიდული ხიდი, რომელიც აგებულია 1849წ. და განახლებული 1949წ. ახი წლისთავზე (მთარგმნელი).

***მარტონ კალაში – უნგრელი ლირიკოსი (დაბ. 1934).

ბერნჰარდ შლინკი

ფინალაცვეთა

(მოთხრობა)

გერმანულიდან

თარგმნა **ბელა სურგულაძემ**

ბერნჰარდ შლინკი (1944), პროფესიით იურისტი, ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ბერლინში. იგი არაერთი ლიტერატურული პრემიის და პრიზის მფლობელია. მწერალს ყოფნის გამბედაობა, ასახოს გერმანიის უახლესი წარსული და აწმყო, გადმოსცეს ადამიანთა განწყობა და სულიერი მდგომარეობა, რის გამოც "გრძნობათა არქეოლოგს" უწოდებენ (ვერენა აუფერმანი). მკითხველს განსაკუთრებით ხიბლავს მისი მარტივი, მაგრამ ამავე დროს რაფინირებული და ელეგანტური ენა.

I

ზეიმი დასრულდა. სტუმრების უმრავლესობა დაიშალა, მაგიდები თითქმის ალაგდა. შავ კაბასა და თეთრ წინსაფარში გამოწყობილმა გოგონამ, სუფრას რომ ემსახურებოდა, ფარდები გადასწია, ფანჯრები გამოაღო და ოთახში მზე, ჰაერი და ხმაური შემოუშვა. პარკ-ავენიუზე მოძრაობა ჩქეფდა: შხუილით დაჰქროდნენ მანქანები, შუქნიშანთან ჩერდებოდნენ, გზას უთმობდნენ მეზობელი ქუჩიდან მოზღვავებულ მოუთმენლად მოპიპინე ტრანსპორტს და ისევ დაიძვრებოდნენ. შემოჭრილმა ჰაერმა, სანამ გარეთ გაიტანდა, ერთხელ კიდევ დაატრიალა დარბაზში სიგარეტის ბოლი და სუნი.

ნეტავ სარა დაბრუნდებოდეს და წავიდოდეთო, ნატრობდა ანდი. სარა უმცროსი ძმითურთ, რომლის ბარ-მიცვას* ზეიმობდა ოჯახი, სადღაც გაქრა და იგი ბიძია არონს შეატოვა. ბიძია

---

*ბარ-მიცვა - მრეველის სრულუფლებიან წევრად ვაჟის მიღების ცერემონიალი სინაგოგაში

არონი თავაზიანი იყო. მთელი ოჯახი თავაზიანი იყო, ბიძია იოსები და მამიდა ლეაც. ანდიმ სარასგან იცოდა, რომ აუშვიტცი გამოევლოთ და იქ დაეკარგათ მშობლები და და-ძმა. რას აკეთებთ, როგორ ცხოვრობთ, სადაური ხართ, რა ოჯახები და მიზნები გაქვთო - ეკითხებოდნენ ანდის. რასაც ახალგაზრდა კაცს ეკითხებიან ხოლმე, ქალიშვილი, ძმაშვილი ან უმცროსი ბიძაშვილი რომ მოიყვანს პირველად ოჯახურ ზეიმზე. არავითარი უხერხული კითხვა, არავითარი გამომწვევი შენიშვნა, არავითარი გადაკრული სიტყვა. არავინ ელოდა, სხვანაირად იგრძნობს ჩვენს შორის თავს, ვიდრე ჰოლანდიელი, ფრანგი ან ამერიკელიო. გულთბილად მიიღეს, კეთილმოსურნე ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ და თავადაც მოწვეული იყო, რათა ცნობისმოყვარე თვალით შეეხედა ოჯახისთვის.

მაინც მძიმე მდგომარეობაში იყო. განა მისი ერთი არასწორად ნათქვამი სიტყვა, ერთი არასწორი ჟესტი ყველაფერს არ დაანგრევდა? სარწმუნო, სანდო იყო ეს კეთილგანწყობა? ყოველ წუთში არ შეეძლოთ გაეძევებინათ და თავიდან მოეშორებინათ? განა ბიძია იოსებს და ლეა მამიდას ყოველგვარი საფუძველი არ ჰქონდათ, დამშვიდობებისას ეგრძნობინებინათ მისთვის, შენი კვლავ ხილვა არ გვსურსო? არასწორი სიტყვებისა და არასწორი ჟესტების თავიდან აცილება დამღლელი იყო. ანდიმ არ იცოდა, რა შეიძლება არასწორად მოჩვენებოდათ. ის ხომ არა, სამხედრო სამსახურს რომ თავი არ აარიდა? იქნებ ის, გერმანიაში ებრაელი მეგობრები და ნაცნობები რომ არ ჰყავდა? ან სინაგოგაში ყველაფერი ახალი და უცხო რომ იყო მისთვის? ისრაელში ჯერ რომ არ ემოგზაურა და იქ მყოფთა სახელების დამახსოვრება რომ უჭირდა?

ბიძია არონი და ანდი დიდი მაგიდის ბოლოში ისხდნენ. თეთრ დალაქულ სუფრას ნამცეცები, დაჭმუჭნული ხელსახოცები და ცარიელი ღვინის ჭიქები შემორჩენოდა. ანდი ცერსა და სალოკ თითს შორის მოქცეულ სასმისის ფეხს აქეთიქით ატრიალებდა და ასე უსმენდა ბიძია არონს, როცა ის ხმელთაშუა ზღვაზე მოგზაურობის ამბებს უყვებოდა ლაღად და მხიარულად. ოთხმოცი დღე დასჭირდა მას ამ მოგზაურობისთვის. იმდენი, რამდენიც ფილეას ფოგს მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისთვის. ფილეას ფოგის მსგავსად მანაც მოგზაურობისას იპოვა ცხოვრების მეგზური, ქალიშვილი ებრაული ოჯახიდან, რომელიც 1700 წელს ესპანეთიდან მაროკოში გადასახლდა.

"თქვენ იცით სად ცხოვრობდნენ მაშინ თქვენი წინაპრები?"- შეცვლილი, სერიოზული ტონით მიმართა ანდის.

"ჩვენ. . . ჩვენ . . ." მაგრამ პასუხი არ დააცალა

"ჩვენები შტეტლში ერთადერთნი გადაურჩნენ ეამიანობას და დაქორწინდნენ. სიძე უბრალო ოჯახიდან იყო, პატარძალი – რაბინის ქალიშვილი. მან შეასწავლა წერა-კითხვა

ქმარს, რომელმაც შემდეგ ხე-ტყით ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. მათმა ვაჟმა გააფართოვა მამის მიერ დაწყებული საქმე. შვილიშვილმა კი ხე-ტყით ყველაზე დიდვაჭრის სახელი მოიპოვა მთელს რაიონში, ანუ პოლონეთსა და ლიტვის გუბერნიაში. იცით, რას ნიშნავს ეს?"

"არა"

"ეს ნიშნავს, რომ 1812 წლის დიდი ხანძრის შემდეგ საკუთარი სახსრებით ააგო სინაგოგა, უფრო დიდი და მშვენიერი ვიდრე მანამდე იყო. მისმა შვილმა კიდევ მეტ წარმატებას მიაღწია, სანამ 1881 წელს სამხრეთში საწყობი არ გადაუწვეს, რაც ვერ მოინელა, ვერც როგორც ვაჭარმა და ვერც როგორც ადამიანმა. იცით, რა მოხდა 1881 წელს?

"პოგრომი?"

"პოგრომი, პოგრომი. ეს საუკუნის ყველაზე დიდი პოგრომი იყო. ჰოდა, ამის შემდეგ დატოვეს იქაურობა. ვაჟებმა ცოლიშვილთან წაიყვანეს, მიუხედავად იმისა, სურდა თუ არა ეს. 1883 წელს ჩამოვიდნენ ნიუ-იორკში"

"და შემდეგ?"

"და შემდეგო? ბავშვებიც ამას მეკითხებოდნენ. რა ხდებოდა რაიონში, რატომ გაჩნდა დიდი ხანძარი, რა დაწერა რაბინმა, რომელიც ჟამიანობამ იმსხვერპლა, არავის სურდა ამის ცოდნა. მხოლოდ იქიდან, რაც ოჯახი ნიუ-იორკში ჩამოვიდა, შემდეგ, შემდეგო? მაჩქარებდნენ". ისევ შეისვენა და თავი გადაქნია. Lower East Side-ზე ცხოვრობდნენ და კერვით ირჩენდნენ თავს. თვრამეტი საათი ანუ ორმოცდაათი ცენტი დღეში, ექვსი დღე ანუ სამი დოლარი კვირაში. იმდენი დაზოგეს, რომ 1889 წელს ბენიამინის სასწავლებელში მიბარება შეძლეს. სამუელი თავდაპირველად პოლიტიკაში გადაიჭრა და Naijen Tsaijt-ში წერდა. მაგრამ, როცა ბენიამინს ხე-ტყით და ძონძებით ვაჭრობაში ხელმოცარვის შემდეგ ჯართით ვაჭრობამ გაუმართლა, მას ჩაუჯდა საქმეში. 1917 წელს ძმებმა ჯართის სავაჭრო გაყიდეს და აღებული თანხით ომისა და ბირჟის ქაოსურ წელს ქონება დააგროვეს. ერთ წელიწადში ქონება დააგროვეს, შეგიძლიათ ამის წარმოდგენა?"

პასუხს არ დალოდებია. "1929 წელს, ბირჟის გაკოტრებამდე სამი თვით ადრე ყველა ფასიანი ქაღალდი გაყიდეს. შეყვარებულები იყვნენ. დები შეუყვარდათ, რომლებიც 1924 წელს ჩამოვიდნენ პოლონეთიდან და ახლა ფასიანი ქაღალდების ნაცვლად მათზე ზრუნვა გაიხადეს მთავარ საქმედ".

"ოჰ, სიყვარული ბირჟას ურტყამს", შენიშნა ანდიმ, თუმც მაშინვე შეშინდა მეტად თამამი ხომ არ იყო ჩემი შენიშვნაო, მაგრამ ბიძია არონს გაეცინა. 'ასეა, და ფულით, რომელიც უკიდურესი კრიზისის დროს იშვიათად თუ ჰქონდა ვინმეს, პიტსბურგში ჯართის სავაჭროთა იმ გაერთიანებას დაეპატრონენ,

რომელმაც 1917 წელს მათი ჯართის საავჭრო შეისყიდა, ერთიც დალასში შეიძინეს და უბედნიერესი ქმრები და ყველაზე წარმატებული ბიზნესმენები იყვნენ“.

“ერთი მეორეს განაპირობებს?“

“არა, ისე კი კარგი იქნებოდა, მაგრამ ბედნიერება თითქმის არ არსებობს წვეთი შხამის გარეშე. სამუელს და სარას შვილი არ გაუჩნდათ, სამაგიეროდ, ბენიამინს და თირზას სამი ჰყავდათ. ჩემს ძმას – ეჭიმს თქვენ იცნობთ“. სარას მამისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც ფანჯარასთან საავარძელში მოკალათებულიყო და თვლემდა. ”მეც მიცნობთ, თუმცა ჯერ არ იცით, რომ ოჯახის დარდუბალა ვარ. არაფერი გამიკეთებია მისი სახელისთვის. ჩემი დის – ხანას გაცნობა წინ გაქვთ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – მას მიჰყავს მთელი ბიზნესი, ამსჩვილებს მას და როგორ აკეთებს ამას, გამოცანად რჩება ჩემთვის, სასიამოვნო გამოცანად, რომლის წყალობითაც ვცხოვრობთ ჩვენ ყველანი, მათ შორის იოსები და ლეაც, ჩვენი ბიძაშვილები, ისინი გადარჩნენ და აქ ჩამოვიდნენ. რას აკეთებდა მამათქვენი ომში?“

“ჯარისკაცი იყო“

“სად?“

“ჯერ საფრანგეთში, შემდეგ რუსეთში, ბოლოს კი იტალიაში, სადაც ამერიკელთა ტყვეობაში მოხვდა.“

“იოსებს რომ ეს მოესმინა, შეგეკითხებოდათ, კოზიროგამდე ხომ არ მისულაო, თუმცა თქვენ ეს არ გეცოდინებათ.“

“წარმოდგენა არა მაქვს. როგორც მოგახსენეთ, მამა თითქმის არ გვიყვება ომზე.“

ბიძია არონი წამოდგა. “ახლა კი ყველანი სინაგოგაში უნდა წავიდეთ. ასე სურთ იოსებს და ლეას“.

ანდის გაკვირვება გამოეხატა სახეზე.

“თქვენ ფიქრობთ, რომ ამ დილით სინაგოგაში გატარებული ოთხი საათი საკმარისია? მე და უმრავლესობაც ასე ვთვლით, მაგრამ იოსები და ლეა სიამოვნებით ატარებენ უფრო მეტ დროს იქ და დღეს ხომ დავითის ბარ-მიცვაა“.

“მე, მე დავითის...“ დაიწყო ანდიმ, მაგრამ თავი ვერ მოუყარა სათქმელს და გაწითლდა, “ის სიტყვა მომეწონა, დავითმა რომ ტრაპეზისას წარმოთქვა“.

“დიახ, დავითის დერაში* კარგი იყო. როგორც თორას განმარტება, ასევე, რაც მან შემდეგ მუსიკისადმი სიყვარულზე თქვა. დღეს ღვთისმსახურებისასაც კარგად კითხულობდა“. ბიძია არონი სივრცეში იხედებოდა. არ შეიძლება მისი დაკარგვა. არავის დაკარგვა აღარ შეიძლება.

---

*დერაში (დარაში) - იგავი თორიდან, რომელიც მრევლს განმარტებითურთ მიეწოდება.

II

ანდი და სარა ცენტრალურ პარკს მიუყვებოდნენ. სარას მშობლები პარკის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, მათი ბინები კი დასავლეთით მდებარეობდა. გვიანი, [illegible] მზე გრძელ ჩრდილებს ისვროდა. აგრილდა. მერხები [illegible] ბულიყო. გზაში მხოლოდ რამდენიმე მორბენალი, ველოსიპედისტი და გორგოლაჭებით მოსრიალე შემოხვდათ. ანდის ხელი მოეხვია სარასთვის.

"რატომ მიყვებოდა ბიძია არონი თქვენი ოჯახის ისტორიას? იგი მართლაც რომ საინტერესოა, მაგრამ, არა მგონია, ამის გამო."

"მაინც რის გამო?"

"ჩემს კითხვას შემხვედრი კითხვით ნუ პასუხობ"

"შენ კი დამრიგებლური ტონით ნუ მელაპარაკები".

უხმოდ გააგრძელეს გზა. ერთმანეთზე ცოტა დაბოღმილებმა და უბედურებმა ამ ბოღმის გამო. ორი თვის წინ პარკში გაიცნეს ერთმანეთი. სარას საკუთარი ძაღლი ჰყავდა სასეირნოდ გამოყვანილი, ანდის კი – ქალაქგარეთ მყოფი მეზობლის. რამდენიმე დღის შემდეგ, ნაშუადღევს, ფინჯან ყავაზე შეხვედრა შუაღამემდე გაუგრძელდათ. ანდიმ უკვე იმ საღამოსვე იცოდა, რომ შეყვარებული იყო. სარამ მეორე დილით გააცნობიერა ეს, გამოღვიძებისას. იქიდან მოყოლებული ერთად ატარებდნენ უქმე დღეებს და ერთ რომელიმე საღამოს კვირაში. საღამოს ღამეები მოჰყვა. საქმე ორივეს ბევრი ჰქონდა. ანდი სტიპენდიანტი იყო, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტიდან ნიუიორკში ერთი წლით მივლინებული – იურისპრუდენციაში დისერტაცია უნდა დაეწერა. სარა რაღაც კომპიუტერულ თამაშობებზე მუშაობდა, რომელიც რამდენიმე თვეში უნდა ჩაებარებინა. დრო კი მიექანებოდა, დრო, რომელიც მუშაობისთვის და საკუთარი თავისთვის სჭირდებოდათ.

"მშვენიერი ზეიმი იყო. მადლობელი ვარ, რომ წამიყვანე. მშვენიერი იყო სინაგოგა, ტრაპეზი და საუბრები. იმ სითბოსაც ვაფასებ, რომლითაც ყველამ მიმიღო. თვით ბიძია იოსები და ლეა მამიდაც კეთილგანწყობილნი იყვნენ, თუმცა, ცხადია, ოღონ არ უნდა ყოფილიყო ეს მათთვის. ანდის ახსოვდა სარას მონათხრობი ერთად გატარებულ პირველ საღამოებიდან ბიძია იოსებზე და ლეა მამიდაზე, მათ ოჯახზე, რომელიც აუშვიტცში ამოულიტეს. არ იცოდა, რა ეთქვა. "საშინელებაა", უფერულად ეჩვენებოდა, შეკითხვა 'დიდი იყო ოჯახი?" შეუფერებლად. ვითომ პატარა ოჯახის ამოწყვეტა ნაკლებ მძიმე იქნებოდა, ვიდრე დიდის.

"ჩვენი ოჯახის ისტორია იმიტომ მოგიყვა, გცოდნოდა, ვისთან გაქვს საქმე."

"იქნებ იმიტომ, ცოდნოდა, შენ ვისთან გაქვს საქმე?"- ცოტა ხნის შემდეგ იკითხა ანდიმ.

სარა შეჩერდა და შეწუხებული მიაჩერდა მას: "რა ხდება? რამ გაგაღიზიანა? რა გეწყინა?" ყელზე შემოაჭდო ხელები და ტუჩებში აკოცა. "ყველას მოეწონე. ქათინაურებით აგავსეს. რა კარგად გამოიყურება, რა ჭკვიანია, რა მოზრდილია, რა მოკრძალებულად და თავაზიანად იქცევაო. რა არის შენს ცხოვრებაში მათთვის მიუღებელი? გერმანელი რომ ხარ, იციან".

ამასთან შედარებით სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა, გაიფიქრა ანდიმ, მაგრამ აღარაფერი უკითხავს.

სარასთან მივიდნენ და სიყვარულს მიეცნენ მაშინ, როცა გარეთ ბინდდებოდა. ვიდრე ოთახში ჩამობნელდებოდა, ლამპიონი აინთო, ფანჯრის წინ რომ იდგა და ყველაფერი – კარადა, საწოლი, მათი სხეულები მკვეთრ თეთრ შუქში ჩაიძირა. სანთლები აანთეს, რომელმაც ოთახს სითბო და სინაზე მოჰფინა.

ანდის ღამით გაელვიძა. ლამპიონის შუქი ავსებდა ოთახს, ირეკლებოდა თეთრი კედლებიდან, ანათებდა ყოველ კუთხეს, ნთქავდა ყველა ჩრდილს და ყველაფერს ბრტყელს და მსუბუქს ხდიდა. შუქს წაეშალა ნაოჭები სარას სახეზე და ნორჩი ელი მიეცა მძინარისთვის. ბედნიერი აკვირდებოდა ანდი საყვარელ ქალს, სანამ უცბად ეჭვიანობამ არ შეიპყრო. მან ვერ იხილა სარას პირველი ცეკვა, როგორ დაჰყავს ველოსიპედი, როგორ ხარობს ზღვით. მისი პირველი კოცნა და მოხვევნაც სხვას ერგო წილად. და ოჯახური რიტუალებით და რწმენით, სარას აქვს სამყარო და განძი, რომელიც ყოველთვის ჩაკეტილი იქნება ანდისთვის.

მათ ჩხუბზეც ფიქრობდა. პირველად წაიჩხუბნენ. შემდეგ უკვე მას ეს ყველა მომდევნო ჩხუბის მაუწყებლად ესახებოდა. ყველაფერს, რაც ცხოვრებაში შემდეგ ხდება, ან არ ხდება, თავისი მაუწყებელი აქვს.

III

ბარ-მიცვაზე მან სარას და – რაქელი გაიცნო. რაქელი გათხოვილი იყო, სახლში იჯდა და ორ ვაჟს, ორისა და სამი წლისას ზრდიდა. იქნებ მანქანა იქირაო და რაქელთან ერთად გაისეირნო. ის ისეთ რამეებს გიჩვენებს, რაც ჯერ არ გინახავს, მაგალითად, ბრწყინვალე მამულებს ჰუდხონთან. მართალია, სახლიდან არ გამოდის, მაგრამ სიამოვნებით გამოვიდოდა, მითუმეტეს, შენ თუ სთხოვ, გააკეთე ეს მისი და ჩემი გულისთვის. გამეხარდება, თუ უკეთ გაიცნობთ ერთმანეთსო, - აგულიანებდა სარა ანდის.

ანდიმ რაქელს გაუარა. დილა კრიალა და გრილი იყო. რადგან ავტოსადგომი სახლიდან შორს მდებარეობდა, ორივე გაახარა თბილ მანქანაში ჩაჯდომამ. რაქელს ყავა და შოკოლადის ფირფიტები წამოელო. მაშინ, როცა ანდის მოგლი ყურადღება ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობაზე ჰქონდა გადატანილი და ხანდახან თუ მოსვამდა ერთ ყლუპ[illegible] შოკოლადის ფირფიტას მოკვნეტდა, რაქელიც დუმდა, შეექცეოდა ყავას, ჭიქაზე ითბობდა ხელებს და ფანჯრიდან იცქირებოდა. შემდეგ ჰუძონის გასწვრივ ჩრდილოეთისკენ აიღეს გეზი.

კარგი იყოო, თქვა ქალმა, ჭიქა გადადგა, დაამაგრა და ანდის მიუბრუნდა: "გიყვართ ხომ ერთმანეთი შენ და სარას?"

"ჯერ ეს ერთმანეთისთვის არ გვითქვამს. სარა ცოტა მშიშარაა, მეც." გაელიმა, "უცნაურია, შენ რომ გიმხელ პირველად, მიყვარსო".

რაქელმა დააცადა, კიდევ ხომ არ მეტყვის რამესო და ალაპარაკდა. ყვებოდა, როგორ შეუყვარდა მასსა და მის ქმარს ერთმანეთი, ყვებოდა მამამთილზე – რაბინზე, დედამთილის კულინარიულ ოსტატობაზე, ქმრის სამსახურზე ელექტრონიკის საწარმოთა გაერთიანების განვითარების განყოფილებაში, თავის ყოფილ სამუშაოზე ერთ-ერთი ფონდის ბიბლიოთეკაში და დიდ სურვილზე, კვლავ ემუშავა. "წიგნი რომ უყვარს და წიგნის ფასი იცის, იმდენია, რამდენიც ქვიშა ზღვაში. მაგრამ რად გინდა. ისინი ვერასოდეს პოულობენ სამუშაოს იქ, სადაც საჭირონი არიან. მათ ადგილს შეძლებული ქალბატონები იკავებენ, რომელთაც არც არაფერი შეუძლიათ და არც არაფერს წარმოადგენენ, სამსახური კი გასართობად სჭირდებათ. და მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ქმრები საზედამხედველო საბჭოში სხედან, ან სპონსორებს განეკუთვნებიან. იცი, სიამოვნებით ვზრუნავ შვილებზე, ბავშვის პირველი წლების ყოველი დღე საოცრებითაა სავსე. მაგრამ კვირაში ერთ ან ორდღიან სამუშაოსთვის მარცხენა მკლავს მეთქი, ვერ ვიტყვი, მარცხენა ან მარჯვენა ფეხის ნეკა თითს კი ნამდვილად გავიღებდი. ბავშვებისთვისაც უკეთესი იქნებოდა მუშაობას თუ დავიწყებდი. იმდენს ვფიქრობ მათზე, იმდენს ვშიშობ მათ გამო, ისინი გრძნობენ ამას და განიცდიან".

ანდიც ყვებოდა ჰაიდელბერგში გატარებულ ბავშვობაზე. "დედაჩვენიც არ მუშაობდა. ვიცი, დედებს სრული უფლება აქვთ იმუშაონ. თუმც, ჩემი დაიკო და მე ვტკბებოდით დროით, რომელსაც დედა გვითმობდა თან იქვე ვთამაშობდით, სახლის უკან ტყე იწყებოდა. არც სპორტზე, მუსიკაზე, მეგობრებთან ან თუგინდ სკოლაში წაყვანა გვჭირდებოდა, როგორც აქ, ნიუიორკში."

ალზრდის პრობლემებზე საუბრობდნენ დიდსა და პატარა ქალაქებში, იმ სიძნელეებზე, რომელთაც აქაც და იქაც აწყდები და ორივემ აღიარა, რომ არავითარი სურვილი არ აქვთ, ისევ მოზარდნი იყვნენ, არც ნიუ-იორკში, არც ჰაიდელბერგში და არც სადმე სხვაგან.

"როდის შედიან ბავშვები კოლეჯში? მაშინ ყველაზე დიდი სიძნელე უკან დარჩება? ვინც High School-ში ნარკოტიკებს არ შეეხვევა, მოგვიანებით დაზღვეული იქნება ამისგან და ვინც კოლეჯში შევა , მის დამთავრებასაც შეძლებს?"

"ყველაზე უარესი ვითომ ნარკოტიკები და კოლეჯში წარუმატებლობაა?"

ანდიმ თავი გააქნია. "ეს ის არის, რისგანაც შვილების დაცვას ცდილობენ მშობლები, თუ? ესეც და ზოგი რამ სხვაც. უფრო უარესიც არსებობს. მაგრამ მის წინაშე უკვე უძლურნი არიან მშობლები." რაც ვთქვი, სწორია თუ არაო, ეკითხებოდა ანდი საკუთარ თავს, არ იყო დარწმუნებული. "შენთვის რა იქნებოდა ყველაზე უარესი?"

"რაც ჩემს შვილებს შეიძლება შემთხვეოდათ?" იკითხა ქალმა და ანდის მიაჩერდა. მოგვიანებით ნანობდა ანდი, რატომ უკეთ არ დაიმახსოვრა მისი სახე. რას გამოხატავდა იგი, კითხვას, ზუსტად რა სურს, იცოდესო? თუ ყოყმანს, ვუპასუხო გულწრფელად მის შეკითხვასო? ან იქნებ ყოყმანს იმის გამო, რომ თავადაც არ იცოდა, რა იყო ყველაზე უარესი. აი, ადგილი კი, როცა რაქელის პასუხი მიიღო, გარკვევით ჩაებეჭდა გონებაში. ქუჩიდან, რომელიც ზიგზაგით მისდევდა ნაპირს, მარცხნივ მეორე ქუჩა იტოტებოდა და მდინარეზე გადებულ გრძელი ხიდისკენ მიემართებოდა. ხიდი, რკინის თუ ფოლადის კონსტრუქცია თაღით და ირიბი საბჯენებით, სრულად მოექცა მის თვალთახედვაში ზუსტად მაშინ, როცა რაქელმა განაცხადა: "ყველაზე უარესი ის იქნება, ჩემი ბიჭები არაებრაელ ქალებზე თუ დაქორწინდებიანო."

ანდიმ არ იცოდა, რა ეთქვა, რა ეფიქრა. ეს იგივე იყო, თავისი ვაჟის არაგერმანელზე, არაარიელზე, ებრაელზე ან შავკანიანზე დაქორწინება რომ მიეჩნია ყველაზე უარესად; თუ აქ მხოლოდ რელიგიას ეხებოდა საქმე? რამდენად მიუღებელი იქნებოდა რაქელისათვის მისი და სარას შეუღლება? შემდეგ ეგონა, ამას რაქელის მხრიდან რაღაცა მოჰყვებოდა, ახსნა, თხოვნა, ცუდად არ გამიგო, საწყენად არ მიიღოო, მაგრამ არაფერი ამდაგვარი. ცოტა ხნის შემდეგ ანდიმ იკითხა: "რატომ იქნებოდა ეს ყველაზე უარესი?"

"ისინი ხომ ყველაფერს დაკარგავდნენ. სანთლების დანთებას პარასკევ საღამოს, ლეინის კიდეშიN[1] ურის კურთხევას, ქოშერის[2] ჭამას, როშჰაშანას[3]

1.**ლეინის კიდეში** - ლეინის კურთხევა.

2.**ქოშერი** - ებრაული რელიგიისა და ტრადიციის მიხედვით დამზადებული საკვები.

3.**როშჰაშანა** - ებრაული ახალი წლის (სულიერი განახლების) დღესასწაული.

ღამეს შოფარის№მოსმენას, იომ კიპურის1 დღეს ურთიერთ-მიტევებას, სუკოთის დღესასწაულზე2 ფოთლების ქოხის აგებას, მორთვას და მასში ცხოვრებას. როგორ შეძლებენ ჩემი ვაჟები ამის გაკეთებას ვიღაც სხვასთან თუ არა ებრაელთან?"

"იქნებ თქვენს ვაჟებს ან ერთ-ერთ მათგანს სრულიადაც არ სურს ეს ყველაფერი. იქნებ მას ის მიანდოს [illegible] ქორწინებას, თავის კათოლიკე ცოლთან ერთად გადაწყვიტოს, რომელი დღესასწაული იზეიმოს და როგორ, კათოლიკურად, ებრაულად თუ სულაც სხვაგვარად და რომელი შვილი როგორ აღზარდოს. რატომ არ უნდა წავიდეს იგი თავის ძესთან ერთად შაბათს სინაგოგაში, მისი ცოლი კი კვირას ქალიშვილთან ერთად – ეკლესიაში? რა არის ამაში ცუდი?"

რაქელი თავს აქნევდა. "ასე არ გამოვა. ასე არ გამოვა. შერეულ ქორწინებაში განსაკუთრებული კი არა, არავითარი სულიერი ცხოვრება არ სუფევს."

"იქნებ ორივე ბედნიერია იმით, რომ არც ებრაელია და არც კათოლიკე. განა ამის გამო ცუდი ადამიანები არიან? შენც ხომ გყავს ასეთი ნაცნობები, ხომ აფასებ მათ, ხომ გიყვარს ისინი? აი, მათი შვილები კი შეიძლება კვლავ დაუბრუნდნენ მდიდარ სულიერ ცხოვრებას ბუდისტებად ან მაჰმადიანებად, კათოლიკეებად ან ებრაელებად."

"როგორ იქნება ჩემი ვაჟი ბედნიერი ებრაული სარწმუნოების გარეშე? გარდა ამისა, ისიც მცდარია, რაც თქვი. მეორე თაობა აღარ უბრუნდება ებრაულ რწმენას. ცხადია, არსებობს ცალკეული შემთხვევები, მაგრამ სტატისტიკური მონაცემებით არაებრაელზე დაქორწინებული დაკარგულია ებრაელებისთვის."

"ალბათ ის ან მისი შვილები სხვა რაიმეთი მოიხიბლნენ."

"ვინ ხარ შენ? კათოლიკე, პროტესტანტი, აგნოსტიკოსი? ყოველ შემთხვევაში იმდენი ხართ, რომ შეგიძლიათ უარი თქვათ შერეულ ოჯახებზე. ჩვენ არავის დაკარგვა არ შეგვიძლია."

"ებრაელობამ იკლო მსოფლიოში? სტატისტიკური მონაცემები არ გამაჩნია, მაგრამ ვერ წარმომიდგენია. გარდა ამისა, ხომ შეიძლება ერთ დღეს აღარავის სურდეს იყოს კათოლიკე, პროტესტანტი, აგნოსტიკოსი ან ებრაელი? რა შეიძლება გქონდეს ამის საწინააღმდეგო?"

"რა შეიძლება იმის საწინააღმდეგო მქონდეს, რომ არცერთი ებრაელი არ იყოს ქვეყნად?" ქალმა უნდობლად შეხედა მას. "ამას მეკითხები?"

ანდის ბრაზი მოერია. რას ნიშნავს რაქელის შეკითხვა? როგორც გერმანელს, მას განა უფლება არა აქვს, იფიქროს, ებრაული რწმენა, ისევე, როგორც ყველა სხვა რელიგია ცოცხლობს იმით, რომ

1.**შოფარი** - ჩასაბერი ინსტრუმენტი (საყვირი), რომელსაც სალოცავში წელიწადის მე-12 თვეს ყოველ დღე უკრავენ შაბათის გარდა და რომელიც ახალი წლის მოახლოების პირველი მაცნეა.

2.**იომ კიპური** (განსჯის დღე) - უფლის მიერ ყველა ცოდვის მიტევების დღე.

3.**სუკოთის დღესასწაული** - წელიწადის მე-7 თვეს უფლისათვის მიძღვნილი შვიდი დღე. ამ პერიოდში სასურველია კარვებში ცხოვრება იმ წინაპართა პატივსაცემად, რომლებიც უდაბნოში დაეხეტებოდნენ და კარვებში ცხოვრობდნენ.

არჩევადია და მოკვდება, თუ ეს არ იქნება. რაქელს ჰგონია, ებრაული რელიგია რადაც განსაკუთრებულია? ებრაელობა მართლაც რჩეული ერია?

თითქოს მისი შეკითხვა გაიგონაო, პასუხი არ დააყოვნა ქალმა: "თუ ისე მცირედ გწამს შენი რელიგიის, მისი ამოწყვეტა შეგიძლია დაუშვა, შენი საქმეა. მე მსურს, ჩემი ცოცხლობდეს და ჩემი ოჯახი მასთან ერთად და მასში. დიახ, ჩემი რელიგია განუმეორებლად მიმაჩნია, და ვერ გამიგია შენი გაბრაზება, მე ხომ არავის ვუკრძალავ, თავისი რელიგია ჩათვალოს განუმეორებლად. ასევეა ჩემი ოჯახიც. მაგრამ შეხედე", მარცხენა ხელი დაადო მკლავზე და მარჯვენა წინ გაიშვირა "აქ მთავრდება მანქანით მისასვლელი გზა. მოვედით."

მათ დაათვალიერეს მამულის ახალგოთური მორთულობა შიგნიდან და გარედან, ისეირნეს აყვავებულ ვარდის ბაღში, ისადილეს, ისხდნენ ჰუძონთან და რაზე არ საუბრობდნენ: წიგნებსა და სურათებზე, ბეისბოლსა და ფეხბურთზე, სასკოლო ფორმებსა და სოფლის სახლებზე. ეს იყო თბილი, ინტიმური და მხიარული დღე. უკანა გზაზე ანდის მაინც არ ასვენებდა ფიქრი იმაზე, რამდენად მიუღებლად მიაჩნდა რაქელს მისი და სარას სიყვარული, თუმც ამჯობინა, არაფერი ეკითხა მისთვის.

IV

ანდის ნიუ-იორკში მეგობრები არ ჰყავდა, სარას გაცნობა რომ შეძლებოდა მათთვის და სარამაც ერთხანს დააყოვნა, სანამ თავის მეგობრებს წარუდგენდა მას. ერთად გატარებულ პირველ თვეებში იმდენად ბედნიერები იყვნენ ერთად ყოფნით, იმდენი რამე ჰქონდათ ერთმანეთში და ერთად აღმოსაჩენი, მეგობრებისთვის არც ეცალათ. სეირნობა ცენტრალურ და Riverside პარკში; კინოში, თეატრებში, კონცერტებზე სიარული, საყვარელი ფილმების ვიდეოზე ყურება, სადილის ერთობლივად მომზადება, საუბრები – ერთმანეთისთვისაც კი მეტად ცოტა დრო ჰქონდათ, სხვებისთვის რომ გაეყოთ იგი.

ერთად გატარებულ პირველ ღამეს იმდენხანს დასცქეროდა სარა ანდის, სანამ მან არ ჰკითხა, რა ხდება, რაზე ფიქრობ?

"იმედია, არასდროს შეწყვეტ ჩემთან საუბარს."

"ვითომ რატომ უნდა შევწყვიტო?"

"რადგან ფიქრობ, რომ უკვე იცი, რა ხდება ჩემს თავში და არ გსურს ჩემს შესახებ მეტის ცოდნა. ჩვენ ორი სხვადასხვა

კულტურიდან მოვდივართ, ორ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ, მაშინაც კი, თუ შენი ენიდან კარგად თარგმნი ჩემს ენაზე. ჩვენ ორ სხვადასხვა სამყაროში ვცხოვრობთ და თუ ერთმანეთთან საუბარს შევწყვეტთ, დავკარგავთ ერთმანეთს."

მათ ერთმანეთთან საუბრის სხვადასხვა მანერა ჰქონდათ, ერთი იყო მსუბუქი, ჩქარი და ზოგჯერ დაუფიქრებელი. ამიტომ არ თავდებოდა კორექტურების, წყენის, ბოდიშების გარეშე, თუმც ნალექს არ ტოვებდა გულში. მეორე – ნელი და ფრთხილი. ეს მაშინ, როცა საუბარი მათ განსხვავებულ რელიგიებს - ერთის გერმანულ და მეორის ებრაულ სამყაროს ეხებოდა. სიფრთხილე იყო საჭირო, ეჭვი რომ არ შეპარვოდათ ერთმანეთში. ანდი სიამოვნებით დაჰყვებოდა სარას, სურდა გასცნობოდა მის სამყაროს. შთამბეჭდავი იყო სინაგოგაში სიარული, ხასიდიზმის შესახებ ლექციების მოსმენა, სასიამოვნო სარას მშობლებთან გატარებული საღამოები პარასკევობით. რაც ეუცხოებოდა, საყვარელ ქალს კი არა, საკუთარ თავსაც არ უმხელდა. რაქელთან საუბარიც გულში ჩაიკლა. კარგი იყოო, თქვა, როცა სარამ ლინდჰურსტში ექსკურსიის ამბები გამოჰკითხა და რადგან იქიდან მოყოლებული ანდი და რაქელი თბილად ხვდებოდნენ ერთმანეთს, სარაც კმაყოფილი იყო.

და პირიქით, სარას მოსწონდა გერმანული სიტყვაკაზმული მწერლობა, რომლის თარგმანებითაც ანდი ამარაგებდა, გოეთეს ინსტიტუტში ჩატარებული ღონისძიებები და ღვთისმსახურება Reverside Church-ში.

აპრილში ანდის დაბადების დღე იყო. სარამ მას პატარა ზეიმი მოუწყო: დაუპატიჟა ორი კოლეგა, რომლებთანაც საერთო ოთახი ჰქონდა უნივერსიტეტში, თავისი მეგობრები: ორი პროგრამისტი ქალი, ვიღაც ლექტორი ქმრითურთ, მხატვარი, სურათების რესტავრაციით რომ ირჩენდა თავს, რაქელი და მისი მეუღლე იონათანი და რამდენიმე იმდროინდელი სტუდენტი, როცა კომპიუტერულ მეცნიერებას ასწავლიდა. სალათები მოამზადა და ყველის ნამცხვარი გამოაცხო. "Happy birthday, dear Andi"-ს სიმღერით შეეგებნენ ანდის სტუმრები, რომლებიც თეფშებით და ჭიქებით ხელში იდგნენ ოთახში. განცვიფრებული იუბილარი ყველას უღიმოდა. სარამ ამაყად წარუდგინა იგი მეგობრებს.

საუბარი გერმანიას შეეხო. სარას ერთი ყოფილი სტუდენტთაგანი მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამით ერთი წელი ფრანკფურტში იმყოფებოდა. მას აგიჟებდა გერმანიის მატარებელთა პუნქტუალობა, მოხერხებულობა, სისუფთავე, გერმანული პურ-ფუნთუშეული, ხახვის ღვეზელი, შემწვარი ხორცი მჟავე კომბოსტოთი, აი, ენა კი, ენა ხშირად აღიზიანებდა. გერმანელე-

ბი ლაპარაკობდნენ პოლონურ დომხალსა და ებრაულ ფორიაქზე და თუ ისინი რამეს მოყირჭებამდე აკეთებდნენ, ამბობდნენ, რომ გაზით გაგუდვამდე გავაკეთეო.

"გაზით გაგუდვამდე?"-საუბარში მხატვარი ჩაერთო ანდის შეხედა.

ანდიმ მხრები აიჩეჩა. "წარმოდგენა არა მაქვს, ალბათ მოდის ეს გამოთქმა. ჩემი ვარაუდით იგი უფრო ძველია, ეხება პოლოკოსტი და პირველ მსოფლიო ომიდან უნდა იღებდეს სათავეს ან გაზით თვითმკვლელობას უკავშირდებოდეს. მე ის კარგა ხანია აღარ გამიგონია. დღეს უფრო ხშირად ხმარობენ ყელში ამოსვლამდე, ან გულისრევამდე".

მხატვარი წონასწორობიდან გამოვიდა. "გერმანელები, თუ რამე საკმარისად აქვთ, ამბობენ, გაზით გაგუდვამდე გვაქვსო? თუ ადამიანები ჰყავთ საკმაოდ?"

ანდიმ სიტყვა გააწყვეტინა. "როცა მეტი აღარ შეუძლიათ. ლაპარაკია იმაზე, რომ რაღაცას აკეთებ, რისი გაკეთებაც უკვე აღარ შეგიძლია, რაც ყელში ამოგივიდა. გული გერევა, რადგან მეტის ჭამა აღარ შეგიძლია, გაზით კვდები, რადგან ცხოვრებას ვეღარ უმკლავდები. აქ საკუთარ თავზეა ლაპარაკი და არა იმაზე, სხვას დაუშავო რამე".

"არ ვიცი. მეჩვენება, რომ . . . მხატვარმა თავი გააქნია 'და პოლონური დომხალი? ებრაული ფორიაქი?"

"ეს უწყინარი ეთნიკური ხუმრობებია, რომლის მსგავსი გერმანელთა შორისაც მრავალია. მაგალითად, როცა ისინი ვესტფალურ სიკერპეზე, ან რაინულ ჭკუამხიარულებაზე, პრუსიულ დისციპლინასა და საქსონურ დაუდევრობაზე ლაპარაკობენ. მანქანებზე, რომლებსაც პოლონელები იპარავენ და კონტრაბანდული გზით გადაჰყავთ პოლონეთში, დღეს მთელი ევროპა ხუმრობს. ის აზრზე არ იყო, ლაპარაკობდა თუ არა რომელიმე გერმანელი საქსონურ დაუდევრობაზე, ან ხუმრობდა თუ არა ვინმე პოლონელთა მიერ ავტომანქანების ქურდობაზე. მაგრამ წარმოიდგინა ეს. "ჩვენ ევროპაში მეტად მჭიდროდ ვართ ერთმანეთთან, ბევრად უფრო მჭიდროდ, ვიდრე თქვენ აქ ამერიკაში. ამიტომ უფრო ვქილიკობთ ერთმანეთზე".

ქალბატონი ლექტორი შეეწინააღმდეგა: "მე ვფიქრობ, ზუსტად პირიქითაა, რადგან ამერიკაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ასე მჭიდროდ ცხოვრობენ ერთმანეთთან, ეთნიკური სახის გადაკრული სიტყვები ტაბუა აქ. სხვაგვარად მუდმივი გულისტკენა მოჰყვებოდა ამას."

"რატომ გულისტკენა? ეთნიკური გადაკრული სიტყვები ღვარძლიანი კი არა, გონებამახვილური უნდა იყოს".

კამათში ანდის ერთ-ერთი კოლეგა ჩაერთო: "გონებამახვილურია იგი თუ სასიამოვნო, ღვარძლიანი თუ გულსატკენი, მხოლოდ მან უნდა გადაწყვიტოს, ვისაც ეხება?"

"ეს დამოკიდებულია როგორც მასზე, ვინც ხუმრობს, ასევე იმაზე, ვისკენაცაა ხუმრობა მიმართული", შეუსწორა მეორემ. "მოხსენებები, წინადადებები, ხელშეკრულებები, ნებისმიერი, რაც გინდა, ორივე მხარეზეა დამოკიდებული". კოლეგებმა პროფესიული კამათი გააბეს.

ანდიმ ამოისუნთქა და სარას აუწყა, წვიმიანი ძვიდე დღეს. ერთი წლით შვებულება და სტიპენდია გამიგრძელესო, სარას ბედნიერების ცრემლებით აევსო თვალები, მოეხვია და სტუმრებს უხმო. იყო მხიარული შეძახილები, ჭიქების მიჭახუნება. მხატვარმა და ანდიმ განსაკუთრებული გულითადობით ადღეგრძელეს ერთმანეთი.

"ჩემო ერთგულო პატარა ჯარისკაცო, რატომ იბრძვი იმისთვის, რაც თავადაც არ მიგაჩნია სწორად? შენ ვალდებული არ ხარ, პასუხი აგო ღვარძლიანი ეთნიკური ხუმრობისთვის. გაზით მოგუდვა, ებრაული ფორიაქი – უბრალოდ გულსატკენია", უთხრა სარამ ანდის სალამოს, როცა წვეულებასა და სტუმრებზე საუბრობდნენ.

ანდიმ არ იცოდა, რა ეფიქრა. ახალგაზრდობაში ნანახი, ომის თემაზე შექმნილი ამერიკული და ინგლისური ფილმები გაახსენდა. ხვდებოდა, რომ გერმანელები სამართლიანად იყვნენ ბოროტებად წარმოდგენილი და მაინც გული წყდებოდა. აი, ებრაული ფორიაქის ქვეშ კი რა იგულისხმებოდა, ღვარძლი თუ უწყინარი ხუმრობა, ნამდვილად უცნობი იყო მისთვის.

"გიყვარვარ?"- ჰკითხა სარას საწოლში.

სარა გაიმართა და ხელი დაადო მკერდზე: "ჰო".

"რატომ?"

"იმიტომ რომ საყვარელი და ჭკვიანი ხარ, პატიოსანი, დიდსულოვანი. იმიტომ, რომ ჩემი ერთგული პატარა ჯარისკაცი ხარ და ეს გირთულებს ცხოვრებას. შენ გსურს ყველას ყველაფერი კარგი გაუკეთო და მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეს ართმევ თავს, ყველაფერს ვერ წვდები, აბა, როგორ შეძლებ ამას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცდილობ, და სწორედ ეს მიჩუყებს გულს; მიყვარხარ რადგან იცი, როგორ მოექცე ბავშვებს და ძაღლებს; შენი მწვანე თვალები მიყვარს, შენი წაბლისფერი კულულები; მიყვარხარ, რადგან ჩემს სხეულს შენი სხეული სურს". ხელი მოხვია, ეკოცა და თან წაიჩურჩულა "არა, კი არ სურს, მას ის სჭირდება."

მოგვიანებით სარამ ჰკითხა: "შენ, შენ იცი კი, რატომ გიყვარვარ?"

"დიახ."

"მაშინ მითხარი."

"დიახ." იმდენ ხანს დუმდა ანდი, სარამ გაიფიქრა, ჩაეძინაო.

"ჯერ არ შემხვედრია ქალი, ამდენს რომ ხედავდეს და ასე გულდასმით და მგრძნობიარედ ჭვრეტდეს. ამიტომ მიყვარხარ. მე შენს მზერაში ვარ აღბეჭდილი. მიყვარხარ იმ კომპიუტერული თამაშობებისათვის, რომელთაც იგონებ: დასახარული მოგაქვს სხვებისთვის. საოცარი დედა იქნები. შენ გაქვს ასევე . . . იცი, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, საითკენ მიისწრაფი და რა გჭირდება. მიყვარხარ იმ მყარი ადგილისთვის, სამყაროში რომ დაიმკვიდრე, სილამაზისთვის მიყვარხარ. ხელი გადაუსვა სახის კონტურებზე, თითქოს ოთახში ბნელა და მის სახეს ვერ ხედავსო. შენ ყველაზე შავი, ყორნისფერი თმა გაქვს, რაც კი ოდესმე მინახავს, ყველაზე თავხედური ცხვირი და ამაღელვებელი პირი, ჭკვიანი და ავხორცული ერთსა და იმავე დროს. ყველაფერი ეს მაგიუებს." ჩაეხუტა. "საკმარისია?"

V

მაისში, სემესტრი დამთავრდა თუ არა, სარა და ანდი გერმანიაში გაემგზავრნენ. დიუსელდორფში გარიურაჟზე ჩაფრინდნენ და ჰაიდელბერგისკენ მიმავალ მატარებელში ჩასხდნენ. როცა მატარებელმა რაინი გადალახა და კიოლნს მიაღწია, მზე ამოიწვერა და ტაძარი და მუზეუმი ააბრჭყვიალა.

"რა სილამაზეა", თქვა სარამ.

"ჰო, და წინ უფრო მეტი სილამაზე გველის", ანდის უყვარდა რკინიგზით მგზავრობა რაინის გასწვრივ, მდინარე თავისი ზიგზაგებით, ზოგან წარმტაცი, ზოგან მოშიშვლებული ნაპირი, ვენახები და ტყის ფერდობები, ციხე-სიმაგრეები და პატარ-პატარა ქალაქები, სატვირთო გემები, სწრაფად რომ მიცურავდნენ მდინარის დაღმა და ნელა მდინარის აღმა. უყვარდა ეს მონაკვეთი ზამთარში, როცა დილის სუსხში მდინარის წყალს ორთქლი ასდიოდა და მზე ნისლის გარღვევას ლამობდა, უყვარდა ზაფხულში, როცა ციხე-სიმაგრეები, პატარ-პატარა ქალაქები, მატარებლები და ავტომობილები დღის ნათელ შუქზე განლაგებულ სათამაშო სამყაროსავით მოჩანდა მდინარის შეორე მხრიდან, გაზაფხულზე ყვავილები ახარებდა, ხოლო შემოდგომაზე - წითელ-ყვითელი ფოთლები.

დღე უღრუბლო იყო. ცისფერი ცის და კამკამა ჰაერის ფონზე სარას თვალწინ სათამაშო-გერმანია გადაიშალა. ანდი

მას ყველაფერს ბავშვური გულმოდგინებით უჩვენებდა: ბრიულერის სასახლის ხეივანს, კუნძულ ნონენვერთს, ლორელაის და პფალცგრაფის ციხე-სიმაგრეს კაუბთან . . . როცა მატარებელმა რაინის დაბლობისკენ შეუხვია, სახლში იგრძნო თავი და სევდა შემოაწვა. ვრცელი ვაკე, მთები აღმოსავლეთით და დასავლეთით, წითელი ქვიშის კარიერი, მატარებელი უკვე მანჰაიმიდან ჰაიდელბერგისკენ მიემართება. [illegible] ეკუთვნის და აქ მიჰყავს ახლა სარა. ჰაიდელბერგში, სანამ ტაქსი მდინარის მეორე მხარეს მთას აუყვებოდა, ყველანაირად ართობდა სარას. ტაქსიდან გადმოვიდნენ და ფილოსოფენვეგისკენ გაემართნენ. აი, ახლა კი მან სარას ამაყად წარუდგინა მშობლიური ქალაქი: სასახლე, ძველი ქალაქი, ძველი ხიდი და ნეკარი, გიმნაზია, სადაც სწავლობდა, საკონცერტო დარბაზი. აქ დაუკრა მან სკოლის გამოსაშვებ საღამოზე თანაკლასელთან ერთად კონცერტი ორი ფლეიტისათვის, სტუდენტთა სასადილო, სტუდენტობისას აქ სადილობდა ხოლმე. გაუთავებლად ლაპარაკობდა, სურდა ყველაფერი საინტერესო და ახლობელი გაეხადა მისთვის.

"ძვირფასო, ჩემო ძვირფასო," უთხრა სარამ და თითი დაადო პირზე. "შიში ნუ გაქვს, რომ შენი ქალაქი არ მომეწონება. მე ვუყურებ მას და პატარა ანდის ვხედავ, როგორ მიდის სკოლაში, შემდეგ როგორ მიემართება სტუდენტთა სასადილოსკენ. მე აქაურობა მიყვარს, მე შენ მიყვარხარ".

სახლს მიაღწიეს და ანდის დაც ზუსტად იმ დროს გამოჩნდა თავისი ქმარ-შვილით. ცოტა ხნის შემდეგ ნათესავები და ოჯახის რამდენიმე მეგობარი შემოუერთდათ. ოცი კაცი დაეპატიჟებინათ მშობლებს ქორწინების ორმოცი წლის აღსანიშნავ ზეიმზე, როგორც თვითონ უწოდებდნენ, მარმარილოს ქორწილზე. "რა თავისუფლად უჭირავს სარას თავი ჩემს ოჯახში, რა კარგად ეკონტაქტება ყველას გერმანულის და ინგლისურის მისეული ნაზავით, რა მშვენივრად გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არ უძინია. რა საოცარი ქალი მყავს", ფიქრობდა ანდი.

სადილობამდე სარა და ანდი მამის და სიძის საზოგადოებაში იმყოფებოდნენ.

"საიდან არის თქვენი ოჯახი?" ჰკითხა სარამ მამას.

"ფორსტიდან. ეს დაბლობის მეორე მხარესაა. ოდითგანვე მევენახეები და მედუქნეები ვყოფილვართ. მე პირველი ვარ, ვინც არ გაჰყვა წინაპრების კვალს. სამაგიეროდ, ჩემი ქალიშვილი დაუბრუნდა მევენახეობას".

"ღვინო არ გიყვართ"?

მამას გაეცინა. "რატომაც არა. ღვინოც მიყვარს და მევენახეობაც, მაგრამ სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, სამხედრო სამსახურმა და ომმა მომისწრო. იქ შევამჩნიე, რომ ხელმძღ-

ვანელობის უნარი მქონდა და ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ეკონომიკაში გავაგრძელე საქმიანობა. გარდა ამისა, ჩემი ბიძაშვილი, რომელიც ავადმყოფი ფეხის გამო ომში არ გაუწვევიათ, შვიდი წლის განმავლობაში პატრონობდა ჭენახს და აბა, როგორ წავართმევდი. ისე კი, ძალიან მაკლია. ამიტომაც დავქორწინდი ასე გვიან. ცოლი შემერთო, მასთან ერთად ჩემი ვენახისკენ არ გამეწია და იქ არ მეცხოვრა, ადგილს უბრალოდ წარმოუდგენელი იყო ჩემთვის.

"ომში რითი იყავით დაკავებული"?

"რითი არა. რუსეთში ხელოვნებასთან მქონდა საქმე. კომუნისტებმა ეკლესიები საწყობებად, ბელლებად და საჯინიბოებად გადააქციეს. ჩვენ ნაცრისა და ნაგვის ქვეშ დამარხული არაჩვეულებრივი ხატები, შანდლები და საეკლესიო შესამოსელი გადავარჩინეთ".

"რა ბედი ეწიათ შემდგომში ამ ნივთებს?"

"ჩვენ მათი ინვენტარიზაცია ჩავატარეთ, შევფუთეთ და ბერლინში გავაგზავნეთ. ბერლინში რა უყვეს, არ ვიცი. ორგანიზაციული თვალსაზრისით საინტერესო იყო საფრანგეთი, საიდანაც ხორბლისა და ღვინის მიწოდება მევალებოდა".

"და იტალია?"

"იტალია?"

"ანდიმ ერთხელ ახსენა, რომ საფრანგეთში, რუსეთსა და იტალიაში გიომიათ."

"იტალიაში რაღაც ეკონომიკური აკაშეს მსგავსი ვიყავი მუსოლინის უკანასკნელ მთავრობაში."

ანდი გაოცებული უგდებდა ყურს, "ამდენი ჩემთვის არასოდეს მოგიყოლია ომის შესახებ."

"ასეა საჭირო, მუდამ უნდობლად რომ არ მიყურებდეს სარა". მამის მზერაში მიხვედრილობა და კეთილგანწყობა გამოსჭვივოდა.

ღამით ლოგინში სარამ მამის მიხვედრილ, კეთილგანწყობილ მზერაზე წამოიწყო ლაპარაკი. "კარგად გამოიყურება მამაშენი, დამახასიათებელი თავის ქალათი და მოკლედ შეკრეჭილი თეთრი თმით. მის სახეში გლეხური წარმოშობა, ამ სიტყვის კარგი გაგებით, ინტელიგენტობასთან არის შერწყმული. მაგრამ მისმა მზერამ შემაძრწუნა". . . "საიდან იცის, ებრაელი რომ ვარ. შენ უთხარი?"

"არა, მაგრამ არ ვიცი, ამას გულისხმობდა თუ არა, მუდმივ უნდობლობაზე რომ ლაპარაკობდა. შენი კითხვებიდან ცხადი იყო, პასუხების მიღება გსურდა."

"მაგრამ რა პასუხები მივიღე? რას აკეთებს ეროგვარი გერმანელი ეკონომიკური აკაშე მუსოლინთან, რომელიც მხოლოდ გერმანელთა წყალობით არსებობს?" რას ნიშნავს, საფრანგეთიდან გერმანიაში ხორბლის და ღვინის მიწოდებას

ვხელმძღვანელობდიო? ნადავლზეა ხომ ლაპარაკი, როგორც საფრანგეთში, ასევე რუსეთში, ყაჩაღობასა და ძარცვაზე."

თვით მას რატომ არ ჰკითხეო, უთხრა სარას, თუმცა უხაროდა, მამას რომ არ ჰკითხა, მამამ რომ არ უპასუხა და არც მის ოთახში მოთავსებული ხატები უჩვენა.

"იცი რატომ ელაპარაკობ მის მზერაზე? ძალიან გამოხედვით მითხრა, რომ ჩემს შეკითხვაზე ყოველთვის ექნება პასუხი. ჩემი უნდობლობის გამო ყოველთვის გამამტყუნებელ მდგომარეობაში ჩამაყენებს, თუმც არაფერს მეტყვის".

ანდის მამასთან კამათი გაახსენდა, რომლის დროსაც იგივე გრძნობა დაეუფლა, თუმც ყაჩაღობასა და ძარცვას მას ვერაფრით დააბრალებდა. "მე მჯერა მისი, მჯერა, რომ რუსული ეკლესიის საგანძური განადგურდებოდა, მამას და მის ხალხს რომ არ გადაერჩინა ის."

გვერდზე წამოწოლილმა სარამ ისე ასწია ხელები, თითქოს მნიშვნელოვან შენიშვნას მოუღერაო, მაგრამ ისევ დაუშვა. "შეიძლება ასეც იყო. რა მესაქმება რუსულ ხატებთან, ფრანგულ ღვინოებთან და ხორბალთან, ან მუსოლინის საქმეებთან. და სანამ შენ ისეთი მზერა არ გექნება, როგორიც მამაშენს, დე იცქიროს, როგორც უნდა. დედაშენი საყვარელია, შენი და და მისი შვილებიც მომწონს." დაფიქრდა, "აი, მამაშენი კი ტიპია, ღმერთმა უწყის, ასეა." ანდისკენ გადმობრუნდა. "რა კარგი იყო მატარებლით მგზავრობა! და ხედი მთიდან! ხვალ გავისეირნოთ ფეხით ქალაქში? ახლა კი სიყვარულის დროა, ხომ?"

VI

ბერლინში პირველად შეიპყრო შიშმა ანდი, ვაითუ იმ სამყაროთა სხვადასხვაობამ, რომლებსაც ვეკუთვნით, საფრთხე შეუქმნას ჩვენს სიყვარულსო. მიუნხენსა და ულმში, ბოდენზეზე, შვაცვალდსა და ფრაიბურგში სარა ყველაფერს ყურადღებით და კეთილგანწყობით ათვალიერებდა. მას ბუნება უფრო უყვარდა, ვიდრე ქალაქები და რაინის დაბლობის დათვალიერებისას ისეთივე გრძნობა დაეუფლა ბერგშტრასეს, ორტენაუს და მარკგრაფლანდისადმი, რაც ანდის ჰქონდა მათ მიმართ. ბადენ-ბადენში მთელი დღე გაატარეს. განცალკევებულად შევიდნენ თბილი წყლების აბაზანებში: ანდი მამაკაცების შესასვლელიდან, სარა – ქალების. განცალკევებულად გააცოცხვინეს თავი და განცალკევებულად იდინეს ოფლი ფინურ და რომაულ აბანოებში. ერთმანეთს სვეტებიანი ნაგებობის აუზში შეხვდნენ მაღალი გუმბათის ქვეშ. ანდი პირველი მივიდა

იქ და მოუთმენლად ელოდა სარას. მას ჯერ არასდროს ენახა იგი შიშველი ასე დიდი მანძილიდან მისკენ მიმავალი. რა მშვენიერი იყო – მხრებამდე გრძელი შავი თმა, ნათელი სახე, მრგვალი მხრები, სავსე მკერდი, რბილი თეძოები და ოდნავ მოკლე, მაგრამ ლამაზად ჩამოსხმული ფეხები. რა დიდებულად მოდიოდა – ამაყი საკუთარი სილამაზის შეგრძნებით და ამავე დროს ანდის დაჟინებული მზერით დარცხვენილი. რა მომხიბლავი იყო მისი ღიმილი – დამცინავი, ის ხომ ყოველთვის პოულობდა რაღაც დასაცინს, და ბედნიერი, ანდი რომ აღაფრთოვანა და სიყვარულით აღავსო.

ქალაქებში, რომლებიც მათ მოინახულეს, სარა დასცინოდა გერმანელთა გულითადობას, რომლითაც ისინი მეორე მსოფლიო ომის დროს დანგრეულ ნაგებობებზე მიუთითებდნენ "ომი ორმოცდაათი წელია დამთავრდა. ამაყობთ არა იმით, ბოლოს რომ მაინც ყველაზე მაგრები ხართ ევროპაში" გარეუბნებში მგზავრობისას ხუმრობის ხასიათზე კოპწია თეთრი სახლები აყენებდა, მოვლილი ბაღები და აკურატული ღობეები, სოფლებში – ხარახურის ნაკლებობა. ის, რომ, ამერიკისგან განსხვავებით, პატარა ფერმის წინ ვერსად ნახავდით ჟანგმოკიდებულ მანქანას ან ყაელგასულ დივანს. თქვენთან ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს ეს-ესაა გააკეთესო. საგზაო ნიშნებზე ხუმრობდა, იმ გულმოდგინებაზე, რომლითაც ქუჩები იყო დახაზული. დაშტრიხული სამკუთხედი აქეთ პარკის ზოლის ცხოველთა სასეირნო ადგილზე მიუთითებდა, ხაზი იქით – გზაჯვარედინისკენ შესახვევს იუწყებოდა, გადამკვეთი ხაზები საწინააღმდეგო მოძრაობას. "თქვენს გზებს ტრანსპორტი რომ მოვაშოროთ და ზემოდან გადავულოთ სურათი, ხელოვნების ნიმუში იქნება, ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშით", იცინოდა და ამ სიცილით ანდის აყოლიება სურდა. ანდი ამას ამჩნევდა. მან ისიც იცოდა, რომ დაცინვა სარასთვის სამყაროს აღქმის ერთგვარი ხერხი იყო და ის ნიუ-იორკშიც ასევე დასცინოდა ყველას და ყველაფერს. მაგალითად, დირიჟორს, თუმც შემდეგ აღფრთოვანებული იყო კონცერტით, გულისამაჩუყებელ ფილმს, ცრემლად რომ იღვრებოდა მის გამო და მეორე დღესაც მის გახსენებაზე თვალები უწყლიანდებოდა. მისი პატარა ძმის ბარ-მიცვაზეც ხუმრობდა და ამავე დროს სხვაზე ნაკლებ როდი ღელავდა, როცა დავითი სინაგოგაში სიტყვით წარსდგა ან ტრაპეზისას თორასა და მუსიკის სიყვარულზე ლაპარაკობდა. ეს ყველაფერი იცოდა ანდიმ, მაგრამ მაინც უჭირდა აეტანა მისი ხუმრობა, რომელიც არაფერს ინდობდა. თვითონაც აჰყვებოდა ხოლმე სიცილში, მაგრამ დაჭიმული ლოყის კუნთებით და პირით.

ბერლინში ბიძასთან ცხოვრობდნენ, რომელსაც მემკვიდრეობით ვილა ერგო გრიუნვალდში. ბიძამ მათ ვილის ნაწილი

დაუთმო – პატარა ბინა საძინებლით, მისაღები ოთახით, სამზარეულოთი და აბაზანით. ერთხელ სადილზეც მიიწვია ისინი. ყველაფერი თვითონ მოამზადა და სადღაც წავიდა, მყუდროება არ დაურღვიო ახალგაზრდებსო. საღამოს, სანამ სტუმრები ორანიენბურგში გაემგზავრებოდნენ, სახლის კარებში შეხვდნენ შემთხვევით ერთმანეთს.

"ორანიენბურგში? რა გინდათ ორანიენბურგში?"

"უნდა ვნახოთ, როგორი იყო ის."

"როგორი უნდა იყოს? ისეთია, როგორიც წარმოგიდგენიათ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთი წარმოგიდგენიათ. რამდენიმე წლის წინ ვიყავი აუსშვიტცში, იქ არაფერია სანახავი, სულ არაფერი: რამდენიმე აგურის ყაზარმა, ბალახი და ხეები მათ შორის, სულ ეს არის. სხვა ყველაფერი მხოლოდ თავშია." ბიძია, პენსიონერი მასწავლებელი სარას თანაგრძნობით და რაღაც უცნაურად შესცქეროდა.

"მაშინ სწორედ მას ვნახავთ, რაც ჩვენს თავებშია". ანდის გაეცინა. "შემოქმედებით-თეორიული პრობლემა ხომ არ შევქმნათ ამისგან"?

ბიძამ თავი გააქნია. "რაც უნდა იყოს, ეს ორმოცდაათი წლის წინ მოხდა. ვერ გამიგია, რატომ არ დავანებებთ თავს წარსულს. რატომ არ შეგვიძლია მისი ისევე დავიწყება, როგორც სხვა წარსულის."

"იქნებ ეს განსაკუთრებული წარსულია?" ინგლისურად იკითხა სარამ, რომელსაც, ანდის გასაოცრად, გერმანული საუბარი გაეგო.

"განსაკუთრებული წარსული? ყოველ ჩვენგანს აქვს წარსული, რომელიც მისთვის განსაკუთრებულია და მის გაუთვალისწინებლად იქმნება წარსულები, საერთო და განსაკუთრებული."

"დიახ, ჩემი ნათესავებისთვის გერმანელებმა განსაკუთრებული წარსული შექმნეს." სარამ ცივად შეხედა ანდის ბიძას.

"რასაკვირველია, ეს საშინელება იყო. მაგრამ ამის გამო ადამიანებს ორიენბურგში, დაჰაუსა და ბუჰენვალდში საშინელი აწმყო უნდა ჰქონდეთ? ადამიანებს, რომლებიც ომის დამთავრებიდან დიდი ხნის შემდეგ დაიბადნენ და არავისთვის არაფერი დაუშავებიათ? გავუხსენოთ და მათ დავდოთ ბრალი განსაკუთრებულ წარსულში?" ბიძამ ჯიბიდან გასაღები ამოიღო. "მაგრამ რას იზამ. შენი მეგობარი ამერიკელია და ამერიკელი ტურისტებისთვის ევროპა ცოტა სხვა რამ არის, ვიდრე ჩვენთვის. იტალიურ რესტორანში მიდიხართ არა, იქ კუთხეში? სიამოვნებას გისურვებთ".

სარას ხმა არ ამოუღია, სანამ მაგიდას იპოვნიდნენ და დასხდებოდნენ. "შენ ხომ არ იზიარებ ბიძაშენის აზრს?" ჰკითხა შემდეგ ანდის.

"რომელ აზრს?"

"წარსულს რომ უნდა შევეშვათ. ასეც იქნებოდა, ებრაელები რომ არ ტეხდნენ შფოთს".

"განა შენ ყოველთვის იმას არ ამბობ, ომი ორმოცდაათი წელია დამთავრდაო?"

"და მაინც?"

"არა, მე არ ვიზიარებ ბიძაჩემის აზრს. მაგრამ არც ისე მარტივია ეს ყველაფერი, შენ რომ გგონია."

"რამდენად რთულია იგი?"

ანდის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, სარასთან ეკამათა.

"ამაზე უნდა ვილაპარაკოთ?"

"მხოლოდ ამ კითხვაზე მიპასუხე."

"რაოდენ რთულია იგი? წარსული უნდა გვახსოვდეს, რათა აღარასდროს განმეორდეს, უნდა გვახსოვდეს, პატივი რომ მივაგოთ მსხვერპლთ და მათ შვილებს. ჰოლოკოსტიდან, ისევე, როგორც ომის დამთავრებიდან, ორმოცდაათი წელი გავიდა. მამების და შვილების თაობებმა დანაშაული ჩაიდინეს. შვილიშვილების თაობას ცუდი არაფერი ჩაუდენია. რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის საზღვარგარეთ, ორანიენბურგელი ვარო? ახალგაზრდები ნეონაცისტები ხდებიან, რადგან მობეზრდათ წარსულთან გამკლავება. ყველაფერი ეს სწორ მოპყრობას საჭიროებს, რაც, მე მგონი, არც ისე მარტივია".

სარა დუმდა. ვახშამი შეუკვეთეს. სარა დუმილს განაგრძობდა. ანდიმ შეამჩნია, რომ ის ჩუმად ტიროდა.

"ჩვენს გამო ხომ არ ტირი?" გადაიხარა და მკლავი მოხვია ყელზე.

სარამ თავი გააქნია. "ვიცი, მხოლოდ სიკეთე რომ გალაპარაკებს, მაგრამ ეს სულაც არ არის რთული. სიმართლე მარტივია."

VII

ანდი ვერ ბედავდა ეთქვა, რომ ორანიენბურგში მართლა ყველაფერი ისე დახვდათ, როგორც ბიძამ უწინასწარმეტყველა. რაც ნახეს, არაფერი იყო გულისშემძვრელი. გულისშემძვრელი იყო, რაც თავში ხდებოდა. დიახ, ეს საკმაოდ გულისშემძვრელი იყო. ხმაგაკმენდილები ათვალიერებდნენ ბანაკს. ცოტა ხნის შემდეგ ხელები ჩასჭიდეს ერთმანეთს.

მათთან ერთად ბანაკში სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ, ოცდაათამდე თორმეტი წლის გოგო-ბიჭი. ისინი ისე იქცეოდნენ, როგორც თორმეტი წლისანი იქცევიან ხოლმე, ხმაურობდნენ, ხითხითებდნენ, კისკისებდნენ და ერთმანეთით უფრო იყვნენ გართულნი, ვიდრე იმით, რასაც მასწავლებელი უჩვენებდა

და უხსნიდა. ნანახი მათთვის მხოლოდ მასალა იყო, ერთმანეთზე მოეხდინათ შთაბეჭდილება, დაებნიათ ან გაეცინებინათ ერთმანეთი. ზოგი ზედამხედველს თამაშობდა, ზოგი პატიმარს, ჰოდა, ისმოდა საკნებიდან კვნესა, თითქოს პატიმრებს აწამებდნენ ან წყურვილით კლავდნენ. მასწავლებელი ტყავიდან ძვრებოდა და ჩანდა, რასაც ამბობდა, ბანაკში წამოსვლამდე ეთქვა მოსწავლეებისთვის, მოემზადებინა ისინი ექსკურსიისთვის, მაგრამ ამაოდ.

იმასვე ფიქრობს სარა ჩვენზე, რასაც მე ბავშვებზე? რა უნდა ითქვას იმის საწინააღმდეგოდ, რომ ბავშვები ისე იქცევიან, როგორც ბავშვებს შეეფერებათ და მაინც ვერ შეეძელი ამის ატანა. რა უნდა ითქვას იმის საწინააღმდეგოდ, რომ მამას ომში აღმოაჩნდა ხელმძღვანელობის უნარი, ან ბიძას რომ სიმშვიდე სურს და მე რომ ერთის და მეორე მხრივ განსხვავებულად ვუყურებ სიძნელეებს და ამას მაინც სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს სარა. რას ვიგრძნობდი, ბავშვებს შორის ჩემი საკუთარი შვილი რომ ყოფილიყო?

ანდის უხაროდა, ბიძა რომ არ შემოხვდათ სალამოს. უხაროდა, მეორე დღეს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის დათვალიერება და ახალი შთაბეჭდილებები რომ ელოდათ. ცვლილებების პერიოდში ბერლინში მოუხდა მუშაობა და ახლა სიამოვნებდა მისი კვლავ ხილვა. უხაროდა, რომ ამდენი ძვირფასი რამის ჩვენება შეეძლო საყვარელი ქალისთვის. აი, ნახავ, ხშირად უთქვამს ხოლმე მისთვის, ბერლინი თითქმის ისეთია, როგორც ნიუ-იორკი. მაგრამ იმასაც წარმოიდგენდა, რას ეტყოდა სარა, როცა მშენებლობებს დაათვალიერებდა პოტსდამის მოედანსა და ფრიდრიხშტრასეზე, რაიხსტაგთან ან ნებისმიერ სხვა ადგილას, და თუ არ ეტყოდა, გაიფიქრებდა მაინც. რატომ უნდა იყოს ხვალ ყველაფერი მზად და ისე გამოიყურებოდეს, თითქოს ქალაქს ისტორია არ გააჩნია? თითქოს მას იარები და ჭრილობები არ ჰქონია? რატომ გინდათ ძეგლის წამოჭიმვით თავიდან მოიშოროთ ჰოლოკოსტი? ანდი შეეცდებოდა აეხსნა და ყოველივე, რასაც იტყოდა, არც სისულელე იქნებოდა და არც სიყალბე, მაგრამ სარასთვის მაინც უცხო და მიუღებელი.

არსებობს მხოლოდ ან-ან? ან კაცი ხარ, ან ქალი, ან ბავშვი, ან ზრდასრული? ან გერმანელი, ან ამერიკელი, ან ქრისტიანი, ან ებრაელი? სიტყვებს არანაირი აზრი არა აქვს, რადგან ის თუმც გვეხმარება, გავუგოთ სხვას, მაგრამ არა, ავიტანოთ იგი, გადამწყვეტი კი ატანაა და არა გაგება? რაც ატანას შეეხება, იტანენ მხოლოდ მათივე მსგავსთ? ბუნებრივია, ეგუები განსხვავებულობას, და, ალბათ, ამას თავს ვერ დავაღწევთ, მაგრამ გარკვეული ჩარჩოები უნდა იყოს დაცული? შეიძლება კარგად გრძნობდე თავს, როცა ჩვენს სხვადასხვაობას ძირითადად ეჭვის თვალით ვუყურებთ?

დაუსვა თუ არა შეკითხვა თავის თავს, შეშინდა ანდი, მხოლოდ მათივე მსგავსს იტანენ? ეს რასიზმი, შოვინიზმი ან რელიგიური ფანატიზმი ხომ არ არის? ბავშვები და ზრდას-

რულები, გერმანელები და ამერიკელები, ქრისტიანები და ებრაელები როგორ ვერ უნდა იტანდნენ ერთმანეთს? ისინი იტანენ ერთმანეთს ყველგან მსოფლიოში, ყოველ შემთხვევაში, ყველგან, სადაც მსოფლიო ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ანდის ისევ უტრიალებდა კითხვები თავში. იქნებ იმიტომ იტანენ ერთმანეთს, რომ ან ერთნი ან მეორენი ხელს აიღებენ იმაზე, რაც არიან. ბავშვები ზრდასრულნი ხდებიან, გერმანელები ამერიკელებად, ხოლო ებრაელები ქრისტიანებად მოექცევიან. იქ ხომ არ იწყება რასიზმი ან რელიგიური ფანატიზმი, სადაც ამის შესასრულებლად მზად არ არიან? ვარ კი მე მზად, სარას გამო ამერიკელი გავხდე ან ებრაელი?

მომდევნო დღე ისეთი იყო, როგორიც ანდის წარმოედგინა. სარა ყველაფერს ინტერესით ათვალიერებდა. განცვიფრებული და აღფრთოვანებული იყო მ'შენებლობებით პოტსდამის მოედანზე, ფრიდრიხშტრასეზე, რაიხსტაგის განახლებული მიდამოებით, თუმც ანდის წყლულებსა და იარებზეც ეკითხებოდა – რატომ ვერ შეძლო ქალაქმა მისი შენარჩუნება, რას ისახავს მიზნად დაგეგმილი ჰოლოკოსტის ძეგლი? რატომ არ შეუძლიათ გერმანელებს ქაოსის ატანა და ნაციონალ-სოციალიზმის სისუფთავისა და წესრიგის ილუზიაში ხომ არ ჰპოვა გერმანულმა ხასიათმა ნორმალური არა, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად დამახასიათებელი გამოხატულება? ანდის არ უყვარდა სარას კითხვები. გარკვეული პერიოდის შემდეგ კიდევ უფრო ნაკლებად საკუთარი პასუხები უყვარდა. ველარ იტანდა აწონილ-დაწონილ, დიფერენცირებულ მსჯავრს, შეხედულებებს, რომელთაც დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. კაცმა რომ თქვას, სარა მართალი იყო. ანდისაც არ ეხატებოდა გულზე ეს პომპეზურობა, ეს სიჩქარე, რომლითაც შენდებოდა ყველაფერი. მაშ რატომ იკლავდა თავს იმაზე, რისი თავადაც არ სწამდა. ბიძის ნათქვამი რატომ გაიხადა რთული განსჯის საგნად, ნაცვლად იმისა, უბრალოდ რომ ეთქვა, ეს საწყენი და აღმაშფოთებელია.

სალამოს თეატრში გაემგზავრნენ ბახის h – Moll-მესაზე. სარა არ იცნობდა ამ ნაწარმოებს. ანდის ეშინოდა არა მარტო იმ შიშით, ყოველთვის რომ გეშინია ხოლმე, როცა მას , ვისზეც შეყვარებული ხარ, საყვარელ წიგნებს ან საყვარელ მუსიკას უზიარებ. ეშინოდა, სარას მუსიკა მეტისმეტად ქრისტიანული და გერმანული არ მოჩვენებოდა და შთაბეჭდილება არ შექმნოდა, საკონცერტო დარბაზში კი არა, ეკლესიაში ვარო და ამის გამო მოტყუებულად არ ეგრძნო თავი, არ ეფიქრა, ანდის სურს მისი ეკლესიური, ქრისტიანული და გერმანული სამყარო შემომაპაროსო. ანდი სიამოვნებით ისაუბრებდა ყოველივე ამის თაობაზე სარასთან, მაგრამ ამისიც ეშინოდა. მაშინ უნდა აეხსნა, რატომ უყვარდა ასე ეს მუსიკა, ამის ახსნას კი ვერ შეძლებდა. Incarnatus est, crucifixus, passus et sepultus est et resurrexit

- ტექსტი არაფერს ეუბნებოდა, ტექსტზე შექმნილი მუსიკა კი აღელვებდა და ბედნიერებას ანიჭებდა ისე, როგორც თითქმის არცერთი სხვა. თუ იგი ამას სარას აღუწერდა, არ იფიქრებდა ქალი, ჩვენი გაუცხოება უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე აქამდე შეიმჩნეოდა, მას ღრმად გაუდგამს ანდიში ფესვები, ისე, რომ ვერ აცნობიერებს და ვერც მისი ახსნა შეუძლია.

როცა ისინი მეტროდან ამოვიდნენ, გვიანი შუის მსუბუქი შუქი ეფინა ჟანდარმერმარკეტს. ტაძრები და თეატრი, მოკრძალებულ, თითქოს უფრო და სამერთიანი სხვა, უკეთეს ბერლინზე იუწყებოდა. რადგან მაღაზიები უკვე დაეკეტათ, შეყვარებული წყვილები კი ჯერ არსად ჩანდნენ, სიცარიელე და სიჩუმე იყო, თითქოს ქალაქს სუნთქვა შეუკრავსო. "ოჰ", აღმოხდა სარას და შეჩერდა.

საგალობლის დროს ირგვლივ მიმოიხედა სარამ. შემდეგ თვალები დახუჭა. ცოტა ხნის შემდეგ ანდის მოჰკიდა ხელი, დასასრულისთვის კი თავი დაადო მხარზე. Et expecto resurrectionem mortuorum- "დიახ", წაუჩურჩულა ანდის. თითქოს მასთან ერთად ელოდა მკვდრების აღდგომას და ორივეს აღდგომას ყველა იმ სიძნელიდან, რომელშიც კვლავ და კვლავ გაეხვეოდნენ ხოლმე.

VIII

მეორე დღეს ნიუ-იორკში გაფრინდნენ. სამი კვირის განმავლობაში მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ და ამასთანავე ზოგჯერ ისეთი შინაურული, ურთიერთნდობით სავსე თანაცხოვრებით, იფიქრებდი, ყოველთვის ასე იყო, ასე უნდა იყოს და ასე დარჩესო. არასდროს ყოფილა გრძნობა უფრო ძლიერი, ვიდრე უკან დაბრუნებისას. ორივემ იცოდა, რამდენი სიმშვიდე სჭირდებოდა მეორეს, სიახლოვის რა დოზით ტკბობა, რომელი პატარა ჟესტი ან მიმართვა კმაროდა სიხარულის მისანიჭებლად. ფრენისას ფილმს უჩვენებდნენ. მის თაობაზე წაკამათდნენ. მშვენიერი იყო კამათის რიტუალიც ისეთ საგანზე, რომელსაც აფეთქება არ მოჰყვებოდა.

ანდიმ ღამე სარასთან გაატარა. ისეთი დაღლილები იყვნენ, სიყვარულის თავი არ ჰქონდათ. მაგრამ დაძინებისას სარამ ასოზე მოჰკიდა ხელი. მის ხელში ასო გამაგრდა, შემდეგ ისევ დარბილდა და ანდიმ შინ იგრძნო თავი.

ზაფხული იყო. . . Chinatown-სა და Little Italy-ში, Village-ში, Times Square-სა და Lincoln Square-სთან მანჰეტენზე ბევრად მეტი ხალხი ირეოდა, ვიდრე სხვა დროს. კოლუმბიის უნივერსიტეტის მიდამოებში კი, სადაც სარა და ანდი ცხოვრობდნენ, სი-

ხალვათე იგრძნობოდა. ტურისტები აქ იშვიათად მოდიოდნენ, სტუდენტები და პროფესორები კი ქალაქში აღარ იმყოფებოდნენ. დახუთული დღეები იდგა. ქუჩაში ორი ნაბიჯის გადადგმა საკმარისი იყო, სხეულზე ტანსაცმელი შემოგვცოდა. საღამოობით და ღამღამობით ოდნავ უფრო გრილოდა, მაგრამ თბილი, ნესტიანი ჰაერი ის მსუბუქი ელემენტი იყო, რომელსაც ვერ გრძნობ. მჭიდრო და მძიმე, იგი ნაზი გრძნობით ეწინააღმდეგებოდა შენს სხეულს. ანდისთვის გაუგებარი იყო, როგორ შეეძლოთ ნიუ-იორკელებს აქაურობა მიეტოვებინათ და ეს საღამოები და ღამეები არ განეცადათ. რადგან ბიუროში კონდენციონერის ხმაურს და ხუხუნს ვერ იტანდა, პარკში მერხზე მუშაობდა გვიან საღამომდე. წიგნსა და რვეულებს ჯიბის ნათურა უნათებდა. შემდეგ სარასთან მიეშურებოდა ფარანი, მისდამი სიყვარულით, სამუშაოთი, ჰაერით და ასფალტზე შუქების ბრჭყვიალით ფრთაშესხმული. ჰაერი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა, სიმსუბუქეს მატებდა სხეულს, მისი სხეულის სიმძიმე ჰაერისას შეესაბამებოდა და ანდის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მჩატე, ფართო ნაბიჯებით ცის იკანკლედზე მიფარფატებდა.

ანდი კმაყოფილი იქნებოდა, საღამოთი სარასთან ერთად ბევრი ლაპარაკის გარეშე რომ ესეირნა, ან ბროდვეიზე რესტორნის წინ მჯდარიყო მაგიდასთან, თუგინდ ფილმი ენახა კინოთეატრში ან ვიდეოზე. მაგრამ სარას, ისედაც მასზე სიტყვაუხვს, განსაკუთრებით კომპიუტერთან განმარტოების შემდეგ ჰქონდა ლაპარაკის მოთხოვნილება: სურდა მოესმინა, რა წაიკითხა ანდიმ, რა დაწერა, და, რა თქმა უნდა, საკუთარ წარმატებებზეც მოეხსენებინა კომპიუტერულ თამაშობებთან დაკავშირებით, გაეზიარებინა აზრები, დაპროგრამებისას უხვად რომ მოსდიოდა თავში. ანდის კი, როცა მთლიანად იყო კონცენტრირებული თავის სამუშაოზე, სხვა არაფერზე შეეძლო არც ფიქრი და არც ლაპარაკი. სამუშაოზე ლაპარაკი კი არ სურდა, რადგან ერთხელ ჩხუბამდე მივიდა საქმე.

ანდის ნაშრომი ეხებოდა ამერიკის უტოპისტთა პროექტებს, რომლებშიც მათი შეხედულებები იყო წარმოდგენილი სამართლებრივ-საზოგადოებრივ წყობაზე. ვისზე არ იყო აქ ლაპარაკი: რეპერებზე, მორმონებზე, წვრილ გლეხობაზე, სოციალისტებზე, ვეგეტარიანელებსა და თავისუფალი სიყვარულის მომხრეებზე. ანდის მეტად საინტერესოდ მიაჩნდა არჩეული თემა, უტოპისტთა პროგრამების გაცნობა, მათ წერილებში, დღიურებსა და მოგონებებში ქექვა, გაყვითლებული გაზეთებიდან ინფორმაციის მოძიება, როგორ მიიღო ისინი გარესამ-

ყარომ. მას ზოგჯერ გულს უჩუყებდა უტოპიური პროექტები – კოლექტიური დონკიხოტობის განსახიერებად მიაჩნდა იგი. ზოგჯერ ეჩვენებოდა, უტოპისტებმა წინასწარ იცოდნენ თავიანთი პროექტების უშედეგობა და მხოლოდ ჰეროიკული ნიჰილიზმისთვის სურდათ მიეცათ კოლექტიური ორიგინალური იდეების სახეო, ზოგჯერ უდროოდ დაბრძენებულ ბავშვებად ესახებოდა ისინი, სატირად საზოგადოებაზე. [illegible] ანდიმ სარას თავის თემაზე მოუთხრო და ისიც უთხრა, როგორი მოხიბლულია სამუშაოთი, ქალი ერთხანს დაფიქრდა, შემდეგ კი იკითხა: "ეს გერმანულია, არა?"

"ამერიკულ უტოპისტთა პროექტების თემაა?"

"უტოპიით აღფრთოვანება, ქაოსის კოსმოსად გარდაქმნით, სრულყოფილი წესრიგით, სუფთა საზოგადოებით მოხიბლვა. ალბათ, ამაოებითაც. თქვენს ერთ-ერთ თქმულებაზე არ მიყვებოდი, ნიბელუნგებზე, ჰო, ნიბელუნგებზე, ბოლოს ყველა ერთად ჰეროიკულად და ნიჰილისტურად იღუპავს თავსო?"

ანდი არგუმენტებს კი არ ისმენდა, არამედ თავდასხმას იგერიებდა. "მაგრამ ათასჯერ მეტი ამერიკული ლიტერატურაა ამ თემაზე შექმნილი, რაც კოლექტიურ თვითმკვლელობას შეეხება, ამერიკელებმა თავის Little Big Horn-ით და ებრაელებმა მოსადით ნაკლებ როდი წარმოგვიდგინეს იგი, ვიდრე გერმანელებმა".

ასეა, აქვთ მათ, მაგრამ ნიბელუნგები ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი თქმულებაა, გითქვამს ჩემთვის. Little Big Horn- ი და მოსადი მხოლოდ ეპიზოდებია. გამოცემათა რაოდენობას კი მნიშვნელობა არა აქვს. მე ვიცნობ ამერიკულ ლიტერატურას ისე, რომ არ წამიკითხავს იგი. ეს ისტორიებია ამ უტოპიურ ექსპერიმენტებზე და იმ ადამიანებზე, მათ ოჯახებზე, საქმიანობაზე, სიხარულსა და ტკივილზე, ისტორიები, რომლებიც აღმაფრენით და თანაგრძნობით არის დაწერილი. გერმანული ლიტერატურა საქმიანი და საფუძვლიანია. იგი ქმნის კატეგორიებს და სისტემებს და გზნება, რომელიც მასში იგრძნობა, გვამის მეცნიერული კვეთის გზნებაა."

ანდიმ თავი გააქნია. "ეს სხვადასხვა მეცნიერული სტილია. ის ანეგდოტი იცი, ფრანგმა, ინგლისელმა, რუსმა და გერმანელმა სპილოზე მეცნიერული ნაშრომები რომ წარმოადგინეს? ფრანგი წერდა: L' elephant et ses amours№; ინგლისელი - How to shoot an elephantI, რუსი. . ."

"არავითარი სურვილი არ მაქვს შენს სულელურ ანეგდოტს ვუსმინო". სარა წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

1.სპილო და მისი სასიყვარულო ამბები.

2.როგორ მოვინადიროთ სპილო

ანდის ესმოდა, როგორი მკვეთრი მოძრაობით გამოალო ჭურჭლის სარეცხი მანქანა, გამოიღო ჭიქები და თეფშები, ჩხარუნით დაყარა მაგიდაზე დანა-ჩანგალი. შემდეგ კარებში გაჩერდა: "არ მიყვარს, მე რომ სერიოზულად გელაპარაკები და შენ დამცინი. საქმე ლიტერატურულ სტილში როდია. როცა მეცნიერებით არ ხარ დაკავებული და უბრალოდ ჩემ მეგობრებს, ოჯახის წევრებს ესაუბრები, თანაგრძნობას კი არ გამოხატავ, ყოველშემთხვევაში არა, როგორც ჩვენ გვესმის თანაგრძნობა, არამედ ანალიზურ, გვამის კვეთის ცნობისმოყვარეობას. ეს არ არის ცუდი. შენ ასეთი ხარ და ასეთი გვიყვარხარ. სხვა შემთხვევაში თანაგრძნობით სავსე ხარ. მხოლოდ საუბარში. . ."

"იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ შენი მეგობრებისა და ოჯახის წევრების დამოკიდებულება ჩემდამი თანაგრძნობაა? ეს საუკეთესო შემთხვევაში ცნობისმოყვარეობაა და ამასთანავე აბსოლუტურად ზედაპირული. მე. . ."

"ყველაფერს ნუ დაანგრევ ანდი. ჩემიანები გიღებენ ცნობისმოყვარეობით და თანაგრძნობით, როგორც შენ მათ, და ყველაფერი, რაც გითხარი. . ."

"უპირველეს ყოვლისა, ისინი მიღებენ წინასწარშექმნილი უარყოფითი შეხედულებით. მათ ყველაფერი იციან გერმანელების შესახებ, მაშასადამე, ჩემს შესახებ და მეტი აღარ აინტერესებთ".

"ჩვენ არ გვაინტერესებ შენ, ისევე, როგორც შენ გაინტერესებთ ჩვენ? რატომ გვაქვს ხშირად ისეთი გრძნობა, თითქოს თითის წვერებით გვეხები? ასეთი სიცივე მხოლოდ გერმანელებისგან მოდის". იგი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

"რამდენ გერმანელს იცნობ"? ანდიმ იცოდა, რომ მისი მშვიდი და ხმააწეული ტონი სარას აღიზიანებდა, მაგრამ თავს ვერ იკავებდა.

"საკმაოდ, და მათ, ვინც სიამოვნებით გავიცანით, დაემატნენ ისინი, რომლებიც ჯობდა არ გაგვეცნო, მაგრამ უნდა გაგვეცნო". სარა მოშორებით იდგა. დოინჯი შემოეყარა და გამომწვევად იცქირებოდა.

რაზე ლაპარაკობდა სარა? ვის ადარებდა ანდის? ვის ცივ, სასტიკ, გვამის გამკვეთ, ანალიზურ ცნობისმოყვარეობას. ანდიმ თავი გადააქნია. არ სურდა, ეკითხა, რას გულისხმობდა სარა. არაფრის თქმა და არაფრის მოსმენა არ სურდა, მხოლოდ სიმშვიდე სურდა, ყველაზე მეტად სარასთან ერთად, მაგრამ ერჩია მის გარეშე, ვიდრე სულ არა; "ვწუხვარ". ფეხსაცმელები ჩაიცვა. "ხვალ დავუკავშირდეთ ერთმანეთს. ახლა სახლში წავალ". იგი შეჩერდა. სარამ თითქოს ყველაფერი გააკეთა, ის რომ წასულიყო. ანდიმ გადაწყვიტა, აღარასოდეს ელაპარაკა თავის სამუშაოზე.

IX

ასე სულ უფრო და უფრო ანაწევრებდა ანდი თავის სიყვარულს. საჩოთირო იყო ლაპარაკი გერმანიაზე, ებრაელზე, გერმანელებზე, ებრაელებზე, სარას სამუშაოზე. რადგან იქიდან საუბარი აუცილებლად მივიდოდა მის სამუშაომდე. ანდი მიეჩვია, ცენზურაში გაეტარებინა სათქმელი: არ გაემხილა თავისი კრიტიკული შთაბეჭდილებები ნიუ-იორკის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეზე, არ ეხსენებინა სარას მეგობრების მცდარი და უტიფარი გამონათქვამები გერმანიისა და ევროპის შესახებ. სალაპარაკო სხვაც ბევრი მოიძებნებოდა და იყო ერთობლივი გამოსასვლელი დღეების ინტიმურობა, ერთად გატარებული ღამეების ვნება.

ანდი ისე მიეჩვია საკუთარი შეხედულებების ცენზურას, ველარც კი აღიქვამდა მას. ტკბებოდა სარასთან ყოფნით, რომელიც სულ უფრო ადვილი და მშვენიერი ეჩვენებოდა და ხარობდა სტიპენდიის და მივლინების გაგრძელებით. გასულ შემოდგომას და ზამთარს ახალჩამოსული იყო ქალაქში და ხშირად მარტოსულად გრძნობდა თავს, შემდეგი შემოდგომა და ზამთარი ბედნიერებას ჰპირდებოდა. სანამ ერთმა სულელურმა შემთხვევამ ყველაფერი ისევ არ დაანგრია. სარას ყველა პულოვერი და წინდა გამოხეული ჰქონდა, რასაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ერთხელ ანდიმ მიანიშნა გახეულ ტანსაცმელზე, თუმც მიხვდა, რომ თავადაც არ უნდა მიექცია ამისთვის ყურადღება, მაგრამ ერთ საღამოს, როცა კინოთეატრში მიდიოდნენ, სარამ ტანსაცმელი გამოიცვალა და აღმოჩნდა, რომ პულოვერი ორივე იღლიაში, ხოლო წინდა ორივე ქუსლთან გამოხეული ჰქონდა, გაეცინა და სარას გამოხეული ადგილები დაანახა.

"რა ნახე ამაში სასაცილო?"

"დაივიწყე."

"უბრალოდ მითხარი, რა არის ამაში ისეთი საინტერესო და სასაცილო, რომ შენი ყურადღება მიიპყრო და სიცილის გუნებაზე დაგაყენა."

"მე . . . მე უნდა . . . " რამდენიმეჯერ წამოიწყო ანდიმ. "ჩვენთან ასე იქცევიან. თუ ვინმეს ტანსაცმელზე ნახვრეტი ან ლაქა შენიშნეს, ეუბნებიან, ფიქრობენ, რომ იგი აღარ ჩაიცვამს დალაქულ და დახეულ ტანსაცმელს და მოხარულია, რომ ეს იცის . . . იგი აღარ ჩაიცვამს მას."

"აჰა, საინტერესო ასპექტია. სასაცილო რაღაა?"

"ღმერთო ჩემო, სარა, ოთხი ნახვრეტი ერთდროულად. მე ეს სასაცილოდ მივიჩნიე."

"გახეული ტანსაცმელი მაშინაც სასაცილოა, თუ ადამიანი იმდენს ვერ შოულობს, რომ ტანსაცმელს საჭირო ყურადღება მიაქციოს?"

"გახეულის დაკემსვას არც ფული სჭირდება, დარეცხვა-დოქრობა. ამას მეც ვაკეთებ."

"შენ საერთოდ წესრიგი გიყვარს."

ანდიმ მხრები აიჩეჩა

"ტინა გეტყოდა, შენში ნაცისტი ზისო". ანდი მხოლოდ წამიერად გაყუჩდა, "ვწუხვარ, მაგრამ ამის მოსმენა აღარ შემიძლია. ნაცისტი ჩემში, გერმანელი ჩემში . . . ამის მოსმენა აღარ შემიძლია".

სარა გაოგნებული შესცქეროდა მას. "რა მოხდა? რატომ რეაგირებ ასე მწვავედ? ეიცი, რომ ნაცისტი არ ხარ და არც იმის საწინააღმდეგო მაქვს არაფერი, გერმანელი რომ ხარ. ტინამ რაც უნდა ის თქვას."

"ეს მარტო ტინა როდია, ნაცისტს რომ ეძებს და პოულობს ჩემში. შენი დანარჩენი მეგობრებიც ასე იქცევიან. და რას ნიშნავს, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, გერმანელი რომ ხარო? როგორ მოიქცეოდი, ასე დიდსულოვნებას რომ არ იჩენდე ჩემს მიმართ?"

სარამ თავი გააქნია. "არაფერი გვაქვს შენი საწინააღმდეგო არც მე და არც ჩემს მეგობრებს. კარგად იცი, რომ მათ უყვარხარ. ტინას ეთანთან და ჩვენთან ერთად უნდა ზღვაზე წამოსვლა. როგორ გგონია, ისურვებდა ამას, ნაცისტად რომ მიაჩნდე? ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრა გიწევს, თავის თავს ეკითხებიან, რამდენად გერმანელი ხარ, რა არის შენში გერმანული და კარგია თუ არა ეს, რაც შენთვის ახალი არ უნდა იყოს".

"შენც გაინტერესებს ეს?"

სარას მზერაში ახლა განცვიფრება და სიყვარული გამოსჭვივოდა: "ჩემო ძვირფასო, კარგად იცი, რა სიამოვნებას მანიჭებს ის მუსიკა და წიგნები, შენ რომ გიყვარს. რა ბედნიერი ვიყავი შენთან ერთად გერმანიაში მოგზაურობისას. მიყვარხარ ყველაფერ იმით, რა მშვენიერიც ჩემს ცხოვრებაში შემოიტანე, იმითაც, რაც მასში გერმანულია. აღარ გახსოვს რა თავდავიწყებით მიყვარდი უკვე სამი დღის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ხარ."

"ვერ ხვდები, რა მაწუხებს?"

შეშფოთებულმა სარამ თავი გააქნია.

"როგორ იგრძნობდი თავს, რომ მეთქვა, მიყვარხარ, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი ხარო: ჩემს მეგობრებს ებრაელი

რომ ეძებნათ შენში, ჩემი ებრაელებთან ურთიერთობა რომ არ ეხატებოდეთ გულზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, უყვარდე? არ მიგაჩნია ეს ანტისემიტურ ჭკუასუსტობად? და რატომ არის ძნელი იმის გაგება, რომ ასევე ჭკუასუსტობად მიმაჩნია წინასწარშექმნილი ანტიგერმანული შეხედულება. როცა მე ქალისგან, რომელიც მიყვარს და მისი მეგობრებისგან. . .“

“როგორ ბედავ შედარებას.“ სარა კანკალებდა განრისხებისგან. ‘ანტისემიტიზმი. . . ებრაელებს არავისთვის არაფერი დაუშავებიათ. გერმანელებმა ექვსი მილიონი ებრაელი გაჟლიტეს. გასაკვირია, რომ ვილაცას ეს აფიქრებს, როცა რომელიმე თქვენგანთან აქვს საქმე? ასეთი მიამიტი ხარ, თუ უგრძნობი, საკუთარ თავზე შეყვარებული? ერთი წელია ნიუ-იორკში ცხოვრობ და გინდა მითხრა, არ ვიცი, ჰოლოკოსტი რომ მოსვენებას არ აძლევს ადამიანებსო?“

“რა საერთო მაქვს. . .“

“რა საერთო გაქვს ჰოლოკოსტთან? გერმანელი ხარ. მაშასადამე, გაქვს საერთო. აი რა აფიქრებს ადამიანებს, მაშინაც კი, თუ მეტად თავაზიანები არიან, შენ რომ გაგრძნობინონ ეს, მეტად თავაზიანები, და, გარდა ამისა, არ გაგრძნობინებენ, რადგან ჰგონიათ, თავადაც გესმის ყველაფერი, რაც იმას როდი ნიშნავს, რომ შანსს არ გიტოვებენ“.

ტახტის ბოლოებში ისხდნენ, ერთმანეთის მოპირდაპირედ. სარა ფეხმორთხმული და ანდისკენ მთლიანად მიბრუნებული, ანდი იატაკზე ფეხებჩამოშვებული და მხოლოდ თავით და მხრებით მისკენ მიტრიალებული. ანდი ტახტის შალითას ეხვამდა ხელს, ასწორებდა ნაოჭებს, ისევ ანაოჭებდა, ტალღებისა და ვარსკვლავთა ფორმას აძლევდა მათ. როცა ტახტს შეეშვა და თავი ასწია, ჯერ თვალებში ჩახედა სარას, შემდეგ ხელებზე დააცქერდა, რომლებიც კალთაში ეწყო ერთმანეთზე გადაჭდობილი. “არ ვიცი, გავუძლებ თუ არა ამას. მოვწონდე, ვუყვარდე, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ვარ. ჩემმა შედარებამ ანტისემიტიზმთან განგარისხა. მეტად დაღლილი ვარ, სხვა რაღაცა რომ მომივიდეს აზრად, თან მეტად დაბნეული. არ გსურს, გამიგო. დაბნეული ვარ, რადგან იმად კი არ მიღებენ, ვინც ვარ, არამედ როგორც რაღაც აბსტრაქტულს, კონსტრუქტს, ქმნილებას, წინასწარ გამომუშავებული უარყოფითი შეხედულებით და გამამართლებელი მტკიცებულებების შანსით, თუმც ტვირთითაც. არა, მე ამას ვერ გავუძლებ.“

სარა სევდიანი თვალებით შესცქეროდა მას. “როცა განგება ვინმეს შეგვახვედრებს, როგორ უნდა დავივიწყოთ, რა ვიცით მის სამყაროსა და ადამიანებზე, რომლებისგანაც არის იგი წარმოშობილი და რომელთა შორის ცხოვრობს? წინათ ვფიქრობდი, რომ ლაპარაკი ტიპიურ ამერიკელზე, იტალიელზე ან ირანელზე შოვინისტურია. მაგრამ ნამდვილად არსებობს ტიპიური და უმრავლესობაში იგი ჩადებულია.“ სარამ ხელი

დაადო ხელზე, რომლითაც ანდი კვლავ ტახტის შალითით იყო დაკავებული. დაბნეული ხარ? უნდა გესმოდეს, რომ ჩემი მეგობრები, ჩემი ოჯახი ასევე დაბნეულია იმით, რაც გერმანელებმა ჩაიდინეს და თავის თავს ეკითხებიან, რა არის ამაში ტიპიური გერმანული და აქედან რა დევს ამ ფუ, იმ გერმანელში, მათ შორის, შენ'ში. მაგრამ შენი გამოჯანმრთელება სურთ."

"როგორ არა, ტინას სურს ეს და დანარჩენებსაც. თქვენი წინასწარ შექმნილი ნეგატიური შეხედულება ისეთივეა, როგორც ყველა წინასწარ შექმნილი ნეგატიური შეხედულება. მას რაღაცით ჭეშმარიტებასთან აქვს საერთო, რაღაცით შიშთან და რაღაცით ცხოვრებას აადვილებს, როგორც ყველა ყუთი და უჯრა, რომელშიც სხვას გამოამწყვდევ. ყოველთვის იპოვნით ისეთ რამეს ჩემში, რაც თქვენს მიერ წინასწარ გამოტანილ შეხედულებას განამტკიცებს: ხან როგორ ვფიქრობ, ხან როგორ ვიცვამ, ახლა კიდევ როგორ შევამჩნიე შენს ტანსაცმელზე ხვრელები".

სარა წამოდგა, მივიდა მასთან, ჩაიმუხლა მის წინ და თავი ჩაუდო კალთა'ში. "მსურს შევეცადო, ნაკლებად გხედავდე ჩემი კულტურის ფონთან, რომლის შესახებ შენი გამონათქვამები ხანდახან. . ." იგი სიტყვებს ეძებდა, დაპირისპირება რომ აღარ გაეგრძელებინა. ". . . გამაღიზიანებელია, არამედ უფრო შენს ფონთან და მე მინდა შენი ფონი უკეთ გავიცნო".

"ძვირფასო, ჩემო ძვირფასო, – ანდი დაიხარა, თავი დაადო თავზე და მკლავები მხრებზე მოხვია, – ვწუხვარ, რომ სასტიკი გავხდი." სარას სასიამოვნო სურნელი ასდიოდა. რა კარგი იყო მისი შეხება, რა კარგი იქნებოდა ახლა სიყვარული. მოპირდაპირე სახლის განათებულ ფანჯრებში იცქირებოდა. ხედავდა, როგორ მოძრაობდნენ, საუბრობდნენ, ტელევიზორს უყურებდნენ ადამიანები. წარმოიდგინა, რას დაინახავდნენ მოპირდაპირე სახლიდან შეყვარებულები, რომლებიც წაიჩხუბნენ და შერიგდნენ. შეყვარებული წყვილი.

X

როდის უნდა აღიარო, რომ ჩხუბი მხოლოდ ჩხუბი არ არის, რომ ის არც ჭექა-ქუხილია, რომლის შემდეგ მზე გამოანათებს და არც წვიმიანი წლის დრო, რომელსაც გამოდარება მოსდევს, არამედ ნორმალური ცუდი ამინდი. შერიგება არაფერს წყვეტს, არაფერს აგვარებს, ის ქანცგაწყვეტის მანიშნებელია მხოლოდ და მოკლე ან უფრო ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩხუბი კვლავ გრძელდება?

"არა, იმშვიდებდა თავს ანდი, ვაჭარბებ. ზოგჯერ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვიტანთ და ვჩხუბობთ, მაგრამ ვრიგდებით და ისევ ვიტანთ ერთმანეთს. ორნი, რომელთაც ერთმანეთი უყვართ, ხან უკეთ იტანენ ერთმანეთს, ხან უფრო ცუდად, ხან საერთოდ ვერ იტანენ. ეს ასეა. რამდენჯერ შეიძლება ჩხუბი, ამის ნორმა ჯერ არავის დაუწესებია. ისედაც, ლაპარაკი იმაზე კი არ არის, იტანენ თუ არა, არამედ ეგუებიან თუ არა ერთმანეთს. ეგუები იმიტომ, რომ მისნაირი ხარ და ვერ ეგუები იმიტომ, რომ მისნაირი არ ხარ. დათმობ, რაც ერთს მეორისგან გაშორებს, თუ ვერ დათმობ.

ყველა უტოპია მოქცევით იწყება. ადამიანები ემშვიდობებიან თავიანთ ძველ რელიგიებს, რწმენას, ცხოვრების წესს და უტოპიურ პროექტებში იწყებენ რადაც ახალს. გამოთხოვება საკუთარ თავთან – ეს არის მოქცევა და არა ცის ქუხილი, მკვდრეთით აღდგომა, ექსტაზი ან მსგავსი აბდაუბდა. თუმცა უიმისობაც არ იქნება. ანდის აოცებდა, რომ უტოპიური პროექტებისკენ მოქცევა უმეტესად საღი, დაფიქრებული ცხოვრებისეული გადაწყვეტილება იყო და, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილება იმ ქალებისა და მამაკაცებისა, რომელთაც თავი შესწირეს უტოპიურ პროექტებს. ეს იყო სიყვარული, სურვილი ერთად ყოფნისა, შეუძლებლობა, ერთსა და იმავე დროს იცხოვრო ნორმალურ და უტოპიურ სამყაროში, ეს იყო უკეთესი ცხოვრების შანსი ბავშვებისათვის, შანსი პროფესიული და ეკონომიკური წარმატებისა ერთი მათგანისათვის. არ კმაროდა მეორის უტოპიური აღფრთოვანების გაგება, არ კმაროდა ამ აღფრთოვანების გაზიარება, საჭირო იყო ნორმალური სამყაროს დათმობა, რომელიც ერთს მეორისგან აშორებდა.

ერთ დღეს ბიუროში მისულმა ანდიმ კოლეგებს ჰკითხა: "ზრდასრული კაცი თუ იუდეველთა რჯულზე მოექცევა და წინადაცვეთილი არ არის, უნდა ჩაიტაროს ეს პროცედურა?"

ერთი კოლეგა წელში გასწორდა და სკამის ზურგს მიეყრდნო. "მართალია, რომ ევროპელები წინადაცვეთილები არ არიან?"

მეორეს წიგნიდან თავი არ აუღია, ისე გამოეპასუხა ანდის: "დიახ, აუცილებელია. აბრამი ოთხმოცდათხუთმეტი წლის იყო, როცა წინადაიცვითა. მაგრამ სარწმუნოების მიმდებმა თავად არ უნდა ჩაიტაროს ეს პროცესი, მოელი გააკეთებს ამას".

"ექიმია"?

"არა, ექიმი არ არის, თუმც თავისი საქმის სპეციალისტია. ზემოთა ჩუჩის აცლას, ქვემოთას ჩამოჭრას, ასოდან კანის გადაწევას და ჭრილობიდან სისხლის გამოწოვას ექიმი არ სჭირდება".

ანდი ფეხებს ეცა და ასოზე წაიკლო ხელი, თითქოს მის დაცვას ცდილობსო. "ანესთეზიის გარეშე"?

"ანესთეზიის გარეშეო? მიუბრუნდა კოლეგა ანდის. რა საშინელებას გვწამებ. არა, მოზრდილთა წინადაცვეთა ანესთეზიის ქვეშ მიმდინარეობს. იცნობ უტოპისტთა ებრაულ საზოგადოებას, რომელთაც წინადაცვეთაზე უარი დაქვეს? მე-19 საუკუნეში ზოგიერთ ებრაელს მისი მოდიფიცირება ან სულაც გაუქმება სურდა".

ანდი დაინტერესდა კოლეგის ცოდნის წყაროთი. [illegible] იტყო, რომ რაბინის შვილს ესაუბრებოდა. დამატებითი ინფორმაციაც მოიპოვა მისგან: თუ რჯულის შემცველი წინადაცვეთილი იქნებოდა, მას ერთგვარი სიმბოლური წინდაცვეთა ჩაუტარდებოდა მხოლოდ. "რაც უკვე მოჭრილია, ველარ მოჭრი, მაგრამ მთლად რიტუალის გარეშეც არ გამოვა".

ანდისთვის აშკარა შეიქმნა – რიტუალის გარეშე არ გამოვა. მაგრამ მან წარმოიდგინა რიტუალი, როცა ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ მოელი ზემო ჩუჩას გადაგიხსნის, ქვემოთას წაგაჭრის, ასოდან კანს გადაგიწევს და ჭრილობიდან სისხლს გამოგიწოვს, როცა შიშველი დგახარ იმის წინაშე, ვისთანაც არაფერი გაკავშირებს, არც სიყვარული, არც პაციენტის სიახლოვე ექიმთან, არც მეგობრის ნდობა მეგობრისადმი, როცა გაშიშვლებულ ასოზე ხელს გიფათურებენ, გიწვალებენ, გიჯიჯგნიან მას, შენ კი შარვალჩახდილი ან უშარვლოდ, წინდებში არამარტო მოელის, არამედ რაბინის, რომელიმე უხუცესის, მოწმის და ნათლიის დაწესებულებაში ელოდები რიტუალის დასასრულს, როცა ამასობაში ანესთეზიის მოქმედება გაივლის, სქლად გადახვეული, შარვალში ჩატენილი ასო ტკივილს დაგიწყებს, შენი წაჭრილი სისხლიანი ჩუჩა კი რიტუალურ თასში განისვენებს. არა, ამისთვის ის მზად არ არის. თუ წინადაცვეთაა, მაშინ ეს მან თავად უნდა მოაგვაროს ისე, რომ არც უხერხული იყოს მისთვის და არც მტკივნეული. და თუ ებრაელი გახდება, მხოლოდ უკვე წინადაცვეთილი.

ანდი ფიქრობდა ნათლობაზე, მონაზვნებსა და რეკრუტებზე, რომელთაც თავებს ხოტრიდნენ, დასვირინგებულ ესეს - ჯარისკაცებზე და საკონცენტრაციო ბანაკთა ტყვეებზე, დადგულ საქონელზე. თმა გაიზრდება, სვირინგების მოცილება შეიძლება. თუ ნათლობისას ჩაგაყურყუმალავებენ წყალში, ისევე შეგიძლია ამოყვინთო, როგორც ჩაყვინთვისას. რა რელიგიაა ის რელიგია, რომელსაც რჯულის მიღების სიმბოლიკა არ აკმაყოფილებს და სამუდამო კვალს ტოვებს სხეულზე. რომელსაც გონებამ შეიძლება ულალატოს, მაგრამ სხეული სამუდამოდ ინარჩუნებს ერთგულებას?

XI

ამასვე ეკითხებოდა მეგობარი ქირურგი, რომელიც ანდიმ ჰაიდელბერგში ჩასვლისთანავე მოინახულა: "რა გესაქმება იმ

რელიგიასთან, ურთიერთობის დასაწყისშივე ასოს მოჭრას რომ მოითხოვს შენგან“?

“მხოლოდ ჩუჩაზეა ლაპარაკი“.

“ვიცი, მაგრამ დანა რომ ამისხლტეს“?

“ნუ იკრიჭები. ქალი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ. ჩვენი სხვადასხვა სამყაროები ხელს გვიშლის ამაში, ჰოდა, გადავდივარ ჩემი სამყაროდან მისაში“.

“ასე უბრალოდ“?

“გერმანელები ამერიკელები ხდებიან, პროტესტანტები – კათოლიკეები, სინაგოგაში ზანგი გავიცანი, ებრაელია, მანამდე ადვენტისტი იყო. როგორი ქრისტიანიც ვარ, რწმენისა და ლოცვის გარეშე, ისეთი ებრაელიც შემიძლია ვიყო. ეკლესიაში ფიქრებში ვარ ჩაფლული, რატომ ვერ უნდა გავაკეთო იგივე სინაგოგაში? ლიტურგია იქ ნაკლებ ლამაზი როდია. . . რაც ოჯახურ რიტუალებს შეეხება, ოჯახური რიტუალები აქ, სახლში მაკლდა და რა მაქვს საწინააღმდეგო, მეტი თუ მექნება“.

მეგობარი თავს აქნევდა.

“ასეა, ან შენ გახდები ჩემნაირი, ან მე შენნაირი. მხოლოდ მისნაირებს იტანენ“.

იტალიურ რესტორანში ისხდნენ, იქ, სადაც სტუდენტობისას ხვდებოდნენ ყოველთვის ერთმანეთს. მიმტანებს შორის ერთი-ორი ახალი სახე, კედლებზე რამდენიმე ახალი სურათი შენიშნეს. სხვა მხრივ არაფერი შეცვლილიყო. როგორც მაშინ, ანდიმ სალათა, ბოლონეზე და წითელი ღვინო შეუკვეთა, მისმა მეგობარმა – წვნიანი, პიცა და ლუდი. მეგობარს ახლაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ უფრო საღად მოაზროვნე და პრაგმატული იყო და ამიტომ პასუხისმგებლობაც მეტი ეკისრებოდა, როგორც საერთოდ საღად და პრაგმატულად მოაზროვნეებს რომანტიკოსებთან და უტოპისტებთან ურთიერთობაში. წლების მანძილზე რა იდეები არ მოსდიოდა ანდის თავში.

“ქალი, რომელიც შენგან მოითხოვს. . .“

“სარა ჩემგან არაფერს მოითხოვს. მან არ იცის, წინადაცვეთა რომ გადავწყვიტე და ამიტომ ვარ აქ. ყრილობაზე მოხსენებით გამოვდივარ – მეთქი, ვუთხარი“.

“ასე იყოს, რად გინდა ქალი, რომელთანაც გულახდილი საუბარი არ შეგიძლია“.

“გულახდილობას საერთო ნიადაგი სჭირდება. დადგები თუ არა საერთო ნიადაგზე, ეს სალაპარაკო კი არა, გადასაწყვეტია“.

მეგობარმა ისევ გააქნია თავი. “წარმოიდგინე, შენს საყვარელს რომ ეფიქრა, ბავშვი, რომელსაც შენგან ელოდება, არ გსურდა და შენს დაუკითხავად მუცელი მოეშალა, გამწარდებოდი“?

“დიახ, რადგან ის მე რაღაცას წამართმევდა. სარას არაფერს ვართმევ, პირიქით, რაღაცას ვაძლევ“.

"ეს შენ არ იცი. იქნებ მას შენი ჩუჩა უყვარს, იქნებ სულ არ იზიარებს შენს სასაცილო თეორიას და შენთან ცხოვრება სწორედ იმიტომ სურს, რომ მისნაირი კი არ ხარ, არამედ სხვანაირი. იქნებ ის სულ არ ალიქვამს თქვენ ჩხუბს ისევ სერიოზულად, როგორც შენ, იქნებ მას სიამოვნებს კიდეც ჩხუბი"?

ანდი დამწუხრებული შესცქეროდა მას: "ბოლოდ: იმას ვაკეთებ, რაც მართებულად მიმაჩნია. შენ სასაცილოდ გეჩვენება ჩემი თეორია. მე ვხედავ საითკენ მივისწრაფი, ვხედავ ისტორიაში, აწმყოში, დიდსა და მცირეში და მწამს, რომ არ ვცდები".

"არ გიფიქრია იმაზე, რომ გადაწყვეტილებაში, რომელთანაც შენმა თეორიამ მიგიყვანა, სიცრუეა"?

"როგორ"?

"სარას გამო გსურს ებრაელი გახდე, მაგრამ იმას, რაც ებრაელად გახდომას სჭირდება, ცდილობ თაღლითობით აარიდო თავი. ზედმეტად უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდე. ზედმეტად არ გეტკინოს. ახლა ვხვდები, რატომ მოიგონეს ებრაელებმა წინადაცვეთა. მათ არ სურთ ლაჩრები, ჩვრები, რომლებიც. . ." ქილიკობდა მეგობარი.

ანდის გაეცინა. "მათ არ სურთ წინდაუცვეთელი ლაჩრები, სულ ეს არის. ამიტომ მსურს ჩემი სილაჩრე მომაჭრა. გააკეთებ ამას"?

მეგობარსაც გაეცინა 'წარმოიდგინე. . ."

სტუდენტობის პერიოდშიც ასე კამათობდნენ: წარმოიდგინე, შენი მეგობარი ტერორისტია, ძებნილი და გთხოვს, დამალო. წარმოიდგინე, შენს მეგობარს თავის მოკვლა გადაუწყვეტია, პარალიზებულია და შენი დახმარება სჭირდება. წარმოიდგინე, შენმა მეგობარმა ალიარა, რომ შენს ქალთან იწვა. წარმოიდგინე, შენმა მეგობარმა, როგორც მხატვარმა, წარმატებას მიაღწია, ეტყვი, რომ მისი სურათები არაფრად არ ვარგა? ეტყვი, რომ ცოლი ღალატობს? გააფრთხილებ, რომ თავს იღუპავს, თუ იგი ამავე დროს რაღაც კარგსაც აკეთებს"?

"მალე შენ ყველაფერ ამისგან განთავისუფლებას მოისურვებ"?

"მალე მე ნიუ-იორკში გაფრენას და სარასთან ყოფნას მოვისურვებ".

"მაშინ ხვალ შუადღისას მოდი. მოკლე ანესთეზიას გაგიკეთებ და როცა გამოიღვიძებ, ჭრილობა ძაფით გექნება ამოკერილი, ძაფის ამოძრობა საჭირო არაა, შიგნიდან გაიწოვება და გარედან ჩამოეარდება. დროდადრო მალამოიან სახვევს გამოვცვლით. სამი დღის შემდეგ გამოჯამრთელებული იქნები".

"ეგ რას ნიშნავს"?

"ნიშნავს, რომ ასო მოგირჩება, სხვას რას".

XII

ოპერაცია არ გაძნელებია, ასატანი იყო პოსტოპერაციული ტკივილებიც, რომელმაც სამი დღის შემდეგ საერთოდ გაუარა. მაგრამ ანდის მუდმივად ახსენებდა თავს ასევე, როგორც მისი ნაწილი, დაშავებული და საფრთხეში მყოფი ნაწილი. ახსენებდა და საერთოდ, ყოველი მოძრაობისას და შეხებისას. მოკლედ, ის მისგან მუდმივ ყურადღებას მოითხოვდა...

ანდი მშობლიურ ქალაქში იმყოფებოდა, სადაც გაიზარდა, ნიუ-იორკში წასვლამდე მუშაობდა და სადაც, ალბათ, უკანდაბრუნებული მუშაობას გააგრძელებდა. მშობლებთან ცხოვრობდა. მათ ძალიან ახარებდა ვაჟიშვილის მათთან ყოფნა, თუმც მაინცდამაინც თვალში არ ეჩხირებოდნენ. ანდი ხვდებოდა კოლეგებს და მეგობრებს, რომლებთანაც საუბარს იქიდან აგრძელებდა, სადაც ამერიკაში წასვლამდე შეწყვიტა. ზოგჯერ ყოფილი შეყვარებული, თანაკლასელი ან მასწავლებელი შემოხვდებოდა. მათ არ იცოდნენ, თითქმის ერთი წელი რომ არ იმყოფებოდა ჰაიდელბურგში და მალე ისევ უწევდა მისი დატოვება და ჩვეულებრივ ესალმებოდნენ. ანდის ისე უნდა ეგრძნო თავი მშობლიურ ქალაქში, როგორც თევზს წყალში, მაგრამ ხელმოცარულის, უცხო ქვეყანაში გადმოხვეწილის განცდა ჰქონდა, თითქოს ეს ქალაქი და მიწა მთებს, მდინარესა და დაბლობს შორის მოქცეული, მისი სამშობლო არ ყოფილიყო. ქუჩები, სადაც დააბიჯებდა, მოგონებებით იყო სავსე: აი, სარდაფის ფანჯარა, რომლის წინ, ტროტუარზე მეგობარს კენჭობანას ეთამაშებოდა; ველოსიპედის ფარდული, ამ სახურავის ქვეშ წვიმაში თავშეფარებულები ის და მისი პირველი შეყვარებული ერთმანეთს კოცნიდნენ; სკოლაში ველოსიპედით მიმავალი ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ტრამვაის ლიანდაგზე გადავიდა და წაიქცა; პარკში გალავნის უკან დედა კვირა დღეს აკვარელით ბუნების ხატვაში ავარჯიშებდა. . . მას შეეძლო მოგონების ფუნჯით ქალაქი გარდასული ბედნიერების, იმედისა და სევდის ფერებში მოეხატა, მაგრამ ადრინდელივით, სურათში ველარ ჩაეწერებოდა. თუ ამის გაკეთებას მოისურვებდა, თუ მოგონებას მოუხმობდა, რათა წარსულს და აწმყოს ერთ მთლიანობაში ეცხოვრა, რაც სამშობლოს ნიშნავს, ყოველი მოძრაობა, უნებური შეხება საფულესთან ან გასაღების

შეკვრასთან შარვლის ჯიბეში სულ სხვა რამეს შეახსენებდა – წინადაცვეთას და კითხვას: ვის ეკუთვნოდა? სად იყო მისი ადგილი?

ნიუ-იორკში? კეჰილათ-იეჰურუნ-სინაგოგაში? სარასთან? ყოველდღე ურეკავდა სარას, ნაშუადღევს,როცა იქ ჯერ ადრიანი დილა იყო და სარა ან ლოგინში იწვა, ან ს

XIII

ატლანტის ოკეანეზე თვითმფრინავიც ნეიტრალური ზონაა. სვამ, ჭამ, გძინავს, ფხიზლობ, უსაქმურად ხარ თუ მუშაობ, ყველაფერი, რასაც აკეთებ, მხოლოდ ავია შესაძლებლობაა, სანამ თვითმფრინავი მიწაზე არ დაეშვება. როცა სიმაღლეს, დასვენებას და შესრულებულ სამუშაოს მიწაზე ჩამოიტან, მაშინ იქცევა იგი რეალობად. ანდის არ გაუკვირდებოდა, თვითმფრინავი რომ ჩამოვარდნილიყო.

ნიუ-იორკის აეროპორტის გრილი შენობიდან გასული ჩახუთულ, ცხელ ჰაერში აღმოჩნდა. გნიასი იყო. მანქანები ჩქარობდნენ, წინ მიიწევდნენ, იჭედებოდნენ, ტაქსები პიპინებდნენ. დისპეტჩერი ტაქსებსა და რიგში მდგომებს შორის სასტვენით დარბოდა და წესრიგის დამყარებას ცდილობდა. ანდი სარას ეძებდა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, აქ არ იქნებოდა. ვერ დაგხვდები, ნიუ-იორკში აეროპორტში საერთოდ არავინ არავის ხვდებაო. ტაქსში დაცხა, როცა ფანჯარა დაკეტა და დაუბერა, როცა გამოაღო. დაიჭირე ტაქსი და გამოქანდი ჩემთან, რაც შეიძლება ჩქარაო. ტაქსი რომ ვერ ეშოვნა? ვერ გაეგო, რატომ უნდა მისულიყო, რაც შეიძლება ჩქარა. რა მოხდება, ერთი საათით გვიან თუ მივა, სამი ან შვიდი საათით? თუგინდ ერთი დღით? ერთი კვირით?

სარას ყვავილები ეყიდა, წითელი და ყვითელი ვარდების თაიგული, შამპანური ჩაეცივებინა, ახალი ლოგინი დაეგო. მოკლესახელოებიან მამაკაცის პერანგში, რომელიც უკანალამდე ძვლივს წვდებოდა, მაცდუნებლად გამოიყურებოდა. აკი აცდუნა კიდეც, სანამ ანდი შეშინებას მოასწრებდა. ეს ხომ პირველად იყო წინადაცვეთის შემდეგ და ეშინოდა, ვაითუ რამე არასწორად ან ცუდად გამომივიდეს, ან საერთოდ ვერ შევძლოო. "I missed you", ესმოდა სარას ხმა "I missed you so much",

სარას არ შეუმჩნევია მისი წინადაცვეთა არა მარტო მაშინ, როცა იწვნენ, მერეც, როცა შიშველი წამოდგა, შამპანური გახსნა, ჭიქებში ჩამოასხა და საწოლთან მიუტანა, არც მაშინ, შხაპის ქვეშ რომ იდგნენ ერთად. სავახშმოდ წავიდნენ, იქიდან კინოში, გალაპლაპებული ასფალტით ბრუნდებოდნენ სახლში. ანდის ესმოდა სარას ხმა, გრძნობდა მის სუნს, ეხებოდა მის თეძოებს. ხელი მოხვია. უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს? უფრო ეკუთვნის სარას სამყაროს, ამ ქალაქს, ამ ქვეყანას?

სარა სამხრეთ აფრიკაში აპირებდა გამგზავრებას შემკვეთთან ერთად. იქნებ შენც წამოხვიდეო, შესთავაზა ანდის ვახშმობისას. ეწუხვარ, რომ ვერ შეეძლებ აპარტეიდის სამხრეთ აფრიკას ვეწვიო და ვიხილო სამყარო, რომლის თანამედროვე ვიყავი და რომელიც სამუდამოდ წარსულს ჩაბარდაო, - სინანუ-

ლი გამოთქვა ანდიმ. სარამ ანდის გახედა. ანდი მიხვდა, რა გაიფიქრა ქალმა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ ეს უკვე სულერთი გამხდარიყო მისთვის. აღარ იყო ძველებური გულისწყრომა, სურვილი შეწინააღმდეგების, შეკამათების. სარას არაფერი უთქვამს.

დაძინების წინ ერთმანეთის პირისპირ იწვნენ. სარას სახეს ლამპიონის შუქი დაჰნათოდა.

"იცი, მე წინადაცვეთილი ვარ," – თქვა ანდიმ.

"შეენ, . . . ო, არა, არა." – ასოზე წაავლო ხელი, – "გამაგიჟებ! რატომ მეუბნები ახლა ამას?"

"ისე, უბრალოდ".

"მე მეგონა, არ იყავი წინადაცვეთილი, მაგრამ თუ ხარ. . . თქვენთან ეს არ არის ისე მიღებული, როგორც ჩვენთან, ხომ სწორია?"

ანდიმ თავი დაუქნია.

"წინათ მინდოდა მცოდნოდა, როგორ იგრძნობდა ჩემში თავს წინადაუცვეთელი მამაკაცი, სხვაგვარად, უკეთ თუ უარესად. მეგობარი მეუბნებოდა, არავითარი განსხვავება არ არსებობსო, არ ვიცოდი, დამეჯერებინა თუ არა მისი ნათქვამი. ბოლოს ვიფიქრე, წინადაუცვეთელი კაცისგან ბევრს ვერაფერს მიიღებ, რადგან სხვა გრძნობა, თუკი ის საერთოდ არსებობს, ვინ იცის, რას ეფუძნება-მეთქი. რა სხვანაირები არიან როცა ეხები წინადაცვეთილი კაცები! და რა კარგია შენი შეხება"! – ანდის ჩაეხუტა.

ანდიმ თავი დაუქნია.

მეორე დილას ოთხ საათზე გაეღვიძა. ძილის გაგრძელება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ოკეანის გაღმა, მასთან, ახლა ათი საათია და ნათელი დღე. წამოდგა, ჩაიცვა. აპარტამენტის კარი გააღო, ფეხსაცმელი და ბარგი დერეფანში გადგა, გავიდა და უხმოდ გაიხურა კარი.

ფრანგული პოეზია

თარგმანი ეძღვნება
გივი ორაგველიძის ნათელ ხსოვნას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ

თარგმნა **რენე კალანდიამ**

რობერ დესნოსი

ქ ა ლ ა ქ ი

ქალაქში, სადაც თვით ეშმაკსაც
გამოიჭერენ და რქებით დაითრევენ,
ქალაქში, თითქმის დახურულსა და კარლიაში,
ქალაქში, სადაც შეიძლება ყელაფრის ყიდვა და გადაყიდვა,
ქალაქში, თუნდაც უსახლკაროსთვის ხანაგისა და ბუნაგში
კუთხის გარეშე,
ქალაქში, თვით რწმენისა და კანონის გარეშე,
ქალაქში, სადაც არ არსებობს სულის და ხორცის ნათესაობა.

ქალაქში, სადაც უამრავი გასართობია – თავშესაქცევარი,
ქალაქში, სადაც მარად ტირიან გულგამყინავი ცრემლებით,
ქალაქში, სადაც თვით საათიც კი ადარ რეკავს თორმეტ საათზე
მე არ ვიცი, თუ რა ხდება ახლა,
თუნდაც იმიტომ, რომ არ ვყოფილვარ იმ ქალაქში,
ჯერ კიდევ ვერ ჩამიღწევია...

1930.

ბ ა მ ო ღ ვ ი ძ ე ბ ა

უცნაურია: ზოგჯერ უცებ გამოიღვიძებ შუადამისას,
ძილი გაგიკრთო დაკაკუნებამ...
და, როდესაც მიაყურადებ, გაიგონებ, რომ

ძილ-ღვიძილის და მოგონებათა
განსაცვიფრებელ ღამის ქალაქში
შემოსასვლელ კარებს მძიმედ ანუ თითქმის უხეშად აჯახუნებენ.
ვინ არის იგი, ეს ღამეული სტუმარი – ასე უცნობი სახით?
ნეტავ, რას ეძებს? რას დარაჯობს შუადამისას?
რას უთვალთვალებს გაშტერებული?
იქნებ საბრალო მათხოვარია, რომელიც ღამის გასათევ კუთხეს
ან თუნდაც პურის ყუას ითხოვს – ცრემლმორეული?
იქნება, სულაც ქურდბაცაცაა ან ფრინველი – გზააბნეული?
ანდა ჩვენი ანარეკლია ძველ სარკეში,
ჩვენი სახე – ამოსულა? – დაბრუნებულა ნისლიანი უფსკრულებიდან,
რათა ისევ შეაღწიოს ჩვენს სულში და გაგვიჯდეს გვამში?
და ეს სახე უეცრად ხედავს,
რომ ჩვენ უკვე გამოვიცვალეთ
და ჩვენი არსის საიდუმლო კარის ვიწრო ჭუჭრუტანაში
რომ არ ტრიალებს გასაღები უწინდებურად.

რა დაემართა?
სად დაწანწალებს?
იქნება, სულაც ავად გახდა?
განა ასე
არ იბადებიან მოჩვენებანი?
სიზმრები?
თუნდაც სინანულები?
გთხოვ, ღამეულო სტუმარო, არ დააკაკუნო ჩემს კარებზე!
მათ უკვე არ აქვთ ადგილი, კუთხეც
არა აქვთ სახლსა და გულში,
იმ ძველთაძველ, ჩამქრალ სახეებს უკვე შორეულ წარსულისა.
იქნება, შენ კიდეც მიცნობ, აბა, რა ვიცი?
მე კი, ნამდვილად არ გიცნობ შენ.

1930.

დილის ხუთ საათზე

ხოჭიალი.
დილის ხუთი საათი.
აქ – უკაცრიელ ქუჩაში ისმის
ყრუ ხმაური, ხმა მსხვრევისა,
უცებ გავარდნილ მანქანისა.
დამსხვრეულია საქარე მინა
და ნამსხვრევები ნაკადულშია.
სისხლის გუბეა ქვაფენილზე და
ჯერაც თბილია სისხლი.
ბოლის რგოლი ჰაერში იშლება.
ეჰეი, ადამიანებო! –
გამოიღვიძეთ, რა დროს ძილია?!
მითხარით, ნეტავ, რა მოხდა აქ.
მინდა ვიცოდე, მინდა გავიგო,
საქციელი ადამიანთა.

1936.

1 9 3 6

კარზე დააკაკუნე
აღარ გიპასუხებენ
ისევ დააკაკუნე
არ გაგიღებს არავინ
კარი მხრით ჩამოიღე და
დაინახავ მაშინ
რომ გზა თავისუფალია
სახლიც თავისუფალია
რომ ამ სახლში შესაძლოა
შესვლა ძალზე ადვილად
სწორედ ასეა ხშირად
სიყვარულში, ცხოვრებაშიც
მაგრამ არა ყოველთვის.

გ ზ ა ჯ ვ ა რ ე დ ი ნ ი

მოხვედით? – ამ გზაჯვარედინზე თქვენ შეგიპყრობთ მოგონებანი,
გარდასულ ჟამის შეხვედრებზე, განშორებებზე,
და უცნაურ, თან სასაცილო და საშინლად
მნიშვნელოვან ისტორიებზე,
რომლებიც აქ ოდესღაც მომხდარა.
ხედავთ? – არარა არ შეცვლილა.
ისევ ვიტრინა აფთიაქისა – მწვანეა და ნარინჯისფერიც
ურევია ალაგ-ალაგ,
და ჭიქურით დაფარულია ჭრელი ბარების ფირნიშები,
ისევ იგივე სიმღერა ნასვამ გამვლელისა,
ირგვლივ იგივე სახლებია,
შავად მბზინავი ქვაფენილიც ისევ და ისევ იგივეა,
ტროტუარებიც არ გამოცვლილან,
იგივეა გუმბათი ზეცის.
და მაინც, რომ შეჩერდები,
თანაც სწორედ აქ – ამ ადგილას – გაშეშებული:
უეცრად რწმენას მოიპოვებ საკუთარი ძალების და
ცის ნათელი შემოვა შენში –
აშრიალდება სურნელება გარდასული სიყვარულისა,
დაკარგულად რომ გეჩვენებოდა –
ნისლიან ვერასოდეს'ში.

1937.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲠᲝ

აქ – ცისქვე'შეთ'ში არაფერი არ ჰგავს ისე 'მთაგონებას,
როგორც ზარხოში გაზაფხულის დილისა და
ლტოლვა მარადი – ჟინი – ვნება ქალისადმი – დაუოკები.

მინდა გადვიქცე თითოეულ გამვლელად, რათა
ამ მიწაზე სიამოვნებით გადაეფდგა მტკიცე ნაბიჯები
და გაშლილ მკერდით ჩავისუნთქო სუფთა ჰაერი.

მე დღეს ვუმღერი არა იმას, რაც დარჩა ნიადაგ გადასალახი,
არამედ იმას, რაც შეგვრჩა და უნდა დავიცვათ:
თუნდაც სიცოცხლის სიხარული,
შუმი ღვინო, რომელსაც ლაღად სვამ მეგობრებთან,
სიყვარული
და კერიის ნაღვერდალი შუა ზამთარში,
ზაფხულში კი – მდინარისპირა სიგრილე,
ცხელი პური მაგიდაზე,
სიმღერა – გზას რომ გვიმსუბუქებს,
ლოგინი, სადაც შეგიძლია წაიძინო,
მოატყუო თვალი დროებით,
ყოველგვარი მოულოდნელი გამოღვიძების გარეშე.
შიშის გარეშე –
ხვალინდელი დღის წინაშე,
მერმისის წინაშე.
თავისუფლად ეხეტებოდე ამ სამყაროში,
შეინარჩუნო ღირსების გრძნობა,
და კიდევ უამრავი სხვა რამ,
რაზედაც ხშირად
არ მიუწვდება ნებისმიერ ადამიანს
ცოდვილი ხელი.

ფრანგული ბიბლიოთეკა

მე ძლიერ მიყვარს და ვუმღერი გაზაფხულს და მის ყვავილობას,
მე ძლიერ მიყვარს და ვუმღერი ზაფხულს – უხეი ნაყოფის დედას,
მე ძლიერ მიყვარს და ვუმღერი დიად სიხარულს სიცოცხლისა და,
მე ძლიერ მიყვარს და ვუმღერი ზაფხულს – დროს –
საოცრებას წელიწადისა,
როდესაც პირველად ვიხილე სამყარო.

1938.

შან მარსენაკი

რაც არ უნდა მოხდეს

მე დავიფიცე ცაზე ღრუბლებით
მე ფიცი დავდე აწ დახოცილთა წინაშე მასში
მე დავიფიცე მზით და გონებით
მე დავიფიცე ჭექა-ქუხილის მრისხანე და მსხვილი საფანტით
მე დავიფიცე მასში გამხმარი მარტოხელა ხის წინაშე

და საწყალ ხეზე შერჩენილი ერთადერთი მწვანე ფოთლით
რომელიც მწამს რომ იშრიალებს აწ და მარადის
იმედის ქარში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ა მ ა ლ ი

თავისი ბასრი ნისკარტის ჩარტყმით
იგი ამტვრევს ნაჭუჭს ღამისა
და წკრიალა სიმღერას კვებავს
დღის მოჩუხჩუხე ყელში.

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

გამოაღეთ საზღვრები თვალთა
მიმოაბნიეთ მზერის მარცვლები
ჩქარა აუშვით თქვენი ძაღლები
დაე ისინი გადიქცნენ მგლებად

დაე იცეკვონ მგლურადა
პეიზაჟი თუ დახატე და ხელი კიდეც მოწერილი გაქვს
შენი მზერა მას დაუბრუნებს ნამდვილ ფორმას
მის ზემოთ ჩამოწოლილი ცისა

პიანინო გამოყოფს ენას
უშავესს როგორც ფრინველის სიმღერა

ჩვენ ამ ფრინველსაც უნდა დავრთოთ ნება იმისა
რომ თავად სცადოს ბედი თავისი.

სხვა მამალი

მამლის ყივილში
ულერს სამრეკლო მარადიული
ბუმბულები კარგავენ ჩრდილებს
სამრეკლოს ჩრდილში მამალი
ბუმბულს ინახავს თავისას
ის მღერის.

ხსოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლში ჩავაგდე დღის ხელწერილი
უკვე არავის არ მართებს ჩემი

ნელა მიძვრება ბინდბუნდი იქით
განათებულ კუთხეში სადაც მღერიან ჩემი ფრინველები
ხოლო ბედშავი ბავშვი იქიდან
უმზერს თუ როგორ ფართოვდება ღამე
დუმილი კი
ესაა მამა რომელიც თავად ამოირჩია

ბავშვმა საღამოს გაშლილ ხელიდან
მიიღო მამა ოქროს მონეტის შესადარები
რის სანაცვლოდ ბავშვი მოითხოვს სამყაროს
მოითხოვს სიცოცხლეს.

მაგრამ პასუხად სრული არარა
რადგან სამყარო სავსე არის ღარიბი ადამიანებით

მათ მოასწრეს და გადაივიწყეს

სამყარო ოქრო სიცოცხლე
აგრეთვე მამა და ვაჟიშვილი.

1972 წლის 19 თებერვალი.

პირდაპირ ასვლა

ვარსკვლავს ჯიუტად არ სურს რომ ჩაქრეს დილის ცაზე

ჩვენი სამყაროს უდასასრულო უბედურებათა წყებამ
თავიანთი ზღვა მწუხარებით გამოკვებეს და გამოზარდეს
მოუსვენარი სინათლე მისი

მაგრამ ის მაინც ზიზღით უარყოფს
მზის უფლებამოსილებას
და თავისი ფერმიხდილი აგონიით
კვლავ ასხივოსნებს ალალმართლებს
ყველა გულწრფელს ამ საწუთროში
და დღე მუგუზალს ემსგავსება
უზარმაზარი ცეცხლის მეზობლად მოხეტიალეს
უცდის თუ როდის ათრთოლდება

შეირხევა და შეძლებს წარსდგეს
იგი სამყაროს წინაშე.

1972 წლის 3 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საახალწლო სურვილი

ეს სამყარო
ადამიანისმტკიცე ხელით დაწერილია
ვით ეპისტოლე მომავალში

ათას ცხრაას სამოცდათოთხმეტი წლისთვის
მას სურს მხოლოდ მზე
სულაც უბრალო მზე მჭედლისა
რომელსაც ჩვენ დღე ყოველი ვაჩაღებთ მშვიდად

ის იშვა ჩვენი ძალაუფლებით
და ჩვენი შუქით ელვარებს იგი

და ჩვენ ამ მზეს
გისურვებთ მარად თქვენ

და ჩვენ მას შევქმნით
რადაც არ დაგვიჯდეს.

1974 წლის 1 იანვარი.

ᲨᲐᲙ ᲞᲠᲔᲕᲔᲠᲘ

შეყვარებული ბავშვები

აკრულნი ღამის ალაყაფის კარებს ბავშვები –
შეყვარებულნი – დგანან ერთურთს ჩახუტებულნი.
გამვლელები კი – სამწუხაროდ, ხანდაზმულები,
მათ გულისწყრომით უმზერენ და არც კი მალავენ.
მაგრამ ბავშვები – ყვავილები სიყვარულისა,
რომელთაც უყვართ ერთმანეთი, ველარ ამჩნევენ

პირქუშ გამვლელებს, ვერ ხედავენ ბრაზიან მზერას.
და მხოლოდ ორი შერწყმულ-გადახვეული ლანდი
ღამის წყვდიადში თრთის, ცახცახებს, ამბორში დნება,
თუმცაღა იწვევს შურს და სიცილს, და ზიზღსაც იმკის
ცნობისმოყვარე გამვლელთაგან: ქირქილსაც, მაგრამ
იქით – ღამეულ ბინდბუნდიდან მოქრის ნიავი
სიყვარულისა და შორეულ განთიადამდე
ვერც იხილავენ ეგ ბავშვები ბრაზიან მზერას,
რადგან პირველი სიყვარულის ნათელში ფრენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ფეხმარდი, როგორც თაგვის თაგვი – ლლაპი თაგვისა,
წრუწუნა ობერვილიედან,
როგორც ხიფათი, უბედობა მარადიული
ობერვილიეს ქუჩებში დარბის.
ქვაფენილზე რბის ნაკადული – საოცრად მკვირცხლი
და თითქოს უნდა, სულ უფრო ჩქარა,
რაც შეიძლება მოკლე დროში გაიქცეს იგი
პატარა ობერვილიედან:
სადმე ტყეებში გაიპაროს, გადაიკარგოს,
თუნდაც გაიქცეს ველ-მინდვრებში,
მდინარის ახლოს,
იქ, სადაც მიწა სინორჩით და სიგრილით სუნთქავს...
გაიქცეს, რათა შემდეგ მოუყვეს
თავის მეგობრებს – მდინარეებს, ველ-მინდვრებს, ტყეებს,
რაზე ოცნებობს მშრომელი და მომჭირნე ხალხი
ობერვილიეს სახურავებქვეშ.

●

ერთხელ,
ოდესღაც აქ ხეები მოვიდნენ, მაგრამ
ჯერ უცნობია, თუ სადან, როგორ მოვიდნენ ისინი.
აკი ოდესღაც,
ეს ხეებიც ჩვენსავით იყვნენ,
დიახ, სწორედ ისეთები იყვნენ ისინი,
როგორებიც ჩვენა ვართ ახლა.
მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ:
ისინი უფრო მაგრები იყვნენ,
ჩვენზე უფრო ბედნიერები,

და უფრო ბრძენნი,
უფრო გიჟურად,
უფრო გულწრფელად უყვარდათ
მათ ერთმანეთი.
და, რა გამოდის?
თუმცა ამით ყველაფერია ნათქვამი!

●

ანტიბაში,
ჰოსპიტალის ქუჩაზე,
სადაც კატაბალახა
ქვაფენილის ფილებს შუა
თავს ამოყოფს
და იზრდება მორცხვად,
არის ერთი მაღალი ხე,
მას აკაკი ჰქვია,
ხარობს იგი ხანდაზმულთა
თავშესაფრის ახლოს.

– კი, ბატონო, რა თქმა უნდა,
ეს ნამდვილად აკაკია, –
ასე ამბობს ბერიკაცი ხანაგიდან,
რომელიც ქვის სკამზე ზის
იქ – ქვის კედლის ახლოს.
მოხუცის ხმას
თითქოს ნანას ეუბნება,
აძინებს,
ათინათი გაზაფხულის მზისა.

●

უნამდვილესი ხეები იყვნენ,
ჭეშმარიტი ხეები იყვნენ ისინი,
დიახ, ხეები, რომელთა დიდი მოთმინება გამოილია,
რადგან ხეები დიდხანს იცდიდნენ:
მზად იყვნენ, რათა ეშენებინათ,
ბორკილაყრილებს ეშენებინათ უმაღლესი ბარიკადები,
მსგავსად იმ მამაც ადამიანთა – მათს საუკეთესო დღეებში,
როგორც მოგვითხრობს ისტორია –
იმ ცეცხლისფერ დღეთა შესახებ.
ისინი ნაღდი ხეები იყვნენ –
მათი ციყვებით,
და ფრინველებით,
ხოჭოებითაც ჭეშმარიტი ხეები იყვნენ,
ეს საზეიმო ხეები,
თან ოდნავ შეზარხოშებულნი,
მაშინ, როდესაც მხოლოდ თვითონ მოიპოვეს – ასე ნანატრი –
თავიანთი თავისუფლება.

●

ფრინველი – ჩანგი უკრავს,
ბავშვი აჰყვება, მღერის,
მასწავლებელი ბრაზობს
და ყვირის:
"შეწყვიტეთ ახლავ
ეგ ცულლუტობა!"
მაგრამ ბავშვები
უსმენენ მუსიკას;
ინგრევა კლასის
თეთრი კედლები,
ქვიშად გადიქცნენ
ფანჯრის მინები,
ადრე ქვიშისგან
დამზადებულნი,
ხოლო მელანი კვლავ გადაიქცა
ნაკადულად და ბრწყინავს,
ლაღად მიედინება.
მერხები ისევ იქცნენ ხეებად,
და გადაიქცა საწერ-კალამი
ჯადოსნურ ფრინველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ო ბ ა

ექსპოზიცია უნივერსალურია
ზეციურ და ჯოჯოხეთურ
მანქანათა გამოფენა
გალერეა უბრწყინვალესი
ღიაა დასათვალიერებლად
და პოლიციელები
კუთვნილ გზაჯვარედინებზე
ქვეყნებისა და ქალაქებისა
დგანან და არეგულირებენ
სისხლის ქუჩურ მოძრაობას
მთელი სამყარო
დგას უგრძეს რიგში
რათა ნახოს თავად
შავი მეტალურგიის პავილიონში
ჯერ არნახული ატრაქციონი
ანუ თეთრი და
ფუმფულა ბატონების –
მოგრძო ფორმის პურის ტყეში
დაკარგული თავისუფლება.

●

და ივსებოდა შენი გულმკერდი
მთვარის ვარაყით,
მან კი ისროლა
სიცივის კენჭი
შენი სინაზის და სიმაღლის
იმ გასაოცარ ანარეკლში,
რომელიც დიდხანს სეირნობდა,
შემდეგ ცეკვავდა
შეღამებისას
მდინარის ვერცხლზე.

ჩვენს დროში

I

აბსტრაქტული მუზწერისა და კონკრეტული მუსიკისადმი
ინტერესის გამოვლენა ნაზ სიწითლეს მატებს თქვენს

ისედაც მშვენიერ და განსწავლულ სახეს
დახვეწილი მელომანისა.

II

უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა ცოტა ყურს ვაკლდეთ
და აგრეთვე ბეციც იყოთ
და ოდნავ შტერი
და მხოლოდ მაშინ როცა მუსიკა შეფასდება როგორც ასეთი
დაგმობილი განმარტებული და ვარგისი მოხმარებისთვის
ანუ აღიარებული გამოსაყენებელი მუსიკის ხარისხით
თქვენ შეგიძლიათ უტყაპუნოთ და უტყაპუნოთ
ეგ თქვენი ტაშიც
ხელისგულების დასკდომამდე
გაშმაგებულად გაცხარებით და წკრიალით
თითქოსდა თქვენს ბავშვს უტყაპუნებთ
ანცობისთვის სცემთ პატარას.

სიყვარული რობოტისადმი

ადამიანი მანქანაზე წერს სიყვარულის ცეცხლგამძლე ბარათს
და მანქანის კლავიშები კაკაკუკით არიხინებენ
პასუხს ადამიანისათვის
ეს მანქანა ხომ სრულყოფილია და თანაც ისე
რომ სამყაროში არც არსებობს უმჯობესი და
უფრო უნაკლო მანქანა
საანგარიშო მანქანაა ანგარიშის გასასწორებლად
და სასიყვარულო ანგარიშების დასავიწყებლად
პაწაწინა შეცოდებათა გადასახადად
და შემდეგ ზის რა ადამიანი თავის საკუთარ მანქანაში
მგზავრობს შეისმენს მანქანაში კითხვისას პასუხს
თავის ბარათზე მანქანაზე გადაბეჭდილ პასუხს კითხულობს
იგი საკუთარ თხზულებაზე და ცოდნის მანქანის დამატებისთვის
ადამიანი მიდის ყიდულობს სიყვარულის მანქანას
სრულქმნილს რომელიც გარანტიას იძლევა
ყველა ნატვრის ასრულებისას და შემდგომ მას სიყვარულს
უხსნის გულისნადებს განუცხადებს მას საბეჭდი მანქანის
დახმარებით და აგრეთვე მოიშველიებს
რა თქმა უნდა უდიადესი ოცნებების დიად მანქანას
და ბოლოს სიყვარულის მანქანა მას ატყუებს წარმატებით
თანაც ადვილად სულ სხვა მანქანის შემწეობით
ანუ სიცილის გასაოცარი მანქანით.

დრო ისე ჩქარა ბარბის

დიდებული რამ იქნებოდა
იმდაგვარი ისტორიკოსის
სოციოლოგის
ფუტუროლოგის
ასტროლოგის აღმოჩენა ამ ცისქვეშეთში
რომელიც დინჯად შეისწავლიდა
ლოგიკურად იმსჯელებდა
თეორიულად დაამტკიცებდა
და მათემატიკური სიზუსტით
თანაც ეკონომიკურად
წინასწარ რომ გამოიცნობდა
და რეალურად დაგვიხატავდა
კიდევაც იწინასწარმეტყველებდა და
მოხაზავდა
ისტორიულად
1750 წელს იმას თუ რაც მოხდება 1780 წელს
1780 წელს კი თუ რაც მოხდება 1793 წელს
1793 წელს კი იმას თუ რაც მოხდება 1815 წელს
1815 წელს იმას თუ რაც მოხდება 1830 წელს
1830 წელს იმას თუ რაც მოხდება 1848 წელს
1848 წელს იმას თუ რაც მოხდება 1870 წელს
1870 წელს იმას თუ რაც მოხდება 1871 წელს
1871 წელს იმას თუ რაც მოხდება 1900 წელს
1900 წელს იმას თუ რაც მოხდება 1914 წელს
1914 წელს იმას თუ რაც მოხდება 1918 წელს
1918 წელს იმას თუ რაც მოხდება 1936 წელს
1936 წელს იმას თუ რაც მოხდება 1944 წელს
1944 წელს იმას თუ რაც მოხდება 1950 წელს
1950 წელს იმას თუ რაც მოხდება 1970 და 1981 წლებში
და ეს იქნება მაინც მცირე ცოტაოდენი
იმისა რაც მართლა მოხდება იმ დროს რომელსაც
ჩვენ ვეკუთვნით თუმცა ვეპყრობით ქრონოლოგიურად.

გოლიათი მარწყვი

სქელი მინის კედლის მიღმა
მანქანების მუზეუმია
იქვე პატარა ყინულოვან ვიტრინაში
გამოფენილია მარწყვი
დამთვალიერებლები უსიტყვოდ გროვდებიან და მიისწრაფვიან

რომ ნახონ სახელგანთქმული მარწყვი
ბოტანიკოსთა გამოკვლევებმა გვიჩვენეს რომ
სიმაღლემ იმ ხეებისა რომლებიც უხვ ნაყოფს იძლევა
უკვე სამას მეტრს მიაღწია
მარწყვის მახლობლად
ხის უცნაური დეტალებია გამოფენილი
კბილანები
და საკისარები
თურმე ერთხელ სულ პაწაწინა ნერგი ცნობილი მარწყვის ხისა
თვით დიადმა ნატურალისტმა
ეიფელმა ჩამოიტანა პარიზში
თავისი შლაპით ჩვეულებრივ ჭვარტლთან ერთად
შეიძლება აგრეთვე ნახოთ შლაპაც დიდი მეცნიერისა
ლითონის ცილინდრი რასაც წინათ
ღუმელის მილი ერქვა
უძვირფასესი აღმოჩენები სასწაულებრივ ნახეს და თითქმის
საუკუნის შემდეგ გამოაშკარავდა
მარსის ველის ცნობილ გათხრებზე ნახეს ისინი
და იქვე იზრდებოდა უკანასკნელი ხე გოლიათი მარწყვისა
იმ შორეული ეპოქის მაცხოვრებელი ხალხი ეტყობა
ხშირად იყენებდა
მის ნაყოფს მიწათმოქმედებაში
ხოლო ის ხე
რომელსაც ჩვენი წინაპრები უწოდებდნენ
შემეცნების ხეს
ხეს სიცოცხლის და სიკვდილისა
მუზეუმის სხვა დარბაზშია
გამოფენილი
იქ იმ ხანის კარეტებია
და ნახატებით აღადგენენ გარეგნობას
ზღვის ცხენთევზების
ამ ცხოველთა რიცხობრივი მონაცემებიც ცნობილია
ოცდაორი ცხენი
ორმოცი ცხენი და ა.შ.
შენიშვნა
დოლის ცხენები იმყოფებოდნენ ეკიპაჟის კაპოტის ქვეშ
და ცხენის ძალებს
მოჰყავდათ იგი მოძრაობაში
ნაცვლად წყლისა
და ისე მოხდა რომ შემდგომში
ჩვენმა ძველებმა ანუ წინაპრებმა მათ უწოდეს
უბრალოდ ძრავები
ამ ეპოქას განეკუთვნება ასევე
პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აგებაც

კორბუზიეს აშენებული ეჭვს გარეშეა
ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი
სამლოცველო საწარმოა
შექმნილი მუშების – მღვდელმსახურთა მიერ
ნანგრევები რომლის მოსანახულებლად
მრავალგზის იყვნენ ჩამოსულნი
ტურისტები სამყაროს ოთხივე მხარისა

უეჭველია აგრეთვე ისიც რომ სახელგანთქმული დიდი ეპოქა
აფრიკაში ასფალტირებულ ოაზისთა იმ დროს ჯერ კიდევ
არც იყო დაწყებული თუმცა კი აპირებდნენ რაღაცას.

/ჩვენი ერის XXV საუკუნე/

თავაზიანობის მსხვერპლი

ადამიანი ყიდულობს გაზეთს, თვალს გადაავლებს თუ არა, აგდებს. ვიღაცა მოსდევს, დაეწევა და...

– ბატონო, თქვენ დაგივარდათ გაზეთი.

– მადლობა, – ამბობს ადამიანი.

– არაფრის, არც ღირს, – პასუხობს იგი და გზას აგრძელებს... ადამიანს ვერ გადუწყვეტია, კვლავ გადააგდოს თუ არა... იგი კითხულობს აბეზარ გაზეთს... და უცებ, შავით თეთრზე ხედავს სიახლეს, რამაც მისი ცხოვრება გადააბრუნა.

შეძრწუნებული და დაბნეული ადამიანი აზრზე არაა, თუ სად იმყოფება, მას მხარი აექცა და ეკითხება უცნობ გამვლელს, ხოლო გამვლელი ჩერდება და გახარებული, თავაზიანად და თანაც დიდხანს უხსნის მის მარშრუტს: ეგ ხომ ახლოა, ორიოდ ნაბიჯზე.

მაგრამ უეცრად ადამიანს ახსენდება: ეს სულ არაა ის გზა, რომელიც მას ახლა სჭირდება, უმჯობესი იქნებოდა საპირისპირო მხარეზე გადასვლა, მაგრამ გამვლელი უკვე შორსაა, თუმცა დროდადრო უკან იხედება და, რატომღაც იღიმის, ხოლო ადამიანი ხელს ჩაიქნევს და აგრძელებს გზას...

მას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცევა, არ შეუძლია, რომ აწყენინოს უცნობ გამვლელს, თანაც ასე ღიმილიანს და თავაზიანს, და იკარგება ადამიანი გაუგებარ ლაბირინთში, და უცებ ჩამოწვა ღამე, და იგი ხვდება ქალს, რომელიც ხუთი წლის წინათ დაიკარგა ადამიანის თვალთახედვიდან. და ისიც ამცნობს ამ ქალს სიახლეს, რაც წაიკითხა გაზეთში, ხოლო ქალი იწყებს ტირილს და ეხუტება ადამიანს, და ხელახლა მათ თავს ატყდებათ უბედურება, სწორედ ისე, როგორც ხუთი წლის წინათ.

მამაკაცს და ქალს ისევ ერთი სული აქვს და სწორედ ეს სული იწეწება და ნადგურდება ანბანური ჭეშმარიტების მძიმე უღელქვეშ.

კ ო ნ ტ რ ო ლ ი ო რ ი

გაიარეთ გაიარეთ
იჩქარეთ იჩქარეთ
გაიარეთ გაიარეთ
ნუ დგახართ იჩქარეთ
ძალზე ბევრი მგზავრია
მეტისმეტად ბევრი
გაატარეთ შემდეგი
მიეცით გზა
თქვენს უკან რიგია
თქვენ უკვე გიცდიან
ისინი კარებთან
ისინი რომლების ჯერ კიდევ
დედების მუცლებში იცდიან
უნდა იცოცხლოს ყველამ
თუნდაც ცოტა ხანს
დაუშვით ჩაუშვით
დასხლიტეთ ჩახმახი
თქვენ მეტად ბევრნი ხართ
დაუთმეთ ადგილი
თქვენთვის ხომ კარგა ხანია
ცნობილი არის კარგად
აქ ყველა ჩვენგანი
ხანმოკლე ვადით ვართ მოსულნი
ჰოდა გაიარეთ ჩქარა
გაიარეთ გაიარეთ
თქვენ გელოდებიან
ერთია მარშრუტი სამყაროს
ირგვლივ
ერთია საწუთროს მარშრუტი
ერთი მარშრუტი და ერთი
დასასრული
ერთია ცოდვილთა ბოლო
გაიარეთ გაიარეთ
იჩქარეთ იჩქარეთ
იყავით თავაზიანი
ნუ მოგროვდებით კართან.

რ ე ც ხ ვ ა

ფუჭ, საზარელი, გასაოცარი
სუნი მომაკვდავი ხორცისა,
რისგანაც თვით ფოთლებიც ბაღში
უფრო და უფრო ყვითლდებიან
და ცვივიან,
თითქოსდა უცებ
შემოდგომამ შემოაღწია,
ვითომცდა გვეწვია
უწყევი სტუმარი...
ეს მჭისე სუნი, ნეტავ სადან მოდის?
სიმყრალე იმ სახლიდანაა,
სადაც ცხოვრობს ბატონი ედმონი,
ოჯახისთავი,
კანცელარიის უფროსი,
დღეს რეცხვის დღეა –
დიდი რეცხვისა,
ეს საოჯახო სუნია,
და ოჯახისთავი,
კანცელარიის უფროსი
მამალივით ყინჩად დადის
საოჯახო ვარცლის ირგვლივ
და მისთვის საყვარელი,
მაგრამ უკვე გაცვეთილი ფრაზით
ისევ და ისევ არეკვს ჰაერს,
უფრო აფუჭებს ბინძურ ჰავას:
"ჭუჭყიანი თეთრეული
სახლში უნდა გაირეცხოს!"
ვარცლის გარშემო მოგროვილა
მთელი ჯალაბი,
შეძრწუნებულნი – თავზარით
და ხირცხვილის შიშით,

ოჯახი კაკანებს,
ჯალაბი კრიახებს,
სახლობა რეცხავს,
და ისევ რეცხავს,
ხეხავს და ჭეჭყავს,
და იაგაკზე ედინება აუჭარებლად
ნარეცხი წყალი,
ბინძური წყალი.
კნუტს კი, რომელიც
ხედავს და ესმის,
ის, რაც აქ ხდება,
ისე უნდოდა ამ ყველაფრისგან
გაქცევა
ძვირფას, თბილ სახურავზე,
თუნდაც იმიტომ, რომ საცოდავ
კნუტს
ამ რეცხვისგან გული ერევა,
ვარცლთან ამათი
ცოდვილობისგან,
ფუსფუსისა და წვალებისგან
ახიდებს კიდეც,
მაგრამ როგორღა გაიქცევა,
როცა ფანჯრები ჩაგმანულია,
ხოლო კარი დაკეტილია –
შიგ გასაღები გარჭობილია –
ბრჭყვიალებს ოხრად, ბრწყინავს?

. . . . . .

უცებ გაისმის კვნესა-ქვითინი,
მხეცუკა პაწია ყურებს,
იცობს პაწაწა თათებით,
იმიტომ, რომ კნუტს – პაწიას
ეცოდება პატარა გოგო,
ეს მისი ხმაა –
იგი ყვირის, კვნესის, ქვითინებს,
ისაა – დიასახლისის გოგო
მიზეზი რისხვის,
კივილ-ჩხავილის,
მიზეზი დიდი მღელვარებისა:
ვარცლში აგდია პატარა გოგო,
მამა,
მამიკო,
ოჯახისთავი მიმდგარა
რკინის ჯაგრისით
და თავის ასულს
რეცხავს და ხეხავს –
გაშმაგებული,
გააფთრებული,
გახელებული.

უეცრად ლაქა აღმოაჩინეს
დიასახლისის გოგოზე,
და აი, მთელი ოჯახი ერთხმად
შეუდგა გოგოს რეცხვას,
იგი სისხლისგან იცლება,
ყვირის,
ქვითინებს,
კვნესის,
მაგრამ არ უნდა,
ჯინაზე არ სურს,
დაასახელოს ვიღაც ახვარი,
ვინაც ახ-ახ-ახ! –
გოგოს ჩახადა,
ანუ ახადა ნამუსი,
გოგოს დამართა საქმე გლახა და
მან შეარცხვინა ოჯახის სახელი.

ოჯახისთავი ბრდღეინავს
და ღრიალებს,
როგორც დაჭრილი მხეცი:
"ენას კბილი დააჭირეთ
ამჟამად, თორემ!.."
ხოლო დედისთვის,
ერთია ცხადი:
"დე, ყველაფერი
ჩვენს შორის დარჩეს,"
ყვირიან ვაჟები და ბიძაშვილები,
ბიცოლები და სხვა ნათესაობა,
ყვირის თუთიყუში –
ლატანზე მჯდარი,
ყვირილი ბობოქრობს,
წვავს, როგორც ალი:
"დე, ყველაფერი
ჩვენს შორის დარჩეს,"
ოხ-ოხ-ოხ ღირსება
სუფთა ოჯახისა,
ნათელი ღირსება მამის და ძისა,
და სულიწმიდის
თუთიყუშის ღირსება!

ასული ორსულია,
"გვასახელა" გომბიომ,
მაგრამ მაინც ვინაა,
ბავშვის მამა, ნეტავ?
სახელითა მამისა
და სახელითა ძისა,
სახელითა სულიწმიდის
ჭრელი თუთიყუშისა,
დაე, ეს ყველაფერი
ჩვენს ოჯახში დარჩეს!
ახლა ვარცლის კიდეზე
დედაბერიც ჩამოჯდა
და შვილიშვილს უყურებს,
ხვრეტს უკეთური თვალებით,
გარდაცვლილი ყვავილების
გვირგვინს უწნავს
მას, ვისაც სურს დაიბადოს
ამ ცრუ წუთისოფელში,
რათა შობით შებილწოს
საოჯახო დროშა.
როგორც ყურძენს წურავენ
წინაპართა საწნახელში,
სწორედ ისე – საოჯახო ლირსების
ღრმა საწნახელში დგანან,
გაუხდიათ ხამლები,
და ფეხებით თელავენ
ცალ-ცალკე და ერთად,
ყველამ ერთად გადათელა გოგო.
. . . . . .
აჰა, ორის ნახევარი გამხდარა.
ისადგურებს მყუდროება,
ანუ მცირე ყუჩილი.
უკვე ოჯახისთვის,
კანცელარიის უფროსი,
სამსახურში წასასვლელად
ემზადება
და იხურავს თავზე ცილინდრს,
როგორც ძვირფას სახურავს,
და გამოდის ქალაქის მთავარ,
ფართო ქუჩაზე,
ყინჩად მიდის და გამელელებს
ჩაშტერებით უმზერს,
მიაბიჯებს თავისი
დიდი კანცელარიისკენ,
როგორც მის ბჭეს გადაივლის,
ზღურბლზე გადააბიჯებს,
კანცელარიის ჰაერს
ახმიანებს მისალმება:
უფროსი ხელქვეითებთან
მკაცრი სულაც არაა.
კრიალებენ მზეზე
მისი შავი შტიბლეტებიც,
სისხლით მოთხუპნულია
მარტოოდენ
ტერფები.

თქვენ ფეხებზე გკიდიათ ისინი

შემოუშვით ჩქარა ძაღლი, შემოუშვით ტალახიანი,
თქვენ ხომ ფეხებზე გკიდიათ ისინი,
რომელთაც არ უყვართ ძაღლები და უკადრისობს ტალახსაც.
შემოუშვით, შემოუშვით ძაღლი, რომელიც ერთიანად –
კუდის რიკიდან თვით კისრამდე მოთხუპნულია სქელი ტალახით,
თქვენ ხომ ფეხებზე გკიდიათ ისინი,
რომლებიც ტალახს თაკილობენ,
რომლებიც ძაღლებს არ ცნობენ და არც იცნობენ,
რომლებსაც არ ესმით ძაღლების
და ტალახისა არ უწყიან არარა – ამ ჭრელ წუთისოფელში,
შემოუშვით, შემოუშვით ძაღლი და დართეთ პირუტყვს ნება,

რომ მოიშოროს,
ჩამოიფერთხოს ტალახი...
. . . . . .
შეიძლება ძაღლის დაბანა,
შეიძლება სქელი ტალახის ჩამობანა,
შეიძლება ბინძური წყლის ჩამობანა,
მაგრამ ვერაფრით ვერ გარეცხავ მავანს, რომელიც
წამდაუწუმ იმეორებს, რომ მას დიახაც უყვარს ძაღლები,
მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, რომ...
. . . . . .
არა, ძაღლი ტალახიანია, მაგრამ სუფთაა იგი.
ტალახიც კიდევ უფრო სუფთაა,
ბინძური წყალიც,
ზოგჯერ ხდება, უფრო სუფთაა,
ვინემ ისინი, წამდაუწუმ რომ ჩიჩინებენ,
იმეორებენ:
"მხოლოდ ერთის პირობით, რომ..."
ისინი სუფთა არ ყოფილან და
არც იქნებიან არასდროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშიერი დილა

საშინელია იგი,
ო, ეს სუსტი კაკუნი,
როცა დახლზე ამტვრევენ მრგვლად მოხარშულ კვერცხს;
საზარელია იგი, როცა ამოყვინთავს
ადამიანის ხსოვნის სიღრმიდან,
ძეხორციელის, რომელსაც გულის კოვზთან წიწკნის
და მისი უპირველესობა შიმშილი ისე მოულრეცს სახეს, რომ;
დიახ, მართლაცდა შემზარავია თავი ადამიანისა,
ვისაც შიმშილმა მოულრიცა
ოდესღაც მშვიდი, ამაყი სახე...
და აჰა, ჟამი: ადამიანი დილის ექვსზე მიადგება რა მაღაზიას,
დგას, იყურება ვიტრინაში –
გაშეშებული, დამძიმებული ფეხებით დგას.
იგი საკუთარ თავს ხედავს – მტვრისფერს,
მაგრამ ის მას არ ათვალიერებს,
რადგანაც მიუფურთხებია მრავალგზის
მას თავისი ანარეკლისთვის,
რომელიც ახლა იქ – ვიტრინის სქელ მინაზე
არეკლილა,
ასახულა.

უკუფენილა –
გაორებულ-გასამებულა სახე...
იგი არც ფიქრობს საკუთარ თავზე,
ახლა მის მრუმე და დაბინდულ წარმოსახვაში
სულ სხვა თავია, სავსებით სხვა თავი:
მას ეჩვენება მოზვრის თავი,
ოხ-ოხ, ხბოს თავი ელანდება – ცხარე საწებლით,
ან თუნდაც თავი ბეხრეკი ძროხის,
ნებისმიერი თავი,
ახლა სულერთია, ვისი ან რისი,
ოღონდაც საჭმელად ვარგოდეს იგი.

. . . . . .

ადამიანს ყბა – მოქცეული აუმოძრავდა,
სრულიად ჩუმად,
ძალიან წყნარად,
და კბილებს ნელა აკრაჭუნებს ადამიანი,
თუნდაც იმიტომ, რომ მას დასცინის მთელი მაძღარი
კაცობრიობა,
ხოლო იგი უძლურია ამ ღიპმორეულ სამყაროს წინაშე,
და მშიერი ძეხორციელი ანგარიშობს –
იგი იწყებს თითებზე დათვლას –
ერთი, ორი, სამი,
ერთი, ორი, სამი,
სამი დღე უსმელ-უჭმელი,
სამი დღე მშიერ-მწყურვალი,
სამი დღე პირმოხახული...
და ყველა სამი დღე იგი იმეორებდა დილიდან ამაოდ:
"ჰო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, ასე გაგრძელდეს ბოლომდე"
მაგრამ გრძელდება,
ისევ სამი დღე,
ისევ სამი დღე გადის
და პირში ხემსი არ ჩასვლია,
დაეხეტება უჭმელ-უსმელი...

. . . . . .

ხოლო აქ – სქელი ვიტრინის მიღმა,
უტკბილესი და უნეტარესი პაშტეტებია, კონსერვები, ღვინის
ბოთლები,
და მკვდარი თევზები – კონსერვის ქილებში,
კონსერვის ქილები – გარდაცვლილ თევზებით –
ვიტრინის მინის მიღმა აწყვია
ისე ლამაზად, რომ თავბრუ ესხმის...

. . . . . .

ვიტრინის მინას კი იცავენ პოლიციელები,
პოლიციელებს კი ხელკეტები,

კანონი იცავს და კიდევ შიში –
წინ რამდენი ბარიკადაა ასე საბრალო სარდინებისთვის!..
იქვე, ახლოს – პატარა ბისტროს* კარებია,
სადაც ისმევა ყავა ნაღებით
და ხრაშუნია ღვეზელების – გულშემზარავი...
უკვე ბარბაცებს ადამიანი
და დამძიმებულ თავში ირევა
სიტყვების ნისლი,
ბურუსი სიტყვათა:
სარდინები ქილებში,
მრგვლად მოხარშული კვერცხები
და ცხელი ყავა ნაღებით,
ყავა ცეცხლოვან რომით,
ისევ ყავა ნაღებით,
ათქვეფილა ნაღები,
დაუხოცავთ ნაღები –
დაბლები და მაღლები
და ყავა სისხლიანია...

ადამიანი, ვისაც უყვარდა ეს სამყარო
და პატივს სცემდა ქუჩა, კვარტალი,
დღისით-მზისით ნახეს ქუჩაში ყელგამოჭრილი;
ის მაწანწალა მკვლელმა მოკლა და ააწაპნა
სულ ორი ფრანკი,
რაც ახლა ნიშნავს: ყავა ნაღებით
/ზუსტი ანგარიშით – სამოცდათხუთმეტი სანტიმი/,
ორი პატარა ნაჭერი კარაქწასმული პური,
და ოცდახუთი სანტიმი – ოფიციანტის ფეხის ქირა.
საშინელია იგი,
ო, ეს სუსტი კაკუნი, როცა დახლზე ამტვრევენ
მრგვლად მოხარშულ კვერცხს;
საზარელია იგი, როცა ამოყვინთავს
ადამიანის ხსოვნის სიღრმიდან, –
ძეხორციელის, რომელსაც გულის კოვზთან წიწკნის
და მისი უპირველესობა შიმშილი ისე მოუღრეცს სახეს, რომ...

უფრო და უფრო ნაკლები

უფრო და უფრო ნაკლები რჩება ტყეები:
მათ ანადგურებენ,

---

* ბისტრო /ფრანგ/ – სასაუზმე, პატარა რესტორანი საფრანგეთში.

მათ კლავენ ხერხებით,
ხოცავენ ცულებით,
მათ ახარისხებენ დინჯად,
და შემდეგ საქმეში – ბიზნესში უშვებენ,
მათ გადააქცევენ
ქაღალდის მასად,
რომლისგან შემდგომ დაამზადებენ მილიარდობით გაზეთის
ფურცელს,
რომლის გვერდებზე დაჟინებით მოითხოვენ,
რომ დროა, საზოგადოებამ
ჯეროვანი ყურადღება მიაპყროს მის ქვეყანაში
უკიდურეს საშიშროებას –
ტყის მასიური განადგურებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხაილ ლერმონტოვი

●

მინდა სიცოცხლე, წუხილი მინდა
სიყვარულის და სიმშვიდის ნაცვლად,
გამიზარმაცა ცხოვრებამ მშვიდმა
ზონი და... დარდის ჩამიკლა განცდა;

ხიზმრის სტუმარი ხარ ამა სოფლად,
უნდა მოასწრო, უნდა იჩქარო;
ღელვის გარეშე პოეტის ყოფნა,
ჰგავს ოკეანეს, უქარიშხალოს!

ივან დრაჩი

ნიკო ფიროსმანი კიევში
(წერილი ჩემს ძმებს, ოთარ და თამაზ ჭილაძეებს, ერლომ ახვლედიანს და გიორგი შენგელაიას – თბილისი)

... ცას დასაყრდენი არა აქვსო, –
ნურავინ იტყვის...
ყველა ლეგენდას ასევე აქვს ფუძე და ძირი!..
მაგრამ... ფიროსმანს რა დაკარგავდა!
მისი დაკარგვის ლამაზ ლეგენდას
ვინ დაიჯერებს –
გაგონილია დაკარგვა ფერის?!.
ფერის ან სულის?!..
სული ფერში გადადის,
ხოლო
ფერი ფერს ერწყმის ნებიერ კვდომით
და მარადისად ანთია მზეში!..

... ნუ დაიჯერებთ, ჩემო ძმებო – ქართველო ძმებო,
ნუ დაიჯერებთ ფიროსმანის დაკარგვის ზღაპარს,
ის კიევშია!
დღეს კიევის ქუჩებში დადის...
ხვალ კი – მოსკოვში ან პარიზში
იქნება ალბათ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... როგორც ნაყოფით დახუნძლულ ტოტს
შედგამენ საბიჯგარს – რათა
მძლავრი ქარის დროს არ დაირხეს და არ ჩამოტყდეს
დედახეს ტოტი,
ასე ხატვისას ამაგრებდა და აკავებდა
აკანკალებულ მარჯვენა ხელს მარცხენა ხელით!..

... ლეონარდოებო! რემბრანდტებო! დიურერებო!
რა ნათლით იყო სავსე თქვენი ამაყი სული...
ყოველი აბრა – სადილი ღირს... და თუ მედუქნეს
თქვენს ნახელავზე კმაყოფილად ჩაეღიმება,
ერთ კვარტ წინანდალს ჩაგაღვრიან
გაყინულ სისხლში!..

... ბაქანზე უნდა გაატარო მთელი ცხოვრება,
რომ გადახატო სარდაფების ნივრის სურნელი,
თუ არ იწვნია ფეხქვეშ განრთხმის აუტანლობა –
ისე ვერა და ვერ აღწევს მინდორი მთამდე!..

... ღმუოდა ქარი – ღრუბლისფერი, მშიერი ქარი,
მოთეთრ-მოშავო მწიფე ნაყოფით
დახუნძლულ ტოტს არხევდა ქარი!..
მზის ჩასვლა ჰგავდა სულის ამოსვლას!..

... როცა მე ვხატავ
ხელიდან წასულ ორთაჭალელ ლამაზმანებს –
შავი ცხოვრების შავ ფონზევე ვათავსებ ყველას;
მათს სულშიც ჰყვავის სიყვარული – სიმღერა თეთრი,
მე თეთრი ფერით მათს ცოდვებს ვფარავ...
მე მათ – ყვავილებს ჩიტებივით, ვაქარგავ მკერდზე.

... ნიკალას ღორი
რა საოცრად ჰგავს დედანს – ხედავთ?!..
აბა, შეხედეთ – პირისგემოს მოყვარულებო!..
გაგახსენდება ხოხოზიკა – ეგრე არ არი?..

... თუ არ იწვნია ფეხქვეშ განრთხმის საშინელება,

ისე ვერასგზით ვერ ააღწევს მინდორი მთაზე!..

... ოთარ და თამაზ ჭილაძეებო!
თქვენ – ჩემო ძმებო!
შენც – ჩემო ერლომ!
შენც, ჩემო ძმაო – ჩემო გიორგი!
ნუ დაიჯერებთ ლამაზ ლეგენდას,
ის – კიევშია!
დღეს ფიროსმანს ყვავილებით დახვდნენ კიევში!
ჩემთვის უცნობი მამაების ავტორნი დახვდნენ.
მათ ტყაპუჭები ეცვათ, ხოლო ქალს – ჯუბა ეცვა.
ჭრელი თავსაფრით – ნაღდი ქერა კატერინაა!
თუმცა იმისთვის
სულაც არ არის ფიროსმანი ბოგდანოვკიდან!..

"... თუ ჩემი ძმა ხარ... ერთი წუთით... თუ ჩემი ძმა ხარ,
შენ სადმე ხომ არ შეხვედრიხარ ჩემს მარგარიტას?!.."

... დღეს ჩვენ (სუყველას!) ჰაერივით გვჭირდება, ძმებო,
შუაქალაქში ავაშენოთ ხის დიდი სახლი!..
თავს შევიყრიდით... დავლევდით ჩაის...
ერთმანეთს გულებს გადავუშლიდით...
ვისაუბრებდით ფერწერაზე... ხელოვნებაზე...
თქვენ სხვა რამე გაქვთ საფიქრალი და სადარდელი!..
ო, ბოდიშს ვიხდი... მაგრამ ხის სახლი,
მაგრამ ის სახლი – დიდი სახლი –
უნდა აშენდეს!..

... ეს გაუმარჯოს იმ ღატაკ კაცს და მის პურმარილს!
იმ დიდ კაცს – მთვარის ავსებისას რომ დაიკარგა!
მზის ამოსვლისას გამოცხადებულ
იმ დიდი კაცის სადღეგრძელოს ვსვამ!..
... საით მივყავართ ლეგენდის ბილიკს?!..
საით მივყავართ სულს, რომელიც ფერში შენივთდა?
საით მივყავართ ფერად ქცეულ სულს?
საით მივყავართ სულად ქცეულ ფერს?

– მცხუნვარე მზისკენ!..
– მცხუნვარე მზისკენ!..

... საუკუნოვანი ქრონიკული სურდო!
საკაცობრიო ტკივილი მკერდში!
რევმატიზმი – ხელოვნების დაწყვეტილ სახსრებში!

... კიევის ბაქანზე დაიძახა:

"ხომ არ გინახავთ ჩემი მარგარიტა?!.."

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პლატფორმაზე: კინტო და მუშა,
დათვი და მედუქნე,
ფურირემი და ჟირაფი...

... ეძიეთ იგი, ჩემო ძმებო, ქართველო ძმებო!
მოსკოვში, ანდა – ვილნიუსში, ანდა – პარიზში,
კიევი უკვე გაიარა! ეძიეთ... ყველგან!..
არ დაუჯეროთ, მეგობრებო, ლამაზ ლეგენდას!..
. . . . . .
მზის ჩასვლას ჰგავდა სულის ამოსვლა!..

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინ სიმონოვი

ხუთი გვერდი

(პოემა)

თარგმნა

შოთა ზოიძემ

მე ლენინგრადის სასტუმროში
    ვწერ ამ სტრიქონებს,
მაღალი კედლის კარადას
    და ტრიუმოს შორის
მოულოდნელად დავინახე
    ფურცლების დასტა,
პატარა დასტა –
    ბარათები დავიწყებული.

უმისამართო და უკონვერტო,
    ჩანს გაუგზავნელ ბარათების
რიგებში მოხვდა.
    მის დასრულებას აზრი არ აქვს,
დავიწყე კითხვა.
    ჯერ იყო ათი. თეთრმეტი გახდა.
არა, გულგრილად არ წამიკითხავს,
    მოგზაურივით გავიარე მთელი სამყარო.
დაცული იყო ყოველგვარი წესი და რიგი,
    წელი, თარიღი, მოკითხვა და სალამ-ქალამი.
მისი ავტორი უნებლიედ აზვიადებდა
    და რომელიღაც წიგნის გამო
                ბოდიშს იხდიდა...
მე გამოვტოვე ეს ყველაფერი
    და გავაგრძელე წერილის კითხვა.

პირველი გვერდი

* * * * *

ერთი საათიც და მე მგზავრი ვარ,
    მალე გავყვები ექსპრეს პოლარულს.
ჩვენ სამუდამოდ დავშორდით ისე,
    რომ წერილების მოწერაც კი უხერხულია.
მე გამოვგზავნი.
    შენ მიიღებ და ყველა მათგანს
წაუკითხავ ნაცნობ-მეგობრებს,
    მერე კი მშვიდად გადაუშვებ სანაგვე ყუთში.

ნეტავ რა მოხდა,
    ერთად ყოფნა რატომ მოგვბეზრდა!
სად ვერ მოვზომეთ სიტყვა-პასუხი,
    სად მივატოვეთ ერთმანეთი,
რომელ საათზე, სამგზის წყეულ
    რომელ სადგურზე
შევცდით ორივე
    და ველარას გამოვასწორებთ.

გვცოდნოდა ნეტა ის ადგილი,
    მაშინ, ღმერთმანი, დაბრუნება შეიძლებოდა...
რაღას იპოვი,
    რაც საერთოდ არც კი ყოფილა!
სუფთაა ჩვენი საჩივრის წიგნი,
    სუფთაა, რადგან არაფერი არ ჩაწერილა.
რამდენიც გინდა ფურცლე და ფურცლე,
    მაინც ვერაფერს ვერ წაიკითხავ.

ავიღოთ თუნდაც წერილები ჩემი ნაწერი –
    მე მათი მუდამ მეშინოდა როგორც სიკვდილის.
შეიძლებოდა ზოგჯერ მათი ხელში დაჭერა,
    მათი წაკითხვა და შენახვა შეიძლებოდა?!
როგორც არ უნდა გადაიკითხო,
    და ერთი ათად ზომო და წონო,
მხოლოდ და მხოლოდ ახალ ტკივილებს,
    ახალ ვაებას იპოვი მხოლოდ.

შენ კითხულობდი მათ რიგრიგობით,
    შენ მათ ჯიუტად კითხულობდი ცოტა ხნის წინათ,
პირველში ვწერდი, რომ
    უშენოდ არ შემიძლია,
პირველ წერილში,

როგორც რვეულში სქელტანიან'ში,
მე მეგონა, რომ ვერ გავძლებდი,
ვერ გავძლებდი და გავიქცეოდი.

ქართული ბიბლიოთეკა

მე გადამქონდა ქაღალდზე მყისვე,
რასაც ვფიქრობდი და ვიცოდი სუყველაფერი.
მაგრამ მესამე განშორებაზე
(მე ჩემი თავი დავიჭირე ამ ცდუნებაში),
ჩემს წერილებში დღითიდღე და დილა ცისმარე,
ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა
მეორდება, ადრე თითქმის ძლივს გასაგონი
სიტყვა – "მიყვარხარ".

ცოტა გვიან კი, ცოტა გვიან,
სხვა ბარათები იწყება უკვე,
ჩვენი ცოლების ყოველდღიური
მონატრებული და ნაღდი ფოსტა,
რომლებსაც ჯერ არ დაცემიათ ერთი ცრემლიც კი,
არ დაუჩრდილავთ ჯერაც შუქ-ჩრდილებს,
ზომიერი და ყოველდღიური,
ფაქიზი, ნაზი, ნაზი და თბილი.

მათში სიმტკიცე არ არის ჯერაც
და სინათლეზე თუ გავხედავთ, ვიხილავთ საშლელს,
რომელიც მალე ყველაფერს წაშლის...
და დაეთმობა სცენა უკვე რიგით მესამე,
უკანასკნელ და ჭკვიან წერილებს –
რომლებიც ახლა შეგიძლია გადაიკითხო,
წაკითხვის შემდეგ
ადარც დაწვა, ადარც დახიო.

მათი წაკითხვა, აზრიანად, აუჩქარებლად,
არცა მგონია და არც არის შენთვის საშიში.
გწერ დღეში ორჯერ, ორ-ორ წერილს –
თბილს და რიგიანს,
თხოვნით მოგმართავ
დამარიგო და დამეხმარო.
მე შენ პატივს გცემ
და გაფასებ ასე უზომოდ.

ეს იმიტომ, რომ კარგად გიცნობ
და მჯერა შენი,
ხარ მეგობარი,

ჭკვიანი და გულისხმიერი...
მხოლოდ ერთს ვერ გრძნობ,
მხოლოდ იმ ერთს ვერ წაიკითხავ,
რომ ყოველგვარი "იმიტომ რომ" და ".."
მე შენ მჭირდები ჰაერივით, მორჩა, გათავდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს წერილებში
ჩვენი გზები გსურდა გენახა,
შენ ჩაიკითხე სულ ბოლომდე
და დაიყვირე:
ნუთუ იყო ღირს
იგი ჩემი სულის და ხორცის,
ხუთი წლის მერე
თუ ამ წერილს გამოგზავნიდა?!

მაშინ შენ დუმდი,
სიმწრისაგან ატირებული,
ბავშვივით ტახტზე მიკუნტული,
გულდათუთქული.
ყრუდ ქვითინებდი
და ფეხის ხმა როცა ჩაგესმა,
ყველა წერილი გადამალე
ძველ კარადაში.

ასე მგონია
ჩვენ ცუდ საქმეს მოვკიდეთ ხელი –
რა საჭიროა ვუთვალთვალოთ
წარსულს აწმყოდან?!
ძველ წერილებში დასაწყისის არი ფინალი,
ძველ წერილებში დასასრულის დასაწყისია.
და რელიქვია, როგორც ასეთი,
სიახლოვისთვის გვჭირდება მხოლოდ.

მეორე გვერდი

შენში მიყვარდა სუყველაფერი,
ცალკე ტუჩები, ცალკე ხელები,
და ვაღმერთებდით ხშირად წერილმანებს,
უბრალოს, მაგრამ ჩვენთვის საყვარელს.

ჩვენს მეგობრობას, არა სარეცელს,
    სხვა ეშხი ჰქონდა და ჰარმონია,
მწოლიარენი ვსაუბრობდით შუადამემდე,
    ჩვენ საათობით ვსაუბრობდით ძალიან ხშირად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს მეგობრობა გულწრფელია
    და გულახდილი,
ეს კავშირია უმტკიცესი,
    თანაც პირველი,
ასეთ დროს ხშირად ივიწყებენ
    ბაგეს და ხელებს,
რომ მთელი ღამე იჩურჩულონ
    სანუკვარ განძზე.

ერთი წლის წინათ გავემგზავრეთ
    ჩვენ ჩრდილოეთში
და მივადექით ძველ ქალაქებს
    და ეკლესიებს,
ჩვენ ვირჯებოდით, შრიალებდა
    ირგვლივ სამყურა,
ჩვენს ნაკვალევზე ცახცახებდა
    მტვრიანი სხივი.

ჩვენი მგზავრობა ჩვენთვის
    იყო ბედნიერება,
პირველად ვნახეთ ველ-მინდვრები,
    მდელო, ხნულები,
კალაპოტიდან გადასული
    მდინარეები,
და სულ პირველად შევიგრძენით
    მიწის სურნელი.

მხოლოდ აქ ნახე
    ვარსკვლავებით მოჭედილი ცა,
მხოლოდ აქ ნახე
    მოწითალო ნაძვები გზაზე,
ნეტავი ადრე ჩრდილოეთ'ში
    რად არ წამომყე,
ვინ მიგაჩვია ფანჯრებიდან
    მიწის ყურებას?!

მოხდა ისე, რომ აქ ყოველდღე
    მიწვდიდი ხელებს,
მძიმე წუთებში ეგ ლიმილი

ჩემი ხსნა იყო,
მე შენ გისმენდი, როგორც მეკვლეს
და თანაზიარს,
ჩვენს მეგობრობას შენ ავსებდი
და ამაგრებდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახლს რომ დაშორდი,
მგზავრობაში უცებ დაიბენ,
და ყვავილებსაც შეჰყურებდი
გაკვირვებული,
შენ იცინოდი, შენ მღეროდი,
მე კი მეგონა
ტაშის დაკვრაზე შენ შეგეძლო
უმალ გეცქაკვა.

მახსოვს მზის ჩასვლა,
ბობოქარი მდინარის ტალღა,
სველ ნავზე დაგსვი, კარგად მახსოვს,
შიშველ მუხლებით,
ეკლესიაში თვალი დაგვრჩა
ბერძნის* ფრესკებთან,
ნახევრად სველნი ვსაუბროდით
ფერთა გამაზე.

ფრესკების ასაკს ვგრძნობდით
მხოლოდ საღებავებით,
წმინდანებს ვცნობდით სახეებით,
თეთრი თმა-წვერით,
მაღალ კამარას თავხედურად
ხელით ვწვდებოდით,
ჩამოვდიოდით დაბლა
მერყევ ხარაჩოებით.

შენ თანამგზავრი გახდი ჩემი
გულისხმიერი,
და ხშირად ჩემი გულისათვის
მწარე ლუდს სვამდი,
უგემურ საღილს მიირთმევდი
სიამოვნებით,

---

*იგულისხმება მხატვარი თეოფან ბერძენი (მთარგმნელის შენიშვნა).

და იძინებდი ისე ტკბილად,
    როგორც არასდროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამოგვეწია გზატკეცილზე
    ცუდი ამინდი
ვთქვი – დავისვენოთ, შენ კი უმალ
    განზე გადექი,
სოველ ასფალტზე
    ისე მარჯვედ აბაკუნებდი,
რომ გსურდა გეთქვა –
    დაღლილობა შენგან შორს იყო.

ჩემო კეთილო თანამგზავრო,
    რა ვუყოთ მერე,
რკინის საწოლთან იმეგობრებ,
    ველურ ხილსაც სჭამ,
ძალიან ტკბილად,
    ჩვენ ვიმგზავრეთ ძალიან ტკბილად,
ქარს გავატანეთ
    უსიამო მოგონებები.

ეს ჩვენ შევძელით სამწუხაროდ,
    ეს ჩვენ შევძელით,
უსიამოვნო დეტალების
    განსჯა გადავდეთ,
ძველი ტკივილი გონებიდან
    ვერ ამოვგლიჯეთ,
სიმშვიდე გვსურდა
    და ერთი დღეც ტკბილად დასრულდა.

მესამე გვერდი

მახსოვს დრო, როცა
    ხალხში ყოფნა ჩვენ არ შეგვეძლო,
ჩვენ ხელს გვიშლიდა
    უცხო ხმები, უცხო თვალები,
ნადიმზე, სადაც იყო ბევრი
    სმა და ხმაური,
თხუთმეტ წუთზე მეტს
    ვედარ ვძლებდით და მივდიოდით.

ლექციების დროს ჩვენ ვისხედით
განგებ შორი-შორს,
ვისაც რა უნდა წაეკითხა
მჭევრმეტყველებით,
ამაო იყო, ის ჩვენს მზერას
ვერ გათიშავდა,
რომლის გარეშე ჩვენი ყოფა
სიკვდილს უდრიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე კარგად მახსოვს შენ იჯექი
ერთხელ კრებაზე,
დიდხანს გიცადე, ატუზული
ვიყავ კარებთან,
ოღონდ შენი ხმა გამეგონა
რასაც ამბობდი,
სულერთი იყო ყველაფერი,
იტყოდი რასაც.

არც კი ვიცოდით
ჩვეულება თუ არსებობდა,
და ბევრი რამე წაკითხულიც
გადავივიწყეთ,
და ჩვენს სიყვარულს
აზრი უცებ გაეცლებოდა,
რომ ერთმანეთი
ყოველდღე არ აღმოგვეჩინა.

მიუგნებელი ბევრი იყო
ჩვენში დებული,
რომ მიგველწია
თვით შორეულ კუნჭულებთანაც.
ყველა წვრილმანი,
ცხადია, არ გაგვახსენდება,
ყველაფრისათვის არ გვეყოფა
დრო და სიტყვები.

მაგრამ შემდგომში დროც ვიკმარეთ,
სიტყვაც, გონებაც,
რომ შენი ლტოლვა
კალაპოტში ჩატეულიყო.
ყოველდღიური პროზა
ზოგჯერ გვაიძულებდა,
რომ დაღამებას შევხვედროდით
უერთმანეთოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულისნადების გამჟღავნებაც
შევძელით მერე,
დღეს ვსაუბრობდით ყველაფერზე,
რაც მოხდა გუშინ.
ეს ჩვევად გვექცა,
ისე, როგორც დილის საუზმე,
და დილაობით დროც გვყოფნიდა
სალაპარაკოდ.

ჩვენ სუყველაფერს
ვუმალავდით ადრე ერთმანეთს,
და ყველაფერი აღმოჩენა
იყო გვეგონა,
მაგრამ თანდათან გაფერმკრთალდა
ზოგი საგანი,
ყველაფრისათვის
მადლობასაც აღარ იხდიან.

ზოგჯერ წვრილმანიც გვიწამლავდა
დღეებს მხიარულს,
წინდაწინ ვგრძნობდი
როგორ ვჭამდი და როგორ ვსვამდი,
როგორ ვიცვამდი,
ვისწორებდი პერანგს, საყელოს,
როგორ ვჯდებოდი მაგიდასთან
და სხვა მრავალი.

მე და შენ – ორნი,
შეჩვეული თვალი და მზერა,
შემთხვევით სტუმრებს
ვმასპინძლობდით, როგორც
შეგვეძლო,
ორი წლის მერე სტუმრებს
თვითონ ვეპატიჟებით
და მეგობრებმაც მოუხშირეს
ჩვენთან სიარულს.

წუთისოფელზე ვკამათობდით.
დრო გადიოდა.
სტუდენტურ ჩაის ვსვამდით
დიდი სიამოვნებით.
ვაღიარებდით მერე,
როცა ვრჩებოდით მარტო,
"კარგია, მაგრამ ასე ყოფნა
უფრო ტკბილია".

რახან ასეა, მადლობა ღმერთს,
არის იმედი,
ეს იმას ნიშნავს,
კარგად ვუგებთ ჯერაც ერთმანეთს.
მე მახსოვს ის დღე,
როცა ჩვენი ერთად ცხოვრება
მიეხვდი, საფოსტო მარკასავით
დაღდასმულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე იყო უქმე.
ვსაუბრობდით ძალიან დიდხანს,
გაბუტულები
დავსხედით ცალ-ცალკე.
ჩვენ შევეჯახეთ
მოსაწყენ და უსახურ საგნებს,
და სულ პირველად
შევეფეთეთ სიცარიელეს.

აღარაფერი გვეთქმოდა უკვე,
ალბათ ამიტომ ვდუმდით ორივე.
ძილი ადრეა.
გვეზარება ლოგინის გაშლა,
დათქმულებივით
ერთდროულად მივწვდით ტელეფონს,
მეგობართაგან
ვინმე სტუმრად რომ მოგვეწვია.

მოვიდნენ კიდეც.
ვყაყანებდით შეუსვენებლივ.
ავაყირავეთ დგამ-ავეჯი
და ჯამ-ჭურჭელი.
ვცდილობთ გავერთოთ,
რომ დარდები გადავიყაროთ,
მაგრამ ამაოდ,
ისევ ისე ერთზე ვფიქრობდით.

სტუმრებში გვსურდა
სიმშვიდე და შვება გვეპოვა,
ბედნიერებას ჩვენსას
ვთმობდით ჩვენივე ხელით,
მოწყენის შიშით
ვაყოვნებდით სტუმრებს ჯიუტად,

ბოლოს წავიდნენ.
    ისევ ისე დავრჩით მარტონი.

ამის შემდეგაც, კიდევ ბევრჯერ
    ტკბილად ვიყავით,
ერთად ვშრომობდით,
    საკუთარ ბედს არ ვემდუროდით.
მაგრამ მახსოვდა
    და შენც ამას არ ივიწყებდი,
შემთხვევას, როცა
    ერთმანეთი აღარ გვინდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ამას ვგრძნობდით
    და ვხვდებოდით მშრალი თვალებით,
კარგად ვიცოდით
    კაცი ხსოვნას ვერ გაექცევა,
როცა სურვილი დაყრუვდება,
    დასასრულია,
ჩვენი ტკივილი დავაყუჩეთ
    სხვათა ყვირილით.

მეოთხე გვერდი

ვიწრო ოთახი,
    უსაშველოდ გარინდულ კედლით,
დანჯღრეულ საწოლს
    ვერ იტანდი თანდათანობით,
გადმოდიოდი ჩემთან,
    ისიც მხოლოდ ძილის წინ,
დილდილაობით
    არასოდეს არ მოდიოდი.

გძულდა ოთახი,
    ჭუჭყიანი ჭურჭლების გამო,
კიდევ იმიტომ, რომ
    არ იყო თეთრი და თბილი,
ვიწრო ფანჯრები
    და ჩამჭრალი ცივი ღუმელი,
გვახსოვდა, რომ ეს
    დროებითი იყო ყოველი.

მაშინ მეწყინა
    და დროებით მოვწყდი სამსახურს,

ნოხი დავკიდე,
ფანჯარაში მინები ჩავსვი,
გაუწაფავი ხელით
ირგვლივ ვარჭობდი ლურსმნებს,
მინდოდა გეგრძნო
მყუდროება, სითბო, სიმშვიდე.

ამაო იყო ჩემი გარჯა,
ცოტათი დათბა,
ისევ მოწყენა,
ისევ ისე უკმარისობა.
ვიწროდ ვართ, მაგრამ
შვიდი მეტრი ჩვენი ოთახი
სიყვარულის დროს
ორისათვის ცოტაა განა?!

ჩვენ ლეკვებს ვგავდით.
ბევრი რამე გადავიტანეთ.
ერთად ვიგრძენით
სივიწროვე რომ არ გვბოჭავდა.
ნათელი გახდა
ცოტა კმარა სიყვარულისთვის,
ძნელი ყოფილა შენთან ერთად
მუდამ ცხოვრება.

ჩვენ ამ სენაკში ვიზეპირეთ
ბევრი "საკითხი",
ღუმელს ჩვენამდე
ვერ მოჰქონდა საჭირო სითბო,
შენ ამოწმებდი ჩემს ნახაზებს,
გამოთვლებს, ციფრებს,
გავლილ მასალას
ჩემთან ერთად იმეორებდი.

მე ამას წინათ იქ ვიყავი,
კედელზე ვნახე
შენი ხალათი, დაგრჩენია
უცებ წასვლის წინ.
მოღრეცილ ლურსმნებს,
იმ კედლებში რომ ჩაგვისვია,
კბილით უჭირავთ
პატარა და მტვრიანი ჩარჩო.

რაც იყო გუშინ,
მოგონება ნაადრევია,

ხშირად გვიჭირდა
    და ხელმოკლე ცხოვრება გვქონდა.
ის ჩარჩო მე შენ
    დაბადების დღეზე მაჩუქე,
ჩარჩოში შენი სურათები
    მქონდა ჩასმული.

ოცი სურათი სხვადასხვა
    დროს გადაღებული,
დედიშობილა... ორი წლისა...
    აი ნაწნავიც...
შემდეგ მაღალი,
    ჭკვიანი და სერიოზული,
მარცხნივ კუთხეში –
    პირველად რომ გნახე, ისეთი.

ეს სურათები ვის იმედზე
    დავტოვე ნეტავ?
კედელს ჰკიდია ძველებურად,
    თითქოს აქ იყო,
დასასრულია, როცა
    ძველი სურათი გათბობს,
სულში კი ისევ
    სიცივე და სიმარტოვეა.

მეხუთე გვერდი

რაკი დავშორდით,
    დავრჩით ასე დადუმებულნი,
ვგრძნობდით ორივე,
    რომ ცხოვრება ისევ წინ არი,
მწარე წერილით
    თითქოს ხუფი ავხადე ნაღველს,
რადგან მახსოვხარ,
    კვლავ ვიყვირო მინდა – მოიცა!
ღმერთმა დამწყევლა,
    რომ ორივეს ცოდვები ვზიდო,
ვარ მარტოსული,
    მსურს ვიყვირო "რისთვის" და "რატომ"?
ჩამოდი, დავსხდეთ
    და უსიტყვოდ გავლიოთ ღამე,

მოწყენილობა
    მარტოობის საწინდარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიყვარულისთვის მზად იყავი
    გაიღო მსხვერპლი,
ბედნიერების მერე
    მოჩანს სიცარიელე,
ყველა რომანი ქორწინებით
    მიტომ მთავრდება,
რომ არ იციან,
    ცხოვრება გმირს საით წაიყვანს.

რად მოვიწყინე?
    ეს ცხოვრება ნუთუ მომწყინდა?
ჩიტები ისევ ჭიკჭიკებენ
    მწვანე მდელოზე?
ხელში მიპყრია
    ყველა საქმის ავან-ჩავანი,
იქნება ვძლიო საკუთარ თავს
    საქმით გართულმა?!

შეუვალი ხარ,
    ქვითკირივით გაუტეხარი,
ძველ "მაღვიძარას"
    დააყენებ ყოველთვის შვიდზე.
მიდგები საქმეს
    და ზოგ რამეს გადაივიწყებ,
გადაივიწყებ
    და არასდროს არ გაიხსენებ.

ბოლო დროს უფალს
    ცხელი დარდი მოჰქონდა ჩემთან,
წარსული წლები
    ცხრა მთას იქით გაუჩინარდა,
ნეტავი მეგრძნო მკლავში ძალა
    და მუხლში ღონე,
რომ სურვილებით ვიყო სავსე,
    ყოველ ცისმარე!

ვარ ნაღვლიანი,
    ამიტომ გწერ მოკლე წერილებს,
მე მათში ვატევ
    ნაღველსა და მხიარულ წუთებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მძიმეა, რადგან
    უზარმაზარ სამყაროს იტევს,
როგორც იტყვიან,
    სასწორზე არ აიწონება.
გადავიკითხავ, ჩავასწორებ
    და ვმარჩიელობ,
იქნებ არ ღირდეს,
    გავაგზავნო? არ გავაგზავნო?
მე ამ ფურცლებით
    ვიცრიცები და ვიფლითები,
იმ სამად სამი სიტყვისათვის
    "მე არ მიყვარხარ"!

რომ არ მიყვარდეს,
    არც ეს ლტოლვა არ გაჩნდებოდა,
ეს დამღუპავი
    უძილო და უცვეცხლო ღამე,
მე რომ მეგონა დავივიწყე,
    ჯერ კიდევ მახსოვს,
წასვლა მსურს, მაგრამ
    ვიდრე წავალ, ვთხოვ არ გამიშვან.

ვიღებ ტელეფონს,
    ცოტაც კიდევ, უნდა ავკრიფო...
გამოვიძახო დისპეტჩერი,
    მოსკოვი ვთხოვო,
წუთი — მანეთი.
    ვფიქრობ, ჩემთვის ძლიერ იაფია,
იმ სიტყვებისთვის,
    ურომლისოდაც ვერ ვიცოცხლებდი.

შენი ხმა მომწვდეს,
    უმალ ვიგრძნობთ ერთად ორივე,
რომ დასასრული
    ჯერ შორს არის, მხოლოდ ჩვენზეა.
ერთმანეთისკენ, უნდა ვცადოთ
    და გავეშუროთ,
რათა ერთმანეთს შევხვდეთ
    თუნდაც ბალაგოვოში.

თუკი წასვლაა — წასვლა იყოს,
    მეტი რა ძალმიძს,
მე დაგირეკავ, რომ ყველაფერს

ზღვარი დაედოს,
მე სასტუმროში ხის საწოლზე
ვწევარ გულაღმა,
მე ჩრდილოეთის "ექსპრესს" ვუცდი
და ფიქრებს ვზღუდავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალებში მიმზერ
და ჩემს ლამაზ აზრებს კითხულობ,
რომ მარადიულ სიყვარულთან
დაისადგურო,
ხელი ჩააცლო საყელოში
და არ გაუშვა,
და რაც დღესავით ნათელია,
მე არ ვიცოდი.

კი არ წავედი.
არ გიშვებდი და გაკავებდი.
აქ ჯობდა ალბათ,
ვიცხოვრებდით ჩვენ აქ დიდი ხნით,
მე საამისოდ
რეცეპტები ვინ მომაშავა,
რომ სიყვარულის საგუშაგოდ
ვიდგე დღე და ღამ?!

ო, არა, ჩემო მეგობარო,
არ დაგირეკავ,
ჩვენ სუყველაფერს ერთად ვწყვეტდით,
ძალზე ადვილად.
ჩუ! არ იტირო!
მალე გავა მატარებელი,
კიდევ კარგი, რომ დღეს შენ
ჩემგან ძლიერ შორსა ხარ.

რაც მართალია, მართალია,
მეც მიმძიმს წასვლა,
როგორც ყოველთვის,
სამსახური მიხმობს ამჯერაც,
ადამიანი ცოცხლობს
თ'ეკი ძალუძს ი'შრომოს,
ვინც ხელს გაანძრევს,
ის წყალ'ში არ ჩაიძირება.
რატომ ვარ ასე მოწყენილი და სევდიანი?!

ამით წყდებოდა წერილები
    და მე ვიგრძენი,
ჩემს ირგვლივ როგორ
    გროვდებოდა სიცარიელე.
ჯიბეში როგორ მალავს ბილეთს
    მაგარ ვაგონის
და მურმანსკის
    "პოლარულ ისრით"
ჩრდილოეთში მიემგზავრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილებს მოვწყდი
    და გავედი მე მორიგესთან.
პორტიეს ვკითხე
    თავაზიან მობოდიშებით:
თქვენ ხომ ვერ მეტყვით
    მის მისამართს ანდა მის ქალაქს,
კაცი, რომელიც ჩემს ნომერში
    ცხოვრობდა გუშინ?!

– არ შემიძლია.
    უცნაური ხალხია, ძმაო,
ეპყრა ხელჩანთა,
    საღამო ჟამს
მოვიდა ჩვენთან
    და როცა ვკითხე
ვინ იყო და სად მიდიოდა,
    მცირე პაუზით მიპასუხა, რომ
არც მან იცის.

1938 წ.

სლავომირ მროჟეკი

პოლიცია

(უანდარმერიის ცხოვრებიდან)

პიესა, "პოლიცია", მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდის მიერ ჩატარებულ დახურულ კონკურსში გამარჯვებულია. სამომავლო რეპერტუარში რამდენიმე თეატრმა შეიტანა კიდეც...

პ ო ლ ო ნ უ რ ი დ ა ნ

თარგმნა ჯემალ ჯელიძემ

მოქმედი პირები:

პოლიციის უფროსი.
პატიმარი – (ყოფილი მეამბოხე, შემდგომში გენერლის ადიუტანტი).
პოლიციის სერჟანტი – (პროვოკატორი, შემდგომში პატიმარი).
სერჟანტის მეუღლე.
გენერალი.
პოლიციელი.

მოქმედება პირველი

პოლიციის უფროსის კაბინეტი. აუცილებელი რეკვიზიტები: ბიურო, ორი სავარძელი. შესასვლელიდან კარგად მოჩანს ყოველივე. კედელზე ორი სურათია: ინფანტი – (საბავშვო ეტლში, ან XIX საუკუნის მეშჩანის ბავშვის სურათი), მეორე – რეგენტის, (ულვაშიანი საშინელი მოხუცის სურათი). ყველას, ვინც კი დაკავშირებულია პოლიციასთან, დიდი ულვაშები აქვს, პატიმარ კონსპირატორს კი – ბლანჟე – XIX საუკუნის მოდისა. ყველა პოლიციელს ყელიანი ჩექმა აცვია და ხმალი ჰკიდია. მაღალსაყელოიანი სამოსი აცვია. პროვოკატორს

– სამოქალაქო პიჯაკი მოკლე და კარგად მორგებული. მუნდირის რკინის ღილები, საუცხოოდ ბრჭყვიალა. მუნდირი მუქი ბროწეულის ფერი.

პოლიციის უფროსი – **(ბიუროსთან დგას და რაღაც დეკლარაციის კითხვას ამთავრებს)** მეტი არაფერი. მე ხელი ავიღე დანაშაულებრივ მოღვაწეობაზე, ამის შემდეგ ემსახურები მთავრობას არაჩვეულებრივი გულმოდგინებით, სრულად ზოგავ ჩემს ძალებს, სიყვარულითა და დიდი სურვილით ვესწრაფვი... **(ჯდება, წერილს დაკეცავს და უნდა რომ შეინახოს).**

პატიმარი – ნუ ინახავთ, უფროსო, ხელს მოვაწერ.

პოლიციის უფროსი – როგორ?

პატიმარი – უბრალოდ. ხელს მოვაწერ.

პოლიციის უფროსი – რატომ?

პატიმარი – რატომ? 10 წლის განმავლობაში, ყოველი დღე, დამკითხავ-ხოლმე, მაძალებთ, რომ ამ დეკლარაციას ხელი მოვაწერო, მკაცრ პირობებში მამყოფებთ და სულ მაშინებთ რალაცრალაცებით. ახლა, როცა მზად ვარ, რომ მას ხელი მოვაწერო, რათა განვთავისუფლდე პატიმრობისაგან და საზოგადოების საპატიო წევრი გავხდე, თქვენ ეს გიკვირთ და მეუბნებით: "რატომ უნდა მოაწერო"?

პოლიციის უფროსი – რა ვიცი, ასე მოულოდნელად...

პატიმარი – გარდატეხის ხანა დამიდგა, უფროსო.

პოლიციის უფროსი – როგორი ხანა?

პატიმარი – შინაგანი... აღარ მინდა მთავრობას ვებრძოლო.

პოლიციის უფროსი – როგორ თუ აღარ გინდათ?

პატიმარი – დავიღალე. ახლა სხვამ იბრძოლოს. იქნება საზღვარგარეთის აგენტმა, არ ვიცი. მე აღარ მინდა. მე ჩემი საქმე უკვე გავაკეთე.

პოლიციის უფროსი – **(მოწყენილი სახით)** – შენგან ამას არ ველოდი... ქვეყანაში ყველაზე ძველი, ყველაზე ცნობილი პოლიტიკური პატიმარი ამბობს ამას?

პატიმარი – დიახ, ბატონო უფროსო. მითხარით, მართალია, რომ მე უკანასკნელი პატიმარი ვარ ქვეყანაში?

პოლიციის უფროსი – **(ყოყმანის შემდეგ)** უკანასკნელი...

პატიმარი – ხედავთ, ყველა დარწმუნდა იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველას სჯობს. ყველა ჩემმა ამხანაგმა და კოლეგამ მოინანია და სახლში წავიდა. დასაპატიმრებელი არავინ დარჩა. მე უკანასკნელი მეამბოხე ვარ, მაგრამ თითქმის უკვე ფილატელისტი.

პოლიციის უფროსი – ხედავ, როგორ აჭიკჭიკდი? მაშ ის ვინ იყო, ბომბა რომ ესროლა გენერალს?

პატიმარი – ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, უფროსო,

გარდა ამისა, ბომბა ხომ არ აფეთქდა? ღირს ამის გახსენება?

პოლიციის უფროსი – ვეღარა გცნობთ. მთელი ათი წელი უარს ამბობდით ჩვენებაზე. მთელი ათი წელი კაცურად და შესანიშნავად გეჭირათ თავი. ათი წლის განმავლობაში აფურთხებდით ჩვენს **(ფეხზე დგება და სამხედრო სალამს იძლევა)** – ინფანტსა და მისი ბიძის – რეგენტის სურათებს. ათი წლის განმავლობაში თავი კაცურად გეჭირა და ახლა...

პატიმარი – მე მივხვდი, რომ ყოველივე ამას აზრი აღარ ჰქონდა. იქნებ გამეგრძელებინა კიდეც ბრძოლა, ასე მარტოსული რომ არ ვყოფილიყავი, მაგრამ საკმარისია დავფიქრდე, იმაზე, რომ ჩვენი მშვენიერი, ბარაქიანი ქვეყანა, დიდი ხანია უკვე, როგორც ერთი, ისე ყველა დიდების ჰიმნს უმღერს **(სამხედრო სალამს იძლევა)** ჩვენს ინფანტსა და მის ბიძას რეგენტს, მიტომ, რომ ციხეები დაცარიელდა, მხოლოდ მე... არა, ბატონო უფროსო, უკვე მთელი ხალხი მთავრობას უჭერს მხარს, ერთიანია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შესანიშნავი მთავრობა გვყავს. ესაა და ეს!

პოლიციის უფროსი – ჰმმმ... ჰმმმ... ჰმმმ...

პატიმარი – გისმენთ!

პოლიციის უფროსი – **(დგება, ოფიციალურ სახეს იღებს)** – კარგი, სიამოვნებით ვიღებ აღიარებას ქვეყნის მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგისგან. კარგი, მე დავინახე შენი გარდატეხა, რომელიც ჩვენი ციხის გავლენითაა გამოწვეული, მაგრამ მაინც მინდა დავრწმუნდე იმაში, რომ ეს გარდაქმნები მართლაც სიღრმისეულია. **(ჯდება; გულში ჩამწვდომად)** რატომ, მაინც ასე უცბად რატომ მიხვედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი მთავრობა შესანიშნავია?

პატიმარი – ნუთუ ვერ ხედავთ, ბატონო უფროსო, ჩვენს ქვეყანას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევია! ჩემი საკნის ფანჯრიდან შესანიშნავი მდელო მოსჩანს, რომელიც ყოველ გაზაფხულზე ჰყვავის. ზაფხულში იქ გლეხები თიბავდნენ ბედნიერი სახეებით, რასაც მე მთელი ათი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი. რაც წლიდან წლამდე უფრო კარგად ჩანდა.

პოლიციის უფროსი – ფანჯრიდან ცქერა აკრძალულია კანონით.

პატიმარი – კი, მაგრამ, მე ხომ იდეურ-ამღზრდელობითი მუშაობის მიზნით... და, ეს კიდევ არაფერი, ბატონო უფროსო. მდელოს იქით – ტყეა, ტყის იქით, სულ ახლახანს ქარხანა ააშენეს. მის მილს ვხედავ, რომელიც ხშირად ბოლავს ხოლმე.

პოლიციის უფროსი – ეს კრემატორიუმია.

პატიმარი – მერე რა? თქვენის აზრით, მიცვალებულები უნდა მიწას მივაბაროთ, როგორც ადრე, ასი წლის წინ ვაკეთებდით? არა, ყველა, მორწმუნეს თუ ათეისტს აქვს უფლება

თავისი სხეული ისე მოიხმაროს, როგორც მას სურს. რასაც თქვენ ამბობთ ეს მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველასთვის სინდისის ფართე თავისუფლებაა. ასევეა რელიგიის სფეროშიც.

პოლიციის უფროსი – დიახ...

პატიმარი – თუნდაც, კულტურა და ხელოვნება ავიღოთ, ისინი მარად ფართოვდება და ღრმავდება. მათი მიღწევები კარგად შესამჩნევია, და ენთუზიაზმს გვინერგავენ.

პოლიციის უფროსი – დიახ, მართალია. ამის უარყოფა არ შეიძლება.

პატიმარი – ხომ ხედავთ?

პოლიციის უფროსი – სამსახურში ვარ და ჩემი საქმეები ვერ მომიგვარებია, იმის თქმა მსურს, რომ შენი გარდატეხა იქნებ მოუფიქრებელია? იქნებ სამყაროს ვარდისფერი თვალებით უყურებთ? იქნებ კიდევ რაიმე გაეჭვებთ, იქნებ ყოყმანობთ? ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება მრავალმხრივია... ავიღოთ თუნდაც ჩვენი რკინიგზა...

პატიმარი – არავის, თუნდაც ჩვენს ბოროტ მტერსაც არ შეუძლია იმის თქმა, რომ ჩვენთან, მატარებელი, როგორც მოვლენა, არ არსებობდეს! **(პაუზა. პოლიციის უფროსი და პატიმარი ერთმანეთს თვალებში უყურებენ. პოლიციის უფროსი დგება და მაგიდის წინ დუმილით ბოლთას ცემს. შეჩერდება. ერთ წამს ინფანტისა და მისი ბიძის – რეგენტის სურათებს შესცქერის. პატიმარიც მას მიბაძავს, თითქოს პინგ-პონგის ბურთს ადევნებსო თვალს).**

პოლიციის უფროსი – აბა ახლა... **(ხელით მიანიშნებს სურათებზე)** ამათზე რაღას იტყვით, ამის შესახებ **(მოუთმენლად)**, აბა, თქვენი აზრი...

პატიმარი – მე თქვენი არ მესმის, ბატონო უფროსო!

პოლიციის უფროსი – **(გაღიზიანებული)** – თურმე რაშია საქმე! მე ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გენერლისათვის ბომბი კი არა, ფუნთუშა გისვრიათ, მითხარით, არასდროს გიფიქრიათ, რომ **(დგება, მხედრული სალმით)**... რეგენტი, ჩვენი ინფანტის ბიძა, **(ყურადღებით)** კრეტინია?

პატიმარი – **(ნაწყენი, წამოდგება)** – ბატონო უფროსო!

პოლიციის უფროსი – **(თავშეკავებით)** – კეთილი, რა თქმა უნდა, კრეტინი არ არის! რა თქმა უნდა. არა, **(დადის, ბოლთას ცემს)** ეს კი, რაც შეეხება მის აზრებს... მაგრამ გამოტყდით, ჭკვიანსაც აქვს თავისი სისუსტე. ასე ხდება. **(შეჩერდება. მიაჩერდება პატიმარს. თვალს ჩაუკრავს. პატიმარი არ რეაგირებს. პოლიციის უფროსი ახლოს მიდის და კიდევ ჩაუკრავს თვალს ძალიან შესამჩნევად და მნიშვნელოვნად. თავსაც კი დაუქნევს, თითქოს უნდა, რომ თვალებით შეჭამოს. პატიმარი გვერდზე გაიხედავს,**

თითქოს და ეს თვალის ჩაკვრა სხვას ეხებოდა და არა მას. პაუზა).

პატიმარი – რატომ ჩამიკარი თვალი, ბატონო უფროსო?

კოლიციის უფროსი – **(თვაშეკავებულად)** – სრცხვილი შენი?! ძველი კონსპირატორი არა ხარ?! რა შეკითხვებს მაძლევ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმარი – დიახ, სწორედ გამახსენეთ. მაგრამ, ღმერთო ჩემო, მართალს ვამბობ, რომ აღარ მახსოვს თვალის ჩაკვრა რას ნიშნავს. თუმცა რაღაც მახსენდება... მგონი ჩვენს ინფანტსა და მის ბიძას ეხება. მაგრამ... თუ ღმერთი გწამთ, გამახსენეთ რა!

კოლიციის უფროსი – ხომ არ ფიქრობ, რომ ჩვენი რეგენტი – ბებერი მახინჯია?

პატიმარი – ის... კეთილშობილური მოხუცი?!

კოლიციის უფროსი – **(ისევ ბოლთას ცემს ოთახში)** – კარგი, კარგი... **(შეჩერდება)** – პოლიციის მთავარი შტაბბინის სახელით **(ხელს გაუწვდის, პატიმარიც შეაგებებს)** – გარდატეხას გილოცავთ! მაგრამ სრულიადაც არ გვიხარია ეს ამბავი. ახლა შემიძლია სრულიად გენდოთ, როგორც მე, ისე სხვაც. თქვენ ამბობთ, რომ ისე არ ფიქრობთ რეგენტზე? მაგრამ ზოგჯერ ადამიანი ფიქრობს, რომ ესე არ ფიქრობს, როგორც ფიქრობს, სინამდვილეში, რას იტყვით, ა?

პატიმარი – დიახ, მართალი ხართ, ბატონო უფროსო, ხანდახან მგონია, რომ ჩვენ ესე არ ვფიქრობთ, როგორც ვფიქრობთ, სინამდვილეში. აზრი ეს ძალაა, ბატონო უფროსო.

კოლიციის უფროსი – **(საეჭვოდ, ცივად, ეჭვის თვალით და ცნობისმოყვარედ)** – მხოლოდ მაშინ, თუ ის ადამიანის სამსახურშია.

პატიმარი – სწორედ ასეა!

კოლიციის უფროსი – **(უგულოდ)** – კარგი, ახლა ჩვენს ინფანტს შეხედეთ, რა პატარაა, არა?

პატიმარი – როგორც ყველა ბავშვი.

კოლიციის უფროსი – იქნებ იმის თქმა გსურთ, რომ ის ნაგავია, ა? არაფრის მაქნისი!

პატიმარი – დამიჯერეთ, მე მოვიცილე ჩემი ანტიხალხური შეხედულებანი. ასე შეიძლება?! არა, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ინფანტი – აღგვაფრთოვანებს. **(დაღლილი პოლიციის უფროსი ჯდება. პატიმარი ინიციატივას ხელში იღებს, მიჩოჩდება სკამიანად მაგიდასთან, ტონი უფრო ფამილარულია)** – დამიჯერეთ, ბატონო უფროსო, მე მთლიანად და საფუძვლიანად ხელი ავიღე ანტისახელმწიფოებრივ შეხედულებებზე. ორი მიზეზია: შინაგანი და გარეგანი. გარეგან თვისებაზე უკვე გელაპარაკეთ, ქვეყანა არაჩვეულებრივად იფურჩქნება და საყოველთაო სიკეთე ჩვენი... გადა-

შალეთ რომელი გაზეთიც გსურთ, ირგვლივ მიმოიხედეთ, რას დაინახავთ?! კოლოსალური მიღწევებია ყველა სფეროში. ნუთუ ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ?! აი, მაგალითად, აეიღოთ თქვენი ხელფასი, აბა? განა ეს მიღწევა არ არის?! გეფიცებით, ენთუზიასტი გავხდი. მაგრამ, ჩემი გარდატეხის მთავარი მიზეზები მაინც შინაგანია. ბავშვობიდან არ ვიცოდი, რა [illegible] ლისიპლინა და წესრიგი, მარტო თავისუფლება, თავისუფლება და თავისუფლება. რაც თავი მახსოვს, ჩემთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა წინააღმდეგობა ყველაფრისა და ყველა ავტორიტეტის მიმართ, მაგრამ თანდათან, ზრდასთან ერთად, იმ დასკვნამდე მივედი, რომ არსებითად, შეზღუდული ადამიანი გახლავართ. მე თავისუფალ მეამბოხესა და თავგამოდებულ მტკიცე კონსპირატორს, მიჩნდება კითხვები საკუთარ თავთან, რატომ მომისპო ჩემმა მჭვრეტელობამ ის სიხარული, რომელსაც ყველა ნორმალური ადამიანი გრძნობს. ემორჩილებიან რა ბრძანებებს, ლოიალური დამოკიდებულება გააჩნიათ მთავრობასთან და სიამ-ტკბილობაში არიან ერთმანეთში. ჰოდა, მივხვდი, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ დამიკარგავს. ახლა ვიცი, რომ ჩვენი ინფანტის და მისი ბიძის რეგენტის მთავრობა **(ორივე იჭიმება – მხედრული სალმის მდგომარეობაში)** ისეთივე ბრძენია, როგორც მე და თქვენ ვართ. ეს მე ღრმა კმაყოფილების გრძნობით მავსებს. მე – უკანასკნელი ჭუჭყიანი ლაქა ვარ ჩემს აყვავებულ სამშობლოს ლაჟვარდოვან ცაზე. ჩემს გამოა, რომ მთელი პოლიციის შტატს ინახავენ და არ შეუძლიათ ასეთი შესანიშნავი პოლიციელები დაითხოვონ და სახლებში გაუშვან, და ყველა ციხე საბავშვო ბაღებად გადააკეთონ. აი, თქვენც, ბატონო უფროსო, ჩემს გამოა, რომ იტანთ ამ დახუთულ დაწესებულებაში ყოფნას, გაიხადეთ მუნდირი და წადით მინდორში, ტყეში სანადიროდ ან სათევზაოდ! ვაღიარებ: თქვენ გაიმარჯვეთ! ქვეყნის მთავრობის უკანასკნელი მოწინააღმდეგე ფარ-ხმალს ჰყრის. დღეს თქვენი გამარჯვების დღეა, დაიმსახურეთ გვირგვინი იმ საქმისათვის, რომელსაც მთელი თქვენი ცხოვრება ემსახურეთ. დღეს განთავისუფლდები და ღია წერილს გავუგზავნი ინფანტსა და მის ბიძას რეგენტს. ყველაზე დიდი ნდობისა და სიყვარულის წერილს, რომელიც კი მას ოდესმე მიუღია.

პოლიციის უფროსი – თქვენ თქვით, რომ აქ, ჩვენთან გახდით მგზნებარე ფილატელისტი...

პატიმარი – არ ღირს ამაზე ლაპარაკი.

პოლიციის უფროსი – კარგად აწონ-დაწონეთ. მართლა გინდათ, რომ მიგვატოვოთ? ჩვენ კი შეგვიძლია უცბად ყელამდე აგავსოთ საფოსტო მარკებით. ჩვენი აგენტები ბევრ ეგზოტიკურ ქვეყანაში მუშაობენ – ისენი თავიანთ სამუშაოს შესახებ ბარათებს გვიგზავნიან. ჩვენ შეგვიძლია კონვერტებს მოვაძროთ მარკები და თქვენ მოგცეთ. თავისუფლებაში თქვენ ასეთი

პირობები რომ გაგიჩნდეთ, ძალიან მეპარება ეჭვი **(შემოდის პოლიციელი).**

პოლიციელი – სერჟანტი დაბრუნდა.

პოლიციის უფროსი – შემოვიდეს. **(პოლიციელი გადის. შემოდის სერჟანტი, რომელსაც აცვია საწვიმარი და მწვანე შლიაპა ახურავს. ფეხზე ძლივს დგას. ერთი თვალი ჩალურჯებული აქვს. სერჟანტს მიმართავს)** – გტკივათ? **(სერჟანტი დასტურის ნიშნად თავს უქნევს და ჩალურჯებულ თვალზე ცხვირსახოცს იფარებს)** – მომახსენეთ!

სერჟანტი – ხალხმა მცემა, როცა ვცდილობდი, რომ ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებები გამევრცელებინა.

პოლიციის უფროსი – კონკრეტულად ვინ იყო, ვინ გცემა?

სერჟანტი – ინფანტისა და მისი ბიძის რეგენტის მიმართ ლოიალურად განწყობილმა პირებმა...

პატიმარი – ხომ ხედავთ, მართალი ვიყავი, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – გთხოვთ, ხელს ნუ გვიშლით? სერჟანტო, ყველაფერი თანმიმდევრობით მოგვახსენეთ.

სერჟანტი – თქვენი დავალების მიღებისთანავე, უმალვე შევუდექი მის აღსრულებას. სამოქალაქო ტანსაცმელი ჩავიცვი, თუმცა მინდა ხაზი გავუსვა, რომ ვერ ვიტან სამოქალაქო ტანსაცმელს, შემდეგ გავედი ქუჩაში და გამომწვევად ვიქცეოდი. ვყვიროდი ანტისახელმწიფოებრივ ლოზუნგებს, მაგრამ მე ყურადღებას არავინ მაქცევდა. შემდეგ მოედანზე გავედი და ინფანტისა და მისი ბიძის რეგენტის მონუმენტებთან ღრეჯა დავიწყე **(წამოდგება, წელში სწორდება, მხედრულ სალამს იძლევა, შემდეგ ისევ ჯდება),** არც მაშინ მომაქცია ვინმემ ყურადღება, ვერც შემნიშნეს. მაშინ კარვის წინ ლუდის რიგში ჩავდექი. ჩვენი უბრალო ადამიანები მეხვია ირგვლივ. სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორ წამომეწყო საუბარი, და ბოლოს მივხვდი. როცა ჩემი რიგი მოვიდა, გამყიდველს ვუთხარი: "ორი კათხა ლუდი მინდა, ერთდროულად". მან მიპასუხა: "რომელი, მუქი თუ ღია"? აი, მაშინ კი დრო ვიხელთე და მივუგე: "ჩემთვის სულერთია, ისედაც ჩვენი სოფლის მეურნეობა კატასტროფის წინაშე დგას, უფსკრულში მიექანება, ამიტომ, ვინც ვერ იპარავს, შიმშილით სული სძვრება"! მაშინ, ჩემს უკან მდგომი ხალხიდან სამი პიროვნება მომიახლოვდა და მკითხა, ხომ არ შეიშალე, თუ გესმის, რასაც ამბობ! მე ვუპასუხე, ძალიან კარგად მესმის და არც შეშლილი ვარ-მეთქი! მაშინ ერთ-ერთმა მათგანმა ხელი მკერდზე ჩამჭიდა და მითხრა, მე სახელმწიფო მოხელე ვარ და არავის მივცემ ინფანტისა და მისი ბიძისთვის შეურაცხყოფის მიყენების უფლებასო. მაშინ მე ჩვენი საგარეო ვაჭრობისა და საერთოდ, პოლიციის შესახებ ვთქვი ისეთები, განსაკუთრებით კი საიუდუმლო პოლიციის შესახებ გავამახვილე

ყურადღება, მაშინ კი ვიღაც ლაწირაკი მეძგერა, ყურში მთხლიშა და დაიყვირა: "ეი, შენ, გარეწარო, თუ ასე ლაპარაკობ პოლიციაზე, მაშინ ჩვენს არმიაზე რაღას იტყვი, ამას კი ველარ მოვითმენ, შემოდგომით ჯარისკაცად უნდა გამამწესონ"! ამ დროს ვიღაც მოხუცმაც დამიყვირა. მაშინ მივხვდი, რომ საქმე ცუდად იყო, და გადავწყვიტე, ბოლომდე მიმეყვანა საქმე. თქვენ კარგად მიცნობთ, ბატონო უფროსო, როცა საქმე სამსახურს ეხება, უკან არაფრის დიდებით არ დავიხევ. დავიწყე ლაპარაკი ჩვენი გადასახადებისა და მედიცინის შესახებ... და, ბოლოს, პირადად ინფანტსა და მის ბიძას – რეგენტს გადავწვდი. აი, მაშინ მოხდა, რაც მოხდა!!! "ო, შენი... ძაღლის შვილო! – **(ერთხმად იყვირეს)**, შენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ჩვენი საყვარელი ბელადების გინება"! და ყველა ერთად დამესია...

პატიმარი – ბრავო! აი, რას ნიშნავს აქტიური ადამიანები!

სერჟანტი – როცა მირტყამდნენ, ორ რამეს განვიცდიდი. გრძნობა მქონდა: ჯერ ერთი, მწყინდა, რომ დღეს კიდევ ვერ შევძელი პროვოკაციაზე წამომეგო ვინმე, მეორე კი – ძალიან მეამაყებოდა, რომ ჩვენი მთავრობა ხალხს ასე უყვარდა.

პატიმარი – **(თავისთვის, აღფრთოვანებით)** შესანიშნავი ქვეყანაა, შესანიშნავი ხალხია!

პოლიციის უფროსი – თქვენ მეავე წყალი მოგიხდებათ.

პატიმარი – ბატონო უფროსო, სერჟანტის მონაყოლმა ბევრ რამეში სრულიად დამარწმუნა. სურვილი მკლავს, სწრაფად მოვაწერო ხელი დეკლარაციას. აბა, სად არის?! სწრაფად, მომეცი კალამი და მელანი!

პოლიციის უფროსი – თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა?

პატიმარი – ვერაფერი დამაკავებს ამ ნაბიჯის გადადგმაში! მე ხელს ვაწერ.

პოლიციის უფროსი – მაშ, მარკებზე უარს ამბობ, არა? შენც ფილატელისტი გქვია, რა!

პატიმარი – რად მინდა მარკები, როცა მე ნამდვილი თავისუფლება და **(მხედრული სალამი)** – ჩვენი ინფანტისა და მისი ბიძის რეგენტის წინაშე თავდადებული სამსახურის სიხარული მელოდება წინ.

პოლიციის უფროსი – კარგი, მე ძალას არ დაგატან. მოაწერეთ ხელი **(პატიმრის წინ სამელნეს დგამს, მერე კალამსა და დეკლარაციას აძლევს ხელში)**. ბოლოს და ბოლოს, თავად თქვენ მოინდომეთ...

პატიმარი – **(დეკლარაციას ხელს აწერს)** – მორჩა! **(პოლიციის უფროსი ზარს რეკავს. შემოდის პოლიციელი).**

პოლიციის უფროსი – **(პოლიციელს)** – ყოფილი პატიმრის ნივთები მოიტანეთ.

პოლიციელი – გისმენთ! **(გადის).**

პოლიციის უფროსი – **(პატიმარს)** – ოი, როგორ გამაწბი-

ლეთ. უფრო ძლიერი მეგონეთ. **(შემოდის პოლიციელი და პატიმრის ნივთები შემოაქვს: საწვიმარი, ნიღაბი, ხელყუმბარა)** – ჩვენ უნდა დაგიბრუნოთ თქვენი ნივთები, დაპატიმრების დროს რომ ჩამოგართვით.

პატიმარი – ოი, ჩემი ძველი ილუზიები! **(იღებს საწვიმარსა და ნიღაბს. პოლიციის უფროსი ხელყუმბარასაც გაუწვდის)** – არა, არა, ეს აღარ მჭირდება! ამაზე საშუდამოდ ხელი ავიღე! ბატონო უფროსო, ეს ჩემგან გქონდეთ, სუვენირის ნაცვლად, ჩვენი ერთად გატარებული დღეების სანაცვლოდ, ნიღაბიც აიღეთ.

პოლიციის უფროსი – **(ცივად)** – როგორც გენებოთ. **(პატიმარს ჩამოართმევს ნიღაბსა და ხელყუმბარას და ბიუროს უჯრაში ინახავს).**

პატიმარი – დიდი მადლობა ყველაფრისთვის, ბატონო უფროსო. სწორედ ახლა, თქვენს თვალწინ გარდაიცვალა უკანასკნელი პატიმარი და დაიბადა ინფანტისა და მისი ბიძის რეგენტის ერთგული ქვეშევრდომი. მშვიდობით და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!

პოლიციის უფროსი – არაფრის! **(პატიმარი ორივეს ხელს ართმევს და გადის).**

პატიმრის ხმა – **(ქუჩიდან)** –გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას ინფანტსა და მის ბიძა რეგენტს!!!

პოლიციის უფროსი – **(სახეს ხელებში მალავს)** – ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო...

სერჟანტი – ბატონო უფროსო, იქნება მისი პროვოცირება მოგვეხდინა, იქნებ პროვოკაციაზე წამოგვეგო?

პოლიციის უფროსი – აზრი არ აქვს! არაფერი გამოვა!

მოქმედება მეორე

პროვოკატორის სახლი. კედელზე ნაცნობი სურათები: ინფანტი და მისი ბიძა. აგრეთვე ქორწინების სურათი სერჟანტისა და მისი ცოლისა. კარი და ფანჯარა კარგად ჩანს, სკამი და ორი სავარძელი. მანეკენი, რომელსაც წამოსხმული აქვს სერჟანტის მუნდირი ორდენებით. იქვე შირმა, მასთან აწყვია ყელიანი ჩექმა. ფიკუსი, პალმაც შეიძლება. პატარა მაგიდა, რომელზედაც სავარჯიშო ჰანტელები აწყვია. პროვოკატორის მეუღლე. პოლიციის უფროსი, რომელიც პირველ აქტშია. მაგრამ შენიღბული – მუნდირზე საწვიმარი გადაუცვამს ქუდით. ხმალი ჰკიდია.

პოლიციის უფროსი – დილა მშვიდობისა, თქვენი ქმარი სახლშია?

სერჟანტის მეუღლე – გამარჯობათ. არა, ის სამსახურიდან არ დაბრუნებულა.

პოლიციის უფროსი – როგორც მე ვიცი, ის დღეს ისვენებს.

სერჟანტის მეუღლე – მას დასვენების დღეები არ უყვარს. თქვენ საქმეზე მობრძანდით თუ... **(პოლიციის უფროსი ქუდს მოიხდის)** ბატონო უფროსო?!

პოლიციის უფროსი – ჩუუ... ჩუმად. არ უთქვამს, როდის დაბრუნდება?

სერჟანტის მეუღლე – ის ქალაქში წავიდა, სამუშაოდ... თავისი სურვილით.

პოლიციის უფროსი – ბოდიში, იქნებ ხელს გიშლით. მე ვხედავ, რომ თქვენ კერავთ...

სერჟანტის მეუღლე – არა, არა, მე მხოლოდ ვაკერებ ჩემი ქმრის ქვედა საცვლებს. სამოქალაქო ტანსაცმელში თავს ძალიან ცუდად გრძნობს **(უცბად ატირდება).**

პოლიციის უფროსი – რა მოგდით?

სერჟანტის მეუღლე – ბატონო უფროსო, გაანთავისუფლეთ, რა, თუ შეიძლება იგი ამ სამუშაოდან? რაღაც სხვა საქმე დაავალეთ. აღარ წავიდეს სამოქალაქო ტანსაცმლით ხალხის პროვოცირებისთვის...

პოლიციის უფროსი – რატომ არ უნდა წავიდეს?..

სერჟანტის მეუღლე – მუნდირის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, კვდება უმაგისოდ...

პოლიციის უფროსი – მესმის მისი, მაგრამ ყველა პროვოკატორი სამოქალაქო ტანსაცმლით მუშაობს, უბრალოდ, წესი ასეთია.

სერჟანტის მეუღლე – არ შეიძლება, თუნდაც ქუდი დაიხუროს?

პოლიციის უფროსი – არა, არა. ეს ყველას თვალში ეცემა.

სერჟანტის მეუღლე – **(ამოიოხრებს)** დიახ, რა თქმა უნდა, ძალიან წვალობს, საწყალი. არავისი დაჭერა აღარ შეიძლება – ყველა ლოიალურია! თქვენ იგი ალბათ არაფერს გეუბნებათ, მაგრამ სახლში!.. ერთი ვინმე რომ დააპატიმროს, ერთი ვინმე, თუნდაც ერთი, მასში სიცოცხლე გაიღვიძებს!

პოლიციის უფროსი – ვინმე რომ დაიჭირო, პროვოკაციაზე უნდა წამოაგო.

სერჟანტის მეუღლე – ეჰ, მე უკვე აღარაფერი მწამს.

პოლიციის უფროსი – იქნებ ისეთ ვინმეს იცნობთ, პროვოკაციაზე რომ წამოეგოს?

სერჟანტის მეუღლე – **(ხელს ჩაიქნევს)** – სადღაა! ირგვლივ ისეთი ლოიალური ხალხია, რომ!.. ერთი ვინმე რომ ვიცოდე, სადმე ყური მოვკრა, მაშინვე ქმარს გამოვაცოცხლებდი!

პოლიციის უფროსი – მეზობლები?.. ან შორეული ნათესავი რომ იყოს?..

სერჟანტის მეუღლე – არა, ჩვენს ირგვლივ, ძველა ნორმალურია. მართლაც იყო ერთი მოხუცი, რომელიც რაღაცეებს ბლანდავდა ხოლმე, მაგრამ ისიც მოკვდა.

პოლიციის უფროსი – ეჰ, ირგვლივ ყოველთვის წესრიგში ყოფილა... თქვენი მეუღლე როგორ გაიცანით?

სერჟანტის მეუღლე – ეს დიდი ხნის წინ იყო, ბატონო უფროსო. მახსოვს, იგი სულ მაბეზღებდა, მეც ვაბეზღებდი, ასე ერთმანეთს ვაბეზღებდით. ერთხელ კი სამუდამოდ გავიცანით ერთმანეთი.

პოლიციის უფროსი – შვილები? გყავთ შვილები?

სერჟანტის მეუღლე – ორი, მაგრამ კარჩაკეტილში გვყავს... გამოვუშვა?..

პოლიციის უფროსი – არა, არა, საჭირო არ არის. არ მინდა აღზრდის პროცესში ჩაგერიოთ. მე მხოლოდ თქვენს მეუღლესთან მინდა შეხვედრა.

სერჟანტის მეუღლე – იქნებ უკვე მოვიდა კიდეც, კიბეზეა, გვისმენს? წავალ, შევამოწმებ. **(გადის. ამ დროს ფანჯრიდან გადმოძვრება სერჟანტი).**

სერჟანტი – ბატონო უფროსო, თქვენ ჩემთან ხართ?! ეს ჩემთვის დიდი პატივია!

პოლიციის უფროსი – ჩუუ... აქ, მე არაოფიციალურად ვარ. თუმცა. საქმეზე მერე... ფანჯრიდან რატომ გადმოხვედი?

სერჟანტი – სახურავის ფანჯრიდან ჩამოვედი, გადავწყვიტე, შემემოწმებინა წესრიგში იყო იქ ყველაფერი თუ არა.

პოლიციის უფროსი – მერე?..

სერჟანტი – არაფერი საეჭვო არ არის, ბატონო უფროსო. იქ მარტო მტრედები არიან. ჩემი ცოლი სახლშია?

პოლიციის უფროსი – სახლშია, ახლა გავიდა, უნდოდა ენახა კიბეზე ხომ არ იდექი.

სერჟანტი – ჰო, გასაგებია. ის ყოველთვის კიბეზე გვიგდებს ხოლმე ყურს. ნება მომეცით, ტანსაცმელი გამოვიცვალო, ბატონო უფროსო, მუნდირის გარეშე ტიტველი მგონია თავი **(შირმას ეფარება).**

პოლიციის უფროსი – ყველა პოლიციელი ასე მუყაითად რომ ასრულებდეს თავის საქმეს, მაშინ ჩვენი პოლიცია იდეალური იქნებოდა. უნდა დაგაწინაუროთ.

სერჟანტი – საჭირო არ არის, ბატონო უფროსო. ჩემთვის დიდი სიამოვნებაა ისე, უბრალოდ გასეირნება ქალაქში და ხალხის პროვოკაციაზე წამოგება. **(შირმიდან გამოდის)** იფ, რა კარგია, აი, ახლა თავს ვგრძნობ შინაურულად. რა ბედნიერებაა დაბრუნდე სახლში და გადაიცვა. ბოდიშს გიხდით, გრძნობები მომეძალა, ბატონო უფროსო, სულ სამოქალაქოებთან

რომ მაქვს საქმე, ჰოდა მეც, მოვეშვი.

პოლიციის უფროსი – სისულელეა. მე შენთან უფრო სერიოზული საქმე მაქვს. იცით რა, თქვენი ცოლი სადმე გაუშვით, ჩვენ სალაპარაკო გვაქვს.

სერჟანტი – არის, ამხანაგო უფროსო! (გადის და ისევ მალე ბრუნდება) წებოს საყიდლად გავუშვი.

პოლიციის უფროსი – ძალიან უცნაური მიზეზია.

სერჟანტი – ეს მიზეზი არ არის, ბატონო უფროსო, ბოლო დროს სამუშაოზე არა მარტო დამბეგვეს, საწვიმარიც დამიხიეს.

პოლიციის უფროსი – გასაგებია. შორს არის ის მაღაზია?

სერჟანტი – ორმოცი წუთი მაინცაა საჭირო.

პოლიციის უფროსი – კეთილი. აბა, ახლა მითხარით, გიკვირთ არა ჩემი ნახვა?

სერჟანტი – როგორც ბრძანებთ, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – ნუ გრცხვენიათ, პირდაპირ მითხარით, გიკვირთ თუ არა?

სერჟანტი – დიახ, ძალიან მიკვირს! თავად პოლიციის უფროსმა ინება ჩემთან მოსვლა. რევოლუციას უფრო ველოდი!..

პოლიციის უფროსი – ნამდვილი მუშაკი რევოლუციისათვისაც მუდამ მზად უნდა იყოს! არა, ეს თქვენ არ გეხებათ, თქვენ ყველაზე საუკეთესო ხართ, მათ შორის, ვისაც კი ვიცნობ.

სერჟანტი – **(მხედრული სალამი)** – თითოეულ ჩვენთაგანში უფრო დიდი რამ უნდა იყოს, ვიდრე უბრალო წესიერებაა.

პოლიციის უფროსი – კარგი, კარგი. დაბრძანდით!

სერჟანტი – თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ცოტას წავივარჯიშებ.

პოლიციის უფროსი – რაში ივარჯიშებთ?

სერჟანტი – ფიზმომზადებაში, ბატონო უფროსო. კარგ პოლიციელს კარგი მუსკულები სჭირდება. ჰოდა, მეც თითოეულ თავისუფალ წუთს უქმად არ ვკარგავ, რათა ჰანტელებითა და ზამბარებით ვივარჯიშო. მე უკვე გარკვეულ წარმატებებს მივაღწიე **(მკლავს დაჭიმავს)**, გსურთ, ჩემი ბიცეპსები გასინჯოთ?

პოლიციის უფროსი – არა, არა! აქედანაც კარგად ვხედავ. ივარჯიშეთ სერჟანტო, ივარჯიშეთ. **(სერჟანტი ჰანტელებით ვარჯიშობს)** – იცით, სერჟანტო, მე თქვენში არაჩვეულებრივი რამ აღმოვაჩინე.

სერჟანტი – მზად ვარ გემსახუროთ, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – მე მიკვირს, თქვენ იდეური ადამიანი ხართ.

სერჟანტი – დიახ, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – მაგალითად, თქვენ უყოყმანოდ იც-

ვამთ სამოქალაქო ტანსაცმელს, თუ ამას სამსახურეობრივი მოვალეობა ითხოვს, თუმცა სამოქალაქო სამოსში იტანჯებით.

სერჟანტი – დიახ, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – მაგრამ ჯერ არ დამთავრებულებია. დიდი ხანია, რაც შევნიშნე, რომ თქვენ უფროსობის ყველა დავალებას არაჩვეულებრივი ენთუზიაზმით, სურვილით და გულმოდგინებით ასრულებთ. ეს ნამდვილად ასეა! თუმცა ბრძანებები სრულიადაც არ არის ადვილი.

სერჟანტი – მზად ვარ გემსახუროთ, ბატონო უფროსო!

პოლიციის უფროსი – თქვენ სულიერი ძალები გაქვთ. თქვენ გლობალური იდეებითა და საერთო დისციპლინით ხართ შთაგონებული. თქვენ ზეშთაგონებული პოლიციელი ხართ, თუ გნებავთ, წმინდანი, მაგრამ შევნიშნე, ამ ბოლო დროს, თქვენ ცუდად გამოიყურებით. რაშია საქმე, სერჟანტო?

სერჟანტი – ძალიან ცოტა მძინავს, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – ეს გასაგებია, მითხარით, გეთაყვა, სიზმრებს ხედავთ?

სერჟანტი – დიახ, ბატონო უფროსო, ხანდახან სულელურ სიზმრებს ვხედავ.

პოლიციის უფროსი – მომიყევით.

სერჟანტი – თავადაც არ ვიცი, როგორ ხდება... ხანდახან სიზმარში გაორებული ადამიანი ვარ: ჩემში ორი სხვადასხვა კაცი ზის...

პოლიციის უფროსი – თამამად, თამამად.

სერჟანტი – **(ვარჯიშს წყვეტს)** ორი ადამიანი: ერთს მუნდირი აცვია, მეორეს – სამოქალაქო ტანსაცმელი. ჰოდა, მიედივარ დიდ მინდორზე, თბილა და ჩიტები ჟღურტულებენ... უცბად სულში, ანუ ჩვენ ორივეს სულში, რაღაც სასიამოვნო ისადგურებს... ისეთი სასიამოვნოა... ალბათ, ჩემი გესმით, არა? სადღაც, შორს, ძალიან შორს რაღაც უმშვენიერესი ციმციმებს... ბალახის სუნი ცხვირში მიღიტინებს, გაზაფხულზე რომ იცის... გესმით, ბატონო უფროსო? ამ დროს მიპყრობს, ანუ ორივეს აგვიტაცებს სურვილი; ეჰ, ერთი დამაჭერინა ვინმე! თუნდაც კურდღელი, თუნდაც ჩიტი! ირგვლივ ვიხედებით, დაძაბული გვაქვს თვალები – არავინ ჩანს! თუნდაც მიწას თავი ახალე, კბილებით მოთხარე, ცრემლებით მორწყე იქაურობა – არავინაა! მაშინ სიზმრად ვხედავ ხოლმე რაღაც უაზრობას...

პოლიციის უფროსი – ჰო, მიდი, თქვი, თქვი!

სერჟანტი – მესიზმრება ხოლმე, ვითომ სამოქალაქო ტანსაცმელში საკუთარ თავს ვაპატიმრებ ხოლმე. ცივ ოფლში გაწუწული მეღვიძება!

პოლიციის უფროსი – ძალიან საინტერესო ამბავია. მითხ-

არით, სერჟანტო, უკანასკნელ ხანს ვინმე თუ დაგიპატიმრებიათ?

სერჟანტი – სჯობს არ გამახსენოთ, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – ახლა ყურადღებით მომისმინე, რაღაც უნდა გითხრა.

სერჟანტი – მთელი ყურადღებით გისმენთ, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – აწი, ჩვენ ვერავის ვერაფრიანად ვეღარ დავაპატიმრებთ.

სერჟანტი – რას ამბობთ, ბატონო უფროსო? რატომ ვერ დავაპატიმრებთ?

პოლიციის უფროსი – უფრო მეტიც, არც ჩვენი შვილი, არც ჩვენი შვილიშვილი, არც ჩვენი შვილთაშვილის შვილი, ვერასდროს ვერავის დაპატიმრებას ვეღარ შეძლებს. პოლიცია კატასტროფის წინაშე დგას. საერთოდ ის იმისთვის არსებობს, რომ დააპატიმროს წესრიგის დადგენილი ტრადიციების დამრღვევნი. თუ ასეთები აღარ არიან?! თუ ჩვენი ინფანტისა და მისი ბიძის რეგენტის სიყვარულმა მთელს ქვეყანაში სამუდამოდ იზეიმა?! რაღა რჩება პოლიციას? თქვენ იცით, ჩვენ ვეცადეთ ხალხი პროვოკაციაზე წამოგვეგო, მაგრამ გამოვიდა რამე? არაფერიც არ გამოვიდა. არამცთუ ჩვენს ანკესზე წამოეგო ვინმე, არამედ კარგადაც გცემეს კიდეც: ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ.

სერჟანტი – ეს არაფერია, ბატონო უფროსო, დალილავებული ადგილები უკვე მომირჩა, ძვლებიც შემიხორცდა...

პოლიციის უფროსი – საქმე ამაში როდია. მე უფრო სერიოზულ საქმეზე ვლაპარაკობ. ჩვენმა უკანასკნელმა პოლიტიკურმა პატიმარმა ერთგულ ქვეშევრდომის დეკლარაციაზე ხელი მოაწერა და გათავისუფლდა პატიმრობისაგან. ბევრს ვეცადე, ამ საქმეზე ხელი ამეღებინებინა – გეკადრებათ!.. აი, ახლა რა გვაქვს ხელთ: შესანიშნავი ციხე გვაქვს, შესანიშნავად განსწავლული, მომზადებული და წესრიგის დამცველ იდეისათვის თავდადებული ხალხი. გვაქვს შესანიშნავი სასამართლო და კარტოთეკა. სამაგიეროდ, არც ერთი პატიმარი არ გვყავს... პატიმარი კი არა და, ეჭვმიტანილიც კი არა გვყავს. გამხეცდა ხალხი!

სერჟანტი – ნამდვილად, ბატონო უფროსო, მე მაგათ...

პოლიციის უფროსი – და მოახლოვდა ის დრო, როცა პოლიციელები უნდა დავითხოვოთ. თქვენ სამუდამოდ უნდა გაიხადოთ მუნდირი, ჩემო მეგობარო! ღამღამობით აღმუვლდებით და ვერც საცვლებზე დაკერებული ლამპასები გიშველით: თქვენ ახლა ცუდად გძინავთ, მერე რა მოგივათ?

სერჟანტი – არა, არა, ეგ არ იქნება!

პოლიციის უფროსი – იქნება! იქნება! იქნება! სამუდამოდ ჩამოგართმევენ მუნდირს, ჩაგაცმევენ რაღაც სპორტულ ქურ-

თუკს, ჩამოგაფხატავენ კეპს თავზე და ოთხივ კუთხით გაგაგდებენ. იხეტიალებთ მინდვრებში, წვრილფეხა ნადირზე ინადირებთ, მთელ დღეებს გაატარებთ მდინარის ნაპირას ანკესით ხელში, გექნებათ უამრავი თავისუფალი დრო, რათა დაიჭიროთ კურდღელი ან ჩიტი.

სერჟანტი – ნუთუ არავითარი გამოსავალი არ არსებობს, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – **(მშვიდად და დიდი სითბოთი)** მე თქვენთან მოვედი არა როგორც პოლიციის შეფი, არამედ როგორც თანამებრძოლი. ამ მძიმე წუთებში, ჩვენ თქვენთან ვართ – უბრალო პოლიციელები, წესრიგის ჯარისკაცები – უნდა ერთ მუშტად შევიკრათ გარდაუვალი სიკვდილის პირს მისულნი. ხელი-ხელს ჩავკიდოთ, რათა გადავრჩეთ და ჩვენი საქმეც გადავარჩინოთ **(სერჟანტს ხელს მოკიდებს)**. ახლა ყურადღებით მისმინე. ადამიანი რომელსაც ყველაფრის გადარჩენა შეუძლია, ეს თქვენ ხართ!

სერჟანტი – მე?!!!

პოლიციის უფროსი – დიახ, თქვენ! ბოლოს და ბოლოს, რა გვინდა ჩვენ? ჩვენ გვინდა ვინმე, რომელსაც დავაპატიმრებთ და რამოდენიმე ხნით ციხეში ჩავსვამთ, უმნიშვნელო მიზეზით, მაგრამ აუცილებლად ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო. ჯერჯერობით ასეთი ვინმეს მონახვა ვერ შევძელით. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად უნდა მოინახოს. ჩემი არჩევანი თქვენზე შეჩერდა.

სერჟანტი – არ მესმის, მე რა უნდა ვქნა?

პოლიციის უფროსი – სინამდვილეში, არაფერი ისეთი ახალი. თქვენ ანტისახელმწიფოებრივ ლოზუნგებს იყვირებთ, ახალი ის იქნება, რომ ჩვენ ამას მშვიდად არ შევხვდებით და უმალვე დაგაპატიმრებთ.

სერჟანტი – მე?!

პოლიციის უფროსი – დიახ, თქვენ. პოლიტიკური მორალის თვალსაზრისით ეს ძნელი რამ არის, მაგრამ ეს ამაღლებული მისიაა. ამ მისიას სპეციფიური პოეზია გააჩნია, თავისი განსაკუთრებული პოლიტიკური სიბრძნე. თუ გინდათ საკუთარი – მამოძრავებელი უწოდეთ... და ყოველივე ამის გაგება შეუძლია მხოლოდ რჩეულ პოლიციელს. სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როცა ვთქვი, რომ თქვენ შთაგონებული პოლიციელი ხართ. თქვენში პოლიციელის ცეცხლი გიზგიზებს, თქვენში ისეთი რამ ანთია, რომელიც გამოსავალს ეძებს. თქვენს ვნებებს მიეცით ნება, ამოიფრქვეს და ჩვენთვის, ყველასთვის გახდით მხსნელი სერჟანტი!

სერჟანტი – მზად ვარ, ბატონო უფროსო! მთელ ძალებს მოვიკრებ... მაგრამ დაბნეული ვარ, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – არა უშავს, ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის. ტანსაცმელი გამოიცვალეთ.

სერჟანტი – ისევ გამოვიცვალო? რატომ?

პოლიციის უფროსი – აბა, საკუთარ თავს როგორ წარმოგებთ პროვოკაციაზე?.. მუნდირში?

სერჟანტი – ო, დიახ, რა თქმა უნდა, როდის დავიწყოთ ახლავე?

ბიბლიოთეკა

პოლიციის უფროსი – ჩვენ დრო არა გვაქვს. სწრაფად გამოიცვალეთ სამოსი, მერე ფანჯრებს ფართედ გავაღებთ და თქვენ მთელი ხმით გალანძღავთ ჩვენს საყვარელ ინფანტსა და მის ბიძას – რეგენტს. შემდეგ, მე, ხმალამოღებული მოვალ თქვენთან და დაგაპატიმრებთ. სულ ეს არის!

სერჟანტი – ღმერთო ჩემო! მე ხომ პოლიციაში ვმსახურობ, პოლიციელი ვარ?!

პოლიციის უფროსი – ო, დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ უფრო დიდი პოლიციელი ხართ, ვიდრე ვინმე სხვა. მაგრამ თქვენ უფლება არა გაქვთ ეს ამბავი ვინმემ შეგატყოთ. ეს თქვენთვის ძალზედ მძიმე იქნება, მაგრამ, თქვენი მისია ამაღლებულია: თქვენ მშვენიერი ხართ, რადგან პოლიციაში მსახურობთ, მაგრამ დარჩით ისეთივე მშვენიერი პოლიციის მუნდირის გარეშეც. **(სერჟანტი შირმას მიეფარება და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოეწყობა)** მე კი, ახლავე, დაუყოვნებლივ, გენერალს "რაპორტს" გავუგზავნი. იგი ხვალვე მოახსენებს ჩვენს ინფანტსა და მის ბიძას – რეგენტს. და ჩვენ გადავრჩებით! ჩვენ კვლავაც გვეყოლება პოლიტიკური პატიმარი! ჩვენ მოწინააღმდეგე გვეყოლება, ეშმაკსაც წაუღია!

სერჟანტი – **(შირმიდან გამოდის, შარვლის ღილებს იკრავს)** – რა უნდა ვიყვირო?

პოლიციის უფროსი – რა გითხრა... რახან ასეთი შემთხვევაა, იქნებ ძველი ლოზუნგებიდან გვესარგებლა, ჰა, რას იტყვი?

სერჟანტი – შემიძლია ვიყვირო, რომ ჩვენი რეგენტი გარეწარია.

პოლიციის უფროსი – არა, არა, ამ ლოზუნგს სიცხადე აკლია, აქ რაღაც ისეთი... უფრო ძლიერი, მახვილი, არაორაზროვანი...

სერჟანტი – მაშინ ეს: "ჩვენი რეგენტი – ბებერი გარეწარია".

პოლიციის უფროსი – ო, ეს უფრო კარგი, ნამდვილად უკეთესია. აბა, ახლა ფანჯარა გამოაღეთ, აბა... ერთი, ორი და სამი!

სერჟანტი – **(ყვირის რაც ძალა და ღონე შესწევს)** – ჩვენი ძვირფასი რეგენტი ჩვენი ძვირფასი ინფანტის ბიძა – ბებერი გარეწარია!

პოლიციის უფროსი – **(ქარქაშიდან ხმალს ამოიღებს)** – ჩვენი ინფანტისა და მისი ბიძის რეგენტის სახელით – თქვენ დაპატიმრებული ხართ!

(შემოდის სერჟანტის ცოლი, ხელში ნავაჭრი უჭირავს).

სერჟანტის მეუღლე – ღმერთო ჩემო! კვლავ პროვოკაციას უწყობს ხალხს! სახლში მაინც დაისვენებ, ღმერთო ჩემო!

პოლიციის უფროსი – გთხოვთ გაჩუმდეთ! თქვენს ქმარს დღეს განსაკუთრებული დღე აქვს. მან პროვოკაცია წარმატებით დააგვირგვინა! მან გაიმარჯვა!

მოქმედება მესამე

პოლიციის უფროსის კაბინეტი. პოლიციელი სახელმწიფო დაწესებულებას გირლიანდებითა და ქაღალდის ყვავილებით რთავს გენერლის შესახვედრად. პოლიციის უფროსი და სერჟანტი პირისპირ დგანან. სერჟანტს პატიმრის სამოსი აცვია და წვერიც აქვს, ზუსტად ისეთი, როგორიც ჰქონდა პატიმარს პირველი მოქმედებიდან.

პოლიციის უფროსი – თქვენ ერთხელ კიდევ სცადეთ გადაგეხერხათ გისოსი და მუშტებით მიუხტით მეთვალყურეს. ეს უკვე მეორედ...

სერჟანტი – მეც არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – ხომ არაფერი გინდათ?

სერჟანტი – გმადლობთ, არაფერი არ მინდა.

პოლიციის უფროსი – უცნაურია, აბა ისე გამოიყურებით, თითქოს რაღაც გაკლიათ. ასეთი ფერმკრთალი და დამუნჯებული რატომ ხართ?

სერჟანტი – ეს ციხის გამოა, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – მე ყოველდღე "რაპორტს" ვუგზავნი გენერალს. შენის წყალობით ჩვენ ციხის გაფართოების საშუალება მოვიპოვეთ. შტატებიც გაგვიზარდეს. გენერალი თქვენით ძალიან დაინტერესდა. ის ამბობს, რომ თქვენ ძალიან საშიში ვინმე ხართ, და ეს დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის... ერთი სიტყვით, გესმით, ალბათ, ძალიან ვღელავ: ვინმეს ეგონება, რომ ჩვენთან ცუდად გრძნობთ თავს... გენერალი კი შეგვპირდა, რომ დაკითხვას პირადად დაესწრება. ხომ გესმით?

სერჟანტი – ოჰ, - ოჰ – ოჰ – ოჰ!..

პოლიციის უფროსი – იქნებ ავად ხართ?

სერჟანტი – ჯანმრთელად ვარ.

პოლიციის უფროსი – იქნებ ცუდად გძინავთ?

სერჟანტი – დიახ, ასეა.

პოლიციის უფროსი – კოშმარულ სიზმრებს ხედავთ?

სერჟანტი – არც ისე კოშმარულს, მაგრამ...

პოლიციის უფროსი – რა გესიზმრებათ, მოგვიყევით.

სერჟანტი – ვითომ მინდორში ვარ...

პოლიციის უფროსი – ჩიტები ყლურტულებენ...

სერჟანტი – დიახ, თქვენ საიდან იცით, ბატონო უფროსო?

პოლიციის უფროსი – მუნდირი გაცვიათ თუ სამოქალაქო ტანსაცმელი?

სერჟანტი – სამოქალაქო...

პოლიციის უფროსი – ჰო, აბა, შემდეგ?..

სერჟანტი – მოვდივარ და რას ვხედავ, ხეა, ხის ტოტზე კი თქვენ ზიხართ, ბატონო უფროსო და ყველს ჭამთ.

პოლიციის უფროსი – მე ტოტზე ვზივარ და ყველს ვჭამ?

სერჟანტი – დიახ... მე მოვდივარ და ხის ქვეშ ვჩერდები, ბატონო უფროსო, პირს აღებთ, რათა იყვიროთ, რომ მე დაპატიმრებული ვარ, მაშინ ყველი გივარდებათ პირიდან...

პოლიციის უფროსი – თქვენ კი ძირიდან იღებთ და...

სერჟანტი – არა, ბატონო უფროსო, მე ყველი არ მიყვარს.

პოლიციის უფროსი – სულელური სიზმარია.

სერჟანტი – რასაც ვნახულობ, იმას ვამბობ, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – რამეს ხომ არ დალევთ?

(პასუხს არ ელოდება, ისე, ბიუროდან იღებს ერთ ბოთლ ლუდს და ორ ჭიქას და ასხამს).

სერჟანტი – გმადლობთ. **(ჭიქას პირთან მიიტანს, მაგრამ უცბად ბიუროზე დგამს)** მე უფლება არა მაქვს თქვენთან ერთად რომ დავლიო, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – რატომ?

სერჟანტი – იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი უბრალო... ბატონო უფროსო, ვინ ვარ ახლა მე არსებითად?..

პოლიციის უფროსი – ეს რა შეკითხვაა? თქვენ ახლა პიროვნება ხართ!

სერჟანტი – პიროვნება? რას ნიშნავს – პიროვნება? თქვენ მე მითხარით ვინ ვარ ახლა: პოლიციელი თუ პატიმარი? თუ მე პოლიციელი ვარ, მაშინ შემიძლია, რომ ვიყო პოლიტიკური პატიმარი, მაგრამ თუ პატიმარი ვარ, მაშინ შემიძლია, რომ ვიყო პოლიციელი? მაგრამ თუ ამასთან ერთად პიროვნება ვარ, მაშინ შემიძლია პოლიციელიც ვიყო და პატიმარიც?

პოლიციის უფროსი – მე ხომ ყველაფერი წინასწარ აგიხსენი, დაჭერამდე, გამოდის, რომ ვერაფერი გაგიგია.

სერჟანტი – კი, მაშინ ყველაფერი გასაგები იყო ჩემთვის, მაგრამ მხოლოდ ახლა გავიგე, რომ ჩემი ორაზროვანი ცხოვრება უფრო ადრე დაიწყო, როდესაც გადავიცვი სამოქალაქო

სამოსი და წაეედი ხალხის პროვოკაციაზე წამოსაგებად. ტყუილად არ მტანჯავდა სამოქალაქო ტანსაცმელი! არა, ნამდვილმა პოლიციელმა არასოდეს არ უნდა გაიხადოს თავისი მუნდირი, არასოდეს!

პოლიციის უფროსი – მაგრამ ადრე რომ არ ყოყმანობდი? აბა, გაიხსენე, შენ დასვენების დღეებშიც კი ამუშაობდი!

სერჟანტი – მაშინ ყოველივე ეს არ მესმოდა, ბატონო უფროსო. იმ დღესაც კი, როდესაც თქვენ მე თვალი ამიხილეთ ჩვენს უპერსპექტივო მომავალზე... მაშინ მხოლოდ მარტო ის ვიცოდი, რომ მე ნამდვილი სამაგალითო პოლიციელი ვიყავი. მაგრამ აქ ჯდომის დროს ფიქრი დავიწყე და პირველი კითხვა, რომელიც დამებადა, იყო ეს: ბოლოს და ბოლოს არსებითად ვინ ჩასვეს ციხეში? გაურკვევლობა კი ადამიანს შეშლის. დავიტანჯე, ბატონო უფროსო.

პოლიციის უფროსი – გარკვევით ილაპარაკეთ.

სერჟანტი – დასაწყისი ჯერ კიდევ მესმოდა, მაშინ რაც ამიხსენით, მაგრამ შემდეგში გონება დამიბნელდა, ეჭვებმა შემომიტიეს, და მე ჩემთვის მუდამ, შეუწყვეტლივ ვიმეორებდი: მე საიდუმლო პოლიციის სერჟანტი ვარ, მე საიდუმლო პოლიციის აგენტი ვარ, მე საიდუმლო...

პოლიციის უფროსი – მერე, რა მოხდა მერე?

სერჟანტი – შემდეგ ეს ამბები შევწყვიტე, რადგან ამ სიტყვების მნიშვნელობის აზრი აღარ მესმოდა. რატომ? იმიტომ, რომ მე ხომ უბრალო...

პოლიციის უფროსი – რა?

სერჟანტი – უბრალო პოლიციელი, უბრალო პატიმარი, ან უბრალო... ერთი სიტყვით, რაღაც უბრალო...

პოლიციის უფროსი – ესე პრიმიტიულად ხომ არ შეიძლება ამ სიტუაციის შეფასება? ყოველი ინტელიგენტი, თქვენს ადგილას...

სერჟანტი – მე ძალიან კარგად ვიცი მხოლოდ ერთი რამ: მე არ მაქვს უფლება, თქვენთან დავლიო, ბატონო უფროსო. თუ მე პოლიციელი ვარ, არავითარ შემთხვევაში არ მივცემდი პატიმარს იმის უფლებას, რომ პოლიციის უფროსთან ერთად დაელია. ხოლო თუ პატიმარი კონსპირატორი ვარ, მითუმეტეს არ შემიძლია თქვენთან დალევა.

პოლიციის უფროსი – რატომ?

სერჟანტი – ეს კონპირაციულ მორალს ეწინააღმდეგება.

პოლიციის უფროსი – ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ?

სერჟანტი – ეს ჩემს ძალებს აღემატება, ბატონო უფროსო. მესმის, რომ თქვენ ახლა არ შეგიძლიათ ციხიდან გამათავისუფლოთ. კამერაში მიმიწევს ჯერ კიდევ ჯდომა, ხოლო ციხის გარემო ჩემზე სულ უფრო და უფრო ძლიერად მოქმედებს.

პოლიციის უფროსი – თქვენ ნამდვილად ავად ხართ. ფილტვები როგორ გაქვთ?

სერჟანტი – ფილტვები რა შუაშია, ბატონო უფროსო? მე ხარივით ჯანმრთელი ვარ, ხომ ნახეთ, ჰანტელებით როგორ ვვარჯიშობდი, საქმე ამაში როდია. იმ დროიდან, რაც თქვენ ციხეში ჩამკეტეთ, ჩემში ახალმა აზრებმა გაიღვიძეს.

პოლიციის უფროსი – თავი შეიკავეთ!

სერჟანტი – დიახ, ბატონო უფროსო, დიახ! მაგალითად, ადრე მე ხშირად დავდიოდი მატარებლით და არასოდეს ამაზე არ დავფიქრებულვარ, ახლა აქ მდგომმა ბევრი ვიფიქრე და იცით, რა დასკვნამდე მივედი?

პოლიციის უფროსი – საიდან მეცოდინება?

სერჟანტი – ჩვენ საშინელი მატარებლები გვაქვს, ბინძური და მაგარი.

პოლიციის უფროსი – გესმით რას ამბობთ? მე ახლა "პროტოკოლს" შეეადგენ!

სერჟანტი – მიდი დაწერე. როცა ადამიანს ამდენი რამ გულში დაუგროვდება, ველარ მოითმენს. მაგალითისათვის, აიღეთ ჩვენი კულტურა ანდა ხელოვნება. რა საჭირო იყო ჩვენი საწყალი მსახიობების დევნა და გაწამება?!

პოლიციის უფროსი – **(სწრაფად იწერს)** – ნუ იჩქარებთ, შეიძლება ბოლო სიტყვები გაიმეოროთ?

სერჟანტი – მე ვთქვი, რომ ძალიან მეცოდებიან ჩვენი საწყალი მსახიობები.

პოლიციის უფროსი – კეთილი. **("პროტოკოლის" ფურცელს გვერდზე გადადებს)** მოდი შენი ძველი უმწიკვლო სამსახურის შესახებ გულახდილად ვილაპარაკოთ. ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ? ჩვენი ქვეყანა მართლა ასეთი ცუდია? მოდი სამართლიანად განვსაჯოთ.

სერჟანტი – მე რატომ განვსაჯო? საკნის სარკმლიდან მე ვხედავ მინდორს. სათიბად იქ გლეხები მოდიან ხოლმე. მათ სახეებს კარგად ვხედავ. რა საშინლად დაღვრემილი სახეებია, რა დიდი უკმაყოფილება აღბეჭდილა მათ გამოხედვაში.

პოლიციის უფროსი – ეს ხომ წმინდა წყლის სუბიექტივიზმია, და როგორც მეთოდი, ჩვენს პროგრამაში არ გამოგვადგება. გარდა ამისა, სარკმელში ყურება წესით აკრძალულია.

სერჟანტი – თავისუფლებისათვის მებრძოლს მიუფურთხებია თქვენი აკრძალვებისათვის... ახლა კრემატორიუმზეც მოგახსენებთ...

პოლიციის უფროსი – თქვენ გინდათ, რომ ათეისტ მიცვალებულებს დამარხვის მეთოდის არჩევანის უფლება მოუსპოთ? თქვენ სინდისის თავისუფლების წინააღმდეგი ხართ!

სერჟანტი – საქმე მიცვალებულებს არ ეხებათ, ბატონო უფროსო, და, საერთოდ, მოვეშვათ სარკმელს. რას იტყოდით

საკნის კედლების წარწერებზე? როცა ადამიანს სხვა საქმე არა აქვს, ის კითხვას იწყებს. შემდეგ წაკითხულს ჩაუფიქრდება. იცით, ის სულაც არ არის სულელური ლოზუნგები.

პოლიციის უფროსი – მაგალითად, რომელი?

სერჟანტი – მაგალითად, "ძირს ტირანები"!

პოლიციის უფროსი – კმარა! ა, შენ აი, ერეკეს–როგორი ყოფილხარ? სადამდე მიხვედი! იქნებ ჩვენი რეგენტი ჩვენი ინფანტის ბიძა, კრეტინია?

სერჟანტი – დიახ, ასეა! ბატონო უფროსო!

პოლიციის უფროსი – ჩვენი ინფანტი – ძუძუმწოვარაა...

სერჟანტი – დიახ, ასეა! ბატონო უფროსო!

პოლიციის უფროსი – ოჰო! **(მთელი ამ საუბრის განმავლობაში პოლიციელი ოთახში კიდებს გირლიანდებს. ისმის ხმაური. მერე პოლიციელი გარეთ გარბის და უმალვე უკან ბრუნდება).**

პოლიციელი – ბატონი გენერალი მობრძანდა.

(პოლიციის უფროსი სწრაფად მალავს ბოთლსა და ჭიქებს, მუნდირს ისწორებს. შემოდის გენერლის ადიუტანტი. ეს ყოფილი პატიმარია, რომელიც ჩვენ პირველ მოქმედებაში ვნახეთ. ახლა წვერის გარდა, ულვაშებიც აქვს, პროფილით კარისკენ დგას, საიდანაც გენერალი უნდა შემოვიდეს, სახით პუბლიკისკენ. პოლიციის უფროსიც ყურადღებით დგას. სერჟანტი უხალისოდ წამოდგება ფეხზე. წვერიანი გენერალი მოულოდნელად შემოდის. მიეჭრება სერჟანტს და მიაჩერდება).

გენერალი – **(სერჟანტს)** – თქვენ ისა ხართ?

პოლიციის უფროსი – დიახ, ბატონო გენერალო, ის არის!

გენერალი – ტიპიური ბელადია! მისი ხალხი იპოვნეთ?

პოლიციის უფროსი – ჯერ არა, ბატონო გენერალო, დაკითხვებს მუდმივად ვაწარმოებთ.

გენერალი – ძალიან საშიში დამნაშავეა. დაპატიმრების დროს ყუმბარა აღმოუჩინეთ?

პოლიციის უფროსი – არა, ბატონო გენერალო, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ.

გენერალი – **(უსტვენს)** – ის უფრო საშიშია, ვიდრე მეგონა. ვიტყოდი, გაიძვერაც არის. ყველა ნამდვილ კონსპირატორს, რამოდენიმე კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება გააჩნია, მაგას კი – არც ერთი გრამი, არა? **(ადიუტანტს)** რას იტყოდით, ბატონო პორუჩიკო?

გენერლის ადიუტანტი – დიახ, ბატონო გენერალო, თუ დაპატიმრებისას ვერაფერი ვერ უპოვეს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის არსი უფრო დრმად არის ჩამალული.

გენერალი – ბატონო პოლიციის უფროსო, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ჩემი ახალი ადიუტანტი. ახლახანს დაიწყო

სამსახური, ტერორისტ-კონსპირატორებთან ბრძოლის წინააღმდეგ საქმიანობის სპეციალისტია. ანტისახელმწიფოებრივ მოქმედების სფეროს დიდი მცოდნე.

პოლიციის უფროსი – ეს შეუძლებელია, ბატონო გენერალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალი – რაშია საქმე?

პოლიციის უფროსი – მაპატიეთ, ბატონო გენერალო, თავს ნებას მივცემ... თქვენი არჩევანი მცდარია...

გენერალი – გარკვევით ილაპარაკეთ.

პოლიციის უფროსი – მან ყუმბარა გესროლათ!

გენერალი – ვინ?

პოლიციის უფროსი – თქვენმა ახალმა ადიუტანტმა, ის ჩემი ყოფილი პატიმარია.

გენერალი – განაგრძეთ, ბატონო პოლიციის უფროსო.

პოლიციის უფროსი – მას შესანიშნავად ვიცნობ, ბატონო გენერალო. ჩემთან ეგ კაცი ათი წელი იჯდა. შეუძლებელია ის თქვენი ადიუტანტი იყოს!

გენერალი – ამაზე რას იტყოდით, პორუჩიკო?

გენერლის ადიუტანტი – ბატონი პოლიციის უფროსი მართალია. მე ყოფილი პატიმარი ვარ. მან მუნდირშიც კი მიცნო. აი, რას ნიშნავს კვალიფიკაცია!

პოლიციის უფროსი – გთხოვთ, ნუ შეურაცხმყოფთ!

გენერლის ადიუტანტი – დიახ, ციხეში ვიჯექი, ბატონო უფროსო, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ლოიალურობის დეკლარაციას ხელი მოვაწერე და განთავისუფლდი. **(გენერალს მიმართავს)** თქვენ ამის შესახებ ინფორმირებული ბრძანდებით.

გენერალი – დამშვიდდით, ბატონო პოლიციის უფროსო, მე თავად წარმოგიდგინეთ, პორუჩიკი, როგორც ამფეთქებელ სამუშაოთა სპეციალისტი.

პოლიციის უფროსი – მაგრამ ბომბა – ეს ბომბა!.. ეს ბომბა მაგიდის უჯრაში მიდევს დღემდე.

გენერალი – ჩემო ძვირფასო! ყოველმა მოაზროვნე ადამიანმა, ოდესღაც უნდა ესროლოს თავის გენერალს. ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა, თუ გინდათ, რომ იცოდეთ. ჰოდა, რაც უფრო ადრე ესვრის, მით უფრო კარგია. ჩემმა ადიუტანტმა ეს გზა უკვე გაიარა. იგი ჯამოფხიზლდა და დაწყნარდა, მაგრამ რამდენი ადამიანია ქვეყნად, რომელთაც არ დაუკმაყოფილებია თავისი ეს მოთხოვნილება? აი, თქვენ, მაგალითად, როდისმე გისვრიათ ბომბა გენერლისთვის?

პოლიციის უფროსი – თქვენო კეთილშობილებავ!

გენერალი – მაშ, დაფიქრდით, მინდა ჩემს ნათქვამს მიაქციოთ ყურადღება. **(პოლიციის უფროსი მხრებში გაიჭიმება)** – მინდა ჩემი პორუჩიკის შესახებ გითხრათ უფრო მეტი. იგი

სულ ახლახანს მივიღეთ სამსახურში, და უკვე ოფიცრის ჩინი დაიმსახურა. ცეცხლია, ცეცხლი! ჩვენ თქვენთან ვართ, ბატონო პოლიციის უფროსო, ძველი გვარდია, ჩვენ სამსახურეობრივი მოვალეობა სისხლში გვაქვს გამჯდარი. მთვარეზისათვის მისი სიყვარული კი სუფთა და აშკარაა. ამის გარდა, მან ზეპირად იცის ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ქველა ნიუანსი და მუშაობს შესანიშნავად. ახალგაზრდა სპეციალისტებისა უნდა გვჯეროდეს და არ უნდა ვამცირებდეთ მათ დაუმსახურებელი საყვედურებით.

პოლიციის უფროსი – მე გიცხადებთ, ბატონო გენერალო, რომ...

გენერალი – კარგი, კარგი! მე სპეციალურად წამოვიყოლე აქ, რადგან ვიცოდი, რომ აქ ძნელი სამუშაო გველოდა. როგორც ეიცი, ბატონო პოლიციის უფროსო, თქვენ ვერაფერი ვერ ათქმევინეთ ამ ჩვენს სახელმწიფოს მტერს. ასე არ არის? **(პოლიციის უფროსი მწუხარებით გაასავსავებს ხელებს)** კარგით, მაშინ ჩვენ ვცდით. დაიწყეთ, ბატონო პორუჩიკო.

პოლიციის უფროსი – ნება მომეცით, შევნიშნო, ბატონო გენერალო...

გენერალი – თქვენ ისევ თქვენსას გაიძახით?! როგორ არ გრცხვენიათ! თქვენი უნდობლობა ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ, მე უკვე საეჭვოდ მეჩვენება.

გენერლის ადიუტანტი – ბატონო გენერალო, ჩვენს წინაშეა, გადაუდებელი ამოცანა. ვშიშობ, რომ ბატონ პოლიციის უფროსთან საკამათო დრო არ გაგვაჩნია. ისედაც ჩემთვის ყველაფერი ნათელია.

პოლიციის უფროსი – როგორ?

გენერალი – რა არის ნათელი, პორუჩიკო, ერთად ერთი, რაც დამნაშავის შესახებ ვიცით, მისი საშინელი გამონათქვამებია ჩვენი ძვირფასი რეგენტის მიმართ და რაც შეეხება სხვა რაიმე ფაქტს არავითარი ნივთმტკიცება არ გაგვაჩნია.

გენერლის ადიუტანტი – დამნაშავის მოქმედების შესახებ თქვენი მსჯელობა ზედაპირულია, ბატონო გენერალო. მე მიმაჩნია, რომ დამნაშავის მთელი ცხოვრება უნდა განვიხილოთ და შეეუსაბამოთ ერთი მეორეს, მის გამონათქვამებს და მოქმედებას და მისი პირადი ცხოვრების ყოველ სფეროს. ყოველი ადამიანის ცხოვრება წარსულიდან, აწმყოსა და მომავლისაგან შესდგება. აი, ეს უნდა შევისწავლოთ, შევუფარდოთ ერთმანეთს და დასკვნები გავაკეთოთ.

პოლიციის უფროსი – ნება მომეცით, მეც გითხრათ ორიოდე სიტყვა.

გენერალი – ბრძანეთ!

პოლიციის უფროსი – მე არ უარეყოფ, რომ საქმე გვაქვს

საშინელ ბოროტმოქმედთან. მაგრამ, მიუხედავად ძვირფასი სიტყვებისა, რომელიც მოგვახსენა ჩვენმა კოლეგა-პორუჩიკმა, აქ საქმე არც ისე იოლადაა. ვშიშობ, რომ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგა ზედმეტად არის დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში, რომელიც ყველა ადიუტანტის თვისებაა.

გენერალი – მე ხომ გთხოვეთ... როგორც ვიცი, დამნაშავემ თავის დამანგრეველურ საქმიანობას მიჰყო ხელი, თუმცა ძალიან დიდხანს, გულითადად ემსახურა ჩვენს მთავრობას.

გენერლის ადიუტანტი – ჩვენს წინაშე განსაკუთრებული შემთხვევაა. მის შესანიშნავ წარსულს შეიძლება ებიძგა ამ პიროვნებისათვის მკაცრი მოქმედებისაკენ. მისთვის დღემდე არ იყო ცნობილი ის შესანიშნავი რამ, რომელსაც დევნილობის გრძნობა ჰქვია. ეს გრძნობა კი ბრბოზე უპირატესობის გრძნობას წარმოშობს.

პოლიციის უფროსი – ვაპროტესტებ. რა თქმა უნდა, ვიცი რომ დამნაშავე ძალზედ საზიზღარი ბოროტმოქმედია, მაგრამ ის არაფრით მეტი არ არის იმ ადამიანებზე... რომლებიც ბომბას ესვრიან გენერლებს.

გენერალი – რას ჩაციედით ამ ბომბას!

გენერლის ადიუტანტი – მე ვეთანხმები აზრს, რომ ამ ტიპს შეუძლია სამ გენერალსაც ესროლოს ბომბი, ისე, რომ თვალსაც არ დაახამხამებს.

პოლიციის უფროსი – **(სერჟანტს, მკვეთრად)** – სწორდით! მიპასუხეთ სწრაფად, თქვენ შეგიძლიათ გენერალს ესროლოთ ბომბა?

სერჟანტი – არასოდეს, ამას მე არასოდეს გავაკეთებ, ბატონო უფროსო. რა თქმა უნდა, მე შეიძლება ათას რამეს ვფიქრობდე... რკინიგზაზე, სოფლის მეურნეობის შესახებ და სხვა რამეზე... მაგრამ ბომბა ვესროლო გენერალს?..

პოლიციის უფროსი – აი, ხომ ხედავთ, ბატონებო?!

გენერლის ადიუტანტი – **(სერჟანტს გამჭოლად)** – წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ქალაქში სეირნობთ კვირა დღეს, სადილის შემდეგ და ჯიბეში ბომბი გიდევთ. თქვენ ის სხვათაშორის წამოიღეთ, არც კი იცით, რისთვის... ამ დროს თქვენ ხედავთ გენერალს.

სერჟანტი – ნამდვილ გენერალს?

პოლიციის უფროსი – **(გენერლის ადიუტანტს მკაცრად)** – გთხოვთ, წესრიგი და სუბორდინაცია დაიცვათ!

გენერლის ადიუტანტი – **(ყურადღებას არ აქცევს პოლიციის უფროსის სიტყვებს)** – რა თქმა უნდა, ნამდვილს, მისი ორდენები მზეზე ბრწყინავენ, ჩექმები გამომწვევად კრიალებენ. თქვენ გრძნობთ, რომ ახლა მან უნდა პასუხი აგოს ყველაფერზე, იმასაც გრძნობთ, რომ ეს თქვენი უკანასკნელი შანსია, მეო-

რედ ასეთი შემთხვევა აღარ გექნებათ.

სერჟანტი – ო, შენი... ძაღლიშვილო!..

პოლიციის უფროსი – მე უკანასკნელად...

გენერლის ადიუტანტი – ჰო, ჰო, მერე?..

(პაუზა, სერჟანტი თავს ებრძვის).

პოლიციის უფროსი – იქნებ საკმარისია, ბატონო გენერალო?

გენერალი – არ მესმის, ბატონო პოლიციის უფროსო, დაკითხვას ხელს რად უშლით? ეს ძალიან მიკვირს.

პოლიციის უფროსი – მე ვუშლი დაკითხვას ხელს? მე?!

გენერალი – დიახ, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. ბოლოს და ბოლოს, არ უნდა გავარკვიოთ, ვინ არის ეს პიროვნება? თავადაც ხომ გინდათ იცოდეთ? მე მგონია, რომ არა...

პოლიციის უფროსი – პროტესტს ვაცხადებ.

გენერალი – თქვენ ჯიუტად ხელს უშლით ჩემს ადიუტანტს, გამოარკვიოს ნამდვილი სახე დამნაშავისა. მე იძულებული ვიქნები, თქვენს შესახებ ძვირფას რეგენტს მოვახსენო.

პოლიციის უფროსი – როგორც პოლიციის შეფი, მე ჩემი უფლებები გამაჩნია და ამიტომ მე ვიცავ ჩემს უფლებებს და კვლავაც კატეგორიულად ვაცხადებ, ასე დაკითხვა დაუშვებელია. თქვენ ამაზე პასუხს აგებთ.

გენერალი – მემუქრებით კიდეც?

პოლიციის უფროსი – არავითარ შემთხვევაში, ბატონო გენერალო! ამას ვერასდროს გავბედავდი. მე იმის თქმა მინდა, რომ ხელი დამიბანია და ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნი!

გენერალი – ძალიან კარგი. მაშ, გავაგრძელოთ დაკითხვა.

გენერლის ადიუტანტი – გთხოვთ, რამოდენიმე ხნით პატიმარი გაიყვანოთ.

გენერალი – რა თქმა უნდა, ბატონო პოლიციის უფროსო, გთხოვთ!

(პოლიციის უფროსი ზარს დარეკავს. შემოდის პოლიციელი).

პოლიციის უფროსი – **(პოლიციელს)** – პატიმარი დერეფანში გაიყვანეთ და შემოიყვანეთ, როცა ზარს დავრეკავ.

პოლიციელი – არის!

(პოლიციელს გაჰყავს სერჟანტი).

გენერლის ადიუტანტი – ერთი გეგმა მაქვს. ჩვენს პატიმარს ბრალად უნდა დავდოთ გენერალზე თავდასხმა.

გენერალი – სიამოვნებით მოგისმენთ, რა გეგმა გაქვთ?

გენერლის ადიუტანტი – პოლიციის უფროსის მაგიდის უჯრაში ბომბი დევს, რომელიც ოდესღაც ვესროლე გენერალს. ბომბი წუნდებულია, მაგრამ გამოგვადგება, ჩვენ შეგვი-

ძლია პატიმარი პროვოკაციაზე წამოვაგოთ და ვუბიძგოთ, გენერალს თავს დაესხას. ჩვენ მას ბომბს მივცემთ, გამოვაღებთ კარს, ბატონ გენერალს ვთხოვთ, დერეფანში გავიდეს და თავი მომჭერით, როცა ბომბიანი დამნაშავე გენერალს დაინახავს, მას ბუნებრივი ძალა შეიპყრობს და მასში თავისუფლების ინსტიქტი გაიღვიძებს. იგი ორჭოფობას აღარ [illegible] და ბომბს გესვრით, ბატონო გენერალო და ამით თავის თავს თავად გამოამჟღავნებს, რაც უეჭველ დანაშაულებრიობას დაამტკიცებს.

გენერალი – ხომ არ შეიშალეთ?! რას იტყოდით, ბატონო პოლიციის უფროსო, ეს ხომ აფსურდია?

პოლიციის უფროსი – მე ვფიქრობ, რომ პორუჩიკს, როგორც დიდი მომავლის მქონეს, შენს ადიუტანტსა და ოფიცერს, უფლება აქვს... გარდა ამისა, დაკითხვას ხელი არ უნდა შეუშალოთ, როგორც სრულიად სამართლიანადაც თქვენ შენიშნეთ, ბატონო გენერალო. ჩვენ ვალდებულნიც ვართ, ეს ექსპერიმენტი ჩავატაროთ.

გენერლის ადიუტანტი – ვიმეორებ, ბომბი უმოქმედოა. დეტონატორი ასაფეთქებელს არ ეხება.

გენერალი – და თქვენ, პორუჩიკო, ფიქრობთ, რომ...

გენერლის ადიუტანტი – მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ბატონო გენერალო. მე მოვითხოვ, რომ დაუყოვნებლივ გავხსნათ ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება, ჩვენი ინფანტისა და მისი ბიძის – რეგენტის სახელით.

გენერალი – თქვენ ძალიან ნიჭიერი ხართ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო.

პოლიციის უფროსი – მე იმავე აზრისა ვარ, როგორც ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი, ბატონო გენერალო. დაყოვნება – სიკვდილის ტოლფასია! ჩვენი ინფანტისა და მისი ბიძის რეგენტის სახელზე გაგზავნილ ჩემს საიდუმლო მოხსენებაში საგანგებოდ აღვნიშნავ თქვენს თავგანწირვას დამნაშავის დაკითხვის დროს.

გენერალი – **(დათრგუნული)** – მაჩვენეთ ეს ბომბი, მე მოვიფიქრებ.

(პოლიციის უფროსი უჯრიდან ამოიღებს ბომბას და მიაწვდის გენერალს).

გენერლის ადიუტანტი – დიახ, ეს არის.

გენერალი – ნამდვილად?

გენერლის ადიუტანტი – ეჭვგარეშეა.

პოლიციის უფროსი – აბა, ახლა, უარს ხომ არ ამბობთ ექსპერიმენტზე, ბატონო გენერალო?

გენერალი – როგორ ბედავთ, სულმოკლეობა დამწამოთ?!

შემოიყვანეთ დამნაშავე! **(პოლიციის უფროსი ზარს დარეკავს, პოლიციელს სერჟანტი შემოჰყავს).**

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ – **(პოლიციელს)** – თქვენ თავისუფალი ხართ. **(პოლიციელი გადის. სერჟანტს მიმართავს)** – თქვენ კი ბომბი უნდა ესროლოთ გენერალს.

ᲡᲔᲠᲭᲐᲜᲢᲘ – ახლავე? მაგრამ რატომ?

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ – ბატონი გენერალი დერეფანში იქნება, თქვენ კი – აქ.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ – იქნებ ეს ექსპერიმენტი ხვალისთვის გადაგვედო, ა?

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ – როგორც გენებოთ, ბატონო გენერალო, მაგრამ ხვალ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ – არა, არა, არავითარ შემთხვევაში, კეთილი, ახლავე!.. **(გენერალი გადის და კარს მიიხურავს. პოლიციის უფროსს სერჟანტი მიჰყავს კაბინეტის შორეულ კუთხეში და ხელში აძლევს ბომბს. გენერლის ადიუტანტი სერჟანტს უხსნის გამოყენების ტექნიკას).**

ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲓᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ – **(გენერალს უყვირის)** – ერთი წუთით, ბატონო გენერალო!

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ – **(კარს შემოადებს)** – რაშია საქმე?

ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲓᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ – თქვენ კარი ღია უნდა დატოვოთ, ისე ბომბს ვერ გესვრით!

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ – დიახ, დიახ, მართალია. **(კარს ღიას ტოვებს და ისევ დერეფანში გადის).**

ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲓᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ – **(პოლიციის უფროსს)** – მას ჩემი ნიღაბი უნდა გავუკეთოთ, დანაშაული სრულფასოვანი უნდა იყოს!

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ – თქვენი ნებაა, ბატონო პორუჩიკო, ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით.

ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲓᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ – **(სერჟანტს ნიღაბს გაუკეთებს)** – ახლა ასე: წარმოიდგინეთ, რომ ქალაქში დადიხართ, აი, იქ, ბატონო უფროსო, სადაც ლამაზი გოგოები სეირნობენ, მზე ანათებს, ჩიტები ჭიკჭიკებენ, აი, იქ კი **(ხელით ანიშნებს დერეფანს)**... იქ – გენერალია! მისი ორდენები თვალის დამაბრმავებლად ბზინავენ, ჩექმები გამომწვევად ბრწყინავენ. თქვენ კი ფიქრობთ: მან უნდა მიზღოს დღესვე ყოველივე... ის ვალდებულია... საშინელმა გენერალმა!.. **(სერჟანტი ბომბს დერეფანში ისვრის, ნათდება, ისმის აფეთქების ხმა, შემდეგ სრული წყვდიადი ისადგურებს, შემდეგ კი ინთება სინათლე. გენერლის ადიუტანტი და პოლიციის უფროსი ერთმანეთის პირისპირ დგანან და სდუმან. ხანგრძლივი პაუზაა).**

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ – მე მეგონა, რომ თქვენ გიყვარდათ გენერალი. ის თქვენს მიმართ ხომ ძალიან კარგად იყო განწყ-

ობილი.

გენერლის ადიუტანტი – არა, თქვენ უფრო უყვარდით, თქვენ მაინც პოლიციის შეფი ბრძანდებით, თუმცა მსმენია, რომ მათაც ხანდახან უშვებენ ხოლმე პენსიაზე.

პოლიციის უფროსი – ჩემო მეგობარო, რას იტყოდი, ახლა რომ დაგაპატიმროთ? დამეთანხმებით, ბომბთან დაკავშირებული ისტორია და გენერალზე თავდასხმა ეს ორაზროვნებაზე უფრო მეტს ნიშნავს, არა?

გენერლის ადიუტანტი – სიამოვნებით დაგეთანხმებით, ეს ისტორია არა მარტო ორაზროვანია, არამედ ბნელიც არის, რადგან ძალიან კარგად უნა გამოიძიოს პოლიციის შეფის როლი ამ საქმეში. მე ვფიქრობ, რომ ჩემზე არანაკლებად, თქვენც დაპატიმრებას იმსახურებთ.

პოლიციის უფროსი – ზედმეტი მოგდით! მე თქვენ დაგაპატიმრებთ!

გენერლის ადიუტანტი – შესანიშნავია, მაგრამ ვშიშობ, ბატონო პოლიციის უფროსო, რომ თქვენს უფლება-მოვალეობას აჭარბებთ. დამეთანხმეთ, რომ დამნაშავესა და ბომბთან დაკავშირებული ეს სულელური ექსპერიმენტი მთლიანად თქვენს სინდისზეა.

პოლიციის უფროსი – რა გაგებით, ჩემო ბიჭუნი?

გენერლის ადიუტანტი – პიდაპირი გაგებით, მამიკო, მე თქვენთან ციხეში ვიჯექი, როგორც მთავრობის მტერი. გეკითხებით: სად გქონდათ თვალები, როცა შეწყალების დეკლარაციაზე ხელი მოვაწერე? რატომ გამათავისუფლეთ? თქვენ რაღა პოლიციის უფროსი ხართ, თუ ყოველ პატიმარს შეუძლია გაგაცუროთ? დაუშვათ, და თქვით, რომ ოო, მისი გარდატეხა ძალიან გულწრფელი იყო! მერე რა? დიახ, ის გულწრფელი იყო. მე საერთოდ, ძალიან გულწრფელი ადამიანი ვარ. ამასთან ერთად, სიგიჟემდე თავდადებული მთავრობის მიმართ. ვინ უნდა მიხედოს სულელს, ჰა, ბატონო უფროსო? თუ თქვენ ამას, ყოველთვის უარყოფთ, საცოდავი ინტრიგანის მდგომარეობაში აღმოჩნდებით, თუმცა, მოდი საქმეს მივხედოთ. რას იტყოდით, მე რომ დამეპატიმრებინეთ, ჰა?

პოლიციის უფროსი – დაპატიმრება, ეს ძალზე სერიოზული რამ არის. ზოგს მართლაც ჰგონია, რომ პოლიცია აპატიმრებს ხალხს. არა, ბატონებო, არა! დაპატიმრება ეს პოლიციაზე მაღლა მდგომი რამ არის! იგი ყოვლის შემძლეა! მე – ძველი პოლიციელი ვარ და ჩემთვის ეს წმინდათა წმინდაა. ამიტომ, გთხოვთ ჩემი დაპატიმრების მიზეზი ამიხსნათ.

გენერლის ადიუტანტი – სიამოვნებით. პოლიციის შეფის ელემენტარული დანიშნულებაა, რომ გენერალი დაიცვას ტერორისტებისგან. თქვენ ეს გააკეთეთ? თავად თქვენ მიეცით ბომბა ხელში დამნაშავეს, თქვენი ხელი ურევია ამ საქმეში,

შეიძლება ისიც ითქვას, მისი ხელით ესროლეთ ბომბი გენერალს, ეს ხომ საშინელებაა?!

პოლიციის უფროსი – ხომ არ შეიშალეთ? ეს ექსპერიმენტი თავიდან ბოლომდე თქვენ გამოიგონეთ.

გენერლის ადიუტანტი – მერედა ვინ მიბერდა ასე აქტიურად მხარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციის უფროსი – მე დამნაშავე არა ვარ! თქვენ მაიძულეთ! დამნაშავე მხოლოდ თქვენა ხართ!

გენერლის ადიუტანტი – მაგრამ პოლიციის შეფი თქვენ ხართ და არა მე! და გენერლის დაცვაც თქვენ გეევალებათ, და არა მე!

პოლიციის უფროსი – კაი, მაგრამ თქვენ ხომ თქვით, რომ ბომბი არ აფეთქდებაო?

გენერლის ადიუტანტი – რატომ დამიჯერეთ?

პოლიციის უფროსი – თქვენ ისე გულწრფელად დაგვარწმუნეთ ყველა, იმაში, რომ მთელი არსებით მთავრობის მხარეზე გადმოხვედით!

გენერლის ადიუტანტი – დავუშვათ, რომ ასე იყო. მაგრამ პოლიციის შეფი ვალდებულია, რეალურად შეაფასოს მდგომარეობა. ქვეყნად ყველაფერს ორი მხარე გააჩნია, ხშირად, უფრო მეტიც და რომელი მხარე, რა დროს გამოავლენს თავს, მოცემულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

პოლიციის უფროსი – კეთილი. მაშ მოდით, ვიდრე საქმე გაირკვევა, ერთმანეთი დავაპატიმროთ. **(ორივე იღებს ხელბორკილებს და ერთმანეთს მაჯებზე უკეთებს. შემოდის გენერალი)** – ბატონო გენერალო, ბატონო გენერალო, თქვენ ცოცხალი ხართ?!

გენერალი – საპირფარეშოს შევაფარე თავი. სულელი გეგონეთ?

გენერლის ადიუტანტი – მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო, პოლიციის უფროსის განცხადებას. იგი ამ საქმის სხვაგვარ დასასრულს ელოდა.

გენერალი – **(ჯიბიდან ხელბორკილს ამოიღებს)** – ბატონებო, მე იძულებული ვარ, დაგაპატიმროთ. აქ შესაძლებელია მხოლოდ ორი ვარიანტი: ან შემთხვევით მოხდა ყოველივე, ან, ვიღაცამ სპეციალურად მომართა ბომბი ასაფეთქებლად. შემთხვევითობის დაპატიმრება მე არ შემიძლია, ამიტომ თქვენ უნდა დაგაპატიმროთ და სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარგადგინოთ. თუმცა ვხედავ, რომ თქვენ ორივე დაპატიმრებული ხართ.

პოლიციის უფროსი – დიახ, ჩვენ დაპატიმრებულები ვართ და ტრიბუნალის სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდებით და მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პორუჩიკის წარსულის გათვალისწინება ტრიბუნალს სწორ გადაწყვეტილე-

ბას მიაღებინებს.

გენერლის ადიუტანტი – არ დაგავიწყდეთ, ბატონებო, პროცესი გახმაურებული იქნება, და იქ მე არ გავჩუმდები!

პოლიციის უფროსი – **(უცბად გენერალს წაართმევს ხელბორკილს და მაჯაზე წამოაცმევს)** – სამწუხაროდ, თქვენც უნდა დაგაპატიმროთ, ბატონო გენერალ.

ბიბლიოთეკა

გენერალი – მეც? რატომ, რისთვის?

პოლიციის უფროსი – პოლიტიკური გამოძიებისადმი არასერიოზული მიდგომის, სახელმწიფო დამნაშავეთა მიმართ კეთილგანწყობისა და ტერორისტული აქტის წაქეზების გამო.

გენერლის ადიუტანტი – დამაცადეთ. შეიძლება, რომ პოლიციელმა დააპატიმროს ვინმე, როცა იგი თავად იმყოფება პატიმრობაში? ეფიქრობ, რომ არ შეუძლია. თქვენ რას იტყოდით?

პოლიციის უფროსი – იმას ვიტყოდი, რომ პატიმარს ხმის ამოღების უფლებაც არა აქვს.

გენერლის ადიუტანტი – ამ შემთხვევაში ეს თქვენც გეხებათ, ბატონო პოლიციის უფროსო.

გენერალი – **(დაბნეული)** – ბატონებო, მგონია, რომ პოლიცია ძალზედ დატვირთულია საქმეებით.

სერჟანტი – **(ნიღაბს მოიძრობს)** – ხმა, ხმა გაიკმინდეთ! პატიმრებო! ყველანი გაჩუმდით! **(კედლიდან ჩამოხსნის გირლიანდს და იმით შეკრავს გენერალს, მის ადიუტანტსა და პოლიციის უფროსს. ზარს დარეკავს. შემოდის პოლიციელი)** – ყველანი საკანში დაამწყვდიეთ!

პოლიციელი – **(ქუსლებს შემოჰკრავს)** – არის! **(პატიმრები გაჰყავს).**

სერჟანტი – **(კედლიდან ჩამოხევს ინფანტისა და რეგენტის სურათებს და ფეხით სთელავს)** – გაუმარჯოს თავისუფლებას! ჩვენ გავიმარჯვეთ!

ფ ა რ დ ა

ნ ე რ ი ლ ე ბ ი

პაბლო ნერუდა

ე ს პ ა ნ უ რ ი დ ა ნ

თარგმნა ნინო მესტვირიშვილმა

1971 წელს სტოკჰოლმში, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალზე წაკითხული ლექცია.

ჩემს სიტყვით გამოსვლას იმ შორეულ, უცხო მხარეში ხანგრძლივ მოგზაურობას დავარქმევდი, რომელსაც ჩრდილოეთის პეიზაჟსა და მარტოსულობასთან არაფერი ესაქმება. საუბარია ჩემი ქვეყნის უკიდურეს სამხრეთზე. გეოგრაფიული მდებარეობით ჩვენ შვედეთს ვემსგავსებით, რამეთუ ჩილე ისევე ესაზღვრება სამხრეთ პოლუსს, როგორც შვედეთი – პლანეტის მარად დათოვლილ ჩრდილოეთ პოლუსს.

სწორედ იქიდან, ჩემი სამშობლოს უზარმაზარი ტერიტორიიდან გარკვეულმა მოვლენებმა, ამჟამად დავიწყებას რომ მიეცა, საკუთარი ფეხით გამომაძევა, ანდები გადმომატარა, საკუთარი ქვეყნის საზღვარი არგენტინასთან რომ მეპოვა. უზარმაზარი ტყეების წყალობით მიუვალი რეგიონები გვირაბივით დაბურულიყო. ჩვენი სავალი გზა იმდენად ჩამალული და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა, რომ ორიენტაციისათვის ყველაზე მარტივ ნიშნებს დავეყრდენით. არც ნაკვალევი, არც ბილიკი მოჩანდა. ჩემი თავისუფლების საძიზნე უკეთ რომ გამოკვეთილიყო, ოთხიოდე ცხენზე ამხედრებულ თანამეგზურთან ერთად იმ დაბრკოლებებს ვუმკლავდებოდი, რომელსაც უზარმაზარი ხეები, კლდის უსაზღვრო, აუტანელი მდინარეები და მოფენილი თოვლი გვიქმნიდა. ჩემს თანამეგზურთ ორიენტაციის ისეთი ალღო გააჩნდათ, რომ უზარმაზარი ფოთლებით დაფარულ გზას ადვილად მიიკვლევდნენ, მე კი საკუთარი ბედის ანაბარა დარჩენილს, დაბრუნებისას საიმედო მგზავრობისათვის, გზის გასაკვლევად, მაჩეტეს ერთი მოქნევით ხის ქერქზე ნაკვალევს მიტოვებდნენ. თითოეული მათგანი დაბრკოლებით მიიწევდა წინ იმ უკიდეგანო მარტოობისკენ, იმ თეთრი, ხანაც მომწვანო ფერის მდუმარებისკენ, სადაც ყოველი ხე, უზარმაზარი ლიანები, ასწლეულების მანძილზე შემონახული წამხდარი ნეხვი თუ ნახევრად წამოქცეული, ფუტურო ხეები ახალ-

ახალ ბარიერს გვიქმნიდა. ეს ყოველივე თვალისმომჭრელ და საიდუმლოებით მოცულ ბუნებისა და იმავდროულად დევნის, თოვლის, სიცივის მატების საფრთხეს წარმოადგენდა. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა: მარტოობა, შიში, მდუმარება და ჩემი ფრიად საჭირო მისია. ზოგჯერ რომელიმე კონტრაბანდისტის ან გამოქცეული დამნაშავის უწვრილეს ნაკვალევსაც მივაგებდით. ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანი ზამთრის სუსხიან ხეობებს ვერ ერევა კი გადაურჩა ან ანდებში ამოვარდნილი საშინელი ქარბუქის წყალობით თოვლის საფარქვეშ მოექცა.

იმ ველურ სიცარიელეში თითოეულ ნაკვალევს ყურადღებით ვაკვირდებოდი. თითქოს ადამიანის სხეულის მაგვარიც კი გავარჩიე. ეს ნაზამთრალი, დახვავებული ტოტები იყო, ასობით მგზავრისთვის კი ბუნების ძღვენი. სიმაღლეზე ახუხულავებული მორების დანახვისას კიდევ ერთხელ დავფიქრდით მათზე, აქამდე რომ ვერ ამოაღწია და საშუდამოდ თოვლის საფარქვეშ ჩარჩა. თანამგზურნი მაჩეტეთი იმ დიდროვან წიწვნარის ტოტებსაც კაფავდნენ, ქვევით რომ ეშვებოდნენ და თავს გვეხვეოდნენ; იმ მუხის ტოტებსაც, რომლის უკანასკნელი ფოთლები ზამთრის სუსხიანი ქარბუქის მოლოდინით თრთოდნენ. მეც ყოველ სამარეს ამა თუ იმ უცნობი მგზავრის მოსაგონებლად ხის ფურცლითა და ტყის ჩამოკაფული ტოტებით ვამკობდი.

მდინარე უნდა გადაგვეცურა. პატარ-პატარა წყაროები ჯერ ანდების წვერში იღებდნენ სათავეს და მოექანებოდნენ, თავისუფლდებოდნენ თავბრუდამხვევი და ბიძგისმომცემი ძალისხმევისაგან, შემდეგ ჩანჩქერად ქცეულნი, მწვერვალიდან აკრეფილი სიჩქარითა და ენერგიით მიწასა და კლდეებს აპობდნენ: თუმცა ამჯერად, ღრმა მორევს, წყლის უზარმაზარ სარკეს მივადექით. ცხენებმა ფსკერში ჩაფლული ფლოქვებით მეორე მხარეს გადასცურეს. უეცრად ჩემი ცხენი თითქმის მთლიანად წყალმა დაფარა, მე კი საყრდენი გამომეცალა და ქანაობა დავიწყე. ჩემი ცხოველი იბრძოდა, ცდილობდა ჰაერში თავი მარდად შეემაგრებინა, მეც ფეხები გულმოდგინედ წყლის მოძრაობას ავაყოლე. ასე გადავცურეთ. ნაპირს ძლივს რომ მივაღწიეთ, თანამგზავრმა გლეხებმა, თან რომ მახლდნენ, ღიმილით მკითხეს:

– ძალიან შეგეშინდათ?

– ძალიან. გავიფიქრე ჩემი დროც დადგა-მეთქი.

– თოკით ხელში უკან მოგყვებოდით, – მიპასუხეს. სწორედ აქ, – დასძინა ერთ-ერთმა, მამაჩემი დაეცა და დინებამ ჩაითრია. მსგავსი რამ თქვენ არ გემუქრებოდათ. გზა განვაგრძეთ იმ გვირაბამდე, რომელიც მაღალ კლდეებში ან უხვწყლიან, გზაგაბნეულ მდინარეს გაეჭრა ან შესაძლოა, პლანეტაც იძრა და ასეთ სიმაღლეზე შედევრად ის ქვა-ღორღიანი, ციცაბო კლდის გრანიტისფერი არხი დაგვიტოვა, რომელშიც შევაღწიეთ. რამდენიმე

ნაბიჯში ცხენები სხლტებოდნენ, უსწორმასწორო ქვებზე თავის შემაგრებას ცდილობდნენ, ფლოქვებს იმტვრევდნენ, ნალებიდან ნაპერწკლები სცვიოდათ: ცხენიდან არაერთხელ გადმოვვარდი და ქვებზე გავიშხლართე. ცხენებს ფლოქვებიდან და ნესტოებიდან სისხლი სდიოდათ, მაგრამ ჯიუტად ვაგრძელებდით რთულ, უზარმაზარ და დიდებულ გზას.

ეროვნული

იმ ველური სელვის შუაგულს ნამდვილად ... ველოდა. უეცრად, როგორც საოცარ ხილვას, მთის წიაღში მოკალათებულ, პატარა ჭალას გადავაწყდით: ანკარა წყალი, ხასხასა მდელო, ველური ყვავილები, მდინარის ხმაური, ულრუბლო ცა და არაჩვეულებრივი სინათლე, ფოთლებიდან გამუდმებით რომ აღწევდა.

თითქოს იმ მაგიურ წრეში შეღწევით ჩვენ საკრალური ტერიტორიის სტუმრებად ვიქეცით, რომლის უმთავრესი პიროების, ცერემონიის თანამონაწილე მეც გავხდი. მენახირეები ცხენებიდან ჩამოხტნენ. ტერიტორიის შუაგულში, რიტუალის თანახმად, ხარის თავის ქალა იდგა. ჩემი მეგობრები მდუმარედ, ერთიმეორის მიყოლებით უახლოვდებოდნენ მას, რათა მონეტები და საკვები ქალას ფულურაში დაეტოვებინათ. მეც შევუერთდი მოწყალების ამ ცერემონიალს, რომელიც ნებისმიერი მოდგმის ლტოლვილთა თუ გზააბნეულთათვის იყო განკუთვნილი, პური და შესაწევნელი ხარის თვალის ფოსოში რომ დახვედროდათ, მაგრამ ეს დაუვიწყარი ცერემონიალი ამით არ დასრულებულა. ჩემმა სოფლელმა მეგობრებმა სომბრეროები მოიხადეს და მიტოვებული ქალას გარშემო, ცალ ფეხზე უცნაური ცეკვა წამოიწყეს, რითაც სხვების მიერ ცეკვისას დანატოვარ ნაკვალევს ხელმეორედ ტკეპნიდნენ. ჩემი უკარება მეგობრების წყალობით მაშინვე მივხვდი, რომ ამა ქვეყნის ყველაზე შორეულ და განმარტოებულ მხარეშიც კი სრულიად უცნობებს შორის ასეთი სახით დამკვიდრებული ურთიერთკავშირი, შუამდგომლობა, სათხოვარი და პასუხისგება არსებობდა.

ოდნავ მოშორებით უკვე ის საზღვარი უნდა გადაგვლახა, მრავალი წლით ჩემს სამშობლოს რომ დამაცილებდა. ღამით უკანასკნელ ხეობას მივადექით. უეცრად ანთებული სინათლე შევნიშნეთ, რაც ადამიანთა სამყოფელზე მიუთითებდა. შეკოწიწებული კონსტრუქციები, ერთი შეხედვით, თითქოს დაუსახლებელი, აჩონჩხლილი ფიცრულები დაგვხვდა. ერთერთში შევედით, ოთახის შუაგულში ცეცხლის ალზე აგიზგიზებული, გიგანტური ხის მორები გავარჩიეთ, დღითა და ღამით რომ იწვოდნენ. კვამლი ჭერზე გაჩენილი ნაპრალიდან მიიპარებოდა და წყვდიადში მოხეტიალე თალხი ფერის ფარდას ემსგავსებოდა. ასეთ სიმაღლეზე ამოყვანილი ყველი ვიღაცას იქვე დაეხვავებინა. კოცონთან ახლოს, მამაკაცები ტომრებიით იწვნენ. მდუმარებაში გიტარის ჰანგები და იმ სიმღერის სიტყვები მოგვესმა, გავარვარებული ნაკვერჩხლისა და წყვდიადის ფონზე რომ იბადებოდა, ჩვენ კი გზად შემხვედრი პირვე-

ლი სულდგმულის არსებობაზე მიგვანიშნებდა. სიმღერა სიყვარულსა და სიშორეზე, ნოსტალგიისა და სიყვარულის ღაღადი შორეულ გაზაფხულსა და ქალაქებს ეძღვნებოდა, საიდანაც ცხოვრების უსასრულო გზაზე მივემართებოდით.

ჩვენი ვინაობის შესახებ არაფერი იცოდნენ, არც გაქცევის, არც ჩემი პოეზიისა და სახელის შესახებ ანდაც [illegible] ნენ კიდეც? ფაქტი იყო, ცეცხლთან ვიმღერეთ [illegible] კიდეც. შემდეგ წყვდიადიდან სახელდახელოდ შეკოწიწებული ოთახებისაკენ გავეშურეთ. იქვე, ოთახებს შორის, მდუღარე ნაკადად ჩუხჩუხა წყალი მოედინებოდა და ჩვენც ჩავყურყუმალავდით. მთაგრეხილებიდან მონაბერმა სიცხემ თავისი კალთა გადაგვაფარა.

წყალ'ში ჭყაპაჭყუპით, თავიდან ფეხებამდე გალუმპულნი, ჩვენს ტვირთს ვასუფთავებდით. ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, რომ მოვინათლეთ, გავცოცხლდით, გავმხნევდით, ხოლო გამთენიისას ჩემი მოგზაურობის იმ უკანასკნელ კილომეტრებს დავადექით, სამშობლოს წყვდიადს საბოლოოდ რომ დამაშორებდა. ახალი სუნთქვა გაგვეხსნა, დავნაყრდით და კავალერიაზე სიმღერ-სიმღერით სამყაროს იმ უსასრულო გზას დავადექი, მე რომ მელოდა. როდესაც მოვიწადინეთ (ცხადად მახსოვს) მთიელებისთვის სიმღერის, საკვების, ცხელი წყლისა და თავშესაფრისათვის (აღნიშვნას იმსახურებს), მოულოდნელი მხარდაჭერისათვის მცირე საზღაური გადაგვეხადა, ჩვენს შემოწირულობაზე უარი განაცხადეს. უბრალოდ, სამსახური გაგვიწიეს და მეტი არაფერი. ამ სიტყვებ'ში "მეტი არაფერი", ამ იდუმალ სიტყვებ'ში "მეტი არაფერი" უამრავი რამ იგულისხმებოდა. შესაძლოა, ამოგვიცნეს, შესაძლოა, ჩვენსავით ოცნებობდნენ.

ქალბატონებო და ბატონებო:

პოემის შესაქმნელად განკუთვნილი, გამზადებული რეცეპტი წიგნებიდან არასდროს ამომიკითხავს. ვერც მე დავუტოვებ რაიმე რჩევას, მაგალითსა თუ სტილს იმ ახალბედა პოეტებს, რათა ჩემი, პირობითად, სიბრძნე წვეთ-წვეთად ეპკურებოდეთ. თუ სიტყვით გამოსვლისას წარსულის კონკრეტული მოვლენები გიამბეთ, თუ ამ შემთხვევითობის წყალობით მარად დაუვიწყარი ნაამბობი გავაცოცხლე, რომელიც ასეთი გამორჩეული ადგილისათვის სავსებით შეუფერებელია, – მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი ცხოვრების სავალ გზაზე ყოველთვის სადმე მაინც იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, იმ რეცეპტს ვაწყდებოდა, რომელიც არა მხოლოდ ჩემი სიტყვების გასამართლებლად, არამედ საკუთარი თავის ამოცნობის შესაძლებლობასაც მაძლევდა.

იმ ხანგრძლივი მოგზაურობისას პოემის შექმნის საჭირო დოზასაც მივაგენი. იმ გზაზე მიწიერი და სულიერი საზრდო შევიძინე. და ვფიქრობ, რომ პოეზიაც წარმავალი, აღზევებული

საქმიანობაა, რომელშიც გარკვეული დოზით, წყვილ-წყვილად მარტოსულობა და სოლიდარობა, გრძნობა და ქმედება, ადამიანთან სიახლოვე და ბუნების იდუმალი გულწრფელობა თანაარსებობს. დამაჯერებლადაც კი მიმაჩნია, რომ ყოველივე – ადამიანი და მისი ჩრდილი, ადამიანი და მისი ქმედება, ადამიანი და მისი პოეზია დღითიდღე მზარდ საზოგადოებას, იმ ხელოვნებას ეყრდნობა, რომელიც ჩვენში რეალობასა და ირეალობას სამუდამოდ ჩასახავს. ისევ და ისევ გავიმეორებ, რომ ამდენი წლის შემდეგაც კი არ ვიცი თავბრუდამხვევი მდინარის გადაცურვა, ხარის თავის ქალას გარშემო ცეკვა, ყველაზე მაღალი რეგიონების განსაწმენდელ წყალში განბანვა სხვებთან დასაკონტაქტებლად ჩემი მეცადინეობის შედეგი თუ ჩემი მოხმობის მიზნით მოსული გზავნილი იყო. არ ვიცი, ეს ყველაფერი გადამხდა თუ მხოლოდ ფურცლებზე აღვწერე, არ ვიცი, ეს ყოველივე რეალობაა თუ პოეზია, გარდასახვისა თუ მარადისობის გამოხატულება, თუ იმ წუთებში ჩასახული სტრიქონები, მოგვიანებით რომ გავაუღერე.

სწორედ ეს არის ის მაგალითი, რომლის გათავისებაც, სხვებისგან განსხვავებით, პოეტის ვალია. არ არსებობს უძლეველი მარტოსულობა. ყველა გზას ერთსა და იმავე წერტილში მივყავართ: ესაა კავშირი, რომლის შემადგენელ ნაწილს თავად ჩვენ წარმოვადგენთ. აუცილებელია, მარტოსულობასა და პირქუშობას, იზოლაციასა და მდუმარებას ვძლიოთ, რათა მაგიურ ადგილამდე მიღწევისას მოუქნელად ვიცეკვოთ ან დამწუხრებულად ვიმღეროთ: მეტიც, ამ ცეკვასა თუ სიმღერაში ცნობიერების წეს-ჩვეულებანია თავმოყრილი: ადამიანთა ცნობიერებისა და თანაზიარი ხვედრის წეს-ჩვეულებანი.

ცხადია, არ მინდა თავის მართლება, თუ ვინმემ ან თუნდაც ხალხმა სექტანტად აღმიქვა, რომლის მოკავშირეობასა და პასუხისმგებლობაში შესაძლო წვლილიც კი არ მიმიძღვის. მიმაჩნია, რომ პოეტის ვალი არც ბრალდება და არც თავის მართლებაა. ამ ყველაფრის შემდგომ ხომ პოეტი პოეზიას ვერ გაუძღვებოდა. თუკი რომელიმე მათგანი სხვათა ბრალდებებით მოსცდა, ან თუ ის სხვა ფიქრობს, რომ ცხოვრებას აბსურდული, საგულისხმო ურთიერთბრალდებებისგან თავდაცვით გვაძლევს, ვარწმუნებ მათ: მხოლოდ ამაოებას ძალუძს მსგავს უკიდურესობამდე მიგვიყვანოს. ვიტყვი, რომ პოეზიის მტრები ამ სფეროს მოღვაწეებსა და დამცველებს შორის კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ პოეტის არაერთსულოვნებაში. გამომდინარე აქედან, არც ერთ პოეტს არ ეყოლება იმაზე მეტი მტერი, ვიდრე ყველაზე დაჩაგრულ, იგნორირებულ თანამედროვეებთან ურთიერთგაგებისას გამოვლენილი საკუთარი უძლურებაა. ის, რაც ეპოქებსა და ქვეყანას ასულდგმულებს.

პოეტი "პატარა უფალი" კი არ არის, არ არის "პატარა უფალი", არც უმაღლესი კავალერიის ბედ-იღბლითაა დაჯილდოებული. ხშირად გამომითქვამს აზრი, რომ საუკეთესო პოე-

ტი ისაა, ვინც მოგვცემს "პურს ჩვენი არსობისას'. ის ყველაზე ახლობელი ხაბაზია, რომელსაც უფლის რწმენა არა აქვს. ის საზოგადოებრივი მოვალეობის მოხდის მიზნით ცომის მოზელვის დიდებულ და, ამასთან, თავმდაბალ სამუშაოს ასრულებს, ფურნეში შედგმული პური რომ დაბრაწოს და ყოველდღიურად მოგვართვას. თუ პოეტიც ამ კეთილსინდისიერებას გაიცნობიერებს, შეიძლება ეს მისი კოლოსალური ხელოვნების ნაწილადაც იქცეს; მარტივი თუ რთული აღმშენებლობის ნაწილად, რაც საზოგადოების, ჩვენს გარშემო მიმდინარე სოციალური და საბაზო სახეცვლილებების საწინდარია: პური, ჭეშმარიტება, ღვინო, ოცნებები. თუ პოეტი ამ მარადიულ ბრძოლაში ჩაებმევა, თითოეულს საკუთარი მოვალეობის, საქმისადმი ერთგულებისა და სიყვარულის პორცია უწილადოს, ამით ის მთელი კაცობრიობის ოცნებების, დაღვრილი ოფლის, ღვინის დაყენებისა თუ პურის მოზელვის თანამონაწილე გახდება. მხოლოდ კაცობრიობის ამ განუყრელ გზაზე სვლით შეეძლებთ პოეზიას ის ვრცელი არეალი აღვუდგინოთ, რომელსაც მოკლებულია ყოველ ეპოქაში.

იყო შეცდომებიც, რამაც ჭეშმარიტებამდე მიმიყვანა, და იყო ჭეშმარიტებაც. მცდარ გზაზე რომ დამაყენა, თუმცა არასდროს მქონია პრეტენზია რომელიმე მათგანით მეხელმძღვანელა, მესწავლა ან გეზი ამეღო ლიტერატურის იმ ფრთხილ გზაზე დასადგომად, რასაც თავად შემოქმედებითი პროცესი წარმოადგენს. მაგრამ ერთს კი მივხვდი: საკუთარი მისტიფიკაციის სამყაროდან საოცრებებს თავად ჩვენ ვქმნით. მოზელილი ცომიდან, მოგვიანებით, საკუთრივ ჩვენი და მომავლის განვითარების დაბრკოლებებიც აღმოცენდება ხოლმე. ჩვენ უმალ რეალობისა და რეალიზმის მახეში ვხვდებით. იძულებულნი ვართ ჩვენს გარშემო მიმდინარე ცვლილებები ზუსტად შევიმეცნოთ, მოგვიანებით კი აღმოვაჩენთ, რომ ისე გავიმიჯნეთ, სულიერიც აღარ გავაჭაჭანეთ, ნაცვლად იმისა, ცხოვრება აყვავებისა და განვითარების გზით წაგვეყვანა. ჩვენ ვეგუებით რეალიზმს, რომელიც მოგვიანებით სამშენებლო აგურზე მეტად გვიმძიმდება, მის გარეშე კი ისეთ შენობას აღვმართავთ, საკუთარი მოვალეობის მოხდის მსგავსად, კმაყოფილებას რომ გვანიჭებს. თუ რჩეულ და კარჩაკეტილ ადამიანებს, გაუგებრობას გავაკერპებთ, თუ რეალობასა და მის გაუარესებას განვაქარვებთ, უმალვე გაუსაძლის ბარემოში, დოკუმენტებითა და წიგნებით დაწყლულებულ ჭაობში აღმოვჩნდებით, იზოლაციით შეკიწროებულნი კი — ჩავიძირებით.

ჩვენ, კერძოდ, უზარმაზარი ამერიკული არეალის მწერლებს, გამუდმებით ჩაგვესმის ლაღადი, რომ ამ გრანდიოზულ სივრცეში სულით ხორცამდე ჭეშმარიტმა ადამიანებმაც მოიკიდონ ფეხი. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული საკუთარი მოვალეობა და იმავდროულად, ჩვენთვის ყველაზე არსებითია

ამ უკაცრიელ სამყაროში განსჯის უნარი შეგვრჩეს; სამყაროში, რომელიც სავსეა უსამართლობით, სასჯელითა და ტკივილით. ვგრძნობთ, რომ ჩვენი ვალია ის უძველესი ჩანაფიქრებიც განვახორციელოთ, ქვის ქანდაკებებში, ჩამონგრეულ, ძველთაძველ მონუმენტებში, ვრცელ და იდუმალ სტეპებში, დაბურულ სელვებში, მორაკრაკე მდინარეებში—რომ გაერინდულან. სიტყვებით უნდა აღვავსოთ დაუნჯებული კონტინენტის უკიდეგანო სივრცე, ჩვენ კი აღტაცებას შემოქმედებისა და მოგონებების ხელოვნება გვგვრის. შესაძლოა, სწორედ ეს იქცა ჩემი უპოვარი ცხოვრების გადამწყვეტ ფაქტორად. არ ვიცი, გადავაჭარბე, გული ვიჯერე თუ რიტორიკა მოვიშველიე, ამით მხოლოდ და მხოლოდ რიგითი ამერიკელის გასაჭირი გამოვხატე. თითოეული ჩემი ლექსი ამის თვალსაჩინო მაგალითია; თითოეული ჩემი პოემა სასარგებლო იარაღად გადაიქცა; ჩემი სიმღერის ჰანგები კი უზარმაზარ სივრცეში ადამიანთა თავშეყრის საიდუმლო ნიშნების ფუნქციას ასრულებენ. ესაა სივრცე, სადაც ყველა გზა ერთმანეთს კვეთს. შესაძლოა, ეს ჰანგები ხის ან ქვის ნაწილადაც იქცნენ, რომელზეც შემდგომი თაობა, ისინი, ვინც მოვლენ, ახალ ნაკვალევს დატოვებენ.

გავაანალიზე რა პოეტის მოვალეობანი, მცდარად თუ მართებულად, დასკვნაც გამოვიტანე. გადავწყვიტე ცხოვრებისა და საზოგადოების წინაშე საკუთარი პოზიცია მეც დამეფიქსირებინა. გადავწყვიტე, რადგან დიდებული წარუმატებლობების, ცალკეული გამარჯვებებისა და ბრწყინვალე მარცხის მომსწრე ვარ. ამერიკული ბრძოლების თვითმხილველმა გავითავისე, რომ ჩემი ადამიანური მისია სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ დარაზმულ ხალხთან უდიდესი ძალისხმევით დაკავშირება; დაკავშირება სისხლითა და სულით, წამებითა და იმედით, რამეთუ მხოლოდ ამ აზვირთებულ ნაკადს ძალუძს მწერლებსა და ხალხისათვის საჭირო ცვლილებანი შვას. ჩემი პოზიცია აწყდებოდა და კვლავ აწყდება სასიამოვნო თუ სამწუხარო წინააღმდეგობებს, მაგრამ ჩვენი ულმობელი და ვრცელი ქვეყნების მწერლისთვის სხვა გზა არ ჩანს, თუ გვსურს წყვდიადი ნათელმა მოიცვას, თუ პრეტენზიას ვაცხადებთ, მილიონობით ადამიანმა წერა-კითხვა ისწავლოს და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება სრულყოფილი ადამიანის სტატუსის მოპოვება.

მემკვიდრეობით იმ ხალხის უბადრუკი ცხოვრება გვერგო, საუკუნოვან საჯელს ლოდივით რომ ზიდავს: უმანკო, სამოთხის მკვიდრთა ცხოვრება, სასწაულებრივი კოშკები ქვითა და ლითონით რომ წამოჭიმეს, თვალისმომჭრელი ელვარების, ძვირფასი ნივთები შექმნეს; ხალხისა, რომელიც მიწასთან გაასწორეს, დაადუმეს იმ საშინელი, კოლონიალური ეპოქების წყალობით, დღესაც რომ ბობოქრობს.

ჩვენი ამოსავალი წერტილი ბრძოლა და იმედია, რაც ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. კაცობრიობა დრომოჭმულ ეპოქებს, ინერციას, შეცდომებს, ტანჯვას, ჩვენი დროის მოთხოვნებს, სხარტ ისტორიას მოიცავს. მაგრამ რა დადგებოდა ჩემგან, უზარმაზარი ამერიკის კონტინენტის ფეოდალურ წარსულში ნებისმიერი ფორმით წვლილი რომ შემეტანა? ჩემი ქვეყნის აქტუალურ ცვლილებებში მინიმალური–თანაწილეობით აღძრული სიამაყე რომ არა, რომ არა შვედეთის აკადემიის მიერ მონიჭებული პრემიის წყალობით გაბრწყინებული სახე, თავის მაღლა აწევას ვერც გავბედავდი. დავხედოთ ამერიკის რუქას, წინ აღვუდგეთ უდიდეს უმსგავსობას, ჩვენს გარშემო არსებულ კოსმოსურ სულგრძელობას, რათა გავაცნობიეროთ, რომ მწერლების უმრავლესობა უარს ამბობს იმ სათაკილო წარსულსა და ძარცვას შეურიგდეს, შავბნელი ძალების წყალობით ამერიკელ ხალხს რომ ერგო.

მე რთული, საპასუხისმგებლო გზა ავირჩიე და სანამ ისევ ვინმეს გავაღმერთებდი, ვამჯობინე, ჩემი სამსახურით მოკრძალებული წვლილი შემეტანა ფრიად მნიშვნელოვან ჯარში. შესაძლოა, ეს ჯარი დროდადრო ცდებოდა კიდეც, მაგრამ შეუსვენებლად, დღითიდღე დრომოჭმულ ახირებებსა და თვითკმაყოფილ ქედმაღლობას უპირისპირდებოდა. ვფიქრობ, რომ ჩემი პოეტური მოვალეობანი მინიშნებად იქცა არა მხოლოდ უსასრულო ნოსტალგიით, მოზვავებული სიყვარულით, რითმებითა და ვარდებით გაჯერებული ძმობის, არამედ ადამიანთა მოდგმის იმ ულმობელი ხვედრისაც, რაც საბოლოოდ ჩემი პოეზიის საყრდენად გადაიქცა.

დღევანდელ დღეს, ზუსტად ასი წლის წინ, სასოწარკვეთილთა შორის ყველაზე განწირულმა, საბრალო და დიდებულმა პოეტმა ასე იწინასწარმეტყველა: "გამთენიისას, მგზნებარე მოთმინებით დარაზმულნი, დიდებულ ქალაქებსაც დავიპყრობთ".

მე მწამს ნათელმხილველი რემბოს სიტყვების. წარმოშობით მე ხომ ერთი მიყრუებული პროვინციიდან ვარ, ქვეყნიდან, ულმობელი გეოგრაფიის წყალობით, ყველასაგან რომ გარიყულია. პოეტთა შორის ყველაზე მიტოვებული ვიყავი, ჩემი პოეზია კი რეგიონალური, მწუხარე, ავდრიანი. მაგრამ ადამიანების ნდობა არასდროს დამიკარგავს, არც იმედი. იქნებ ამიტომაც მოვაღწიე ჩემი დროშითა და პოეზიით დღევანდელობამდე.

დასასრულს, კეთილისმსურველთ, მშრომელებს, პოეტებს მოვუწოდებ, რომ სრულფასოვანი მომავალი რემბოს სიტყვებში აისახა: მხოლოდ მგზნებარე მოთმინებით დავიპყრობთ იმ დიდებულ ქალაქს, რომელიც ნათელს მოგვფენს, ადამიანებს კი ღირსებასა და სამართლიანობას აღუთქვამს.

ასე რომ, ამაოდ არ ვადიდებთ პოეზიას.

ხულიო სესარ კალისტრო

უკვდავი ბორხესი

ესპანურიდან

თარგმნა ნინო მესტვირიშვილმა

ინტერვიუ ჩაწერილია ხულიო სესარ კალისტროს მიერ 1983 წელს, ბუენოს-აირესში.

ათი წელიწადი გასულა. თითქოს ბორხესის მიერ გამოსახულ მაგიურ ლაბირინთზე ვსაუბრობდე, ეს კი დროის ის მონაკვეთია, როცა ინტერვიუ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი იყო. გადავწყვიტე მის ტექსტს სათუთად მოვპყრობოდი, ისევე როგორც ის ერთ მშვენიერ დღეს ჩავწერე და კორექტურისათვის არ მიმემართა, იმდროინდელი გრძნობა ხელმეორედ რომ აღმეძრა. თუმცა დღეს, მისი სიტყვების გადაკითხვისას ისევ ისე დაღალული და იჭვნეული ხმა ჩამესმის, რომელიც აღარასდროს განმეორდება.

შაბათს, ნაშუადღევს, ნახევრად ჩაბნელებული სასტუმრო ოთახის განიერ სავარძელში მოკალათებულ, კამკამა ცისკენ მომზირალ, უსინათლო ხორხე ლუის ბორხესს შევხვდი.

დიდი ხანია ინტერვიუს გაურბის. ფრანსისი, მისი დიასახლისი, ტელეფონით მპასუხობს, რომ ინტერვიუ არავისთვისაა ნებადართული. ასეთ შემთხვევაში დაჟინებამ თავისი ნაყოფი, საბოლოოდ, მაინც გამოიღო. გამონაკლისის დაშვებით პირადად მწერალმა ზარს უპასუხა და მითხრა: "კეთილი, აქ მობრძანდით და ერთ საათში შესაძლებელი იქნება დიალოგი წარვმართოთ."

ჩვენ გარკვეული ურთიერთობა გვაკავშირებდა, რასაც საფუძვლად სამი წლის წინანდელი ინტერვიუ დაედო. მას მომდევნო შეხვედრებიც მოჰყვა, რომლის დროსაც ამეტყველებული წიგნის ფუნქცია შევუსრულე და ხმამაღლა სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ფრაგმენტები წავუკითხე.

ურთიერთობა, რომელიც მეგობრობისგან შორსაა, უმალ მარტივ, ჟურნალისტისა და პიროვნების ურთიერთკავშირს დაეჯრდნო. შესაძლოა, ეს ყოველივე სან მარტინის მოედანზე თავშესაქცევი გასეირნებების წყალობით მოხდა. ამ გასეირნებების დროს ჩვენ ხომ უამრავ თემას შევეხეთ, დაწყებული არისტოტელითა და პლატონით ბუენოს-აირესის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ხუან დე გარაის დაბადების ადგილით დამთავრებული.

უნდა ვაღიარო, რომ მწერლით მოხიბვლის გარდა, მისი საუბრის ლაბირინთმაც ისე შემიტყუა, რომ მონუსხული დავრჩი. მივხვდი, როცა საუბრობს, მისი სიტყვის ფშვინვასაც კი მწერლობის რითმა ახლავს. უდაოდ, ბორხესი მუდამ ბორხესია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორხეს, დაბრკოლებას როგორ უნდა დაუსხლტე?

არ ვიცი, დაბრკოლება ყოველთვის როდია ცდომილება... დაბრკოლება გარკვეულწილად სარწმუნოა, ზოგჯერ აბსურდიც.

გეთანხმებით. თავი დავანებოთ დაბრკოლებაზე საუბარს. რას უნდა ველოდოთ ბორხესისგან?

არ ვიცი. ჩემი ბედისწერა კვლავ მისტერიითაა მოცული. უსინათლო ვარ, უმრავლესობა ჩემი თანამედროვეებისა მიიცვალა; მოკრძალებული კაცი ვარ და 55 წლის ასაკიდან კითხვაც აღარ შემიძლია, არადა რაც თავში მომდის ხომ უნდა მოვყვე. ვერ გამიგია რატომ ვერ ავითვისე ბრაილის შრიფტი!* ეს მთელ ჩემს ცხოვრებას ძირეულად შეცვლიდა, კითხვა რომ შემეძლოს... წერა რომ შემეძლოს... მაგრამ ახლა საკმაოდ გვიანია, თითებში გრძნობაც კი აღარ გამაჩნია. დიახ, ჩემი ცხოვრების შეცვლა რომ შემეძლოს...!

მაჩადოს აზრით "ახლა იგივეა, რაც კვლავ"... შესაძლოა, პატარა რომ ვიყავი, ვფიქრობდი, რომ დღე კვირაობით იწელებოდა და ახლა კვირა, თითქოს, ერთ დღეში ილევა. შესაბამისად, როცა მოხუცდები დრო უფრო სწრაფად გარბის.

მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე მეამბოხე იყავით, რატომ?

როცა ახალგაზრდა ვიყავი, კი, მომწონდა საპირისპირო ბანაკში ყოფნა. ახლა არა. ვცდილობ დაგეთანხმო. ჩესტერტონმა თქვა, მთელი ჩემი ცხოვრება სხვების სიმართლეს ვამტკიცებდიო. მეც იგივე დამემართა.

და რას ნანობთ?

ბევრს ვნანობ... ან არა, რა საჭიროა... მაგრამ კიდევ მეტს გავაკეთებდი.

როგორც, მაგალითად, უამრავი ქალის შეყვარებაა?

არა, არა, მხოლოდ იმ ქალების შეყვარება, ვისზეც ვოცნებობდი.

ხელოვანი ყოველთვის ვნებიანია?

---

* ბრაილის შრიფტი – წერტილოვანი შრიფტი უსინათლოთათვის; ემყარება ექვსი ამობურცული წერტილის კომბინაციას (ფრანგი პედაგოგის ლუი ბრაილის 1809-1852 სახელის მიხედვით).

საკუთარ შემოქმედებასთან მიმართებაში კი, სხვა დანარჩენთან ყოველთვის არა.

რას წარმოადგენს თქვენთვის ლიტერატურა?

იმდენ რამეს... როცა მარტო ვარ, დაუდგრომლად პოემებზე, მოთხრობებზე, მითებზე ვფიქრობ, რითაც ჩემი მარტოობა უნდა დავასახლო. ჩემს ასაკში მარტოობა იზრდება. ზაგალითად, თემებს არასდროს ვეძებ, დაე თავად თემებმა მეძებონ, მე კი მათ გარს ვუტრიალებ. თუკი რომელიმემ დაიჭინა, მხოლოდ მაშინ ვემორჩილები და ვწერ. თემები ასარჩევად უნდა იყოს, რადგან თითოეულმა ისედაც კარგად იცის, პროზად, კლასიკურ ფორმად თუ თავისუფალ ლექსად გამოდგება. მას შემდეგ რაც მხედველობა დავკარგე, შავ ნაწერს აზრობრივად ვასწორებ და საბოლოოდ ვაქვეყნებ.

რას მოიმოქმედებთ, მხედველობა რომ დაგიბრუნდეთ?

ხელმეორედ წავიკითხავ იმ მცირეოდენ წიგნებს, რაც აქაა. ალბათ ქუჩაში გავალ, ბუენოს-აირესის რომელიმე მოგონება ისევ რომ დავინახო. თუმცა არა, ვფიქრობ, რომ ჩემთვის ისიც კი დიდი ხვედრია, 55 წლის ასაკში მქონე სახე წარმოვიდგინო.

თქვენს შემოქმედებას უკვდავების თემატიკა განუწყვეტლად დასდევს, რატომ?

იმიტომ რომ, მწამს, პიროვნული უკვდავება არანაკლებ სარწმუნოა, ვიდრე თავად სიკვდილი: "ორივე გაუგონარი რამაა!" ის ფაქტი, რომ ვიღაც საკუთარი სხეულის მიცვალების შემდეგაც აგრძელებს სიცოცხლეს, უცნაურად გვეჩვენება. მაგრამ ასევე გასაოცარია, რომ ვიღაც საბოლოოდ ამქვეყნიდან უკვალოდ ქრება.

ის, რომ ადამიანი სხეულისა და სულის ნაზავია?

დიახ, რა თქმა უნდა... გარდა ამისა, საკუთარი თავი შეგვიძლია უსხეულოდ წარმოვიდგინოთ, უსულოდ კი – არა: თუ ვაზროვნებ, რომ ვარსებობ, ამას გაცნობიერებულად ვაკეთებ, ამიტომაც სხეულის გარეშე ფიქრი შეუძლებელი იქნებოდა. როდესაც ვინმე პოემას კითხულობს, ეს მისი სხეულიდან კი არა, ცნობიერებიდან მოდის. მაჩადოს აქვს რამდენიმე ლამაზი ლექსი, სადაც ასეთ სიტყვებს წარმოსთქვამს: "ესრეთ მოკვდება შენთან ერთად გრძნეული სამყარო, მოგონებებს, რომ ინახავს ცოცხლად"... ესე იგი, ადამიანის გარდაცვალებასთან ერთად, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, უამრავი რამ კვდება, ყოველივე სწრაფად წყდება. მაგრამ, მეორე მხრივ, ვიღაცის მარადიული ხანგრძლივობის იდეაც გასაოცარია. ჩემთვის, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მეტად, ამა ქვეყნის დაუვიწყარი მოგონება უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომაც, საკუთარ თავს ვეკითხები ხოლმე, პიროვნებაში იგულისხმება თუ არა ის გარკვეული მოგონებანი, რომელნიც არასდროს ეძლევიან დავიწყებას.

მაგალითად...?

ენნევაში გასეირნება.

თქვენს რომელ პოემას მიიჩნევთ საუკეთესოდ?

ყველას მირჩევნია "El Golem", თუმცა ასევე მიმწონს "Limites".

და მოთხრობებიდან?

ერთ-ერთი, სახელწოდებით "Urrica", თუმცა ნინამდვილე-ში უფრო პიესაა.

ვინ იყო უდიდესი არგენტინელი მწერალი?

ალმაფუერტე* და ასევე სარმიენტო**. ალმაფუერტე სან ხუსტოში დაიბადა. მითხრეს, რომ ეს სოფელი ძალიან შეიცვალა და ახლა ინდუსტრიულ ზონადაც გარდაიქმნა. როცა ის პირველად ვნახე, დაბლობ'ში ჩაკარგულ სოფელს ჰგავდა დაბალი სახლებით, ქვით მოკირწყლული ოთახებითა და ტალახიანი ქუჩებით. რა არ გადახდა ალმაფუერტეს! დიპლომის არქონის მიუხედავად, გაკვეთილებს ატარებდა, რის გამოც სკოლა დაუხურეს და იძულებული გახდა, სხვა სოფელ'ში გადასულიყო, ახალი სკოლა გაეხსნა. პირველი რაც გააკეთა, გაღატაკებულ ბავშვთა თავშესაფარი იყო.

შვილებზე არ გიოცნებიათ?

დიდი ხანია, საკუთარი თავისთვის ეს კითხვა აღარ დამისვამს.

უდავოა, რომ თქვენ უშუალო იყავით ენასთან მიმართებაში, რაც პოეტებისთვის უჩვეულოა. რა არის პოეზიაში ყველაზე მნიშვნელოვანი?

ვფიქრობ, რომ ლექსში რითმა და გამოხატულება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მნიშვნელობა. შეიძლება უმნიშვნელოც იყოს, მაგრამ კარგი. არ მგონია, რომ იდეა ლექსად გარდაიქმნას, რადგან ვიღაცას შეიძლება გაუჩნდეს აზრად "ვეფხვივით გამძვინვარებული ჩასვენება მზე დაუცხრომელი", ვფიქრობ, რომ აქ იდეურად არ მოიაზრება აგონიაში მყოფი ვეფხვის შედარება მზის ნათებასთან. ლიტერატურული ფუნქცია ლექსის შემთხვევაში ფუჭია. ამიტომ პოემის თარგმანი, ფაქტიურად, შეუძლებელია. მაგალითად, ლუგონესის*** ნაწარმოების ულამაზესი სახელწოდებაა "Los crepúsculos del jardin" ("ბაღის ბინდბუნდი"). თუ ახლა ლუგონესი სახელწოდებად აირჩევდა

---

* ალმაფუერტე – პედრო ბონიფასიო პალასიოს (1854-1917). არგენტინელი მწერალი, პედაგოგი და მთარგმნელი. ცნობილი იყო ალმაფუერტეს ფსევდონიმით.

** დომინგო ფაუსტინო სარმიენტო (1811-1888) – არგენტინელი მწერალი, გმოჩენილი პოლიტიკოსი, ცნობილი პედაგოგი და გამორჩეული ორატორი.

*** ლეოპოლდო ლუგონესი (1874-1938) – არგენტინელი პოეტი

"Las penumbras de la quinta o Las tardes de la granja" იდეურად ერთი და იგივე იქნებოდა, თუმცა არა პოეტური გამოხატულებით.

დიქტატურის გრძელი ღამე სრულდება. რა სახით დაგვასვა დაღი თავისუფლების ნაკლებობამ?

არ ვიცი. არგენტინაში ყველაფერი ცვლილებას: მოიცვა... ამერიკის შეერთებულ შტატებში, პირიქით, ცენზურა არ არსებობს. რა თანხასაც გადაიხდით სათამაშო აპარატში, იმ დროზით შესაძლებლობა გეძლევათ იხილოთ ქალისა და მამაკაცის ურთიერთკავშირის სცენები. რასაკვირველია, ლამაზი გოგონები და ვაჟები არიან, მაგრამ ყოველივე ეს ხომ სახალხო წარმოდგენის სახეს ღებულობს! ესპანეთში, ასე რომ გვგავს, იგივე ხდება, მხოლოდ ყველაფერი, რაც სექსთანაა დაკავშირებული, გაცილებით აგრესიული ფორმით ვლინდება.

შესაძლოა, ყოველივე ეს გაუკუღმართებულ ცვლილებას უკავშირდებოდეს...

დიახ, შესაძლოა, ასეც იყოს. როგორც თქვენ აღნიშნეთ, დიქტატორ ფრანკოს გარდაცვალების შემდგომ პერიოდს უკავშირდებოდეს. დღესდღეობით გაზეთ "ABC"-ში თქვენ შეგიძლიათ იხილოთ მთლიანი გვერდი, რომელიც საროსკიპოს განცხადებებს ეთმობა. მაგალითად, შემიძლია ერთ-ერთი გავიხსენო: "ალერსიანი გნომი ეძებს მადალ და შავგვრემან ბატონს, რომელიც იქნება მშვიდი, სანდომიანი და მიმზიდველი. მოგვმართეთ ამა და ამ ნომერზე. იკითხეთ პაკიტო"... როგორ მოგწონთ? მაშასადამე, არიან მამაკაცები, რომლებიც საკუთარი სამსახურით სიამოვნებას ანიჭებენ კაცებს, კაცები ქალებს, ქალები კი როგორც მამაკაცებს, ასევე მანდილოსნებსაც. ერთადერთი რა მაა საჭირო: დარეკოთ ერთ-ერთ ტელეფონის ნომერზე და იკითხოთ ლოლა ან ნებისმიერი სხვა. და ახლა, ჩვენს ქვეყანაშიც მსგავსი რამ ხდება.

ფიქრობთ, რომ ჩვენ, არგენტინელები, შევიცვალეთ?

დიახ, რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ, 1910 წელს ნაკლებად თუ გესაუბრებოდით, რადგან ხალხში ჯერ კიდევ იმედი იყო ჩასახული. როცა რუბენ დარიომ თავისი "Oda argentina" და ლუგონესმა "Oda seculares" დაწერეს, ამან იმედის მომასწავებლად გაიჟღერა. დღესდღეობით კი, პირიქით, იმედგაცრუებულნი ვართ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ახლა, როგორც არასდროს, იმედის უფლება გვაქვს, უკეთ რომ ვთქვათ, მოვალენი ვართ, ვიმედოვნოთ. საკმარისია, უკანასკნელი წლები გავიხსენოთ: შიმშილი, დევნა, მწვალებლობა, ადამიანთა გაუჩინარება, უმუშევრობა, სახელმწიფო დავალიანება, ზეწოლა და ომიც კი: ეს გაგვიკეთეს სამხედროებმა! თუ ვინმემ ცხოვრება ყაზარმაში გაატარა, სულაც არ ნიშნავს ქვეყნის მართვა დაევალოს.

Res publica y res militia*...

ზუსტად. სამწუხაროა იმის გაფიქრება, რომ ხელისუფლების ერთადერთი ძალა მდუმარე იმედგაცრუებაა. ეს უბედურებაა! უმეცარნი! დიქტატორის პოსტზე დანიშნული ერთადერთი არგენტინელი რომ ვყოფილიყავი, დარწმუნებული ვარ, უმალვე უარს ვიტყოდი და სახლში დაბრუნებული ოცნებებზე ხმამაღლა ვისაუბრებდი. მაგრამ, როგორც ჩანს, [illegible] ბის განცდა სულ დავკარგეთ და ერთადერთი რაც რეალურად გვაინტერესებს, ფულით სპეკულაციაა. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ როსარიოს წიგნით მოვაჭრეთა ჯგუფმა ლექციის წასაკითხად მიმიწვია. მეც წიგნის შესახებ ხანგრძლივი მოხსენებით გავედი. შემდეგ ერთად ვისადილეთ, ერთ-ერთმა ბატონმა კი მითხრა: რა დასანანია, ეს თემა რომ შეარჩიეთ, ბორხეს! კი მაგრამ როგორ, თქვენ წიგნებით არ ვაჭრობთ? – ვკითხე, რაზეც მიპასუხეს: დიახ, წიგნით მოვაჭრენი ვართ, მაგრამ, რაც რეალურად გვაინტერესებს, ფანქრებისა და რვეულების გაყიდვაა. ეს ყოველივე საზოგადოებაში უიმედობასა და ამასთან, იმედგაცრუებას ნერგავს.

ანარქისტი ბრძანდებით თუ ლიბერალი?

ანარქისტი, რადგან ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა ქვეყანას მთავრობის საჭიროება არ გასჩენოდა. შესაძლოა, ეს დროც დადგეს, ამჯერად კი ეს შეუძლებლად მიმაჩნია. მთავრობა უხეში ძალაა და, სამწუხაროდ, ნებისმიერ კუთხეში სახელმწიფოც უფრო საძულველი ხდება. 1914 წელს, როცა ევროპაში გავემგზავრეთ, პასპორტის გარეშე ერთი ქვეყნიდან მეორეში ისე გადავდიოდით, როგორც ერთი სადგურიდან მეორეზე. მაგრამ ახლა! თქვენ ქუჩაშიც კი ვერ გახვალთ მოწმობის ან პასპორტის გარეშე, რადგან სახელმწიფო ყველაფერშია გარეული და, შესაძლოა, დაგაკავონ კიდეც! ეს ბარბაროსობაა!

ვინ გიტაცებთ?

ალბათ, არისტოტელე. შესაძლოა, პლატონიც. არიან ადამიანები, ვისაც პოლიტიკოსები ხიბლავენ, მე არა; ზოგი ნაპოლეონითაა მოხიბლული, მე არა. თუ ნაპოლეონს გაალმერთებ, მაშინ ჰიტლერიც მოგნუსხავს, ეს კი საშინელება იქნებოდა.

არაფერია უფრო არაადამიანური, ვიდრე კონკისტადორთა ბრძოლა, არა?

ასეა; ალბერდიმ თქვა, რომ ომი დანაშაულია და ახლა დავრწმუნდი, მართალი იყო. ყოველგვარი ომი დანაშაულია! მიმაჩნია, რომ თუ მთავრობა ომს გეგმავს, არც არგუმენტებს დაიშურებს თავის გასამართლებლად, ომის მოწინააღმდეგეებს კი მოღალატის სახელი დაუმკვიდრდებათ, რა თქმა უნდა. საერთაშორისო სამართალში ერთი ასეთი აქსიომაა დამკვიდრებული: კანონიერია თუ უკანონო, მაინც ჩემი ქვეყანაა. ამის გათვალისწინებით, ორივე მხარე ნებისმიერ ომში, თავის მხრივ, მართალია. ხულიო სესარ! იმპერატორის სახელს ატარებთ. შეგიძლიათ თავი იულიუს კეისრად წარმოიდგინოთ?

არა, არა. მხოლოდ კლეოპატრას მკლავებში...

---

* **Res publica y res milita** (ლათ.) – სახელმწიფო და არმია.

მე ბეატრიჩეს მკლავებში, თუმცა ვინ ვარ, რომ თავი დანტესა და ვირგილიუსის თანასწორად ვიგრძნო. უწინ ბევრს ვოცნებობდი, ახლა კი ამ ტელევიზორის ხელშია. საქმე ის გახლავთ, რომ, თუ რაღაც მოხდა, მომენტალურად გადმოიცემა და დროც კი არ გეძლევა დანამდვილებით ირწმუნო. მაგალითად, ახლახანს ტელევიზიით მოვისმინე, რომ კაცმა მთვარეზე ფეხი შედგა. ამ დაუყოვნებელმა ინფორმაციამ მხოლოდ დღის ამბების ნუსხაში მორიგი ადგილი დაიკავა და ამ მოვლენის შემდგომ განვითარებაზე აღარავის უფიქრია. პირიქით, სხვაგვარად იქნებოდა, ეთქვათ კაცმა მთვარეზე ფეხი შედგაო და მერე თითოეული ადამიანის წარმოსახვაში სხვადასხვაგვარად აისახებოდა. თუმცა ათასგვარი ინფორმაციით თავს გვაბეზრებენ.

განსხვავებაა ინფორმაციასა და ცოდნას შორის...

ასეა. ელიოტის ერთი ლექსია, სადაც ის ამბობს: "სადაა ცოდნაში დაკარგული სიბრძნე? სადაა შემეცნებაში დაკარგული ცოდნა?"

და დასასრულს: რას იფიქრებენ ხორხე ლუის ბორხესზე ასი წლის შემდეგ?

ვიმედოვნებ რომ დაივიწყებენ!

რატომ?

რა თქმა უნდა! ბორხესი ხომ სერვანტესი არაა!

და მაინც, თქვენ ხომ ბორხესი ბრძანდებით!

სამწუხაროდ, ოთხმოცს გადაცილებულს წერისა და ოცნების გარდა რაღა დამრჩენია?

ინტერვიუ ბორხესის შეკითხვითვე დავასრულე. ქუჩაში გამოსულს იდეები, შთაბეჭდილებები, გაოცება მომეძალა. შეიჭრა ბორხესისეულ სამყაროში, რომელიც ლაბირინთებით, აღრევით, გარდატეხით, ოცნებებით, შეთქმულებებითაა სავსე, იმ შეუდარებელი გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს, რომლის მიტოვებაც ასე რთულია.

მაგრამ რამაც უსაზღვრო დარდით ამავსო, მისი ლექსის ბოლო სტრიქონია, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია. გამომშვიდობებისას ხელი ჩამომართვა და ეს სიტყვები მისუსტებული ხმით წარმოთქვა: "მწამს, განთიადზე გავიგონებ მუშების ფუსფუსს, მასების ხმაურს, ნელ-ნელა რომ განმეშორება, ვინც შემიყვარა, დავავიწყდები, დროს, სივრცეს და ბორხესს, უკვე ვშორდები"...

ჟურნალი Espículo, 1993 წელი.

რიშარდ კაპუშცინსკი

იმპერია

პოლონურიდან

თარგმნა **ამბროსი ბრიშიკაშვილმა**

"ესენი ნამდვილ სასწაულებს წარმოადგენენ; და ეს ყველაფერი ერთად შეადგენს სურათს – იმპერიისას".

ანდრეი ბელი.

"თავის ათასწლოვან ისტორიაში რუსეთმა რა არ ნახა და გადაიტანა. მხოლოდ ერთი რამ არ უნახავს და არ განუცდია – თავისუფლება".

ვასილი ბროსმანი.

"აწმყო არის ის, რაც ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს. მომავალს ჩვენ წარმოსახვაში ვქმნით. მხოლოდ წარსულია წმინდა რეალობა".

სიმონე ვეილი.

"რუსეთში ხელოვანის მთელი ენერგია მიმართული უნდა იყოს ორი ძალის – ადამიანისა და ბუნების წარმოსაჩენად. ერთის მხრივ, ფიზიკური სისუსტე, ნერვიულობა, ადრეული სექსუალური მომწიფება, წყურვილი სიცოცხლისა და სიმართლის, ოცნება სტეპივით ფართო მასშტაბების საქმიანობაზე, მოუსვენრობით აღსავსე ანალიზი, არასაკმარისი ცოდნა აზრის ფართო გაქანების პარალელურად, ხოლო მეორე მხრივ – თვალუწვდენელი სივრცეები, სასტიკი კლიმატი; მკაცრ, უსახო ადამიანთა მასები, მძიმე, სევდიანი ისტორია, მონღოლობა, ჩინოვნიკობა, სიბნელე, სიღატაკე, დედაქალაქების ტენიანი კლიმატი, სლავიანური აპათია და ა.შ. რუსული ცხოვრება აქ ისე აქუცმაცებს ადამიანს, რომ იგი მოკრეფას ვერ ახერხებს, აქუცმაცებს როგორც ათასგირვანქიანი ურო".

ანტონ ჩეხოვი.

"აი, ის პრინციპული შთაბეჭდილება, რომელიც რუსეთში არსებული სიტუაციის გაცნობისას მივიღე – ესაა სურათი უდიდესი სხეულისა, სადაც კრახი გამოსწორებას არ ექვემდებარება. ისტორია ჯერ არ მოსწრებია ასეთ გიგანტურ კატასტროფას".

ჰერბერტ ბ. უელსი.

"საბჭოთა ავანტიურიზმი კატაბრიობის უდიდესი გამოცდილებაცაა და უმნიშვნელოვანესი გამოცანაც".

ედგარ მორინი.

"თავად რუსეთმა ამოანთხია ეს ურჩხული, რომელიც ახლა მისითვე იკვებება".

ფეოდორ დოსტოევსკი.

"სისტემა, რომელიც ჩვენ გვმართავს, – ძველი ნომენკლატურის, ფინანსური ზვიგენების, ყალბი დემოკრატების და კგბ-ის ნაზავია. შეუძლებელია მას დემოკრატია ეწოდოს – ესაა საზიზღარი, ისტორიაში უპრეცენდენტო ჰიბრიდი, და არავინ იცის, თუ რომელი მიმართულებით განვითარდება... თუკი ეს კავშირი გაიმარჯვებს, არა 70, არამედ 170 წლის შემდეგაც გააგრძელებს ჩვენს ჩაგვრას".

ალექსანდრ სოლჟენიცინი.

"იქ რაღაც განათდა, მაგრამ წყვდიადი კვლავ რჩება".

ვლადიმერ ვინოგრადოვი.

"იმპერიის" მესამე გამოცემისათვის

"იმპერია" სხვა წიგნის ნაცვლად დავწერე. 80-იანი წლების შუა ხანებში გადაწყვეტილი მქონდა ტრილოგიის დაწერა დიქტატორებზე. პირველი ტომი იყო "ცეზარი", მეორე "შაჰინშაჰი", ხოლო მესამე უნდა ყოფილიყო "ამინი". ეს უკანასკნელი, უჩვეულო და საშინელი სამხედრო დიქტატორი, 70-იანი წლების უგანდის მბრძანებელი იყო. უგანდაში არაერთგზის ჩავედი, მოვაგროვე მასალები და უკვე ვემზადებოდი წიგნის დასაწერად, რომ 1985 წელს სსრკ-ში გარდაქმნები დაიწყო. ეს ნამდვილად მსოფლიო მასშტაბის მოვლენას წარმოადგენდა. "ამინი" სრულიად მარგინალური თემა იყო იმ მოვლენებთან შედარებით, რაც აღმოსავლეთში ხდებოდა. აღარ შემეძლო ადგილზე გაჩერება, ვგრძნობდი, უნდა წავსულიყავი, დავკვირვებოდი საბჭოთა კავშირში მიმდინარე ამბებს და მეცადა მისი აღწერა.

თავიდან ვგეგმავდი წიგნის "ყირგიზი ჩამოდის ცხენიდან" კვალს დავდგომოდი – საბჭოთა კავშირის კავკასიური და შუა აზიის რესპუბლიკებისაკენ, დამეწერა იმის შესახებ რაც იქ შეიცვალა და ხდებოდა. როდესაც ჩავედი, მივხვდი, იქაურ მოვლენებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ის მოკლე ბილიკი, რომლის გავლასაც აქ ჩამოსვლამდე ვაპირებდი, საკმარისი არ იქნებოდა, ეს ყველაფერი სათანადოდ რომ აღმეწერა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ

საბჭოთა კავშირში რამდენიმე მოგზაურობა მომეწყო. ჩემმა მოსკოველმა მეგობრებმა უდიდესი სამსახური გამიწიეს, რათა დროულად შემეძინა ბილეთები, დამეგეგმა მოგზაურობის მარშრუტი და შევხვედროდი საჭირო ადამიანებს. ორი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში რამდენჯერმე ვიმოგზაურე – ბრესტიდან წყნარ ოკეანემდე, ხოლო ჩრდილოეთიდან დუშანბესა და ტაშკენტამდე.

უკან დაბრუნებულმა მრავალი წიგნი წავიკითხე ყოველივე იმის შესახებ, რაც თავად ვნახე და უკვე მზად ვიყავი ახალი წიგნის დასაწერად. შევეცადე შიგნიდან წარმომედგინა საბჭოთა მოლოხის დაცემა და დაშლა. ეს ჩემთვის ძალზე ჰირადული თემაც იყო – მე ხომ იმ ადგილას დავიბადე, რომელიც 1939 წლიდან საბჭოთა იმპერიის ნაწილი გახდა. ამიტომ ერთგვარ პასუხისმგებლობასაც კი ვგრძნობდი ამ წიგნის დაწერაზე.

"იმპერია" ესეის ფორმის ნაწარმოებია. ჩემმა წერის კულტურამ გარკვეული ევოლუცია განიცადა, რასაც რეპორტაჟის ესეიზაცია შეიძლება ეწოდოს. XX საუკუნის მთელი პროზა ესეის წარმოადგენს. თომას მანის "ჯადოსნური მთა" ესეია დროისა და ისტორიის შესახებ. მისი ფაბულა მხოლოდ ჩონჩხია, რომელიც სხვადასხვა ნაწილებს აერთებს. ამჟამად პროზა ორი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. მისი ერთი მიმართულებაა ესეიზაცია, მეორე – ფაბულარიზაცია. ეს რეპორტაჟსაც ეხება.

ეს წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება:

იწყება "პირველი შეხვედრით" (1939-1967) და იმპერიაში ჩემი ადრინდელი სტუმრობის ჩანაწერების სახე აქვს. მასში ვყვები საბჭოთა ჯარების შემოჭრის შესახებ ჩემს მშობლიურ მიწაზე, პოლესიეში (დღეს იქ ბელორუსიაა), ასევე მარად თოვლიან და უკაცრიელ ციმბირში, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებში სტუმრობის ანუ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მოგზაურობის შესახებ, ეს ადგილები ადსავსენი არიან ეგზოტიკით, კონფლიქტებით, სენტიმენტით და ემოციით.

მეორე ნაწილს ეწოდება "ჩიტის ფრენის სიმაღლეზე" (1989-1991). მასში მოთხრობილია იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რომლებიც დამიგროვდა იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეებში მოგზაურობისას. ეს იყო ამ სახელმწიფოს აგონიისა და მისი საბოლოო დაშლის (ყოველ შემთხვევაში, იმ ფორმით, როგორითაც იგი არსებობდა 1991 წლამდე) პერიოდი. ამ მოგზაურობებში მარტო ვიყავი, რადგან ვცდილობდი გვერდი ამექცია ოფიციალური დაწესებულებებისათვის. ჩემი მოგზაურობის გზა იწყებოდა ბრესტიდან (საბჭოთა კავშირის საზღ-

ვარი პოლონეთთან — ა.გ.) და გრძელდებოდა მაგადანამდე, პოლარული წრის იქით მდებარე ვორკუტიდან, ვიდრე ტერმეზამდე (საბჭოთა კავშირის საზღვარი ავღანეთთან. ა.გ.). ეს კი 60 ათას კილომეტრზე მეტია.

რაც შეეხება მესამეს, მისი სათაურია "მოგზაურობა გრძელდება" (1992-1993) და შეიცავს [illegible] ინტერვიუებს, ჩანაწერებსა თუ შენიშვნებს, რომლებიც წარმოდგა მოგზაურობის, საუბრებისა და კითხვის შედეგად.

წიგნი პოლიფონიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ფურცლებზე გაიელვებენ სახეები და ამბები, რომლებსაც ვხვდებოდი სხვადასხვა ადგილებსა და სხვადასხვა დროს. ამასთან, მიუხედავად წიგნის ამგვარი ხასიათისა, დასკვნით ნაწილში იგი არ სრულდება რადაც გარკვეული სინთეზით, პირიქით — დეზინტეგრაციაა და დაშლილობაა მისთვის ბოლომდე ნიშანდობლივი. ეს იმიტომ, რომ წერის პროცესში დაემხო მისი უმთავრესი თემა და საგანი — დიდი საბჭოეთი, რომლის ადგილას წარმოიქმნენ ახალი სახელმწიფოები, და მათ შორის — რუსეთი, უდიდესი ქვეყანა, საუკუნეების მანძილზე სწორედ იმპერიული ამბიციები რომ ასულდგმულებდა და აერთიანებდა.

ეს წიგნი არ წარმოადგენს არც რუსეთის და არც საბჭოთა კავშირის ისტორიას, იგი არაა თხრობა ამ ქვეყანაში კომუნიზმის წარმოშობისა თუ დაცემისა და არც ჯიბის წიგნი იმპერიის შესახებ.

მასში მხოლოდ ჩემი განცდები მოგზაურობიდან მიღებული და შთაბეჭდილებებია, როდესაც ვცდილობდი გავცნობოდი ყველაფერ იმას, რისი გაცნობის საშუალებასაც მაძლევდა ჩემი დრო, ძალა და საშუალება.

I. პირველი შეხვედრა (1939-1967) პინსკი, 39

იმპერიასთან ჩემი პირველი შეხვედრა შედგა ხიდზე, რომელიც პატარა ქალაქ პინსკს სამყაროს დასავლეთ ნაწილთან აერთებს. 1939 წლის სექტემბრის ბოლო იყო. ირგვლივ ომი მძვინვარებდა, იწვებოდა სოფლები, ადამიანები ტყვიებს ტყეებსა და ნანგრევებში ემალებოდნენ, სადაც კი შეეძლოთ, შველას ეძებდნენ.

მახსოვს, ჩვენს გზაზე მკვდარი ცხენი ეგდო. — თუ წინ წასვლა გსურთ, გვირჩევს ერთი კაცი, იგი გვერდზე უნდა გადაათრიოთ. არადა, რამდენი ჯაფა სჭირდება ამას, რამდენი ოფლი: უსიცოცხლო სხეული ხომ ძალზე მძიმეა.

გამტვერილი ლტოლვილები დაბნეულად გამოიყურებოდნენ. საკითხავია, რაში სჭირდებათ მათ ამდენი ფეთები, ჩემოდნები, ამდენი ჩაიდნები და ქვაბები? ეს გინება რადაა

ასეთი უშვერი სიტყვებით? რას ეკითხებიან ერთმანეთს ასე დაუსრულებლივ? ყველას რაღაცა აქვს აკიდებული, ყველა მირბის – კაცმა არ იცის, საით, გარდა დედაჩემისა. მან ხელში აგვიყვანა მე და ჩემი და, რათა ერთად წავსულიყავით პინსკისაკენ, ჩვენი სახლისაკენ, ვესოლეის ქუჩაზე. ომმა რეიოვცას ახლოს მოგვისწრო, სადაც არდადეგებს ვატარებდით ბებიასთან, ამიტო ახლა სახლში უნდა დავბრუნდეთ. *Tutti a casa!**

რამდენიმე დღეში პინსკის მივუახლოვდით. უკვე გამოჩნდა პირველი სახლები, ლამაზი პარკის უმშვენიერესი ხეების კენწეროები და ეკლესიების ჯვრები. ზუსტად ამ დროს ზედ ხიდთან, მოულოდნელად გზა სამხედროებმა გადაგვიღობეს. მათ ხელში გრძელი კარაბინები და ბასრ წვერიანი ხიშტები ეჭირათ, მრგვალ ქუდებზე წითელი ვარსკვლავები ეკეთათ. ისინი ამ რამდენიმე დღის წინ მოცურდნენ პირდაპირ შავი ზღვიდან, ჩაძირეს ჩვენი სასაზღვრო გემები, დახოცეს მეზღვაურები და ჩვენს მშობლიურ ქალაქში არ გვიშვებდნენ. ახლოს მისვლის ნებასაც არ გვაძლევდნენ – შეჩერდით ადგილზე, – ყვიროდნენ და თან ავტომატს გვიღერდნენ. დედა, სხვა ქალები და ბავშვებიც, რომლებმაც თავი ხიდთან მოიყარეს, ტიროდნენ და მეზღვაურებს თავს აბრალებდნენ. დიდხანს ეეედრნენ შიშისაგან თითქმის გონებადაკარგული ჩვენი დედები მეზღვაურებს. ჩვენ კი, ბავშვებს, რისი გაკეთება შეგვეძლო, – ვქვითინებდით და უსუსურ ხელებს ზეცისაკენ ვაპყრობდით. ყვირილი, ტირილი, ავტომატები და ხიშტები, ოფლიანი მეზღვაურების ბოროტი სახეები, როგორც კოშმარი, ჩემთვის სრულიად მიუწვდომელი და გაუგებარი იყო. ყველაფერი ხდებოდა იქ, ხიდთან, მდინარე პინას ნაპირზე, ანუ იმ სამყაროში, რომელშიც შევაბიჯე, როდესაც შვიდი წლისაც კი არ ვიყავი.

სკოლაში პირველივე გაკვეთილიდან რუსულ ანბანს ვსწავლობთ. დავიწყეთ ასო "ს"-დან. – რატომ ვიწყებთ ამ ასოდან? – იკითხა ვიღაცამ – ანბანი ხომ ასო "ა"-დან იწყება?! ბავშვებო, – ამბობს შედარებით ხმადაბლა ჩვენი მასწავლებელი (პოლონელი), აბა შეხედეთ ამ წიგნის გარეკანს. რომელია ამ წიგნზე პირველი ასო? – "ს"! ბელორუს პეტრეს შეუძლია წიგნის მთელი სათაურის წაკითხვა: სტალინი – "ლენინიზმის საკითხები". ესაა ერთადერთი წიგნი, რომლიდანაც ჩვენ რუსულს ვსწავლობთ, მისი ერთადერთი ეგზემპლარი. მის მაგარ ყდაზე დიდი, მოოქროვილი ასოებითაა გამოყვანილი ეს გვარიც და სათაურიც.

"დაგვშორდა რა, ამხანაგმა ლენინმა დაგვიბარა... " – დუდუნებს პირველი მერხთან მჯდარი მორჩილი და წყნარი ვლადეკი. უმჯობესია არ იკითხო, თუ ვინ იყო ამხანაგი ლენინი. ბავშვები უკვე დედების მიერ ვართ გაფრთხილებულები, რომ არ დავსვათ მსგავსი კითხვები. თუმცა ეს გაფრთხილებაც არ იყო საჭირო.

---

* ყველანი სახლში

არ შემიძლია ვთქვა, თუ რატომ მოხდა, მაგრამ ჰაერი ისე დამძიმდა, რომ ქალაქი, სადაც ბავშვები ადრე ასე ვცელქობდით და ვხალისობდით, მოულოდნელად დანაღმულ მინდვრად გადაიქცა. იმისიც კი გვეშინოდა, ღრმად ამოსუნთქვით აფეთქება არ გამოგვეწვია.

ბავშვები აუცილებლად პიონერები უნდა გახდნენ! ერთ დღეს სკოლის ეზოში შემოვიდა მანქანა, [illegible] ციისფერ მუნდირში გამოწყობილი ბატონები გადმოვიდნენ. ვიღაცამ თქვა, რომ ისინი ნკვდ-დან იყვნენ. ბავშვებისათვის გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა ნკვდ, ის კი ვიცოდით, რომ, როდესაც უფროსები ამ სიტყვას ამბობდნენ, ოდნავ თვალებს ჭუტავდნენ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. საფიქრებელი იყო, რომ ნკვდ სერიოზულ დაწესებულებას წარმოადგენდა, რადგან ამ დაწესებულების თანამშრომელთა უნიფორმა ძალზე ელეგანტურად და ახლად გამოიყურებოდა, თითქოს ეს-ესაა გამოუტანიათ ატელიედანო. ეს მაშინ, როდესაც ჯარი ჩამოძონძილი და მშიერი დადიოდა. რაც შეეხება მათ ფეხსაცმელს, ისინი ვგონებ მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც არ გაეწმინდათ. სულ სხვა იყო ნკვდ. მის თანამშრომლებს ერთიანად უბრწყინავდათ ტანსაცმელ-ფეხსაცმელი.

მათ თეთრი პერანგები და წითელი ყელსახვევები მოგვიტანეს. სადღესასწაულო დღეებში, – ამბობს დაშინებული ხმით ჩვენი მასწავლებელი, – სკოლაში ყველანი პერანგითა და ყელსახვევით უნდა მოხვიდეთ. მათვე სამკერდე ნიშნებით სავსე ერთი ყუთი მოგვიტანეს და დაგვირიგეს. თითოეულ ნიშანზე რომელიღაც ბელადის პორტრეტი გამოესახათ: ზოგი – ულვაშებით, სხვები – გაპარსულნი, ზოგი წვერით, ხოლო ორი მათგანი – მელოტი. ორი თუ სამი სათვალეებიანი იყო. ნკვდ-ს ერთ-ერთი წარმომადგენელი მერხებს შორის დადიოდა და ამ ნიშნებს არიგებდა. – ბავშვებო, – წარმოთქვა მასწავლებელმა ისეთი ფუყე ხმით, თითქოს ფუტურო ხეს ვიღაცამ ჯოხი შემოჰკრაო, – აი, ჩვენი ბელადები.

ბელადი სულ ცხრა იყო: ანდრეევი, ვოროშილოვი, ჟდანოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, მიქოიანი, მოლოტოვი და ხრუშჩოვი, მეცხრე კი თავად სტალინი. სამკერდე ნიშანი მისი გამოსახულებით თითქმის ორჯერ აღემატებოდა დანარჩენებს. თუმცა ამის ახსნა ძნელი როდი იყო. კაცი, რომელმაც ისეთი სქელტანიანი წიგნი დაწერა, როგორიცაა "ლენინიზმის საკითხები" (რომლიდანაც კითხვას ვსწავლობდით), ნამდვილად იმსახურებდა, რომ მისი პორტრეტი შედარებით დიდი გამოჩენილიყო.

სამკერდე ნიშნები პიჯაკის მარცხენა მხარეს უნდა მიგვემაგრებინა, იქ, სადაც უფროსები მედლებს ატარებენ. მაგრამ მალე პრობლემა შეგვექმნა – ნიშნები არ გვეყო. არადა, იდეალური, თითქმის სავალდებულოც კი იყო, რომ მკერდით ყველა ბელადის პორტრეტი გვეტარებინა. ამასთან, სტალინის დიდი ნიშანი უნდა ყოფილიყო კოლექციის გამსსნელი. სწორედ

ასე გვირჩიეს მათ, ნკვდ-დან: აუცილებელია ყველას პორტრეტის ტარება! ამავდროულად აღმოჩნდა, რომ ვიღაცას აქვს ჟდანოვის პორტრეტი, და არა აქვს – მიქოიანის, ანდა სხვას აქვს ორი კაგანოვიჩი და აკლია მოლოტოვი. ერთ დღეს ანეკმა ოთხი ხრუშჩოვიც კი მოიტანა, რომელიც ერთ სტალინში გადაცვალა (მას სტალინი აწაპნეს). ჩვენს შორის ნამდვილი კრეხი იყო პეტრუსა – წარმოგიდგენიათ, მას ოფიცერი-სტალინიც კი ჰქონდა. იგი იღებდა მას ჯიბიდან და ტრაბახით გვაჩვენებდა.

ერთხელაც, მეზობელ მერხთან მჯდომმა ხაიმმა განზე გამიხმო და ერთი მიქოიანის ორ ანდრეევზე გაცვლა შემომთავაზა, მაგრამ ვუთხარი, რომ ანდრეევი არ ღირდა ამდენი (რაც ნამდვილად ასეც იყო, რადგანაც ვერავინ გეტყოდა, რას წარმოადგენდა იგი), ამიტომაც არ დავეთანხმე. მეორე დღეს ხაიმმა კვლავ გამიხმო და ჯიბიდან ვოროშილოვი დააძრო. გულმა რეჩხი მიყო. ვოროშილოვი ხომ ჩემი კუმირი იყო! იგი მუნდირს ატარებდა, როგორც ნამდვილი სამხედრო, მე კი უკვე ვიცოდი, თუ რას წარმოადგენდა ომი. ამიტომაც მივეცი მის სანაცვლოდ ჟდანოვი, კაგანოვიჩი და მიქოიანიც მივაყოლე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვოროშილოვი და მოლოტოვიც კარგად ფასობდნენ. ამ უკანასკნელში შეიძლებოდა მიგელო სამი პორტრეტი, რადგანაც უფროსები ამბობდნენ, რომ მოლოტოვი ძალზედ სერიოზული პოლიტიკური ფიგურაა. კარგი ფასი ჰქონდა დადებული კალინინსაც, რადგანაც იგი ნამდვილ პოლონელ პაპას ჰგავდა. ამასთან, ჭაღარაც იყო და ერთადერთი, სხვებისგან განსხვავებით, თითქოს იღიმებოდა კიდეც.

დროდადრო გაკვეთილებს ზარბაზნის ბათქი წყვეტდა. სროლა ახლოდან ისმოდა, ზრიალი გაჰქონდათ ოთახის მინებს, ზანზარებდნენ კედლები, შეშინებული და შეშფოთებული მასწავლებელი კი ფანჯარაში იყურებოდა. თუ სროლის შემდეგ სიჩუმე ისადგურებდა, ვაგრძელებდით ჩვენი სქელი წიგნის კითხვას, ხოლო თუ კვლავ ისმოდა ფანჯრის ჩარჩოების ზრიალი, კედლებიდან ბათქაშების ჩამოშლის ხმა, კლასი ცოცხლდებოდა და ისმოდა ხმამაღალი შეძახილები – მოარტყა! მოარტყა! მალე ზარიც აწკრიალდებოდა და ჩვენ თავქუდმოგლეჯილნი გავრბოდით მოედნისაკენ, რათა გაგვეგო, სინამდვილეში რა მოხდა. ჩვენი პატარა, ერთსართულიანი სკოლა იმ ვრცელი მოედნის სიახლოვეს მდებარეობდა, რომელსაც სამი მაისის* მოედანი ერქვა. ზუსტად აქ იდგა დიდი, მთელ ქალაქში უდიდესი, მართლაც ვეებერთელა ეკლესიის შენობა. თავი ძალზე მაღლა უნდა აგეწია, რომ გაგერჩია, თუ სად მთავრდებოდა იგი და სად იწყებოდა ცა. თურმე წვერის მოსაძრობად ზუსტად ამ ეკლესიისათვის უსვრიათ ზარბაზანი.

---

* 1793 წლის 3 მაისს პოლონეთმა პირველად ევროპაში კონსტიტუცია მიიღო. ეს დღე პოლონეთის ეროვნულ დღესასწაულად აღინიშნება – მთარგმნელისაგან.

ეს სროლები მაშინ კლასში ასე ადვიქვით: როდესაც ბოლშევიკები ჩვენკენ წამოვიდნენ, ვიდრე ჩვენს ქალაქს და, საერთოდ, პოლონეთს მოადგებოდნენ, მათ ნახეს პეტერბურგის ცაში აზიდული ეკლესიის წვერები. ამან კი ისინი, როგორც ჩანს, ძალზე გააღიზიანა. რატომ? ამ კითხვაზე ჩვენ პასუხი არა გვქონდა. მათ გაღიზიანებას კი იმით ვგრძნობთ, რომ, როგორც კი ქალაქში შემოვიდნენ, სანამ ოდნავ მაინც დაისვენებდნენ, ვიდრე აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედავდნენ და გაერკვეოდნენ, სად იყო ესა თუ ის ქუჩა, ვიდრე ოდნავ მაინც დანაყრდებოდნენ და თავიანთ მახორკას გააბოლებდნენ, უკვე მოედანზე ზარბაზნებს დგამდნენ – ტყვია-წამალი ეკლესიაზე სასროლად მოჰქონდათ.

ვინაიდან მთელი არტილერია ფრონტზე წავიდა, მათ მხოლოდ რამდენიმე ზარბაზანი დარჩათ. ისინიც ისროდნენ, როდის და როგორც მოესურვებოდათ. თუ მოარტყამდნენ, ეკლესიის წვერიდან შავი მტვრის კორიანტელი ავარდებოდა, ზოგჯერ ცეცხლის ალის ენებიც ჩანდა. მოედნის ირგვლივ ღრმა ორმოებში ადამიანები იმალებოდნენ და იქით მოღუშულნი, თუმცა გარკვეული ცნობისმოყვარეობითაც, ადევნებდნენ თვალს ამ დაბომბვას. ქალები შიშით აღაპყრობდნენ ხელებს ზეცისაკენ და ლოცვებს წარმოთქვამდნენ. ცარიელ მოედანზე მთვრალი არტილერისტი დადიოდა და ყვიროდა: ნახეთ, თქვენს ღმერთს ვესვრით! და მერე რა? არც არაფერი, ზის წყნარად! ეშინია თუ რა არის? თან იცინოდა, ვიდრე განუწყვეტელი სლოკინი არ აუტყდა. ჩვენმა მეზობელმა ქალმა უთხრა დედას, რომ თურმე წინა დღეს, როდესაც წმინდა ანდრეას ეკლესიას ესროლეს და მისი გუმბათი ჩამოანგრიეს, ქალმა დაინახა, რომ წმინდანს ისეთი გატანჯული სახე ჰქონდა, თითქოს ცოცხლად წვავენო.

სკოლაში სიარულისას რკინიგზის ლიანდაგებზე უნდა გადავსულიყავი, იქვე, სადგურის ახლოს. მომწონდა ეს ადგილი, მიყვარდა მატარებლების ყურება, რომლებიც სადგურში შემოდიოდნენ და გადიოდნენ. განსაკუთრებით მხიბლავდნენ ლოკომოტივები: მაშინ მემანქანეობაზეც ვოცნებობდი. ერთხელაც, როდესაც ლიანდაგებზე გადავდიოდი, დავინახე, რომ რკინიგზელები სატვირთო ვაგონებს ერთ ადგილზე უყრიდნენ თავს, სადაც უკვე ათობით ვაგონი იდგა. ირგვლივ მუშაობა დუღდა: მიდი-მოდიოდნენ ლოკომოტივები, ღრჭიალებდა მათი მუხრუჭები, ირეოდნენ წითელარმიელები და ნკვდ-ს თანამშრომლები. ბოლოს მთელი მოძრაობა შეწყდა და რამდენიმე დღით სიჩუმემ დაისადგურა. ერთ დღესაც ვხედავ, რომ ვაგონებს უახლოვდებიან ურმები, რომლებიც ხალხითა და ფუთებითაა სავსე. თითოეულ ურემს რამდენიმე ჯარისკაცი აცილებდა და მათ ისე ეჭირათ ავტომატები, თითქოს წუთიც და გაისვრიანო.

კი, მაგრამ, ვისთვის უნდა ესროლათ? მათ, ვინც ურემზე იჯდა, სული ძლივს ედგათ, ისე იყვნენ დაღლილები და დამფრთხალები. დედას შევეკითხე, თუ სად მიჰყავდათ ეს ხალხი. მანაც, ძალზე ნერვიულად მიპასუხა, რომ გასახლება დაიწყო. გასახლება? რა უცნაური სიტყვაა. ნეტა რას უნდა ნიშნავდეს? მაგრამ დედა ამ თემაზე საუბრისაგან თავს იკავებდა. [illegible] საერთოდ არ სურდა ჩემთან ლაპარაკი. იგი ტირ[illegible]

დაღამდა. ვიღაცამ ფანჯარაზე დააკაკუნა (ჩვენ პატარა სახლში, თითქმის მიწურში, ვცხოვრობდით). მამა იყო, რომელიც სახით მინას მიწებებოდა და სიბნელეში ძლივს ჩანდა. იგი მალე ოთახში შემოვიდა. ძლივს ვიცანი, ხაფხულის შემდეგ არ მენახა. მაშინ მას ოფიცრის მუნდირი და მაღალი ფეხსაცმელი ეცვა. წელზე ვერცხლისფერი ქამარი ერტყა და ტყავის ხელთათმანები ამშვენებდა. როცა მასთან ერთად ქუჩაში მივდიოდი, გული სიამაყით მევსებოდა. ვუსმენდი, თუ როგორი ჭრაჭუნის ხმას გამოსცემდა მისი ფეხსაცმელი. ახლა კი იდგა იგი ჩვენს წინაშე პოლესიელი გლეხივით ჩაცმული, გამხდარი და გაუპარსავი. სელის პერანგი ეცვა, რომელიც მუხლებამდე დასთრევდა, ხოლო წელზე უხეში ტილოს ქამარი ჰქონდა შემოჭერილი. ფეხზეც ლანჩებამძვრალი ფეხსაცმელი ეცვა. დედისგან გავიგე, რომ იგი საბჭოთა ტყვეობაში მოხვედრილა და აღმოსავლეთისაკენ გადაუყვანიათ. შემდეგ გამოქცეულა და რომელიღაც სოფელში მუნდირი გლეხისათვის ამ სამოსში გაუცვლია.

– ბავშვებო, – გვეუბნებოდა დედა, – ახლა კი დაიძინეთ!

მეზობელი ოთახიდან, სადაც ჩემი მშობლები დარჩნენ, ისმოდა ჩურჩული და რაღაც გაუგებარი მოძრაობები.

დილით ადრე, როცა ავდექით, მამაჩემი უკვე სახლში ველარ ვნახე. სკოლაში მიმავალი თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, იქნებ სადმე დავლანდო-მეთქი. რამდენი რამის თქმა მინდოდა მისთვის – ჩემზე, სკოლაზე, ზარბაზნებზე. კიდევ იმაზე, რომ უკვე შემეძლო რუსულად კითხვა და რომ უკვე ვნახე გადასახლება. მაგრამ მამა ლოჩიშინსკის გრძელი ქუჩის ბოლოშიც კი არ ჩანდა. შემოდგომა იყო, ცივი ქარი ქროდა და თვალებში მტვერს მაყრიდა.

ეს დღეც მიიწურა. ღამით ვიღაცები ქარიშხალივით მოაწყდნენ ჩვენს კარებსა და ფანჯრებს, ოთახში შემოვარდნისთანავე კარაბინები მოგვიშვირეს. ძალზე შეგვეშინდა: მართლაც რომ გვესროლათ და მოვეკალით? ძალიან არასასიამოვნო გრძნობა ეუფლება ადამიანს მოკლულის დანახვისას. და არა მხლოდ ადამიანის, არამედ მოკლული ცხენის დანახვისას. უსიამოვნო ჟრუანტელი გივლის ამ დროს მთელ სხეულში.

ისინი, ვისაც ჩვენი მიმართულებით კარაბინები მოემართათ, ძეგლებივით გაუნძრევლად იდგნენ. სამაგიეროდ სხვები

მიესივნენ ჩვენს კარადებს, საწოლებს და ყველაფერს. რასაც იქ ნახავდნენ, იატაკზე ყრიდნენ. ერთამნეთში აირია – პერანგები, წინდები, ქუდები, ჩვენი სათამაშოები. რამდენჯერმე ჰკითხეს დედას: муж где? ქალალდივით გაფითრებულმა ქალმა კი გაშალა თავისი აკანკალებული სუსტი ხელები და უპასუხა, რომ არაფერი იცოდა. ეს, შენი, ამბობს ჯარისკაცი და ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს დედაჩემს უნდა ჩაეტყვა. დედა თავს მკლავებში მალავს, მუშტს იცილებს. ისინი ძებნას აგრძელებენ მაგიდების, ტახტის, საწოლის ქვეშ. რას ეძებდნენ? – იარაღს. მაგრამ საიდან უნდა გვქონოდა იარაღი? აქ მხოლოდ ჩემს სათამაშო თოფს თუ იპოვიდა კაცი, რომლითაც ბიჭებთან თამაშობისას, ვითომ ინდიელებს ვებრძოდი. ისე, როდესაც ეს თოფი ახალი იყო, ყოველთვის შემეძლო გამერეკა ინდიელები ჩვენი ეზოდან, მაგრამ მას ზამბარა დაუსუსტდა და აღარაფერში აღარ ვარგოდა.

ჯარისკაცებს დედაჩემის წაყვანა უნდოდათ. რამე დააშავა და იმიტომ, თუ რაშია საქმე? მუშტებით ემუქრებოდნენ და წინ აგდებდნენ. – иди! – უყვიროდა ჯარისკაცი და ცდილობდა, კუნაპეტ ღამეში ეზოში გაეყვანა. მაგრამ ამ დროს ჩემმა უმცროსმა დამ თავი ვერ შეიკავა, მივარდა ჯარისკაცს და მუშტების ცემა და კბენა დაუწყო. გოგო თითქოს ტრანსშიაო, გონება დაკარგაო, ისე იქცეოდა. მის ქცევაში იმდენი მოულოდნელი, გასაოცარი ძალა, გაცოფება და გაბედულება იგრძნობოდა, რომ წითელარმიელი, მათი მეთაური, ცოტა დაფიქრდა, შეყოვნდა, ბოლოს დაიხურა ქუდი, რევოლვერი ბუდეში ჩაიდო და თავის ხალხს მიმართა – Пошли!

სკოლაში, გაკვეთილებს შორის შესვენებისას, ან მაშინ, როდესაც ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად სახლში ვბრუნდებოდით, ძირითადი თემა, რაზეც ვსაუბრობდით, გადასახლება ხდებოდა. ამაზე უფრო საინტერესო თემა არ გვქონია. ჩვენი ქალაქი მთლად მწვანეში იყო ჩაფლული, სახლების ირგვლივაც ბაღბოსტნები გადაშლილიყო, ამიტომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა იქ დამალულიყავი, ყველაფერი დაგენახა და ამავე დროს ვერავის შეემჩნიე. უფროს კლასებში ბევრი ისეთი იყო, რომლებიც ამას ადვილად ახერხებდნენ, გარბოდნენ სახლიდან ასეთ ადგილებში და თვალს ადევნებდნენ გადასახლების მთელ პროცესს. მე რამდენიმე ასეთი გადასახლების ექსპერტს ვიცნობდი, რომლებიც ამ თემაზე სიამოვნებით და საკითხის დიდი ცოდნით საუბრობდნენ.

როგორც ჩანს, ღამით ასახლებდნენ ხალხს. ალბათ განგებ, რათა ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინათ ადამიანებზე. აბა, როგორია, კაცი წევს, სძინავს, მოულოდნელად ვიღაცის ხმა აღვიძებს, თვალებს ახელს და თავზე ჯარისკაცები და ნკვდ-ს თანამშრომლები დასდგომიან. ძალით ათრევენ ლოგინიდან,

კონდახით უჯიკავებენ და სახლის დატოვებას აიძულებენ. ამასთან, ეძებენ იარაღს, რომელიც ისედაც არავის არა აქვს. ისინი განუწყვეტლივ იგინებოდნენ და ყველაზე ცუდად ექცეოდნენ მას, ვისაც ბურჟუას უწოდებდნენ. მის მთელ სახლს გადააყირავებდნენ მანამ, ვიდრე რაიმე სამხილს არ იპოვიდნენ. ამასობაში ვიდრე ისინი ჩხრეკას ახორციელებენ, შოდის გლეხის ურემიც, რომელშიც დაჩაჩანაკებული ცხენია შებმული, რამეთუ პოლესიელები ღარიბები იყვნენ და ცხენებიც მშივრები და მოუვლელი ჰყავდათ. ამიტომ, როდესაც მეთაური ხედავდა, რომ ურემი ადგილზე იყო, უყვიროდა ხელქვეითებს: თხუთმეტ წუთს გაძლევთ, იკმარეთ, ჩაალაგეთ, რაც საჭიროა და დასხედით ურემზე. გულკეთილი მეთაური ნახევარ საათსაც კი აძლევდა ამ საქმისათვის. ჯარისკაცები ყველაფერს ტომრებში ყრიდნენ. თქმა არ უნდა, ასეთ დროს არაფერს არჩევდნენ და უარს არაფერზე ამბობდნენ. სწრაფად, სწრაფად, დრო არაა! შემდეგ სასწრაფოდ ურმისაკენ გარბოდნენ. ურემზე გლეხი იჯდა, მაგრამ იგი ვერავის მოეხმარებოდა, ამის უფლება მას არა ჰქონდა, ისიც კი აკრძალული ჰქონდა, რომ შკან გამოეხედა და დაენახა, თუ ვინ უჯდებოდა ურემზე. სახლი ცარიელი რჩებოდა, რამეთუ მთელი ოჯახი მიჰყავდათ, პაპა, ბებია, ბავშვები, მოკლედ, ყველა და შუქს აქრობდნენ.

ახლა ურემი უკვე ბნელ ადგილებში, ჩამკვდარი ქუჩებით, რკინიგზის სადგურის მიმართულებით მიდიოდა, სადაც საბარგო ვაგონები იყო ჩაყენებული. მიდიოდა ჭრიჭინით, ჭრიალით, რადგან ჩვენი გზების უმეტესობაზე ასფალტი არ აგია, არც ქვაფენილი. ურმის თვლები ტალახში ეფლობოდა, ანდა მოულოდნელად ღრმა ორმოში ვარდებოდა. მაგრამ ამას უკვე ყველა მიეჩვია – მეურმე პოლეშუკიც, მისი ცხენებიც და ის უბედურებიც კი, რომლებიც ისხდნენ თავიანთ ტოპრაკებთან ერთად, დამცირებულნი და დაღონებულნი.

გლეხები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ გადასახლება საკუთარი თვალით ეხილათ, ამბობდნენ, რომ მათ ურმები თითქმის რკინიგზის ლიანდაგებამდე მიჰყავდათ. იქ საბარგო ვაგონები იყო ჩამომდგარი, ისეთ სიგრძეზე, რომ თვალს ვერ გაუწვდენდი. ყოველ ღამე ათეულობით ურემი იყო ამისათვის გამოყოფილი. ურმები დგებოდნენ მოედანზე, რკინიგზის სადგურის წინ. შემდეგ ხალხი მაღალი ვაგონებისაკენ ფეხით მიჰყავდათ. ასეთ ვაგონში ასვლა ძნელი იყო. ჯარისკაცები, რომლებიც ამ ხალხს მოაცილებდნენ, კარაბინებს იქნევდნენ, ყვიროდნენ და ისე მიერეკებოდნენ. როდესაც ერთ ვაგონს შეავსებდნენ, ხალხს შემდეგი ვაგონისკენ ერეკებოდნენ. მაგრამ რას ნიშნავდა ვაგონის შევსება? ეს ნიშნავდა იქ იმდენი ხალხის შეყრას, რომ ნემსიც კი არ ჩავარდებოდა.

არასოდეს არ იყო ცნობილი, თუ ვისთან, რომელ ღამეს მივიდოდნენ. გლეხები, რომლებმაც უკვე ბევრი რამ იცოდნენ

ამ გადასახლების შესახებ, ცდილობდნენ, დაედგინათ რაღაც კანონი, წესი, იერარქია, მოკლედ მოეძებნათ გასაღები ამ პროცესებისათვის, მაგრამ ტყუილ-უბრალოდ ირჯებოდნენ. მაგალითად, დაიწყეს ბედნარსკელების გასახლება და — მოულოდნელად შეწყვიტეს, შემდეგ შეუდგნენ კიოვსკელების გასახლებას, მაგრამ მხოლოდ ნაწილი გაასახლეს, ან შემდეგ, რაც ჩვენი სახლი გადააქოთეს, დედა გვიკრძალავდა გაგვეხადა და ისე დავწოლილიყავით დასაძინებლად. მხოლოდ ფეხსაცმლის გახდა შეიძლებოდა და ისიც იქვე უნდა დაგვეწყო, სადაც ვიწექით. პალტო ისე იდო სკამებზე, რომ მისი ჩაცმა თვალის დახამხამებაში მოგვეხერხებინა. სწორი რომ ვთქვა, ჩვენ არც გვეძინა. ვიწექით მე და ჩემი დაიკო და ერთმანეთს ვჩქმეტდით, თმებზე ვექაჩებოდით. — არ ჩაიძინო! — ვეჩურჩულებოდი ჩემს დას. — არც შენ ჩაიძინო, — იყო დის პასუხი. თუმცა, ცხადია, ამ ჩურჩულში მეცა და ჩემს დასაც ჩაგვეძინებოდა ხოლმე. მხოლოდ დედაჩემი იყო, ვისაც შეეძლო მთელი ღამე არ სძინებოდა. იგი იჯდა მაგიდასთან, მთელი ღამე მიყურადებული. ჩვენი ქუჩა ისეთი წყნარი იყო, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით. მაგრამ თუ ამ სიჩუმეში ვიღაცის ფეხის ხმას გაიგებდა, დედას უკვე ფერი მისდიოდა. ასეთ დროს მხოლოდ მტრის ფეხის ხმა შეიძლება ისმოდეს. კლასში უკვე მოვასწარით სტალინის წიგნის წაკითხვა კლასობრივ მტრობაზე. მტერი — ეს ძალზე საშინელი ვინმეა. აბა სხვა ვინ შეიძლება მოვიდეს ასეთ დროს? კეთილი ხალხი დამფრთხალ-დაშინებული სახლებში იყვნენ გასუსულები.

თუნდაც რომ გვძინებოდა, თაგვებივით გვეძინა. ოდნავი ჩურჩულის ხმაც კი გვაღვიძებდა. ზოგჯერ დილაობით ურმის ჭრიჭინი ისმოდა. სიბნელეში ეს ხმა თანდათან იზრდებოდა და როდესაც ჩვენს სახლს უახლოვდებოდა, ისეთ ხმაურში გადაიზრდებოდა ხოლმე, თითქოს ჯოჯოხეთის მანქანამ გაიარაო. ასეთ დროს დედა თითის წვერებზე მიდიოდა ფანჯარასთან და ფარდას ფრთხილად სწევდა. ალბათ ჩვენი ქუჩის მცხოვრები სხვა დედებიც იგივეს აკეთებდნენ. ისინი ხედავდნენ ქუჩაში ნელ-ნელა მიმავალ ურემს, რომელსაც წელში მოხრილი ადამიანი მიჰყვებოდა. ურემს მისდევენ წითელარმიელები და მათ უკან, წყვდიადში უკვე აღარაფერი ჩანდა. მეზობელმა ქალმა, რომელმაც დაინახა, რომ წმინდა ანჯეი ბობოლას ცოცხლად წვავდნენ, დედას უთხრა, თითქოს ურმები მის სხეულზე დადიოდნენ. მეორე დღეს მას ყველაფერი სტკიოდა.

პირველ კლასში პავლე გაუჩინარდა. ზამთარი ახლოვდებოდა და მასწავლებელმა გვითხრა, პავლე ალბათ გაცივდა და ლოგინში წევსო. მაგრამ პავლე არც შემდგომ დღეებში და კვირეებში მოსულა. მაშინ კი უკვე იმახე ფიქრი დავიწყეთ, რომ ალბათ აღარასოდეს აღარ დაბრუნდებოდა. რამდენიმე

დღის შემდეგ ვნახეთ, რომ პირველი მერხი, რომლეზეც იანეკი და ზბიშეკი ისხდნენ, ცარიელი იდგა. გული დაგვწყდა, რადგან ერთსაც და მეორესაც შეეძლო საუკეთესო ანეკდოტების მოყოლა და ამიტომ, პან მასწავლებელმა, ორივე რომ თვალქვეშ ჰყოლოდა, ისინი პირველ მერხზე დასვა. სხვა კლასებშიც დაიწყო ბავშვების გაუჩინარება. უკვე აღარავინ კითხულობდა, თუ რატომ არ დადიოდნენ სკოლაში და საერთოდ, სად იყვნენ. სკოლა თანდათან უკაცრიელი ხდებოდა. გაკვეთილების შემდეგ ჩვენ კვლავაც ვთამაშობდით ფეხბურთსა და დამალობანას, მაგრამ, ჩანს, რაღაც ისეთი მოხდა, რომ ბურთი ძალზე დამძიმდა და აღარავის ეხალისებოდა სირბილი. სამაგიეროდ ადვილად წამოიჭრებოდა ხოლმე ერთმანეთს შორის კამათი, რაც შესაძლო იყო ჩხუბშიც გადაზრდილიყო, რის შემდეგაც სახლში გაბოროტებული ვბრუნდებოდით.

ერთ დღეს მასწავლებელიც გაქრა. იმ დღეს, როგორც ყოველთვის, სკოლაში დილით მივედით და ზარის დარეკვის შემდეგ მერხებზე დავსხედით. მალე კარებში დირექტორი ლუბოვიცკიც გამოჩნდა. ბავშვებო, – გვითხრა მან – წადით ახლა სახლში და სკოლაში ხვალ მოდით, თქვენ ახალი მასწავლებელი გასწავლით. პირველად მამას წასვლის შემდეგ გულის არეში რაღაც ჩხვლეტა ვიგრძენი. რატომ წაიყვანეს ჩვენი მასწავლებელი? ბოლო დროს იგი რაღაც განერვიულებული და დაღონებული გამოიყურებოდა და ხშირად იცქირებოდა ფანჯარაში. – ბავშვებო, ბავშვებო, – ამბობდა და თავს აკანტურებდა. იგი ყოველთვის ძალზე სერიოზულად გამოიყურებოდა. ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილი იყო და არასოდეს მისცემდა შენიშვნას ბავშვს, თუკი წაიბორძიკებდა, მაგალითად, სტალინის წიგნის კითხვისას. ასეთ დროს არა თუ დაიყვირებდა, არამედ ეღიმებოდა ხოლმე.

სახლში ძალიან დაღონებული დავბრუნდი. როდესაც რელსებზე გადავდიოდი, ნაცნობი ხმა შემომესმა. ვიღაც მეძახდა. რკინიგზის პირას ვაგონები იდგა, ხოლო მასში ისხდა ის ხალხი, რომელთათვისაც გადასახლება გადაეწყვიტათ. სწორედ იქიდან მეძახდა ვიღაც. შევხედე და ერთ-ერთი ვაგონის კარებიდან ჩვენი მასწავლებელი შევნიშნე, ხელს მიქნევდა. ღმერთო ჩემო! გავვარდი იქით. მაგრამ იმავე წუთს მომვარდა ჯარისკაცი და ისეთი გამარტყა, დავეცი. თუმცა მალევე წამოვხტი, მაგრამ ძლიერ ტკივილს ვგრძნობდი. მან კი კიდევ ერთხელ მომიქნია ხელი, თუმცა ამჯერად ამაცდინა, თან ყვიროდა, "ეშმაკმაც წაგიღოსო" და რას ბღარ მიწოდებდა.

მალე შიმშილობა დაიწყო. აქამდე ყინვები არა ყოფილა, სკოლიდან გამოსვლის შემდეგ დავიწყეთ ბაღებში ძრომიალი. ჩვენ კარგად ვიცნობდით იქაურობას, ვინაიდან ბუჩქებს შორის, ხშირად ქანცის გაძრომამდე ვთამაშობდით ხოლმე ომობანას,

ვიცოდით თუ ვის ედგა დიდი ვაშლი, ვისი მსხალი იყო უკეთესი, სად მოიწია ისე ქლიავი, რომ პირდაპირ იისფერი გახდა. ამგვარი "ლაშქრობები" ძალზე სარისკო იყო, რამეთუ ბაღის მეპატრონენი ხშირად დაგვიფრენდნენ ხოლმე ეზიდან. შიმშილმა უკვე თითქმის ყველას ჩახედა თვალებში და ვისაც კი შეეძლო, რაღაც მარაგს იკეთებდა. არავის [illegible] ეკარგა ერთი ჭერამი, ატამი თუ ქლიავი. გაცილებით უსაფრთხო იყო იმ ხალხის ბაღების გაქურდვა, რომლებიც დააპატიმრეს და ვაგონებში გამოკეტეს, რამეთუ არავინ ყარაულობდა და ზრუნავდა მათ ხეებსა თუ ბაღებზე.

პინიას ბაზარი, სადაც გლეხებს მიჰქონდათ თავიანთი საგანძური – თევზი იყო, თაფლი თუ ბურღული – უკვე კარგა ხანია დაცარიელებული იყო, ხოლო მაღაზიათა უმეტესობა დაკეტილი ან გაქურდული. გადარჩენის ერთადერთ გზად სოფელი რჩებოდა. ჩვენი მეზობელი ქალები იღებდნენ საქორწინო ბეჭდებს, ანდა ძვირფას ქურქებს და მიდიოდნენ მახლობელ სოფლებში, რათა მათი გაყიდვიდან აღებული ფულით შეეძინათ ფქვილი, სალა ან ქათამი. ხანდახან, როდესაც ეს ქალები ქალაქის გარეთ იყვნენ, ნკვდ მიდიოდა მათ სახლებში და ბავშვები სადღაც მიჰყავდათ. მხოლოდ მეზობლები უყვებოდნენ უკან დაბრუნებულ დედებს. დედაჩემს გადაწყვეტილი ჰქონდა, ერთი ნაბიჯიც კი არ გადაედგა და არ მივეტოვებინეთ.

ჩვენი ქალაქი, მწვანე, თუმცა, საფხულობით ცხელი იყო. შემოდგომაზე ვერცხლისფერი ხდებოდა და მზეზე ქარვასავით ბრწყინავდა. სამაგიეროდ ზამთრობით ერთ ღამეში თეთრდებოდა. ეს განსაკუთრებით ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში ხდებოდა. ზამთარი 1939-1940 წლების გასაყარზე ნამდვილი სუსხიანი და მკაცრი, ყინულიანი ჯოჯოხეთი იყო. სპოკონეის ქუჩაზე, სასაფლაოს მხრიდან, სადაც ბებიაჩემიც განისვენებს, თითქმის ბუჩქებამდე მივძვერით, ანუ იქამდე, საიდანაც უკვე ძნელი აღარ იყო ახლო-მახლო მოძრავი ტრანსპორტისათვის თვალის დევნება. ვაგონებში ის ხალხი იყო, რომლებიც დღეს თუ არა ხვალ აქედან უნდა წასულიყვნენ, მაგრამ სად? მოხუცები ამბობდნენ, ციმბირშიო. წარმოდგენა არა მქონდა, სად იყო ციმბირი, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოთქვამდნენ ამ სიტყვას, ცხადი ხდებოდა, რომ ციმბირზე ფიქრიც კი შიშის მომგვრელი იყო.

ჩემს მასწავლებელს თვალიც ვერ მოეკარი. ალბათ სადღაც გაისტუმრეს, ტრანსპორტი ხომ ერთიმეორეს მისდევდა. ბუჩქებს ვეფარებოდით, მაგრამ შიშისა და ცხოველი შთაბეჭდილებებისაგან გული კინაღამ ყელში გვქონდა გახეხილი. არც თუ ისე შორიდან ჩვენამდე აღწევდა კვნესისა და ტირილის ხმა. ცოტა ხანიც და კიდევ უფრო ხმამაღლა და

ამასთან, უფრო გარკვევით გაისმოდა. ვაგონებს შორის ურმები დადიოდნენ. ვაგონებში მყოფნი ურმებში. სდებდნენ იმათ, ვინც ღამის სიცივის ან შიმშილისაგან იგუდებოდნენ. ურმებს წესისამებრ ნკვდ-ს ოთხი თანამშრომელი მისდევდა. ესენი რაღაცას იწერდნენ, ითვლიდნენ. იწერდნენ და კვლავ ითვლიდნენ. შემდეგ ვაგონების კარს საგულდაგულოდ რაზავდნენ. ეტყობა, ის საკმაოდ მძიმე იყო, რადგან მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად ახერხებდნენ დაკეტვას. კარებს ურდულს უყრიდნენ. ამ ოთხი თანამშრომლიდან თითოეული სათითაოდ ამოწმებდა, იყო თუ არა ყველაფერი წესრიგში. ჩვენ კი ვისხედით ბუჩქებში და სიცივით ვითოშებოდით. ლოკომოტივმა უკვე რამდენჯერმე დაიყვირა და მატარებელიც დაიძრა. როდესაც იგი უკვე დაგვშორდა, ის ოთხი ჯარისკაცი მხედრულად შემობრუნდა და რკინიგზის სადგურისაკენ გაემართა.

დედასათვის არაფერი გვითქვამს. ვერიდებოდით მის განერვიულებას, იგი ხომ მთელი დღის განმავლობაში იდგა ასე, ფანჯარასთან, ჩუმად, გაუნძრევლად. სახლში კიდევ შემოგვრჩენოდა ცოტაოდენი ფაფა და ფქვილი. ჩვენც ხან ფაფას ვჭამდით, ხანაც დედა ფქვილისაგან სიფრიფანა ბლინებს გვიცხობდა. რამდენჯერ შემინიშნავს, რომ იგი თავად არაფერს ჭამდა, ხოლო როდესაც ჩვენ ვისმუსნებოდით, პირს მიიბრუნებდა ხოლმე, ან სხვა ოთახში გადიოდა, რომ ჩვენთვის არ ეყურებინა. მხოლოდ იმას გვეუბნებოდა, ცოტა ფიჩხი მომიტანეთო. ჩვენც საცხოვრებელი სახლების ირგვლივ დავდიოდით, რათა თოვლის ქვეშიდან ხმელი ტოტები მოგვეგროვებინა. იქნებ უკვე აღარც ჰქონდა იმის ძალა, რომ თავად წასულიყო, არადა საჭირო იყო ცოტა მაინც დაგვენთო, რადგან თითქმის გათოშილები ვიყავით. საღამოობით ვიჯექით ბნელ და ცივ სახლში საათობით და შიშით ველოდით გადასახლებას...

ერთ დღესაც, მშიერნი და დათრგუნულნი, წავლასლასდით ჯარისკაცებისაკენ, რომლებიც ბანაკში მორიგეობდნენ. "ტოვარიშჩ, – უთხრა ჰუბერტმა, – გვაჭამე რამე" – და ხელის მოძრაობით მიანიშნა ლუკმის პირში ჩადება. მაგრამ მათ ამაზე მხოლოდ მხრები აიჩეჩეს. ბოლოს ერთ-ერთმა მორიგემ ჩაიყო ჯიბეში ხელი და პურის ნაცვლად პატარა ტოპრაკი ამოიღო და უსიტყვოდ გამოგვიწოდა. ტოპრაკში ჩაშავებულ-ჩაყვითლებული, წვრილ-წვრილად დაფქვილი თუთუნის ფოთლები ეყარა. წითელარმიელმა მოგვცა ასევე გაზეთის ნაგლეჯი და ხელით გვაჩვენა, თუ როგორ მიგვეცა მისთვის კონუსის ფორმა და როგორ ჩაგვეყარა მასში ნესტიანი თუთუნის ფხვნილი. ნორმალური პაპიროსი, რომელსაც აკეთებდნენ კარგი თუთუნისა და ნაზი ქაღალდისაგან, მაშინ ოცნებად იყო ქცეული.

არადა, მე სწორედ იმ პერიოდში დავიწყე მოწევა. ბოლი მეჩხირებოდა ყელში და თვალებსაც მწვავდა. ამასთან, მოწე-

ვის შემდეგ ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდა და თავდაყირა დგებოდა. მახსოვს, რამდენჯერმე მაღებინა კიდეც და კუჭის ტკივილისაგან თავი ლამისაა გამსკდომოდა. მაგრამ, ამასთანავე თითქმის სრულად გამიქრა შიმშილის აუტანელი შეგრძნება. ამიტომ, მიუხედავად პირში საშინელი გემოსი და მტანჯველი გულისამრევი გრძნობისა, წევა გაცილებით ადვილად ჯანტანი იყო, ვიდრე ცარიელი კუჭის მუშაობით გამოწვეული მწველი ტკივილები.

ჩვენი კლასი თითქმის განახევრდა. მასწავლებელმა ქალმა მე ბიჭთან დამსვა, რომელსაც ორიონი ერქვა. თავიდანვე შეგვიყვარდა ერთმანეთი და სახლში ერთად ვბრუნდებოდით. ერთხელ მან მითხრა, რომ ზავალნეის ქუჩაზე შაქარი უნდა გაყიდონ და თუ შენც გინდა, შეგვიძლია, ერთად წავიდეთ და რიგში ჩავდგეთო. ეს მართლაც მშვენიერი ექსტი იყო, რადგან უკვე კარგახანია ტკბილეული აღარ მეჭამა. დედაჩემიც დამეთანხმა და წავედით ორიონთან ერთად ზავალნეის ქუჩაზე. უკვე ციოდა და თოვდა. მაღაზიის წინ ბავშვების დიდი რიგი იდგა, რომელიც რამდენიმე სახლის იქით გრძელდებოდა. მაღაზია დაკეტილი იყო. რიგის თავში მდგარმა ბავშვებმა გვითხრეს, რომ მთელი ღამე რიგში უნდა ვმდგარიყავით, მაღაზიას მხოლოდ ხვალ გახსნიანო. დანაღვლიანებულები დავუბრუნდით ჩვენს ადგილებს, რიგის ბოლოს, რომელსაც ახალ-ახალი ბავშვები ემატებოდნენ და იგიც უსასრულოდ იზრდებოდა.

ამასობაში მოსაღამოვდა. ღამით გაცილებით აცივდა, ვიდრე დღისით, როდესაც მზის მკრთალი სხივები ასე თუ ისე გვათბობდა. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, რიგში დგომა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. ხელ-ფეხზე ხორცი დამისივდა და ტყავი დამისკდა, რაც აუტანელ ტკივილებს მაყენებდა. მათ გამო ნაბიჯის გადადგმაც კი წამებად მექცა.

დროთა განმავლობაში ჩვენმა რიგმა ქუჩის ბოლომდე მიაღწია. ცოტა გასახურებლად ბავშვები წაითამაშებდნენ და შემდეგ კვლავ თავიანთ ადგილებს უბრუნდებოდნენ რიგში (მეც მომიწია ასეთ რიგებში ტალონებით ხელში დგომა, ოღონდ უკვე შემდეგ 80-იანი წლების დასაწყისში, პოლონეთში, როდესაც მაღაზიებში ძმრის მეტი არაფერი იყო – ა.გ.), რათა ახლა სხვა ჯგუფი გასულიყო რიგიდან მცირე ხნით სათამაშოდ. შუაღამით ვიღაცამ კოცონი აანთო. ცეცხლის დიდი და ცხოველი ენები საამურ სითბოს გამოსცემდნენ. რიგრიგობით მივდიოდით კოცონთან, რათა ყინვისაგან გათოშილები გავმთბარიყავით. იმ ბავშვების თვალებში, რომლებიც ცეცხლს უახლოვდებოდნენ, სიხარულის ნაპერწკლები კიაფობდა. შემთბარი ბავშვები შემდეგ ბრუნდებოდნენ რიგში და ჩვენც გადმოგვეცემოდა მათი სითბო.

ალიონზე რიგში მდგომთ რული მოერიათ. არაფერს შველოდა გაფრთხილება, რომ ყინვაში ძილი თითქმის სიკვდილის ტოლფასი იყო. უკვე აღარავის შეეძლო, რომ ტოტები მოეძებნა კოცონისათვის, ანდა ეთამაშა. ყინვა თანდათან ძლიერდებოდა, გაყინულ თითებს უკვე ველარ ვამოძრავებდით, რათა თავი გადაგვერჩინა და ღამე როგორმე გაგვეთია. რიგში მდგომნი სულ ახლოს და ახლოს ვიწევდით ერთმანეთისკენ. ეს იყო ძალითა და სასოწარკვეთილებით ერთმანეთზე გადაბმული ჯაჭვი, რომელსაც თანდათან ტოვებდა სითბო. თოვლიც უფრო უმატებდა ბარდნას და თეთრი, რბილი საბანივით გვფარავდა.

ჯერ კიდევ წესიერად არ გათენებულიყო, რომ სქელ შალებში გამოხვეული ორი ქალი მოვიდა და მაღაზიის გაღება დაიწყეს. რიგი გამოცოცხლდა. მთელი ღამე ძილ-ბურანში ბავშვებს შაქრების გორები და შოკოლადის ლამაზი სასახლეები გვესიზმრებოდა. ბოლოს მაღაზია გაიღო და რიგიც დაიძრა. ყველანი ერთმანეთს ვაწვებოდით, რათა შიგ შევსულიყავით და რაღაც გვეყიდა. მაგრამ მაღაზიაში არც შაქარი იყო და არც შოკოლადის სასახლეები. ქალები ისე ანაწილებდნენ და ჰყიდდნენ პროდუქტს, რომ ყველას შეხვედროდა. ეს იყო მრგვალი, მაღალი ქილები, რომლებსაც ფერადი მამალი ეხატა და პოლონური წარწერა ამშვენებდა – ე. ვედლი.

თავიდან ძალზე სასოწარკვეთილები და ნაწყენები ვიყავით. ორიონი ატირდა კიდეც. მაგრამ როდესაც კარგად დავაკვირდით, თუ რა გვერგო, მთელი ღამე ცივ ქუჩაში ყურყუტის შემდეგ, სიხარულის გრძნობამ დაგვიარა სხეულში. რამეთუ ამ ქილების კედლებსაც კი შემორჩენოდათ ტკბილი გემო, ჩვენს დედებს კი ამ ქილებში წყლის ადუღება და ჩვენთვის ტკბილი, არომატული სასმელის მომზადება შეეძლოთ. ჩვენც უკვე კმაყოფილები, ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ სახლში წავსულიყავით, პარკში შევედით, სადაც ზაფხულობით ცირკი წარმოდგენებს მართავდა ხოლმე. მართალია, ცირკი უკვე წასული იყო, მაგრამ მათ ისე სწრაფად დატოვეს ქალაქი, კარუსელი პარკში დარჩათ, რომლის გაქურდვაც მოესწროთ, წაელოთ ძრავა და თითქმის ყველა სკამი. თუმცა კარუსელზე მხოლოდ ერთი სკამიღა იყო დატოვებული, მაგრამ თუ ბიჭები შეიკრიბებოდნენ, შეეძლოთ კარუსელი ციბრუტივით დაებზრიალებინათ.

პარკი წყნარი და ცარიელი იყო. ამიტომ მივირბინეთ კარუსელთან და დავიწყეთ მისი დატრიალება. უკვე დაიძრა, უკვე დაბზრიალდა. ავხტი სკამზე და ჯაჭვით მიყები მას. ორიონი ბრძანებებს იძლეოდა, ყვიროდა, ბიჭებს გვაქეზებდა, გვეხმარებოდა, თუმცა ჩვენ როგორც კატორღელები, რაც ძალი და ღონე შეგვწევდა, ისე ვაწვებოდით მას, რათა სწრაფად, სწრაფად, სწრაფად, დაგვებზრიალებინა!

ტრანსციმბირი, 58

იმპერიას მეორედ შევხვდი შორს, აზიის სტეპებსა და თოვლში, ძლივს მისადგომ ადგილას, რომელიც ულამაზო და საოცარ სახელებს ატარებს. მდინარეებს ეწოდებათ — არღუნი, უნდი, ცაისარი, მთებს — ჩინგანი, ილჩური, ჯაგდი, ბოლო ქალაქებს — კილკოკი, თუნგირი და ბუკაჩაჩა. თუნდაც მხოლოდ ამ სახელებისგან შეიძლება შეთხზა საოცარი, ეგზოტიკური პოემა.

ტრანსციმბირის რკინიგზაზე მიმავალი მატარებელი, რომელიც წინა დღეს პეკინიდან გამოვიდა, მოსკოვში ცხრა დღეღამის სიარულის შემდეგ ჩავა. იგი სსრკ-ში ხარბინიდან შევა, ანუ იმ სადგურიდან, რომელიც უშუალოდ სსრკ-ს, ზაბაიკალიეს ესაზღვრება. ყოველ საზღვართან მიახლოებისას ჩვენს გულებში დაძაბულობა, ემოციები მატულობს. ადამიანები არ არიან საზღვართან ახლოს ცხოვრებისათვის შექმნილნი, გაურბიან ან ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად მოშორდნენ მას. მიუხედავად ამისა, ადამიანს გამუდმებით მასთან აქვს ურთიერთობა, ყველგან ხედავს და გრძნობს. ავიღოთ მსოფლიო ატლასი: საზღვრები და საზღვრები: ოკეანეების თუ კონტინენტების, უდაბნოების და ტყეების. მათ დავუმატოთ კლიმატური თუ გეოგრაფიული საზღვრები, სადაც ბინადრობენ სხვადასხვა ძუძუმწოვრები, ქვეწარმავლები და სხვა.

ახლა მონარქიებისა და რესპუბლიკების საზღვრები, უძველესი სამეფოებისა და გადაშენებული ცივილიზაციების, სხვადასხვა პაქტების, კავშირების და ალიანსების, შავი და ყვითელი ტომების, ხალხთა მომთაბარეობის საზღვრები, სადამდეც მიაღწიეს მონღოლებმა, ხაზარებმა, ჰუნებმა.

რამდენი მსხვერპლი, ხისხლი და ტკივილია დაკავშირებული საზღვრებთან! მათ დასაცავად დაცემულთა სასაფლაოებს ხომ დასასრული არა აქვს. ასევე ყოველგვარი ნიშნის გარეშეა დარჩენილი იმ მამაცთა საფლავები, რომლებიც თავიანთი საზღვრების გაფართოებას შეეცადნენ.

აი, ასეთი მგრძნობიარეა საზღვრების საკითხი, ესაა დაუშრეტელი მისწრაფება იქით, რათა იგი გამუდმებით შემოვსაზღვროთ, გავაფართოოთ და დავიცვათ. ეს გრძნობა ხის არა მხოლოდ ადამიანის ხასიათში, არამედ საერთოდ, ცოცხალი ბუნების სულში, ესაა ყველას ხასიათი, რომელთაც ადგილიდან ადგილზე გადაადგილება შეუძლიათ ხმელეთზე, ჰაერსა და წყალში. ძუძუმწოვრები, თავიანთი საძოვრების მიჯნებისათვის ბრძოლაში თავს არ ზოგავენ, მტაცებლები, რათა ახალ-ახალი სანადირო ადგილები დაიკავონ, სასიკვდილოდ იმეტებენ მოწინააღმდეგეს. ჩვენი წყნარი და დამჯერი კატაც კი როგორ იჭინთება და იტანჯება, რათა რამდენიმე წვეთი გამოყოს და ამით მონიშნოს თავისი ტერიტორიის საზღვრები.

ახლა ჩვენი ტვინი? მათში ხომ ყოველგვარი სახის საზღვრების უსასრულო რაოდენობაა კოდირებული. თუნდაც ჩვენი აზროვნების ფორმას მივაქციოთ ყურადღება. მაგალითად, ჩვენ ვფიქრობთ, ამ საზღვრამდე მისვლა შეიძლება, იმას იქით – არა. ანდა ვამბობთ: ფრთხილად, რათა მეტისმეტად შორს არ წახვიდე, რადგან საზღვარს გადაკვეთავ! ამასთან, ყველა ეს საზღვარი დროთა განმავლობაში აზროვნების, გრძნობის, აკრძალვის თუ დაშვების იქით და იქით იწევს, ჩვენს ტვინში შეუწყვეტელი სასაზღვრო, საზღვრისპირა მოძრაობები აღინიშნება. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი თავბრუსხვევა თუ თავის ტკივილი, თუმცა, აქედანვე იღებს სათავეს გონების გამონათებაც, ბრწყინვალე და გენიალური აზრები.

საზღვრებთან დაკავშირებით ასეთი მოუსვენრობის, იქნებ შიშის შესახებ იციან ღმერთებმა და ამიტომაც ცდილობენ მორწმუნეთა მომრავლებას შეპირებებით, მათდამი რწმენის მიღების სანაცვლოდ და ამის ჯილდოდ ეს უკანასკნელნი ღვთის საუფლოში მოხვედრას პპირდებიან. აი, ის კი ნამდვილად უსაზღვრო და უნაპირო იქნება! ქრისტიანული ღმერთის სამოთხეს, მაჰმადიანური ღმერთის წალკოტსა და იელოველთა ღმერთის საიქიოს ხომ ნამდვილად არ გააჩნია საზღვრები. ბუდისტებმა იციან, რომ ნირვანას მდგომარეობა – ეს არის უსაზღვრო ნებივრობის, ბედნიერების მდგომარეობა. ერთი სიტყვით, ის, რაც ყველაზე მეტად სასურველს, ყველაზე მეტად საოცნებოს წარმოადგენს, არის სწორედ ეს უსასრულობა, სრული, აბსოლუტური უსასრულობა.

ᲖᲐᲑᲐᲘᲙᲐᲚᲘᲔ – ᲩᲘᲢᲐ

ტყეები... გაჩეხილი ტყეები. აი, ის, რასაც აქ ჩვენ ყველაზე უწინ და ყველგან ვხედავთ – მოჭრილი ხეები თოვლიდან ყოველ ნაბიჯზე ამოჩრილან...

გზაში ასევე ხშირად გვხვდებიან ძაღლები. თითქმის გამგელებულები. გაავებულნი. საკმარისია, მატარებელმა ოდნავ შეაყოვნოს სვლა, რომ შევარდებიან ვაგონების ქვეშ წკმუტუნით. ყეფით, მაგრამ ვის შეუძლია ასეთი ვაგონების ქვეშ შეძრომა ორმოც გრადუსიან ყინვაში და ასე მგზავრობა?! თუნდაც ბევრი ტყავის ქურთუკი ეცვას. მთელი დღეა მივდივართ. მოყმუილე ძაღლების ყურება ისეთი დამთრგუნველია, რომ მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ იქცევს ადამიანის ყურადღებას: თითქოს მიწიდან ამოძვრენილ ჯარისკაცები, რომლებიც მყისიერად განლაგდნენ ერთ რიგად ვაგონების ორივე მხარეს. ამასთან, ისე დადგნენ, რომ მათ შორის აუცილებლად ყოფილიყო მხედველობითი კონტაქტი. ისე აქვთ დაკავებული პოზიციები, რომ

ვაგონების მთელ სიგრძეზე არაფერი გამორჩეთ ყურადღებიდან. დავუშვათ ვაგონიდან თვალმიუწვდომელ თოვლით დაფარულ მინდორში ვიღაც გიჟი (ან აგენტი, დისიდენტი) გადმოხტება, მათ მხედველობას ეს არ გამოეპარება და იმავე წუთში მოახდენენ მის ლიკვიდირებას.

ჰო, მაგრამ, ვის შეუძლია ასე სახელგანთქმულ ასწიოს ხელი და ესროლოს? არიან ამის გამკეთებლები. მაგალითად, ყარაულებს, რომლებიც საგუშაგოზე დგანან, კარაბინები ვაგონების კარებებისა და ფანჯრებისაკენ მიუშვერიათ (და რადგანაც მეც ფანჯარაში ვიყურები, ერთ-ერთი კარაბინი ჩემკენაცაა მოშვერილი, დიახ, ნამდვილად ჩემკენ). ამასთან, რომელი გიჟი, აგენტი თუ დივერსანტი შეძლებს, გადახტეს ვაგონიდან და გაიქცეს ამ მოყინულ უკიდეგანო მინდორზე, როდესაც მისი ყველა კარი თუ ფანჯარა საგულდაგულოდ არის ჩარაზული?

ერთი სიტყვით, ყველა ელოდება სადგურამდე მისვლას.

შემდეგ მგზავრები იღებენ ყველაფერს, რაც კი გააჩნიათ – ჩემოდნებს, ჩანთებს, ყუთებს, – და მიაქვთ სადგურის შენობისაკენ, რომელშიც დგას გლუვი და უხეში მაგიდები, ირგვლივ ტრანსპარანტებია გამოფენილი, რომლითაც ჩვენ, საბჭოთა კავშირში ჩამსვლელთ, გვესალმებიან. ტრანსპარანტების ქვეშ გამწკრივებულან მესაზღვრეები, ქალები და კაცები, რომელთაც მრისხანე და პრეტენზიული სახეები აქვთ, კაცი ვერ გაიგებს, რატომ? ვეძებ მათ შორის ოდნავ მაინც კეთილ, მშვიდ სახეს, რადგან თავად მეც მსურს ცოტა დავმშვიდდე, დავწყნარდე და დავივიწყო ის ჯოჯოხეთი, რომელიც წარმოდგენილი იყო ჩემს ირგვლივ კოშკურებით, გაჩეხილი ტყეებითა და ძაღლებით, გაქვავებული გუშაგებით. ძალზე მწყურდა რაიმე სახის კონტაქტის დამყარება დამხვდურებთან, მათთან საუბარი, ეს ჩემთვის უდიდესი სიამოვნების მომგვრელია.

– შენ რაღა გაცინებს? – მკვეთრად და დაეჭვებით მეკითხება მესაზღვრე.

ტანზე ბუსუსები დამაყარა. ხელისუფლება დიდი ძალაა: მასთან შეხებისას სიცილი უტაქტობაა, ერთგვარი უპატივცემულობის გამოხატვას წარმოადგენს. არც დიდხანს შეიძლება უყურო მას, ვინც ძალაუფლებითაა აღჭურვილი. მე ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ჯარში სამსახურიდან ვიცოდი. ჩვენი კაპრალი იან ჰოკრივკა დაუსჯელს არ გაუშვებდა არავის, ვინც კი მას მზერას გაუშტერებდა. – მოდი აქ, ჩემთან! – დაუყვირებდა მას, – რას მომჩერებიხარ? და სასჯელის ნიშნად ჯარისკაცს ტუალეტის გასასუფთავებლად გაუშვებდა.

ეს რატომ? ის რისთვისაა საჭირო? ეს? ის? საიდან? როგორ? ყველაზე უარესი წიგნებთან დაკავშირებით ხდებოდა. რა წყევლაა ამდენი წიგნის თრევა?! იქნებ ჩანთით კოკაინი მიგაქვს და ზევით, თვალის მოსატყუებლად წიგნებია წაფარებუ-

ლი? კოკაინი არ იწვევს ამდენ დაინტერესებას, ყველა მესაზღვრე წიგნზე ფეთდება და, ღმერთმა დაიფაროს, თუ, მით უმეტეს, წიგნი ინგლისურ ენაზეა. ატყდება ერთი ფაცხეფუცი, მისი შლა, გასინჯვა, კითხვა.

მე რამდენიმე ინგლისური წიგნი მიმაქვს (ძირითადად, ჩინურისა და იაპონურის სახელმძღვანელოები) და მესაზღვრეებს შორის არ აღმოჩნდი ყველაზე უარესი. მათ უფრო საბჭოთა ხალხი ჰყავთ მიზანში ამოღებული, პატარა და გამხდარი ადამიანები, გაქუცულ ხალათებსა და ლანჩმოხეულ ვალინკებში, პაჭუაცხვირიანი ბურიატები და ტუნგუზები, აინოვები და კორეელები და ა.შ. როგორ გაუშვეს ისინი ჩინეთში – წარმოდგენა არ მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ბრუნდებიან და ყველას რაიმე საკვები მოაქვს თან. თვალი მოვკარი, რომ ზოგი მათგანი ბურღულით სავსე ტომარასაც კი მოათრევს.

და ახლა სწორედ ამ ბურღულის რიგი დადგა. როგორც ჩანს, ბურღული, წიგნებთან ერთად, ისეთ პროდუქტებს მიეკუთვნება, რომლებიც ყველაზე მეტად იწვევენ ეჭვს. არის მასში რაღაც ორაზროვანი, ორფსკეროვანი, ერთი შეხედვით, კი, ბატონო, ბურღულია, მაგრამ საეჭვოა, რომ ასი პროცენტით ბურღული იყოს. სწორედ ამიტომ, მესაზღვრეები მას წამოყრიან მაგიდაზე და იწყებენ მის ქექვას, ძალზე დიდი ყურადღებით ათვალიერებენ, აკვირდებიან. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორმოცდაათიანი წლებია და ჩინეთში წისქვილები ძალზე მოძველებული და გაუმართავია.

არ შემეძლო ამ სანახაობისათვის თვალი ამერიდებინა. შევყურებდი გაკვირვებული, გაოცებული, აღფრთოვანებული. სულ დამავიწყდა სამეთვალყურეო კოშკებიცა და ძაღლებიც. ეს ხომ ის თითები იყო, რომელთაც ოქროს ნატიფი ნივთები უნდა ეკეთებინათ, ალმასები ეხვეწათ. პირდაპირ გასაკვირი იყო მათი მიკროსკოპული მოძრაობა, მათი მგძნობიარე ხელის ცეცება.

ვაგონებში დავბრუნდით. საღამოს, სიბნელეში, თოვლი მოდიოდა. ფეხქვეშ ყინულს ჭრიალი გაჰქონდა. ზაბაიკალიეში მორიგი გაკვეთილი მივიღე, კერძოდ, ის, რომ საზღვარი მხოლოდ ის არაა, რაც რუკაზეა გამოსახული, არამედ ესაა სკოლა. მოწაფეები, რომლებიც ამ სკოლიდან გამოვლენ, შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ.

პირველი – ჭკუაზე გადასულნი. ყველაზე უბედურნი, რამეთუ ირგვლივ ყველაფერს შეუძლია მათი გაღიზიანება, სტრესის გამოწვევა. მათზე ყველაფერი მოქმედებს, ანერვიულებთ, აწყალებთ. ისინი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მათ ირგვლივ არსებულ გარემოს ვერავინ შეცვლის, ვერ გამოასწორებს, ვერ გააუმჯობესებს. მათმა ამგვარმა ფსიქიურმა მდგომარეობამ ისინი შესაძლოა ინფარქტამდე ან სხვა საშინელებამდე მიიყვანოს.

მეორე – ესენი მიბაძვას დაუწყებენ საბჭოთა ადამიანებს და მათი აზროვნებისა და ქცევის წესებს გადაიღებენ. ისინი შეეგუებიან არსებულ რეალობას, უფრო მეტიც: იმის უნარსაც გამოიმუშავებენ, რომ რაღაც სარგებელი სასარგებლო შექმნილი ვითარებიდან. ამ შემთხვევაში ძალზე დიდ სამსახურს გაგვიწევს გამოთქმა, რომელიც ხშირად [illegible] ერთ-ერთ ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც, მიუხედავად იმისა, რა საშინელიც არ უნდა იყოს განვლილი დღე: ისიამოვნე დღევანდელი დღით, რამეთუ, ისე კარგად, როგორც დღეს იყავი, მომავალში შესაძლოა, აღარასოდეს აღარ იყო!

და ბოლოს, მესამე ჯგუფის ქვეყნებს წარმოადგენენ ისინი, რომელთათვისაც საბჭოეთში ყველაფერი მეტად საინტერესო, უჩვეულო, წარმოუდგენელია, რომელთაც სურთ ეს სხვა, მათთვის აქამდე უცნობი სამყარო გაიცნონ, გამოიკვლიონ, ჩაუღრმავდნენ. ეს უკანასკნელნი შეძლებენ მოთმინებით შეიარაღდნენ და შეინარჩუნონ დისტანცია (მაგრამ არა ქედმაღლობა), წყნარი, სერიოზული, ფრთხილი გონება.

აი, ასეთია სამი დამახასიათებელი გაკვეთილი უცხოელებისათვის, რომლებიც იმპერიას სტუმრობენ.

ჩიტა – ულან-უდე

ვიყურები ცოცვით მიმავალი მატარებლის ფანჯრიდან და ვფიქრობ: ესეც შენი ციმბირი, აი, როგორი ყოფილა იგი!

პირველად ეს სახელი შვიდი წლისამ გავიგე. ჩვენი უბნის მკაცრი დედები შვილებს სწორედ ამით აშინებდნენ: დაწყნარდით, თორემ ციმბირში გადაგასახლებენ! (თანაც "ციმბირს" რუსულად წარმოთქვამდნენ, რამეთუ ასე უფრო მრისხანედ, აპოკალიფსურად ჟღერს.). შედარებით ლმობიერი დედები ამაზე ბრაზობდნენ: როგორ შეიძლება ბავშვი ასე შეაშინო!

მაშინ რას წარმოვიდგენდი, თუ რა იყო ციმბირი. მხოლოდ მცირე ხნის შემდეგ თანაკლასელმა მიჩვენა სურათებიანი წიგნი. მასში ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილი იყო, როგორ მიჰყავდათ ციმბირის გაუვალსა და უღრან ტყეებში ტანსაცმელჩამოხეული, გამხდარი, ხელბორკილდადებული ადამიანები. ბორკილები ერთმანეთს მძიმე ლითონის ჯაჭვით უერთდებოდა, ამასთან ოდნავ გრძელიც იყო, რის გამოც კატორღელები მას მიწაზე მიათრევდნენ.

ციმბირი თავის საშინელ, მხეცურ სახეში თოვლიანსა და ყინულოვან სივრცესთან ერთად დიქტატურასაც აერთიანებს.

ბევრ ქვეყანაში არსებობს თითქმის ნახევარი წლით ყინულით დაფარული ტერიტორიები. ასეთებია, მაგალითად, კანადის ვრცელი ყინულოვანი მინდვრები, დანიის გრელანდია ან ამერიკის ალიასკა. მაგრამ ამ ქვეყნებში არავის მოუვა აზრად ასეთი ადგილებით ბავშვების დაშინება. აქ ვინ ეტყვის

თავის შვილს: დაიბანე ხელ-პირი, თორემ კანადაში გადაგასახლებენ! ან: – წყნარად ეთამაშე ამ გოგონას, თორემ ამერიკაში გაგგზავნიან! ამ ქვეყნებში უბრალოდ არ არსებობს დიქტატურა, არავის არ უბორკავენ ხელებს თუ ფეხებს, არავის არ მიჰყავთ საკონცენტრაციო ბანაკებში ასეთ არაბუნებრივ ყინვაში, სადაც ადამიანებს გარდაუვალი სიკვდილი ელით. იქ ადამიანს ერთი მოწინააღმდეგე ჰყავს – სიცივე, აქ კი სამი – სიცივე, შიმშილი და შეიარაღებული ძალადობა.

1842 წელს პარიზში, კოლეგე დე ფრანსეში ადამ მიცკევიჩმა ორი მოხსენება წაიკითხა. მათი თემა გენერალ კოპციას დღიურები იყო. კოპცია კოსტიუშკოს მხარდამხარ იბრძოდა მიცკევიჩისთან, სადაც იგი რუსებს ტყვედ ჩაუვარდა და ციმბირში გადაასახლეს. გენერალი რუსეთის და ციმბირის უგზო ადგილებში ათი ათას კილომეტრზე მეტი ატარეს, ვიდრე კამჩატკაზე არ ჩაიყვანეს.

ეს მართლაც ჯოჯოხეთში სიარულის მსგავსი იყო.

იგი, როგორც თავად გენერალი წერს, ფორანით მიჰყავდათ, "რომელსაც ზანდუკის სახე ჰქონდა, მასზე გვერდებზე და ზემოდან ტყავები აეფარებინათ, ხოლო იატაკისათვის რკინის ფურცლები დაეკრათ. გვერდებზე მას ფანჯრები ჰქონდა დატანებული ტუსაღისათვის წყლის ან საჭმლის მისაწოდებლად".

"ამ ზანდუკში, – აგრძელებს თხრობას კოპცია, – ერთი სკამიც არ ყოფილა, ხოლო მე რადგან ჭრილობები ჯერაც არ მომეშუშებინა, მომცეს ქერით სავსე ტომრები. მთელ გზაზე როგორც საიდუმლო პატიმარს, ისე მექცეოდნენ, რომელსაც მხოლოდ ნომერი გააჩნდა ყოველგვარი გვარისა და სახელის გარეშე. მათთან ასე ეპყრობიან ყველაზე საშიშ დამნაშავეს, რომელთან საუბარსაც დიდი სასჯელის შიშით ვერავინ გაბედავს. შესაბამისად არავინ იცის, თუ ვინ არის ესა თუ ის ტუსაღი და რატომ დაუპატიმრებიათ".

ასეთ ეტლში, როგორც დიდ კუბოში გამომწყვდეული, კოპცია მხოლოდ გარედან შემოსული ხმის მიხედვით ხვდებოდა, თუ სად იმყოფებოდა. როდესაც ქვაფენილზე ადამიანების ფეხის ან ცხენების ფლოქვების ბრახუნის ხმა ესმოდა, ის ასკვნიდა, რომ ქალაქში იყო: "შეეძვსე დღეს შემომესმა ადამიანების სიარულის ხმა და მივხვდი – სმოლენსკში ვიყავი". ბნელი ფორანიდან მას უფრო უარეს საკანში შეიყვანენ, რომ ვერასოდეს ვერ გაეგო, როდის დღე იყო და როდის – ღამე. "საკანს ორი ფანჯარა ჰქონდა რკინის ჩარჩოებიანი, რომლებსაც შავი ფიცრები ჰქონდა აკრული. ისე, რომ რა ნათელი დღეც არ უნდა ყოფილიყო, საკანში მხოლოდ მცირე შუქი აღწევდა. მხოლოდ მარჩიელობა შეიძლებოდა, დღე იყო თუ ღამე. ზედამხედველს არც ერთი სიტყვა არასოდეს არ უთქვამს". მიუხედავად ასეთი მომქანცველი მოგზაურობისა, კოპ-

ციას ძილიც არ შეეძლო – ციმბირის სიღრმეებში გზის საბოლოო პუნქტი დასჯის ადგილი იყო: "დაძინება არ შემეძლო, მეზობელი ოთახებიდან განუწყვეტლივ შემოდიოდა კატორღელთა ცემის, ზედამხედველთა ყვირილის, ბოლკილების ყღარუნის ხმა".

გენერალი დაკითხვაზე გაჰყავთ: "კოპციას უკითხებიან, – წერს მიცკევიჩი, – თუ რა გახდა მისი ამბოხების მიზეზი. – სამშობლოს სიყვარული, – პასუხობს იგი. კომისია ბრაზდება ასეთ პასუხზე და, რადგან პატიმრის სიამაყის მოტეხვას ვერ ახერხებს, წყვეტს მის დაკითხვას".

შემდეგ კოპცია აღმოსავლეთისაკენ მიჰყავთ. "სმოლენსკიდან ირკუტსკამდე, – იგონებს გენერალი, – ჩემი დაცვის სამი ჯარისკაცი გარდაიცვალა. სხვებმა ხელი ან ფეხი მოიტეხეს. როდესაც მთვრალები მთიდან ეშვებოდნენ, ხშირად ფორანი ტრიალდებოდა ხოლმე და ცხენები ასე მიათრევდნენ მას თითქმის ნახევარი მილის მანძილზე. ამ დროს მე, ფორანში ისე ვიყავი გამომწყვდეული, როგორც დამარილებული თევზი კასრში. იმის გამო, რომ გარშემო ტომრები, ქერი და წვრილწვრილად დაკუწული ნამჯა მეყარა, გადავრჩებოდი ხოლმე".

მიუხედავად იმისა, რომ გენერალი ასეთი ეტლი-კუბოთი მიჰყავდათ, იგი თავს მაინც პრივილეგირებულად გრძნობდა – სხვებს ხომ ქვეითად მიერეკებიან. "გზაზე ვხვდებოდით ორივე სქესის ასობით ადამიანს, რომლებისთვისაც ირკუტსკში გადასახლება მიუსჯიათ. მათ ძალზე მცირერიცხოვანი დაცვა აცილებდათ. ისინი კოლონიიდან კოლონიამდე გადაჰყავდათ და ასე ნელ-ნელა, მხოლოდ მესამე წელს აღწევდნენ ევროპიდან ირკუტსკამდე. იქ გაქცევას ვერავინ შეძლებდა, ვინაიდან არსად არაა შუამავალი კოლონია... თუკი ტუსაღთაგან ვინმე ტყეში დამალვას მოინდომებდა, მას მხეცები დიდხანს არ დატოვებდნენ ცოცხალს..."

ტუსაღი მხოლოდ დროსა და სივრცეში როდი ხეტიალობდა. ამის შედეგად ადამიანის დეგრადაციაც ხდებოდა: ის, ვინც დანიშნულების ადგილამდე მიაღწევდა (თუკი გზაში სულს არ განუტევებდა), საბოლოოდ კარგავდა ყველაფერს, რაც ადამიანური იყო მასში: აღარ ჰქონდა სახელი, არ იცოდა, სად იმყოფებოდა, არც ის, რა მოელოდა. მას ენაც კი წართმეული ჰქონდა, რამეთუ აღარავის სურდა მასთან ლაპარაკი – იგი გადაქცეულიყო გზავნილად, საგნად, სათამაშოდ.

შემდეგ გენერალსაც ჩამოართვეს ეტლი და ფეხით გაუყენეს გზას.

"ყოველდღე, დილიდან საღამომდე მივდიოდით შესვენების გარეშე".

და ამატებს: "არავითარი გზები, მხოლოდ საშინელ მთებსა და ხეობებში გვიწევდა სიარული".

ულან-უდე – კრასნოიარსკი

"არავითარი გზები, მხოლოდ საშინელ მთებსა და ხეობებში გვიწევდა სიარული".

ძალიან მინდოდა ბაიკალის დანახვა, მაგრამ ფაქტი იყო და მატარებლის ფანჯრებიდან მხოლოდ წყვდიადი მოჩანდა. დილით დავინახე ხეობები და მთები. ირგვლივ თოვლი იდო.

იანვარია, ციმბირული ზამთრის გულისგული.

ფანჯრიდან ყინულისაგან გახევებული, უმოძრაობა გამოიყურებოდა. ფიჭვები და ნაძვებიც კი, როგორც გოლიათები, გაქვავებული ლოლუებივით იდგნენ.

ამ პეიზაჟისათვის უპირველესად უმოძრაობაა დამახასიათებელი, თითქოს მატარებელიც ერთ ადგილას დადგა და ისიც პეიზაჟის ნაწილად გადაიქცაო.

ირგვლივ ყველაფერი თეთრია, თვალისმომჭრელი, აბსოლუტურად თეთრი. სითეთრე რომელიც გიზიდავს, თავისკენ გიხმობს და თუ ვინმე დაემორჩილება, დაჰყვება მის მიზიდულობას, ხაფანგში გაებმება, თუ სიღრმეში შევა – დაიღუპება. სითეთრე ანადგურებს ყველას და ყველაფერს, ვინც და რაც მოინდომებს მასთან მიახლოებას, მისი საიდუმლოების გაგებას. ციმბირელი ბურიატები ყველა თეთრ ცხოველს ისე ეპყრობიან, როგორც წმინდანს, სწამთ რომ მისი მოკვლით ცოდვას ჩაიდენენ და ეს საბოლოო ჯამში მათი სიკვდილით დასჯის მომასწავებელი იქნება. ისინი თეთრ ციმბირს ისე უყურებენ, როგორც სამლოცველოს, სადაც ღმერთი ცხოვრობს. მუხლს უყრიან თეთრი, სასტიკი თოვლით დაფარულ მის თვალუწვდენელ სივრცეებს, თაყვანს სცემენ თეთრ პეიზაჟებს და მუდამ იმის შიშში არიან, რომ იქიდან, თეთრი სიღრმეებიდან სიკვდილი მოვა.

თეთრი ხშირად იწვევს დასასრულის, ჯვრის დასმის, სიკვდილის ასოციაციას. იქ, სადაც ადამიანები სიკვდილის წინაშე ძრწიან, ახლობლის სიკვდილით დამწუხრებულები, შავ სამოსელში ეწყობიან, რათა სიკვდილი დააშინონ, აიძულონ იგი მხოლოდ მიღებული მსხვერპლით დაკმაყოფილდეს. ხოლო სადაც სიკვდილი სხვა ფორმადაა მიჩნეული, მოტირალნი თეთრ ტანსაცმელს იცვამენ და ასევე თეთრი სამოსით მოსავენ გარდაცვალებულებს: აქ თეთრი ფერი თანხმობის, მოწონების, ბედისადმი დამორჩილების ფერადაა მიღებული.

ციმბირის ამ იანვრის პეიზაჟში რაღაც გთრგუნავს, განცვიფრებს, უპირველეს ყოვლისა, თავისი უზარმაზარი მასშტაბით, უსასრულობით, თავისი ოკეანისებური თვალუწვდენობით. დედამიწას აქ ბოლო არ უჩანს, სამყარო მართლაც უსასრულო ჩანს. ადამიანი არაა შექმნილი ასეთი უსასრულობისთვის,

ასეთი უსაზღვრობისთვის. მისთვის გაცილებით ხელსაყრელი და მისაღებია მისი სოფლის, მინდვრების, ქუჩის, სახლის ზომები.

ზღვაზე თუ ოკეანეში ასეთი ზომები აქვს ადამს, ხომალდს. ადამიანი კი შექმნილია ისეთი სივრცისათვის, რომელსაც იგი ერთი შეხედვით, ძალისხმევის ერთი დაძაბვით აღიქვამს.

კრასნოიარსკი – ნოვოსიბირსკი

კრასნოიარსკს რომ გამოვცდით (მოგზაურობის უკვე მეოთხე დღე), უფრო ნათელი დღეები დადგა (ამ პერიოდში დღე-ღამის უმეტესი სიბნელეა). ჩაის ვსვამ და ფანჯარაში ვიყურები. ისევ ისეთი დათოვლილი მინდვრებია, როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ, (და მინდა დავამატო: როგორც შარშან, როგორც საუკუნეების წინ). დათოვლილი ტყის მასივები, ხოლო თავისუფალ ადგილებში, თოვლის მაღალი ნამქერები, რომელთათვისაც ქარს წარმოუდგენელი ფორმები მიუცია.

მოულოდნელად მახსენდება კენდრასი, მისი "ტრანსციმბირული მატარებელი და პატარა ჟანა საფრანგეთიდან". ამ ლექსში, რომელიც ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდეა დაწერილი, კენდრასი აღწერს ამავე მარშრუტით მოგზაურობას, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით – მოსკოვიდან ხარბინისკენ. მის ლექსს რეფრენად გასდევს მრავალჯერ განმეორებული კითხვა, რომელსაც მისი შეშინებული გოგო – ჟანა სვამს: "მითხარით, ძალიან შორსა ვართ მონმარტრიდან?"

ჟანასაც ზუსტად იგივე გრძნობა დაუფლებია, რა გრძნობაც დაეუფლება ყველას, ვინც კი ციმბირის თეთრ უსაზღვრო ტრამალებში ჩაიკარგება – შიში უსასრულობაში გაუჩინარების.

ავტორს ვერაფრით უნუგეშებია გოგო:

"შორსა ვართ, ჟანა, თუმც მშვიდი დღეა, მიდიხარ, ჯერ ძალზე შორსაა მონმარტრიდან".

პარიზი სამყაროს ცენტრია, ადამიანის ათვლის წერტილი. როგორ გავზომოთ დაშორების მანძილი? ჩვენს პლანეტაზე სადაა ის წერტილი, რომლის მიხედვითაც ადამიანები წარმოიდგენენ, შორს არიან თუ ახლოს დედამიწის კიდიდან? ეს უნდა იყოს მხოლოდ ემოციური გრძნობით დატვირთული წერტილი (ჩემი სახლი, როგორც სამყაროს ცენტრი), თუ კულტურული (მაგალითად, ბერძნული ცივილიზაცია?). ან იქნებ სულაც რელიგიური ცენტრი (მაგალითად, მექა).

გამოკითხულ ადამიანთა უმეტესობა, კითხვაზე, თუ რა მიაჩნია სამყაროს ცენტრად – პარიზი თუ მეხიკო, უპასუხებს: პარიზი. რატომ? მეხიკო ხომ პარიზზე დიდია, იქაცაა მეტრო

და მშვენიერი ნაგებობები, იქაც ცხოვრობენ გამოჩენილი მხატვრები და ბრწყინვალე მწერლები. მაგრამ ადამიანები მაინც თავისას არ იშლიან – პარიზი, და მორჩა. ანდა დაე ვინმემ თქვას, რომ მისთვის სამყაროს ცენტრი კაიროა. ის, რომ გაცილებით დიდია პარიზზე და იქაცაა არქიტექტურული ძეგლები, უნივერსიტეტი და მხატვრობა. მაგრამ განსაკუთრებულ დაუჭერს მხარს სამყაროს ცენტრად კაიროს გამოცხადებას მაშასადამე, ასეთად რჩება პარიზი (ყოველ შემთხვევაში პარიზი მაშინ იყო აღიარებული, როდესაც ეანა ციმბირის მატარებლით მიდიოდა). მოკლედ, ასეთად მაინც ევროპა რჩება. ევროპული ცივილიზაცია ერთადერთია, რომელსაც ჰქონდა და თითქმის მოახდინა თავისი მსოფლიო ამბიციის რეალიზება. სხვა ცივილიზაციებს ასეთი ამბიციების დაკმაყოფილება ტექნიკურად არ შეეძლოთ (მაგალითად, მაიას ტომებს), ან უბრალოდ, არ აინტერესებდათ ასეთი რამ (მაგალითად, ჩინეთს) – რამეთუ დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ მთელი სამყარო მოიცვეს.

მხოლოდ ევროპულ ცივილიზაციას აღმოაჩნდა იმის უნარი, რომ თავისი ეგოცენტრიზმი გადაელახა. სახელდობრ, მის წიაღში წარმოიშვა სურვილი სხვა ცივილიზაციების შეცნობისა და ასევე თეორია (რომლის ავტორობაც ბრონისლავ მალინოვსკის ეკუთვნის), რომ მსოფლიო კულტურა თანაბარი კულტურების თანავარსკვლავედს წარმოადგენს.

ნოვოსიბირსკი – ომსკი

დღე, ღამე და კვლავ დღე.

მატარებლის თვლების მონოტონური რახუნი თანდათან ძნელი ასატანი ხდება. ის განსაკუთრებით შემაწუხებელია ღამით. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორ იგრძნობს თავს ადამიანი ამ ხმაურში მრავალდღიანი მოგზაურობის დროს.

როგორც ჩანს, მატარებელი მოულოდნელად რაღაც ქარბორბალაში მოჰყვა, რამეთუ ქარმა ფანჯრებს უცებ მოაყარა თოვლი, ხოლო ქარიშხალის ზუზუნი კუპეშიც შემოდიოდა.

"არავითარი გზები, მხოლოდ საშინელ მთებსა და ხეობებში გვიწევდა სიარული".

ომსკი – ჩელიაბინსკი

მოგზაურობის მეექვსე ან იქნებ მეშვიდე დღეც იყო. უშველებელ, უკიდეგანო სივრცეში კაცი დროს ვერ გრძნობს. ეს უკანასკნელი აქ თავის მნიშვნელობას კარგავს. დრო უფორმო, გაჭიმული ხდება, ისეთი, როგორიც საათებია სალვადორ დალის სურათებზე. ამასთან ერთად მატარებელი გადის დროის

რამდენიმე სარტყელზე და ადამიანმა საათის ისრები თანდათან უნდა გადაწიოს, მაგრამ რატომ, რისთვის? რა აზრი აქვს აქ ახლა ამას? ციმბირში თანდათან სუსტდება ცვლილებების, დროის ამ მთავარი მაჩვენებლის, შეგრძნება, თავად ცვლილებების მოთხოვნილებაც კი. კაცი აქ ცხოვრობს ისე, თითქოს რაღაც შინაგან უძრაობაში აღმოჩნდაო. ახლა [illegible], ღამეები ძალიან გრძელია. დღის უმეტეს დროს კი სიბნელეა, მწუხრია ჩამოწოლილი. მხოლოდ იშვიათად გამოკრთება მზე და მაშინ ნათდება აქაურობა. გადის მცირე დრო და მწუხრი კიდევ უფრო ღრმა და უფრო ყოვლისმშთანთქმელი ხდება.

რა შეიძლება საინტერესო ნახოს აქ მოგზაურმა? ალბათ არაფერი. გზის უმეტესი ნაწილი დაფარულია სიბნელით, მაგრამ დღისითაც არაფერი ჩანს, გარდა დათოვლილი, ყოველმხრივ უსასრულოდ გაშლილი სიცარიელისა. რაღაც სადგურები, ღამე – მარტოხელა და მბუუტავი შუქი, რაღაც აჩრდილი, რომელიც მისდევს თოვლიან სტეპებში მოხარხარე მატარებელს, თუმცა მალევე უჩინარდება და ტყეებში იმალება.

ორადგილიანი კუპეთი მთელი დრო მარტო ვმგზავრობ. მტანჯველია მარტოობა. კითხვა შეუძლებელია, რამეთუ ვაგონი აქეთ-იქით ირყევა, მეც ბურთივით მათამაშებს, ასოები დახტიან და მცირე ხნის კითხვის შემდეგ თვალები მტკივა. არც არავინაა ისეთი, ვისაც დაელაპარაკები. შეიძლება დერეფანში გასვლა, მაგრამ რისთვის? კუპეები დაკეტილია და არც კი ვიცი, იქ თუ ვინმეა. ფაჯრებიც არა აქვთ, რომ შეიხედო.

– ვინმე თუ მგზავრობს ამ კუპეებით? – ვეკითხები კონდუქტორს.

– როდის? როგორ? – მპასუხობს ორაზროვნად და უჩინარდება.

ვერავისთან ვახერხებ გასაუბრებას. მგზავრები (თუკი საერთოდ ჩნდებიან დერეფანში) ან ცდილობენ გვერდი აგიარონ, ან თუ პასუხს გაგცემენ, გაგცემენ რაღაც გაურკვევლად, ორაზროვნად, ისე, რომ მათ პასუხიდან თითქმის ვერაფერს გაიგებ. მაგალითად, გეტყვიან: – ვნახოთ, ან: – კი, ბატონო, ან: – ვინ იცის და ა.შ. ამასთან, ხშირად რაღაც ისეთს ამბობენ, რაც შთაბეჭდილებას გიქმნის, თითქოს ყველაფერი იციან და უკვე ჩამწვდარან ჭეშმარიტების მთელ სიღრმეს. მაგალითად, ასეთ რამეს: რას იზამ, ასეთია ცხოვრება.

თუკი არსებობს რაიმე ისეთი, რასაც შეიძლება ეროვნული სიბრძნე ეწოდოს, რუსი ხალხის სიბრძნე, სხვათა შორის, ამ გამოთქმაშიც გამოიხატება:

– რას იზამ, ასეთია ცხოვრება!

ბევრ რამეს გაიგებს ადამიანი ვინც ამ სიტყვების აზრს ჩასწვდება. ძალიან მინდოდა უფრო მეტი რამ გამეგო, რაც ვერ შევძელი: ჩემს გარშემო სიცარიელე, ყრუ კედელი ად-

მართულიყო. გასაგებიც იყო, რადგან უცხოელი ვიყავი. ეს უკანასკნელი აქ შერეულ გრძნობებს იწვევს. უცხოელი რუს ადამიანში მწვავე ცნობისმოყვარეობის გრძნობას აღვიძებს (რაც მან აუცილებლად უნდა ჩაახშოს!), შურის გრძნობას წარმოშობს (უცხოელები ყოველთვის კარგად არიან ჩაცმულნი), ამასთან, უცხოელი უპირველეს ყოვლისა, იწვევს შიშის გრძნობას. ერთ-ერთ სვეტს, რაზედაც ეს სისტემაა დაფუძნებული, სამყაროსაგან საბჭოელის იზოლირება წარმოადგენს, ხოლო უცხოელი... მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ ის არსებობს, ამ სვეტს ძირს უთხრის. სტალინი საბჭოთა ადამიანს უცხოელთა მხოლოდ უბრალო კონტაქტისათვის ხუთი, ათი წლით ციმბირში ასახლებდა. არც დახვრეტა იყო ასეთი საქმისათვის უცხო ხილი. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამ ქვეყანაში უცხოელის, როგორც ცეცხლის, ისე ეშინიათ.

ახლა მეც ეტლით მივდივარ, ეგაა ოღონდ, რომ ჩემი ეტლი შეუდარებლად კომფორტულია, ვიდრე ის, რომლითაც გენერალი კოპცია მიჰყავდათ. ჩემთვის არც განაჩენი გამოუტანიათ, გადასახლებულიც არა ვარ, მაგრამ იზოლაციის პრინციპი იგივეა, არაფრით განსხვავდება, რამეთუ უცხოელი, ეს რაღაც საშინელი რამაა – ესაა დივერსანტი და აგენტი! ნეტა რას იჭყიტება ფანჯარაში, რისი დანახვა სურს? ვერაფერსაც ვერ დაინახავს! მთელი ტრანსციმბირული მაგისტრალი გაწმენდილ-დასუფთავებულია ყოველივე იმისაგან, რაც აგენტს შეიძლება თვალში მოხვედროდა. მატარებელი თითქოს ცელოფანის გვირაბში მიდიოდა – მხოლოდ შიშველი კედლებია: კედლები ღამეული, კედლები – თოვლის. კი, მაგრამ, რა შეკითხვებს სვამს ეს კაცი? რაში აინტერესებს მას ეს ყველაფერი? ხედავ, როგორ ინიშნავს თავის დაკვირვებებს? ნეტავ რას ინიშნავს? ყველაფერს? ნეტა სად ინახავს ამ რვეულებს? ნუთუ მთელი დრო თან დააქვს? ეს ყველაფერი რაღაც საეჭვოა!

– ხო, მართლა, რა კითხვა მოგვცა? კიდევ შორს არისო სიმამდე? მაგრამ სიმში ხომ არ ჭერდებით?! ასეა ეს, მაგრამ მაინც შეგვეკითხა. მაგრამ შენ რა უპასუხე? მე? არაფერი. ეს როგორ – არაფერი! ხომ რაღაც უნდა გეპასუხა? კი, ვუთხარი, რომ შორია. კარგად არ გიპასუხია! უნდა გეთქვა, რომ სიმი უკვე გაეცარეთ და თქვენ რაღაც შეგეშალათ.

ზუსტად ასე! უმჯობესია თავი აარიდო პასუხს, ვინაიდან ვინ იცის, როგორი იქნება სწორი პასუხი. ძნელი არაა რაღაც სისულელე წამოაყრანტალო. არის რაღაც ისეთი ადამიანში, რომ მისთვის ძნელია პასუხისმგებლობას თავი აარიდოს. ყველაზე უარესია ის, რომ ადამიანი, რომელიც უცხოელს შეხვედრია და გამოლაპარაკებია, უკვე საეჭვო პიროვნება ხდება,

იგი უკვე თვალში ჰყავთ ამოღებული. ამიტომ ისე უნდა იცხოვრო, ისე იარო ქალაქში, ვაგონის დერეფნებში, რომ ასეთ შემთხვევას თავი აარიდო და რაიმე უბედურება არ დაიტეხო.

ჩელიაბინსკი – ყაზანი

თანდათან ვუახლოვდებით ძველ, მკვიდრ რუსეთს, თუმცა მოსკოვამდე კიდევ დიდი გზა გვაქვს.

"არავითარი გზები, მხოლოდ საშინელ მთებსა და ხეობებში გვიწევდა სიარული".

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს წავიკითხე ბერდიაევის წიგნი, რომელშიც ავტორი იმპერიის უდიდესი სივრცეების გაელენას იკვლევს რუსი ადამიანის სულზე. მართლაც რაზე ფიქრობს რუსი სადღაც ენისეის ნაპირებზე ან ტაიგის სიღრმეებში? მას ეჩვენება, რომ ყოველი გზა, რომელსაც ის დაადგება, უსასრულოა, ბოლო არა აქვს. მას შეუძლია იაროს, იაროს არა დღეები, არამედ თვეებიც კი და მაინც ამ ქვეყნის სამანებში იქნება. აქ არც მინდვრებს უჩანს ბოლო, არც მდინარეებს და არც ტყეებს. – ასეთ თვალუწვდენელ სივრცეებზე ბატონობისათვის, – წერს ბერდიაევი – საჭიროა ასევე უსაზღვრო და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. და აი, რუსი წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში ვარდება – რათა შეინარჩუნოს უსაზღვრო სივრცეები, მან უნდა შეინახოს დიდი სახელმწიფო, ხოლო დიდი სახელმწიფოს შენახვაზე იგი ხარჯავს მთელ თავის ენერგიასა და მეტი აღარაფრისათვის აღარ ყოფნის ის – არც ორგანიზაციაზე, არც ეფექტურობის გაზრდაზე და ა.შ. მიუხედავად ამისა, ის გასცემს ენერგიას დიდი სახელმწიფოს შენახვაზე, რაც მას მძიმე ტვირთად აწევს და თრგუნავს.

ბერდიაევს მიაჩნია, რომ რუსეთის მასშტაბს, მის თვალუწვდენელობას, უარყოფითი გავლენა აქვს მისი მცხოვრებლების აზროვნებაზე. იგი არ მოითხოვს ამ უკანასკნელთაგან ყურადღების კონცენტრაციას, გონების დაძაბვას, ძალისა და ენერგიის მოკრებას, არც დინამიური და ინტენსიური კულტურის შექმნას. შედეგად, აქ ყველაფერი ლპება. ერთმანეთში ირევა და იძირება ამ უსაზღვრო და უფორმო სივრცეში. რუსეთი – ესაა სივრცე ერთი მხრივ, ფართო, ხოლო მეორე მხრივ – ისეთი დამთრგუნველი, უსაზღვრო სივრცე, რომ სუნთქვა გეკვრის.

ყაზანი – მოსკოვი

მოწყენილობა თანდათან უფრო მტანჯველი, მომაბეზრებელი ხდება. მოწყენილობა, რაღაცნაირი გახევება. ენერგიის

იშვიათი მოზღვავების დროს ადამიანს სურვილი გიკვლის, გადმოხტე გაქანებული, აქეთ-იქით მოქანავე გალიიდან. პირდაპირ გაოცებული ვარ გენერალ კოპციას და მრავალი მისი მსგავსის გამძლეობით, ჩემი ულრმესი პატივისცემა მათ მოთმინებას, მათი ტანჯვის უნარს.

ჯერ მწვანე, თოვლის სიმძიმისაგან მოღუნული მკირე ტყეები, შემდეგ ქუჩები და მრავალსართულიანი სახლები, თანდათან უფრო მეტი ქუჩები და უფრო მეტი ასეთი სახლები და ბოლოს ორ-სამ სართულიანი ქვითკირის სახლებიც გამოჩნდა.

კონდუქტორი კუპეებში შემოდის, პირსახოცებსა და ლოგინის თეთრეულს აგროვებს. მიაქვს ჩაის ჭიქებიც. ვაგონის დერეფნები მგზავრებით იესება.

მოსკოვში შევდივართ.

სამხრეთი, 67

ტრანსციმბირში რკინიგზით მოგზაურობის შემდეგ კვლავ იმპერიაში გავემგზავრე. ჩემი მარშრუტი ყოფილი საბჭოთა კავშირის შვიდ რესპუბლიკაზე გადიოდა: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი. ძალზე დამქანცველი იყო ამ მოგზაურობის ტემპები – თითოეული ამ რესპუბლიკის გაცნობაზე მხოლოდ რამდენიმე დღე მქონდა გამოყოფილი. კარგად ვაცნობიერებდი, თუ რა ზერელე და შემთხვევით ხასიათს ატარებს ასეთი შეხვედრები. მაგრამ ჩაკეტილი, ძნელად შესაღწევი, იდუმალებით მოცული ქვეყნების გასაცნობად უნდა გამომეყენებინა ყოველი შანსი, სრულიად მოულოდნელი შესაძლებლობაც კი, რათა მცირედ მაინც ამეხადა მათთვის საგულდაგულოდ ჩამოფარებული მძიმე ფარდა.

მაინც რა იყო იმპერიასთან ჩემი, ამ მესამე, შეხვედრისას ყველაზე გასაოცარი? ჩვენს წარმოდგენაში სსრკ წარმოადგენს ერთსახოვან მონოლითურ ქმნილებას, სადაც ყველაფერი თანაბრად მოსაწყენი და რუხია, ამასთან მონოტონური, დაშტამპული. აქ არავის და არაფერს შეუძლია გადააბიჯოს დადგენილ ნორმებს, განსხვავდებოდეს სხვისგან და ინდივიდუალური ხასიათი მიიღოს.

აი, ვიმყოფები მაშინდელი იმპერიის არარუსულ რესპუბლიკებში. რა მხვდება აქ უწინარეს ყოვლისა თვალში? ის, რომ მიუხედავად საბჭოთა რესპუბლიკების მყარი, ბანაკური კორსეტისა, აქაურმა პატარა, მაგრამ უძველესმა ერებმა მაინც შეძლეს რაღაცის შენარჩუნება თავიანთი ეროვნული კულ-

ტურიდან, ტრადიციებიდან, ისტორიიდან. არ დაკარგეს თავისი ინდივიდუალურობა და სიამაყე. აქ აღმოვაჩინე მზეზე გაფენილი ხალიჩა, რომელსაც მრავალ ადგილას შეუნარჩუნებია უწინდელი ფორმები, ფერები და ყურადღებას იპყრობს თავისი ორიგინალური გამოსახულებებით.

საქართველო

თბილისში კარგია ხელოვნების მუზეუმის ნახვა. იგი იმ შენობაშია განთავსებული, სადაც ადრე სასულიერო სემინარია იყო, რომლის ერთ-ერთი მოწაფეც სტალინი გახლდათ. ამას მუზეუმის შესასვლელთან კედელში ჩამაგრებული მემორიალური დაფაც გვაუწყებს. შენობა არის ბნელი, თუმცა საკმაოდ ვრცელი და დგას ქალაქის ცენტრში ძველი თბილისის განაპირას. მეგზურობას მიწევს სტუდენტი თამილა თევდორაძე. ნატიფი სახის ნაკვთებიანი, ლამაზი და მოხდენილი ქალიშვილი.

ძველი ქართული ხელოვნება მაოცებს თავისი სრულყოფილებით. ყველაზე ფანტასტიური მაინც ხატებია! ისინი გაცილებით ძველია, ვიდრე რუსული, საუკეთესო ქართული ხატები რუბლიოვის ეპოქამდე ბევრად უფრო ადრეა მოჭედილი. თამილას აზრით, ხატების ორიგინალობა მათ მეტაპლასტიკურობაში მდგომარეობს: მოხატულია მხოლოდ წმინდანთა სახეები. ყველაზე საუკეთესოდ VIII-XIII საუკუნეების ხატები ითვლება. ხატები თუმცა ჩაშავებულია, მაგრამ მაინც ასხივებს. ისინი ოქროს ჩარჩოებშია მოთავსებული და ძვირფასი ქვებითაა მოოჭვილი. აქ ნახავთ ასევე გასახსნელ, ვიტა სტვოშას მსგავს ხატებს. მათი ზომები შთამბეჭდავია, თითქმის მონუმენტური მასშტაბები აქვთ. მუზეუმში ვნახე ხატი, რომელსაც რამდენიმე თაობის ოსტატები ჭედდნენ მთელი სამი საუკუნის მანძილზე. ესაა პატარა ჯვარი, მუზეუმის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული ექსპონატი, ერთადერთი რამ, რაც თამარ მეფის ნაქონი ნივთებიდან შემორჩა.

შემდეგ დარბაზებში ქართული საეკლესიო ფრესკებია წარმოდგენილი. რა სასწაულებრივია ისინი და რა ცოტა რამ, თითქმის არაფერი ვიცოდი მათ შესახებ. სამწუხაროდ, ყველაზე საუკეთესო ფრესკები თითქმის განადგურებულია. ისინი ფარავდნენ საქართველოს უდიდესი ეკლესიის – სვეტიცხოვლის კედლებს, რომელიც 1010 წელს აშენდა უძველეს ქალაქ მცხეთაში, თბილისის ახლოს. ეს ფრესკები შუასაუკუნეების ისეთივე სასწაულებრივი ხელოვნების ნიმუშებია, როგორიც ჩარტრეზის (Chartres) ვიტრაჟები. იგი რუსი გუბერნატორის ბრძანებით გადაღებეს, რადგან სურდა ეკლესიის ისე შეთეთრება, "როგორც ჩვენთან დედაკაცები ღუმელებს ღებავენ".

არავითარ რესტავრაციულ ძალისხმევას არ ძალუძს მათი აღდგენა ისინი უკვე სამუდამოდ დაიკარგა ჩვენთვის*.

სვეტიცხოველი X საუკუნის ძეგლებიდან ყველაზე უკეთაა შემონახული. იგი ისე გამოიყურება, თითქოს ას წელზე მეტი ხნის არ იყოს, თუმცა სერიოზულად ჯერ არ გასუფთავებიათ. ეს ქმნილება ააგო ქართველმა არქიტექტორმა [illegible]ძემ, რომელსაც მეფის ბრძანებით ხელი მოკვეთეს, [illegible] [illegible]ც რაიმე მეტი აღარ აეშენებინა. რამდენჯერმე შეეცადა თემურ ლენგი მის დანგრევას, მაგრამ ნაგებობის მტკიცე კედლებს ძვრაც ვერ უყო. ეკლესია დღემდე მოქმედია და სრულიად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, კათოლიკოს პატრიარქი ეფრემ II სწორედ აქ აღავლენს წირვა-ლოცვას.

აქ ვნახე ასევე, თუმცა მხოლოდ ფოტოებზე – ვარძია. ესაა რაღაც წარმოუდგენელი საოცრება, რომლის ახსნა და გაგებაც თანამედროვე ადამიანს უკვე აღარ ძალუძს. ვარძია XII საუკუნის ქართული ქალაქია, კლდეში გამოკვეთილი საკნებით. იგი განლაგებულია არა ჰორიზონტალურ სიბტყეზე, არამედ ვერტიკალურად. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალო გამოქვაბულთან, არამედ ნამდვილ ქალაქთან – გეგმით, ქუჩებით, არქიტექტურით და ეს ყველაფერი კლდეშია გამოკვეთილი უზარმაზარ კლდიან ქვის ფერდობზე, თუმცა როგორ, რა იარაღით? ასეთი ქალაქის გამოკვეთა ნამდვილად უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეგვიპტის პირამიდების აგება. სამაგიეროდ, პირამიდებისაგან განსხვავებით, ვარძიას ოდესღაც პრაქტიკული გამოყენება, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. დღეს, ისევე, როგორც პირამიდები, იგი უკვე მკვდარი ქალაქია. დარჩა მხოლოდ კლდოვანი კედლები, რომელთაც მოღუშული სიურეალისტური კომპოზიცია აქვთ.

ბოლოს თამილამ ნიკო ფიროსმანიშვილის დარბაზში შემიყვანა, რათა მისი სურათები დამეთვალიერებინა, რომლებიც მცირე ხნის შემდეგ პარიზში უნდა გაეგზავნათ. თამილა ამტკიცებს, რომ ახლა პარიზი მოხიბლულია ნიკო ფიროსმანიშვილით. ნიკო გარდაიცვალა 1916 წელს. იგი იყო ქართველი ნიკიფორე თუ მესაზღვრე რუსო**, უდიდესი მეოცნებე. ნიკო ნაძალადევში ცხოვრობდა, თბილისის ღარიბთა უბანში. არასოდეს არაფერი ჰქონია. ფუნჯსაც თავად აკეთებდა. ნიკოს სურათებში შავი ფერი დომინირებს – მისი ფერების უმეტესობა შავია, რამეთუ საღებავს მას მესაფლაველები აძლევდნენ. მხატვარი აგროვებდა ძველ, სპილენძის ფირნიშებს, რათა შემდეგ მასზე დაეხატა. ამიტომაა, რომ მისი ნახატების უკანა

* ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი კრაკოვში, ვაგელშიც. პოლონელ მეფეთა სასახლეები, რომლისკედლებიც ავსტრიელებს ასევე თეთრად გადაუღებავთ ამ წვეულის დაპყრობის შემდეგ – ა. გ.

** ნიკიფორე – პოლონელი და რუსო – ფრანგი პრიმიტივისტი მხატვრები არიან. – ა. გ.

მხარეს ჩანს ბოლომდე შეულებავი წარწერები, რაღაც "მაგაზ..." ან "თამბაქო". რეკლამა ოქროსა და წითელი ფერისაა, ხოლო მასზე ნიკოს შავ-თეთრი ნახატი. ნიკო ხატავდა დუქნებში, ღვინის მარნებში. ზოგჯერ ცნობისმოყვარენი ეს ღვინოს უდგამდნენ მაგიდაზე. იქნებ ჭლექი ჰქონდა? ცოტა რამ ვიცით მისი ბიოგრაფიიდან. ნიკოს მრავალი ნახატიდან მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. მისი სურათების [illegible] ესი თემა ნადიმია.

ნიკო ნადიმებს ვერონეზესავით ხატავდა. ქართული პეიზაჟის ფონზე გულუხვი სუფრაა გაშლილი. მაგიდასთან ქართველები ქეიფობენ. მაგიდა პირველ პლანზეა. იგი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. ნიკო გვხიბლავს თავისი კულინარიით. რა იქნება საჭმელად და ადამიანი რით ამოიყორავს მუცელს, ნიკო ამ ყველაფერს ხატავს. იგი გვიჩვენებს, თუ რას შეჭამდა ადამიანი დღეს და რას არ დააკარებდა პირს არც დღეს და არც არასოდეს. მაგიდები გადავსებულია შემწვარ-მოხრაკულებით და ხილით – შემწვარი ცხვრით, გოჭებით, ხრაშუნა საზამთროებით, სურნელოვანი ბროწეულებით. მონადიმენი ხბოს სისხლივით წითელ ღვინოს სვამენ. ამ მხტვრობაში რაღაც მაზოხიზმი, საკუთარ მუცელში დანის გაყრის მსგავსი რამ იგრძნობა, თუმცა ნიკოს ხელოვნება მხიარულია, იგი კარგ გუნება-განწყობილებაზე გვაყენებს.

ნიკოს საქართველო მაძღარი, მუდამ მოქეიფე, კარგად ნაკვებია. ქვეყანაში რძის მდინარეები მოედინება. ზეციდან მანანა ცვივა. ყოველი დღე მაძღარი და მსუქანია. მხატვარს ასეთი საქართველო ესიზმრებოდა ნაძალადევში.

ნიკო ნაძალადევის სიზმრებს ხატავდა.

მხატვრობას მისთვის ბედნიერება არ მოუტანია. ჰყავდა შეყვარებული, სახელად მარგარიტა. უცნობია, ვინ იყო იგი. მარგარიტას სახე დახატულია პირობითად, დიდი მეოცნების მიერ, რომლისთვისაც ყველაფერი მეტისმეტად დიდია და არავითარი ნორმა დაცული არაა. ქალს ძალზედ დიდი პირი აქვს, ტუჩები გამობერილი, ყურები – ჩამოფართხული. ნიკომ პორტრეტი მარგარიტას აჩვენა, რომელმაც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ტირილი აუვარდა და ნიკო განრისხებულმა, გაავებულმა მიატოვა. მისი ტალანტი მარტოობისათვის იყო განწირული.

მას შემდეგ მარტოსული ცხოვრობდა.

54 წლის ასაკში გარდაიცვალა, თბილისში, რომელიღაც სარდაფში, იქნებ მშიერი ან გონება დაკარგულიც?

ვახტანგ ინაშვილი თავის სამუშაო ადგილს – უზარმაზარი, ჭერამდე კასრებით გატენილ დარბაზს მაჩვენებს: დიდი და მძიმე კასრები საყრდენებზე წვანან, მათში კონიაკს აძველებენ.

ყველამ როდი იცის კონიაკის დამზადების წესი. ამისათვის ოთხი რამაა საჭირო: ღვინო, მზე, მუხის კასრები და

დრო. და გარდა ამისა, ისევე, როგორც ყოველ ხელოვნებაში – ხელოვნება. შემდგომ ყველაფერი ასე გამოიყურება:

შემოდგომით, ყურძნის დაწურვის შემდეგ აყენებენ ღვინის სპირტს, რომელსაც მუხის კასრებში ასხამენ. კონიაკის მთელი საიდუმლოება ამ უკანასკნელშია. მუხა იზრდება და თავის თავში მზის სხივებს იკრებს. მზე ილექება მუხის ხეში, როგორც ქარვა – ზღვის ფსკერზე. ეს ძალზე ნაზგრძლივი პროცესია, რომელიც ათწლობით გრძელდება. ახალგაზრდა მუხისაგან კარგი კონიაკი ვერ დამზადდება. მუხა იზრდება, მისი ტოტები ძალას, ფერს და სურნელს იძენს, თუმცა ყველა მუხა როდი იძლევა კარგ კონიაკს. ამ საქმისათვის განსაკუთრებით კარგი განმარტოებით მდგარი მუხაა (ტყუილად როდი ამბობდა ბაჩანა: "მუხავ, მიყვარხარ ტიალო, განმარტოებით მდგომარევ"-ო – ა.გ.), რომელიც წყნარ, უქარო, მშრალ ნიადაგზე დგას. ასეთი ხეები მზითაა გაჟღენთილი, მათში იმდენი მზეა, რამდენი თაფლიც – სკაში. თუ მუხა ტენიან ნიადაგშია გაზრდილი, კონიაკსაც უფრო მეტად მწარე გემო აქვს, რამეთუ ასეთი ნიადაგები სიმჟავეს შეიცავს.

ვერც იმ მუხისაგან დამზადდება კარგი კონიაკი, რომელიც ნორჩობის ასაკში მოჭრეს. მოჭრილ ტოტებში წვენი ცუდად მოძრაობს და მუხის ფიცრებსაც კარგი გემო არა აქვთ.

ხელოსნები შემდეგ კასრებს აკეთებენ. მეკასრემ კარგად უნდა იცოდეს, ჭურჭელი როგორ გააკეთოს. თუ ხეს ცუდად გათლის, მუხის ფიცრებს სურნელი არ ექნება. კონიაკს ფერს კი მისცემს, მაგრამ არომატს ვერაფერს შესძენს. მუხა ზარმაცი ხეა, ხოლო კონიაკისათვის იგი იძულებულია იმუშაოს. მეკასრეს ისეთივე ყნოსვა უნდა ჰქონდეს, როგორც ვიოლინოს დამამზადებელს. კარგმა კასრმა იქნებ ას წელზე მეტიც კი გასძლოს. ისეთი კასრებიცაა შემორჩენილი, რომელთა ასაკი 200 და მეტი წელიცაა. ყოველი კასრი როდი გამოდის კარგი. ისეთი კასრებიცაა, რომლებიც ოქროსავით კონიაკს იძლევიან. რამდენიმე წელიწადია საჭირო ამის დასადგენად, თუ რომელი კასრი როგორი გამოვიდა.

კასრებში ღვინის სპირტს ასხამენ: ხუთასს, ათას ლიტრას – გააჩნია. კასრებს აწვენენ საყრდენებზე და ასე ტოვებენ. ამის მეტი არაფერია გასაკეთებელი, გარდა ლოდინისა. ყველაფერს დრო სჭირდება. სპირტით იჟღენთება ფიცრები და ხე გვიბრუნებს იმ ყველაფერს, რაც შეუძენია – მზეს, გემოს, ფერს და სურნელს.

ამიტომ იგი მშვიდად უნდა იყოს.

კასრებს ნიავიც უნდა უვლიდეს, რამეთუ ხე სუნთქავს. ხეს უყვარს სიმშრალე, სინესტე ფერს წაახდენს, დაამძიმებს, ბრწყინვალებას დაუკარგავს. სინესტე ღვინოს უყვარს, კონიაკი მას ვერ იტანს, იგი გაცილებით პრეტენზიულია. პირველი

კონიაკი სამი წლის დგომის შემდეგ მიიღება. სამი წელი, სამი ვარსკვლავი. ვარსკვლავიანი კონიაკი ყველაზე ახალგაზრდაა, დაბალი ხარისხის. ყველაზე საუკეთესო საფირმო კონიაკი ვარსკვლავების გარეშეა, რომელთა ასაკიც ათი, ოცი წელიწადია, ას წლამდე. სინამდვილეში კონიაკის ასაკი უფრო მეტიც არის. ანუ მას უნდა მივუმატოთ ის ასაკიც, რა ასაკისაც ხე იყო. ახლა ის მუხის ხის ფიცრები მუშაობენ კონიაკის დაყენებაზე, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის დროს დარგეს.

კონიაკი ახალგაზრდაა თუ მოხუცი, ამას გემოთი შევატყობთ. ახალგაზრდა კონიაკი ცხარეა, სწრაფია, თითქოს ერთგვარად იმპულსურია. მას სიმწკლარტე დაჰკრავს, მაშინ, როდესაც ძველი ხის მასალისაგან დამზადებულ კასრებში შენახული სასმელი რბილი და სასიამოვნოა. ამის შემდეგ იგი უკვე გამოსხივებასაც იწყებს. ძველ კონიაკში ბევრი სითბო, ბევრი მზეა. იგი მშვიდად, აუჩქარებლად უნდა დალიო.

თუმცა თავის საქმეს იგი მაინც გააკეთებს.

(გაგრძელება იქნება)